ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

XXI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

XXI

თბილისი
Tbilisi
2025

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია (გერმანია)
ნათია ფიფია
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)
მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)
გუნტის ზემიტისი (ლატვია)
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიეტუვა)
ანჯეი პუქშტო (ლიეტუვა)
ალექსანდერ ბურშე (პოლონეთი)
იულიან მოგა (რუმინეთი)
მირჩა პადურარუ (რუმინეთი)
იაროსლავ პილიპჩუკი (უკრაინა)
პოლ კრეგო (აშშ)
მირჩა-კრისტიან გენგა (რუმინეთი)

Editors:
Tedo Dundua
Aleksandre Boshishvili

Editorial Board:
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia (Germany)
Natia Phiphia
Hirotake Maeda (Japan)
Farhad Jabbarov (Azerbaijan)
Mikhail Choref (Russia)
Alireza Soleymanzadeh (Iran)
Guntis Zemītis (Latvia)
Rimvydas Petrauskas (Lithuania)
Andžej Pukšto (Lithuania)
Aleksander Bursche (Poland)
Iulian Moga (Romania)
Mircea Păduraru (Romania)
Yaroslav Pylypchuk (Ukraine)
Paul Crego (USA)
Mircea-Cristian Ghenghea (Romania)

http://geohistory.humanities.tsu.ge ; e-mail – geohistory@tsu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები შესულია ERIH PLUS-ში (The European Reference Index for the Humanities and the Social Sciences).

This journal was approved on 23.10.2024 according to ERIH PLUS criteria for inclusion.

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2025

ISSN 1987–9970



თედო დუნდუა
1961-2025

შინაარსი
CONTENTS

მემორიალი

თედო დუნდუა – მასწავლებელი და მეცნიერი (*ლერი თავაძე*) .. 11

თედო დუნდუა (1961-2025) (*ნათია ფიფია, აპოლონ თაბუაშვილი, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი*) 17

თედო დუნდუას გახსენება (*ნიკო ჯავახიშვილი*) 20

Condolence Letter for Tedo Dundua (*Natia Phiphia, Emil Avdaliani*) .. 26

თედო დუნდუას შრომების სია..... 28

შტუდიები

ომარ ძაძამია
ანტიკური ხანის კოლხეთის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება და მისი გავლენა ძველი კოლხების კვებაზე 120

Omari Dzadzamia
General Overview of Geography in Colchis in Classical Antiquity and its Influence on the Diet of Ancient Colchians (Summary) 132

Chiara Maria Mauro
The Dardanelles, the Sea of Marmara and the Black Sea According to PS.-SKYLAX. Analysis of the nautical information contained in a fourth-century BCE periplus 134

Натиа Пипиа
О терминах Колха/Колхети/Колхида и связанных с ними этнонимах . 153

Natia Phiphia
About the Terms Kolkha/Kolkheti/Colchis and Related Ethnonyms (Summary) 169

ნესტან სულავა
„უცხოს“ ჰიპოდიგმური გააზრებისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში 171

Nestan Sulava
For the Hypodigmatic Understanding of “Stranger” in Georgian Hagiography and Hymnography (Summary) 201

მამუკა წურწუმია
შუა საუკუნეების ქართული სამხედრო აღჭურვილობა ხელოვნებასა და რეალობაში 204

Mamuka Tsurtsumia
Medieval Georgian Military Equipment in Art and Reality (Summary) ... 214

ნინო კაკალაშვილი
ყივჩაღები და საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების ხანაში 216

Nino Kakalashvili
Qipchaqs and Georgia in the Age of the Successors of David Aghmashenebeli (Summary) 227

გიორგი სოსიაშვილი
ოკუპირებული ფრონეს ხეობის ისტორიიდან (გზები ფრონეს ხეობაში) 228

Giorgi Sosiashvili
From the History of Occupied Prone Gorge (the Roads in Prone Gorge) (Summary) 247

ნიკო ჯავახიშვილი
თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან 249

Niko Javakhishvili
From the history of the Chavchavadze's princely family (Summary) 262

ნათია ვეფხვიაშვილი
სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ხელნაწერის მოხატული საზედაო ასოების ავტორის შესახებ 264

Natia Vepkhvitiashvili
Regarding the Authorship of the Painted Upper Letters of Sulkhan-Saba Orbeliani's "the Book of Words" Manuscript (Summary) 270

მაია შაორშაძე
ვინ იყო ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი და რომელ წლებში იკავებდა იგი ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას? 273

Maia Shaorshadze
On the Tenure of Christopher Mukhrani Batonishvili as Archbishop of Kartli: Clarifying Chronology and Identity (Summary) 286

აპოლონ თაბუაშვილი
მძევლების საკითხი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში (1784-1798 წწ.) 288

Apolon Tabuashvili
The Issue of Hostages in Russian-Georgian Relations (1784-1798s) (Summary) 308

გიორგი დათუაშვილი
სოლომონ ლიონიძე და 1796 წელს ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება 310

Giorgi Datuashvili
Solomon Lionidze and Conspiracy of 1796 against Erekle II (Summary) . 321

Emil Avdaliani
The Caucasian Sericulture Station – Its Foundation and Historical Significance 324

ოთარ გოგოლიშვილი
გურია XX საუკუნის დასაწყისში (1900-1903 წლები) ახალი საარქივო მასალების მიხედვით 336

Otar Gogolishvili
Guria in the Beginning of 20th Century (1900-1903) According to New Archival Materials (Summary) 346

დიმიტრი შველიძე
აკაკი ჩხენკელის ფაქტორი 347

Dimitri Shvelidze
The Akaki Chkhenkeli Factor (Summary) 363

ნათია მირიანაშვილი, ია თუთაშვილი, ნოდარ შოშიაშვილი
ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარის ბედი 1921-1938 წწ. 364

Natia Mirianashvili, Ia Tutashvili, Nodar Shoshiashvili
The Fate of the Khujabi Monastery of the Holy Mother of God Iverion in the Years 1921-1938 (Summary) 380

არჩილ კოხრეიძე, გვანცა ფხაკაძე
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი XX საუკუნის 20-იან წლებში 382

Archil Kokhreidze, Gvantsa Phkhakadze
The Issue of the Administrative-Territorial Structure of Georgia in the 20s of the 20th Century (Summary) 396

ლევან ჯიქია
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვების – „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის...“ სინამდვილის გარკვევისათვის 398

Levan Jikia
In Search of Historical Accuracy Concerning the Words of Catholicos-Patriarch Ambrosios Khelaia of All Georgia: „My Soul Belongs to God...“ (Summary) 407

შორენა მურუსიძე
ფსიქოლოგიური ომის სტრატეგია და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ემიგრაცია (XX ს-ის 50-იანი წლები) 410

Shorena Murusidze
Strategy of Psychological Warfare and Political Emigration of the Soviet Union (1950s) (Summary) 430

თენგიზ სიმაშვილი
დავიწყებული ისტორია: ერეკლე II-ის ძეგლის შექმნის პერიპეტიები თელავში (1950-1970-იანი წლები) 433

Tengiz Simashvili
Forgotten History: The Circumstances Surrounding the Creation of the Statue of Erekle II in Telavi (1950s-1970s) (Summary) 453

ნინო სიმონიშვილი
ხელოვნების ისტორიასა და ხელოვნებათმცოდნეობას შორის: საგანმანთლებლო დებატები XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანიაში და მათი მნიშვნელობა ნაციონალური ხელოვნების ისტორიის ფორმირებისათვის საქართველოში (1918-1921) 455

Nino Simonishvili
Between Kunstgeschichte and Kunstwissenschaft: educational debates during the late nineteenth and the early twentieth centuries Germany and its impact on the formation of national art history in Georgia (1918-1921) (Summary) 479

ქეთევან ციმინტია
ურბანიზაცია-დეურბანიზაცია-რეურბანიზაციის პროცესი ჯვარის დასახლების მაგალითზე 481

Ketevan Tsimintia
The Process of Urbanization – Counterurbanization and Reurbanization on the Example of Jvari Settlement (Summary) 505

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Tedo Dundua
Coin Issues in Georgia. General Survey – Presentation of Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics..... 507

როლანდ თოფჩიშვილი
ქართველ კათოლიკეთა მცდელობა მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების შეერთების შესახებ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში 535

თედო დუნდუა – მასწავლებელი და მეცნიერი*

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფ. თედო დუნდუა, რომელიც, ასევე, წლების განმავლობაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გახლდათ, თანამედროვე, XXI საუკუნის პირველი მეოთხედის, თსუ-ს უდავოდ გამორჩეული მასწავლებელი, მეცნიერი და ინტელექტუალი იყო. მუდამ ცოცხალი, ენერგიით აღსავსე და დაუღალავი შრომით ემსახურებოდა ისტორიული მეცნიერების ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიმართულებას, საქართველოს ისტორიის კვლევას. ყველა, ვინც მას მშობლიურ უნივერსიტეტში კარგად იცნობდა, ადვილად შეამჩნევდა ქარიზმას, ენერგიასა და მონდომებას, რომელსაც არასდროს აკლებდა თავის აკადემიურ მოღვაწეობას.

პროფ. თედო დუნდუას ხელში გაიზარდა უნივერსიტეტის ისტორიკოსთა არაერთი თაობა, ისინი, რომლებმაც თსუ-ში სწავლა 1990-იან წლებიდან დაიწყეს. პროფ. თედო დუნდუა იყო მრავალი ისტორიკოსის მასწავლებელი, დამრიგებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი. იმ მრავალთა შორის ვიყავი მეც. ჩვენი საერთო ნაცნობობა 23 წლის წინ დაიწყო. უნივერსიტეტში ახალი ჩარიცხული ვიყავი, როდესაც 2002 წლის იანვარს პირველი გამოცდები ჩავაბარე და ყველა საგანი ფრიადზე დავხურე. მაშინ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ასეთი წესი იყო: სასწავლო წლის ბოლოს, რომელიც მაისში მთავრდებოდა, უნდა დაგესრულებინა და ჩაგებარებინა საკურსო ნაშრომი. თუმცა, საკურსო ნაშრომის ჩაბარება არ მოგეთხოვებოდა, თუ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებას წარადგენდი. კონფერენციაზე მოხსენების წაკითხვის სურვილი ყოველთვის მქონდა, მაგრამ პირველი კურსელი კონფერენციაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ამგვარი იყო მაშინდელი წესი. ამდენად, სასწავლო წლის ბოლოს საკურსო ნაშრომი უნდა ჩაგებარებინა, ხოლო განაც-

* გამოქვეყნდა თსუ-ს გაზეთის ვებგვერდზე 2025 წლის 26 ოქტომბერს.

ხადი საკურსოს თემის არჩევისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ მეორე სემესტრის დასაწყისში უნდა დაგვეწერა. ვინაიდან ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან მაინტერესებდა საქართველოს აღმოსავლეთ რომის იმპერიის მემკვიდრეობის საკითხი, განაცხადი სწორედ ამ თემის საკურსოს სახით დამუშავებაზე დავწერე და სამეცნიერო ხელმძღვანელის გამოყოფა მოვითხოვე. განცხადება დამიკმაყოფილეს, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელად პროფ. თედო დუნდუა დამიმტკიცეს.

მახსოვს ჩემი პირველი შეხვედრა მასთან 2002 წლის დასაწყისში, როდესაც ვუთხარი, რომ ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელად სწორედ ის იყო შერჩეული. ერთი კაი გვარიანად შემომჩივლა – რა დროს ჩემი საკურსოს ხელმძღვანელობა არის, პროფესორი ვარ და ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, განა, ამისთვის მცალიაო?! მაგრამ უარი არ უთქვამს, დამთანხმდა. სათაურიც შემიცვალა: „საქართველო ბიზანტიის თანამეგობრობაში (X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე)“ – ასეთი სახით დავადგინეთ. სიმართლე უნდა ვთქვა, მერიდებოდა მისი ხშირად შეწუხება, მაგრამ, ვინაიდან ბევრი კითხვა მქონდა, პერიოდულად, როდესაც შემთხვევით ვხვდებოდი, ვეკითხებოდი ხოლმე. როგორც წესი, კონსულტაციას დერეფანში გამიწევდა, ვიდრე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის დერეფნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გავიდოდით. სულ რაღაც საქმეებით იყო დაკავებული, აშკარად ვატყობდი – საკურსო ნაშრომებისთვის ნაკლებად ეცალა. ბოლოს ჩემმა შეძლებისდაგვარად მონდომებულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო, 40-გვერდიანი საკურსო ნაშრომი დავწერე და ჩავაბარე.

ჩემს სამუშაო ოთახში შენახულ სტუდენტის აკადემიური მოსწრების წიგნაკში დღემდე შესამჩნევია ღია ლურჯი კალმით ჩაწერილი 5/ფრიადი და ხელმოწერა, რომელიც პროფ. თედო დუნდუამ, ჩემმა მაშინდელმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, 2002 წლის 15 მაისს გამიფორმა. ამავე ოთახში, ჩემს პირად ბიბლიოთეკაში, მისი ხელმოწერილი პირველი წიგნი (ბროშურა) – „პუბლიკიუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა – არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი?“ (გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002) – მაქვს შენახული, რომელიც საკურსოს დაცვამდე ორი დღით ადრე მაჩუქა. ეს „ბროშურა“, როგორც ამას პატარა მოცულობის წიგნებს უწოდებდა, სწორედ იმ ხანებში იყო გამოცემული, როდესაც ჩემი საკურსო ჩავაბარე. მახსოვს, მითხრა – სხვა წიგნები უკვე დავარიგე და ეს ჯერ დარჩენილი მაქვს და გჩუქნიო. მას შემდეგ, ვიდრე მიმ-

დინარე წლის ჩათვლით, მისი ავტორობით დაწერილი იმდენი წიგნი მივიღე საჩუქრად, რომ ერთ პატარა თაროს კარგად გაავსებს. ჩემს თაროს ამშვენებს ჩვენი ერთობლივი ნამუშევარიც „ფრანკი ლიმიტანები ლაზიკაში“ (2007), ასევე, ჩემი თანამონაწილეობით და მისი თანაავტორობით შედგენილი ორენოვანი „ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი“, რომელიც ოთხ ტომად გამოიცა (2013-2015) ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო კატალოგის მეორე გამოცემა (ინგლისური ვერსია) ერთტომად ათენში დემეტრიუს სიატრასის გამომცემლობამ დაბეჭდა (2021), რომლითაც ის განსაკუთრებით ამაყობდა.

ვიდრე ჩვენი ერთობლივი ნამუშევარი გამოიცემოდა და უნივერსიტეტში კოლეგები გავხდებოდით, საკურსო ნაშრომის დასრულების შემდეგ, პროფ. თედო დუნდუასთან შეხვედრა, ფაქტობრივად, აღარ მიწევდა. ბაკალავრიატში მას ჩემთვის არ უსწავლებია. საკონფერენციო ნაშრომებიც, რომლებსაც მე ვასრულებდი (ამგვარი სახით სასწავლო წლის ბოლოს საკურსო ნაშრომი შესრულებულად მეთვლებოდა), სხვა პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო ხელმძღვანელობით მქონდა გაკეთებული. პროფ. თედო დუნდუას სამეცნიერო ხელმძღვანელობა და მისი რამდენიმე საგნის გავლა მხოლოდ მაგისტრატურაში მომიწია, როდესაც 2005 წლის შემოდგომაზე სწავლა საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე გავაგრძელე. იქ მას ხელახლა შევხვდი, ჩემი სამომავლო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ვთხოვე და თანხმობაც მივიღე. ამის შემდეგ, მთელი ოცი წელი, მასთან ურთიერთობა არასდროს გამიწყვეტია, თავიდან – როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შემდეგ უკვე – როგორც მის უმცროს კოლეგას, თანაავტორს, თანამშრომელსა და მეგობარს. აქედან მოყოლებული ის ჩემთვის უფროსი მეგობარი და, უბრალოდ, თედო გახდა, რომელსაც იმ უშუალო ურთიერთობის აღსანიშნავად, რომელიც გვქონდა დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, სახელით მივმართავდი.

სწორედ თედოს ხელმძღვანელობით დავიცავი როგორც სამაგისტრო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია. სამაგისტრო ნაშრომის სათაური – „მართლმადიდებელი იმპერიის იდეა და საქართველო (ნარკვევები აღმოსავლეთ ევროპის საინტეგრაციო ზონის ისტორიიდან XII-XV საუკუნეებში)“ – ძირითადად, სწორედ მისი შერჩეული იყო. ამავე საკითხზე ვაგრძელებდი მუშაობას დოქტორანტურაში, მისივე სამეცნიერო ხელმძღვანელობით, თუმცა, როდესაც დავინახე, რომ თემა ვრცელი და ზოგა-

დი იყო, ამჯერად, უკვე ჩემი ინიციატივითა და მისი თანხმობით სათაური შევცვალე უფრო კონკრეტულით – „ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში“, რომელიც, მოგვიანებით, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით წარმატებით დავიცავი.

ცალკე აღსანიშნავია სამეცნიერო გრანტები. ერთ-ერთ ასეთ გრანტში საქართველოს ისტორიის კათედრის წევრებმა მე და ჩემი კურსელები ჯერ კიდევ მაგისტრატურაში სწავლის დროს ჩაგვრთეს. ეს პირველი სერიოზული სამეცნიერო პროექტი იყო, „საქართველო და გარე სამყარო“, რომელშიც მე თედოსთან ერთად მომიწია მუშაობა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში განვავრცეთ ჩვენი ერთობლივი სტატია ფრანკ ლიმიტანებზე საქართველოში, რომელიც გადამუშავებული და განვრცობილი სახით თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების III ტომში დაიბეჭდა (2011). თედოს სამეცნიერო ხელმძღვანელობით შესრულებული პირველი სამეცნიერო პროექტი, რომელშიც ერთად მოგვიწია ყოფნა, „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგი“ იყო. მართალია, კატალოგი მხოლოდ ონლაინ სივრცეში უნდა ყოფილიყო განთავსებული, მაგრამ თედოს დაუღალავი შრომის წყალობით, რაშიც მეც დიდი რუდუნებით ვიყავი ჩართული, ონლაინ კატალოგის გარდა ამავე ონლაინ ვერსიის ბეჭდური ოთხი ტომიც გამოიცა, რომლის ინგლისურენოვანი ნაწილის მეორე გამოცემა, რამდენიმე წლის შემდეგ, ბერძნულმა გამომცემლობამ აიღო საკუთარ თავზე. თედოს ბოლო სამეცნიერო პროექტიც, ამჯერად, ჩემი მონაწილეობის გარეშე, ნუმიზმატიკას ეხებოდა – „აფხაზეთი საქართველოა: ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი“, რომელშიც დასავლეთ საქართველოს და მასში შემავალი აფხაზეთის, როგორც დასავლურქართული სივრცის ეკონომიკური შემადგენელის, ნუმიზმატიკური ისტორია არის გადმოცემული.

როდესაც ვიხსენებ თედოს როგორც მეცნიერს, ალბათ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მას, როგორც საქართველოს ევროინტეგრაციის ისტორიული ფორმების კვლევის ფუძემდებელს. საქართველოს ევროინტეგრაციის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა თანამედროვე რეალობაში სსრკ-ს დაშლის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა, როდესაც ნელ-ნელა საქართველომ ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით დაიწყო სვლა. შესაბამისად, გაჩნდა იმისი ინტერესიც – შესწავლილიყო საქართველოს წარსული თანამედროვე ევროპის წინამორბედ და წინაპარ გაერთიანებებთან ურთიერთობის კონტექსტში. თამამად შეიძ-

ლება ითქვას, რომ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი თედომ, ქართული ნუმიზმატიკის კვლევის პარალელურად, საქართველოს ევროინტეგრაციის ისტორიული პროცესის წარმოჩენას დაუთმო. მას ეს პროცესი, დიდწილად, სამ ეტაპად ჰქონდა წარმოდგენილი: ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციას ცალ-ცალკე განიხილავდა და იმ კონკრეტულ შემთხვევებზე აკეთებდა აქცენტს, როდესაც ქართული სივრცე ამ ჰეგემონთა გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. თედო დუნდუას სამეცნიერო კვლევების ეს ნაწილი, ისევე, როგორც ქართული ნუმიზმატიკის შესწავლა, მოცემული აქვს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ამდენად, თავისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო აუდიტორიისთვისაც არის ხელმისაწვდომი.

შთამბეჭდავია მისი საერთო სამეცნიერო მონაგარიც. ბოლოს განახლებული CV-ს მიხედვით, რომელიც researchgate.net-ზეა ატვირთული და განახლებულია 2025 წლის 27 ივლისს, თედო დუნდუას გამოცემული ან ინტერნეტში აკადემიური პროფილის მქონე საიტებზე ატვირთული აქვს თავისი ავტორობითა თუ თანაავტორობით დაწერილი 99 წიგნი და ბროშურა, 187 სტატია, 11 საგაზეთო პუბლიკაცია, ასობით სხვა სახის საკონფერენციო მოხსენება, თეზისები, საპრეზენტაციო სტატიები, ინტერნეტმასალები, რადიო თუ სატელევიზიო ინტერვიუები, სილაბუსები, რეცენზიები, სამეცნიერო გამოცემათა მიმოხილვები და მრავალი სხვა სახის ნაშრომი. მხოლოდ სათაურების ჩამონათვალი, რაც CV-ში დანომრილი სახით არის მოცემული, 177 გვერდზეა გაშლილი და PDF-ის ფორმატშია ატვირთული.

ასეთია პროფ. თედო დუნდუას სამეცნიერო და პედაგოგიური მემკვიდრეობა, რამაც უნივერსიტეტის სამეცნიერო სივრცეს ბევრი საინტერესო გამოცემა, სალექციო კურსი და მრავალი აღზრდილი თაობა დაუტოვა. ის თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერ როგორც ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, შემდეგ უკვე ეტაპობრივად როგორც ასპირანტი, ლაბორანტი, დოცენტი, პროფესორი და ადმინისტრატორი. მისივე თქმით, რასაც ჩემთან ხშირად იმეორებდა ხოლმე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მას გავლილი ჰქონდა ყველა საფეხური – დაწყებული ყველაზე დაბალი პოზიციით, დამთავრებული უმაღლესი აკადემიური თუ ადმინისტრაციული თანამდებო-

ბებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი იყო მისი მეორე ოჯახი, სადაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა.

ყველასთვის მოულოდნელად 2025 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოველობის დღეს, პროფ. თედო დუნდუა 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამავე წლის 18 ოქტომბერს, შაბათს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღის პანთეონის ტერიტორიაზე მდებარე წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიიდან უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი თავის უკანასკნელ გზაზე გააცილეს მისმა სტუდენტებმა, კოლეგებმა, ახლობლებმა, ნაცნობებმა, ოჯახის წევრებმა თუ უბრალოდ გულშემატკივრებმა. ჩვენი უნივერსიტეტის გამორჩეული წევრი წავიდა, მაგრამ მისი მემკვიდრეობა კიდევ დიდხანს დარჩება, როგორც პროფ. თედო დუნდუას პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის ცოცხალი ნიმუში.

ლერი თავაძე
ისტორიის დოქტორი,
თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი,
თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

თედო დუნდუა
1961-2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **თედო დუნდუა** გარდაიცვალა 14 ოქტომბერს.

თედო დუნდუა ოთხი ათეული წლის განმავლობაში პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს ასობით პუბლიკაცია საქართველოს სხვადასხვა ეპოქის ისტორიის, ქართული ნუმიზმატიკის, ეპიგრაფიკის, ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე. მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოირჩეოდა სრულიად ახალი ხედვით, განსაკუთრებით კი - ისტორიული პროცესების ფილოსოფიურად გააზრებით.

უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომებით თედო დუნდუას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა გამოქვეყნებული. ამით მან საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის აქტუალიზება მოახდინა და უცხოელი მკვლევრების ყურადღება მიაპყრო როგორც უკვე კარგად, ისე ნაკლებად შესწავლილ, საკითხებს. მას ახლებურად ჰქონდა გადააზრებული ისტორიოგრაფიის აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია, რომ მისი კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ევროპის შექმნა და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები, რასაც ათწლეულების განმავლობაში ასწავლიდა საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დამსახურება ისტორიის ფილოსოფიის განვითარების საკითხში. ციკლური განვითარების თეორია, რომელიც ადრეულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა, მან ხელახლა ააღორძინა და სათანადო ფაქტებზე დაფუძნებით კიდევ უფრო მეტად განავითარა. ამავდრო-

ულად მან შექმნა თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ისტორიკოსებს შეუძლიათ ისტორიული წარსულის გააზრება. აღსანიშნავია, რომ მისი თეორიები არამხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ისტორიოგრაფიისთვისაც მნიშვნელოვანი შენაძენია.

თედო დუნდუას სადოქტორო დისერტაცია **„ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“ (თბილისი, 1994)** სწორედ ამ კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში განიხილავს საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს. ამასთან, ყველაფერი გააზრებულია ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში ამ ნაშრომით თედო დუნდუა ქართული ისტორიოგრაფიისთვის იყო უკანასკნელი დიალექტიკოსი.

ქართული ნუმიზმატიკა მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მან, გიორგი დუნდუასთან თანაავტორობით ქართული ნუმიზმატიკის შესახებ ორტომეული გამოაქვეყნა. მოგვიანებით, 2013-2015 წლებში მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე, ინსტიტუტის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართულობით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა პროექტი **„ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“**. კატალოგს მნიშვნელოვანი აღიარება და გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისგან, მათ შორის, ნიუ-იორკის და ოქსფორდის უნივერსიტეტები. 2021 წელს კატალოგის ინგლისური ვერსია მეორედ გამოიცა ათენში, ბერძნული გამომცემლობის ინიციატივით. 2022 წელს, ნუმიზმატიკის XVI მსოფლიო საერთაშორისო კონგრესზე თედო დუნდუა ხელმძღვანელობდა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ სპეციალურ სესიას, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ქართული ნუმიზმატიკის წარმოჩენას. სესიაზე წაკითხული მოხსენებები კატალოგის გარკვეულ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ბოლო წლებში თედო დუნდუამ განახორციელა ბოლო პროექტი **„აფხაზეთი საქართველოა. ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი** (თბილისი, 2025).“ ნაშრომში მან დაასაბუთა, რომ მონეტები, რომლებიც ისტორიულად მიმოიქცეოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე ცირკულაციაში იყო დანარჩენი საქართველოს, ან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ადასტურებს იმას, რომ აფხაზეთის სამონეტო ბაზარი სრულად თანხვედრაში იყო დანარჩენი საქართველოს სამონეტო ბაზარ-

თან, ხოლო ისეთ ისტორიულ პერიოდებში, როდესაც საქართველო არ იყო ერთიანი, აფხაზეთის სამონეტო ბაზარი დასავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზრის იდენტური იყო.

თედო დუნდუას ლექციებს ისტორიკოსთა არაერთი თაობა აღფრთოვანებით ისმენდა. გარდა ამისა, მან აღზარდა მკვლევარ ისტორიკოსთა თაობა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით და საქმის ერთგულებით. იგი აქტიურად თანამშრომლობდა სამეცნიერო თვალსაზრისით მის აღზრდილ ისტორიკოსებთან ერთად და მათთან თანაავტორობით გამოცემული აქვს არაერთი სტატია და წიგნი.

მისი სახით გამორჩეული, განსაკუთრებულად ერუდირებული და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ლექტორი, საერთაშორისო დონის მკვლევარი და მეცნიერი დაკარგა ქართულმა აკადემიურმა, სამეცნიერო სივრცემ და სრულიად საქართველომ.

ნათია ფიფია,
აპოლონ თაბუაშვილი,
აკაკი ჩიქობავა,
ემილ ავდალიანი

თედო დუნდუას გახსენება

2025 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთობა-სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე ზეციურ საქართველოს შეუერთდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თედო გიორგის ძე დუნდუა (1961-2025)...

ჩემს საპატიო მოვალეობად მიმაჩნია, რომ როგორც მისმა კოლეგამ და მეგობარმა გავიხსენო ეს პროფესიონალი მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება და მოქალაქე, რომელმაც ამაგი დასდო ქართულ ისტორიოგრაფიას და თაობები აღზარდა.

ვინაიდან ჩვენი ურთიერთობა მესამედ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა, მოსაგონარი ბევრი მაქვს, თუმცა, ქვემოთ მხოლოდ სამ ეპიზოდს გავიხსენებ.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავიცანი იმხანად ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული ლექტორი ისტორიკოსთა შორის - თედო დუნდუა, რომელიც სულ 29 წლის ასაკში მყოფი, თავისი ნიჭიერებითა და მგზნებარე ორატორული მონაცემებით მხარს ღირსეულად უმშვენებდა ისეთ სახელოვან მეცნიერებს და უდიდესი გამოცდილების მქონე პროფესორებს, როგორებიც იყვნენ აწ განსვენებული ჩემი ძვირფასი მასწავლებლები: გივი ჟორდანია, ოთარ ჯაფარიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ვალერიან (ვალიკო) მაჭარაძე, გივი ჯამბურია, ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი, გურამ გრიგოლია, გია ავალიშვილი და სხვები. უფალმა განათლოს მათი სულები...

სწორედ იმ პერიოდში საქართველოს უზენაესი საბჭოს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოქვეყნდა ჩემი ორი სტატია, კერძოდ, 1991 წლის 19 ნოემბერს - „ქართული ვალუტა: მითი და რეალობა“ (იხ.: № 226 /246, გვერდი 3), ხოლო 3 დეკემბერს - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფული“ (იხ.: № 236 /256, გვერდი 3).

4 დეკემბერს, ოთხშაბათს, დილაადრიან, ჩვეულებისამებრ მივედი უნივერსიტეტში, სადაც მეორე სართულზე, კიბიდან ხელმარჯვნივ, კუთ-

ხეში მდგარ ფანტანთან შემხვდა ყველასათვის საყვარელი პროფესორი გია ავალიშვილი. მან მისთვის დამახასიათებელი კეთილი ღიმილით მითხრა: - „წავიკითხე შენი სტატიები, რომლებიც ძალიან მომეწონა როგორც მე, ასევე დიდ ქართველ ნუმიზმატს, პროფესორ ჟორა დუნდუასაც (ასე ეძახდნენ შინაურები გიორგი დუნდუას. ნ. ჯ.). მან მთხოვა, შენთვის გადმომეცა თავისი ბინის ტელეფონი. აბა, ჩაიწერე: 95-09-71 და დღესვე დაურეკე“...

აქვე დავსძენ, რომ ზემოხსენებული ისტორიული ფანტანი, საიდანაც მორაკრაკე, საოცრად გრილი წყარო თავის დროზე შეუსვიათ დიდ ქართველ მეცნიერებს და მამულიშვილებს: ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს და სხვებს, სამწუხაროდ, მოგვიანებით ჩატარებულ ე. წ. კაპიტალურ რემონტს შეეწირა. ამის სავალალო შედეგი კი ის არის, რომ ამჟამად ჩვენს „ალმა-მატერში“ პროფესორებსაც და სტუდენტებსაც პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული წყლით გვიწევს სიარული...

ბატონი გიორგი დუნდუას დაინტერესებამ ჩემი სტატიებით ძალიან გამახარა. ის ხომ აღიარებული ნუმიზმატი და უამრავი საყურადღებო ნაშრომის ავტორი გახლდათ. აღელვებულმა დავურეკე და ვეუბნები:

- „ბატონო გიორგი, პროფესორმა გია ავალიშვილმა გადმომცა თქვენი თხოვნის შესახებ. გისმენთ ყურადღებით“... ბატონი გიორგი მეუბნება: „გიწვევთ ჩემს ბინაში, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის № 111-ში, IV კორპუსში“... მეც დათქმულ დროს ვეწვიე. კარი გამიღო ბატონი გიორგის მეუღლემ, ქალბატონმა ლეილა იმედაშვილმა (1934-2016), რომელიც არაჩვეულებრივი გარეგნობის მანდილოსანი გახლდათ, წარმოსადეგი, ღია ცისფერი თვალებით. მან მიმაცილა ბატონი გიორგის კაბინეტამდე, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობდა. ოთახი წიგნებით იყო სავსე. ბატონი გიორგი თბილად შემეგება და ხანგრძლივად მესაუბრა. გაუხარდა, როცა გაიგო, რომ მის ვაჟს ასე კარგად ვიცნობდი. ქალბატონმა ლეილამ ჩაი, ყავა და ტკბილეული მოგვართვა და ქრისტეშობისთვის ის ცივი დღე უცებ გაგვითბო-გაგვილამაზა. მისი თანდასწრებით ბატონო გიორგი გამომცდელად მეკითხება: - „აბა, როგორი ლექტორია თედო?“ – „იმდენად კარგია, რომ მის ლექციებს არა მხოლოდ ჩვენ, ისტორიკოსები არ ვაცდენთ, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც კი ესწრებიან“ - ვუპასუხე.

ეს პასუხი მშობლებს, ბუნებრივია, ესიამოვნათ. ბოლოს, ბატონი გი-

ორგი მეკითხება: „თქვენი სტატიები ძალიან მომეწონა. გამართული ქართულით წერთ, რაც არ გამკვირვებია, რადგან გია ავალიშვილისაგან გავიგე, თუ ვისი ვაჟიც ყოფილხართ... მაინტერესებს ერთი საკითხის გარკვევა: აპირებთ თუ არა კვლევა-ძიების გაგრძელებას ამ თემაზე?“ მეც ვუპასუხე: „რასაკვირველია. ამჟამად პარალელურად ვმუშაობ დამოუკიდებელ ნაშრომებზე ქართული ჯილდოებისა და ქაღალდის ფულის ნიშნების შესახებ, რომლებსაც რამდენიმე წელიწადში დავასრულებ. მოკრძალებით შემიძლია შემოგთავაზოთ მათი რეცენზირება, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით“.

ბატონ გიორგის ჩაეღიმა და მითხრა: „ვითომ რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი? ვინაიდან ეს საკითხები მეც ძალიან მაინტერესებს, დიდი სიამოვნებით გავეცნობი თქვენს ნაშრომს“... მცირე პაუზის შემდეგ კი მან სერიოზული სახე მიიღო და დასძინა: - „ოღონდ, იცოდეთ, რომ ძალიან მკაცრი შემფასებელი ვიქნები და შენიშვნებს არ დაგაკლებთ“...

ნუმიზმატიკის ასეთი ბუმბერაზი სპეციალისტის სიტყვების მოსმენამ ცოტა ჩამაფიქრა, მაგრამ თან ძალიან გამახარა. აქტიურად განვაგრძე სამეცნიერო საქმიანობა და 1995-1996 წლებში მისი რეცენზენტობით დამოუკიდებელ წიგნებად გამოიცა ჩემი მონოგრაფიები, სახელწოდებით: „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“ და „ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა)“. ამ ნაშრომების განვრცობილი ვერსიების საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1997 წლის 2 ივნისს დავიცავი საკანდიდატო, ხოლო 2003 წლის 7 აპრილს - სადოქტორო დისერტაციები. ბატონი გიორგი დუნდუა ორივე ჩემი დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი გახლდათ და ფრიად კვალიფიციური რეცენზიები წარმოადგინა. სხვათა შორის, ორივე რეცენზიის ბეჭდით დამოწმებული ეგზემპლარი, უნივერსიტეტის არქივში დაცული სადისერტაციო დოკუმენტაციის გარდა, ჩემს ოჯახშიც ინახება.

* * *

2003 წელს, პროფესორებთან გიორგი და თედო დუნდუებთან ერთად, მონაწილეობა მივიღე საქართველოს ეროვნული ბანკის უმნიშვნელოვანეს პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე მიმოქცევაში მყოფი ლითონისა და ქაღალდის ფულის ნიშნების ალბომ-კატალოგის გამოსაცემად მომზადებას და წიგნად დასტამბვას. იმავე წლის მიწურულს ამ ნაშრომმა დღის სინათლე იხილა. ის გამოიცა ქართულ და

ინგლისურ ენებზე, სახელწოდებით: „ფული საქართველოში“/„Money in Georgia” (თბილისი, 2003).

ჩვენი თანაავტორობით დაწერილი ეს უხვად ილუსტრირებული, ფერადი წიგნი, რომელსაც გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი ნუსხა ერთვის, მოიცავს შემდეგ თავებს:

1)„კოლხური თეთრი. ძვ. წ. VI-III საუკუნეები;

2) კოლხეთი ელინისტურ ხანაში. ძვ. წ. IV-I საუკუნეები;

3) იბერიის სამეფოს სამონეტო ბაზარი. ძვ. წ. III - IV საუკუნეები;

4) პირველი ქართულწარწერიანი მონეტები. IV-VII საუკუნეები;

5) საქართველოს სამონეტო ბაზარი არაბობის დროს. VIII-X საუკუნეები;

6) ერთიანი ქართული მონარქია და ქართულ-ბიზანტიური მონეტები. X-XI საუკუნეები;

7) ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“ საქართველოში. XII საუკუნეები;

8) „ვერცხლის კრიზისის“ დასასრული. მონღოლური „საოკუპაციო“ სერიები და კირმანეული თეთრი. XIII საუკუნე;

9) გიორგი V ბრწყინვალე და „გიორგაული თეთრი“. XIV საუკუნეები;

10) შირვანული თანგები და ვენეციური ოქროს დუკატები საქართველოს ფულად ბაზარზე. XV საუკუნეები;

11) თუმანი, აბაზი, შაური და ერეკლე II-ის „სირმა აბაზი“. XVI-XVIII საუკუნეები;

12) რუსულ-ქართული ფულის ემისია. 1804-1834 წლები;

13) რუსული ფული. 1834-1917 წლები;

14) საქართველოს და ამიერკავკასიის ბონები. 1918-1924 წლები;

15) სსრ კავშირის ფული. 1924-1992 წლები;

16) საქართველოს ეროვნული ფული. 1993-2003 წლები.

ეს ალბომ-კატალოგი დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს მეცნიერთა წრეში.

* * *

2004 წლის გაზაფხულზე მქონდა პატივი, რომ პროფესორებთან: ზაზა აბაშიძესთან, თედო დუნდუასთან, ყარამან ქუთათელაძესთან და გოგი ხოშტარიასთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიმეღო საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზის შერჩევის პროცესში.

სახელმწიფო გერბის ესკიზის შემრჩევი ჟიური 2004 წლის 8 მაისს შეიქმნა (ოქმი # 6). მისი სხდომა 19 მაისს გაიმართა. ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო გერბის საუკეთესო ესკიზი, რომლის ავტორი გახლდათ მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე. 21 მაისს შედგა მისი პრეზენტაცია. ამას მოჰყვა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც იდგა - სახელმწიფო გერბის ესკიზის განხილვის საკითხი. ხანგრძლივი დებატებისა და გერბის ესკიზის გარკვეული დახვეწის შემდეგ, 2004 წლის 1 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ორგანული კანონით დადგენილია სახელმწიფო გერბის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობა, მისი გამოსახვის ფორმები, გამოყენების სფერო, გამოყენებისა და დაცვის წესი, ასევე შექმნილია სახელმწიფო სიმბოლოებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მიზნით, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო. საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო და მცირე სახელმწიფო გერბების ფორმით, ერთ ფერში, ჰერალდიკური დაშტრიხვით ან მის გარეშე.



სახელმწიფო (დიდი) გერბის აღწერილობა ასეთია: „სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარი დაგვირგვინებულია ივერიული (ქართული) გვირგვინით. ფარისმტვირთველი ორი ოქროს ლომი ვაზის სტილიზებული ორნამენტის საფუძველზე დგას. საფუძველზე გადმოფენილია ვერცხლ-მეწამული სადევიზე ბაფთა (ავერსი – ვერცხლი,

რევერსი – მეწამული). ბაფთის ვერცხლის ველზე სევადისფერი ქართული მხედრული ანბანით წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“. ბაფთაზე, სადევიზე წარწერის თავსა და ბოლოში, გამოსახულია მეწამული ჰერალდიკური ჯვრები“.

სახელმწიფო (მცირე) გერბის აღწერილობა ასეთია: „მცირე სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს. ფარის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. ფარზე ივერიული (ქართული) გვირგვინია“.

ამდენად, პროფესორი თედო დუნდუა და ამ სტრიქონების ავტორი, ზემოხსენებულ სამ პიროვნებასთან ერთად, ვიყავით უშუალო მონაწილენი საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბის ესკიზის შერჩევისა.

* * *

უფალმა ნათელში ამყოფოს პროფესორ თედო დუნდუას სული!

ნიკო ჯავახიშვილი

Condolence Letter for Tedo Dundua

Institute of Georgian History at the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, reports with great sorrow that Tedo Dundua, Head of the Educational and Scientific Institute of Georgian History of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, Doctor of Historical Sciences, passed away on October 14, 2025.

Tedo Dundua was engaged in pedagogical and scientific activities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University for nearly four decades. He authored hundreds of publications in Georgian and foreign languages on the history of Georgia, Georgian numismatics, epigraphy, and philosophy of history. His scientific works were distinguished by a new vision, especially, a philosophical understanding of historical processes.

With his works published in foreign languages, Tedo Dundua made a major contribution to the study and popularization of the history of Georgia abroad. Most of his works are published in English and this brought many issues related to Georgian history to the forefront of academic discussion. It is noteworthy that the subject of his research was the creation of Europe and the historical forms of European integration, which he taught to students of the Master's Program in Georgian History for decades. His contribution to the development of the philosophy of history is worthy of special mention. He revived the theory of cyclical dialectics, which existed in early historiography, and further developed it based on relevant evidence. At the same time, he created a theoretical framework within which historians can understand the historical past. It is noteworthy that his theory is an important acquisition not only for the Georgian, but also for world historiography.

His doctoral dissertation **"Georgian Ethnocultural Evolution and the West According to Numismatic Materials"** (Tbilisi, 1994) discusses many issues related to the history of Georgia within this conceptual framework. Moreover, everything is understood on the basis of numismatic materials. It can be even argued that with this work, Tedo Dundua was the last dialectician for Georgian historiography.

Georgian numismatics was a subject of his special interest. He published a two-volume work on Georgian numismatics in co-authorship with Giorgi Dundua. Later, in 2013-2015, under his leadership, on the basis of the Educational and Scientific Institute of History of Georgia, with the involvement of a significant part of the institute's members, the project **"Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics"** was launched. The catalogue received significant recognition and feedback from leading universities. In 2022, at the XVI World International Congress of Numismatics, Tedo Dundua chaired a special session on Georgian numismatics, which was entirely dedicated to the presentation of Georgian numismatics. The reports read at the session were a certain continuation of the catalogue.

In recent years, Tedo Dundua worked on his yet another project, **"Abkhazia is Georgia. Historical-Numismatic Tale** (Tbilisi, 2025)." In his work, he argued that coins that historically circulated on the territory of Abkhazia were also in circulation on the territory of the rest of Georgia, or Western Georgia, which confirms that the Abkhazian coin market was fully consistent with the coin market of the rest of Georgia, and in historical periods when Georgia was not united, it was identical to the coin market of Western Georgia.

Tedo Dundua's lectures were listened to with admiration by generations of historians. In addition, he has raised a generation of researchers - historians who are distinguished by their exceptional professionalism and dedication to their work. He actively collaborated scientifically with the historians he raised and has co-authored a number of articles and books with them.

Not only the Georgian academic circle but the country as a whole have lost a distinguished, exceptionally erudite lecturer, internationally renowned researcher, and the scholar endowed with oratory talent.

Natia Phiphia,
Emil Avdaliani

თედო დუნდუა/Tedo Dundua
პუბლიკაციების სია/Works*

წიგნები და ბროშურები/Books and booklets

1. ქართული ეთნოკულტურა და დასავლეთი. პოლიტიკური მიმართებანი (ინგლ. რეზ). თბ. 1993 (40 გვ. A5)

2. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (რუს. და ინგლ. რეზ). თბ. 1993 (200 გვ. A5)
https://www.academia.edu/40803951/Tedo_Dundua._Colchis_Iberia_and_Kingdom_of_Pontus_According_to_the_Numismatic_Material._Tbilisi._1993_in_Georg._with_Russ._and_Engl._Summaries_

3. საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. (ინგლ. რეზ.). თბ. 1995 (188 გვ. A5)
https://www.academia.edu/41151314/Tedo_Dundua._Georgia_and_the_West_According_to_the_Numismatic_Material._I._Tbilisi._1995_in_Georg._with_Engl._summary_:
https://www.academia.edu/41151160/Tedo_Dundua._Georgia_and_the_West_According_to_the_Numismatic_Material._II._Tbilisi._1995_in_Georg._with_Engl._summary_

4. ლევიათანი, ანუ კაპიტალიზმის პერსპექტივები საქართველოში (ინგლ. რეზ.). თბ. 1996 (10 გვ. A5)

5. ჩრდილოეთი და სამხრეთი, ანუ მართლმადიდებელი სამყაროს სოციალ-დემოკრატიული კონვერსია (ინგლ. რეზ.). თბ. 1996 (8 გვ. A5)

6. Православный Мир. Тб. 1996 (8 გვ. A5)

7. ციკლური დიალექტიკა და ხელოვნების ფილოსოფიის საკითხები.

* ნაშრომებისა და სხვა სამეცნიერო აქტივობის შესახებ მონაცემები შედგენილია პროფ. თედო დუნდუას მიერ. მონაცემების ეს ვერსია რისერჩგეითის პლატფორმაზე (https://www.researchgate.net), ავტორის მიერ 2025 წლის 27 ივლისს არის ატვირთული. https://www.researchgate.net/publication/394040012_Latest_List_of_Works_by_Tedo_Dundua_updated_on_27_July_2025

The Cyclic Dialectics. Tb. 1996 (24 გვ. A5)

ციკლური დიალექტიკა და პორტრეტული ექსპრესიონიზმი (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (64 გვ. A5)

https://www.academia.edu/41055564/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._The_Cyclic_Dialectics_and_the_Portrait_Expressionism._Tbilisi._1996

ციკლური დიალექტიკა, სახვითი ხელოვნება და თემის კატეგორია (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (48 გვ. A5)

ციკლური დიალექტიკა და არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (44 გვ. A5)

https://www.academia.edu/40967565/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._The_Cyclic_Dialectics_and_the_Basic_Stages_of_the_Architectural_Development._Tbilisi._1996

ციკლური დიალექტიკა და ქალაქის დაგეგმარების ძირითადი პრინციპები (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (30 გვ. A5)

https://www.academia.edu/40967849/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._The_Cyclic_Dialectics_and_the_Main_Principles_of_City-Building._Tbilisi._1996

ციკლური დიალექტიკა, სახვითი ხელოვნება და ტიპის კატეგორია (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1997 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (24 გვ. A5)

https://www.academia.edu/40967430/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._The_Cyclic_Dialectics_the_Fine_Arts_and_a_Category_of_the_Type._Tbilisi._1997

ციკლური დიალექტიკა, არქიტექტურა და სტილის კატეგორია (ინგლ. და რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1998 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (40 გვ. A5)

https://www.academia.edu/40967673/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._The_Cyclic_Dialectics_Architecture_and_a_Category_of_the_Style._Tbilisi._1998

ციკლური დიალექტიკა და ხელოვნების ფილოსოფიის საკითხები. პროგრამა სპეცკურსში. თბ. 1998 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (14 გვ. A5)

The Cyclic Dialectics and Philosophy of Art. Syllabus of Special Course. Tb. 1998 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (14 გვ. A5)

https://www.academia.edu/40967226/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._Cyclic_Dialectics_and_Philosophy_of_Art_Syllabus_of_Special_Course_in_Georg._._Tbilisi._1998

8. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.-1453 წ.) (ინგლ. რეზ.). თბ. 1997 (330 გვ. A5)
https://www.academia.edu/40762557/Tedo_Dundua._GEORGIAN_ETHNOCULTURAL_EVOLUTION_AND_THE_WEST_ACCORDING_TO_NUMISMATIC_MATERIAL_the_6th_c._B.C._-_1453_._Tbilisi._1997
9. საქართველო და გარე სამყარო (ინგლ. რეზ.). თბ. 1999 (68 გვ. A5)
10. Georgia within the European Integration. Tb. 1999 (50 გვ. A5)
https://www.academia.edu/40896257/Tedo_Dundua._Georgia_within_the_European_Integration._Tbilisi._1999
11. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999 (24 გვ. A4)
https://www.academia.edu/38031896/Tedo_Dundua._Christianity_and_Mithraism._The_Georgian_Story._Tbilisi._1999
12. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Tb. 1999 (32 გვ. A4)
https://www.academia.edu/36353177/Tedo_Dundua._Georgia_Within_the_European_Integration_as_Seen_in_Coinage._Tbilisi._1999
13. საქართველოს ისტორია: ქრონოლოგიური თუ თემატური პრინციპი? თბ. 2000 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (106 გვ. A4)
14. ატიკური ნახევარი მინა დიოსკურიიდან. ათენის პონტოური თალასოკრატია (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2000 (24 გვ. A5)
https://www.academia.edu/42175446/Tedo_Dundua._Attic_Half_Mina_from_Dioscurias._Athenian_%CE%98%CE%B1%CE%BB%CE%B1%CF%83%CF%83%CE%BF%CE%BA%CF%81%CE%B1%CF%84%CE%AF%CE%B1_Over_the_East_Pontus._Tbilisi._2000
15. შავი ზღვა – კონტაქტების ზონა. პროგრამა ინტერკულტურული სახელმძღვანელოსთვის (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2000 (ავტორთა კოლექტივი, კოორდინატორი თ. დუნდუა) (20 გვ. A5)
16. Making of Europe. Tb. 2000 (12 გვ. A4)
17. ძელი ცხორებისაი და მისი ვარიანტები. თბ. 2000 (10 გვ. A4)
18. ქართლი, ეგრისი და საქართველო. ქართული სახელმწიფო 3000 წლისაა. თბ. 2001 (24 გვ. A5)
19. საქართველო და გარე სამყარო. ინტერკულტურული სახელმძღ. XI კლ. თბ. 2001 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (120 გვ. A4)
20. North and South. Tb. 2001. Meridian Publishers (72 გვ. A4)
21. North and South. ელექტრონული ვერსია დევს ნატოს ვებ-საიტზე

http://www.nato.int/acad/fellow/99-01/dundua.pdf.

22. The Black Sea – Zone of Contacts. Tb. 2001 (ავტორთა კოლექტივი, კოორდინატორი თ. დუნდუა) (28 გვ. A4)
https://www.academia.edu/36276103/Tedo_Dundua._The_Black_Sea_-_Zone_Of_The_Contacts._Tbilisi._2001

23. ბაგადატი, ძე ბივრატისა (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2001 (12 გვ. A4)
https://www.academia.edu/42175519/Tedo_Dundua._BAGRAT_SON_OF_BIVRAT._Tbilisi._2001

24. პუბლიციუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა – არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი? (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2002 (20 გვ. A5)
https://www.academia.edu/41165457/Tedo_Dundua._Publicius_Agrippa_Flavius_Dades_And_A_Dual_Citizenship_-_A_Pattern_For_Europe_In_Future._Tbilisi._2002

25. კოლხური თეთრი და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ. 2002 (14 გვ. A5)

26. Монетное Дело Грузии. Тб. 2002 (16 გვ. A5)

27. The British Kings and Their Money Issues. Tb. 2002 (16 გვ. A5)

28. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი (ინგლ. პარალელური ტესტით). თბ. 2003 (44 გვ. A5)
https://www.academia.edu/42143571/Tedo_Dundua._The_Tale_of_Two_Sebastoses_and_the_Orthodox_Alliance._David_the_King_of_Georgia_and_Theodoros_Gabras._Tbilisi._2003

29. ფული საქართველოში (ინგლ. პარალელური ტექსტი). თბ. 2003 (თანაავტორები: გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ა. ერისთავი) (180 გვ. A4)
https://www.researchgate.net/publication/330753998_Money_in_Georgia_Tbilisi_2003

30. Questions et Reponses. Tb. 2003 (44 გვ. A5)
https://www.academia.edu/40686225/Tedo_Dundua._Questions_et_Reponses._Tbilisi._2003_in_Georg._

31. Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Georgia and the Roman Frontier Policy in the East. Tb. 2003 (20 გვ. A4)
https://www.academia.edu/38146615/Tedo_Dundua._Publicius_Agrippa_Flavius_Dades_and_Dual_Citizenship_a_Pattern_for_Europe_in_Future_Georgians_and_Roman_Frontier_Policy_in_the_East._Tbilisi._2003

32. Об Одном Сведении Мовсеса Хоренаци. Тб. 2004 (28 გვ. A5)

33. სიმონ მეფე და ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარი კონსტანტინოპოლში (ინგლ. პარალელური ტესტით). თბ. 2004 (თანაავტორი ნ. სილაგაძე) (12 გვ. A5)
https://www.academia.edu/37992964/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._Simon_the_King_of_East_Georgia_and_Church_of_the_Virgin_Pammacaristos_in_Constantinople._Tbilisi._2004
34. The Black Sea – A History of Interactions. Teaching Pack on the Black Sea History. Council of Europe. Oslo. 2004 (ავტორთა საერთაშორისო კოლექტივი) (გამოიყენება როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო სამაგისტრო პროგრამისთვის – European Studies) (144 გვ. A4)
https://www.researchgate.net/publication/330845916_The_Black_Sea_A_History_of_Interaction_Teaching_Pack_The_Council_of_Europe_Oslo_2004
35. Ta Eis Heauton. The Black Sea. A History of Interactions. Teaching Pack on the Black Sea History (Council of Europe. Gyldendal Undervisning. Oslo. 2004) – Georgian Point of View. Tb. 2004 (8 გვ. A5)
https://www.academia.edu/31559830/Tedo_Dundua._Ta_Eis_Heauton._The_Black_Sea._A_History_of_Interaction
36. Грузинскому Государству 3000 Лет. Тб. 2004 (6 გვ. A5)
37. Influx of the Roman Coins in Georgia. Tb. 2005 (16 გვ. A5)
https://www.researchgate.net/publication/339947018_INFLUX_OF_THE_ROMAN_COINS_IN_GEORGIA_Tbilisi_2005
38. European Industrial Complexes of I Cycle of Capitalism and the Georgian Western Affiliations. Historical and Numismatic Tale. Tb. 2005 (თანაავტორი ნ. სილაგაძე) (40 გვ. A5)
https://www.academia.edu/38032683/Tedo_Dundua_Nino_Silagadze._European_Industrial_Complexes_of_I_Cycle_of_Capitalism_and_the_Georgian_Western_Affiliations._Historical_and_Numismatic_Tale._Tbilisi._2005
39. რომაული ფული საქართველოში. თბ. 2006 (20 გვ. A5)
40. პონტოს და ლაზიკის მეფე ფლავიუს ჰანიბალიანე. აღმოსავლეთ რომი – დასაბამი და ადრეული ისტორია. თბ. 2006 (10 გვ. A4)
https://www.academia.edu/42326249/Tedo_Dundua._Flavius_Hanniballianus_-_King_of_Pontus_and_Lazica._Eastern_Roman_Empire_-_Early_History._Tb._2006_in_Georg._
41. Flavius Hanniballianus – King of Pontus and Lazica. Eastern Roman Empire – Early History. Tb. 2007 (8 გვ. A4)
https://www.academia.edu/42326272/Tedo_Dundua._Flavius_Hanniballianus_-_King_of_Pontus_and_Lazica._Eastern_Roman_Empire_-

_Early_History._Tb._2007

42. Feudal Georgia Revisited. Selected Epitomae by Tedo Dundua and Natia Phiphia. Tb. 2007 (გამოიყენება როგორც დამხმარე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო სამაგისტრო პროგრამისთვის – European Studies) (52 გვ. A4)
https://www.academia.edu/36197214/Feudal_Georgia_Revisited._Selected_Epitomae_by_Tedo_Dundua_and_Natia_Phiphia._Tbilisi._2007

43. ფრანკი ლიმიტანები ლაზიკაში. თბ. 2007 (თანაავტორი ლ. თავაძე) (8 გვ. A5)

44. ოქროს საწმისის დაბრუნება – რუსული „მოთხრობა". თბ. 2007 (8 გვ. A5)

45. გაიოს იბერი – დოკუმენტურად დადასტურებული პირველი ქართველი ქრისტიანი. თბ. 2007 (8 გვ. A5)
https://www.academia.edu/42191340/Tedo_Dundua._Gaius_the_Iberian_first_ever_recorded_Georgian_to_be_baptized._Tbilisi_2007

46. The Making of Europe. Tb. 2007 (18 გვ. A5)
https://www.researchgate.net/publication/339946894_The_Making_of_Europe_Tbilisi_2007

47. "Iberka" – Where Did It Come from? Tb. 2007 (12 გვ. A5)
https://www.academia.edu/37992914/Tedo_Dundua._IBERKA_-_WHERE_DID_IT_COME_FROM_Tbilisi._2007

48. ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკა. დევიდ ლანგის წიგნის Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New York, 1955 – ეპიტომა. თბ. 2007 (თანაავტორი თ. ქამუშაძე) (44 გვ. A4)
https://www.academia.edu/41231142/Georgian_Numismatics._Epitoma_of_David_M._Langs_Studies_in_the_Numismatic_History_of_Georgia_in_Transcaucasia_New_York_1955._Tbilisi_2007_in_Georg._

49. მითრიდატე უმცროსი – იყო თუ არა ის რომის მოკავშირე? თბ. 2008 (12 გვ. A5)

50. გნეუს პომპეუსის პორტრეტი და ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2008 (8 გვ. A5)

51. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. (260 გვ. A5)

დასავლეთი და აღმოსავლეთი. მასალები სალექციო კურსისთვის. I. თბ. 2007 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376186_The_West_and_the_East_material_for_the_lectures_I
ისტორიოსოფიური შტუდიები. მასალები სალექციო კურსისთვის. II. თბ. 2007 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376091_Historiosophical_Studies_material_for_the_lectures_II
ციკლური დიალექტიკა. მასალები სალექციო კურსისთვის. III. თბ. 2008 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376345_Cyclic_Dialectics_material_for_the_lectures_III
I ციკლის კაპიტალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. IV. თბ. 2008 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376260_I_Cycle_of_Capitalism_material_for_the_lectures_IV
I ციკლის კაპიტალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. V. თბ. 2008 (თანაავტორი ნ. ფიფია)
file:///C:/Users/user/Downloads/I_Cycle_of_Capitalism_material_for_the_l1.pdf2.pdf
ანტიკური საზოგადოების დაჩიხვა. მასალები სალექციო კურსისთვის. VI. თბ. 2009 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376206_Stagnation_of_Ancient_Society_material_for_the_lectures_VI
პრიმიტიული კომუნიზმი, პროტოფეოდალიზმი და ფეოდალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. VII. თბ. 2009 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376270_Primitive_Communism_Protofeudalism_and_Feudalism_material_for_the_lectures_VII
ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისთვის. მასალები სალექციო კურსისთვის. VIII. თბ. 2009 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376517_Periodization_of_History_material_for_the_lectures_VIII
ციკლური დიალექტიკა. არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები და ქალაქის დაგეგმარების პრინციპები. მასალები სალექციო კურსისთვის. IX. თბ. 2009 (თანაავტორი ნ. ფიფია)
https://www.researchgate.net/publication/339376379_Cyclic_Dialectics_Main_Stages_of_Architectural_Development_and_Principles_of_Urban_Planning_material_f

or_the_lectures_IX
საქართველო და გარე სამყარო. სილაბუსი სალექციო კურსისთვის. თბ. 2005
52. ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები. თბ. 2009 (თანაავტორი გ. დუნდუა) (40 გვ. A5)
60. გადაცემა – „თავისუფალი სივრცე". 20. 04. 22. ტელეკომპანია „აჭარის ტელევიზია" https://ne-np.facebook.com/vakhokhuzmiashvilistavisufalisivrce/videos/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94-/555227142594482

61. გადაცემა – „დილის პალიტრა". 09. 05. 22. TV პალიტრანიუსი https://www.facebook.com/tvpalitranews/videos/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/330887042481551

62. „30 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში". საერთაშორისო კონფერენცია (21. 05. 22). კლიპი: ნ. ფიფია, თ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი https://www.researchgate.net/publication/360785117_Thirty_Years_in_the_United_Nations_International_Scientific_Conference_May_21_2022

63. თ. დუნდუას და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შესახებ იხ. თსუ-ის გაზეთი https://www.tsu.ge/ka/university-newspaper/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90---,,30-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E2%80%9C

64. მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების რედაქტორობა

65. ინტერვიუ დოკუმენტური ფილმებისთვის („ყურანის მარშრუტით“ (ინდოეთი), „ოქროს საწმისის ქვეყანა“ (აშშ.))

66. თ. დუნდუას ნაშრომები www.tsu.edu.ge/personalpages/dundua (2000-2006 წწ.)

67. X საუკუნის- XII საუკუნის I მეოთხედის ქართული მონეტები, როგორც საისტორიო წყარო. სტუდენტური ნაშრომი, I ადგილი რესპუბლიკურ კონფერენციაზე. 1979/1980 წწ.

68. თ. დუნდუა. განცხადება. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. Facebook. 05. 07. 22

69. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი ვიკიპედიაში

70. თ. დუნდუა იმედი Live-ში https://www.youtube.com/watch?v=bcy-gJkb_Qw&ab_channel=TVIMEDI

71. თ. დუნდუას და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შესახებ იხ. თსუ-ის გაზეთი https://tsu.media/numizmatikaze-konferencia/?fbclid=IwAR25XsyMGafWLHWKPTkGAPY3tt4bCft7p-i1h6vqjT3Ao-kL9U0JW60_H90

72. გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009. რედაქტორი

73. თ. დუნდუას და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შესახებ იხ. თსუ-ის გაზეთი https://tsu.media/berznuli-koloniebi-kolxetshi/

74. მონოგრაფიების ხელმძღვანელობა და რედაქტორობა: ა. თაბუაშვილი. ერეკლე II ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები

ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისთვის. თბ. 2010; ნ. ფიფია. ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში. თბ. 2013; ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ. 2016; ე. ავდალიანი. რომი, ბიზანტია და საიმპერიო თავდაცვითი სისტემა IV-VII საუკუნეებში. თბ. 2017; ე. ავდალიანი. საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII საუკუნეები). თბ. 2019

75. იხ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები https://openjournals.ge/index.php/ghp/issue/view/680
76. თ. დუნდუას ნაშრომების საფუძველზე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი, ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის (2022 წ.)
77. სამეცნიერო მიღწევების საფუძველზე – პრეზიდენტის I ხარისხის სტიპენდია (1997-2001 წწ.)
78. თ. დუნდუას შესახებ. იხ. http://science.org.ge/?p=12050
79. საქართველოს ინსტიტუტის შესახებ იხ. https://www.tsu.ge/ka/news/%E2%80%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90---%E2%80%9E%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94---100%E2%80%9C
80. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შესახებ იხ. თსუ-ის გაზეთი https://tsu.media/istoriis-institutis-konferencia/
81. თ. დუნდუას ნაშრომების საფუძველზე – ისტორიის ბალეარების ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტობა, 2016 წლიდან
82. ექსპერტი საქართველოს ისტორიის და ქართული ნუმიზმატიკის საკითხებში, უცხოელი მკვლევარებისთვის
83. სამეცნიერო მიღწევების საფუძველზე – DAAD-ის სტიპენდია (2005 წ.)

84. სამეცნიერო მიღწევების საფუძველზე – შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია (2009 წ.)
85. Institute of Georgian History at https://www.youtube.com/@instituteofgeorgianhistory7271
86. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შესახებ იხ. https://tsu.media/berznul-latinuri-carcerebi/
87. სახელმწიფო გერბის ჟიურის წევრი, 2004 წ.
88. „ქართული სახელმწიფო 3000 წლისაა“ – ექსპერტი
89. „საქართველოს სახელმწიფო დროშა“ – ექსპერტი
90. „საქართველოს ეროვნული ვალუტა“ – ექსპერტი
91. "European Studies" – ექსპერტი 2007 წლიდან
92. საქართველოს ეროვნული ბანკი – ექსპერტი 2001-2003 წწ.
93. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tb. 2023, the most read preprint from Federalism and Intergovernmental Relations at ResearchGate (07. 11.-13. 11. 2023)
94. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tb. 2023, the most read preprint from Georgia at Research Gate (01. 11.-07. 11. 2023)
95. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tb. 2023, the most read preprint from Georgia at ResearchGate (14. 11.-27. 11. 2023)
96. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tb. 2023 https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/2f26aaac-e667-4ff8-901d-d8f9d3ceb4ef/content
97. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tb. 2023, the most read preprint from TSU at ResearchGate (28. 11.-04. 12. 2023)
98. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tb. 2023, the most read preprint from TSU at ResearchGate (12. 12.-18. 12. 2023)
99. History Philosophy, Theology #3 (14); History Ancient History/History of Georgia/Numismatics #3 (12) https://www.adscientificindex.com/scientist/tedo-dundua/5023619
100. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ. 2011. რედაქტორი
101. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II. თბ. 2011. რედაქტორი
102. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის

ინსტიტუტის შრომები. III. თბ. 2011. რედაქტორი
103. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV. თბ. 2011. რედაქტორი
104. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V. თბ. 2012. რედაქტორი
105. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI. თბ. 2012. რედაქტორი
106. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII. თბ. 2013. რედაქტორი
107. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII. თბ. 2013-2014. რედაქტორი
108. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX. თბ. 2015. რედაქტორი
109. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X. თბ. 2016. რედაქტორი
110. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI. თბ. 2016. რედაქტორი
111. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. თბ. 2017. რედაქტორი
112. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIII. თბ. 2018. რედაქტორი
113. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV. თბ. 2018. რედაქტორი
114. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XV. თბ. 2019. რედაქტორი

115. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI. თბ. 2020. რედაქტორი

116. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII. თბ. 2021. რედაქტორი

117. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVIII. თბ. 2022. რედაქტორი

118. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX. თბ. 2023. რედაქტორი

119. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX. თბ. 2024. რედაქტორი

120. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. თბ. 2012. რედაქტორი

121. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა. თბ. 2012. რედაქტორი

122. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია – 100. თბ. 2016. რედაქტორი

123. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. I. თბ. 2012. რედაქტორი

124. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის

ინსტიტუტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. II. თბ. 2013. რედაქტორი
125. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. III. თბ. 2016. რედაქტორი
126. კონსულტაციები სკოლის მასწავლებლებისთვის
127. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შესახებ იხ. თსუ-ის გაზეთი https://gazeti.tsu.ge/tsu-limesis-kongresze/
128. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები OJS- ზე
https://historyproceedings.tsu.ge/index.php/History
129. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები იხ. https://cbooks.tsu.ge/free/periodicals-ge#s
130. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები იხ. Google Scholar-ზე

რეცენზიები, დისერტაცია და ავტორეფერატი (ხელნაწერის უფლებით)/Reviews, theses, synopses

1. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1992
2. Колхида, Иберия и Понтийское Царство по Нумизматическим Материалам. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1992
3. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.-1453 წ.). სადოქტორო დისერტაცია. თბ. 1995
4. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.-1453 წ.). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1995
5. Georgian Ethnocultural Evolution and the West According to the Numismatic Material (the 6th c. B.C.- 1453). Synopsis of Thesis (Doctoral). Tb. 1995

6. Mike Edwards. The Fractured Caucasus. National Geographic (February 1996, vol. 189, no. 2). ამაზე რეცენზია ორი რუკით საელჩოს ხელით გადაეცა ჟურნალის რედაქციას
7. Сурен Аивазян. Исторические Карты Армении. რეცენზია ამაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. 2004 წ.
8. Отечество. V კლ. აზერბ. სახელმძღვანელო (რუს. ენაზე). რეცენზია ამაზე – საქართველოს განათლების სამინისტროსთვის. 2004 წ.
9. История Азербайджана. VI კლ. აზერბ. სახელმძღვანელო (რუს. ენაზე). რეცენზია ამაზე – საქართველოს განათლების სამინისტროსთვის. 2004 წ.
10. История Азербайджана. VII კლ. აზერბ. სახელმძღვანელო (რუს. ენაზე). რეცენზია ამაზე – საქართველოს განათლების სამინისტროსთვის. 2004 წ.
11. Колхида, Иберия и Понтийское Царство по Нумизматическим Материалам. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1992. Российская государственная библиотека. Электронная библиотека. ატვირთვა 2008 წ. search.rsl.ru
12. რეცენზია ნაშრომზე – ბიზანტია ქართულ წყაროებში. რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. ლომოური. თბ. 2010. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. I. თბ. 2011, გვ. 358-363
13. რეცენზია სურენ აივაზიანის ნაშრომზე – „სომხეთის ისტორიული რუკების ატლასი“ (С. Айвазян. Исторические карты Армении. Атлас. Ред. С. Еремян. Ереван. 2003). დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. II. თბ. 2011, გვ. 465-469
14. რეცენზია აზერბაიჯანულ სკოლის სახელმძღვანელოებზე. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. III. თბ. 2011, გვ. 430-433
15. რეცენზია ნინო ჩიქოვანის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ საკვალიფიკაციო ნაშრომზე – „საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები)“. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. IV. თბ. 2011, გვ. 447-455
16. Catalogue de l'exposition. Armenia sacra. Mémoire Chrétienne des Arméniens

(IVe - XVIIIe siècle). Paris, musée du Louvre, 2007. რეცენზია აქ წარმოდგენილ რუკებზე. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. V. თბ. 2012, გვ. 391-393

17. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი http://cheloveknauka.com/v/530124/a?#?page=1

18. International Scientific Conference "The Battle of Didgori – 900". Report by Tedo Dundua, Natia Phiphia and Leri Tavadze. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVII. Tbilisi. 2021, გვ. 341-343 http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XVII/ENG_XVII/017_Tedo_Dundua_Natia_Phiphia_Leri_Tavadze_Conferences.pdf

19. Review of Future Standards for Teaching History at Secondary Level (in Georg.) https://www.academia.edu/65053277/Review_of_Future_Standards_for_Teaching_History_at_Secondary_Level_in_Georg_

20. ხსოვნა. გამოსათხოვარი გიორგი ჟუჟუნაშვილს /საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი/. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX. თბ. 2015, გვ. 385-394 21.

21. ხსოვნა. გიორგი ოთხმეზური (1954-2021) /ა. ბოშიშვილი და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი/. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII. თბ. 2021, გვ. 476-479 22.

22. იუბილე. დიმიტრი შველიძე – 70 /საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი/. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV. თბ. 2018, გვ. 493-512 174

23. Academia.edu-ს რეცენზენტი

24. საკვალიფიკაციო ნაშრომების ოპონირება (6+3)

25. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატის ქართული ვერსია. თბ. 1992

26. სადიპლომო შრომა. 1983 წ.

27. საკანდიდატო მინიმუმის გამოცდით გათვალისწინებული ესსე – ნ. ჭავჭავაძე და კულტურის ფილოსოფია

28. საკანდიდატო მინიმუმის გამოცდით გათვალისწინებული თარგმანი –

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York. 1955

29. საკვალიფიკაციო ნაშრომების რეცენზირება თსუ- ის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე წარსადგენად

30. International Scientific Conference "The Past Has a Future", March 23-24, 2021, Warsaw, Poland. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 483

31. International Scientific Conference "Thirty Years After Restoration of Independence", November 23, 2021. Report by Natia Phiphia and Tedo Dundua. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 484-486

32. International Scientific Conference "Ivane Javakhishvili – 145", December 28, 2021. Report by Natia Phiphia, Tedo Dundua and Leri Tavadze. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute 175 of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 487-489

33. International Scientific Conference "Thirty Years in the United Nations". May 21, 2022. Report by Natia Phiphia and Tedo Dundua. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 490-491

34. XVI International Numismatic Congress (Warsaw). September 11-16, 2022. Session – Georgian Numismatics. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 492-493

35. 7th International Congress on Black Sea Antiquities. September26-October 2, 2022. Thessaloniki, Greece. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 494-495

36. Condolence Letter. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XVIII. Tbilisi. 2022, გვ. 560

37. QS Global Academic Survey – ექსპერტი (ვარშავის უნივერსიტეტის რეკომენდაციით). 2022-2023 წწ.

38. იუბილე. ნიკოლოზ ჯავახიშვილი – 50 /საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი/. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 176 საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVIII. თბ. 2022, გვ. 508-554

39. რეცენზიები ისტორიის სწავლების სტანდარტებზე (ბოლო რეცენზია – 10. 10. 21.)
40. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი
https://rusneb.ru/catalog/000199_000009_000271242/?ysclid=lgsa0e3kro701450473
41. Researchgate – ექსპერტი
42. თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტის მეთოდსაბჭოს თავმჯომარე – სადისერტაციო ნაშრომების და თსუ-ის გამომცემლობისთვის გადასაცემი წიგნების წინასწარი რეცენზირება (1997-1999 წწ.)
43. International Scientific Conference "Mariam Lordkipanidze – 100". December 23, 2022. Report by Leri Tavadze and Tedo Dundua. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XIX. Tbilisi. 2023, გვ. 462-465
https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XIX/Eng/021_Tedo_Dundua_Leri_Tavadze_Internatio nal_Conference.pdf
44. International Scientific Conference "Georgia and European Integration: Past, Present, Future". December 22, 2023. Report by Leri Tavadze and Tedo Dundua. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XX. Tbilisi. 2024, გვ. 459-460
https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XX/Eng/027_Leri_Tavadze_Tedo_Dundua.pdf
45. Congress of the Roman Frontier Studies/Limes Congress XXVI. September 8-14, 2024, Batumi, Georgia. Report 177 by Natia Phiphia and Tedo Dundua. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings. XX. Tbilisi. 2024, გვ. 461-462
https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XX/Eng/028_Natia_Phiphia_Tedo_Dundua.pdf

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ომარ ძაძამია
თსუ

ანტიკური ხანის კოლხეთის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება და მისი გავლენა ძველი კოლხების კვებაზე*

გეოგრაფიული გარემო ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ადამიანთა მოდგმის განვითარებაზე, ყოველთვის ჰქონდა გავლენა კლიმატურ და გეოგრაფიულ ასპექტებს, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებას თუ ერთგვაროვნებას. გ. გამყრელიძის აზრით, სწორედ მსგავსი ფაქტორები მოქმედებენ „ადამიანის, საზოგადოების ზნე-ხასიათზე...“[1]. ამავე აზრზე არიან უცხოელი მეცნიერებიც, რომლებიც გარემოს ადამიანზე ზემოქმედების ფაქტორს აღიარებენ, შემგროვებელ-მომთაბარე იქნება ის თუ მწარმოებელ-ფერმერი[2]. იგივე აზრზე არიან თ. დუნდუა და ნ. ფიფიაც[3], რომლებიც თავიანთ ნაშრომში უფრო ფართოდ განიხილავენ და ფილოსოფიურ შტრიხებსაც სძენენ გეოგრაფიული გარემოს გავლენას ადამიანისა და ცივილიზაციების განვითარებაზე. ავტორები მართებულად აღნიშნავენ, რომ განედური განფენილობის, წყლის, და მსგავსი ობიექტური გარემოებების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს ცივილიზაციები, რომლებიც კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში ვითარდებიან. მაგალითისთვის, ეგვიპტე „ნილოსის ნობათია“, ჩრდილო მე-

* წინამდებარე სტატია ნაწილობრივ შთაგონებულია პროფესორ თედო დუნდუას სამაგისტრო კურსით „საქართველო და გარესამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები“, რომელსაც 2020-2021 სასწავლო წელს გავდიოდი მასთან. 2022 წელს მისი რეცენზია ჩემს სამაგისტრო ნაშრომზე მნიშვნელოვნად დამეხმარა ნაშრომის სრულყოფაში. სტატია ეძღვნება მის ხსოვნას.

[1] გ. გამყრელიძე. კოლხოლოგიური ნარკვევები. თბ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (სმას). 2010, გვ. 3.

[2] John Edward Terrell; John P. Hart and others; Domesticated Landscapes: The Subsistence Ecology of Plant and Animal Domestication. Journal of Archaeological Method and Theory, 2003. Vol. 10, No. 4, December, გვ. 359

[3] იხ. თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 39-50.

დიტერანეა ზომიერი კლიმატით ხასიათდება და, შესაბამისად, აქ მიწათმოქმედებაც სწრაფად ვითარდება და ცხოვრების დონეც, რისი თქმაც არ შეგვიძლია აზიის სტეპების და ტუნდრა-ტაიგის ზონაზე, სადაც სოფლის მეურნეობის მხოლოდ სპეციფიური დარგების განვითარებაა შესაძლებელი (მომთაბარე მეცხოველეობა). აზიის კონტინენტის დიდი ნაწილი კლიმატური უკიდურესობებით გამოირჩევა — უდაბნოები, ტროპიკები, აღმოსავლეთით სეისმურად აქტიური ზონები, ცუნამები, ცენტრშია გობის უდაბნო, რომელიც ყოველდღიურად იზრდება და ნახევარუდაბნო, ყომრალი თუ ეწერი მიწების დიდ ნაწილს ნამდვილ უდაბნოდ აქცევს, ჩრდილოეთით მიიწევს და „ითვისებს“ სტეპის ზონას.

ორივე ამერიკის კონტინენტი, აზიის მსგავსად, გეოგრაფიული მრავალფეროვნებითაა ცნობილი. ამან გამოიწვია ერთი მხრივ — აცტეკებისა და ინკების საოცარი კულტურების წარმოქმნა, მეორე მხრივ კი — სულ რამდენიმე ასეულ კილომეტრში, წვიმიანი ტყეების ზონაში, დაბალგანვითარებული, ველური აბორიგენების ძალიან ნელი განვითარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად და ნათლად ჩანს, რომ გეოგრაფიული დეტერმინიზმის პრინციპები, მიუხედავად ჩვენ დროში ამ, და ბევრი მსგავსი თეორიის მიზანმიმართული და სრულიად უსამართლო კრიტიკისა, რეალისტური და ფაქტებით გამყარებულია.

ჩვენი კვლევის ობიექტი, ანტიკური კოლხეთი, თანამედროვე დასავლეთ საქართველოსა და თურქეთის უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთის ზღვისპირეთს მოიცავს. კოლხეთი მოქცეულია მეორმოცე (40°) და ორმოცდამეოთხე (44°) განედებს შორის. ჩრდილოეთიდან მოსაზღვრულია კავკასიონის მთავარი ქედით, აღმოსავლეთიდან ლიხის და მცირე კავკასიონის ზეგანებით, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაწილობრივ ანატოლიის ზეგანით, ნაწილი კი სამხრეთ-დასავლეთით, მცირე აზიის გავაკებულ ადგილებთან სრულდება. ასეთი ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვრები გარკვეულწილად კოლხეთს აქცევს უნიკალურ, ავთენტურ ბუნებრივ ზონად, რომელიც კლიმატური თავისებურებებით ხასიათდება.

ცენტრალური კოლხეთის ვაკე ჭარბტენიანია, განფენილია ზღვის დონიდან 200 მეტრამდე სიმაღლეზე და გამოირჩევა რბილი კლიმატით, ცხელი ზაფხულითა და თბილი ზამთრით. მთისწინეთი, სადაც ზღვის ტენიანი ჰავის კონდენსაცია ხდება კიდევ უფრო ჭარბტენიანია (ჩაქვი, წალენჯიხა, მტირალას მთა)[4]. საშუალო სიმაღლის მთის ტყის ზონიდან ალ-

[4] ე. ელიზბარაშვილი. საქართველოს ჰავა. თბ. 2017, გვ. 11.

პურ ზონამდე ტენიანობა ნელნელა იკლებს, ხოლო მაღალმთაში საერთოდაც დიდად არ განსხვავდება ხმელთაშუაზღვისპირეთის ზომიერი ტენისგან, თუმცა, აქ უკვე დაბალი ატმოსფერული წნევის პირობებში ზამთარი ხანგრძლივი და მკაცრია. ასეთი მთებით შემოსაზღვრული კოლხეთის დაბლობი, როგორც ჩანს, დიდი გამყინვარების ეპოქაშიც კი ინარჩუნებდა შედარებით თბილ კლიმატს, რაზეც მეტყველებს აქ შემორჩენილი რელიქტური მცენარეები.[5] ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ ამ რეგიონში დიდი გამყინვარების ეპოქაშიც არ უნდა შეწყვეტილიყო აქტიური ცხოვრების რიტმი. სწორედ ეს აქცევს კოლხეთის დაბლობს, ადგილობრივ მოსახლეობას, ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს უნიკალურ, საინტერესო და ძალიან დიდი სიფრთხილით საკვლევ ობიექტებად.

ასეთი ბუნებრივ-კლიმატური გარემო კოლხეთში ქმნიდა და ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარების უნიკალურ ზონას, რომელიც თავისებურებებით ხასიათდება: ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი, რომელიც ზღვისპირზე 180 – 200 დღის მანძილზე გრძელდება (მთისწინეთში შედარებით ნაკლებია 140 – 160), დიდი მცენარეული მასის განვითარების, შესაბამისად, მეცხოველეობის განვითარებას უწყობს ხელს. მარცვლოვანი კულტურებიდან ტენის მოყვარულ მცენარეებს, რომლებსაც უნარი აქვთ, როგორც ზაფხულის სიცხეები, ასევე მაღალი ტენი აიტანონ, კოლხეთის ჰავა გამრავლების შესანიშნავ საშუალებას აძლევს. მაგალითისთვის ფეტვი, ღომი, მცენარეული ზეთისა და ბოჭკოს წარმოებისთვის განკუთვნილი სელი და სხვა მნიშვნელოვანი კულტურები, კოლხეთისთვის სავიზიტო ბარათად ქცეული მარცვლოვნებია, რომლებიც დომინირებენ ადგილობრივ საკვებში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დამდეგამდე, თუმცა, ასეთი გარემო, ასევე ზღუდავს ისეთი ძირითადი ცენტრალური მარცვლეული კულტურების განვითარებას, როგორიცაა ხორბლის და ქერის კულტურული ფორმების გავრცელება, რომლებიც ჭარბტენიანობის პირობებში მარტივად ავადდებიან ფესვის სიდამპლით.

ეს თბილი და რბილი კლიმატი აყალიბებდა ღვინის უნიკალურ სახეობებს, ოჯალეშისა და მსგავს საგვიანო საკრეფი ყურძნის ჯიშებს, რომლებიც გაცილებით გვიან იკრიფება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის კულტურული ჯიშები, ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდის

[5] G. Arabuli, S. Connor, E. Kvavadze, Calluna vulgaris and Spiranthes amoena in the Colchis mire flora: Weeds or relicts? 2007. Acta Paleobotanica, გვ. 4-5.

მეშვეობით აგროვებს დიდი რაოდენობით შაქრებს და დადუღებისას იძენს უნიკალურ გემოს და ალკოჰოლის მაღალ შემცველობას[6].

სწორედ ეს ნოტიო ჰავა და თბილი კლიმატი ქმნიდა ხე-ტყის სწრაფად და კარგი ხარისხით ზრდის საშუალებას, რომელიც შემდგომში გემთმშენებლობით დაინტერესებულთათვის კოლხეთისთვის ყურადღების მიპყრობის მიზეზი გახდა[7].

ამრიგად, გეოგრაფიულ მდებარეობას, ჰორიზონტალურ განფენილობას, ნოტიო ჰავას და თბილ კლიმატს, რომელიც კოლხეთის დაბლობსა და მის მიმდებარე გარემოს ქმნიდა, დიდი გავლენა ჰქონდა კოლხეთის ავთენტური სახეობებისა და კულტურისთვის დამახასიათებელი შტრიხების შექმნაში.

კვების საკითხი ანტიკური ხანის კოლხეთში საკმაოდ სუსტადაა შესწავლილი, არც რაიმე სახის სისტემური ხასიათი ჰქონია. თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში კვების საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა, ვინაიდან ეს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ამა-თუ იმ ცივილიზაციისა, საკვები ქმნის ადამიანს, ფიზიკურად ზრდის, აძლიერებს მას და დიდწილად სწორედ საკვების ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული ამა-თუ იმ ცივილიზაციის არსებობის თუ არარსებობის საკითხი.

ბერძნულ და რომაულ საზოგადოებებში კვების შესწავლისთვის ადგილობრივი ნარატიული წყაროები მოგვეპოვება, საქართველოში ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა. თუ ანტიკური საბერძნეთის ან/და რომის მკვლევარს აქვს ფუფუნება იმისა, რომ პირდაპირ ნარატიული წყაროებიდან მიიღოს ინფორმაცია საკვები მარცვლეულის არათუ სახელების, არამედ რეცეპტების შესახებაც კი, ჩვენ კვლევას ძირითადად ვანარმოებთ აღმოჩენილი კარბონიზებული მარცვლების და მცირედი ნარატიული წყაროების ხარჯზე. ასე მაგალითად, ჯონ ვილკინსი და შონ ჰილი განიხილავენ საკვების სოციალურ კონტექსტს ანტიკურობაში, ქორწინების სუფრის შესახებ გაცემული ჰიპოლოქე მაკედონელის ზუსტი მითითებებით[8], მსგავსი ვითარებაა მარსელ დეტიენის და ჟან-პიერ ვერნანის, პი-

[6] ოჯალეში — ქართული ვაზის ჯიში — სამეგრელო. აგროკავკასია, ქართული აგრარული ინტერნეტ გაზეთი.
https://agrokavkaz.ge/dargebi/mevenakheoba/qarthuli-vazis-jishebis-mimokhilva-ojaleshi.html ბოლო ნახვა: 17.06.2022.

[7] დაწვრილებით მილეტის კოლხეთის რეგიონში კოლონიების დაარსების მიზეზებისთვის იხ. ნ. ფიფია. ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში. თბ. 2014, გვ. 48-50.

[8] John M. Wilkins, Shaun Hill. Food in the Ancient World. Malden. Blackwell Publishing. 2006, გვ. 43.

ტერ გარნსისა და სხვათა ნაშრომებშიც. ანტიკური ხანის კოლხეთის კვების კვლევის პროცესში განსხვავებული ვითარებაა.

საკვების კლასიფიკაცია უპრიანია მოხდეს საკმაოდ პრიმიტიული, თუმცა, უტყუარი და ნაცადი მეთოდით — ადამიანისთვის საჭირო ძირითადი და უმნიშვნელოვანესი საკვები ნივთიერებების შემცველობით იმ კულტურებში, რომელიც კოლხეთში მოჰყავდათ, აწარმოებდნენ თუ შემოჰქონდათ. ასეთი კლასიფიკაცია, შემდგომ ნარატიული და არქეოლოგიური წყაროების მოშველიებით, საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად აღვადგინოთ და გასაგები გავხადოთ ანტიკურ ხანაში კოლხების, ძირითადი და კარგად ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი, ყოველდღიური საკვების შესახებ, ხოლო კლასიფიკაცია შემდეგნაირია — ადამიანის ორგანიზმი ჯანსაღი ზრდა-განვითარების, ფუნქციონირებისა და აღდგენითი პროცესების წარმოებისთვის საჭიროებს სამ ძირითად მაკრონუტრიენტს: **ნახშირწყლებს, ცილებსა** და **ცხიმებს**[9].

ნახშირწყლები[10] — ორგანიზმში გარდაიქმნებიან გლუკოზად, აუცილებელ ენერგიის წყაროდ, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზმის ენერგიით მომარაგების, ზრდის, აღდგენითი პროცესების საწარმოებლად, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი — გლუკოზა წარმოადგენს ტვინის მკვებავ უნიკალურ საშუალებას, რომლის გარეშეც ტვინში ელექტროლიტების გადაცემის პროცესი ნელდება, რაც ნებისმიერი სახის განვითარებას აფერხებს.

ცილები მეორე ძირითადი მაკრონუტრიენტია. მათ ადამიანის ორგანიზმი ამინომჟავებად შლის და აუცილებელია ბავშვის, მოზარდის განვითარების, ასევე ზრდასრულებში აღდგენით პროცესებში "სამშენებლო მასალად" გამოყენებისა და ჭრილობების შეხორცებისთვის[11], რომლებიც

[9] Alexander Heather, What Are Macronutrients? Focused on Health. Anderson Cancer Center. The University of Texas. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.mdanderson.org/publications/focused-on-health/what-are-macronutrients-.h15-1593780.html ბოლო ნახვა: 06.13.2022 იხ. ასევე: Ian Roth. Mayo Clinic Minute: The difference between micronutrients and macronutrients. April 19, 2018. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://newsnetwork.mayoclinic.org/discussion/mayo-clinic-minute-the-difference-between-micronutrients-and-macronutrients/ ბოლო ნახვა: 24.06.2022

[10] არსებობს ორი სახის, კომპლექსური და არაკომპლექსური, ე.ი. მარტივი ნახშირწყლები, ერთი წარმოადგენს ენერგიის ხანგრძლივ წყაროს, რომელიც ნელნელა იშლება და დიდი ხნის მანძილზე ამარაგებს ორგანიზმს ენერგიით, ხოლო მარტივი ნახშირწყალი შაქრის მხოლოდ ორი მოლეკულის ბმას წარმოადგენს, ამიტომ მარტივად ათვისებადია, თუმცა ხანგრძლივი მარაგის, ასევე ნაყროვანებისთვის, გამოუსადეგარია.

[11] Alexander Heather, What Are Macronutrients? Focused on Health. AnderSon Camcer Center. The University of Texas. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.mdanderson.org/publications/focused-on-health/what-are-macronutrients-.h15-1593780.html ბოლო ნახვა: 06.13.2022

ასე მრავლად უნდა ჰქონოდათ ანტიკური ხანის ტომობრივ ომებსა თუ ცივილიზაციათა შეჯახებებში მონაწილე კოლხებს.

ცხიმები — ლიპიდური მჟავებია, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისთვის საჭიროა ძირითადი ჰორმონალური ბალანსის შენარჩუნების, ასევე ცხიმში ხსნადი ვიტამინების შენახვისთვის და რაც მთავარია, წარმოადგენს ენერგიის გადანახულ მარაგს,[12] რომელიც ნებისმიერ ექსტრემალურ პირობებში, იქნება ეს შიმშილი, ომიანობა, ხიზნობა, მოუსავლიანობა თუ სხვა, ორგანიზმს ესაჭიროება ყოველდღიურად მისაღები ენერგიის ნაცვლად.

ანტიკური ხანის კოლხეთის კვების ისტორიის კვლევისთვის საჭიროდ მივიჩნეთ კვების ისტორიასთან დაკავშირებულ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში აპრობირებული მეთოდები კვების ნუტრიენტების კლასიფიკაციის მიხედვით შესწავლისა და შესაბამისად, ჩვენს უკვე გამოქვეყნებულ სტატიაში, პირველ რიგში, განვიხილეთ ენერგიის წყაროები ერთიანად — ნახშირწყლები და ნაწილობრივ ცხიმები, ხოლო შემდეგ — ცილები.[13] გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევა ისტორიული იყო და არა სამედიცინო-ნუტრიციოლოგიური, ცხიმები განვიხილეთ მხოლოდ ენერგიის წყაროდ და არ შევეხეთ მათ სხვა ფუნქციებს მაგ. ნერვულ სისტემასთან კავშირი, ჰორმონალური ბალანსის დაცვა და ა.შ., შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ ცხიმების და ნახშირწყლების ერთიანად განხილვა, ხოლო ცილები ცალკე გამოვყავით.

იმისთვის, რომ კვების კულტურის თავისებურებები, ცვლილებები და შემცველობა კარგად გავიაზროთ, ჩვენ უნდა გავარკვიოთ წარმოების, მიღებისა და მომხმარებლური დამოკიდებულებების წყება, რაც სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში განსხვავებულია.

განვითარებულ საზოგადოებებში, ყოველთვის და ყველგან, იყვნენ და იქნებიან მდიდრები და ღარიბები, ელიტა და დაბალი ფენა, რომელთა რაციონი, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნება, თუმცა, განსხვავებული ტიპის, სოციალური დიფერენციაციის სხვადასხვა დონის მქონე საზოგადოებებში, კვების არაერთგვაროვნება სხვადასხვა დოზით თვალშისაცემია. მაგალითისთვის, მომთაბარე სკვითებისა და კიმერიელების,

[12] Alexander Heather, What Are Macronutrients? Focused on Health. AnderSon Camcer Center. The University of Texas. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.mdanderson.org/publications/focused-on-health/what-are-macronutrients-.h15-1593780.html ბოლო ნახვა: 06.13.2022

[13] ომარი ძაძამია, კვება ანტიკური ხანის კოლხეთში (ძვ. წ. VI-ახ. წ. IV საუკუნეები). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVIII. 2022.

ჰუნებისა თუ ხაზარების ყოველდღიური საკვები, რომელთა სოციალური წყობა, ცხოვრების წესი და განსახლების გეოგრაფიული არეალი, რადიკალურად განსხვავებულია ძველი ბერძნების, რომაელების, ან თუნდაც ძველი კოლხების საზოგადოებებისაგან, რა თქმა უნდა, კვების თვალსაზრისით სოციალურად ნაკლებად დიფერენცირებულია, ვიდრე მაგალითად, რომში, სადაც მდიდრებსა და დაბალ ფენას შორის დიდი სოციალური განსხვავებაა, რაც შემდგომში აისახება კონკრეტულად საკვებზეც. შესაბამისად, სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში განსხვავებული იქნება მათი არამარტო საკვების ტიპები, არამედ საკვები რაციონიც სოციალური კლასების მიხედვით. ამისთვის კარგად უნდა გავიაზროთ ანტიკური საზოგადოების ცხოვრების წესი, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურები.

ანტიკური ხანის კოლხეთის, სოციალური წყობისა და საზოგადოების მოწყობის საკითხიც მეტად საინტერესო და მრავალმხრივი კვლევის საგანია. ანტიკური ეპოქის კოლხეთში (ძვ.წ. VI - ახ. წ. IV სს.), ერთმანეთს ხვდება ორი განსხვავებული საზოგადოება — ბერძნულ-რომაული და კოლხური. მათ შორის არამხოლოდ კონსტიტუციური და კულტურული განსხვავებაა, ნუტრიციოლოგიურიც. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული საკვები რომელიმე რეგიონში არ მოიპოვებოდა, არამედ იმას, რომ ელიტარული საკვები სხვადასხვა დოზით გამოიყენებოდა სხვადასხვა საზოგადოებაში, გამომდინარე იქიდან, რომ მდიდრებისა და ღარიბების თანაფარდობა ბერძნულ-რომაულ და კოლხურ საზოგადოებებში განსხვავებულია. ამიტომ, სანამ განვიხილავთ მთლიანად ანტიკურ კოლხეთს, ბერძნებისა და ადგილობრივების დიფერენცირების გარეშე, საჭიროა ორივე კულტურის სოციალური სტრუქტურის კარგად გააზრებაც.

თ. დუნდუას და ნ. ფიფიას ნაშრომში, „საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები“ აღნიშნული აქვთ რომ ძველ აღმოსავლეთში, მკაცრი კლიმატური პირობების, ტომთაშორისი და სახელმწიფოებს შორის ომების პირობებში, ჩამოყალიბდა მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობა, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფალი მეთემეების ექსპლუატაციას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. მმართველობის ასეთ ფორმას ავტორები უწოდებენ პროტოფეოდალიზმს[14]. მათი აზრით, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროპაში ვხვდებით არა სახელმწიფოსგან

[14] თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 9.

მართულ, არამედ კლანების და მსხვილი მიწათმოქმედების ხელში მოქცეულ ეკონომიკას, სადაც მსგავსად სახელმწიფო სოციალიზმის პირობებისა, პირადი თავისუფლება რამდენადმე დაცულია, თუმცა, წოდებრიობა უკვე არსებობს. მოსავლის 1/5 რჩებოდა თავისუფალ მეთემეს, რომელიც ამუშავებს ზემოხსენებული კლანების თუ მსხვილი მესაკუთრეების მიწას. ეს არის პროტოფეოდალიზმის ევროპული მოდელი, რომლის ნაწილადაც ავტორები განიხილავენ წინარეანტიკურ კოლხეთსაც[15]. თუმცა, მოგვიანებით, რკინის ხანის გარიჟრაჟიდან, ჩრდილო მედიტერანეაში, „ევროპაში", ცვლილებები იწყება და ძვ.წ. VI საუკუნისთვის ვიღებთ ისეთ წყობას, რომელსაც თ. დუნდუა და ნ. ფიფია უწოდებენ „პირველი ციკლის კაპიტალიზმს", ხოლო კოლხეთის ჰინტერლანდი, ანუ, მისი ნაწილი მაინც, ამ დროისთვისაც, კვლავ პროტოფეოდალურ საზოგადოებად რჩება[16]. ამ მოვლენის საფუძველი, ისევ და ისევ, გეოგრაფიულ დეტერმინიზმში უნდა ვეძიოთ. ავტორების იდეას საბერძნეთის ავანგარდულ ცივილიზაციად ჩამოყალიბების მიზეზებთან დაკავშირებით[17] ამყარებს პიტერ გარნსის ბრწყინვალე დაკვირვებაც, რომელიც ატიკის 29 წლიან შუალედში ნალექების რაოდენობის ანალიზზეა დაფუძნებული — 1931-1960 წლებში ატიკაში მეცნიერები აკვირდებოდნენ მარცვლეული კულტურების ნაყოფიერების საერთო ციკლს. შედეგად, პ. გარნსი ასკვნის, რომ აქ ხორბლის მოსავლის სიცხითა და უწყლოობით დაზიანების შანსი 28%ია, ე.ი. საშუალოდ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. ქერთან დაკავშირებით კიდევ უფრო კარგი შედეგია — 5.5 %, ანუ ოც წელიწადში ერთხელ. ყველაზე ცუდი შედეგი კი პარკოსან კულტურებს აქვს, 71% მოუსავლიანობა, ანუ ყოველ 4 წელიწადში სამჯერ.[18]

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბერძნებს თავი მაინც არ შეუწუხებიათ სარწყავი არხების თხრით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოთხ წელიწადში ერთი მოუსავლიანი წელი სავსებით ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე კი იმიტომ, რომ მათი მომავალი წლის მარაგების გადავსებას ისევ გეოგრაფიული გარემო უზრუნველყოფდა. ასე მაგალითად, თესალიელ-

[15] თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო ევროპის „შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 10.

[16] თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 149-171.

[17] დაწვრილებით გეოგრაფიულ დეტერმინიზმზე იხ. თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 39-50.

[18] Peter Garnsey. Famine and Food Supply in the Graeco-Roman World. Responses to Risk and Crisis. 1998, გვ. 10.

ებს, რომელიც ატიკისგან ოდნავ ჩრდილოეთ საბერძნეთია და ოდნავ ნაკლები სიცხეა, მიუხედავად ატიკის მსგავსად დაახლოებით ოცდარვა პროცენტიანი ალბათობისა, მოსავლიან წლებში საშუალება ჰქონდათ 75 000 ატიკური მედიმნის რაოდენობის ხორბლის გაყიდვის[19]. მედიმნის წონა და მოცულობა სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია, თუმცა ატიკაში მისი თითო ერთეული დაახლოებით 51.84 ლიტრი იყო[20], რაც გვაძლევს 75000x51.84=3 888 000 ლიტრ ხორბლის მარცვალს. ერთი ლიტრის მოცულობის ჭურჭელში კი 710.09 გრამი ხორბლის მარცვალი ეტევა[21]. კალკულაციით, მოსავლიან წლებში თესალიელები დაახლოებით 2760 ტონა ხორბალს ყიდდნენ, რაც კოლოსალური რაოდენობაა[22].

ასეთია გეოგრაფიით განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იმ დროისთვის ავანგარდულ სამყაროში. რაც შეეხება კოლხეთს, აქ ვითარება რადიკალურად განსხვავებული და საინტერესოა. კოლხეთის ევროპულობასა თუ აზიურობაზე მსჯელობას აქ არ შევუდგებით, ვინაიდან, როგორც ეს უკვე აღნიშნულია თ. დუნდუას და ნ. ფიფიას მიერ, ურწყავი ზონა ევროპაა, სარწყავი კი — აზია, კოლხეთი დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპაა[23]. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ხანის კოლხეთი „ევროპული პროტოფეოდალიზმის“ სოციალური სტრუქტურის მქონე პოლიტიკურ-გეოგრაფიული ერთეულია[24].

---

[19] Peter Garnsey. Famine and Food Supply in the Graeco-Roman World. Responses to Risk and Crisis. 1998, გვ. 10.

[20] Schulzki, Heinz-Joachim (Mannheim), "Medimnos", in: Brill's New Pauly, Antiquity volumes edited by: Hubert Cancik and, Helmuth Schneider, English Edition by: Christine F. Salazar, Classical Tradition volumes edited by: Manfred Landfester, English Edition by: Francis G. Gentry. Consulted online on 17 June 2022 <http://dx.doi.org/10.1163/1574-9347_bnp_e728180> First published online: 2006, First print edition: 9789004122598, 20110510

[21] ასეთი სახით ტევადობის მოყვანა პირობითია და ცვალებადი, რაც დამოკიდებულია ხორბლის ჯიშზე (ყველაზე ნაკლებად) და მარცვლის ტენიანობაზე, ანუ მშრალი მასის შემცველობაზე (ყველაზე მეტად), თუმცა, ვინაიდან, ვითვალისწინებთ პირველ რიგში წონაში ცვლილების მიზერულობას და ძველი საბერძნეთის მშრალ ჰავას, აღებული გვაქვს საერთაშორისოდ მიღებული საშუალო ტევადობა (international units).

[22] Peter Garnsey. Famine and Food Supply in the Graeco-Roman World. Responses to Risk and Crisis. 1998, გვ. 11.

[23] თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 41.

[24] იხილეთ თ. დუნდუას და ნ. ფიფიას ნაშრომი. ვინაიდან აქ როგორც სოციალური ისე პოლიტიკური მოწყობით, ასევე გეოგრაფიულად განსაზღვრულია, კოლხეთის ევროპულობის საკითხი ნარატიული წყაროების მიხედვით, ამ საკითხის განხილვა მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ, რადგანაც, ბერძნულ წყაროებში განსხვავებულ მოსაზრებებს ეპოქის თუ კონკრეტული პირების შეხედულებები ქმნიდა და თითოეული მათგანის განხილვა შორს წაგვიყვანდა და აგვაცდენდა თემიდან, ვინაიდან მაგალითისთვის, მდინარე ფასისზე

კოლხეთი ევროპაა. თუმცა ისმის კითხვა, რატომ ვერ მოახერხა კოლხეთმა, რომელსაც საბერძნეთის პარალელურად რკინის იარაღიც ჰქონდა, უფრო თბილი კლიმატიც და თუნდაც არც მდინარეები აკლდა სარწყავი სისტემების განსავითარებლად (თუმცა ეს კოლხეთს არ სჭირდებოდა), იგივე ავანგარდული მოწინავე განვითარების დონის მიღწევა?

ამის პასუხი კოლხეთის კლიმატის ექსტრემალურ ცვალებადობაში და გეოგრაფიულ დანაწევრებულობაშია. პირველ რიგში აღსანიშნავია მაღალი ტენიანობა და ნალექების ისეთი დიდი რაოდენობა, როგორსაც ზოგჯერ ტროპიკებში და ჩრდილოეთის წვიმიან და თოვლიან ტყის ზონაში თუ შევხვდებით (მაგ. ჩაქვი, წალენჯიხა, მტირალას მთა და ა.შ.). აქ ნალექები 1450-1500 მმ-დან, 2800-4500 (ზოგიერთ ცალკეული წელიწადში მტირალას მთაზე 5000 მმსაც აღემატება) მილიმეტრამდე მერყეობს[25]. უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთში ნოტიო კლიმატის ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა უკვე შემჩნეულია ისტორიოგრაფიაში[26]. ცნობისათვის ატიკაში ტენიანობის მაჩვენებელი 350 მილიმეტრიდან 450 მილიმეტრამდეა. საბერძნეთის კუნძულებიდან ყველაზე მაღალტენიანი სამოსია. სამოსის საშუალო ნალექები 1000 მილიმეტრამდეა, რაც დაახლოებით 500 მილიმეტრით მეტია საბერძნეთის კონტინენტურ ნაწილზე[27] და საშუალოდ 500 მილიმეტრით ნაკლები კოლხეთის დაბლობის, პირობითად "ყველაზე მშრალ" არეალზე. გარნსის მიხედვით, აქ ხორბალი საერთოდ აღარ მოჰყავდათ, ან თუ თესავდნენ, ისიც მცირე რაოდენობით[28], ვინაიდან, როგორც ჩანს, სამელიორაციო სამუშაოებს, ისევე როგორც საირიგაციოს, ბერძნები დიდად არ წყალობდნენ. მთელი კოლხეთის დაბლობი მაღალი ხარისხის, უფხო პურის — თავთუხის მოსაყვანად სრულიად გამოუსადეგარია, იმის გათვალისწინებით, რომ აქ დაბლობზე ხშირად წყალი საერ-

ევროპა-აზიის საზღვრის გავლება, რომელსაც ხშირად იყენებენ მეცნიერებიც, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ვინაიდან მდინარე ფასისის მარჯვენა სანაპიროც და მარცხენა სანაპიროც რამოდენიმე ათეული კილომეტრის, თუ არა ასეულის, ერთი კულტურის ნაწილია, ჩავთვლით ამ მდინარე „ფასისს" რიონად, ჭოროხად თუ არაქსად.

[25] ე. ელიზბარაშვილი. საქართველოს ჰავა. თბ. თბილისი. 2017, გვ. 116.

[26] თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო — ევროპის „შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბ. 2009, გვ. 19.

[27] ნალექების რაოდენობის და ზოგადად კლიმატის შესახებ იხ. ვებ-გვერდი მსოფლიო მონაცემების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.worlddata.info/europe/greece/climate-attica.php ბოლო ნახვა: 18/06/2022, ნალექების შედარებითი კალკულაცია ვებ-გვერდის მონაცემების მიხედვით ჩვენია – ო.ძ.

[28] Peter Garnsey. Famine and Food Supply in the Graeco-Roman World. Responses to Risk and Crisis. 1998, გვ. 13.

თოდ არ იწრიტება და ჭაობდება, არამხოლოდ პური, ქერიც კი არ მოდის, რომელსაც ხორბლისგან განსხვავებით, ფესვის სიდამპლისადმი შედარებით ნაკლები მიდრეკილება აქვს. შემდგომში სწორედ ეს გახდება აქ, „ელინური ექსპერიმენტის“ ჩავარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, და აქ ბერძნების მხოლოდ იმ რესურსებით დაინტერესების მიზეზი, რომელიც კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და საბერძნეთში ან მცირე რაოდენობით, ან ცუდი ხარისხის მოიპოვება (ხე-ტყე, ცვილი, ფისი, სელის ნაწარმი). როგორც ჩანს, როგორც კი ამ რესურსებზე ინტერესი გაქრა, ან სხვა მომმარაგებლით მოახერხეს მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ბოლოს კი უბრალოდ თავად ამ პროდუქციის გასაღების ბაზარი, საბერძნეთი დასუსტდა, კოლხეთის ელინური ქალაქებიც დაემცრნენ.

ასევე ასეთი გარემო გახდა შემდგომში სწრაფი კაპიტალიზაციის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზიც. წვიმები, გარდა იმისა, რომ ხელს უშლის კულტურული მცენარეების ინტენსიურ წარმოებას, ავტომატურად ნიშნავს გაცილებით ნაკლებ სამუშაო დღეს ყოველწლიურად, რაც რელიგიურ დღესასწაულებთან, ომიანობებთან და სხვა დამაბრკოლებელ გარემოებებთან ერთად, რესურსების დაგროვების ხელისშემშლელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ წინარექრისტიანული რელიგიური დღესასწაულები დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ბევრია და მათი აღნიშვნის დროს, როგორც ჩანს, უქმობდნენ[29].

ყოველივე ეს აისახა ანტიკურ წყაროებსა და ცნობიერებაში. ადრეულ ეტაპზე ბერძნული ქალაქები, როგორც ჩანს, ფინანსურად საკმაოდ ძლიერია, მაშინ როდესაც გვიანელინისტურ ხანაში — არა. ასე მაგალითად ძვ.წ. V საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის დამდეგს, ქსენოფონტი ღარიბ, კუნაქსის ბრძოლიდან გამოქცეულ მოქირავნე ბერძნებს, წმინდა მერკანტილური თვალსაზრისით ურჩევს ფაზისის დაპყრობას[30]. იმავე ძვ. წ. IV საუკუნის ავტორი ფსევდო სკილაქს კარიანდელი ფასისს უწოდებს „ელინურ“ ქალაქს[31], ხოლო ვითარება კარდინალურად იცვლება ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე. ამ ეპოქის დიდი გეოგრაფი და ავტორი, სტრაბონი, დიოსკურიას უწოდებს ბარბაროსთა შეკრების ად-

[29] წინარექრისტიანული დღესასწაულების მრავალფეროვნებასთან და მათი აღნიშვნის პრაქტიკასთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. ნ. ფიფია, ქ. ციმინტია. რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკის შესახებ სამეგრელოში („ხვამა“: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. 2017, გვ. 427-454.

[30] Xenop. Anab. V, 6

[31] Ps. Scylax. 81

გილს, სადაც 70 ტომი იყრის თავს, ფაზისს — კოლხთა სავაჭრო ქალაქს[32]. როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის ელინური ქალაქები დაემცრნენ.

ამგვარად, ძველი კოლხეთის გეოგრაფიულმა გარემომ და კლიმატმა განსაზღვრა ანტიკური ხანის კოლხეთის პროტოფეოდალური ხასიათი, როგორც ეს აღნიშნულია ისტორიოგრაფიაში, მასთან ასევე დაკავშირებულია ამ ტიპის საზოგადოების კვების თავისებურებები მის სოციალურ დიფერენტებთან ერთად.

[32] Strabo XI, 15

Omari Dzadzamia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

GENERAL OVERVIEW OF GEOGRAPHY IN COLCHIS IN CLASSICAL ANTIQUITY AND ITS INFLUENCE ON THE DIET OF ANCIENT COLCHIANS

Summary

The geographical environment is part of our daily life. The development of the humanity has always been influenced by climatic and geographical aspects, the diversity or uniformity of flora and fauna. The principles of geographical determinism are realistic and supported by facts.

The natural-climatic environment in Colchis created and creates a unique zone for the development of agriculture, which is characterized by the following features: a long vegetation period, which lasts 180-200 days on the coast (in the foothills it is relatively less, 140-160), contributes to the development of a large vegetative mass, and, accordingly, the development of livestock. The climate of Colchis provides excellent opportunities for the reproduction of moisture-loving plants from grain crops, which are able to tolerate both summer heat and high humidity. The geographical location, horizontal extension, humid air and warm climate that created the Colchis plain and its surrounding environment had a great influence on the creation of authentic Colchian species and cultural traits. The article discusses the role of the geographical environment in shaping the diet in Ancient Colchis.

The entire valley of Colchis is unsuitable for growing wheat, barley, and other grain crops, especially since there were swamps here, and not even bread or barley was grown, which, unlike wheat, has a sticky texture when compared to wheat. In the future, this will become the reason of the failure of "Hellenic Experiment", and here the Greeks had interest only in those resources that were unique to the Colchis and were either abundant (wood, wax, resin, flax products). It seems that later the interest in these resources waned, demand decreased, eventually, the Hellenic poleis of Colchis declined.

All of this is reflected in ancient sources. At an earlier stage, the Greek city-states, as it seems, were quite financially strong, while in the Hellenistic period they were not. At the beginning of the 5th century and the end of the 4th

century, Xenophon, who had been defeated at the Battle of Kunax, believes that the conquest of Phasis would be profitable. At the same time, the 4th century BC author Pseudo-Scylax of Caryanda calls Phasis a "Hellenic" city, the situation changed dramatically on the verge of eras. The great geographer and author of this era, Strabo, calls Dioscurias a place of gathering for barbarians, where 70 tribes came along and Phasis — a trading city of the Colchians. As noted, the Hellenistic cities of Colchis declined.

Thus, the geographical and climatic conditions of the ancient state of Colchis determined the protofeudal character of the Colchis, as noted in historiography, and the peculiarities of this type of social organization, along with its social differences, were also associated with it.

This article is partly inspired by Professor Tedo Dundua's master's course "Georgia and the Outer World – The Creation of Europe and Historical Forms of European Integration", which I took with him in the 2020-2021 academic year. Later, Prof. Dundua's review helped me to improve the paper. The article is dedicated to his memory.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

Chiara Maria Mauro
Assistant-Professor,
Universidad Complutense de Madrid, Spain

THE DARDANELLES, THE SEA OF MARMARA AND THE BLACK SEA ACCORDING TO PS.-SKYLAX
Analysis of the nautical information contained in a fourth-century BCE periplus*

Introduction

ცნობიერებაა, რაც იმდროინდელი ქართველი ერისა და ქართლისათვის (საქართველოსთვის) იყო უცხო, ანუ სხვა. მთავარი კი ისაა, რომ, წმ. გრიგოლ ნოსელის მოძღვრებით, მაცხოვარი **უცხო ექმნა** ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, ხორციელებას, რათა „კაცმან თავი თჳსი სრულიად ვნებათაგან ჴორციელთა **უცხო-ყოს**“[14]. **„უცხოება“**, მისტიური გააზრებით, ანგელოზებრივი ბუნების ერთგულება და ხორციელ გულისთქმათაგან, ამაოთა გამო ზრუნვათაგან გათავისუფლებად აღიქმება. **უცხო, უცხოქმნული** არის მაღლად მხედი ადამიანის თვისება, მახასიათებელი, რაც წმინდანთა ბუნებას გამოხატავს. წმ. ნინო უცხოა იმიტომაც, რომ იგი, თვისთაგან გამოსული, პირველსახემიღებული, **უცხოდ გარდაქმნილი** უნდა წარსდგეს ქართველი ერის წინაშე, ხოლო საბოლოოდ – უზენაესის წინაშე. **უცხო** სხვად ყოფნაა, ეს „სხვა“ წინარესაგან განსხვავებულობას მიანიშნებს და წმ. ნინოში ქართლის სულიერ განმაახლებელს მოგვაზრებინებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ **„უცხო“** დევნილსაც შეიძლება ნიშნავდეს. ამ მოსაზრებას დაზუსტება სჭირდება. აქ, საზოგადოდ, წმინდანთა დევნილობაზე შეიძლება საუბარი, თორემ მხოლოდ წმ. ნინოს დევნილობის აღქმა გაჭირდება, მეტიც, შეუძლებელია, რადგან იგი არაა იერუსალიმიდან დევნილი და ქართლში ყოფნისასაც დევნილად არ აღიქმება. მეტიც, თუ წმ. ნინოს ცხოვრების ბოლო პერიოდს გავიხსენებთ, როდესაც იგი თავის თავზე ყვება, თავის მონათხრობში თავის დევნილობას თავად არსად ახსენებს. ამ შემთხვევაში შეიძლება გავიხსენოთ წმ. ნინოს ქართლისაკენ წამოსვლის ეპიზოდი, როდესაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ჩვენებითა და წინამძღვრობით გაუდგა გზას ჩრდილოეთის ნათელნაკლული ქვეყნისაკენ, ესაა ქართლი. ეს იმას ნიშნავს, რომ წმ. ნინო ღვთის განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მოწოდებით მიეშურება ქართლისაკენ მის განსანათლებლად, ე.ი. გასაქრისტიანებლად.14 წლის გოგონა, წმ. ნინო მიეკედლა რიფსიმესა და მის დედა-მძუძეს, გაიანეს; ისინი, სულ ორმოცდაათი სული, რომის იმპერიიდან, „საბერძნეთიდან“, გამოიქცნენ. გასათვალისწინებელია რომის იმპერიაში შექმნილი ვითარება, რომლის აღმოსავლეთ ნაწილს 313–324 წლებში ქრისტიანების მდევნელი ლიცინიუსი მართავდა. რიფსიმე და მისი თანმხლები ქალები ამ დროს იმყოფებოდნენ რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმინდა ქალწულები როგორც ქრისტიანები სწორედ ლიცინიუსის დევნას გამოექცნენ და მივიდ-

[14] გრიგოლ ნოსელი. ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, გვ. 122.

ნენ სომხეთში, სადაც სომეხთა მეფემ, თრდატმა, თავის ბაღში შეიპყრო და აწამა ისინი. ორმოცდაათი ქალწულისაგან მხოლოდ წმ. ნინო გადარჩა, რომელიც ვარდის ბუჩქებში დაიმალა, რასაც, ასევე, სიმბოლური გააზრება აქვს, რადგან პირველი თეოფანიიდან მოყოლებული ვარდის ბუჩქი, ვარდი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სიმბოლოდაა გააზრებული. ამიტომ ამ ფაქტს ვერ მივიჩნევთ წმ. ნინოს დევნილობად, იგი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ხოლო წმ. ნინოს გადარჩენა მოწმობს, რომ იგი დევნილი კი არ იყო, არამედ ქართლისაკენ მისიონერული მიზნით წამოსული ისე, რომ დევნა მას არ უნდა შეხებოდა და არც შეხებია, რასაც მისი გადარჩენა მოწმობს. დევნილებად წმ. რიფსიმე და მისი თანმხლები ქალები უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი ნამდვილად გამოექცნენ ქრისტიანთა დევნას. წმ. ნინო მხოლოდ იმიტომ წამოვიდა ორმოცდაათ ქალწულთა ჯგუფში, რომ სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალი ასეთ მძიმე და შორეულ მგზავრობაში მარტო არ ყოფილიყო. დევნილები იყვნენ რიფსიმე და მისი მხლებელი 50 სული, ხოლო წმ. ნინო დევნილი არაა, იგი დევნილებს დროებით მიკედლებულია. დევნილი რომ ყოფილიყო, ისიც რიფსიმესა და მისი თანმხლები ქალების ხვედრს გაიზიარებდა. ამიტომ წმ. ნინოს ვარდის ბუჩქებში დამალვაც და გადარჩენაც მისი „უცხოობის“ საფუძველზე მოხდა; მთავარი კი ის იყო, რომ წმ. ნინო როგორც „უცხო“, ზემოთაც აღვნიშნეთ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობაში იმყოფება, რასაც ვარდის ბუჩქებში დამალვა და გადარჩენა მოწმობს, რადგან ვარდი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გავრცელებული სიმბოლოა პირველი ბიბლიური თეოფანიის მიხედვით. ამიტომ მკვიდრდება მცხეთაშიც მაყვლოვანში.

წმ. ნინოს იერუსალიმიდან ჩრდილოეთის ქვეყანაში, ქართლში, წარგზავნა ღვთის ჩაგონებით იერუსალიმის პატრიარქის, წმ. ნინოს ბიძის, მიერ მიზანდასახულია, რადგან მას აკისრებს ღვთის განგებულებას, რომ უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხში მამაკაცებრივი მისია უნდა აღასრულოს. ქრისტეს მოციქულთაგან არც ერთი არ ყოფილა ქალი, თუმცა, ევანგელური მონათხრობების მიხედვით ქალებს უდიდესი მისია აკისრიათ ქრისტიანობის გავრცელებაში, ხოლო წილისყრაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონაწილეობა და საქართველოს წილხვედრილობა მისადმი ქართლს და ქართველ ერს უცხოდყოფნისაგან განათავისუფლებს. ამ კონტექსტში წმ. ნინოს სიტყვები სიმბოლურ დატვირთვას იძენს: „მაშინ მოვიჴსენე სიტყუაჲ იგი, რომელი მამცნო იობენალ პატრიაქმან, წმიდამან

მამამან, ვითარმედ ვითარცა მამაკაცსა სრულსა წარგგზავნი შენ და მიწევნად ხარ შენ ქუეყანასა **უცხოსა** და ნათესავთა **უცხოთა“**[15]. „ქუეყანა **უცხო“** და „ნათესავი **უცხო“ ქართლი და ქართველი ერია.**

მნიშვნელოვანია სიდონიას, აბიათარის ასულის, მიმართვა წმ. ნინოსადმი: „**უცხოვო** და აქა შობილო, ტყუეო და ტყუეთა მჴსნელო, უწყი, რამეთუ შენ ზე მოიწია ახალი იგი ჟამი და შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა მის კაცისა უბრალოჲსა სისხლისა უსამართლოდ დათხევისაჲ, რომლითა-ცა ქმნა ღმერთმან ჰურიათა სირცხჳლი, ცის კიდეთა განბნევაჲ, მეფობისა დაცემაჲ და ტაძრისა მის წმიდისა მოღებაჲ, ერისა მის **უცხოჲსა** მოგებაჲ და თჳსად წოდებაჲ, და დიდებაჲ მათა მიცემად“. და კუალად თქუა: „იერუსალჱმ, იერუსალჱმ, ვითარ განგიმარტვან შვილნი შენნი! და შეიკრებ ყოველთა ცის კიდისა ნათესავთა ფრთეთა ქუეშე შენთა“. „აჰა ესერა აქა-ცა მოსრულ იყო დედაკაცი ესე და შეცვალოს ყოველი წესი ქუეყანისაჲ ამის“. და მომექცა და მრქუა: „ჩუენებაჲ შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხჱ სადიდებელად ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“[16]. ყურადღებას იქცევს სიდონიას წარმოთქმული სიტყვები: „**უცხოვო** და აქა შობილო“, რომლის არსი ისაა, რომ წმ. ნინო „უცხოდ“ მოვიდა ქართლში, მაგრამ ქართლში იშვა როგორც ქართველთა განმანათლებელი. აბიათარის ასულის სიტყვები მოწმობს, რომ წმ. ნინომ ქართლს მოუვლინა „ახალი ჟამი“, ახალი ჟამი წმ. ნინოს მოღვაწეობის პერიოდია, მან განაახლა წინაპართა ნამოქმედარის მიმართ დამოკიდებულება, როდესაც წინაპრებმა ზეცის კაცის უბრალო (ბრალის არმქონე), უდანაშაულო კაცის სისხლი დაღვარეს, რითაც იუდეველები შერცხვნენ, რამაც შედეგად გამოიწვია ცისქვეშეთში ებრაელთა განბნევა, ღვთის მეფობის დაცემა, წმინდა ტაძრის დამხობა, სხვა ერის//უცხო ხალხის აღზევება.

წმ. ნინოს უცხოებას გვამცნობს, აგრეთვე, სიდონიას მონათხრობი სნეული ხვარას შესახებ და მირიან მეფის მიმართვა წნ. ნინოს წინაშე, რომელიც შეიცავს კარდინალურ კითხვებს, რომელი ღმერთის ძალით მოქმედებს და კურნავს სნეულებს, ის ხომ არაა არმაზის, ან ზადენის შვილი, არამედ უცხოა, სხვაა; ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელიც „ჰრომთა მათ შეცთომილთა შჯულად“ არის სახელდებული, უწოდა უცხო სიტყვა, რო-

[15] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 120.
[16] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 123.

მელიც არაა მისაღები და გასაზიარებელი, რადგან მხოლოდ არმაზ და ზადენ არიან ყოველი დაფარულის განმცხადებელნი: „და შემდგომად მისა მოგჳ მთავარი სპარსი ხუარა სნეულ იყო, სულითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, სიკუდიდ მიწევნულ იყო. და იყო მთავარი იგი დედის ძმაჲ ნანაჲსი, დედოფლისაჲ. მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი; და მეფე-ცა იხილვიდა მცირე-მცირედ საქმესა მას და ორგულებით ეტყოდა ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, **უცხოვებით** მოხუედ და შეუ[ვ]რდი, ხოლო მას ზედა-აწ მოწყალებაჲ, და მიგინიჭეს ძალი კურნებისაჲ, რაჲთა მით სცხოვნდებოდი **უცხოსა ამას ქუეყანასა.** და დიდებულ-მცა არიან უკუნისამდე! ხოლო შენ წინაშე ჩემსა იყავ მარადის, ვითარცა ერთი მაწოვნებელთაგანი, პატივ-ცემულ ქუეყანასა ამას, არამედ **უცხოსა მას სიტყუასა** ნუ იტყჳ, ჰრომთა მათ შეცთომილთა შჯულსა, და ნუ გნებავნ ყოვლად-ვე აქა თქუმად, რამეთუ აჰა ესერა ღმერთნი, დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წჳმისა მომცემელნი. ქუეყანით ნაყოფთა განმზრდელნი, ქართლისანი – არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი“[17]. მირიანი წმ. ნინოს ღმერთს ვერ იღებს, არ აღიარებს, ქრისტიანობას უწოდებს „უცხო სიტყვას“, რომელიც „ჰრომთა მათ შეცთომილთა შჯულად“ მიაჩნია. მისთვის მთავარი ქართლის „გამზრდელნი“ არმაზ და ზადენ არიან. მაგრამ მეფის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, როდესაც მირიანს თხოთის მთაზე დაუბნელდა და მხოლოდ წნ. ნინოს ღმერთის ხსენების შემდეგ გაუნათდა მეფეს. ისევ სიდონია გვიამბობს მირიანის სახეცვლაზე, მის სულიერ გარდასახვაზე, როდესაც მცხეთაში დაბრუნებული მეფე მირიანი ეძებს უცხო დედაკაცს, რომელიც ამიერიდან სულიერი დედა და მხსნელია მეფისა და სრულიად ქართველი ერისა: „და იყო, ვითარცა შემოვიდა მეფჱ, იძრვოდა ყოველი იგი ქალაქი, და ჴმითა მაღლითა ღაღადებდა მეფჱ და იტყოდა: „სადა უკუე არს დედაკაცი იგი **უცხოჲ**, რომელ არს დედაჲ ჩემი, და ღმერთი იგი მისი მჴსნელი ჩემი?“ (ძეგლები, 1963//1964: 136). უკვე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული მეფე მირიანი წმ. ნინოს, უცხო დედაკაცს, დედას უწოდებს და მისი ღმერთი, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე სულიერ მხსნელად მიაჩნია.

თხზულების დასასრულს მირიანის თვალითა და გონებით დანახული წმ. ნინო, რომელიც ქართლში მოვიდა როგორც ტყვე, უცხო, მწირი,

[17] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 131-132.

უმწეო, უსმი და უტყვი (მას არ ესმოდა ქართული და ვერ მეტყველებდა ქართულ ენაზე), ქართველთა დედოფლად, მომაქცევლად მოევლინა, ძლიერმა ქადაგმა, დაფარულ გულისსიტყვათა მეცნიერმა შუაღამის ბრწყინვალე მზედ მოუვლინა ქრისტე ღმერთი ჩვენი: „ხოლო ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა **უცხოჲ** და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყჳ, რომელიცა აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი – დედოფალ, **უცხოჲ** იგი – დედა, შეუწევნელი – შესავედრებელ ყოველთა, და უტყჳ იგი – ქადაგ ძლიერ და მეცნიერ – დაფარულთა ჩემთა გულის-სიტყუათა, ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ და შუაღამეს ოდენ მეჩუენა მე მზჱ მბრწყინვალჱ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე. და მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლისღებითა წმიდითა და პატიოსნისა ძელისა თავყუანის-ცემითა. და მო-მცა ჩუენ შჯული ახალი ცხორებისაჲ და სიხარულისაჲ და ღირს-მყვნა გემოჲხილვად საიდუმლოთა უხრწნელთა ზეცისათა. მე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა, რომელი-ცა მასწავა და აღვაშენე ეკლესიაჲ სალოცველად სამოთხესა მას მამათა ჩემთასა, და მას შინა სუეტი ესე ნათლისაჲ, რომელიცა მე ყოვლად ვერ შეუძლე ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, ხოლო ღმერთმან მაღალმან მოავლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუეყანით ცად აღიწია“ (ძეგლები, 1963//1964: 158).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება განვაზოგადოთ წმ. ნინოს სულიერი მისია ქართლში; მისი სიმბოლური სახელდებები: „დედოფალი“ და „ტყვე“, „დედოფალი“ და „უცხო“ ანტინომიური ბინარული ოპოზიციებია, რომლებიც წმ. ნინოს, ვითარცა წუთისოფლისაგან უცხოდქმნილის, სულიერობის უკეთ წარმოჩენას ისახავს მიზნად. „დედოფალი“, „ტყვე“, „უცხო“ წმ. ნინოს გამორჩეულობას, სხვათაგან განსხვავებულობას ნიშნავს, რაც წინასწარვე მოასწავებს მის იშვიათ, განსაკუთრებულ, ქრისტიანულ სჯულზე ქართველთა მომაქცევლის სულიერ მისიას.

წმ. ნინო როგორც მკურნალი ღრმა სახისმეტყველებითაა წარმოსახული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ყველა რედაქციაში, რომლებიც მოგვითხრობენ წმინდანის მძიმე განცდების შესახებ ქართველი ერის „ეშმაკთაგან წარტყუენულობისა“ გამო, „ერსა მას დაბნელებულსა ქართლისასა“ ღმერთად მიაჩნდა ორი ქანდაკება, ოქროს ჯაჭვმოსილი სპილენძის კაცი, ძვირფასი თვლებით (ზურმუხტი, ბივრიტი) შემკული და სრულიად

ოქროსგან გამოქანდაკებული კაცი – გაც და ვერცხლისაგან გამოქანდაკებული – გაიმ. წმ. ნინო „ცრემლოოდა“ ერის სულიერი სიბნელისა და წარწყმედის გამო და იგლოვდა, სულიერ უცხოებას განიცდიდა, ხოლო „უცხოების გლოვაში“ ქართველთა სულიერების სინაკლულე იგულისხმებოდა. იგი შეძრწუნებული ადევნებდა თვალყურს სპილენძისაგან ჩამოსხმული ოქროში ჩასმული კერპების თაყვანისცემას სულიერების არმქონე ერის მიერ. წმ. ნინო როგორც თვითონ იყო „**უცხო**“, ასევე იყო ქართველი ერი მისთვის, ქართველთა განმანათლებელისათვის, „**უცხო**“, სხვა, რომელიც უნდა გარდასახულიყო და რომლისთვისაც წმ. ნინო „დედოფალი“, თვისიანი, გამხდარიყო. წმ. ნინო 14 წლის გოგონა მოვიდა და რამდენიმე წელიწადში შეძლო „უცხოდ“ დახვედრილი ქართლისა და ქართველი ერის გაქრისტიანება. წმ. ნინომ აღასრულა თავისი სრბაჲ ქართლისა და ქართველი ერის წინაშე მათი სულიერი გარდასახვით.

იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“ სახელდებით „უცხო“ არ გვხვდება, მაგრამ ამავე მნიშვნელობით გამოიყენება „სხუა“. დავიმოწმოთ ტექსტიდან ის ეპიზოდი, როდესაც სპარსეთიდან დაბრუნებულმა ვარსქენმა წმ. შუშანიკს შეუთვალა: „შენ ჩემი ხატი დაამჴუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს და **სხუად** წარსრულ ხარ“; მეორე ეპიზოდშიც, წმ. შუშანიკის პასუხში ვარსქენ პიტიახშისადმი, ასევე „სხვა“ სამყაროს ცვლის მაუწყებელია: „მამამან შენმან აღჰმართნა სამარტკლენი შენნი და ეკლესიანი აღაშჱნნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და **სხუად** გარდააქციენ კეთილნი მისნი“ (ძეგლები, 1963/1964: 15). წმ. შუშანიკის სიტყვებში შეზავებულია მისი სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური ხედვა, წმინდანი დედოფალი შეაძრწუნა თავისი საწუთროული მეუღლის სამგვარმა ღალატმა: ქრისტიანობისადმი, მამისეული სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური გზისგან განდგომამ, ოჯახისა და მეუღლის წინაშე ჩადენილმა ღალატმა, რადგან მისთვის როგორც ვარდან მამიკონიანის ასულისათვის მიუღებელია მამაპაპეული გეზის უარყოფა სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. წმინდა დედოფლის მამამთილი, არშუშა პიტიახში, სამარტვილეთა აღმმართებლად და ეკლესიათა აღმშენებლად, ეროვნული იდეალებისა და ქრისტიანული რელიგიის ერთგულად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცოდა არშუშას გამაზდეანების ამბავი, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს მოჩვენებითი იყო. წმ. შუშანიკს ახსოვს თავისი და ვარსქენის მამების თანამოაზრეობა,

რაც ოჯახური ურთიერთობითაც იყო განმტკიცებული. არშუშა და წმ. შუშანიკის ბიძა, მამის ძმა ჰმაიკი ქვისლები იყვნენ, ვარდან და ჰმაიკ მამიკონიანების ომში დაღუპვის შემდეგ მათ ოჯახებზე არშუშამ იზრუნა, მათი დაობლებული შვილები ცურტავში წაიყვანა და თავის შვილებთან ერთად აღზარდა. თხზულების მიხედვით ჩანს, რომ წმ. შუშანიკი კარგად იცნობდა არშუშა პიტიახშის ოჯახის წევრებს და, ცხადია, ყველაზე უკეთ მან იცოდა ვარსქენის ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც, მისი გულგრილი დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, რის გამოც ყველას ევედრებოდა, რომ მისი ულმერთო მეუღლე მოექციათ ჭეშმარიტ რწმენაზე. მაგრამ ვარსქენისაგან „არა იყო სმენაჲ, არცა გაგონებაჲ“. საკუთარი მიზნების აღსასრულებლად სპარსეთში სამეფო კარზე მყოფმა ჩაიდინა სამგვარი ღალატი: საქვეყნო საქმის, სარწმუნოებისა და ოჯახის წინაშე, ვარსქენის სივრცული არეალი ოფიციალურად სპარსულ-მაზდეანური გახდა, თუმცა, თხზულებიდან ჩანს, რომ არც მაზდეანია და არც ქრისტიანი. იაკობ ხუცესმა წმ. შუშანიკის სიტყვებში ჩააქსოვა მამა-შვილის წინააღმდეგობრივი საქმიანობა, რაც „სხუად“ გარდაქცევადაა მიწოდებული მკითხველისათვის//მსმენელისათვის.

„წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“, როგორც „წმ. შუშანიკის წამებაში“, ერთ-ერთ თარგუმშია ნახსენები **„სხუა“** „უცხოს“ ნაცვლად სივრცული გადაადგილების, სამყაროს ცვლის მნიშვნელობით ბიბლიური მონათხრობის მიხედვით, როდესაც წმ. ევსტათი მარზპანს უამბობს მამამთავარ აბრაამის შესახებ: ღმერთმა „ჰრქუა აბრაჰამს: „გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარგიყვანო შენ **სხუად** ქუეყანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა“[18]. თხზულებაში „უცხოს“ ნაცვალი სიმბოლური გააზრება ეკისრება ლექსიკურ ერთეულს „სხუა“, რომელიც სივრცული გადაადგილების სიმბოლური მნიშვნელობითაა დატვირთული. სოდომ-გომორიდან გამოსვლისა და მათი დაქცევის შემდეგ „სხუა ქუეყანა“ იქცა აბრაამისათვის განახლების ადგილად, საიდანაც ჩაეყარა საფუძველი ებრაელთა როგორც ღვთის რჩეული ერის არსებობას. უნდა აღინიშნოს, რომ თვით წმ. ევსტათი მცხეთელი „სხუა“ ქვეყნიდანაა მოსული და მცხეთელთა შორის „უცხოა“ როგორც სპარსეთი-

[18] მარტჳლობაჲ წმიდისა ევსტათისი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქავჭაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 36.

დან, არშაკეთის თემიდან მოსული, უკვე ქრისტიანობაზე მოქცეული, რომელიც მცხეთაში მოინათლა და ჭეშმარიტ ქრისტიანად იქცა.

იოვანე საბანის ძის „წმ. აბოს წამებაში“ „უცხოს“ ღრმა კონტექსტი აქვს. უცხოობა უშუალოდ უკავშირდება წმ. აბოს, რომელიც უცხოა იმიტომ, რომ იგი, თვისთაგან გამოსული, პირველსახემიღებული, უცხოდქმნილი უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე. წმ. აბოს „უცხოობა“ სხვად ყოფნაა და ეს „სხვა“ წინარესაგან განსხვავებულობას მიანიშნებს, რაშიც წმ. აბოს გაქრისტიანებას გვაგულისხმებინებს, წმ. აბოში ქართლის სულიერ განმაძლიერებელს, გამამხნევებელს, სულიერად ამაღორძინებელს მოგვააზრებინებს. „უცხო“ წმ. აბო მკითხველის/მსმენელის წინაშე ყალიბდება ქრისტიანად, მოწამედ.

„უცხოს“ იოვანე საბანის ძის „წმ. აბოს წამებაში“ წმ. აბოს სულიერი გარდასახვის, ჯვარსახოვნებითი სიმბოლური სახის მნიშვნელობა ენიჭება. იოვანე საბანის ძე ამბობს: „ესევითარსა ჟამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამჱ; არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, **უცხოჲ უცხოჲთა** შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეემეცნა“[19]. დამოწმებულ ეპიზოდში გაორმაგებული „უცხო“ – „უცხო უცხოჲთა სჯულითა“ – ერთდროულად გულისხმობს სხვა ტომის წარმომადგენელსა და მის ადრეულ, განსხვავებულ რელიგიას, მუსლიმობას, ე. ი. „**უცხოჲ უცხოჲთა** შჯულითა“ ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებას მიუთითებს, რაც წმ. აბოს პიროვნების არსს წარმოგვიდგენს. იოვანე საბანის ძე „წმ. აბოს წამების“ მრავალმხრივ საყურადღებო მეოთხე თავში ქართველთა ეროვნული სულისკვეთების აღძვრის მიზნით წმ. აბოს მაგალითად მოიხმობს, რომელმაც, ტომით არაბმა, აგარეანმა, **უცხომ უცხოჲთა** შჯულითა მოსულმა ქრისტე იწამა, რითაც ქართველებს სარწმუნოება განუახლა, რაც ესოდენ აუცილებელი და საჭირო იყო იმ ეპოქის ქართველი ერისათვის, რადგან ქართველები აღრეულნი იყვნენ „უცხო“ ერში და საჭიროებდა სულიერ განახლებასა და გაძლიერებას: „შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა **უცხოსა**, შჯულითა განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუ-

[19] იოვანე საბანის ძე. წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 50.

ნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტჱსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი“[20]. მეოთხე თავში კიდევ ერთგანაა წმ. აბო უცხოდ წარმოდგენილი: „შენ ნათესავთა შენთა **უცხო** და განგდებულგყევეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგიპყრა თჳსსა მას ეკლესიასა!“[21]. წმ. აბო საკუთარმა მოდგმამ, ტომით ნათესავებმა უცხო-ქმნეს და თავიანთი წრიდან განაგდეს; „ნათესავთა შენთა **უცხო** და განგდებულგყევეს“ გულისხმობს იმას, რომ ეთნიკურმა არაბებმა, წმ. აბოს ტომით ნათესავებმა, უცხოდ აქციეს თანატომელი წმ. აბო და მოიკვეთეს. მაგრამ არაბთათვის „უცხომ“, იესო ქრისტემ წმ. აბო ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოარჩია და თავისი ეკლესიის წმინდანი გახადა. იოვანე საბანის ძის ფრაზა „შენ ნათესავთა შენთა **უცხო** და განგდებულ-გყევეს“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ არაბები, მუსლიმები შეეცადნენ წმ. აბოს დაყოლიებას მამაპაპეულ სჯულზე, ფაქტობრივად, „უცხოსაგან“ გათავისუფლებას, მაგრამ წმ. აბოს მრწამსი უკვე თავის მამაპაპეულ მრწამსსაა გაუცხოებული, მისი რელიგიური თვალთახედვა სხვაა, ქრისტიანულია და უკვე მუსლიმობაა მისთვის „უცხო“, სხვა. არადა, მკითხველმა//მსმენელმა იცის, რომ წმ. აბო დაბადებიდანვე მუსლიმი იყო, რაზეც იოვანე საბანის ძემ წმ. აბოს შესახებ საუბრის დაწყებისთანავე განაცხადა: „ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჲსა, და არა თუ **უცხოჲსაგან თესლისა,** არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად“ (ძეგლები, 1963/1964: 56). ამ კონტექსტში „უცხო“ არაბობას ნიშნავს, ე.ი. აბო სხვა არაა, იგი არაბია და მუსლიმია. წმ. აბო შემდეგ გახდა არაბთათვის „უცხო“//სხვა, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოება აღიარა და ნათელ-იღო.

ყოველივე ზემოთქმული „უცხოს“ შესახებ წმ. აბოს ცხოვრების ორ პერიოდს მიუთითებს: 1. არაბთათვის იგი თვისია, მუსლიმია და არაა **უცხოჲსაგან თესლისა,** არამედ სრულიად არაბიელთა წარმომადგენელია; 2. არაბთათვის იგი „უცხოა“, სხვაა, რადგან იგი გაქრისტიანდა. მისი „უცხოობის“ საფუძველი მისი სარწმუნოებრივი ცვლაა, ქრისტიანული რელიგიის აღიარება, მიღება და მუსლიმურისაგან განდგომაა, ე.ი. არაბ-

[20] იოვანე საბანის ძე, გვ. 79.
[21] იოვანე საბანის ძე, გვ. 80.

თაგან გაუცხოებაა.

„წმ. აბოს წამებაში“ უცხოობა მხოლოდ ჰაგიოგრაფიული გმირის ცხოვრებასა და ღვაწლს არ ეხება, იგი ქართველთა თვითშემეცნებისა და ეროვნული თვითშეგნების გამოხატვაცაა, რადგან იოვანე საბანის ძე თავისი თანამედროვე ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში ხედავს საფრთხეს, რაც გულისტკივილით აღმოთქვა ფრაზით **„აღვერიენით ერსა უცხოსა“,** რაც ქრისტეს სჯულისაგან ქართველთა განდგომას ნიშნავს სხვადასხვა მიზეზის გამო. სწორედ ამ დროს არაბთაგან გაუცხოებული წმ. აბოს გამოჩენა ქართლში ნიშანსვეტად მოევლინა ქართველ ერს და მწერალი-ჰაგიოგრაფი საგანგებოდ აღნიშნავს წმ. აბოს დამსახურებას ქართველი ერის ქრისტესკენ მიბრუნებაში, წმ. აბომ ასწავლა ქართველ ერს შიში და სიყვარული ღმრთისა, რაც მუსლიმური რწმენისაგან უცხოდყოფას და ქრისტიანობისაკენ მიბრუნებას მოასწავებდა. „წმ. აბოს წამებაში“ „უცხოს“ რელიგიური, ეთნიკური და სულიერი ღირებულება აკისრია.

„დავითისა და ტირიჭანის საკითხავშიც“ სივრცული სამყაროს, გეოგრაფიული სივრცის ცვლის მნიშვნელობითაა „უცხო“ გამოყენებული. ანონიმი ავტორი მკითხველს/მსმენელს უამბობს დედისა და მისი მცირეწლოვანი შვილების მიერ მშობლიური გარემოს იძულებითი დატოვების შესახებ, რის გამოც სხვა, უცხო გარემოში გადასვლა დასჭირდათ: „და სიმაგრესა მის ადგილისასა გულპყრობილ იყვნეს დევნისათჳს დედის ძმისა თჳსისა. დაემკჳდრნეს მუნ და ცხომდებოდეს ღმრთის მსახურებით. ხოლო სამკჳდრებელისა მათისაჲ და **უცხოებისაჲ** ვერ იკადრებდა, არამედ მცირესა მას და კნინსა საფასესა ზედა იხარებდა, რამეთუ საშუებლად და სიმდიდრედ მათა იყო შჯული იგი ქრისტჱსი“[22]. ხსენებულ კონტექსტში „უცხოება“ სხვა ქვეყანაში გადასვლას ნიშნავს, რაც იძულებითი ნაბიჯია ფიზიკური გადარჩენისათვის.

„წმ. აბიბოს ნეკრესელის წამება“ წმ. აბიბოსს, ნეკრესის მთავარეპისკოპოსს, წარმოაჩენს მაზდეანური რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებად, რომელმაც ვერ იგუა უცხო რელიგია, მის მიერ ღმერთად აღიარებული ცეცხლი და დაშრიტა იგი: „ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი, სამ[თავ]როჲსა კახეთისაჲ, აღ[იძრა] შურითა საღმრთოჲთა და ვერ თავს-იდვა **უცხოჲსა** მის სამსახურებელისა მათისა

[22] საკითხავი დავითისა და ტირიჭანისი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 187.

მახლობელად მისა ყოფად და დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი“[23], რასაც მოჰყვა მისი წამება მაზდენათაგან.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ რამდენიმე ეპიზოდშია ნახსენები „უცხო“, რომელსაც ყოველ კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებული ღირებულებისაა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ ქართველ ბერ-მონაზონთა დაცვა ეკლესიის მამასახლისისაგან, როდესაც ღვთისმშობელმა ჩვენებაში განუცხადა, რომ ეკლესიის ნანგრევებს შეფარებულნი მისი წილხვედრილი ქვეყნის შვილები არიან, მათი ვერშემწყნარებელნი მისი მტრები არიან, რამაც შეაძრწუნა მამასახლისი და შეინანა თავისი საქციელი. თხზულებაში აღნიშნულია საქართველოს წილხვედრილობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი: „ჱ, უბადრუკო, რაჲსა ინებე განძებად **უცხოთა** მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს ძისა და ღმრთისა ჩემისა და დაუტეობია ქუეყანაჲ მათი, და არა დაიმარხე მცნება იგი **უცხოთა** და გლახაკთა შეწყნარებისათჳს, ვითარ-იგი ეტყჳს მდიდარსა მას უფალი ჩემი და ძჱ ჩემი. ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკჳდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვნებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა, ვინაჲთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისა და ნათელ-იღეს“[24]. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეახსენა, რომ უცხოთა და გლახაკთა შემწყნარებლობა ღვთისაგან მოდის და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებადაა მიჩნეული ქრისტიანულ ლიტერატურაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ეპიზოდი, როდესაც წმ. ილარიონმა აღნიშნა უცხოთა და გლახაკთა შეწყნარების აუცილებლობა, რაც ყოველგვარ მოსახვეჭელს აღემატება: „მაშინ მოუწოდა მთავარსა მას და ჰრქუა: „ჱ, მთავარო, კეთილად ჰყავ, რამეთუ შემიწყნარე! გლახაკი ესე და **უცხოჲ.** მოგეცინ შენ უფალმან სასყიდელი სიყუარულისაჲ, რომელმან-იგი **უცხო ქმნულნი** ესე **უცხოებითა** თჳსითა დამაგნა ღმერთსა და მამასა.

[23] აბიბოს ნეკრესელის წამება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 242.

[24] ილარიონ ქართველის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 20.

ამიერითგან ისწრაფე შეწყნარებად გლახაკთა და მონაზონ და უმეტესად **უცხოთა.** ეკრძალე მოხუეჭისაგან გლახაკთაჲსა და ყოვლისავე უმშჯავროჲსა და უსამართლოჲსა საქმისა, რაჲთა მოწყალებამან ღმრთისამან დაგიფაროს ცხორებასა ამას შინა და საუკუნედ ზიარ-გყოს სუფევასა წმიდათა თანა“[25].

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ მოთხრობილია იმის შესახებ, როგორ ზრუნავდა ბერძენთა მეფე, იმპერატორი ბასილი პირველი ხანდაზმული ბერების სამყოფელზე და სხვათა აშენებულ მონასტერში ამკვიდრებდა, მაგრამ ბერებმა უარი განაცხადეს, რადგან არ შეიძლებოდა, არა უხმდა უცხო ბერებისაგან სხვათა მიერ აღშენებულ ტაძარში დამკვიდრება, რაც მეფეს წყევლად შეუბრუნდებოდა; მათი ეს სიტყვა გახდა შემდგომში რომანაწმიდად წოდებული მონასტრის აშენებისა: „არა გუერგების ჩუენ სხუათა აღშენებული მონასტერი, ჵ მეფეო, რაჲთა ჩუენ დავიპყრათ **უცხოთა** კაცთა და იგინი განვასხნეთ, რომელთა აღუშენებიეს, რათამცა წყევაჲ მოვატყუათ მეფობასა თქუენსა, არა ვყოთ ეგე, არამედ, უკუეთუ გნებავს, განვიდეთ უდაბნოსა ადგილსა, სადაცა ენებოს ღმერთსა, და მუნცა აღგკშენე ეკლესიაჲ, რათა ელოცვებოდის მეფობასა თქუენსა“[26].

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“ მოწმობს უცხოთშეწყნარების აუცილებლობას, რაც ბიბლიურ-ევანგელური მოძღვრებითაა მოტივირებული: „მაშინ ესმა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: „მოიღეთ **უცხოთ-შეწყნარებაჲ!**“ და მოიღეს მცირჱ, ვითარცა მარცუალი იფქლისაჲ, და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და შთააგდეს იგი [მას შინა]. მაშინღა იწყო კუამლმან მან და ცეცხლმან სრულიად განქარვებად. აწ ისწრაფე შეწყალებაჲ **უცხოთა** და გლახაკთაჲ“[27].

თხზულებიდან ცნობილია, რომ წმ. ილარიონის ნეშტი კონსტანტინოპოლში დააკრძალვინა იმპერატორმა, მაგრამ წმინდანმა არ ისურვა სამუდამო განსასვენებლად იქ დარჩენა და მეფემაც რომანაწმიდაში გადაასვენებინა წმ. ილარიონის ნეშტი ჩვენების მიხედვით, რაც წმ. ილარიონმა დაუმადლა და მოუწონა: „და ვითარცა მიერულა მეფესა, გამოუჩნდა წმიდაჲ ილარიონ შემოსილი ზეწარითა და ჰრქუა მეფესა: „კეთილად ჰყავ შეწყნარებაჲ ჩემი **უცხოჲსაჲ,** არამედ სურნელებაჲ რომელი იყნოსე, მე არა მომიგიეს ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა შინა. აწ უკუეთუ გნე-

[25] ილარიონ ქართველის ცხოვრება, გვ. 27.
[26] ილარიონ ქართველის ცხოვრება, გვ. 32.
[27] ილარიონ ქართველის ცხოვრება, გვ. 33.

ბავს, რათა მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე უდაბნოსავე ადგილსა"[28]. კონტექსტი მიუთითებს, რომ წმ. ილარიონი ბიზანტიაში მისული უცხოა, ე.ი. მისი ეთნიკურობაა აქცენტირებული.

„წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ბიბლიური თხრობის კვალობაზე მკითხველს/მსმენელს აცნობს წმ. სერაპიონ ზარზმელისა და მისი თანმხლები ბერების მიერ საეკლესიო ადგილ-მამულის შემოსაზღვრის ამბავს და აღნიშნავს: „მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა ჰასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინაჲთგან ადგილსა ამას წადიერ არიან; და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწეველი მათდა **უცხოებისათჳს**, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა"[29]. ეპიზოდი მიუთითებს, რომ წმ. სერაპიონ ზარზმელისა და მისი თანმხლები ბერები სხვა მხარიდან მოსულნი არიან და ამიტო იწოდებიან ისინი „უცხოდ", მაგრამ მათ მიერ ეკლესიის აშენება სამცხეში ღვთის ნებით სამცხელ დიდგვაროვანთა და სასულიერო პირთა თანხმობით ხორციელდება.

„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" მოგვითხრობს წმ. გრიგოლისა და მისი თანამოაზრეების კლარჯეთისაკენ სვლას, რაც მათი უცხოებითაა სახელდებული, რომლის მნიშვნელობა წმ. გრიგოლმა დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით გამოხატა: „მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუაჲ იგი დავითისი, ვითარმედ: „რაჲ-მე კეთილ, ანუ რაჲ-მე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაჲ ძმათაჲ ერთად!" რამეთუ ვითარცა თქუა ქრისტემან სახელისა მისისათჳს შეკრებულთა შორის დამკვიდრებაჲ თჳსი, ეგრეთვე იყავნ ჩუენ შორის თავადი უფალი, რაჲთა სათნო **ეყოს სულიერი ესე საგრობაჲ ჩუენი უცხოებასა შინა** და რაჲთა შეწირულ იყოს მსახურებაჲ ჩუენი სათნოდ მის წინაშე"[30]. ერთ სულად შენაწევრებული ოთხი სულიერი ძმის მოსაგრეობა **„უცხოებასა შინა"** მტრისგან აოხრებულ, შემუსრვილ მიწაზე დიდი სამონასტრო აღმშენებლობის საწინდარი უნდა გახ-

[28] ილარიონ ქართველის ცხოვრება, გვ. 36.

[29] სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 328)

[30] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 252.

დეს, რასაც მოჰყვება წმ. გრიგოლის გულმხურვალე ლოცვა ხანცთის მონასტრის მშენებლობის დაწყების წინ და სამონასტრე ადგილის კურთხევა: „ხოლო წმიდამან გრიგოლ გონებითა შემუსრჳლითა ლოცვაჲ ესე ცრემლით ჴელგანპყრობით წართქვა: „ჟამსა ამას **უცხოებისა** და უპოვარებისა ჩვენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ განმმზადებელი ჩუენთჳს ადგილსა ამას კეთილსა განსასვენებელსა ნებისა შენისასა, რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთჳს დღისა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო!“[31]. სულიერად შეკრულ ძმებს არ აშინებთ უპოვარება, ბოროტი, რადგან მათ ამხნევებთ და აძლიერებთ ღმერთი.

ხანცთის მიდამო ბერი ხუედიოსის მიერ ნაკურთხია, ანგელოზებრივი ღვაწლით რომ იცხოვრა და მზადაა შეუერთდეს უცხო ბანაკს და ხანცთაში მისულ წმ. გრიგოლს, საბას, თეოდორესა და ქრისტეფორეს დალოცავს, ღვთის თანადგომას უსურვებს: „ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და კაცთმოყუარებისაჲ იყავნ თქუენ თანა ყოვლადვე. არამედ ჩემთჳს ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, რამეთუ მივალ დღეს **ბანაკსა უცხოსა** და ღმრთისა საყდართა საშინელთა!“ წმინდა მამები ამხნევებენ ხუედიოსს: „არა ხარ **უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა,** რომელთა თანა სულითა მარადის იხარებ წინაშე ქრისტესა, არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ ადგილსა შენისა წმიდისა მკჳდრთა და ნერგთა მადლისა შენისათა“[32]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხუედიოსის ზეცად ამაღლების წინ საუბარი მის **უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა** აღსვლის შესახებ, რაც „უცხოობას“ როგორც დროსივრცული სიმბოლურ-მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთ ქვაკუთხედად წარმოგვიჩენს, როდესაც ავტორი სოფელსა და ზესთასოფელს გაუთიშავად წარმოსახავს. ეს ფრაზა განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ხუედიოსის ანგელოზად ხსენების მხრივაც, რადგან გიორგი მერჩულემ ანგელოზებრივი ღვაწლით მცხოვრებად მიიჩნია ხუედიოსი, მარტოდმყოფი ბერი, მეუდაბნოე, მემღვიმე, რომელმაც წმ. გრიგოლ ხანცთელს სთხოვა, რომ მის გარდაცვალებამდე ხანცთაში ეკლესია არ აეგოთ, რითაც ხუედიოსს ღმერთისათვის მარტოდმყოფობის თაობაზე მიცემული სიტყვის აღსრულება შეეძლებოდა. ხუედიოსის მემღვიმეობა და მისი მღვიმეში გარდაცვალება სიმბოლური ღირებულებისაა, რადგან მღვიმე წინაქრისტიანულ კულტურულ მემკვიდრეობასა და ქრისტიანულ მწერლობაში იმ ადგილად არის აღიარებ-

[31] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, გვ. 256.
[32] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, გვ. 258.

ული, საიდანაც იწყება ახალი სულიერი ცხოვრება, ახალი სულიერი ეპოქა.

წმ. გრიგოლის უცხოობას აღნიშნავს დიდგვაროვანი ფეოდალი გაბრიელ დაფანჩული, როდესაც აშოტ კურაპალატს აუწყებს კლარჯეთში გაუქმებული უდაბნოების აღსაშენებლად წმ. გრიგოლისა და მისი თანამოაზრეების მისვლას, მათ უდიდეს სულიერ მისიას: „ამისა შემდგომად ღმრთისმსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ და **უცხოებაჲ** და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ და მონაფეთაგანვე ცნობაჲ დიდებულებისაჲ წმიდისა მის მშობელთაჲ“[33]. კონტექსტის მიხედვით უცხოება წმინდა მამათა სივრცული გადაადგილების მიმანიშნებელია.

განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობისაა ზენონის შესახებ გიორგი მერჩულის წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიც მოიაზრება ორი განსხვავებული საზოგადოებრივი სამყარო//სივრცე, რადგან ზენონის გადაწყვეტილება მონაზვნად აღკვეცის თაობაზე მისი ცხოვრების ორ პერიოდს წარმოაჩენს: ბერად აღკვეცამდე და ბერად აღკვეცის შემდეგ: „და ზენონ გულს-ეტყოდა, რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჳთმცა იქმნა **მონაზონ უცხოებასა შინა**“[34]. ზენონი ტოვებს მატერიალურს და მხოლოდ სულიერებაზე ფიქრობს, სულიერ ცხოვრებას იწყებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. გრიგოლის განმარტებები არამართლმადიდებელთა ნათლობის შესახებ, რის თაობაზეც კითხვა დაუსვა ოპიზელმა მამამ, მაკარიმ: „ხოლო მე ამას ვიტყჳ, ვითარცა ყოველთა უწყით, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა შვილთა მწვალებელი მღდელი ვერ მოჰნათლავს, ...რამეთუ **უცხო ქმნულ** არიან წმიდისაგან დედისა ჩუენისა მხოლოჲსა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა. სცთებიან საშოჲთგან, რომელ საგონებელ არს მათთჳს მეორედ შობა, და იტყჳან სიცრუესა, რამეთუ მარადის ნაცილსა ქადაგებენ და ცილსა წამებენ შეჩუენებულნი იგი წმიდათა მამათა ჩუენთა მოძღუართა მიერ“[35]. წმ. გრიგოლმა დამოძღვრა მაკარი მღვდელი, რომ მწვალებლობა მიუღებელია, „უცხო ქმნულ“ არიან კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისასაგან, რაც „უცხოს“ განსხვავებულად მოგვააზრებინებს და მიუთითებს, რომ ამ კონკრეტულ

[33] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, გვ. 261.
[34] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, გვ. 263.
[35] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, გვ. 312.

კონტექსტში „უცხო“ მწვალებლობის მნიშვნელობითაა დამოწმებული.

„წმ. იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“. წმ. გიორგი მთაწმინდელმა „წმ. იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა „უცხოს“. თხზულებაში დეტალურადაა მოთხრობილი, თუ როგორ დააფუძნა მთაწმინდა, ივირონის მონასტერი, წმ. იოვანე მთაწმინდელმა და სულიერ სამშობლოდ მოიპოვა იგი, ხოლო წმ. ეფთვიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელებმა წმ. იოვანეს მიერ მოპოვებული განავრცეს, განამტკიცეს, განაძლიერეს, საქართველოს სისხლხორცეულ ნაწილად აქციეს ივირონი, მაგრამ მთაწმინდაზე ყოფნა და მოღვაწეობა მაინც უცხოობა იყო მათთვის, რაც წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ნათლად იკვეთება; ქართველები ათონზე მაინც უცხოობაში იმყოფებოდნენ, რაც სამშობლოსაგან დაშორებას ნიშნავდა, მათი უცხოობა მისგან შორს ყოფნით იყო გამოწვეული. „ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე, და ამის პირისათჳს კუალად **უცხოებასავე** მიჰმართა. რამეთუ აღიღო ძე თჳსი და რავდენნიმე მონაფენი და მთაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდისა ათანასესსა, და მუნ შეეწყნარა“[36], რომლის მიხედვით წმ. იოვანემ ოლიმპიდან, სადაც უცხოებაში იმყოფებოდა, კვლავ უცხოებას მიჰმართა და ათონზე გადავიდა.

წმ. იოვანე თავისი ცხოვრების მეორე პერიოდში და სასულიერო წიაღში მოღვაწეობის დროს მუდმივად ცდილობდა უცხოდყოფნას, მისთვის არ იყო ათონზე მოსაგრეობა და მოღვაწეობა საკმარისი, რადგან მარტოობა სწადდა. ამიტომ აღეძრა ესპანეთში წასვლის სურვილი, სადაც ქართველთა ნათესავი ტომები ეგულებოდა. განზრახვის სისრულეში მოყვანა არ დასცალდა, რადგან ავიდოსიდან მოაბრუნა ქალაქის თავმა მეფის შიშით. მართლაც წმ. იოვანემ და წმ. ეფთვიმემ მალე მიიღეს მეფეთაგან ესპანეთში წასვლის თაობაზე უარი. მეფემ „დიდითა პატივითა მოიკითხნეს ... და დიდად აბრალეს და ჰრქუეს, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, ჩუენ დიდი სიყუარული გუაქუს სიწმიდისა თქუენისაჲ, და რაჲ არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით ჩუენგან და **უცხოსა** ქუეყანასა წარხუალთ?“ მიუგო ნეტარმან იოვანე და ჰრქუა: „ღმრთის მსახურნო და თჳთმპყრობელნო მეფენო! გლახაკი ესე ერის კაცი ვიყავ სოფელსა შინა

[36] გიორგი მთაწმინდელი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 44.

მყოფი და თანა-მდები ყოვლისა ბრალისაჲ და მენება, რაჲთა **უცხოებასა** სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო და გლახაკებით ვიყოფებოდი და თუ ვითა მოჰჴდა, არა უწყი“[37] . წმ. იოვანე გლახაკებით ყოფას მიელტვოდა, ამიტომ წავიდა ჯერ ოთხთა მონასტერში, საიდანაც იძულებით ოლიმპს მიაშურა, ხოლო შემდეგ ათონზე გადავიდა სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად. თვითონვე აღნიშნა, რომ ვერც ათონზე მოიპოვა სულიერი სიმშვიდე და ამიტომ მიისწრაფვოდა ესპანეთის იბერიისაკენ. წმ. იოვანეს „უცხოება“ არაა მხოლოდ სივრცული გადაადგილების მცდელობა, არამედ მისი სულიერი, შინაგანი მდგომარეობის გამოხატულებაა.

„წმ. იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ორი მნიშვნელოვანი პერსონაჟი, წმ. არსენი ნინოწმიდელი და წმ. იოვანე გრძელის ძე, უცხო ქვეყანაში მოსაგრეობას მიელტვოდნენ და პონტოს უდაბნოებში პოვეს ამგვარი ადგილი: „ამის უკუე მიზეზისათჳს განიზრახეს, რაჲთა წარვიდენ **უცხო** ქვეყანასა. რომელისათჳსცა წარვიდეს კერძოთა პონტოჲსათა უდაბნოთა ადგილთა და მიემთხჳნეს მამასახლისსა ვისმე სულიერსა, რომელმან-იგი სიხარულით შეიწყნარა და მისცა მონასტერი შუენიერი, ადგილსა უდაბნოსა, და ყოველსავე საჴმარსა მათსა უხუებით მისცემდა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამთა ეუწყა მამათა ჩუენთა (ე.ი. ათონელ წმინდა მამებს – ნ.ს.) მათთჳს, ვითარმედ მუნ იყოფებიან. და წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწერეს წიგნები, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გეუწყა სიწმიდისა თქუენისათჳს და ვცანთ მანს ყოფაი თქუენი და ფრიად გულკლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახელოვანსა მთასა მოსვლაჲ, რაჲთამცა თქუენი წმიდაჲ ლოცვაჲ მოგუეღო. აწ ვევედრებით სიწმიდესა თუენსა, რაჲთა მოხჳდეთ და ერთგან ვიყოფებოდით, ვინაჲთგან უწყით, რომელ ჩუენცა **უცხოებასა** ვართ“[38]. ეს ეპიზოდი მოწმობს, რომ წმ. იოვანე მთაწმინდელი, წმ. არსენი ნინოწმიდელი და წმ. იოვანე გრძელის ძე უცხოებაში იმყოფებიან, რაც სამშობლოსაგან შორს ყოფნაზე მიუთითებს. „უცხო“ სივრცულ გადაადგილებას უკავშირდება, რაც დროის პარადიგმაზეც მინიშნებს.

„წმ. იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ მოთხრობილია ეპიზოდი რომაელი მოღვაწის, ლეონის, შესახებ, რომელიც თავის თანამოაზრე მცირე კრებულთან ერთად ათონზე მივიდა. ლეონი ათონზე მისული მართლმადიდებელი ლათინი მოღვაწეა, რომელიც ქართველებმა მიიღეს და ისტუმრეს. წმ. გიორგი მთაწმინდელი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქ-

[37] გიორგი მთაწმინდელი, გვ. 55.
[38] გიორგი მთაწმინდელი, გვ. 56-57.

ტზე, რომ თვითონაც და ახლადმოსული ლეონიც „უცხონი“ არიან: „თქვენცა **უცხოობასა** შინა ხართ და ჩუენცა **უცხოობასა** შინა ვიმყოფებითო“[39], რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მხარეში ყოფნა, სხვა სახელმწიფოში ყოფნა მათთვის „უცხოობაა“, რაც ქართველ მართლმადიდებელ და ლათინ ბერებს აერთიანებთ, აახლოებთ ერთმანეთთან. მწერალმა საგანგებოდ შეაჩერა ყურადღება მათს უცხოობაზე ბერძნულენოვან გარემოში, საბერძნეთის მიწაზე არსებულ მონასტერში, სადაც სხვადასხვა ერის ორმა მართლმადიდებელმა მოღვაწემ და ორმა მართლმადიდებელ სულიერ მამათა კრებულმა ერთმანეთისადმი სულიერი კავშირი და ნათესაობა შეიგრძნო. ამაზე კიდევ უფრო ცხადად მეტყველებს ლეონ ჰრომისა და ქართველი ბერის, გაბრიელის ურთიერთობა, როდესაც ისინი, ერთმანეთის ენის არმცოდნენი, საღმრთო ლიტურგიის აღსრულების შემდეგ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ერთმანეთისა ყველაფერი ესმოდათ, რადგან მათი უცხოდ ყოფნა სულიერ ერთობაში გადაიზარდა. ეს ის გაბრიელია, რომელმაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, შემდგომში კარის ღვთისმშობლის ხატად წოდებული, ზღვიდან გამოაბრძანა და, ხატის სურვილისამებრ, ივირონში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე აგებული ტაძრის კარიბჭეში დააბრძანა.

„წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ სიმბოლურია წმ. გიორგი მთაწმინდელის საუბარი ბაგრატ მეოთხესთან ათონზე დაბრუნების წინ: „ჵ მეფეო, ვითარცა მორჩილ-ვექმენ ბრძანებასა შენსა და დაუტევე ქუეყანაჲ **უცხოებისა** და მწირობისა ჩემისაჲ, სადა-იგი მრავალთა შფოთთაგან განმესუენა, აწ შენ მორჩილ ექმენ სიგლახაკესა ჩემსა, აწცა, ვითარცა მრავალგზის, განმიტევე ქუეყანად მწირობისა ჩემისა, წარმგზავნე ლოცვით და კურთხევით მიმაწიე სამარხოსა მამათა ჩემთა სულიერთასა“[40].

საყოველთაო გლოვა გამოიწვია წმ. გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებამ, რაც იშვიათი მწუხარებით გამოიხატა გიორგი მცირის დატირებაში, რომელმაც მთაწმინდელი წმინდა მამის გარდაცვალება ბიბლიური იაკობის გარდაცვალებასა და გლოვას შეადარა, როდესაც ქართველებიც და სხვა ტომის წარმომადგენლებიც მწარედ დასტიროდნენ

[39] გიორგი მთაწმინდელი, გვ. 65-66.

[40] გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 175-176.

ყველასათვის საყვარელ წმინდა მამას: „ცრემლეოდა ოდესმე **უცხოთესლი** იგი ერი, მამათმთავრისა იაკობისათჳს, და **უცხოჲ** იგი განსაცდელი, ვითარცა თჳსი, განესაკუთრა, რამეთუ იგი, შემდგომად სიკუდილისა, ძეთა მისთა ეგჳპტით გამოიყვანეს, და ყოველი იგი **ერი უცხოჲ** ამის განსაცდელისათჳს **უცხოსა შინა ქუეყანასა** ოცდა ათ დღე და ოცდა ათ ღამე იგლოვდა მის ზედა და მწარედ გოდებდა და ტიროდა. აწ უკუე, ძმანო, ემსგავსენით **უცხოთესლთა** მათ ძმანი ეგე ჩუენნი და ნათესავნი! ზოგად იყო მაშინ **უცხოთა** და თჳსთა ტირილი, ზოგად იყავნ აწცა, და რამეთუ გლოვაჲცა ესე და მწუხარებაჲ ზოგად არს, ამისთჳსცა, აჰა ესერა, ვითარცა სახილველსა შინა წარმოვიჩინები და წინა ვპირობ და ვღაღადებ განსაცდელისა ამის სიმძიმესა“[41]. მოცემულ კონტექსტში „უცხო“ ეთნიკური და დროსივრცული მნიშვნელობისაა.

„უცხო“ საგალობლებშიც გვხვდება და აქაც სხვადმყოფის მნიშვნელობითაა აღჭურვილი. ზოსიმე მთაწმინდელი წმ. ილარიონ ქართველს ბიბლიურ აბრაამს ადარებს და აბრაამივით უცხო გახდა თავისი ქვეყნისთვის: „ემსგავსე შენ, ღმერთშემოსილო მამაო, დიდსა აბრაჰამს და დაუტევე ქვეყანაჲ შენი და **უცხო** იქმენ მისთჳს, რომელიც ჩუენთჳს **უცხო** იქმნა, რაჲთამცა **უცხო** ქმნულნი მამისა წყალობით დამაგნა“[42]. „ქრისტესთჳს **უცხო** ქმნილმან და მსგავსადვე მისმან მოწყალემან არა უგულებელს ჰყავ ტკივნეული ფერჴითა, და ლოცვითა შენითა, ღმერთშემოსილო, მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე“[43]. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი უცხოდაა სახელდებული მისადმი მიძღვნილ საგალობელში: „**უცხოებამან** შენმან, ღმერთშემოსილო, და სივლტოლამან კაცთა დიდებისამან დაგადგინა შენ სასანთლესა მაღალსა, რაჲთა ჰნათობდე სათნოებათა შენთა ელვარებითა ყოველთა ცისკიდეთა“[44]. ამავე საგალობელში წმ. გაბრიელის სახე წარმოგვიდგება როგორც უცხო: „**უცხო** არს სმენაჲ სხჳთა ენითა ზრახვაჲ მღდელ შუენიერისა გაბრიელისა, რაჟამს ენაჲ, რომელი არა იცოდა, ესმა“[45]. „ასწილ მოიღე სოფელსა ამას შინა და მერმესა მას ცხორებაჲ საუკუნოჲ, **უცხო** რაჲ იქმენ თჳსთაგან, იოვანე, და თჳსნი შენნი **უცხოსა ქუეყანასა** ადიდებენ, ღირსო, უფროჲ ადგილისათა“[46]. „იოსების მსგავსად,

[41] გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, გვ. 190-191.
[42] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. მ. ჯანაშვილის რედაქციით. ტფ. 1901, გვ. 179.
[43] ათონის კრებული, გვ. 181.
[44] ათონის კრებული, გვ. 192.
[45] ათონის კრებული, გვ. 193-194.
[46] ათონის კრებული, 195.

ღირსო, განისყიდე ნეფსით თჳსით სჯნიდისისა წამებით **უცხოდ** ქუეყანად, რომლისაცა მსგავსებითა გადიდა ქრისტემან ღმერთმან, გამომზრდელად ნათესავთა იფქლითა მის ღმრთის მსახურებისაჲთა“[47]. „წმიდამან **უცხოებაჲ** ქრისტესთჳს ნეფსით შეიყუარე მიმსგავსებით მისითა და გამოსჩნდი, მამაო, **უცხოთ შემწყნარებელად;** მე, **უცხო ქმნული,** ესე კეთილთა საქმეთაგან საკუთარ მყავ წმიდათა მცნებათა მისთა მეოხებითა შენითა“[48].

სიმბოლურობით დატვირთული წმ. აბოსადმი, წმ. ილარიონისადმი, მთაწმინდელი წმიდა მამებისადმი მიძღვნილ საგალობლებში „უცხო“ როგორც პარადიგმა ბიბლიიდან და ჰაგიოგრაფიიდან შევიდა, მაგრამ ჟანრული სპეციფიკის მიხედვით განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ჰიმნოგრაფიაში დროსივრცულად მხოლოდ ერთი დრო და სივრცე აისახება, ზესთასოფლური დროსივრცე, რაც „უცხოს“ გააზრებაშიც იჩენს თავს. მას გარდასული დროის მიხედვით აკისრია პარადიგმული მნიშვნელობა, რადგან ჰიმნოგრაფიაში წარმოსახული ადამიანი უკვე რეალურ უცხოდ ვერ წარმოიდგინება, რადგან ის მარადიული დროსივრცის მკვიდრია, და უკვე აღსულია უცხოდ მოჩნეულ ზესთასოფლურ სამყაროში.

ამრიგად, ჩვენი კვლევის მიზანი იყო „უცხოს“ შესახებ მსჯელობა დროსივრცული მეტაფორულ-ენიგმური გააზრებით, საზოგადოებრივწოდებრივი, რელიგიური და ეთნიკური თვალსაზრისით, რაც წმინდანის სახის წარმოსაჩენადაა მნიშვნელოვანი. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, საგალობლებში „უცხო“ პარადიგმულ სახედ მოიაზრება, რადგან მისი საფუძველი ძველი და ახალი აღთქმისეული თვალთახედვაა, კერძოდ, ადამისა და ევას შესახებ ბიბლიური მონათხრობი როგორც პირველცოდვის შედეგად სამკვიდროდაკარგულთა სხვა, „უცხო“ სამყაროში, ამქვეყნიურ, წუთისოფლურ სივრცეში გაძევებულთა და „უცხო“ სივრცეში დამკვიდრებულთა შესახებ, რაც გახდა „უცხოს“ სიმბოლური გააზრების საფუძველი და რაც ბიბლიურ არქეტიპებს ჰიპოდიგმურად მოგვააზრებინებს. „უცხო“ თეორიულ-თეოლოგიურად განზოგადებულად განხილულია წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაში „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“. წმინდანმა, ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის ზოგადი მხატვრული სახის ნიშან-თვისებით შემკულმა და მაცხოვარს მიახლოებულმა ადამიანმა, უნდა მოიპოვოს ზესთასოფლის მკვიდრობა, ზეციური მოქა-

[47] ათონის კრებული, გვ. 197-198.
[48] ათონის კრებული, გვ. 200.

ლაქობა, რაც „ორსავ სოფელსა შინა“ უცხოდმყოფობის გამოხატულებად აღიქმება. დროსივრცული თვალსაზრისით იგი მიუთითებს ადამიანის, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული პერსონაჟის, გმირის ამქვეყნიურ და ზესთასოფლურ არსებობაზე, ჰაგიოგრაფთა და ჰიმნოგრაფთა მიერ სამყაროს ერთიან სისტემაში აღქმაზე, რადგან უცხოდყოფნა ორსავ სოფლის არსებობის მიმანიშნებელია.

Nestan Sulava
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

FOR THE HYPODIGMATIC UNDERSTANDING OF "STRANGER" IN GEORGIAN HAGIOGRAPHY AND HYMNOGRAPHY

Summary

"Stranger" acquires a hypodigmatic meaning after the biblical creation process, when the first created Adam and Eve, as a result of the Fall, left the paradise that God had given them as their abode. They became alienated from the paradise world, leaving paradise for a foreign world, which was expressed in the paradigmatic lexical unit "stranger". The concept is often used in theological literature, especially in ascetic-mystical, exegetical, hagiographic, hymnographic, and homiletic works, in several contexts: 1. To denote ascension to the heavenly realm, 2. To denote leaving the homeland, and 3. To denote going to another world.

The essential meaning of alienation is explained in the Old and New Testaments, in Christian theological literature. Following the evangelical-apostolic teaching, the saints are presented as "strangers" in a multifaceted sense, because, first of all, they are different, in a foreign/other country; i.e., the spirituality of the saint is embodied in the "stranger." St. Gregory of Nyssa explained the theoretical-theological basis for understanding the "stranger." From his point of view, the Saviour became a stranger to humanity, which allows the latter to see all the worldly delights around him with the purified eyes of the soul, because "strangership," in a mystical sense, is devotion to the angelic nature and liberation from carnal desires and worries about them. In the words of St. Gregory of Nyssa, the foreign, the alien-made is "something that has been made into something higher." Alienation is directly related to the saints, who are alien because they, having emerged from themselves, having been taken from the beginning, having been made alien, must appear before the Most High. Alienation is being different; this "other" indicates a difference from the predecessor. In the faces of the saints we are reminded of a spiritual existence, an orientation towards spirituality; they are not motivated by material

things. According to all of this, the earthly life, merit, and martyrdom of the saints are understood in the light of the perception of time and space on the basis of their "foreignness." In Greek hagiography, the departure of the saints to another world is marked by the word "ξένος", which, like the Georgian "foreigner", has a different semantic understanding.

From a lexical point of view, Sulkhan-Saba Orbeliani's definition of "stranger" in the dictionary, which is understood as "other", is important. In hagiography and hymnography, "stranger" means being different from others, which is of great importance in representing the nature of a saint. "Stranger" has a temporal and spatial value, because the "strangership" of a saint follows his departure to another world, which separates him from the time spent in his homeland. Accordingly, the strangeness of the saints is to be explained on the basis of a deep mystical understanding. In presenting the virtues of the saint, hagiographers and hymnographers placed special emphasis on renunciation from the world, on strangeness as a departure from the homeland, that is, on being different, on the desire to leave one's native environment and go out into the outside world, which is based on the Old Testament and evangelical-apostolic teaching; St. Gregory of Nyssa considered "foreign" as one of the main pillars of the saint's acquisition of divine citizenship.

"Foreign" is confirmed in Georgian hagiography and hymnography, specifically in all the texts of "The Conversion of Kartli", in which St. Nino is perceived as foreign; in Iakob of Tsurtavi's "The Martyrdom of St. Shushanik", in which the synonym for foreign – "other" is used to denote spatial and essential difference; in "The Martyrdom of St. Eustathius of Mtskheta", in which the biblical patriarch Abraham, who sought the Promised Land, is considered as "other"; in "The Martyrdom of St. Abo" by Iovane Sabanisdze, in which St. Abo's "foreignness" has a symbolic meaning of faith, geographical space and sacred time; In hagiographic works about the Assyrian fathers and martyred children, mainly, the geographical space, and therefore the hagiographic spatiotemporal mission, is assigned to it; in "the Martyrdom St. Constanti Kakhi", in "St. Gobron's Martyrdom" by Stephane Mtbevari, in all editions of "St. Hilarion the Georgian's Life", in "St. Serapion Zarzmeli's Life", "stranger" is connected with the spatiotemporal movements of the main characters; in "St. Gregory Khantseli's Life" by Giorgi Merchule it is found with various meanings: it heralds novelty in the activities of the characters, it is a herald of the spatiotemporal movement of the characters, it is emphasizes the social class of the character; in In the "Life of St. Jovane and Euthime" by

Giorgi Mtatsmindeli, in the "Life of St. George Mtatsmindeli" of Giorgi Mtsire, it acquires an ethnic, religious, and temporal symbolic meaning; in the hymns about St. Nino, St. Abo, St. Shio Mgvimeli, St. Hilarion Georgian, St. Jovane and Euthime, St. Giorgi Mtatsmindeli and St. Iodasaph, there is one temporal dimension and the saints are already represented as settled in the heaven. In each of the above-mentioned texts, the saint departs from his/her native environment; passes into another spatial world, which becomes the initial stage of a new life. "Stranger" presents the time and space of each saint, which requires an understanding of the chronotopic essence; it is a paradigm with several meanings and is used in hagiography and hymnography with various missions. These are religious, ethnic, social class, and temporal-spatial. Based on the understanding of the "stranger" and its analysis, it becomes clear that each saint appears before the reader/listener as someone who has emerged from his own and has been taken for granted, who must be presented to society transformed into a stranger, and ultimately presented to the Supreme. "Stranger" from a temporal-spatial point of view indicates the mundane and supramundane existence of a person, a hagiographic and hymnographic character, and the perception of the world in a unified system by hagiographers and hymnographers, because being foreign is an indication of the existence of a dual world.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

მამუკა წურწუმია
ისტორიის დოქტორი

შუა საუკუნეების ქართული სამხედრო აღჭურვილობა ხელოვნებასა და რეალობაში

პოლონელმა მკვლევარმა პ. გროტოვსკიმ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში *Arms and Armour of the Warrior Saints*, რომელიც რეალობისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების საკითხებს იხილავს, რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა: 1) რომ ბიზანტიური ხელოვნება, რომელიც ხშირად იმეორებდა კლასიკურ მოტივებს, ამასთანავე აქტიურად ნერგავდა ახალ ელემენტებს, და რომ 2) ახალი მოტივების შემოტანა ტრადიციული კომპოზიციის ფარგლებში ხდებოდა, ძველი სტრუქტურის ნგრევის გარეშე.[1]

საინტერესოა ვნახოთ, თუ რამდენად ვრცელდება ეს დებულებები კონსტანტინოპოლიდან ისეთ დაშორებულ მხარეზე როგორიც საქართველოა.

წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს ამ დებულებების ჭეშმარიტებას ქართულ ხელოვნებაში ისეთი მაგალითების შუქზე, როგორიცაა ცხენის აბჯრისა და წაგრძელებული შუბის გამოსახულებები, რომელთა დანერგვასაც უნდა გამოეწვია ცვლილებები დამკვიდრებულ კომპოზიციაში.

ამ მაგალითების მოხმობით ვაჩვენებთ, თუ როგორ ცდილობდა ქართულ იკონოგრაფია აესახა ახალი რეალობები სამხედრო ხელოვნებასა და აღჭურვილობაში და არსებული ტრადიციის გათვალისწინებით რისი ასახვა შესძლო და რა ვერ მოახერხა მან.

[1] Piotr L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261). Translated by Richard Brzezinski. Leiden. 2010, გვ. 311, 395.

ცხენის აბჯარი

როგორც ცნობილია, ქართულ, ისევე როგორც ბიზანტიურ, იკონოგრაფიაში შეჯავშნული ცხენის ერთეული, ისიც გვიანი გამოსახულებები მოგვეპოვება.[2] ამავე დროს გვაქვს უტყუარი წერილობითი ცნობები შუა საუკუნეების ქართული ცხენის აბჯრის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ ბიზანტიურზე. ცხენის აბჯარი დადასტურებულია ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში. მონაცემებით მდიდარია ქართული ლიტერატურული წყაროებიც, რომლებიც გვაწვდიან მრავალფეროვან მასალას ცხენის აბჯრის შესახებ.

საკმარისია მოვიყვანოთ XI საუკუნის ბიზანტიელი ავტორის მიხეილ ატალიატეს მაგალითი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ბიზანტიელებთან 1021-22 წლების ომში ქართველთა „სიმამაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცული და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც ყოველი მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ".[3]

წინააღმდეგობა წერილობით წყაროებსა და იკონოგრაფიულ მონაცემებს შორის აიხსნება მართლმადიდებლურ ხელოვნებაში დამკვიდრებული, ყველასათვის საერთო ხატწერის ტრადიციით, რომელსაც თავისი კანონიკა ჰქონდა და რომელშიც თავიდანვე არ ასახულა შეჯავშნული ცხენი.

პ. გროტოვსკიმ აჩვენა, რომ ბიზანტიაში იკონოგრაფიული ტრადიციონალიზმი უშვებდა ახალი მოტივების დანერგვას მხოლოდ კომპოზიციის ფარგლებში და არ ანგრევდა მთლიან სტრუქტურას ისეთი ელემენტის შემოტანით, როგორიც ცხენის აბჯარია.[4]

იკონოგრაფიული კომპოზიციის ფარგლებში ახალი ელემენტების შეტანა შედარებით ადვილია, როდესაც საქმე გვაქვს იარაღის ცალკეულ ტიპებთან, მახვილის ტარის ცვლილებასთან, სწორი მახვილის ჩანაცვლებასთან მოხრილით, მშვილდისა და კაპარჭის დამატებასთან, აბჯრის ცალკეული ელემენტების შემოღებასთან და ა.შ. სულ სხვა საკითხია წმინ-

[2] იხ. მამუკა წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბ. 2016, გვ. 589-590.

[3] მიხეილ ატალიატე. ისტორია. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. VI. თბ. 1966, გვ. 27; Michael Attaleiates. The History. Translated by Anthony Kaldellis and Dimitris Krallis. Cambridge. MA. 2012, გვ. 427.

[4] Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography, გვ. 395-397.

და მეომრების აღჭურვილობაში ცხენის აბჯრის შემოტანა, რაც გაცილებით დიდ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, რის გამოც მართლმადიდებლურ ხელოვნებაში ცხენის აბჯრის დამკვიდრება არ მომხდარა.

ერთადერთი დეტალი ცხენის აბჯრიდან, რომლის რამდენიმე გამოსახულებამაც ჩვენამდე მოაღწია, არის ლითონისაგან დამზადებული ცხენის კისრის აბჯარი – *კრინეტი*.

კრინეტი გამოსახულია XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებზე: წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს რელიეფებზე ნიკორწმინდის დასავლეთის კარის ტიმპანზე (სურ. 1), ნიკორწმინდის აღმოსავლეთის ფასადზე გამოსახულ წმინდა მეომრების ცხენებზე (სურ. 2), ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთისა (წმ. გიორგი) და ჩრდილოეთის კედლის (წმ. თევდორე) ფრესკებზე (სურ. 3).[5]

ამ გამოსახულებების ნახვის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რამ გამოიწვია ეს გამონაკლისი ქართულ იკონოგრაფიაში: ცხენის სხეულის აბჯრისაგან განსხვავებით, მისი კისრის აბჯარი უფრო უმნიშვნელო დეტალი იყო და არ ითხოვდა ტრადიციული კომპოზიციის შეცვლას.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მართლმადიდებლური იკონოგრაფია ასახავდა აღჭურვილობაში მომხდარ რეალურ ცვლილებას, თუკი ის დადგენილი კომპოზიციისა და სქემის ფარგლებში თავსდებოდა. კრინეტის გამოსახვა შედარებით „შეუმჩნევლად“ შეიძლებოდა, არ არღვევდა დადგენილ ნორმებს და ამიტომაც აისახა კიდეც წმინდანთა შეიარაღებაში.

წაგრძელებული შუბი

ქართულ იკონოგრაფიაში *წაგრძელებული შუბის* გამოსახვის პრაქტიკის განხილვა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს ზემოთ წარმოდგენილი კონცეფციის უტყუარობაში.

წაგრძელებული შუბი ეწოდება ცხენოსანთა ბრძოლის ისეთ წესს, როდესაც მხედარს შუბი მკლავქვეშ აქვს ამოდებული. შედეგად, შუბი, მხედარი და მოწინააღმდეგისაკენ მქროლავი ცხენი ერთად განაპირობებდა უძლიერეს დარტყმის ძალას.[6] ასეთი დარტყმის დროს ადამიანისა და

[5] ტ. შევიაკოვა. სოფ. ადიშის (ზემო სვანეთი) გარეთ მდებარე ეკლესიის „ჯგრაგ“ მოხატულობის თარიღის საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 27. №3. 1961, გვ. 377-382; Т.С. Шевякова. Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тб. 1983, გვ. 25, სურ. 92, 94.

[6] Kelly DeVries. Medieval Military Technology. Peterborough. 1992, გვ. 12.

ცხენის ენერგია შუბის წვერზეა კონცენტრირებული.[7] მკლავქვეშ მხოლოდ შუბის ბოლო ჰქონდათ ამოდებული, რის გამოც მისი წვერი უფრო მეტად იყო წინ მიმართული („წაგრძელებული"), ვიდრე სხვა სტილით ბრძოლისას, რაც ამ სტილს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა.[8] ბრძოლის ეს წესი პოპულარული ხდება ევროპაში XI საუკუნის II ნახევარში, XII საუკუნის შუახანებში კი ბატონდება ბრძოლის ველზე და ასე რჩება შუა საუკუნეების ბოლომდე.[9]

წმინდანის მიერ ხელით მოქნეულ შუბთან შედარებით, წაგრძელებული შუბის გამოსახვა მხატვრულად ნაკლებად შთამბეჭდავია, რის გამოც მისი გამოსახვის იკონოგრაფიული ტრადიცია ევროპაშიც კი კონსერვატიული იყო, როგორც ეს აჩვენა ლ. უაითმა.[10]

ჟ. ფლორი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპულ იკონოგრაფიასაც დიდი კონსერვატიული ინერცია ახასიათებდა. მინიატურებში ხშირად გვხვდება ძველი მოტივების გამეორება და ნაკლები ყურადღება ექცევა სიახლეებს. მხოლოდ ახალი მოდის ფართოდ გავრცელებისა და დამკვიდრების შემდეგ ჰპოვებენ ისინი ასახვას იკონოგრაფიაში. შესაბამისად, თავისი გავრცელების მიუხედავად, წაგრძელებული შუბის გამოსახულებები მწირია XIII საუკუნემდე.[11]

წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესს ქართველები X საუკუნეში მაინც იცნობდნენ. ჩვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მარტვილის ტაძრის X საუკუნის რელიეფი, რომელზეც წმინდა ევსტათე პლაკიდაა გამოსახული (სურ. 4), რომელსაც შუბი სიმძიმის ცენტრის უკან, დაგრძელებულად უჭირავს, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს მისი სიგრძე. *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესი საქართველოში საბოლოოდ XII საუკუნეში დამკვიდრდა.[12]

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართულმა მართლმადიდებლურმა

[7] John France. Technology and Success of the First Crusade. In War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries. Ed. Yaacov Lev (Leiden. 1996), გვ. 166.

[8] D. J. A. Ross. L'originalité de "Turoldus": le maniement de la lance. Cahiers de civilisation médiévale. 6. 1963, გვ. 128, 131; Ann Hyland. The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades. London. 1994, გვ. 57.

[9] Jean Flori. Encore l'usage de la lance... La technique du combat chevaleresque vers l'an 1100. Cahiers de civilisation médiévale. 31/123. 1988, გვ. 213-240; DeVries, Medieval Military Technology, გვ. 14.

[10] Lynn White Jr. The Crusades and the Technological Thrust of the West. In War, Technology and Society in the Middle East. Eds. V. J. Parry and M. E. Yapp. London. 1975, გვ. 98-99, შენ. 3.

[11] Flori. Encore l'usage de la lance, გვ. 220.

[12] Mamuka Tsurtsumia. Couched Lance and Mounted Shock Combat in the East: The Georgian Experience. Journal of Medieval Military History. XII. 2014, გვ. 86-89.

ხელოვნებამ ამ კონსერვატიზმს თავი ვერ დააღწია და ბოლომდე შეინარჩუნა წმინდა მეომრების გამოსახვის ტრადიციული სტილი, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში ჩაეყარა.

ქართულ იკონოგრაფიაში *წაგრძელებული შუბის* გამოსახულებები გვხვდება ისეთ მინიატურებში, სადაც წერის მანერა კანონიკური წესებით ნაკლებად არის შეზღუდული, განსაკუთრებით ბატალური სცენების ასახვისას ეპიკურ თხზულებებში; გვხვდება წმინდანის გამოსახვისას ისეთ კომპოზიციაში, რომელიც მეტნაკლებად იძლეოდა მოქმედების თავისუფლებას, როგორიცაა ზემოთმოყვანილი ევსტათი პლაკიდას ნადირობის ეპიზოდი.

მიუხედავად ამისა, *წაგრძელებულმა შუბმა* ვერ დაარღვია ტრადიცია და ვერ დაიმკვიდრა თავი ხატწერაში, სადაც წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ცხენოსანი ფიგურების კომპოზიცია ფაქტობრივად უცვლელი რჩება.

თუმცა, ჩვენ მაინც გვაქვს ზოგიერთი ასეთი იზოლირებული ცდის მოწმობა, რომლებიც საბოლოო ჯამში უშედეგოდ დასრულდა. მაგალითისათვის მოვიხმოთ ერთი ეპოქის, XV საუკუნის გამოსახულებები: ა) პირველ მათგანზე, წმ. გიორგის მინანქრის ხატზე ვხედავთ ტრადიციულ კომპოზიციას, სადაც წმინდანი მოქნეული ხელით ლახვარს ჩასცემს გველეშაპს (სურ. 5); ბ) თუ შევადარებთ დაახლოებით იმავე ეპოქის, XIV საუკუნის მიწურულის თუ XV საუკუნის დამდეგის H1665 დავითნის მინიატურას წაგრძელებული შუბის გამოსახულებით, დავინახავთ, რომ ბატალური სცენის გამოსახვისას წაგრძელებული შუბის ჩვენება პრობლემა არ იყო (სურ. 6). პრობლემა თავს იჩენს მხოლოდ ტრადიციული კომპოზიციის ფარგლებში წაგრძელებული შუბის „ჩასმის“ მცდელობისას; გ) მესამე გამოსახულებაზე ვხედავთ წმ. გიორგის ტრადიციული გამოსახულების ცვლილების ცდას, სადაც ოსტატი ასახავს წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესს, მაგრამ არ არღვევს კომპოზიციას და მის ფარგლებში რჩება. მხატვრული თვალსაზრისით ეს ძნელი და ნაკლებად შთამბეჭდავი გზაა, ამიტომაც ასეთი გამოსახულებები იშვიათია. შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ჭედური ხატი, რომელზეც წმინდანი წაგრძელებული შუბით გმირავს გველეშაპს. ამგვარი, მეტად იშვიათი კომპოზიციაა ჟიბიანის, გულეკარისა და თბილისის სიონის ხატებსა და ბოდორნის საწინამძღვრო ჯვარზე[13] (სურ. 7). XV საუკუნის ეს ხატები ერთი სკოლის პროდუქტია,

[13] Г.Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб. 1959. გვ. 336.

რომელმაც სცადა იკონოგრაფიაში ახალი რეალობის დამკვიდრება, მაგრამ ამ ინიციატივამ გაგრძელება ვერ ჰპოვა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველო, როგორც ბიზანტიური სამყაროს წევრი, საერთო ჯამში ემორჩილებოდა მართლმადიდებლური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. მიუხედავად გარკვეული თავისუფლებისა, რომელიც ცენტრიდან დაშორებულ მხარეებს ახასიათებს, ქართული ხელოვნება ძირითადად მაინც ტრადიციულ სქემებს მისდევდა. ისევე როგორც ბიზანტიაში, ახალი ელემენტების შემოტანა აქაც ძველი კომპოზიციის ჩარჩოთი იზღუდებოდა.

ილუსტრაციები



სურ. 1 კრინეტით დაცული ნიკორწმინდის წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ცხენები. ავტორის ფოტო.



სურ. 2 წმინდა მეომრების ცხენები კრინეტით ნიკორწმინდის აღმოსავლეთის ფასადზე. ავტორის ფოტო.



სურ. 3 კრინეტი წმ. თევდორეს ცხენზე. ადიში, წმ. გიორგის (ჯგრაგი) ეკლესია, ჩრდილოეთის კედელი. შევიაკოვას მიხედვით.



სურ. 4 ევსტათე პლაკიდა წაგრძელებული შუბით მარტვილის ტაძრის რელიეფზე. ავტორის ფოტო.



სურ. 5 წმ. გიორგი ტრადიციულ კომპოზიციაში.



სურ. 6 მხედარი წაგრძელებული შუბით ბატალურ სცენაში.
ხეც. H-1665. დავითნი, 222r მინიატურა.



სურ. 7 წმ. გიორგი წაგრძელებული შუბით. ჟიბიანის ხატი. დ. ერმა-კოვის ფოტო.

Mamuka Tsurtsumia
PhD in History, Tbilisi, Georgia

MEDIEVAL GEORGIAN MILITARY EQUIPMENT IN ART AND REALITY

Summary

In his work *Arms and Armour of the Warrior Saints*, Piotr Grotowski made two important observations regarding Byzantine art: first, that artists didn't simply replicate classical iconographic motifs but incorporated contemporary elements, adapting depictions of arms and armour to reflect the weaponry and military practices of their time; and second, that new motifs were integrated into traditional compositions without altering their overall structure, preserving the essence of the traditional representations.

This paper explores how these observations apply to Georgia, a country distant from Constantinople, particularly concerning images of horse armour and the couched lance technique. The introduction of these elements should have led to changes in the established compositions, and the paper examines how Georgian iconography attempted to reflect new realities in equipment and warfare, and how it succeeded or failed in doing so.

Horse armour has a long history, dating back to ancient times, and was crucial in protecting the horse and its rider on the battlefield. Georgia had a well-established tradition of horse armour, documented in historical sources and literary works. Despite this, images of horse armour in Georgian iconography are rare, likely due to the conservatism of Orthodox art that adheres to established motifs. The inclusion of horse armour in traditional compositions would require significant changes, which were not readily adopted, resulting in its limited depiction in iconography.

The couched lance, a technique used in equestrian combat, provided a powerful impact on the enemy and was prevalent in medieval warfare. However, images of the couched lance in Georgian iconography remained scarce, reflecting the same iconographic conservatism observed in Western Europe and Byzantium. The integration of the couched lance into traditional compositions proved challenging, and while some attempts were made, they

were not widely successful in altering the established iconographic tradition.

Georgia, as part of the Byzantine world, followed the conventions of Orthodox art. Despite some artistic freedom in distant regions, Georgian art largely adhered to traditional schemes. The introduction of new elements, such as horse armour and the couched lance, was limited by the existing compositions' framework. Iconographic conservatism prevailed, preserving the essence and symbolism of traditional representations. While Georgian art attempted to reflect new realities in equipment and warfare, it did so with varying degrees of success and continuity, mirroring the broader patterns observed in Byzantine.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ნინო კაკალაშვილი
თსუ

ყივჩაღები და საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების ხანაში*

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაღებს არ შეუწყვეტიათ საქართველოსთან ურთიერთობა. თუმცა ეს ურთიერთობები არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი და ქართველ მეფეთა დამოკიდებულებაც განსხვავდებოდა ყივჩაღთა მიმართ. დავით IV-ის მეფობის პერიოდში ყივჩაღები უზრუნველყოფილი იყვნენ სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში, მონაწილეობდნენ დავითის მიერ წარმოებულ ბრძოლებში და აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებზე. ვითარება იცვლება დავითის გარდაცვალების შემდეგ 1125 წელს. ამასთანავე, ამავე წელს გარდაიცვალა ყივჩაღთა მთავარი მოწინააღმდეგე ვლადიმირ მონომახი. ყივჩაღთა წასვლა-დარჩენის საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. საინტერესოა დარჩნენ თუ არა ისინი საქართველოში და რა გახდა მათი წასვლის მიზეზი. საისტორიო წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცდებით ამ საკითხებზე მსჯელობასა და საკუთარი პოზიციის წარმოჩენას. გარდა ამისა, გვსურს ყურადღება მივაქციოთ ქართველი მეფეების დემეტრე I-ის, გიორგი III-ისა და თამარის პოლიტიკას ყივჩაღთა მიმართ. გვსურს ვიმსჯელოთ იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია ცვლილებები ქართველ მეფეთა დამოკიდებულებაში ყივჩაღთა მიმართ, აგრეთვე, გვსურს განვსაზღვროთ რა როლი ენიჭებოდათ ყივჩაღებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში დავითის შემდგომ ხანაში.

* კვლევა PHDF – 22-4327 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

ქართულ-ყივჩაღურ ურთიერთობებზე ცნობებს გვაწვდის როგორც ქართული,[1] ისე უცხოური[2] საისტორიო წყაროები. ქართული წყაროები ყივჩაღთა შესახებ დეტალურ ცნობებს არ გვაწვდიან. ინფორმაცია მწირია და არ არის საკმარისი სიღრმისეული კვლევისათვის. ამ დანაკლისს მნიშვნელოვნად ავსებს უცხოური წყაროები, აგრეთვე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები.

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაღთა წინაშე დგება საქართველოში დარჩენის ან მშობლიურ სტეპებში დაბრუნების საკითხი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი შეჯერებული მოსაზრება არ არსებობს. ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ყივჩაღთა ნაწილი ფეოდალთა ფენას შეუერთდა სხვები კი – გლეხთა ფენას.[3] ისტორიკოსები შოთა მესხია და როინ მეტრეველიც მიიჩნევენ, რომ ყივჩაღები შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და გაქართველდნენ, სწორედ ამით ხსნიან ისინი, რომ მათგან არანაირი კვალი არ დარჩა.[4] თუმცა არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად მართალია მცირე, მაგრამ შეიმჩნევა ყივჩაღური კვალი საქართველოში.[5] ზურაბ ანჩაბაძე და მარინე ცინცაძე იზიარებენ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას და თვლიან რომ საქართველოში გადმოსახლებულმა ყივჩაღებმა შეავსეს გლეხთა რიგები, ხოლო მათი ზედაფენა ფეოდალური კლასის შემადგენლობაში შევიდა. საქართველოში დასახლებული ყივჩაღები ნაწილობრივ გაითქვიფნენ ქართულ მოსახლეობაში.[6] სოსო მარგიშვილი თვლის რომ ყივჩაღთა ნახევარი მაინც დარჩებოდა საქართველოში, ხოლო დანარჩენი

---

[1] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსცა მ. შანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. ტექსტი გამოსცა ც. კურციკიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ტექსტი გამოსცეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია. საისტორიო მოამბე. ტ. 6. თბ. 1952; G. A. Perfecky. The Hypathian Codex. Part II. The Galician-Volynian Cronicle. Harvard series in Ukrainian studies. Vol. 16. II. 1973.

[3] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 2. პირველად გამოიცა 1914. თბ. 1983, გვ. 197.

[4] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 178; რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თბ. 1990, გვ. 178.

[5] მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. წ. 3. თბ. 2013; მ. წურწუმია. ყივჩაღური კვალი შუა საუკუნეების ქართულ მატერიალურ კულტურაში (XII-XIV სს. მუზარადების მიხედვით). საისტორიო კრებული. წ. 5. თბ. 2015.

[6] ზ. ანჩაბაზე, მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 155-157.

ათრაქასთან ერთად დაბრუნდებოდა თავიანთ სამშობლოში.[7] მამუკა წურწუმია, ითვალისწინებს რა ვოლინელი მემატიანის ცნობას ათრაქას ყივჩაყეთში დაბრუნების შესახებ, აგრეთვე საქართველოში აღმოჩენილ ყივჩაღთა სამარხებსა და საისტორიო წყაროების ცნობებს, იზიარებს სოსო მარგიშვილის მოსაზრებას, რომ ყივჩაღთა ნახევარი საქართველოში დარჩა.[8] ასევე ვოლინელი მემატიანის ცნობის საფუძველზე, პიტერ გოლდენი თვლის, რომ ყივჩაღთა დიდი ნაწილი დაბრუნდა უკან, თუმცა არ უარყოფს ყივჩაღთა გარკვეული ნაწილის, რომელიც უშუალოდ ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, საქართველოში დარჩენას.[9]

განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ჯემალ სტეფნაძე. მისი აზრით, ყივჩაღთა უმრავლესობა დაბრუნდა მშობლიურ სტეპებში.[10] ამას მეცნიერი ვოლინელი მემატიანის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს. იგი თვლის, რომ შეუძლებელი იყო ათრაქა თავისი თანატომელების გარეშე დაბრუნებულიყო თავის ძმასთან, სირჩანთან, რადგან ათრაქა შარაღანის ძის, როგორც მთავრის, ავტორიტეტი მის თანატომელებზე იყო დამოკიდებული და ყივჩაყეთში მათ გარეშე არ დაბრუნდებოდა.[11] ვოლინელი მემატიანის მიხედვით, სირჩანმა გაგზავნა მებუკე ორევა საქართველოში, რათა ათრაქასთვის ეცნობებინა ვლადიმირ მონომახის გარდაცვალება და ეთხოვა რომ უკან დაბრუნებულიყო.[12] აღსანიშნავია, რომ ვლადიმირ მონომახის სიკვდილის შემდეგ, რომელიც სათავეში ედგა რუსების გაერთიანებას ყივჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსული სამეფო-სამთავროები არეულობამ მოიცვა. ამით შეეძლოთ ესარგებლათ ყივჩაღებს და აღედგინათ თავიანთი პოზიციები. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სირჩანი ათრაქასგან უკან დაბრუნებას ითხოვს. მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი: სირჩანი ეუბნება მებუკეს რომ თუ ათრაქა უარს იტყვის დაბრუნებაზე, *"მისცეს საყნოსავად ჯადო მწვანილი ევშანი"*.[13] ჩანს, რომ ათრაქას

[7] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006, გვ. 119.
[8] მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 165.
[9] P. B. Golden. The Qipcaqs in Georgia. Archivum Eurasiae Medii Aevi. IV. Wiesbaden. 1984, გვ. 72.
[10] ჯ. სტეფნაძე. სად წავიდნენ ყივჩაღები? მნათობი. No 8. თბ. 1984, გვ. 156.
[11] ჯ. სტეფნაძე. სად წავიდნენ ყივჩაღები? გვ. 156.
[12] ი. ციცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1956, გვ. 190.
[13] ი. ციცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 190.

შეიძლებოდა უარი ეთქვა დაბრუნებაზე. იასე ცინცაძე აღნიშნავს: "ვოლინელი მემატიანის ცნობით ჩანს, რომ ათრაქა საქართველოში ძალიან კარგად გრძნობდა თავს და არც თუ ისე ადვილად გადაწყვეტდა სამშობლოში დაბრუნებას."[14]

საინტერესოა იმ მიზეზების განხილვა, რაც ერთი მხრივ განაპირობებდა ყივჩაღთა საქართველოში დარჩენის სურვილს და მეორე მხრივ სამშობლოში დაბრუნების. ვოლინელი მემატიანის ცნობის მიხედვით, სირჩანი ათრაქასთან გამოგზავნილ მებუკე ორევას ასეთ მითითებებს აძლევს: *"ვლადიმერი უკვე მკვდარია, მოდი და დაბრუნდი შენს ქვეყანაში. გადაეცი ეს ჩემი სიტყვები მას, უმღერე ყივჩაღური სიმღერები; და უკეთუ არ ისურვოს წამოსვლა, მიეცი მას საყნოსავად ჯადო მწვანილი ევშანი."*[15] ათრაქამ მართლაც არ ისურვა დაბრუნება და ორევმა მიაწოდა ჯადო მწვანილი ევშანი, რის შემდეგაც აცრემლებულმა ოტროკმა თქვა: *"უმჯობესია ჩემი ქვეყნის მიწაში ჩონჩხად ქცეული ჩავწვე, ვიდრე უცხოეთში დიდებით ვიცხოვრო."* და დაბრუნდა *იგი თავის ქვეყანაში.*[16] წარმოდგენილი ცნობიდან ჩანს, რომ ათრაქას დაბრუნების მიზეზი არის მშობლიური ქვეყნის მონატრება და ერთგულება, თუმცა, ვფიქრობთ ეს არ იქნებოდა ყივჩაღთა მთავრის გადწყვეტილების მიღების მთავარი საფუძველი. ასე რომ ყოფილიყო, ათრაქა თავიდანვე დათანხმდებოდა მშობლიურ სტეპებში დაბრუნებას. სირჩანი არ გამორიცხავდა მოვლენათა ასეთ განვითარებას. შესაბამისად, ათრაქას ასეთი პოზიცია უნდა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ყივჩაღები საქართველოში კარგად და უზრუნველად ცხოვრობდნენ. დავითის ისტორიკოსის ცნობით, მეფემ ყივჩაღები უზრუნველყო, აღჭურვილობით, ცხენებითა და საქონლით, საცხოვრებლით, საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით.[17] დავით VIII-ის მიერ 1297 წელს გაცემული საბუთის ცნობით, არსებობდა საყივჩაყო გადასახადიც, რომელსაც სპეციალური მოხელე მესაყივჩაყე კრეფდა.[18] ეს გადასახადი ყივჩაღთა სამხედრო და ეკონომიკური უზრუნველყოფისთვის იქნებოდა საჭირო. ამასთანავე, ყივჩაღები მალევე მეფისგან დამოუკიდებლადაც გაიჩენდნენ შემოსავალს. ასეთი შემოსავლის წყარო მათ მიერ მოწ-

[14] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 200.
[15] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 190.
[16] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 190.
[17] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320; 329.
[18] თ. ენუქიძე. XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერმინი „მესაყივჩაყე". ქართული წყაროთმცოდნეობა. IV. თბ. 1973. გვ. 33-34.

ყობილი მარბიელი რეიდები იქნებოდა. ასეთ ლაშქრობებს რომ ყივჩაღები ხშირად მიმართავდნენ, მეტყველებს დავითის ისტორიკოსის ცნობა: სულთანი *"ზედაჲსზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუნითა მომშვიდებად პირსა მისსა", და ეძიებნ მშჯდობასა და სიყვარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა".*[19] დავითის ისტორიკოსისავე ცნობით ყივჩაღები ქართველ მოსახლეებსაც იტაცებდნენ და მეფე მათ ფულით გამოიხსნიდა ხოლმე.[20] შესაბამისად, ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ყივჩაღებს წასვლის სურვილი არ გაუჩნდებოდათ.

თუმცა ათრაქა თავის მშობლიურ მხარეში დაბრუნდა. მას, რა თქმა უნდა, ყივჩაღთა ნაწილიც გაჰყვებოდა. ვიზიარებთ სოსო მარგიშვილისა და მამუკა წურწუმიას უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ყივჩაღთა ნახევარი საქართველოში დარჩა. ყივჩაღებს სამშობლოში დაბრუნების გარკვეული მიზეზები ექნებოდათ. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი უნდა იყოს ვლადიმირ მონომახის სიკვდილი. ვლადიმირ მონომახმა შეძლო რუს მთავართა ყივჩაღთა წინააღმდეგ გაერთიანება.[21] თუმცა ეს ერთობა მისი სიკვდილის მერე კვლავ დაიშალა და ყივჩაღებმაც ისარგებლეს არსებული პოლიტიკური ვითარებით. რადგან რუსთაგან მომდინარე საფრთხე აღარ არსებობდა, ათრაქას შეეძლო დაბრუნებულიყო მშობლიურ სტეპებში. მათ ამ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამაც. დავითი ყივჩაღთა მიმართ კეთილგანწყობილი იყო, არ ჩანს მეფის მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიება ყივჩაღთა მიმართ, როდესაც ისინი იტაცებდნენ ქართველ მოსახლეებს, უფრო მეტიც, მათ მეფის ღალატიც სცადეს. თუმცა დავითის ისტორიკოსი მეფის მიერ ყივჩაღთა წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ქმედებაზე არ საუბრობს.

ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ უნდა შეცვლილიყო დამოკიდებულება ყივჩაღთა მიმართ. ეს უნდა გამხდარიყო კიდევ ერთი მიზეზი ყივჩაღთათვის საქართველოდან წასვლისა. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არ ჩანს დემეტრე I-ის დამოკიდებულება ყივჩაღთა მიმართ. არც სხვა საისტორიო წყაროები საუბრობენ დემეტრეს ანტიყივჩაღურ დამოკიდებულებაზე. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ყივჩაღები დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში არ ჩანან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ყივჩაღები მეფის

[19] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 329.
[20] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 338.
[21] The Russian Primary Chronicle. Translated and edited by Samuel Hazzard Cross and Olgerd P. Sherbowitz-wetzor. Cambridge, Massachusets. 1953, გვ. 200.

კეთილგანწყობით არ სარგებლობდნენ და მათი როლი მეტად შემცირებული იყო ქართულ არმიაში. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს:

"და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი თჳსნი და არა ცუდად დაშურა, არცა უსაქმოდ იქმნა გამოყვანებაჲ მათი, არამედ მათითა ხელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანაყოლითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წალმართ."[22]

ისტორიკოს ჯაბა სამუშიას აზრით, დავითის ისტორიკოსი თხზულების ამ ნაწილში თითქოს ეკამათება ვიღაცას, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებით ყველა კმაყოფილი არ იქნებოდა.[23] ანტიყივჩაღური დამოკიდებულება რომ დავითის მეფობის პერიოდშიც იქნებოდა, აღნიშნავს ჯ. სტეფნაძეც. მისი თქმით ქართველი მოსახლეობა უკმაყოფილო იქნებოდა ყივჩაღებისთვის საძოვრების გადაცემით, ამასთანავე, ყივჩაღთა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადითა და ყივჩაღთა ცხოვრების წესით, რომელიც ძარცვა-რბევასაც გულისხმობდა.[24] დავითის გარდაცვალების შემდეგ კი ყივჩაღთა მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ამასთანავე, დემეტრე I-ისთვის საფრთხეს წარმოადგენდა თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი, რომელიც დავითს ყივჩაღი დედოფლისგან, გურანდუხტისგან, შეეძინა. 1130 წელს ვახტანგი მართლაც გამოვიდა დემეტრეს წინააღმდეგ, თუმცა მისი მცდელობა ტახტის დაკავებისა წარუმატებლად დასრულდა.[25] ამ აჯანყების შესახებ ცნობებს გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი. იგი აღნიშნავს:

"დაახლოებით იმ დროს ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის გიორგის მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო დემეტრემ. ივანემ უთხრა: რატომ დამიჭირე მამა? მან გაგულისებულმა უთხრა: არა მეფევ, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა. მეფემ შეიპყრო ის, თვალები დასთხარა და გაუშვა.[26]

[22] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320.
[23] ჯ. სამუშია. დიდგორის ბრძოლა. თბ. 2021, გვ. 184.
[24] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე. თბ. 1999, გვ. 207-208.
[25] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 208.
[26] ვარდან არეველცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ეკა კვაჭანტირაძემ და ნოდარ შოშიაშვილმა. თბ. 2024, გვ. 173.

დემეტრეს ძმაში იგულისხმება დავით აღმაშენებლის ვაჟი ვახტანგი.[27] ვახტანგი როგორც აღვნიშნეთ, დავითს ყივჩაღი დედოფლისგან შეეძინა. შესაბამისად, ვიზიარებთ ჯ. სტეფნაძის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ვახტანგს ამ გამოსვლაში მხარს დაუჭერდა ათრაქა შარაღანის ძე თავისი ყივჩაღებით.[28] გამარჯვების შემთხვევაში ყივჩაღები თავიანთ გავლენას შეინარჩუნებდნენ და პოზიციებს განიმტკიცებდნენ. თუმცა ვახტანგი დამარცხდა და ათრაქაც იძულებული იყო საქართველოდან წასულიყო. დემეტრე I-ისგან მას არანაირი მხარდაჭერა აღარ ექნებოდა. ყივჩაღთა ნაწილი საქართველოში დარჩა, თუმცა ისინი არ ჩანან დემეტრეს მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიებში. ყივჩაღებმა თავიანთი გავლენა დაიბრუნეს მხოლოდ გიორგი III-ის დროს.

გიორგი III დემეტრესგან განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს ყივჩაღთა მიმართ. არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე გიორგი III-ისთვის ყივჩაღები ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ძალად იქცნენ. ეს უკავშირდება დემნა უფლისწული აჯანყებას გიორგი III-ის წინააღმდეგ. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, თბილისში მყოფ გიორგი მეფეს მხოლოდ ყუბასარი ეახლა ხუთი ათასიანი ყივჩაღთა რაზმით, *''ხოლო მეფე გიორგი სჯდა ტფილისსა შინა, თვინიერ ძალთა, და უწოდა რომელსამე ყიბჩაღს, რომელსაც ეწოდა ყუბასარ და ჰპოვა ჯარი ვიდრე ხუთ ათასამდე. და გარდა მისსა არავინ ჰყვა შემწედ.''*[29] ყუბასარი გიორგი მეფის სამსახურში დგას და მოწოდებისთანავე ყივჩაღთა რაზმით ეახლება. ვვარაუდობთ, რომ ეს ხუთი ათასიანი ყივჩაღთა რაზმი გიორგი III-ის დროსაც მონასპას უნდა წარმოადგენდეს. ეს ყივჩაღები დავით აღმაშენებლის დროს ჩამოსახლებულ ყივჩაღთა შთამომავალნი უნდა იყვნენ. საინტერესოა ყივჩაღთა რაზმის მეთაური ყუბასარი. ის გიორგი მეფემ გაწეული დახმარების სანაცვლოდ დააწინაურა და უბოძა ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა. სტეფანოზ ორბელიანი ყუბასარის დაწინაურების შესახებ აღნიშნავს:

''ხოლო ოდეს განჰსდევნა გიორგიმან ორბელიანნი, განუყო მამული მათი სხუათა: რომელიმე მისცა მტერთა და მიმცემელთა მათთა და დანაშთომი მისცა ყიფჩაღსა მას ყუბასარს, რომელიცა ზემორე ვსთქუით, და მისცა მას ალაგი მთავრობისასა მათისა და ამყოფა სპასალარად გინა

[27] ვარდან არეველცი. სომხეთის ისტორია, გვ. 281.
[28] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 208.
[29] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 60.

სპასპეტად ყოვლისა საქართველოისა."[30]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყუბასარი ნაყივჩაღარად მოიხსენიება. ყუბასარს ნაყივჩაღარად მოიხსენიებს ივანე ჯავახიშვილი.[31] თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსახვებული მოსაზრებაც. ჯემალ სტეფნაძე აღნიშნავს რომ ყუბასარი ყივჩაღია და ამას მიიჩნევს სტეფანოზ ორბელიანის ცნობის საფუძველზე.[32] სტეფანოზ ორბელიანი ყუბასარს ორჯერ იხსენიებს და ორივეჯერ ყივჩაღად მიიჩნევს.[33] რას უნდა გულისხმობდეს ყუბასარის ნაყივჩაღარობა? ჯ. სტეფნაძე ნაყივჩაღარად თვლის გაქართველებულ ყივჩაღს, რომელიც საუბრობს ქართულად, არის ქრისტიანი, მისდევს მიწათმოქმედებას და ცხოვრობს ქართველი აზნაურის ცხოვრების წესით.[34] ვფიქრობთ ყუბასარს ქრისტიანობა მიღებული უნდა ჰქონდეს. დავითის ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაღთა უმრავლესობა გაქრისტიანდა.[35] ყივჩაღებს ადვილად შეეძლოთ სხვა რელიგიის მიღება, თუმცა ისინი არ ივიწყებდნენ საკუთარ რწმენა-წარმოდგენებს და როგორც მ. წურწუმია აღნიშნავს ყივჩაღებისთვის ქრისტიანობა დაემატა მათ რწმენას და მათმა რელიგიამ სინკრეტული ხასიათი მიიღო.[36] თუ ჩავთვლით რომ ყუბასარი ყივჩაღთაგან შემდგარი მონასპის მეთაურია, მაშინ ის აუცილებლად გაქრისტიანებული იქნებოდა. დავითის ისტორიკოსის ცნობით მონასპა შედგებოდა ხუთი ათასი რჩეული მეომრისგან, რომლებიც *"ყოველნი ქრისტეანე ქმნილნი"* იყვნენ.[37] დავითის მეფობის დროს ყივჩაღებს გადაეცათ მათთვის ხელსაყრელი ადგილები საცხოვრებლად, აგრეთვე საზამთრო და საზაფხულო სადგომები. შესაბამისად, მათ უკვე ჰქონდათ მუდმივი სადგომები. მას შემდეგ რაც ყუბასარი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი გახდა, ის სხვა ქართველი ფეოდალივით დაიწყებდა მისთვის ბოძებული მამულების მართვას. ვფიქრობთ, საკმარისი დრო ექნებოდა იმისთვის, რომ ქართულ კულტურულ გარემოში დაემკვიდრებინა თავი, ამას ხელს შეუწყობდა ქრისტიანობის მიღებაც.

სამეფო კარი კეთილგანწყობილი იყო ყუბასარის მიმართ, რო-

[30] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 63.
[31] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 243.
[32] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 203-204.
[33] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 60, 63.
[34] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 202-203.
[35] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320.
[36] მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 165.
[37] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320.

გორც გიორგი III-ის, ისე თამარის მეფობის ხანაში. თამარის ისტორიკოსი დადებითად ახასიათებს ყუბასარს. მემატიანე აღნიშნავს: "ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი."[38] ყუბასარის შეფასებაში თამარის ისტორიკოსი არ უნდა ცდებოდეს. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, ყუბასარი ერთგულად ემსახურა გიორგი მეფეს და მისი მოწოდებისთვანავე ყივჩაღთა რაზმით ეახლა. მართალია, ყივჩაღები როგორც ქართული ისე უცხოური საისტორიო წყაროების ცნობების მიხედვით განსაკუთრებული ერთგულებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ როგორც ჩანს ყუბასარის შემთხვევაში მისი ერთგულება ეჭვს არ იწვევს. იგი ერთგულად ემსახურა ჯერ როგორც ყივჩაღთა რაზმის მეთაური გიორგი III-ს, ხოლო შემდეგ როგორც ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ჯერ გიორგი მეფესა და შემდეგ თამარ მეფეს. თამარი რომ ყუბასარისადმი კეთილგანწყობილია, ჩანს იქიდანაც, რომ ყუბასარს მხოლოდ ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა და ლორე ჩამოართვეს, სხვა მამულები კი მეფემ შეუნარჩუნა, "თვინიერ ჴელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არა დააკლო და ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდი მიცვალებისა."[39]

განსხვავებული იყო ქართველ დიდებულთა დამოკიდებულება ყუბასარის მიმართ. მათთვის იგი უგვაროა. დიდებულებმა თამარს ყუბასარის გადაყენება მოსთხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ყუბასარი ყივჩაღთა რაზმის მეთაურია და ყივჩაღთა შორის მაღალ სოციალურ საფეხურზე დგას, ქართველი დიდებულებისთვის ის მაინც უგვაროა და მიუღებელია მათთვის, რომ მას დიდი თანამდებობები ეკავოს. სტეფანოზ ორბელიანიც გიორგი III-ის მიერ ორბელთა მამულების სხვებისთვის გადაცემის საკითხზე საუბრისას, გამოყოფს ყუბასარს და მის წარმომავლობას უსვამს ხაზს.[40] მემატიანე ამას ორბელთა პოზიციიდან წერს და, შესაბამისად, ის აშკარად უარყოფითად ჩანს განწყობილი ყუბასარის მიმართ. ყუბასარი მისთვის ყივჩაღია და უცხოა და არც ორბელთა სამფლობელოებს იმსახურებს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ერთ ცნობას: *"ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძა-*

[38] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 405.
[39] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 405.
[40] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 63.

ნის, მოვიდიან, ეგრეთვე შარვანის სახლი."[41] ჩანს, ყივჩაღებს თავიანთ მშობლიურ სტეპებში დაბრუნების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ საქართველოსთან ურთიერთობა. ამ ცნობის მიხედვით ისინი საქართველოს მეფის ვასალები არიან. ყივჩაღები რომ საქართველოში დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგაც მოდიან, ჩანს იბნ ალ-ასირის ცნობიდან: "ჩვენ რომ ქართველებთან ერთად გვდომოდა ბრძოლა, მაშინ ყველაზე გრძელი, ძნელი და დამღლელი შირვან-დერბენდის გზით კი არ მოვიდოდით, არამედ მათ ქვეყანაში შემოვიდოდით ისე, როგორც შემოვდიოდით ადრე.[42]

ყივჩაღები თამარის მეფობის პერიოდშიც აქტიურად ჩანან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ასპარეზზე. ისინი საქართველოში მოდიან როგორც დასასახლებლად, ისე სამხედრო სამსახურისთვის. ამაზე მეტყველებს მემატიანის ცნობა: *"მას ჟამსა ძმა ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა სავალათი აქა იყო სამსახურად."*[43] ეს ცნობა მიუთითებს ყივჩაღთა რაზმის, რომელსაც სავალათი მეთაურობს, საქართველოში ყოფნასა და სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობაზე. საინტერესოა მემატიანის კიდევ ერთი ცნობა: "*პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი."*[44] ვინ არიან ეს ახალი ყივჩაღები? ყივჩაღები, რომლებიც მოვიდნენ სამხედრო სამსახურისთვის სავალათის მეთაურობით, თუ ყივჩაღთა სხვა ჯგუფი, რომელიც საქართველოში დასასახლებლად არის მოსული? ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოქთმული. ჯემალ სტეფნაძე თვლის, რომ ეს ყივჩაღები სამხედრო სამსახურისთვის მოსული ყივჩაღები არიან, რომლებიც გასამრჯელოს სანაცვლოდ გარკვულ დროს საქართველოში არიან, შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებიან.[45] განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს პიტერ გოლდენი. მისი თქმით, მემატიანე იმიტომ იყენებს ამ ტერმინს, რომ განასხვავოს თამარის დროს ჩამოსახლებული ყივჩაღები დავით აღმაშენებლის დროს ჩამოსახლებული ყივჩაღებისაგან.[46] საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ცნობა, რომლის მიხედვითაც ყივჩაღებმა საქართველოს მეფეს გიორგი IV ლაშასა და ათაბაგ ივანეს

[41] ლაშა-გიროგის დროინდელი მემატიანე, გვ. 353.
[42] ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. VII. თბ. 1987, გვ. 77.
[43] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 435.
[44] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 436.
[45] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 209-210.
[46] P.B. Golden. Qipchaqs in Georgia, გვ. 64.

საქართველოში დასახლება სთხოვეს, თუმცა საქართველოს სამეფო კარმა მათი ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.[47] პიტერ გოლდენი ქართველთა უარს იმით ხსნის, რომ ამ დროს საქართველოში უვე საკმარისი ყივჩაღი ცხოვრობდა და ყივჩაღთა ახალი ჯგუფის მიღება აღარ სურდათ.[48] ჯუვეინი რუსუდანის დროს ბოლნისის ბრძოლის აღწერისას ქართულ არმიაში ოცი ათასიან ყივჩაღთა რაზმს ასახელებს.[49] შეიძლება ეს რიცხვი გაზვიადებულია, მაგრამ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში საქართველოში საკმარისი რაოდენობის ყივჩაღი ცხოვრობდა. ჯუვეინის მიერ მოხსენიებული ყივჩაღები, ვფიქრობთ საქართველოში იქნებოდნენ ჯერ თამარის და გიორგი IV ლაშას და შემდგომ რუსუდანის მეფობის პერიოდშიც. შესაბამისად, ვიზიარებთ პიტერ გოლდენის მოსაზრებას, რომ "ყივჩაყნი ახალნი"[50] საქართველოში დასასახლებლად მოსული ყივჩაღები არიან.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაღთა გარკვეული ნაწილი დაბრუნდა მშობლიურ სტეპებში, რასაც ხელი შეუწყო როგორც საშიანაო, ისე საგარეო ფაქტორებმა. დემეტრე I-ის გამეფებისას გაიზარდა ანტიყივჩაღური დამოკიდებულება, ყივჩაღებმა დაკარგეს სამეფო კარის მხარდაჭერა. ყივჩაღთა საქართველოდან წასვლას, აგრეთვე, ხელი შეუწყო მათი მთავარი მოწინააღმდეგის ვლადიმირ მონომახის სიკვდილმაც. ყივჩაღები კვლავ აქტიურად ერთვებიან სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში გიორგი III-ის გამეფების შემდეგ. შენარჩუნებულია ურთიერთობა ყივჩაღთა სტეპებში დაბრუნებულ ყივჩაღებთან, შირვანის მსგავსად ისინიც საქართველოს ვასალები ჩანან. უფრო მეტიც, საქართველოში მცხოვრები ყივჩაღთა სამხედრო როლი იზრდება, მათი მეთაური ყუბასარი დაწინაურდა სამეფო კარზე და მიიღო ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები. მიუხედავად იმისა, რომ თამარი იძულებული გახდა ყუბასარი გადაეყენებინა თანამდებობიდან, ყივჩაღებს არ დაუკარგავთ თავიანთი გავლენა, ყივჩაღთა რაზმები კვლავ მონაწილეობენ ქართველთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში. საქართველოში არიან როგორც დასასახლებლად, ისე სამხედრო სამსახურისთვის მოსული ყივჩაღები.

[47] Kirakos Ganjakets'i. History of the Armenians. Translated by Robert Bedrosian. New York. 1986, გვ. 169.
[48] P.B. Golden. Qipchaqs in Georgia, გვ. 85.
[49] რ. კიკნაძე. ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1974, გვ. 35.
[50] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 436.

Nino Kakalashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

QIPCHAQS AND GEORGIA IN THE AGE OF THE SUCCESSORS OF DAVID AGHMASHENEBELI*

Summary

The relations between Georgia and Qipchaqs did not cease after the death of David Aghmashenebeli. There are opinions expressed about their staying or leaving Georgia. We think that after the death of David Aghmashenebeli, some part of the Qipchaqs stayed in Georgia. The reasons for their departure from Georgia were both internal and external. They lost the support of Georgian royal court. During the reign of Demetre I, they did not appear in the military-political arena. After the death of Vladimir Monomakh, the unity of Russ ceased and the Qipchaqs restored their positions. So the Qipchaqs could return to the steppes.

The political situation in Georgia changed during the reign of Giorgi III. The Qipchaqs, stayed in Georgia, restored their military-political influence and took part in the battles of the Georgians. Kubasar the leader of the Qipchaqs got the position of Amirspasalari and Mandaturtukhutcesi. The successors of Otrok the son of Sharucan continued the relations with Georgia and were the vassals of Georgia.

The policy of Giorgi III did not change during the reign of Tamar. Giorgi III and King Tamar supported the Qipchaqs to participate in the battles. There was a new group of Qipchaqs in Georgia for to settle in Georgia and they were known as "New Qipchaqs" and the Qipchaqs for military service. Savalat, the brother of Sevinj the King of the Qipchaqs, was in Georgia for military service.

Thus, the Qipchaqs did not cease the relations with Georgia. There were some difficulties but the part of Qipchaqs stayed in Georgia. Georgian Kings, David IV, Giorgi III and Tamar supported the Qipchaqs and they were in their service.

* This research PHDF 22-4327 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

გიორგი სოსიაშვილი
აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოკუპირებული ფრონეს ხეობის ისტორიიდან (გზები ფრონეს ხეობაში)

ისტორიულად ფრონეთა ხეობებს, შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ ლიხის ქედის მომიჯნავე ტერიტორიას დიდ მნიშვნელობას სძენდა მითითებულ არეალში არსებული გზები. ამ გზებით შესაძლებელი იყო ფრონეს ხეობის მცხოვრებთა დაკავშირება ქვეყნის სხვადასხვა კუთხესთან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიასთან. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში გადმოსვლა ალის, სურამის, დვანის და ფცის წყლების ხეობების გვერდის ავლით შეუძლებელი იყო, ამიტომ ამ ტერიტორიას ძველი დროიდანვე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით. ფრონეთა ხეობებიდან რაჭის გავლით გზა გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ: „კვალად ამ ზარმაგის ქედის სათავიდან გარდავალს ზეკარზე გზა ქართლისა დიდი ლიახჳზე.“[1] ნარდონის ხეობის სათავეში, ნარ-მამისონის აუზის ჩრდილო საზღვარზე სოფ. ქვემო ზრამაგთან გზა ორად იყოფოდა. აქედან, ერთი გზა ჟღელეს ხეობაში მიემართებოდა, სადაც მამისონის, იგივე ჭანჭახის უღელტეხილის გადაკვეთის შემდეგ რაჭაში მდ. რიონის სათავეში ეშვებოდა. გზის მეორე ნაწილი კი-როკის უღელტეხილით დიდი ლიახვის ხეობაში ჩადიოდა.[2] ჩრდილო კავკასიიდან რაჭაში გადმოსასვლელი გზით, შესაძლებელი იყო ფრონეს ხეობაში ჩასვლა.[3] უფრო მეტიც, ფრო-

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. თბ. 1941, გვ. 115.
[2] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ. 1969, გვ. 41.
[3] ამ გზის გარდა ჩრდილოეთ კავკასიას დიდი ლიახვის ხეობაზე არსებული არსებული გზაც

ნეს ხეობაში, კერძოდ, დვანის წყლის აუზში არსებული სოფელი საბაჟო, რომელიც ყორნისიდან დაშორებულია სამი კილომეტრით, შუასაუკუნეებში მნიშვნელოვანი სავაჭრო კვანძი იყო. ს. მაკალათია წერს: „აქედან გზა გადადის რაჭა-ლეჩხუმისაკენ. როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო საბაჟო, სადაც ქართლ-იმერეთიდან სავაჭრო საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ.“[4] რაჭიდან ფრონეს ხეობაში გადმოსასვლელი გზის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ამ გულოვანთას აღმოსავალ-სამჴრით, მცირეს მთას იქით, არს წონა, ადგილი გარმოხუეული მთებითა და შინაგან ვაკე. აქ არს ტბა. ამას გამოსდის ყვირილა და მიდის ვითარცა აღვსწერეთ. არს წონა, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი, და მოსახლენი ოსნი. გარდავალს აქიდამ და კუდაროდამ გზა ქცხილვანის ჴეობასა ზედა, დვანის ჴეობასა ზედა, ქართლში.“[5] ფრონეების ხეობების გავლით ლიხის ქედზე დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი რამდენიმე გადასასვლელი იყო: პერანგას, ზემოჯვარი-კორტოხის, დედაბერასი, რიკოთის, სურამის და „ციხისძირის“ (ნ. ბერძენიშვილის ტერმინია).[6] ერთ-ერთი მთავარი გზა, რომელიც ფრონეს ხეობას დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა ეს იყო „გზაჲ დასავლეთისაჲ.“[7] ს. მაკალათიას განმარტებით დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, ქუთაისიდან გზა მოემართებოდა რიონის ხეობით გეგუთამდე, შემდეგ ყვირილას ხეობით შორაპნამდე, საიდანაც გრძელდებოდა ძირულას ხეობაში, აქედან ჭერათხევზე და ლოპინის წყალზე და გადადიოდა ნაღვლში, აქედან ფცის ხეობით ჩადიოდა მტკვრის შესართავთან და თბი-

უკავშირდებოდა, რომელიც „დვალეთის გზის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მისი მარშრუტი შემდეგნაირი იყო: მცხეთა, მუხრანი, რეხა (ნაჭარმაგევი), ფხვენისი, ნიქოზი, ცხინვალი, კეხვი, გუმთა, შემდეგ მდინარე ფაწა, ბყის ხევი და ზეკარის გადასასვლელით, მდინარე გინათით ზახას ხეობა და ნარა. გუმთადან გზის ერთი განშტოებაც მიემართებოდა დვალეთისაკენ, დიდი ლიახვის და როკის წყლის ხეობებით (სხლები, ჯავა, კოშკა, როკი), რომელიც ასევე როკის გადასასვლელით ზახას ხეობაში ჩადიოდა. ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ. 1966, გვ. 27-28. „დვალეთის გზის“ ერთ ნაწილს „გზა აჩაბეთისა“ ეწოდებოდა. ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 25; გ. სოსიაშვილი. სამაჩაბლოს ისტორია. თბ. 2021, გვ. 11.

[4] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა. თბ. 1963, გვ. 36.

[5] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 367.

[6] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 34.

[7] როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „გზა დასავლისა“ წყაროებში არაერთგზის იხსენიება. ზოგჯერ ის იმიერკავკასიიდან ლიხთიმერეთში შემავალ გზას ნიშნავს, ზოგჯერ კიდევ ლიხთამერეთიდან შემავალს.“ ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 29.

ლისისაკენ მიემართებოდა. „გზაჲ დასავლეთისაჲ“ არაერთ წყაროშია მოხსენიებული. IX საუკუნის 50-იან წლებში არაბთა დამსჯელი ლაშქრობის დროს, ბუღა-თურქისაგან ოტებული თევდოსი აფხაზთა მეფე „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად ქართლიდან დასავლეთ საქართველოში სწორედ ამ გზით გადავიდა. აღნიშნული ნარატიული წყაროს ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილ ძირითად ტექსტში იხსენიება „დვალეთის გზა“, თუმცა ჯ. გვასალია მიუთითებს, რომ „მარიამისეულ“ და „მაჩაბლისეულ“ ნუსხებში წერია „გზა დასავლისა“: „და თევდოსი, მეფე აფხაზთა გამოვიდა წინააღმდეგომად მისა, და დადგა კუერცხობს, ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვსი, და ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა: შეიბნეს და გააქციენეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დასავლისასა.“[8] ამ გზას, როგორც წყაროებიდან ირკვევა, IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში თავიანთი გავლენის გასავრცელებლად აქტიურად იყენებდნენ აფხაზთა მეფეები. სწორედ მითითებული გზით ისარგებლა კონსტანტინე აფხაზთა მეფემ (გ. 922 წ.) როდესაც კახეთის მეფე კვირიკე I-თან ერთად ჰერეთზე ილაშქრა. ამის შესახებ ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვის ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის წარწერა, რომელიც 906-914 წლებით თარიღდება: „[სახ]ე-ლი-თა ღ(მრთისა)ჲთა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[აჲთა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ/2შ]ობელისაჲთა, [შეწევნითა წმ(ი)დ(ი)სა გი](ორგი)სითა, ჴელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამ-ყარ[ე]ჳბ]უ-ლ-ისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და ჩავიდა ჰერე/4თს [შ]იგან, ჰერთა მეფ[ე]ჲ გა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიდობით იქცა, ცისკრად ა/5ლავერდს ილოცა, [მ]წუხ-რი ბრეძას გადაჴთა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ/6ისა ცი-ხე დალეწა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთა-ვარ/7ე[ბი] სკო[სო]ბასა სა-ნატრელისა ყუარყუარესა[9], ჯ(უა)რითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ/8ე[ლი]სა – სანა-ტრ[ე]ლი-სა სტეფანე ებისკოსისაჲთა, ძალითა, შეწევნითა მოყუას/თაჲთა, მე თ(ევდორ)ე თაფლაჲსძემან დავდე საძირ-კველი – წელნი იყ(უ)ანეს ხფი, ქრონიკ[ონსა ჩკვ].“[10] როგორც ჩანს,

[8] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 256. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ მითითებულ წყაროში ზუსტად არ ჩანს, „გზა დასავლისა“ ერთი გარკვეული გზის სახელი იყო, თუ ლიხთიქითს მიმავალ ყოველ გზის შესახებ ითქმოდა.“ ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 30.

[9] ამ სიტყვის აღდგენა პირობითია.

[10] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I. შეადგინა და გამოსაცე-

ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულმა, აფხაზთა მეფემ-კონსტანტინემ, რომელიც სწორედ იმ გზით ისარგებლა, რომელიც წყაროებში „გზაჲ დასავლისაჲ“-ს სახელით არის ცნობილი. ჰერეთის ლაშქრობიდან მობრუნებული აფხაზთა მეფეს, წარწერის თანახმად ფცის ფრონეს ხეობაში, კერძოდ, ბრეძაში შემოაღამდა. ერედვის წმ. გიორგის ტაძრის ასომთავრულ წარწერაზე დაყრდნობით, რ. მეფისაშვილი წერს: „ვეჟინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა, იგი მლეთაში გაემგზავრა, მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება, შემდეგ კონსტანტინე პატარა ლიახვის ხეობით, ერედვის გავლით ცხინვალში უნდა ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო.“[11] ეს გზა რომელიც პატარა ლიახვის ხეობიდან ცხინვალის გავლით, ჯერ ფრონეს ხეობაში, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში გადადიოდა, აქტიურად გამოიყენებოდა მრავალი საუკუნის მანძილზე. საინტერესოა, რომ ამ გზით სარგებლობდა იულონ ერეკლეს ძე, რომლის რეზიდენცია პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ბელოთში იყო. ის არაერთხელ გაექცა მეტოქე დავით ბატონიშვილს და იმერეთს შეაფარა თავი. როგორც იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი იგონებს: „აქ ჯარიაშენს დგომაში ორჯერ და სამჯერ ქალაქიდამ დაჭეშმარიტებით ჰამბავი მოგვივიდა, რომ დავით მოდის (საუბარია დავით ბატონიშვილზე, გიორგი XII-ის ძეზე, – გ. ს.) რუსის ჯარით თქვენზედაო. ამ მიზეზით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ, თებერვლის 3(6) მეფის ძე იულონ ფამილიით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისაკენ წამოსასველად გამოემგზავრა.“[12]

მად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი. ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა. საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. V. №10. 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I. V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. თბ. 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I. თბ. 1970, გვ. 16. Р. Меписашвили. В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинций Шида Картли. Тб. 1975, стр. 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს უნახავს ეგზარქოს ვლადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმომხილველს, მომავალ პატრიარქ იღუმენ კირიონს. იხ. И. К. Обозрение Карталинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии. 1897, стр. 20.

[11] რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ჟურნ. „ქართული ხელოვნება.“ 1955. №4, გვ. 114.

[12] იოანე ქართველიშვილი. მემუარები. ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ. 1952, გვ. 86.

იოანე ქართველიშვილს პატარა ლიახვის ხეობიდან იმერეთში გადასავლელი გზის შესახებ სხვა ცნობებიც მოეპოვება: „იმერეთს გავიქეცით ბელოთით და ჩემი ხიზანი ქ. ცხინვალს დარჩა 1801 წელს, თებერვლის ხ-სა დღესა.“[13]

სავარაუდოდ, ამ გზით ისარგებლა ასევე იმერეთის მეფემ – სოლომონ II-მ, რომელიც მთავარმართებელ ტორმასოვს პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფ. ვანათში შეხვდა.[14]

გზა, რომლითაც ერედვის ტაძრის წარწერაში მოხსენიებულმა კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ისარგებლა, შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: დასავლეთ საქართველოდან ფრონეს ხეობაში-ბრეძა–ცხინვალი–ერედვი–ქარჩოხის ხეობა (ალავერდი)–მლეთა–ჟინვალი–გომბორის უღელტეხილი–ვეჟინი. ლიხთიმერეთიდან ფრონეს ხეობაში გადასასვლელი გზის ერთი მონაკვეთი, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რეხში ჩადიოდა, რომელიც ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს[15] ლიახვის პირას. Mმკვლევრის თქმით, რეხი ლიხთიმერეთიდან და სამცხიდან მომავალი გზების ერთ-ერთ საკვანძო ადგილი იყო. [16] სწორედ ამ გზით სარგებლობდნენ აფხაზთა მეფეები, როდესაც კახეთზე ლაშქრობდნენ: „აქ აღწერილი გზით დადიოდნენ ლიხთიქიდან კახეთს. Dდა ეს განსაკუთრებით მანამდის, სანამ თიანეთს ჯერ კიდევ დაეკარგა კახეთის „ცენტრის“ მნიშვნელობა და სანამ თბილისი თავისი ოლქით ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა.“[17] ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის ცნობა, „მეგრელნის“ რეხაში ჩამოსვლის შესახებ, არ ნიშნავს, რომ აფხაზთა მეფეები ფრონეს ხეობაში გადმოსვლის შემდეგ რეხაში ჩადიოდნენ და შემდეგ გადადიოდნენ თიანეთში. როგორც მივუთითებდით, ბრეძა-ცხინვალი-ერედვის გავლით შესაძლებელი იყო ჯერ ქარჩოხის ხეობაში გადასვლა, შემდეგ კი ჟინვალიდან კახეთში, კერძოდ, ვეჟინში ჩასვლა. კახეთის მმართველები სწორედ ამ გზით ჩადიოდნენ ქსნის ხეობაში. შესაძლებელი იყო ფრონეს ხეობაში გადმოსული გზის ერთი მონაკვეთი ლიხვის ხეობის ქვემო წელზე, ნაჭარმაგევ-რეხისკენ ეშვებოდა და წყაროებში სწორედ გზის ამ მარშრუტზეა

[13] იოანე ქართველიშვილი. მემუარები, გვ. 95.

[14] იოანე ქართველიშვილი. მემუარები, გვ. 95.

[15] ლეონტი მროველი II-III საუკუნეების ქართლში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისას წერს: „ხოლო სომეხნი და ბერძენნი და მეგრნი შთავიდეს შიგა ქართლს და მუნ მიეგებნეს ქართუელნი და სპარსნი მდინარეს ზედა, რომელსა ჰქვიან ლიახუი და მუნ იქმნა ბრძოლა მათ შორის ადგილსა, რომელსა ეწოდების რეჭაჲ.“ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 54.

[16] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 24.

[17] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 24.

ზოგჯერ საუბარი. ნ. ბერძენიშვილი ერთგან მიუთითებს, რომ კახეთის კორეპისკოპოზის წინააღმდეგ გალაშქრებულ ბაგრატ III-ეს აფხაზეთიდან დამხმარე ძალა მოუვიდა, ლიხთიმერეთიდან ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში ამ გზით(ნაჭარმაგევ-მუხრანის) გადმოვიდა.[18] სწორედ ამ გზით უნდა ესარგებლა XVII საუკუნის 90-იან წლებში იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ეს (გ. 1695 წ.) როცა თავისი სამეფოდან დევნილი, გორში ჩავიდა.[19] იგივე გზა გამოიყენა ასევე 1520 წელს მამია I-მა გურიელმა (გ. 1534 წ.), როცა მან მოხისში ქართლის მეფე დავით X (1482-1526 წ.წ.) დაამარცხა და ლევან კახთა მეფეს (1505-1574 წ.წ.) შეხვდა.[20] A

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოდან ფრონეს ხეობაში გადმომავალ აღნიშნულ გზას აფხაზთა მეფეები იყენებდნენ აქტიურად, როცა ისინი ქართლის დაუფლებისთვის იბრძოდნენ და გარკვეული პერიოდი უფლისციხეში, იმ დროის ქართლის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრში, მათი წარმომადგენლები ისხდნენ. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი ეს გზა უკვე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III (961-1014 წ.წ.) დროს იხსენიება. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი საუბრობს რა აფხაზეთიდან ქართლში გადმოსულ მეფე ბაგრატზე, წერს: „შემდგომად ამისსა გარდამოვიდა ქართლს (აფხაზეთიდან-გ. ს.), რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თიღუას.“[21] ქართლში ამ დროს სრული ანარქია იყო. მძლავრობდნენ ქართლის დიდაზნაურები, რომლებსაც ქავთარ ტბელი უდგა სათავეში. მისი მამული ფრონეს ხეობას ესაზღვრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქავთარის წინაპრებს სავარაუდოდ ეკუთვნოდათ სოფელი წორბისი და აფხაზთა მეფეების ქართლში ექსპანსიის დროს ფრონეს ხეობის დიდ ნაწილს და დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზასაც შესაძლოა ტბელები აკონტროლებდნენ. ქავთარ ტბელი და მისი მომხრე ქართლელი დიდაზნაურები ბაგრატს მოღრისთან დახვდნენ: „იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს

[18] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 24.
[19] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 25.
[20] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 25.
[21] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 276. ბაგრატ მეფის თიღვას „დადგომა“ ნიშნავს, ფრონეს ხეობის ამ სოფელში სამეფო რეზიდენციის, ან გამაგრებული ადგილის არსებობას. მეფეს, სავარაუდოდ, ინფორმაცია ჰქონდა ქართლის დიდაზნაურთა მიერ მის წინააღმდეგ დაწყებულ სამზადისთან დაკავშირებით და ამიტომ აფხაზეთიდან ფრონეს ხეობაში გადმოსულმა გარკვეული დრო თიღვაში დაჰყო, შესაძლოა მას დამხმარე ძალაც მოუვიდა ლიხთიმერეთიდან.

თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თვსთა, მივიდეს და შეებნეს, იოტნეს ქართველნი: რომელნიმე დაჴოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხვეწნეს და დაიფანჩნეს.“[22] ქავთარ ტბელის და მისი მომხრეების მხრიდან მოღრისთან გამართული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ბაგრატის დასავლეთ საქართველოში გაქცევა და ლიხთიმერეთიდან ფრონეს ხეობაში არსებული გადმოსასვლელის ჩაკეტვა იყო. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, აქედან ძალზე მოსახერხებელი იყო უფლისციხესთან დაკავშირება.[23] XI-XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ ამ გზას წაღვლის ციხე-სიმაგრე აკონტროლებდა. ძველი წაღვლის ნასოფლარში შემორჩენილია ციხე-გალავნის ფრაგმენტი, რომელიც სწორედ მითითებულ პერიოდს განეკუთვნება. ციხე-გალავანს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია და მას ადგილობრივი მოსახლეობა „გალავნებს“ უწოდებს. გადმოცემით, წაღვლი ციხე-ქალაქი ყოფილა და მის აგებას დავით აღმაშენებელს მიაწერენ. მოსახლეობის ცნობით (გადმოცემა ს. მაკალათიამ ჩაიწერა), ქართველთა სახელოვანი მეფე ქუთაისიდან ჭიათურა-საჩხერეს გზით ჯვარზე გადმოდიოდა და წაღვლში ჩერდებოდა ლაშქრით. იგი აქვე, ჩორჩანა-ბროლოსანში აჯჩირითებდა ჯარს და შემდეგ რუის-ურბნისის მიმართულებით მიჰყავდა თბილისისკენ თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ.[24] დავით აღმაშენებლის გამეფებისას ლიხის მთა იყო სამეფოს საზღვარი (იგულისხმება თურქთაგან დაპყრობილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისაგან გამმიჯნავი), თუმცა წაღვლი ქართველთა მეფეს ეკუთვნოდა, სადაც მას თავისი რეზიდენცია ჰქონდა. ამას ადასტურებს დავითის ისტორიკოსის სიტყვები: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღვლის-თავი.“[25] ქართლის ვაკეზე სანადიროდ მეფე სწორედ წაღვლისთავიდან ჩადიოდა სათანადო დაზვერვის შემდეგ, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს თურქები აკონტროლებდნენ: „და ოდესღა ნადირობა უნდის ქართლის ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, /ცხენკეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან; ეგრეთღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა.“[26] ფრონეს ხეობის ამ ნაწილში სამეფო რეზიდენციის არ-

[22] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 276.
[23] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 31.
[24] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 16.
[25] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 324.
[26] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 324-325.

სებობა შემთხვევით არ იყო. ეს ადგილი ლიხის ორივე მხარეს აკავშირებდა და მას ქვეყნის ერთიანობის განმტკიცების, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამიტომ უნდა შეერჩია ფრონეს ხეობა მონასტრის ასაგებად დავით აღმაშენებლის ასულს-თამარს, რომლის საქტიტორო წარწერა თიღვის ტაძარმა შემოგვინახა. [27] ნ. ბერძნიშვილის განმარტებით, აღმოსავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა, რომელსაც დავით აღმაშენებელი თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყენებდა, ლიხის ქედზე ჯვარ-კორტოხის, ან დედაბერას გასასვლელისაკენ მიემართებოდა. გზა ჩადიოდა ძირულას ხეობაში, ხეფინის ხევში.[28] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ გადასასვლელს ზოგადად ლიხად იხსენიებს. 1120 წელს, როცა დავით მეფე აფხაზეთში იყო გადასული და თურქებმა მტკვრის პირა ადგილები დაიკავეს: „წამოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა. გარდაათხრევინა ლიხნი, სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მჯარი სამი, დახუდა მზად სპა მისი. პირველ ჰამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუანს.“[29] საინტორიო წყაროებში, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილთან დამაკავშირებელი გზები ქართველ მემატიანეებს ზოგადად, „ლიხთა“ სახელით აქვთ მოხსენიებული. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „ცნობები ამერითადან იმერეთს გარდასავალთა შესახებ XI-XII საუკუნეში ფრიად მრავალია. სამწუხაროდ მეტად იშვითია მათ შორის ისეთი, რომლის მიხედვით ამ გზის მიმართულების ზედმიწევნით დადგენა შეიძლებოდეს. ამოცანას დიდად გააადვილებდა, რომ ჩვენ გვცოდნოდა სახელდობრ რომელ ადგილს გულისხმობენ წყაროები „ლიხთა“ დასახელებისას.“[30] „დასავლეთის გზას“ „დარიალის გზასთან“ ერთად მონღოლთა ბატონობის პერიოდში, კერძოდ, XIII საუკუნის 60-იან წლებში დავით ულუ (1216-1270 წ.წ.) აკონტროლებდა. ჰულაგუ ყაენმა (1217-1265 წ.წ.) მეფის ძის-გიორგი უფლისწულის დასჯა გადაწყვიტა, თუმცა ყაენის მეუღლემ-ტონღუზ ხათუნმა მონღოლთა მბრძანებელს განზრახვა გადააფიქრებინა და ეს სწორედ იმით დაუსაბუთა, რომ ჰულაგუს მეტოქე(კერძოდ ბათოს შვილი, სავარაუდოდ, სარტაკი, ოქროს ურდოს მბრძანებელი (დაახლ. 1256 წ.), ან ულაღჩი (1256 წ.)დავით ულუს და-

[27] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 55.
[28] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 34.
[29] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 339.
[30] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 33.

რიალის და დასავლეთის გზის გადასაცემად „დიდთა ნიჭთა“ აძლევდა. ამიტომ დავითის მემკვიდრე კი არ უნდა დაესაჯა, არამედ გარკვეული დიპლომატია უნდა გამოეჩინდა განდგომილ ქართველ მეფესთან. აღსანიშნავია, რომ „ჟამთააღმწერელი“ ამ ცნობაში იხსენიებს არა „დასავლეთის გზას“, არამედ „დვალეთის გზას“, თუმცა ჯ. გვასალია მიიჩნევს, რომ „ქართლის ცხოვრების“ „მარიამისეულ“ და „მაჩაბლისეულ“ ნუსხებში მითითებულია „დასავლეთის გზა“ და ეს ცნობა მართებულად მიაჩნია: „და ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი, დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილი, მრავალსა მოციქულსა უგზავნის(დავით ულუს-გ.ს.)და დიდთა ნიჭთა/აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დვალეთისა (დასავლეთისა?-გ.ს.), რამეთუ ორივე ხხელთა შინა მისთა (დავით ულუს - გ.ს.) არს.“[31] როგორც ს. მაკალათია მიუთითებს, ოდნავ მოგვიანებით, აღნიშნულმა გზამ ლიხის ქედის ოდნავ სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, ალის ფრონეს ხეობაზე გადაინაცვლა. ალის ფრონეს სათავიდან, უფრო კონკრეტულად კი ულუმბოდან გზა გადადიოდა კორბოულში, (საჩხერის რ-ნი). აღნიშნული გზის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ ხოლო ვერტყვილას და ამაშუკეთს/შუა არს მცირ[ე] მთა, მისრული კოლბეურის მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი.“[32] ეს გზა ალის ციხე-სიმაგრით იყო გამაგრებული. ამ გზით ისარგებლა ქართლის მეფე სიმონ I-მა (1537-1611 წ. წ.), როცა მამია დადიანის (გ. 1590 წ.) წინააღმდეგ გაილაშქრა. სიმონი ქართლიდან კორბეულში გადასულა და დაბანაკებულა. დამარცხების შემდეგ ქართლის გვირგვინოსანი იმავე გზით გადმოვიდა ქართლში: „ხოლო წარმოემართა მეფე სვიმონ და წარვიდა ბრძოლად მამია დადიანისა, მაშინ დაბანაკდა კალიბაურს...რაჟამს ოტებული მივიდა მუნვე კალიბაურს.“[33] ქართლის მეფე სიმონი დასავლეთ საქართველოში ჯვარის გადასასვლელით გადასულა.[34] ლიხის ქედიდან კოლბეურში გადასასვლელილი გზით ისარგებლეს შაჰ-აბასისაგან ქართლიდან იმერეთში გახიზნულმა თეიმურაზ I-მა (1589-1663 წ.წ.) და ლუარსაბ II-მ (1592-1622 წ.წ.). ამის შესახებ მოგვითხრობს XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი:

[31] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 589; ჯ. გვასალია. ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. VII. თბ. 1989, გვ. 4.

[32] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 379.

[33] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 534.

[34] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 34.

„იქიდან ლტოლვილი (იგულისხმება კახეთიდან გამოქცეული-გ.ს.) თეიმურაზ და ლუარსაბი ჩავიდნენ თბილისში, იქიდან კი გორში, მაგრამ ვერც იქ შესძლეს გაჩერება და კოლბას გზით გაიარეს კავკასიის მთა, რომელიც იგივე იალბუზის მთაა, და წავიდნენ ბაშიაჩუკის ქვეყანაში.“[35] „კოლბეურის“ გზას იხსენიებს „შაჰნავაზიანი“, რომელიც ვახტანგ V შაჰნავაზის (გ. 1675 წ.) დასავლეთ საქართველოში ლაშქრობას ეხება: „მთასა გარდახდა, მაშინვე მიეგებოდა ყველანი კოლბეურს დასცა კარავი, აივსო იგი ველანი...“[36] ალიდან დასავლეთ საქართველოში გზა ორი გადასასვლელით გადადიოდა: ჯვარ-კორტოხის და დედაბერასი. პირველი ჩადოდა კოლბეურში. სწორედ ეს გზა უნდა გამოეყენებინათ თურქ-სელჩუკებს და მათ მოკავშირე კახთა და სომეხთა მეფეებს და ტფილისის ამირას, როცა დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და ლიხის ქედს გადაღმა არსებული ტერიტორია სვერის ციხემდე მოარბიეს. ამის შესახებ „მატიანე ქართლისაჲ“ გვაწვდის ცნობას: „გარდავიდა მარბიელი მისი არგვეთს, მიუწიეს და არბიეს ვიდრე სვერის ციხემდე.“[37] რაც შეეხება დედაბერას გადასასვლელს, ეს გზა ულუმბას გავლით ძირულას ხეობით (ხეფინის ხევით) შორაპნისკენ მიემართებოდა. [38] ეს გადასასვლელი მოხსენიებულია XVII საუკუნის ერთ ლექსში, რომელიც მეფე-პოეტს, თეიმურაზ -I-ს მიეწერება: „ულუმბის მთასა გადმოვდეგ ჩემ საიმედოდ გულისა, დავხედე ქართლის ქვეყანას ღვთისაგან კურთხეულისა...“[39] სავარაუდოდ, ალის ფრონეზე გამავალი გზით ისარგებლა თემურ ლენგმა, როდესაც შიდა ქართლის ეს ნაწილი ააოხრა. ამას ადასტურებს 1407-1410 წლებში ქუცნა ამირეჯიბის მიერ ბოძებული შეწირულობის სიგელი ულუმბის ღვთისმშობლისადმი: „ს(რუ)ლია)დ აღეოჴრა და უმკვდრო ექმნა საქართველო და წ[ა]ეტყუეენნეს ყ(ოველ)ნი მონასტერნი და უმეტესად ყ(ოველ)თასაუდაბნო ესე თქ(უე)ნი, რ(ომე)ლ საძირკუელიცა არა დაშთომილ იყო.“[40] ჯ. გვასალიას დაკვირვებით ალის გზის მეორე მონაკვეთი შემდეგნაირი მიმართულების იყო:

[35] ჯ. გვასალია. ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 5-6; არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. კ. კუციას გამოცემა. თბ. 1974, გვ. 26.
[36] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 35.
[37] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 309.
[38] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 35.
[39] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 36.
[40] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II. XIV-XV საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ. თბ. 2013, გვ. 93.

„ულუმბა-დედაბერა-ღოდორა-ლიჩი-ნადაბური.[41] ალის ფრონეზე არსებულ გზას ალის ციხე დარაჯობდა.[42] ამ გზამ განაპირობა ალში ქალაქური დასახლების შექმნა. ვახუშტი ბატონიშვილი ალს მცირე ქალაქად იხსენიებს: „ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს ალის-წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი.“[43] სავაჭრო საქმიანობაში როგორც ჩანს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ალში დასახლებული ებრაელები, რომელთაგან ორი კომლი ქუცნა ამირეჯიბმა 1407-1410 წლებით დათარიღებული სიგელის მიხედვით ულუმბოს მონასტერს შესწირა: „არის ულომბისა ღ(მრთ)ისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი ს(რულია)დ, ბაჟის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები.“[44] როგორც ქუცნა ამირეჯიბის „დაწერილიდან“ ირკვევა, ალში საბაჟოც ყოფილა, რომელიც ალის ფრონეს ხეობაში ქართლ-იმერეთის გზაზე სავაჭრო ტვირთ-ბრუნვას ადასტურებს. ამავე დოკუმენტში ალის გზაზე სავაჭრო ურთიერთობის შესახებ კიდევ საინტერესო ცნობაა: „ჩიჯანს მისი სამოურაო არა დააკლდებოდეს, ულაყი აქათ თბილისამდე და იქით ქუთაისამდე.“[45] შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გზით ქუთაისიდან თბილისამდე იზიდებოდა სავაჭრო საქონელი. პლ. იოსელიანს ალი შეტანილი აქვს საქართველოს ქალაქთა ნუსხაში.[46] შ. მესხიას აზრით, ალი, როგორც ქალაქი დაარსებული უნდა იყოს XI-XII საუკუნეებში.[47] თუ ალის, როგორც ქალაქის დაარსებას ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვაქცევთ, მაშინ უნდა ვივაურაუდოთ, რომ ალის ფრონეს გზა ამ დროიდან აქტიურად მოქმედებდა. ალის წყლის ხეობიდან იმერეთში გადასასვლელი გზის არსებობამ განაპირობა ფრონეების ხეობის ამ ნაწილში ვაჭრობის განვითარება და ებრაელთა დასახლების შექმნა. აღსანიშნავია, რომ ალის ციხის მახლობლად, ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით, ფრონეს ორივე მხარეს მდებარე ადგილს „ნაურიალებს“, იგივე „ურიების ნაქალაქარს“ უწოდებენ.[48] XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი დავთრის მიხედვით ალის გარდა ფრონეს ხეობაში ებრაელები ცხოვრობდნენ ძაღინაში. როსტომ და

[41] ჯ. გვასალია. ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 6.
[42] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 81.
[43] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 377.
[44] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II. XIV-XV საუკუნეები, გვ. 96.
[45] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II. XIV-XV საუკუნეები, გვ. 97.
[46] П. Иоселиани. Города, существовавшие и существующие в Грузии. Тиф. 1850, გვ. 10-12.
[47] Ш. Мсхиа. Города и городской строй феодальной Грузии. Тб. 1959, გვ. 44.
[48] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 83.

ელიაზარ ფალავანდიშვილებს ძაღინაში ეკუთვნოდათ ებრაელი ყმები: „ქ. ამისივე ყმა ურია კრიხელი დავითა კომლი ა. ქ. ამისივე ყმა ურია კრიხელი მოშია კომლი ა. ქ. ამისივე ყმა ურია კრიხელი მახუა კომლი ა.“[49] ებრაელები ცხოვრობდნენ ასევე ფცის ფრონეს ხეობის სოფელ მუხაურში, რომელიც ძაღინას ემიჯნება. ვახუშტის ცნობაში ვკითხულობთ: „მუხაური, მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი.“[50] მუხაურში ებრაელთა არსებობას ადასტურებს 1751 წლით დათარიღებული საბუთი, სადაც მუხაურის მამასახლისის შვილი მარდახა იოსებ და ბინია ჯანაშვილიებს, ასევე ოტია ქველიძეს და გიორგი კილაძეს უჩიოდა ვალის გადაუხდელობის გამო.[51] დვანის ფრონეს ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს სოფელი „ურია.[52]“ როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, ალის გზის საკვანძო ადგილზე, კერძოდ, ალში სავაჭრო დუქნებიც ყოფილა. ალში არსებულ სავაჭრო ურთიერთობაზე მეტყველებს 1925 წელს აქ აღმოჩენილი მონეტების განძი. განძში იყო მონღოლური მონეტები (204 ერთეული), ტრაპიზონის ასპრების მიბაძულობის მონეტები, ასევე ქართული მონეტები (250 ერთეული).[53] ალის ფრონეზე გამავალი გზით გადასულა დასავლეთ საქართველოში ქართლის მეფე ვახტანგ V (გ. 1675 წ.). მას უსარგებლია ლიხის ქედზე არსებული ჯვარის გასასვლელით. ამას ადასტურებს ვახუშტის ცნობა, რომელიც 1661 წელს ქართლის მეფის იმერეთში გადასვლას და შემდეგ დადიანის წინააღმდეგ ლაშქრობას ეხება: „ამას ზედა შეიკრიბნა სპანი ქართლისანი და რომელნიმე კახნი მეფე-მან, მივიდა და დასდგა ალს: მსმელენელი დადიანი შეკრებილი სრულიად იმერეთით მოვიდა საჩხერეს და დასდგა მუნ: მაშინ მეფე ეზრახა იმერთა, მოერთო აბაშიძე პაატა, რაჭის ერისთავი პაპუნა და ლაშხის-შვილი ხოსია თავ-ლეჩხუმისა, გარდავლო მეფე-მან მთა-ლიხისა, იხილია დადიან-მან, ვერღა-რა დაუდგა და წარვიდა ოდიშს.“[54] ალის გზა არაერთხელ იხსენიება წყაროებში, როგორც დასავლეთ საქართველოდან ლიხზე გადმოსასვლელი გზა ქართლში.[55] ეს გზა აქვს მითითებული არჩილს, როცა ის შაჰ-აბასისისაგან დევნილ თეიმურაზის და ლუარსაბის იმერეთში გადასვლას ეხება: „გარ-

[49] ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). თბ. 2013, გვ. 81.
[50] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 376.
[51] ე. მამისთვალიშვილი. ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ. 1995, გვ. 117.
[52] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 22.
[53] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 22.
[54] საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც. ტფ. 1913, გვ. 78.
[55] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 442.

დავლეთ ლიხი, მივედით ადგილთა იმერელთასა გიორგი მეფე მობრძანდა სამყოფსა წერეთელთასა წინ მოგვეგება გვესალმა საჩხერეს, ადგილს ველთასა, დავივანენით სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ქველთასა. მიგვიპატიჟა ქუთაისს, მუნ ტახტსა მეფედ დგმულებსა.“[56]

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, ალის ფრონეს ხეობაში გამავალი გზით გადავიდა დასავლეთ საქართველოში. შარდენი ალს პატარა სოფელს უწოდებს: „შუადღისას მივედი ერთ პატარა სოფელში, რომელსაც ალი ეწოდება. იგი მდებარეობს ორ მთას შუა. აქედან ორ ეჯზე გავიარეთ ვიწრო კლდეკარი, რომელიც იკეტება ხარიხებით. ეს მიჯნაა საქართველოსა და იმერეთის სამეფოსა.“[57] აღნიშნული გზით ისარგებლა ვახტანგ ბატონიშვილმა(შემდგომში ვახტანგ VI (1675-1737 წ.) რომელიც ქართლში ირანის შაჰის მიერ საუფლისწულო მამულების მიღების შემდეგ დაბრუნდა: „ხოლო მათ განუზრახეს: მისვლა ქართლს, წარმოვიდა და მოვიდა ალს.“[58] მოგვიანებით, ალთან გამავალ გზას სამხრეთით უნდა გადაენაცვლებინა, სავარაუდოდ, სურამის წყლის ხეობაში. ალმა ფუნქცია დაკარგა. 1715 წლის რუისი სამწყსოს დავთრის მიხედვით ალში სულ 22 კომლია აღნუსხული და ერთ დროს მცირე ქალაქი იხსენიება, როგორც „დაწყევლილი ალი.“[59] როგორც ჩანს, მტრების შემოსევებმა, განსაკუთრებით კი ლეკთა თავდასხმება აღნიშნულ ქალაქს თავისი დაღი დაასვა. თუმცა „დაწყევლილს“ ს. მაკალათია სხვანაირად ხსნის: „მისი სახელწოდება, ხალხური განმარტებით წარმოშობილი ალი-საგან(ცეცხლის ალი), როგორც მხურვალე ადგილი, განსაკუთრებით ცხელი ზაფხულის გამო...შესაძლებელია ეს დაწყევლილობაც დაკავშირებული იყოს მის ძნელ გასაძლის ჰავასთან(სიცხესთან).“[60] მტრის თავდასხმები და გზის ფუნქციის დაკარგვა უნდა ყოფილიყო ალის მოსახლეობის შემცირების და სხვა ადგილებში გადასვლის მიზეზი. საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დავთარში ცხინვალში იხსენიებიან ალელები, რომლებიც ბეგთაბეგიშვილის[61] ყმები იყვნენ (24

[56] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 35.
[57] ჟან შარდენი. მოგზაურობა საქართველოში (1672-1673 წ.). თბ. 1935, გვ. 82.
[58] საქართველოს ცხოვრება, გვ. 105.
[59] ექვთიმე თაყაიშვილი. რუისის სამწყსოს დავთარი 1715. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 2015, გვ. 62-63.
[60] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 79-80.
[61] ბეგთაბეგიშვილები ვაყაში (ალის ფრონეს ხეობაში) ცხოვრობდნენ. ისინი მხარგრძელთა შთამომავლები იყვნენ. XVII საუკუნეში თეიმურაზ I-მა ამ საგვარეულოს წარმომადგენელს თავადობა და მდივანბეგობა უბოძა. ს. მაკალათია, ფრონეს ხეობა, გვ. 67.

კომლი), აქედან რამდენიმე კომლი ებრაელი. ამ დროისთვის ცხინვალში ცხოვრობდა ელენე ბატონიშვილის საკუთრებაში არსებული ალიდან გადმოსახლებული ორი ოჯახიც.[62] დვანის წყლის ხეობიდან კიდევ ერთი გზა გადადიოდა ლიხთიმერეთში. ჯ. გვასალიას დაკვირვებით ეს მარშრუტი შემდეგნაირი იყო: ოქონა-თიღვა-ძაღინა-საყარაულო-ოჟორა-ხტანა-გომართა-ლოხოისის მთა-პერანგის მთა-ჭალა-ჩიხა-საჩხერე.[63] აღნიშნული გზა მოქმედი იყო XI-XII საუკუნეებში, თუმცა ის ოდნავ სამხრეთით გადიოდა.[64] მითითებული გზა, რომელიც ლოხოისის და პერანგის მთებით გადადიოდა ლიხის ქედის დასავლეთ მხარეს, მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს: „ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, ან ცარიელი, მუნიდან წარვალს გზა ლოხონის მთასა ზედა და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა.“[65] დვანის ფრონეს ხეობიდან იმერეთში გადასასვლელ გზას რამდენიმე ციხე-სიმაგრე აკონტროლებდა. გზის ერთ მონაკვეთს, რომელიც ოქონადან მიემართებოდა თიღვაში, შემდეგ კი ძაღინადან ლოხოისის და პერანგის მთებისკენ, ძაღინას ციხე-სიმაგრე აკონტროლებდა[66], ხოლო გზის მეორე მონაკვეთს, რომელიც დვანიდან წორბისის მიმართულებით მიდიოდა და შემდეგ საქართლის ციხიდან დასავლეთით უხვევდა და ასევე ლოხოისის და პერანგის მთებით იმერთში გადადიოდა-საქართლის ციხე აკონტროლებდა.[67] 1742 წელს, როცა გივი ამილახორი ირანელებს აუჯანყდა, ქართლის ხანმა სწორედ საქართლის ციხე აიღო, რითაც იმერეთში გადასასვლელ გზაზეც დაამყარა კონტროლი.[68] ხტანიდან გომართასკენ მიმავალი და შემდეგ პერანგის მთაზე გადასასვლელი ვახუშტის მიერ მოხსენიებული გზა ნ. ბერძენიშვილს გაიგივებული აქვს იმ გზასთან, რომლითაც თავის დროზე ბაგრატ III-მ ისარგებლა.[69] ამ გზის ლიხთიქითა პუნქტი იყო ჩიხა, სადაც ჯერ კიდევ IX საუკუნეში აფხაზთა მეფეებმა ქართლის გასაკონტროლებლად ჩიხას საერისთაო შექმნეს. ნ. ბერძენიშვილს ამის დასადასტურებლად მოჰყავს „მატრიანე ქართლისაის“ ცნობა: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი

[62] ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), გვ. 58-59.
[63] ჯ. გვასალია. ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 5.
[64] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 33.
[65] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 376.
[66] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 57-60.
[67] ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, გვ. 37.
[68] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 30.
[69] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 31.

აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრისი, რომელსა ერქუა ბაგრატ...და ცოლმან მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა.“[70] 1632 წელს პერანგის მთიდან იმერეთში გადასასვლელით უცდია როსტომ ხანისაგან (1565-1659 წ.წ.) გაქცევა თეიმურაზ I-ს (1589-1663 წ.წ.), თუმცა მითითებულ გადასასვლელზე მას მდევარი წამოეწია: „ბატონმა თეიმურაზ და რომელთამე კახთა გარდაასწრეს იმერეთს, ხოლო რომელთამე მოეწიენეს პერანგაზედა, რომელიმე მოსრეს, რომელიმე შეიპყრეს და ტყუე-ყვეს ხიზანი, წარმოვიდნენ და მოვიდნენ როსტომ სპასალართანა.“[71] ფრონეს ხეობებიდან, კერძოდ, სურამის წყლის ხეობიდან კიდევ რამდენიმე გზა გადადის ლიხის ქედის დასავლეთით. ერთი მათგანი რიკოთის გადასასვლელით ძირულას ხეობაში ჩადის, ხოლო მეორე-სურამიდან ფონზე (სურამის გადასასვლელი) წიფას ჩადის და ჩხერიმელას ნაპირით შორაპნისაკენ მიდის.[72] ამ გზას იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „მლაშეს ზეით ჩხირიმელაზედვე არს სამხრეთით ჩხერის ციხე მაგარი და მტრისაგან აუღებელი. ჩხერის ზეით არს გზა ქართლს მიმავალი.“[73] ეს გზა მოხსენიებული აქვს პაპუნა ორბელიანს, როდესაც 1741 წელს დადიანისაგან და აბაშიძისაგან ტახტიდან ჩამოგდებული იმერეთის მეფის ალექსანდრე V (1703/1704-1752 წ.წ) ქართლში გადმოვიდა. პაპუნა ორბელიანი წერს: „დადიანმა და აბაშიძე ზურაბ გადმოიყვანეს ჯარი ურუმისა. გარდმოაგდეს მეფე(ალექსანდრე). აიყარა თავის დედწულით და მივიდა ციხესა ჩხერისასა. მიუყენა თავის მისანდომნი კაცნი და თითონ ასიოდე კაცით გარდმოვიდა სურამს.“[74] ამ გზას ჩხერის და ხარაგეულის ციხეები ამაგრებდნენ.[75] სურამი- ჩხერის გზით XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში ჩამოსულმა არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა ისარგებლა, მათ შო-

[70] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 31. საინტერესოა, რომ მოგვიანებით არსებობდა საქართლის საერისთავო. რაც აფხაზთა მეფეების მიერ ქართლში ერთგვარ პლაცდარმად ქცეულ საქართლის ციხიდან უნდა მომდინარეობდეს და მას ჩიხის საერისთაო უნდა ჩაენაცვლებინა. დიდი ალბათობით ამ ციხეს ტბელთა საგვარეულო ფლობდა და, შესაბამისად, საქართლის ერისთავებიც ტბელები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებმაც მოგვიანებით აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის მართვის სადავეები იგდეს ხელთ, რასაც ერედვის ზემოთ მოყვანილი წარწერაც ცხადყოფს.

[71] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 417.

[72] ჯ. გვასალია. ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 6.

[73] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 155.

[74] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. https://www.nplg.gov.ge/greenstone3/halftone-library/collection/konspeqtebi/document/HASH162b286a36f8ffa48d1e0f;jsessionid=D90959DE42285CF959E482C198DAB24B

[75] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 37.

რის იოაჰან ანტონ გიულდენშტედტმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმყოფებოდა. გერმანელი მეცნიერი ამ მარშრუტს შემდეგნაირად აღწერს: „11 სექტემბერს გათენებისთანავე გავედით ჩხერიდან და 3 საათის განმავლობაში, უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ვიარეთ ჩხერიმელის ხეობაში. მასზედ ამ გზაზე ჩვენ 18-ჯერ გადავედით; ის გაზაფხულზე წყალდიდობისას არ გაისვლება, ამიტომ ხევის ახლოს თხემზე უფრო ცუდი გზაც გადის. ჩხერიმელის გასვლის შემდეგ ერთ საათში გავიარეთ ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი მდინარე, რომლებიც ერთდებიან და ჩხერიმელაში ჩადიან; პირველზე დგას ვახანის ციხე და სოფელი ზეთუბანი, მეორეზე კი-სოფელი ქვაბი, რომელიც ჩვენ 1 ½ საათში გავიარეთ, და შემდეგ ხიდით გავედით მდინარეზე. ჩვენ ამ მდინარეს მივდევდით ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და შეგვხვდა ორი ჩრდილოეთიდან მომავალ მდინარე; უკანასკნელზე, 1 ½ საათში ქვაბიდან, მდებარეობს სოფელი წიფა, რომლისგანაც მხოლოდ ქვიტკირის ეკლესია იყო დარჩენილი...წიფიდან აღმოსავლეთით-ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 საათში გავიარეთ მდ. ქვაბის სათავე და იქვე მწვერვალიდან პირველად გამოჩნდა ქართლი.“[76] გერმანელი მოგზაური სურამში გაჩერდა, აქედან კი გზა დირბის გავლით ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდი ლიახვის ხეობისაკენ გააგრძელა.[77] ჩხერიმელას ხეობაში არსებული გზას აღწერს კიდევ ერთი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომელიც 1825-1826 წლებში კავკასიაში იმყოფებოდა და მან საქართველოც მოინახულა. აიხვალდი დასავლეთ საქართველოდან ქართლში, კერძოდ, სურამში სწორედ ჩხერიმელას ხეობის გზით გადმოსულა. თავის დღიურში აიხვალდი წერს: „შემდგომი სადგური მალიცკის პოსტამდე არაჩვეულებრივ ახლო მეჩვენა, რადგან ის ძევს ძალზე სასიამოვნო გარემოში. გზა მიდის სულ მთებს შორის ჩხერიმელას გასწვრივ ახლად გაყვანილ შარაზე, რომელიც გაცილებით მოკლეა, ვიდრე ადრინდელი, რომელსაც მთაზე გადავყავდით. ძველი ყოველწლიურად ინგრეოდა(იქცეოდა), რადგან პატარა მთის ნაკადულები მას ძალზე თხრიდნენ და რეცხავდნენ, ასე რომ ხშირად მასზე გავლა დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ახალ გზას თანდათან ზევით მივყევართ დაკლაკნილი ჩხერიმელას ნაპირზე; მაგრამ მისი კირითა

[76] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 175.
[77] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 177.

და თიხით შეკავშირებული ფაშინი დროთა ვითარებაში ფუჭდება მძიმე ურმებითა და კამეჩებით, რის გამოც მუდმივ შეკეთებას მოითხოვს. სამაგიეროდ აქედან სურამამდე გზა ჩვენი ცხენებისთვის განსაკუთრებით ძნელი იყო; მათ მოუხდათ არა მარტო მაღალ მთაზე აფორთხება, არამედ უღრმეს თიხნარში ტოპვა, ისე რომ ხშირად მუცლამდე ტალახში ეფლობოდნენ და ფეხებს ძლივს იღებდნენ ზემოთ. ჩვენ აქ მრავლად შეგვხვდა კამეჩშებმული ურმები, რომელთაც მიჰქონდათ სურსათი სამხედროთათვის. კამეჩებს საშინელი ცემით ერეკებოდნენ ადგილიდან, ისე ღრმად იყვნენ თავიანთ ურმებთან ერთად თიხაში ჩაფლულნი. გზის ამ მონაკვეთის შეკეთება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან ქვა შორიდანაა მოსატანი, ხოლო კირიც ახლო-მახლო არსადაა. ბოლოს ჩვენ მივაღწიეთ ქედის იქითა მხარეს, რომელიც ძევს იმერეთსა და ქართლს შორის. აქედან გადაიშალა შესანიშნავი ხედი ქართლისა.“[78] ედუარდ აიხვალდი სურამიდან ჯერ გორს გაემგზავრა, შემდეგ კი-ცხინვალში.[79] ფრონეების ხეობათა ამ ნაწილში დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი ქვიშხეთ-ციხისძირის გზა იყო. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „სხვა ჩვენებებიც რომ არ გვქონოდა, თვით ეს სახელი „ციხისძირი“ და აქამდის დაცული ციხე ამ გზის გადმოსავალს, საკმაოდ უჩვენებენ უკანასკნელის მიმართულებას. მოიპოვება XIII საუკუნიდან ორი ცნობა. საიდანაც საფიქრებელი ხდება, რომ ლიხთიქიდან ქართლში სწორედ ამ უკანასკნელი გადმოსავალითაც შემოდიოდნენ.“[80] მკვლევარი გულისხმობს „ჟამთააღმწერლის“ ცნობას, რომლის მიხედვით XIII. საუკუნის 60-იან წლებში მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული დავით ულუ დასავლეთ საქართველოდან სწორედ ამ გზით გადმოვიდა აღმოსავლეთში: „წარმოვიდა და მოვიდა ქვიშხეთის ბოლოსა და სურამს შუა დადგა და მოუწოდა ენუქ არქაუნს.“[81] ნ. ბერძენიშვილი მითითებულ ქვიშხეთ-ციხისჯვარის გზასთან დაკავშირებით „ჟამთააღმწერლის“ თხზულებაში არსებულ კიდევ ერთ ცნობას იმოწმებს, როდესაც დასავლეთ საქართველოში 1289 წელს სადუნ მანკაბერდელის ძე ხუტლუბუღა დავით ნარინის ძის ვახტანგის ჩამოსაყვანად გადავიდა: „და იხილა ხუტლუბუღა, მოუწოდა სპათა თვესთა, წარმოემართა, თანა წარმოიტანა ძე მისი ვახტანგ. გარდმოვიდა

[78] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2005, გვ. 228.
[79] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 229.
[80] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 37.
[81] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 246.

და დადგეს ტასის კარს, ქვიშხეთის მინდორსა.“[82] ფრონეების ხეობის სამხრეთ ნაწილს, კერძოდ, სურამის წყლის ხეობას გზა აკავშირებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან. ამ გზას ნ. ბერძენიშვილი პირობითად „ხეობის გზას“ უწოდებს, რადგან იგი მტკვრის ხეობას სამცხე-ჯავახეთიდან, ისტორიული ზემო ქართლიდან, შიდა ქართლის მიმართულებით მოუყვებოდა.[83] ჯავახეთის მთებიდან წამოსული წმინდა ნინო, შიდა ქართლში, კერძოდ, ურბნისში სწორედ ამ გზით მოხვდა. ლეონტი მროველი ამის შესახებ წერს: „და შემდეგომად ამისსა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო დინება მისი დასავლეთით-კერძო. და მიუდგა გზათა/ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან და შიში დიდი მჴეცთაგან, ვიდრეღა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით იწყო დინება. და მიერითგან იქმნა ლხინება მისი, რამეთუ პოვნა მუნ, მოგზაურნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა-იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური.“[84] მტკვრის ხეობის გასწვრივ მომავალი გზა, როგორც ირკვევა შიდა ქართლში, ურბნისის მიმართულებით მოემართებოდა. სავარაუდოდ, ამ გზით ისარგებლა ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით დავით III კურაპატალატმა (გ. 1001 წ.), როდესაც ქართლის ერისთავის, იოანე მარუშისძის მოწოდებით ტაოდან ქართლში, კერძოდ, ქვახვრელს „მოვიდა“.[85] აღნიშნულ გზას, რომელიც შიდა ქართლს სამცხე-ჯავახეთთან აკავშირებდა XIII საუკუნის 60-80-ანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით არაერთხელ იხსენიებს „ჟამთააღმწერელი“. მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული დავით ლაშას ძე სარგის ჯაყელთან ერთად შიდა ქართლში დაბანაკებული მონღოლების წინააღმდეგ სამცხიდან გამოემართა.[86] ქართველები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ მონღოლებთან და არღუნ ყაენი „წარმოემართა სამცხეს ხილვად სარგის ჯაყელისა. შემოვლო სომხეთი, ტფილისი და ქართლი მჴედრითა ორითა ბევრითა...და უგრძნეულად მივიდა სამცხეს და დადგა აწყურს.“[87] სწორედ ამ გზით ილაშქრა ქართლში 1387 წელს თემურ ლენგმა. „ხეობის გზა“ იხსენიება 1520 წლის ქართლის პოლიტიკური ამბების ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით, როდესაც ლევან

[82] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 292.
[83] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 37.
[84] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 87.
[85] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 38.
[86] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 38.
[87] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 38.

კახთა მეფის დასახმარებლად გურიიდან წამოსულმა მამია გურიელმა მთა ღადო გადმოიარა და შემდეგ მტკვრის ხეობის გავლით მოხისში ჩავიდა, სადაც ქართლის მეფემ მარცხი იგემა.[88] ეს გზა გვიანფეოდალურ პერიოდში ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთხელ გვხვდება. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, ამ გზის მარშრუტი შემდეგი მიმართულების იყო: გორი, ტინისხიდი, ურბნისი, რუისი, არადეთი, მოხისი, ტასის კარი, ახალდაბა, პეტრეს ციხე, აწყური. ამრიგად, წარმოდგენილი ცნობების და აღწერილი მარშრუტების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრონეების ხეობებს, რომლებიც ლიხის ქედს ემიჯნებოდა, როგორც დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი რამდენიმე გზის გამტარ ტერიტორიას მნიშვნელოვანი სტრატეგიული დატვირთა ჰქონდა, თუმცა ეს არეალი მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელი ადგილი არ იყო, აქედან ქვეყნის სხვა კუთხეებთან დამაკავაშირებელი გზებიც მიემართებოდა. ფრონეების ხეობებიდან რაჭის გავლით შესაძლებელი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლაც.

[88] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 39.

Giorgi Sosiashvili
Academician,
Georgian National Academy of Sciences;
Professor,
Gori State University, Georgia

FROM THE HISTORY OF OCCUPIED PRONE GORGE (THE ROADS IN PRONE GORGE)

Summary

Historically, the Prone Gorges, located near the Likhi Range in the northwest of Shida Kartli, held great significance thanks to the roads crossing the area. These routes linked the inhabitants of the Prone Gorge with various regions of the country and with the North Caucasus. It is noteworthy that movement between Western and Eastern Georgia was impossible without passing through the gorges of the Ali, Surami, Dvani, and Ptsa rivers, giving this territory exceptional importance from ancient times, both politically and in terms of trade and economy. The road running from the Prone Gorges through Racha provided access to the North Caucasus, while the route from the North Caucasus to Racha led directly to the Prone Gorge. Furthermore, the village of Sabazho in the Prone Gorge, situated in the Dvani river basin just three kilometers from Kornisi, served as a key trade hub during the Middle Ages.

There were several passes linking the Prone Gorge with Western Georgia across the Likhi Range: Peranga, Zemojvari-Kortokhi, Dedabera, Rikoti, Surami, and "Tsikhisdziri." One of the principal roads connecting the Prone Gorge with Western Georgia was the "road of the west." The "road of the west" is mentioned in numerous sources. During the punitive expedition of the Arabs in the 850s, according to the "Chronicle of Kartli," the Abkhazian king Theodosius, who was chased away by Bugha-Turk, moved from Kartli to Western Georgia along this route. As is evident from the sources, this road was actively used by the Abkhazian kings to expand their influence in Eastern Georgia at the end of the 9th century and the beginning of the 10th century.

Thus, the Prone Gorges, branching from the Likhi ridge, as a territory crossed by several roads leading to Western Georgia, held important strategic significance; however, this area was not only a link between Western and Eastern Georgia, but also a crossroads connecting other parts of the country.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ნიკო ჯავახიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან

ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის საპატიო ადგილი ეკავათ ჭავჭავაძეებს, რომლებიც საქართველოს სამეფოს თავადები იყვნენ. ეს წარჩინებული გვარი სათავეს ძველი დროიდან იღებს.

ეტომოლოგიური თვალსაზრისით ამ გვარს საფუძვლად უდევს მომცრო ზომის ფრინველის, კერძოდ, ჭავჭავის ანუ იგივე ჭივჭავის აღმნიშვნელი ქართული დასახელება, რომელიც როგორც ჩანს, პატარა ტანის მამაკაცის სახელად ანდა მეტსახელად გადაქცეულა.

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) ლექსიკონში სიტყვა „ჭივჭავი“ (რომლის ვარიანტებია – „ჭივჭივი“ ან „ჭავჭავი“) განმარტებულია როგორც „ბელურა“.[1]

ინფორმაცია ამ საგვარეულოს შესახებ დაცულია ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებსა და გამოკვლევებში.

უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1696-1756) თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის 13 სათავადო გვარს შორის მეხუთე ადგილას დასახელებულია ჭავჭავაძეების საგვარეულო, რომელიც ავტორის განმარტებით, იყო ქართულ საგვარეულოთა შორის ერთ-ერთი „უწარჩინებულესი და შემძლებელი“.[2]

უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შო-

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 402.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 35.

რის ჭავჭავაძეები დასახელებულნი არიან მეცამეტე ადგილას. მათი წარმომავლობის შესახებ ბატონიშვილი წერს: „არიან ორ გვარად. პირველნი, რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველადგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი, რომელნიცა აწ არიან: 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მელქისედეგისა შვილები. ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდამ მოსრულნი, რომელნიც ამბობდენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქვნდათ მათთან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლე მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველ წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისთვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდენ მამუჩის შვილებად და რომელიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზირის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი“.[3]

ზემოხსენებულ ტექსტში აღნიშნულ „ადგილსა წინანდელსა“ უნდა იგულისხმებოდეს კახეთის სოფელი წინანდალი, სადაც ჭავჭავაძეთა ერთი შტო სახლობდა.

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში გაფორმებულ ტრაქტატს დართულ ქართველ წარჩინებულთა სიაში ჭავჭავაძენი კახეთის 24 სათავადო გვარს შორის მეათე ადგილას იხსენიებიან.[4]

თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს და მისი გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებ არსებობს საყურადღებო ნაშრომები, რომელთა შორისაცაა: ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარის იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი გენეალოგიური ნუსხები,[5] ასევე, გამოკვლე-

[3] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). ზ. კაცელაშვილის გამოცემა. თბ. 1997, გვ. 43-44.

[4] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ. 1983, გვ. 58.

[5] ი. ჩიქოვანი. თავადი ჭავჭავაძეები. თბ. 2002, გვ. 9-63; С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думин и Ю. Чиковани. Москва. 1998, გვ. 234-246.

ვები, რომელთა ავტორებიც არიან: ზურაბ ცქიტიშვილი,[6] გურამ შარაძე,[7] იოსებ ბიჭიკაშვილი,[8] როლანდ თოფჩიშვილი[9] და წინამდებარე სტატიის ავტორი.[10]

საგვარეულო გადმოცემით, ჭავჭავაძეთა წარმომავლობა დაკავშირებულია კახეთის მთიანეთთან, კერძოდ, ერწო-თიანეთთან. აქვე უნდა ითქვას, რომ თავადი ჭავჭავაძენი ყმა-მამულს ფლობდნენ როგორც ერწოში, ანუ თანამედროვე თიანეთის რაიონში, ასევე კახეთის სხვა ნაწილებშიც, კერძოდ, ამჟამინდელ თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონებში.

ჭავჭავაძეთა მამულებს ესაზღვრებოდა თავადების: მაყაშვილების (დასავლეთიდან), ჯანდიერების (სამხრეთიდან), გურგენიძეებისა და ჯორჯაძეების (ჩრდილოეთიდან) მამულები. აღმოსავლეთიდან ჭავჭავაძეთა მამულებს ქიზიყის სამოურავო ემიჯნებოდა.

თავად ჭავჭავაძეთა გვარი ორ შტოდ იყოფოდა. მათი საერთო წინაპარი იყო როშნია ჭავჭავაძე, რომელიც საისტორიო წყაროებში 1470 წელს იხსენიება.

ჭავჭავაძეთა ერთი შტოს რეზიდენცია მდებარეობდა ყვარელში, ხოლო მეორისა – წინანდალში. ამ დასახლებულ პუნქტებში მდებარეობდა მათი სასახლეები, ციხე-სიმაგრენი და კარის ეკლესიები. ყვარლის ჭავჭავაძეთა საგვარეულო საძვალე იყო და დღემდე არის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც ყვარელშივე მდებარეობს. ჭავჭავაძეების წინანდლის შტოს საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა თელავის დასავლეთით მდებარე შუამთის მონასტერი („ახალი შუამთა“).

საქართველოს სათავეში ათასწლეულის განმავლობაში მდგარი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისადმი ერთგულებითა და თავდადებით ტრა-

[6] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ. 1982.

[7] გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე (1837-1907). ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე ორ წიგნად. წიგნი I. თბ. 2002, გვ. 13-29.

[8] ი. ბიჭიკაშვილი. ისტორიული ნარკვევი თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შესახებ. ჩართულია ი. ჩიქოვანის წიგნში – თავადი ჭავჭავაძეები. თბ. 2002, გვ. 4-8.

[9] რ. თოფჩიშვილი. ჭავჭავაძეთა და ბებურიშვილთა გვარების ისტორიისათვის. „ილიას კრებული“. ტომი II. თბ. 2004, გვ. 78-87; რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2021, გვ. 457-460.

[10] ნ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძის საგვარეულოს ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ტ. XX. თბ. 2017, გვ. 13-23.

დიციულად გამორჩეული ამ გვარის ცალკეული წარმომადგენლები პატივით იხსენიებიან XV-XVIII საუკუნეთა საისტორიო წყაროებში. ყოველივე ამის გამო, ჭავჭავაძეებს ბაგრატოვანი ხელმწიფენიც სწყალობდნენ.

ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საისტორიო წყაროებში ჭავჭავაძეები ყველაზე ადრე XV საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იხსენიებიან. სწორედ ამ პერიოდითაა დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც პირველად იხსენიება აღნიშნული გვარის წარმომადგენელი ფაროდი ჭავჭავაძე.

საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (მეფობდა 1412-1442 წლებში) მიერ 1438 წელს გაცემული სიგელით, ფაროდი ჭავჭავაძესა და მცხეთა-გარეჯას შორის სამამულე ცილობის დროს ნიწობლისძისეული და ოქროპირისშვილის მამულების საქმეები უნდა გადაწყვეტილიყო მცხეთის და გარეჯის სამართლის მიხედვით.[11]

საისტორიო წყაროებში მოხსენიებული ჭავჭავაძეთა გვარის მომდევნო წარმომადგენელია კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV. ამ თანამდებობაზე ის მოღვაწეობდა XV საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, ერთი ცნობის თანახმად – 1442-1459 წლებში,[12] ხოლო მეორე ცნობით – 1443-1459 წლებში.[13]

კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV იხსენიება ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (მეფობდა 1446-1466 წლებში საქართველოში, ხოლო 1466-1476 წლებში – კახეთში) ბრძანებით 1447 წლის დეკემბერში შედგენილ საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. ამ დოკუმენტით მეფემ დაამტკიცა თავისი მამის, ალექსანდრე I-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებული სიგელი, რომლითაც ამ ტაძრის კუთვნილი მამულები გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ.

ზემოხსენებული ბაგრატოვანი ხელმწიფე ასე მიმართავდა კათოლიკოს-პატრიარქ დავით IV-ს: „და აჰა თქუენ, წმინდაო მღვდელთ-მთავართ მთავარო, პატიოსანო და მიმსგავსებულო და თანამერაბამეო წმიდათა მღდელთ-მოძღუართა ბასილი და გრიგოლისო, ქართლისა კათალი-

[11] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 215.

[12] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. II. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბ. 1993, გვ. 13.

[13] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. ავტორთა კოლექტიური ნაშრომი. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2000, გვ. 74.

კოზო დავით, რაგუარაცა ჩუენგან ასრე დამტკიცებულსა და განთავისუფლებულსა მართებს, ეგრეთ მვედრებელ იქმენ ღმრთისა მიმართ მოსატევებლად ცოდვათა ჩუენთა და ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით ლოცვათა და ვედრებათა შინა თქუენთა“.[14]

1454 წლის 10 იანვრით დათარიღებული დოკუმენტის „კულუხის გამოსაღების წიგნი დავით კათალიკოზისა მეკულუხე ჯუარის მსახლობელთადმი“ ბოლოს დართულ დამტკიცებაში ვკითხულობთ: „ჩუენ ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი ჭავჭავაძე დავით ვამტკიცებთ“.[15]

ჭავჭავაძეთა საგვარეულო დროთა განმავლობაში თანდათანობით ძლიერდებოდა. ამ გვარის წარმომადგენლებს სხვადასხვა დროს ეპყრათ: სახლთუხუცესის, მოლარეთუხუცესის, მეჯინიბეთუხუცესის, სუფრაჯისა და სხვა მაღალი თანამდებობები.

საისტორიო წყაროებში იხსენიებიან ამ გვარის შემდეგი წარმომადგენლები: როშნიას ვაჟები: ზაალი, დასტანი, მანუჩარი და გიორგი (1517 წლის საბუთში); გიორგის ვაჟები – გარსევანი და ბეჟანი (1517 წლის შემდგომ გაცემულ საბუთში); გარსევანი (1584 წლის საბუთში); სახლთუხუცესი იასონი (1590 წლის საბუთში); მოლარეთუხუცესი მამუკა (1639-1651 წლებით დათარიღებულ საბუთში); სულხან მამუჩის ძე (XVII საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ საბუთში) მამუჩი და მისი შვილები – დათუნა და რამაზი, მამუჩის ძმისწულები – გიორგი და გულბაათი, განაყოფები – იასონი და სეფედავლე (1682 წლის საბუთში)[16] და სხვ.

ჭავჭავაძეები მეფისა და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ამის თაობაზე ინფორმაცია დაცულია როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე ფოლკლორსა და ლიტერატურაშიც.

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა წინანდლელი მამუკა ჭავჭავაძის შესახებ დაწერილი ლექსი, რომელშიც გადმოცემულია მისი შებრძოლება კახეთში შემოჭრილ დაღესტნელთა ლაშქართან და სიკვდილი.[17]

---

[14] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 74.

[15] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 196.

[16] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ. ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ. თბ. 2015, გვ. 327-328.

[17] ხალხური პოეზია. შეკრებილი ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ. თბ. 1934, გვ. 241.

არსებობს ვარაუდი, რომ ეს პიროვნება შესაძლოა ყოფილიყო ზემოხსენებული მოლარეთუხუცესი მამუკა ჭავჭავაძე,[18] რომელიც XVI საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობდა და იხსენიება იმდროინდელ საბუთში.[19]

მეფე არჩილ II-ის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა" იხსენიება მეფე თეიმურაზ I-ის თანამედროვე თავადი – გარსევან გულბაათის ძე ჭავჭავაძე, რომელმაც თავი ისახელა დაღესტნელებთან ბრძოლაში.[20]

1726 წელს კახეთის მეფე კონსტანტინე II-მ (მაჰმად-ყული-ხანმა) გიორგი და გარსევან ჭავჭავაძეებს უბოძა წყალობის გუჯარი, რომელშიც ვკითხულობთ: „სიგელი გაგიახლეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდათ ერთგულთა და მრავალჯერ ჩვენთვის თავდადებით გარჯილთა, ჭავჭავაძეს, სუფრაჯს გიორგის და მეჯინიბეთუხუცესს გარსევანს, ძმათა თქვენსა მამუჩის, მამუკას და მერაბს და სულხანს, რამაზს, რევაზს და ბიძინას...".[21]

მეფემ ჭავჭავაძეებს განუახლა წყალობა იმ მამულებისა, რომლებიც მათ სამკვიდროდ და სამოურავოდ ჰქონდათ. ეს მამულები მდებარეობდა კახეთის სოფლებში: წინანდალში, ქვემო ხოდაშენში, შალაურში, ახტალაში, ურიათუბანში (ამჟამად – ვაზისუბანი), მუკუზანში, ველისციხეში, შილდაში, ენისელსა და სხვ.

ამ სიგელში მოხსენიებული გარსევანი იყო პაპა, ხოლო რევაზი – მამა თავად გარსევან ჭავჭავაძისა (1757-1811), რომელიც იმავე საუკუნის ბოლო ოცწლეულში სანკტ-პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩად მოღვაწეობდა. მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მეფე თეიმურაზ II-მ (1700-1762), რომელიც ჯერ კახეთში მეფობდა, ხოლო შემდეგ ქართლში, ზემოხსენებულ თავად სულხან ჭავჭავაძეს ერთგული სამსახურისათვის უბოძა ეშიკაღასბაშობა და მისი განაყოფის პაატა იასონის ძე ჭავჭავაძის „ნაქონი სოფელი წინანდალი თავისი მსახლო-

[18] ი. ბიჭიკაშვილი. ისტორიული ნარკვევი თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შესახებ. ჩართულია ი. ჩიქოვანის წიგნში - თავადი ჭავჭავაძეები. თბ. 2002, გვ. 6.

[19] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 360.

[20] არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს: ივანე ლოლაშვილმა, ლიანა კეკელიძემ, ლალი ძოწენიძემ. თბ. 1999, გვ. 310-311.

[21] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 12, ფურცელი 15.

ბელის გლეხითა, მთითა, ბარითა, ხოდაბუნითა, მარნითა“.[22]

1747 წლის 17 სექტემბერს მეფე ერეკლე II-მ (1720-1798), რომელიც ჯერ კახეთში მეფობდა, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთში, ჭავჭავაძეებს უბოძა წყალობის გუჯარი, რომელშიც ვკითხულობთ: „სიგლითა დაგიმტკიცეთ თქვენ, მრავალფერად თავდადებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზადყოფსა და ერთგულება დაჯერებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზადყოფასა და ერთგულება დაჯერებულს და ყმათა ჭავჭავაძეს, ეშიკაღასბაშს სულხანს, ძმასა შენსა რევაზს, ბიძაშვილსა შენსა ზურაბს, ზაალს და ბერსა, ამად რომე ბიძისა ჩვენისა მეფი კონსტანტინეს აღზრდილი იყავ და ჭირნახულ დადებული და ოდეს ამაღლებულმან ერანის ხელმწიფემან მამაჩვენი ღვთივცხებული მეფეთა-მეფე თეიმურაზ წინაშე მოუწოდა და თანა წარიტანა და უცხოთა თემთა და ქვეყანათა ყანდაარისათა შინა ჯეროვანის სამსახურისთა და სრულისა გულითა მსახურე, ვითარცა შეჰგავს მონასა უფლისათვის სიკვდილს სულისა დამდებელსა და ოდეს ინდოთა ქვეყანათა დაპყრობად მოინება და ჩვენ მოგვიწოდა ერანისა ხელმწიფემან... მეფესა და მამასა ჩვენსა და ჩვენ ორთავე კვალად უმეტესად გვემსახურე და გარდამეტე და წარმოგავლინეთ ქართულად საქმისა რასმე განსაკარგავად და მუნვე ჩვენდა მოწინავე და კვალად რაიცა სახვაშიადო ანუ საზენარო საქმე იქმნებოდა შენვე წარგავლენდით მასვე ხელმწიფესა თანა განზრახვისა ჩვენისა მისანდობელსა“.[23]

1750 წლის 1 სექტემბერს მეფე ერეკლე II-მ ჭავჭავაძეებს წინანდლის ზვარი უწყალობა. შესაბამის წყალობის სიგელში მეფე ასე მიმართავდა ეშიკაღასბაშ სულხანს: „რადგან შენმა ძმამ, მილახვარმა რევაზმა ბატონს მამაჩვენს კიდემ დიდს გაჭირვებაში დიდათ ემსახურა, ჩვენს კიდემ იმ წინანდლის ზვარი ისევ თქვენ გიბოძეთ. ღმერთმა ჩვენს ერთგულებაში მოგახმაროს“.[24]

ამ სიგელიდან ირკვევა, რომ ეშიკაღასბაშ სულხან ჭავჭავაძის ძმას – რევაზ ჭავჭავაძეს – მილახვრის თანამდებობაზე უმსახურია.

რევაზ და სულხან გარსევანის ძე ჭავჭავაძენი მსახურობდნენ ყაზახის მოურავებად, საიდანაც ფულადი შემოსავალი გააჩნდათ. რევაზის გარდაცვალების შემდეგ, მისი მცირეწლოვანი ვაჟის – გარსევანის აღზრდა მეფე ერეკლე II-მ ითავა. მან გარსევანს თბილისში მდებარე ბეით-

[22] სეაცსა. ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 10, ფურცელი 12.
[23] სეაცსა. ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 12, ფურცელი 11.
[24] სეაცსა. ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 12, ფურცელი 11.

ალმანის სახლი უბოძა.[25]

უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე ბაგრატიონი (1776-1841) თავის თხზულებაში „ახალი მოთხრობა“ გარსევანის შესახებ გვაუწყებს: „ჭავჭავაძე იყო კახი თავადი, რომელსაც მამუჩიშვილად უხმობდნენ და აღეზარდა ობოლი მეფესა ირაკლის ვითარცა ძე“.[26]

1783 წლის 23 იანვარს მეფე ერეკლე II-ის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად და მრავალსახედ ერთგულს და ჩვენის მორჭმა-დიდებისათვის დიდად მომჭირნეს და მცველს, ჩვენს საფარველ ქვეშ პატივით აღზრდილს ჭავჭავაძეს ეშიკაღასბაშს გარსევანს“.[27]

ერეკლე II-ის დიდ ნდობაზე გარსევანის მიმართ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თავის საგანგებო და სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლად რუსეთში სწორედ ის მიავლინა. გარსევანი ამ თანამდებობაზე გიორგი XII-ის (1746-1800) მეფობის პერიოდშიც (1798-1800 წლები) მოღვაწეობდა. იმავდროულად, გარსევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართლ-კახეთის სამეფოშიც. კერძოდ, ის იყო ეშიკაღასბაში, ყაზახისა და ბორჩალოს მოურავი.[28]

ერეკლე II-მ გარსევანს უმნიშვნელოვანესი მისია მიანდო. მან იოანე ბაგრატიონ-მუხრანბატონთან ერთად ხელი მოაწერა 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შევიდა.[29]

გარსევან ჭავჭავაძეს ვაჟი – სანკტ-პეტერბურგში დაბადებული ალექსანდრე (1786-1846) მოუნათლა თვით რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინე II-მ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე შემდგომში გახდა გენერალ-ლეიტენანტი, მრავალი საპატიო საბრძოლო ჯილდოს კავალერი და იმავდროულად დიდი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი.

1755 წელს ყვარლის ციხის დაცვისათვის ხუნძეთის ნუცალ ნურსალ-ბეგთან და მის მრავალრიცხოვან ლაშქართან მომხდარ ბრძოლაში

[25] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 47-48.
[26] ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. თბ. 1941, გვ. 77.
[27] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეცი). ფონდი Sd, საბუთი 1167.
[28] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 48.
[29] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, გვ. 56.

თავი გამოიჩინა ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოს წარმომადგენელმა – ბესპაზ ფარემუზის ძე ჭავჭავაძემ, რომელიც იყო პაპის მამა დიდი ილია ჭავჭავაძისა. ამის შესახებ აღნიშნულია თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის სიგელში, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ალყის დროს ყვარლის ციხის გარნიზონს მეთაურობდნენ მელქისედეკ და ბესპაზ ჭავჭავაძეები და დავით ვაჩნაძე, რომლებმაც „თავი საყათლანეთ გადადვეს; ოცდასამი დღე ლომსავით იბრძოლეს“.[30]

ხსენებული ბრძოლა აღწერილია გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“, რომელშიც ვკითხულობთ:

„მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
ოცდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჭირდა.....ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა?..
გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ და ხმალ შუა გააპეს ლეკთ ძალი
და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!“[31]

აქვე დავძენთ, რომ ზემოხსენებული როშნია ჭავჭავაძე არის ჩვენთვის ცნობილი უძველესი წინაპარი დიდი ქართველი მწერლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისა – ილია ჭავჭავაძისა (1837-1907). მისი გენეალოგიური ხაზი ასე გამოიყურება: როშნია (იხსენიება 1470 წელს) – გიორგი (იხსენიება 1517-1529 წლებში) – გარსევანი (იხსენიება 1540-1584 წლებში) – იასონი (იხსენიება 1590 წელს) – მამუკა (იხსენიება 1639-1655 წლებში) – ფარემუზი (იხსენიება 1642-1682 წლებში) – ბესპაზი (იხსენიება 1755-1777 წლებში) – პაატა (1771-1825) – გრიგოლი (1811-1852) – ილია (1837-1907).[32]

ილია ჭავჭავაძის პაპა – პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლაში, რომელშიც გამარჯვებულმა სოლომონ II-მ მეორედ დაიბრუნა იმერეთის სამეფო ტახტი და მეფედყოფილი დავით II საბოლოოდ დაამარცხა.

პლატონ იოსელიანის ცნობით, ერეკლე II-მ პაატა ჭავჭავაძეს დაავალა „გამოყვანა 900 ლეკისა და სარდლობაცა იმერეთისაკენ მუნ მისრულთა ლეკთა, შესაწევნელად ქართველთა ჯარისა, ოდეს დასვეს მეფედ

[30] საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბ. 1980, გვ. 106.
[31] გრიგოლ ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული აკაკი გაწერელიას და ჯუმბერ ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1959, გვ. 95-96.
[32] ი. ჩიქოვანი. თავადი ჭავჭავაძეები, გვ. 9-63; С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского, გვ. 234-246.

სოლომონ“.[33]

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ პაატა ჭავჭავაძეს უბოძა „ხუთასის თავობა“ გაღმამხრისა, ბახტრიონიდან – გავაზამდე. 1800 წლის 13 აპრილით დათარიღებულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „მეფე გიორგი, სურს რა დაგამწყალობლოს შენ, ჩვენი ერთგული კაცის შვილი და ჩვენი ერთგული თავადი პაატა ჭავჭავაძე, გიბოძებს შენ ხუთასისთავობას გაღმამხარს, დაწყებული ბახტრიონიდან გავაზამდე... ეცადე ერთგულად გვემსახურო. სანაცვლოდ ჩვენგან წყალობას ელოდე. როცა ჯარი დაგვჭირდება, შენ უნდა გამოიყვანო და განაგო“.[34]

აღსანიშნავია, რომ დიდი ილიას პაპამ – პაატა ჭავჭავაძემ ბოლომდე უერთგულა გიორგი XII-ს.

პლატონ იოსელიანის თქმით, „დიდად ერთგულნი შერჩნენ მეფესა იოანე ჯანდიერიშვილი... შემდეგ მისსა იყვნენ ერთგულადვე და თავგამოდებულად პაატა ჭავჭავაძე და სვიმონ ჯანდიერიშვილი“.[35]

XIX საუკუნის ოციან წლებში პაატა ჭავჭავაძე დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით. პაატას ცოლად ჰყავდა მარიამ (პელაგია) მელქისედეკის ასული ანდრონიკაშვილი (1771-1830), რომელთანაც შეეძინა შვილები: მაკრინე (1792-1872), მიხეილი, სვიმონი (1802-1827), ალექსანდრე (1808-1838), გრიგოლი (1811-1852), გარსევანი (1816-1847), იოსები (1818-1828). მათგან მეხუთე შვილი – გრიგოლი იყო მამა ილია ჭავჭავაძისა.[36]

გრიგოლ ჭავჭავაძის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვისადმი 1848 წლის 30 იანვარს წარდგენილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „ჩემი ოთხი ღვიძლი ძმა, მამის მაგალითისამებრ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა: მიხეილი მოკლულ იქნა კახეთის სოფელ გავაზზე ლეკების თავდასხმის დროს; სვიმონი, რომელიც შტაბს-კაპიტანის ჩინით მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, მოკლეს სპარსელებმა 1827 წელს ასეულთან ერთად გამაგრებული პოზიციის დაცვისას; პრაპორშჩიკი ალექსანდრე მოკლეს 1838 წელს დაღესტანში გენერალ-ლეიტენანტ ფეზის რაზმში; შტაბს-კაპიტანი გარსევანი კი, რომელიც მეთაურობდა კავკასიის მე-2 მესანგრეთა ასეულს, დაიღუპა 1847 წელს გერგე-

[33] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 263.
[34] სეაცსა. ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 106, ფურცელი 2.
[35] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 50.
[36] ი. ჩიქოვანი. თავადი ჭავჭავაძეები, გვ. 30-31.

ბილზე იერიშის დროს, რომელსაც პირადად თქვენი ბრწყინვალება სარდლობდა“.

1845 წლის 24 მაისს გრიგოლ ჭავჭავაძე დანიშნეს კახეთის 1000-კაციანი მილიციის უფროსად. მან მონაწილეობა მიიღო დიდოეთის დალაშქვრაში, რისთვისაც შტაბს-კაპიტნის წოდება მიიღო. იგი დაჯილდოებული იყო წმ. ანას IV, III და II ხარისხის ორდენებითა და ვერცხლის მედლით რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომში მონაწილეობისათვის.[37]

თადარიგში გასვლის მიუხედავად, გრიგოლ ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყვარელში 1850 წლის 14 ივლისს შემოჭრილ დაღესტნელთა ლაშქრის დამარცხებასა და განდევნაში.[38]

აქვე დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძის ბებიის (მამის დედის) – მარიამ (პელაგია) ანდრონიკაშვილის უფროსი ძმა – იოსები (1765-1830) იყო ქიზიყის მოურავი, ხოლო უმცროსმა ძმამ – მალხაზ ანდრონიკაშვილი (1773-1822) ბოლომდე უერთგულა ოსმალეთში გადახვეწილ მეფე სოლომონ II-ს. მალხაზს ცოლად ჰყავდა ამ მეფის და – მარიამი (1775-1854). მათი ვაჟი იყო კავალერიის გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1796-1868).[39]

რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებულ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხაში თავადი ჭავჭავაძენიც შედიოდნენ.[40]

ჭავჭავაძეთა გვარიდან გამოვიდა რუსეთის იმპერიის მრავალი სახელოვანი ოფიცერი, რომელთა შორისაც ზემოხსენებული ალექსანდრე გარსევანის ძის გარდა, გენერლის წოდება მინიჭებული ჰქონდათ (ჩამოვთვლით ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): იასონ ივანეს ძეს (1804-1857), სპირიდონ ივანეს ძეს (1809-1872), დავით ალექსანდრეს ძეს (1818-1884), ზაქარია გულბაათის ძეს (1824-1905), ივანე სულხანის ძეს (1826-1913), ნიკოლოზ ზურაბის ძეს (1830-1897), არჩილ გულბაათის ძეს (1841-1902), მიხეილ სპირიდონის ძეს (1844-1910), ნიკოლოზ მიხეილის (მელქისედეკის) ძეს (1867-1920), ალექსანდრე ზაქარიას ძეს (1870-1930) და სპირიდონ მიხეილის ძეს (1878-1952).[41]

---

[37] გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე (1837-1907), გვ. 19-28.

[38] ა. ბაქრაძე. ილია ჭავჭავაძე (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება). თბ. 1984, გვ. 11.

[39] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского, გვ. 122.

[40] ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005, გვ. 239-240.

[41] Н. Джавахишвили. Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.). Тб. 2003, გვ. 157-160.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ზემოხსენებული ბოლო ორი გენერალი, ჭავჭავაძეთა წინანდლის შტოს წარმომადგენლები – ალექსანდრე და სპირიდონ ჭავჭავაძეები მსახურობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. სამწუხაროდ, მათი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა.

გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო ვაჟი კავალერიის გენერლისა ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძისა და შვილიშვილი თავად გულბაათ იოანეს ძე ჭავჭავაძისა (1796-1863), რომელიც სახელგანთქმულ თამადად ითვლებოდა. ალექსანდრე ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ ჯგუფს. 1930 წელს ის დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც ხელმძღვანელი არალეგალური პოლიტიკური დაჯგუფებისა, რომელიც გეგმავდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით.[42]

აქვე დავსძენთ, რომ მისმა ვაჟმა, ემიგრაციაში მყოფმა პავლე ჭავჭავაძემ (1899-1971) 1922 წელს ლონდონში ცოლად შეირთო რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილთაშვილი – ნინა რომანოვა (1901-1974), რომლის მამაც იყო დიდი მთავარი, გენერალ-ადიუტანტი გიორგი მიხეილის ძე რომანოვი (1863-1919). პავლე და ნინა ჭავჭავაძეები თავიანთ ერთადერთ ვაჟთან – დავითთან (1924-2014) ერთად 1927 წლიდან ლონდონიდან აშშ-ში გადასახლდნენ. დავით ჭავჭავაძემ იელის უნივერსიტეტი დაამთავრა. აშშ-ის არმიის ოფიცრის რანგში იბრძოდა II მსოფლიო ომში, სადაც არაერთი ჯილდო დაიმსახურა. მონაწილეობდა ლენდ-ლიზის პროგრამაში, რომლითაც აშშ-ის ხელისუფლება სსრ კავშირს სამხედრო ტექნიკით ამარაგებდა. ომის დასრულების შემდეგ ბერლინში სამხედრო თარჯიმნად მუშაობდა. ცხოვრობდა ვაშინგტონში. მსახურობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი რუსეთის დიდი მთავრების (რომანოვების) შესახებ.[43]

გენერალ-მაიორი სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1924 წელს საქართველოში მომხდარი სახალხო აჯანყებისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო. იმავე წლის სექტემბერში, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მისი ხელმძღვანელობით მოქმე-

[42] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საარქივო №3001. ტ. 1/11. ყუთი №1.

[43] ნ. ჯავახიშვილი. ქართველთა ქორწინებანი რომანოვთა დინასტიის წარმომადგენლებზე. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ტ. 3. თბ. 2008, გვ. 173-174.

დი შეფიცულთა რაზმის წევრებთან ერთად ემიგრაციაში გაიხიზნა.[44] 1947 წელს ის ქართველ ემიგრანტთა ნაწილთან ერთად დაბრუნდა საქართველოში, თუმცა მალევე დააპატიმრეს და გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა.

თავად ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოს წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძე (1923-1997) და მისი ვაჟი – ზურაბ ჭავჭავაძე (1953-1989), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ამრიგად, თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები საქართველოს ისტორიაში ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

[44] Н. Джавахишвили. Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века). Тб. 2005, გვ. 69.

Niko Javakhishvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

FROM THE HISTORY OF THE CHAVCHAVADZE'S PRINCELY FAMILY

Summary

In the historical sources of XVI-XIX centuries, the princes Chavchavadze's were named as the faithful warriors and administrators, specifically, community governors (in Georgian – *"Mouravi")* of Georgian kings, from the royal dynasty of Bagrationi.

According to family tradition, the origin of the Chavchavadze family is associated with the highlands of Kakheti, specifically with the Ertso-Tianeti region. It should also be noted that the noble Chavchavadze family owned estates both in Ertso, which is in the contemporary Tianeti district, and in other parts of Kakheti, namely in the present-day districts of Telavi, Kvareli, and Akhmeta.

The estates of the prince Chavchavadze family bordered the estates of the nobility: prince Makashvili (from the west), prince Jandieri (from the south), prince Gurgenidze, and prince Jorjadze (from the north). To the east, the prince Chavchavadze estates adjoined the royal fief of Kiziki (East part of Kakheti).

The Chavchavadze family itself was divided into two branches. Their common ancestor was Roshniya Chavchavadze, who is mentioned in historical sources in 1470.

One branch of the Chavchavadzes resided in Kvareli, while the other was in Tsinandali. In these settlements were located their palaces, fortresses, and family churches. The family necropolis of the Chavchavadzes of Kvareli is, to this day, the Church of St. John the Baptist, which is also located in Kvareli. The family necropolis of the Tsinandali branch of the Chavchavadzes was represented by the Shuamta Monastery, located near Telavi (Akhali Shuamta).

On July 24, 1783, in the list of Georgian nobles who signed the Treaty of Georgievsk, the Chavchavadze family is mentioned as the tenth prominent house among the 24 princely families of Kakheti.

For such loyalty to the kings the Chavchavadze's were highly appreciated by Georgian kings from the royal dynasty of Bagrationi.

ნათია ვეფხვიაშვილი
ისტორიკოსი
დამოუკიდებელი მკვლევარი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ხელნაწერის მოხატული საზედაო ასოების ავტორის შესახებ

2019 წელს თბილისში გამოიცა ლილის ბიბლიოთეკაში დაცული სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ხელნაწერში განთავსებული ქართული ანბანის მოხატული საზედაო ასოების ნიმუშები (სულ 37 გრაფემა), რომლებიც საზეიმო ელფერს სძენენ და ამშვენებენ თავად ლექსიკონს. ხელნაწერის გამოცემა განახორციელა ლუიზიანის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე მიქაბერიძემ, რომელმაც აქვე დაურთო XVIII საუკუნის II ნახევარში გადაწერილი ლექსიკონის ისტორიის დეტალური აღწერა: თუ როგორ აღმოჩნდა იგი ბიზნესმენ ჯოსაია კირბი ლილის კერძო კოლექციაში და შემდგომ ინდიანას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით ზემოთ აღნიშნულ ისტორიას, მხოლოდ ჩვენი ინტერესის საგანზე შევჩერდებით.

უნდა აღინიშნოს მოცემული გამოცემის უნიკალურობა, რასაც მას სძენს სწორედ საზედაო ასოების ორიგინალური, მნიშვნელოვნად ინდივიდუალური და დახვეწილი გემოვნებით შესრულებული მხატვრული მხარე, ფერთა გამა და ჰარმონია. მაგრამ გრაფემების ანთროპომორფული და ზოომორფული სახისმეტყველება იმდენად ნაცნობი აღმოჩნდა ჩვენთვის, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ უფრო სიღრმისეულად გავცნობოდით მათ შინაარსსა და მოხაზულობას. დაგვებადა რამდენიმე კითხვაც.

ხელნაწერის ანდერძის მიხედვით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ გადამწერი XVIII საუკუნის II ნახევარში მეფე ერეკლე II-ის კარზე მოღვაწე მწერალი და პოეტი იოანე ლარაძე გახლავთ. ნაშრომის კალიგრაფიისა და საზედაო ასოების შედარებისას ამ ორ მონაცემს შო-

რის იოლად იკითხება განსხვავება. მათი მოხაზულობა არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ძირითადი ტექსტი და საზედაო ასოები ერთი და იმავე პირის მიერ შესრულებული არ უნდა იყოს. ჩვენს ვარაუდს ის ფაქტიც ამყარებს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე ლარაძე მხატვრად არ არის მოხსენიებული. იოანე ბაგრატიონი მის შესახებ წერდა: „იოანე ლარაძე აღიზარდა საფილოსოფოსოსა სწავლასა შინა მზეჭაბუკ ორბელიანთან. იგი იყო მშვენიერი მწერალი და კარგი დიალიკტიკოსი“. შეუძლებელია იოანე ბატონიშვილს მისი დახასიათებისას ყურადღება არ გაემახვილებინა იოანეს მხატვრობის ნიჭზე. მაგარამ იგი მსგავსს არაფერს წერს. საზედაო ასოების შემოქმედი კი თავისი საქმის უბადლო ოსტატია. ასევე ნიშანდობლივია თავად გადამწერის მიერ ნაშრომზე დართული ანდერძი, სადაც იგი აღნიშნავს: „აღმაწერინა წიგნი ესე...“, „...მოსაწონ არს ნაღვაწ-ნაწერი ესე...“. იგი არსად მიუთითებს, რომ დახატა, ან მოხატა ლექსიკონი.

საყურადღებო საკითხია ზოგადად ანდერძის თემაც. ანდერძი ყოველთვის იწერებოდა მას შემდეგ, რაც ავტორი განასრულებდა ნაშრომს. საზედაო ასოების ბოლო მონაკვეთი „უნიდან“-„ჰოემდე“ დაუსრულებელია. არადა ავტორი წერს, რომ აღწერა წიგნი და ანდერძიც დაურთო დასრულებულ ხელნაწერს. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ტექსტის გადამწერი ნამდვილად იოანე ლარაძეა. მან დაასრულა ამ ლექსიკონში თავისი საქმე და ამიტომ განმარტავს; „აქა ესე დასრულდა, დიდება და ბუნებით ერთსა დასრულდა ლექსთა კონანი ღირსმან ჰყოს, ადრე პოვნანი.“[1] არადა საზედაო ასოები დაუსრულებელია, ფაქტია. აღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: საქმე, სავარაუდოდ, სამუშაოს განაწილებასთან უნდა გვქონდეს. გადამწერი ასრულებდა თავის საქმეს, ხოლო მხატვარ-კალიგრაფი თავისას. იოანე ლარაძემ დაასრულა ლექსიკონში თავისი საქმე, მხატვარ-კალიგრაფმა კი არა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია ეწინააღმდეგება პროფესორ ალექსანდრე მიქაბერიძის აზრს, რომ საზედაო ასოების ავტორი იოანე ლარაძეა. იგი გრაფემების დაუსრულებლობის მიზეზს ავტორის გარდაცვალებით ხსნის. მზეჭაბუკ ორბელიანი, რომლის ინიციატივაც იყო ლექსიკონის ხელნაწერის შექმნა, 1794 წელს გარდაიცვალა. ანუ მისი გადაწერა მზეჭაბუკის გარდაცვალებამდეა დამთავრებული. თავად იოანე

[1] ალ. მიქაბერიძე. ცოცხალი ანბანი. თბ. 2019, გვ. 7.

კი 1804 წელს აღესრულა.[2] ძნელი წარმოსადგენია ავტორს ათი წელი დასჭირვებოდა ნახატების დასასრულებლად და მეტიც – ვერც მოესწრო.

არსებობს მოსაზრება, რომ საზედაო გრაფემების ავტორი შესაძლოა იოანე ლარაძის ძმა პეტრე ლარაძე ყოფილიყო. პეტრე გიორგის ძე ლარაძე გახლდათ პოეტი და კალიგრაფი, რომელიც განაგებდა თბილისის სამეფო წიგნსაცავს. მას ეკუთვნის ლირიკული ლექსების კრებული „მრავალსფერყვავილოვანი", პოემები: „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი", „დილარიანი", „სახე-მგოსანი" და სხვა. ამ შემთხვევაშიც ვერ მივაკვლიეთ დოკუმენტს, რომელიც მასზე როგორც მხატვარზე რაიმე ინფორმაციას მოგვაწვდიდა. რაც შეეხება „დილარიანის" ხელნაწერზე დართულ ილუსტრაციას, იგი რ. ფ. ხაჯიფოლოვის შემოქმედებაა, რომელიც პეტრე ლარაძის მინიატურას სანქტ-პეტერბურგში ქმნის 1810-იან წლებში.

ლოგიკურად იბადება კითხვა: ვინ არის ლექსიკონში ბრწყინვალედ მოხატული საზედაო ასოების მხატვარ-დამწერი?

გვაქვს არგუმენტებით გამყარებული რამდენიმე მოსაზრება. დიდი ალბათობით მოხატული საზედაო ასოების ავტორი დავით ბეჟიაშვილი-ოქრომჭედლიშვილი უნდა იყოს და ლექსიკონის სამკაული მისი შემოქმედების ადრეული პერიოდის კუთვნილებას წარმოადგენდეს.

დავით ქართველი, მხატვარი, როგორც თავად მოიხსენიებს საკუთარ თავს, ქართლის მეფის, თეიმურაზ II-ის კარზე მოღვაწე, სახელგანთქმული ოქრომჭედლის გიორგი მათეს ძე ბეჟიაშვილის ვაჟი გახლდათ. საქართველოს საარქივო ფონდებში დაცულ დოკუმენტებში მისი ბიოგრაფიის გარკვეული ეპიზოდების აღდგენა შესაძლებელი გახდა[3]. პირველი მკვლევარი ვინც მის შემოქმედებას სიღრმისეულად მოეკიდა ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე სარა ბარნაველი იყო[4] თუმცა მას მერე დავითის სახელი კვლავ ჩაიკარგა საუკუნეების სიღრმეებში და რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, მისი შემოქმედება მინიატურული მხატვრობისა და კა-

[2] ალ. მიქაბერიძე. სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის ხელნაწერი ლილის ბიბლიოთეკაში. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი". №12 (96). 2018, გვ. 19-27.

[3] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.). Qd-1647.

[4] ს. ბარნაველი. XVIII საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. №1. 1976, გვ. 153-156; ს. ბარნაველი. მხატვარი დავით ქართველი (ბეჟიაშვილი). ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია. 1981. ჟურნალი „ქართული ხელოვნება". 1987 წ. №8; გვ. 59-78.

ლიგრაფიის მომავალმა მკვლევარებმა შეცდომით სხვას მიაკუთვნეს[5] ჩვენ შევეცადეთ მითითებული ხარვეზი აღმოგვეფხვრა მონოგრაფიაში „ოქრომჭედლის შვილები“, სადაც დეტალურად ვსაუბრობთ აღნიშნულ საკითხზე და აქ აღარ ჩავუღრმავდებით მას.[6]

დავითი XVIII საუკუნის 90 წლებამდე თბილისში მოღვაწეობდა. შემდგომ, ოჯახური პრობლემების გამო იძულებული გახდა იმერეთის სამეფოში გადასულიყო და იქ იმერეთის მეფე სოლომონ II-ის სამეფო კარზე გაეგრძელებინა საქმიანობა. სოლომონ II-ის ჩვენამდე მოღწეული მოხატული დოკუმენტების ავტორი სწორედ დავით ქართველია. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მოწამეთას,[7] ჯრუჭის 1804 წ.[8] და 1809 წ.[9] სიგელები, დარეჯან ბატონიშვილის წყალობის სიგელი[10] და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტებში ნათლად ჩანს შემოქმედის უბადლო ნიჭი როგორც მხატვრისა, ფერმწერისა და კალიგრაფისა. აგრეთვე ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე უტყუარი საბუთი სადაც დასტურდება მისი საოქრომჭედლო საქმიანობაც. ირკვევა, რომ მისი გამოჭედილია გრიგოლ დადიანის საბეჭდავი[11] და ჩვენი ვარაუდით მარიამ დადიანის საბეჭდავიც, ვინაიდან ორივე ნივთის კალიგრაფიული მხარე იდენტურია. ასევე დავითი თავის ანდერძში საუბროობს გელათის ხატის პერანგის შეჭედვაზე,[12] რომლის დასრულებაც მან ვერ მოასწრო. ამით გვსურს წარმოვაჩინოთ დავითის მრავალმხრივი ერუდიცია თავის სფეროში, მისი უნარები და ხელოვანება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქი, რომ სიგელების დასკვნით ნაწილში ავტორი საკუთარი სახელითა და თიკუნით შემოიფარგლება. არის შემთხვევები, თუ დოკუმენტის ტრაფარეტი არ მოითხოვს, არც ახსენებს საკუთარ სახელს და კალიგრაფიული ნიუანსები მიგვახვედრებს ავტორის ვინაობას. აქვე იბადება კითხვა, რა გვიდასტურებს იმ რეალობას, რომ დავით ქართველის ნამდვილი გვარი ბეჟიაშვილია? ღვაწლმოსილი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიციის ჩანაწერმა

[5] იხ. მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან. დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით. თბ. 2011, გვ. 55

[6] ვრცლად იხ. ნ. ვეფხვიაშვილი. ოქრომჭედლის შვილები. თბ. 2024, გვ. 78-83.

[7] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა). ფონდი №1448, საქმე – 530.

[8] ხეც. Hd-1529.

[9] ხეც. Hd-1329.

[10] ხეც. Sd-304.

[11] სეასცა. ფონდი №1448, საქმე – 10128

[12] ხეც. Sd-1152.

გადაარჩინა მისი წარმომავლობა. აქედან უღრმესი მადლიერება ჩვენი ბატონი ექვთიმესადმი. გელოვანების ლაჯანურის ეკლესიის კანკელის მოხატულობას შემოქმედის სამშენებლო წარწერა ამშვენებდა, სადაც იგი საკუთარ სახელს და თიკუნს მოკრძალებით გვარსაც მიაწერს. მეცნიერის მიერ ლეჩხუმში შესწავლილი ეკლესიების მოხატულობის ერთადერთი შემთხვევაა ლაჯანურის კანკელის მხატვრობა, რომელზეც ბატონი ექვთიმე ჩაწერს: „მხატვრობა გვარიანია". ვციტირებთ: „სურათები წმიდანებისა კანკელში წამლითაა დახატული 37 განცალკევებულ დაფაზე. შინაარსით წარმოგვიდგენენ სახარების სცენებს. ამას გარდა არის კიდევ სურათები ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის მცემელისა. **მხატვრობა გვარიანია.** ორ სტრიქონიანი მხედრული წარწერა კანკელისა გვიჩვენებს, რომ ახალი, აღმოსავლეთის ნაწილი ეკლესიისა აუშენებიათ 1798 წელს:

„ქ: შენ ცათა უვრცელეს უმაღლესო დედოფალო მარიამ მე ფ~დ ცოდვილმან მონამან მინდობილმან საფარველთა შენთამან: მსასოებელმან. სარდალ მოურავმან, გელოანმან. ქაიხოსრო და მეუღლემან ჩემმან დგებუაძის ასულმან როდამ აღვაშენეთ ეკლესია ესე შენ მიერითა წყალობითა სახელსა ზედა შობისა შენისა და შევამკეთ ყ~ითა სამღვდელოთა და წიგნებითა : და დავახატვინეთ : კანკელი ესე მრჩობლთა ცხოვრებათა ჩვენთა წარსამართებელად : და სულთა ჩვენთა საუკუნოდ მოსახსენებელად რათა მეოხ იყო ჩვენთვის წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა ღირს გვყვენ ჩვენ მარჯვენით დგომად წინაშე ძისა შენისა. და ძეთა და ასულთა ჩვენთა. მოანიჭე კეთილწარმატება და სიმრთელით კეთილცხოვრება : მონებასა შინა შენსა ამინ : სრულ იქმნა დეკემბერს . ც . ქრისტეს აქეთ : ჩ . ღ . ჟ . ც ."

და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფრაგმენტი მინაწერიდან:

„უფალო იესო ქრისტე ღ~ო შეიწყალე გლახაკი და ფ~დ ცოდვილი მონა შენი. დავით ბეჟიაშვილი : ქართველი : ამინ."[13]

სამწუხაროდ ეკლესია XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა. დაანგრიეს. ვერ მოიძებნა ექსპედიციის ფოტომასალა. დაიკარგა სახარებისეული სცენებით მოხატული 37 დაფა, რომლებიც გელოვანთა ლაჯანურის ეკლესიის კანკელს მოსავდა. საგულისხმოა ციფრი „37". ლექსიკონის გრაფემათა რაოდენობაც ხომ ამდენივეა.

გრაფემათა ზოომორფული და ანთროპომორფული გამოსახულებებით დატვირთვის ტენდენცია დავით მხატვრის შემოქმედების მახასი-

[13] ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937, გვ. 39-40.

ათებელია. თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას წარმოჩენილ ფიგურათა მოხაზულობის იდენტურობას. ეს ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზედაო ასოების მონახაზი მხატვრის ჩვეული კალიგრაფიაა. აღნიშნულში იოლად დავრწმუნდებით თუ მათ შედარებას მოვახდენთ მოწამეთას სიგელის ხელნაწერთან. მაგალითისთვის, საყურადღებოა დავითის მრავალმუცლიანი გრაფემა „ჰაე“ და თითქმის ყოველი ასო ლექსიკონის გრაფემების იდენტურია. ცალკე გამოვყოფთ ქანწილს, რომელიც დაუსრულებელია ლექსიკონში. თავისი შემკულობით იგი იმეორებს მოწამეთას, გამყრელიძეთა, ჯრუჭის 1804 წლისა და 1809 წლის სიგელების და დარეჯან ბატონიშვილის სიგელის ქანწილთა შინაარსს, ან ფორმას. საყურადღებოა ასევე დავითის მუშაობის მანერაც: საზედაო გრაფემა-სიგელის ქანწილი თავისი შემკულობით თანხვედრაშია დოკუმენტის შინაარსთან. იმავეს ვხედავთ ლექსიკონის საზედაო ასოების გაფორმებაშიც. მაგალითისთვის მოვიყვანთ ასო „ჯან“-ს, რომელიც ავტორს ჯოჯოხეთის სიმბოლოდ აქვს წარმოჩენილი.

და თუ რატომ არ არის ლექსიკონში დასრულებული მხატვრის წილი სამუშაო, ამაზე ჩვენ პასუხი გვაქვს. დავით ბეჟიაშვილის ბიოგრაფიაში ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ აღნიშნულ თემაზე[14] და აქ აღარ გავმეორდებით. ჩვენ ვიცით, რომ ოჯახური კონფლიქტი მას დასავლეთ საქართველოში გადაიყვანს. ვიცით მეფე ერეკლეს დიდი სურვილი მისი ქალაქში მობრუნების თაობაზე, მაგრამ დავითი აღარ დაბრუნებულა თბილისში. და მოცემული პერიპეტიები მისი ცხოვრებიდან ზუსტად ემთხვევა XVIII საუკუნის 90-იან წლებს. ანუ იმ წლებს, როცა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ გადაწერა მიმდინარეობდა მეფე ერეკლე II-ის კარზე მოღვაწე ხელოვანთა მიერ. ანუ, ჩვენი აზრით, ლექსიკონის საზედაო ასოების დაუსრულებლობის მიზეზი მათი შემოქმედის თბილისიდან ქუთაისში გადასვლა უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების შეჯერების საფუძველზე გვსურს მოკრძალებული ვარაუდის გამოთქმა ინდიანას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული XVIII საუკუნის II ნახევარში გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ უნიკალური ხელნაწერის მოხატული გრაფემების მხატვარ-დამწერის ვინაობის თაობაზე, რომ საზედაო ასოების გაფორმება დავით ქართველის, მხატვრის, ბეჟიაშვილ-ოქრომჭედლიშვილის ხელს უნდა ეკუთვნოდეს.

[14] ნ. ვეფხვიაშვილი. ოქრომჭედლის შვილები. თბ. 2024, გვ. 38-40.

Natia Vepkhvitiashvili
Historian,
Independent Researcher, Tbilisi, Georgia

REGARDING THE AUTHORSHIP OF THE PAINTED UPPER LETTERS OF SULKHAN-SABA ORBELIANI'S "THE BOOK OF WORDS" MANUSCRIPT

Summary

In 2019, in Tbilisi were published the painted uppercase letters of the Georgian alphabet samples (totaly 37 graphemes) from the manuscript of Sulkhan-Saba Orbeliani's "Sitkvis cona" – so called A word chest, kept in the Lilly Library, which give a festive tone and decorate the dictionary itself. The publication of the manuscript was Implemented by Professor of the Louisiana University – Alexander Mikaberidze, who also added here a detailed description history of the dictionary, copied and rewritten in the second half of the 18th century: how it appeared in the private collection of businessman Josiah Kirby Lilly and later in the library of Indiana University.

According to the manuscript's will, the copyist and rewriter (transcriber) of Sulkhan-Saba Orbeliani's "Sitkvis cona" – so called A word chest, was John Laradze – a writer and poet who worked at the King Erekle II's court in the second half of the 18th century. When comparing the calligraphy of the work and the superscripts, the difference between these two data is easily noticeable. Their outlines do not match, which makes us think that the main text and the superscripts should not have been done by the same person. Our assumption is also supported by the fact that John Laradze is not mentioned as an artist in the scientific literature. The creator of the superscripts is an incomparable and unrivaled master of his craft. Also noteworthy is the will attached to the work by the copyist himself, where he notes that he wrote a book. He nowhere indicates that he drew or painted a dictionary. There is an opinion that the author of the superscript graphemes may have been John Laradze's brother Peter Laradze. In this case, too, we have not been able to find a document that would provide us with any information about him as an artist.

Generaly noteworthy is also the topic of wills. The wills were always written after the author had completed the work. The last section of superscripts are artistically unfinished. However, the author writes that he described the book and attached the will to the completed manuscript. We have no doubt that the copyist of the text is indeed John Laradze. He completed his work in this dictionary. From the above mentioned, the following conclusion can be made: it appears that probably the work was divided between labors. The copyist was doing his job, and the artist-calligrapher was doing his. John Laradze completed his work in the dictionary, but the artist-calligrapher did not.

The argument presented by us contradicts the opinion of Professor Alexander Mikaberidze according to which the author of the superscript letters is John Laradze. He explains that the reason for graphemes' incompleteness, is the death of the author. Mzechabuk Orbeliani, whose initiative was creation of dictionary manuscript, died in 1794. I.e its copying was completed before Mzechabuk's death. Meanwhile John passed away in 1804. It is difficult to imagine that the author would have been needed ten years to complete the drawings and, moreover – he even was not had been able to see them.

We have several opinions supported by arguments. Most likely, the author of the painted capital letters should be David Bezhiashvili-Okromchedlishvili, and the painting of the dictionary belongs to the early period of his work.

David Kartveli (David Georgian), the artist, as he calls himself, was the son of Giorgi Bezhiashvili, who in turn is the son of Matthew. Himself Giorgi Bezhiashvili was a famous goldsmith who worked at the court of King of Kartli Teimuraz II. The first Explorer, who had studied his creations in depth was historian and art critic Sara Barnaveli. However, after that time (after Sara Barnaveli), David's name has been lost in the depths of centuries, and what is most heartbreakingly – his work was mistakenly attributed to someone else by future researchers of miniature painting and calligraphy.

David worked in Tbilisi Until the 90s of the 18th century. Later, due to family problems, he had to move to the Kingdom of Imereti and continue his activities at the King Solomon II's court. The author of the painted documents of King Solomon II, survived to our time, is David Kartveli (David Georgian). Among them, the most important are the Motsameta and Jruchi deeds of 1804 and 1809, Darejan Batonishvili's deed of mercy, and etc.

The tendency to depict graphemes with zoomorphic and anthropomorphic images, is a characteristic sign of the artist David's creativity. However, it

should be emphasized here the striking identity of the given figures outline in the deeds and the dictionary. This is striking noticeable even at first glance. It is also worth to mention the fact that the forms of the uppercase letters are the artist's usual calligraphy. We can easily verify this if we compare them with the Motsameta deed's manuscript.

And as for why the artist's owned part of the work is not finished in the dictionary, we have an answer for that. The period of David Bezhiashvili's departure to the Kingdom of Imereti exactly matches with the 90s of the 18th century, i.e. the period of years when Sulkhan-Saba Orbeliani's „The Book of Words" was being copied by artists working at the court of King Erekle II. Based on the above mentioned, it's our opinion, the reason for the incompleteness of the dictionary's superscripts must have been the movement of their creator from Tbilisi to Kutaisi.

In this way, based on the reconciling of the materials available to us, we would like to express a modest assumption regarding the identity of the artist-writer of the unique manuscript's painted graphemes of Sulkhan-Saba Orbeliani's „The Book of Words" copied in the second half of the 18th century and preserved in the Indiana University Library – decoration of the superscript letters would be belonged to the hand of David Kartveli, the painter, Bezhiashvili-Okromchedlishvili.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

მაია შაორშაძე
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ვინ იყო ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი და რომელ წლებში იკავებდა იგი ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას?

XVII საუკუნის ბოლოდან 1724 წლამდე, ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე ორი ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსი მოღვაწეობდა. აქედან, ერთი იყო მუხრანის ბატონიშვილი, ხოლო მეორე – ფალავანდიშვილი. ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუ რომელი როდის მართავდა აღნიშნულ საეპისკოპოსოს, რადგან მღვდელმთავრების სხვადასხვა კათედრაზე ხშირი გადანაცვლება, ზოგჯერ გაურკვეველს ხდის მათი მოღვაწეობის ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენას და შთაბეჭდილება იქმნება, რომ, გარკვეულწილად, ერთმანეთს ფარავს კიდეც.

ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამა// ჯვარის მამა (1683 წ.) და ქართლის მთავარეპისკოპოსი [1688] – 1690-1703 წწ. იყო ბიძა მუხრანის ბატონიშვილ კონსტანტინე თეიმურაზის ძისა (1677-1700 წწ.) და ძმა სახლთუხუცეს პაპუა მუხრანის ბატონიშვილისა (1658-1700 წწ.). მათი ბიძა იყო მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი. ჰყავდა სხვა ძმებიც: გიორგი, რუსი, ხოსია, ბეჟან, დათუნა, სანჯარ, უთრუთ, ერეკლე.

1683 წლის 18 აგვისტოს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მამას, ქრისტეფორეს გიორგი დადიან-გურიელმა, დედოფალმა თამარმა და მათმა ძეებმა, ჯვარის მონასტრისთვის, ყოველწლიური შენაწირის სახით, 200 მარჩილი თეთრი გამოუყვეს და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაულის წინა დღეს და სულიწმიდის მოფენის შაბათს, თითო წირ-

ვა და აღაპი დაიწესეს სულის საოხად. მსგავსი შეწირულება მეფეთაგან მონასტერს ადრეც ჰქონია და მოშლილიყო. ჯვარის მამა ქრისტეფორე დადიან-გურიელთან მიბრძანებულა, დალაპარაკებია და ეს შეწირულება სამართლიანად აღუდგენია.[1]

1690 წელს სახლთუხუცესმა რევაზ ჩოლაყაშვილმა მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს და მის ძმებს დაუმტკიცა ყმა-მამული უჯარმას, სიონს და ხორუგს; უჯარმის მოურავობა მათ სამკვიდროდ ჰქონიათ, ხოლო დამატებით უწყალობებია უზუნქანთის და აღიზნის მოურავობა: „...უჯარმის მოურაობა სამკვიდროთ გქონდა, ახლა უზუნქანთისა და აღიზნის მოურაობა შემოგიმატეთ...“.[2]

ქართლის მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ საქართველოს მეფის ჯვარისმტვირთველს, კარისა და ოქონის ხატის დეკანოზს გარსევანიშვილ იესეს, გიორგის და მათ შვილებს უბოძა წიგნი, რომლითაც გააუქმა გორის სამწყსოს ორ სახუცოდ დაყოფა და ის მთლიანად გარსევანიშვილთა გვარს დაუმტკიცა. საბუთში ნათქვამია შემდეგი: „...ცოტას ხანს შენ და რატიშვილი მთავარეფისკოპოსი [იგულისხმება ევდემოზ რატიშვილი – მ. შ.] დამდურებულიყავით და იმის გულისათვის, გორის საჴელო და სამწყსო ორ სახუცოდ გაეჴადა. მასუკან თვითონვე მოკითხული ექნა და შეეტყო, რომ არასდროს ორი სახუცო არა სდებოდა და მკვიდრათ თქუენი საჴელო იყო. ახლა ჩვენც გულსმოდგინედ გამოვიძიეთ და შევიტყევით, რომე თამარ მეფეს ის ქუეყანა და საყდარი აეშენებინა, მას აქეთ მკვიდრათ და სამამულეთ საჴელო და საყდარი თქუენთჳს ებოძებინა, ახლა ჩვენც ასე დაგიმკვიდრეთ, რომე თუ კერძო დიაკონი თქუენს ნათესავში იყოს, ვერა ეფისკოპოზმა ის სახელო ვერ მოგიშალოს, ვერც ორი სრული გამოგართვას, ამად რომე, არ ყოფილა და დიაღ, დიდი ხნის მკვიდრნი ხართ...“ [დაახლ. 1690-1703 წწ.].[3]

1691 წელს ერეკლე ნაზარალი-ხანმა, კათალიკოსმა იოანემ, მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ, არაგვის ერისთავმა გიორგიმ, ამილახვარმა გივიმ და სხვა დარბაისლებმა გაარიგეს სამამულე დავა თარხნიშვილებს, მაღალაშვილებს, ქვათახევის წინამძღვარ ეფთვიმესა და არქიმანდრიტ ნიკოლოზს შორის. ნასოფლარი ვარდისუბანში მაღალაშვილებს დარჩათ. წინამძღვარი და მაღალაძენი ორბეთს ქვემოთ საწისქვილოზეც

[1] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Hd-10274-ბ.
[2] ხეც. Hd-10921.
[3] ხეც. Qd-600.

დაობდნენ. „თუ კავთაშვილმან თავკაცად იფიცოს, რომე საქვათაჴეო იყოს, დარჩეს წინამძღვარს; და ნაშენის ფასი კი მაღალა[ა]ნთ მიეცეს... ქვათაჴევს სასაფლაო, ბაღი, ბოსტანი, როგორც გიორგი მეფის სიტყვით თბილელის გარიგებულს წიგნში ეწეროს, ისე უნდა იქნას.“

საბუთს უზის ხუთი ბეჭედი: ნაზარალი-ხანის, იოანე კათალიკოსის, [მთავარეპისკოპოს] ქრისტეფორეს, მდივანბეგ ბარძიმისა და ლუარსაბის.[4]

1692 წლის 15 მარტს ერეკლე ნაზარალი-ხანთან, იმერეთის მეფე ალექსანდრესა და კათალიკოს იოანესთან ერთად, მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ გაარიგა გივი, იოთამ და ავთანდილ ამილახვრების დავა.[5] ამილახვრებს ერთსახლობის საქმეზე წიგნი დაუმტკიცეს და სახლის უფროსად გივი ამილახვარი განამწესეს.

ამილახვრები გაყრას არ იშლიდნენ. მეფე გიორგის დროსაც მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, თუმცა მაშინ შერიგებულიყვნენ. ამის თაობაზე „წიგნებიც“ არსებობდა. ამჯერადაც, ისევ ერთობასა და ერთსახლობაზე შეუთანხმებიათ იმ წესით, რომ „ამილახვარი გივი როგორც უფროსი ყოფილა, ისევ უფროსი იყოს და მისი ძმისწულები და ძმანი მისი მორჩილნი და ნებისმყოფელნი იყვნენ... მახარაღაჯის სოფელი ბატონს ანა ხანუმს უწინაც ეჭირა და ახლაც დავანებეთ“. ამილახვარი გივის არ ყოფნის შემთხვევაში, მისი შვილი – ანდუყაფარი ითავებდა და გადაიბარებდა მის საქმეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საბუთის შედგენაში მონაწილეობს მთავარეპისკოპოსის ძმა, სახლთუხუცესი პაპუა მუხრანის ბატონიშვილიც.

მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე სამჯერ ახლდა ისპაჰანში მეფე ერეკლე I ნაზარალი-ხანს და ერთგული სამსახურისთვის ნაზარალი-ხანმა მას და მის ძმებს უწყალობა თუშმალი შავერდა [გარაყანიძის] და მისი ძმის, ზაალის ნაქონი მამულები, აგრეთვე – პაპუას და მისი განაყოფების „ჯიმშური“ მამულები (1693 წ. 3. 04.).

1693 წელს გაცემულ ამ წყალობის სიგელში ერეკლე ნაზარალი-ხანი აღნიშნავს: „...მას ჟამსა, ოდეს ისპაჰანსა ორჯერ-სამჯერ გვიახელით და მრავალი ნასარჯულობა გარდიჴადეთ, მერმე ბედნიერმა ყაენმა ქართლი

[4] ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 155-156; საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ცენტრალური საისტორიო არქივი (ცსა). ფონდი 1448. საქმე 3268.

[5] ქსძ. ტ. IV, გვ. 157-160; ხეც. Hd-10068.

რომ გვიბოძა და ციხეში ვიდეგით და ბედნიერის ყაენის სამსახურსა და ციხეს მოდეგით, აქ ციხეშიაც ერთგულად და ნამსახურად შემოგვრჩით, მისად სანუქფოთ მრავალი წყალობა უნდოდა გვექნა, მაგრამ ჯერ ხანად ეს წყალობა გიყავით და გიბოძეთ ჩვენის ორგულის ყმის, თუშმალის შავერდასი და ზალიას კერძი, ამ ორის ძმის მამული სახლ-კარითა... კიდევე, ჯიმშური პაპუასი და მისის განაყოფების კერძი ელიარაშვილითა და ერთი კვამლი ბატონის ყმითა...“[6]

მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე მოწმეა ერეკლე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ყმის შეწირულების წიგნისა (1696 წ.): „ქ. შემოგწირეთ... (მცხეთას) და კ(ათალიკო)ზს უფალს ბიძა ჩუჱნს იოვანეს... ჩუჱნ... მეფეთ მეფემან ერეკლემ... თუხარლის პაპუნაშვილი გ(იორგ)ი... კ(ათალიკო)ზს ემსახურონ... მოწამენი: მ(თავარეპის)კ(ოპო)სი ქრისტეფორე, თფილელი დომენტი, ორბელიშვილი პატრონი ასლან, სახლხუცესი ციცისშვილი ბატონი ქაიხოსრო, სარდალი ლუარსაბ და ბოვნელ ეპისკოპოსი მაქსიმიოს...“[7]

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ჯერ კიდევ 1690 წლის 12 მარტს, ქართლის მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ხელს ურთავს იოვანე ქართლის კათალიკოსის მიერ დავით გარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძის განწესების თაობაზე შედგენილ საბუთს. „ქ. ნებითა ღმრთისათა, ჩვენ, მთავარეფისკოპოზი ქრისტეფორე ვამტკიცებ. რომელი განჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“. ახლავს მთავარეპისკოპოზის ხელრთვა და ბეჭედი (Ad-349).[8]

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იოანე დიასამიძე 1688-1692; 1695-1700 წლებში მოღვაწეობდა. 1688 წელს ირანის შაჰის მიერ ქართლის ტახტზე დამტკიცებულ ერეკლე I ნაზარალი-ხანს (1688-1703 წწ.) კათალიკოსი ნიკოლოზ IX არ ეახლა, რის გამოც, განაწყენებულმა მეფემ, შაჰის ნებართვით ის კათალიკოსობიდან გადააყენა და დანიშნა თავისი ბიძა იოანე დიასამიძე. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბის შესახებ მოგვითხრობს, რომ ერეკლე ნაზარალი-ხანის გამეფებამდე კათალიკოსი

[6] ხეც. Hd-2593.

[7] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1213 წლიდამ 1700 წლამდე). წ. II. შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ტფ. 1897, გვ. 515-516.

[8] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903, გვ. 9-11; ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970. გვ. 597-598; ხეც. Ad-349.

და ეპისკოპოსები არ იცვლებოდნენ, ხოლო მან შესცვალა და დაადგინა: „კათალიკოზად დიასამიძე იოანე, მთავარეპისკოპოზად ნაცვლიშვილი, ტფილელად ყაფლანისშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ“.[9]

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ისპაჰანში ერეკლე ნაზარალი-ხანს თან ახლდა მისი მოძღვარი, რომელმაც დაარწმუნა მეფე, რომ მაჰმადიანობა მიეღო, რასაც იგი თავის თავზე იტვირთავდა. მართლაც, მეფეს დაელაპარაკნენ „მის თანა მყოფნი კახნი და უმეტეს მოძღუარი მისი, მონაზონი ნაცვლისშვილი“ და გადაწყვეტილების მიღებაზე დაიყოლიეს.[10]

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვინ არის მეფის მოძღვარი, გვარად ნაცვლიშვილი, რომელიც, ვახუშტის თქმით, 1688 წელს ნაზარალი-ხანმა მთავარეპისკოპოსად დაადგინა?

ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე ყველა მიიჩნევდა, რომ ეს იყო ქრისტეფორე ნაცვლიშვილი, თუმცა ვახუშტი მთავარეპისკოპოსის სახელს არ ახსენებს.

ამის თაობაზე ერთადერთი განსხვავებული ვერსია აქვს წმ. მღ. პ. კარბელაშვილს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: „მელეტი – 1699 (ნაცვლისშვილი). გოლგოთის წინამძღვრად ყოფილი. ამან დადაღა ერთი კუდიანი მოხუცი დედაკაცი 1673 წ. (ქცხ. 60 გვ.). ესე მელეტი იყო მოძღვარი ნაზარალიხანისა (ერეკლეს) სპარსეთშივე, სადაც ერეკლემ მაჰმადიანობა მიიღო ამის ნებართვით. 1688 წ. ერეკლე გამეფდა და მთ. ეპ. ამა მელეტის უბოძა“. [11]

ამ პერიოდის საისტორიო დოკუმენტებიდან მართლაც არის ცნობილი 1666-1675 წლებში მოღვაწე იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მამა მელენტიოსი (მელეტიოზ, მელეტოზ), თუმცა მისი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აყვანა რამდენად სარწმუნოა, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ეს დროებითი ხასიათის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საბუთებში გარკვევით მოსჩანს, რომ აღნიშნულ კათედრას ამ პერიოდში ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი განაგებს.

1666 წლის 14 მაისს ჯვარის მამა მელენტიოსს ელისე ტფილელმა უწყალობა ადგილი, სადაც მან სახლი ააშენა. შემდგომ წავიდა იერუსალ-

[9] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 464.

[10] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი, გვ. 463.

[11] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

იმში და თავისი სახლ-კარი მიაბარა სიონის ღმრთისმშობელს და იოსებ ტფილელს, რომელსაც სთხოვა, რომ შემოსავლის ნახევრით გადაეხადათ ქირა მისი ძმის, აბდულმესისათვის, ხოლო თუ სახლს გაყიდდნენ, ნახევარი საყდრისთვის მოეხმარათ, ნახევარი კი მისთვის შეენახათ.[12]

ჯვარის მამა მელენტიოსი, 1666 წლის ახლო დროის საბუთში აღნიშნავს, რომ მისი ძმა ბატონ ციცი [ციციშვილს] ყმად მიაბარა და სახლი გასაყიდად თბილელ ეპისკოპოსს დაუტოვა: „რარიგათაც თბილელი მიჰყიდის, მე იმას ვჯერ-ვარ და მაგისმან ვაჭარმაც დაიჯეროს“.[13]

შეადგინა კათალიკოსისა და დედოფლის მიერ საქართველოსა და კახეთის თავადების, ეპისკოპოსებისა და გლეხებისაგან აკრეფილი თანხის (148 თუმანი და 1 მინალთუნი) დანახარჯის ნუსხა (1666 წ. ახლო).[14]

1675 წლის 8 თებერვალს შედგენილ ჯვარის მამის ნიკოლოზ წულუკიძის ერთგულების წიგნში შაჰნავაზისა და დომენტი კათალიკოსისადმი, ნათქვამია შემდეგი: „ჯუარის მამა თქუენის ბძანებით დადგომილა ნიადაგ ქართველის ბატონისაგან და კათალიკოზისაგან. და ჩუენცა გიახელით და გთხოვეთ ჯუარის მამობა და გუიბოძეთ სრულ საქართველოს ჯვარის მონასტრის მამულები...“[15]

ამ საბუთს აშიაზე ახლავს სხვა მინაწერიც, საიდანაც ირკვევა, რომ ყოფილ ჯვარის მამა მელენტიოზს და სხვებს, რაღაც დანაშაული მიუძღოდათ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინაშე, რის გამოც, ასეთ განმარტებას აკეთებს ჯვარის მამა ნიკოლოზ წულუკიძე: „ქ. ეს ფიციც ასე მოგვიხსენებია, რომე, რაც გაბრიელ, იოსებ და მელენტიოზ ქნეს, ჩუენ ის, არც ერთი მოვინდომოთ და არც არა მონასტერზე ვსტყუოთ, თქვენის სიტყუის მორჩილიც ვიყო და სანამდი სული მედგას, მონასტრის სამსახურის არა გვერჩიოს რა, ერთგულად და ერთსულად ვიყოთ და არც რა მონასტრის დანაკლისი ვქნა“. ხელრთვა: ნიკოლოზ.[16]

აღნიშნული საბუთიდან კარგად ჩანს, რომ 1675 წლისთვის მელენტიოსი უკვე ყოფილი ჯვარის მამაა. 1678 წელს (6. XII.) გიორგი XI-ს იერუსალიმის ჯვარის მონასტრისათვის შეწირულება განუახლებია: თბილისში სასახლის გარდა, შესწირა გალავანს გარეთ მდებარე მამუკას ნაქონი სასახლე, რომელსაც ცალ მხარეს დათუნას სახლის კედელი ესაზღვრე-

[12] ხეც. Ad-650.
[13] ხეც. Ad-63.
[14] ხეც. Ad-100.
[15] ქსძ. ტ. III, გვ. 576-577.
[16] ხეც. Ad-553.

ბოდა, ხოლო მეორეზე – შიოშ ზედგენიძის სასახლე.[17]

თუკი მელენტიოსთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნულ მღ. პ. კარბელაშვილის აზრს დავეყრდნობით იმის შესახებ, რომ სწორედ ჯვარის მამა მელენტიოსია ერეკლე ნაზარალი-ხანის მოძღვარი, რომელიც მას ისპაჰანშიც ახლდა, მაშინ ვახუშტის ცნობაც იმგვარად უნდა მივიღოთ, რომ 1688 წელს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი „ნაცვლიშვილი“ მელენტიოსია და არა ქრისტეფორე.

სამთავისის ტაძრის 1679 წლის ერთერთი წარწერა, აქამდე მელიტონ სამთავნელის შესრულებულად მიიჩნეოდა (შ. ამირანაშვილი, გ. სოხაშვილი), მაგრამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ დაქარაგმებულ წარწერაში, შესაძლოა, სწორედ მელენტი იკითხებოდეს და არა მელიტონი (ნ. ბურჭულაძე).

ამდენად, სავარაუდოა ისიც, რომ მელენტი//მელენტიოსი მანამდე სამთავისის საეპისკოპოსო კათედრაზეც მოღვაწეობდა.[18] ზემოთ ისიც ვახსენეთ, რომ 1675 წლისთვის ის ჯვარის მამა უკვე აღარ არის.

რაც შეეხება ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილს, როგორც ჩანს, ის დროებით გადამდგარა მთავარეპისკოპოსობიდან, ხოლო 1698-1700 წლებში კვლავ დაბრუნებულა სამთავროში. ამავე პერიოდში მოღვაწეობს ქართლის მთავარეპისკოპისი ევდემოზ რატიშვილიც (1687-1698 წლებს შორის), რომელიც მანამდე, ურბნელი და მანგლელი მთავარეპისკოპოსი იყო. არის გარკვეული შემთხვევები, როცა ამ ორი მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობის წლები ერთმანეთს ემთხვევა კიდეც, თუმცა საისტორიო წყაროები არ იძლევა დამატებით რაიმეს გარკვევის საშუალებას, თუ რატომ და რა ვითარებაში ხდებოდა ეს ურთიერთჩანაცვლების პროცესი.

XVII საუკუნის ბოლოს, ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსმა გოგია გოგიაშვილს განუახლა პარკაძის მიერ ადრე ნაბოძები აზატობა.[19]

1698 წელს ერეკლე მეფის ბრძანებით, მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ ნიკოლაოზ მაღალაშვილთან და ვახტანგ იარალიშვილთან ერთად გაარიგა სამამულე დავა ამილახორიშვილებსა და იესე მურვანიშვილს შორის. განჩინების თანახმად, დამღაწაშვილის მამული ასე გაანაწილეს: „ვე-

[17] სეასცა. ფონდი 1449-544.

[18] იხ: მ. შაორშაძე. XV-XVII საუკუნეების სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. თბ. 2012, გვ. 198-199.

[19] გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). №-4641.

ნახის თავის მიწა იქით ღელემდის და აქეთ ჩხეიძის მეზურემდის მურვანიშვილებმა და დამღაწაშვილმა შუა გაიყონ!..“[20] 1698 წელსვე ის მოხსენიებულია აგრეთვე კონსტანტინე მუხრანბატონიშვილის საბუთში, როგორც მთავარეპისკოპოსი და კონსტანტინეს ბიძა: „...მუხრან-ბატონიშვილმა კოსტანტინე და ბატონმა ბიძაჩემმა, მ(თავარეპის)კ(ოპო)ს-მან ქრისტეფორემ და ძმამა ჩემმა და ადარნასემ“ ერთის განაყოფის გლეხის მამული წილკანს გიბოძეთ ქ(ორონი)კ(ონ)ს ტპვ, ივნისის იბ.[21]

თ. ჟორდანიას მიხედვით, XVI-XVII საუკუნეების „ჟამნის“ (ხეც. A-1153) ერთერთი მინაწერიდან ირკვევა, რომ მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე 1700 წელს მიიცვალა. ხელნაწერზე მართლაც არის ნუსხა-ხუცურით შესრულებული მინაწერი, რომელიც თ. ჟორდანიამ ქორონიკონს [ტპჩ-ს] (1700 წ.) ქვეშ მოაქცია და შესაბამისადვე დაათარიღა: „[ამა] ქ(ორონი)კ(ონ)ს, გ(იო)რგ(ობი)სთვის კბ (21), (ბატო)ნიშვილი მთავარეფ(ისკო)პოზი ქ(რისტ)ეფორე მიიცვალა.“[22] იგივე მინაწერი გამოქვეყნებული აქვს ჯ. ოდიშელსაც,[23] თუმცა ეს ცნობა ნაკლებად სარწმუნო ჩანს. საქმე იმაშია, რომ საბუთებში ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსი კვლავ მოსჩანს 1701-1703 წლებში.

1700 წელს კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ, ქართლის მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილმა, მროველმა ფილიპე თაქთაქიძემ, ბოვნელმა რევისშვილმა, რუსთველმა ეფრემ ანდრონიკაშვილმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზ მაღალაძემ, ქვათახევის წინამძღვარმა ეფთვიმემ, მუხრანის ბატონიშვილებმა კონსტანტინემ და ერეკლემ, ამილახვარმა ავთანდილმა, ჩოლოყაშვილებმა, ერისთავისშვილებმა, სააკაძე-მოურავისშვილებმა, ციციშვილებმა და სხვა დარბაისლებმა, მდივანბეგ ვახტანგ ორბელიშვილის ცოლყოფილს, ზაალ ერისთავის ქალს თამარს ჯალდამი და ღორისთავი დაუმტკიცეს, რადგან მისი ნამზითვი იყო.[24] საბუთს მოწმეებში ახლავს მთავარეპისკოპოსის დამტკიცება და ბეჭდის

[20] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1977, გვ. 604-605; ხეც. Ad-1077.

[21] ქრონიკები. წ. II, გვ. 518.

[22] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ (1700 წ-დან XIX ს-ის 60-იან წლებამდე). წიგ. III. გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ. 1967, გვ. 3; ხეც. ფონდი A-1153. გვ. 246 v.

[23] მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბ. 1968, გვ. 51 (IX. 26).

[24] ხეც. Sd-2301 (პირი).

ადგილი: „ჩვენ, ბატონიშვილი მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე მოწამე...“.

ასევე, 1700 წელს მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე მოწმეა ზურაბ ჯავახიშვილის მიერ იბაშერ შალიკაშვილისათვის მიცემული სოფელ სკრაზე უდაობის წიგნისა.[25]

მეფე ერეკლე I, კათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე, მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე, თბილელი მიტროპოლიტი დომენტი, ჯვარის მამა არსენე, არქიმანდრიტი ნიკოლოზ და სხვები არიგებენ ციციშვილების ყმა-მამულის საქმეს (1701-1703 წწ.). ზემო და ქვემო ციციშვილების დავა ზემო ციციშვილების სასარგებლოდ გადაწყდა: „რადგან სარდლიშვილების წიგნები აღარ ჩანდა და ზემო ციციშვილს წიგნებიც ჰქონდა და ეს მამულიც დღეს ხელთ ეჭირათ, ამიტომ ფიცი ამათი იყო“.[26]

კათალიკოს ევდემოზთან ერთად, მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ბეჭდით ამტკიცებს მეფე ერეკლე I-ის განჩინებას ბიძინასა და დუშიას სასისხლო საქმეზე 1701-1703 წლებში: „ქ. ვამტკიცებთ ჩვენ, მთ[ა]ვარეფისკოპოზი ქრისტეფორე წიგნსა ამ[ა]ს.“[27] ამ სიგელით მეფე ნაზარალი-ხანი სოფ. ვარიანში მაჩაბლებს სწირავს უჯარმელაშვილებს და სხვა გლეხებს.

1702 წელს არის შედგენილი „განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე,“ რომლის მიხედვითაც, კათალიკოსი ევდემოზ, ამბა ალავერდელი ნიკოლოზ, მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე, ნინოწმინდელი იოსებ და ქართლ-კახეთის ეპისკოპოსები და სამღვდელო დასი ადგენენ დავით-გარეჯის, ნათლისმცემლის, დოდოსა და ბერთუბნის მონასტრების შინაგანაწესს. განჩინების თანახმად, ვინც ამ დადგენილ წესებს დაარღვევდა, შეჩვენება და წყევლა არ ასცდებოდა. საეკლესიო კრების ჩატარების აუცილებლობა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ხშირი იყო შემთხვევები ბერების ერთი მონასტრიდან მეორეში თვითნებური გადასვლისა და მოძრაობისა.

---

[25] სეასცა. ფონდი 1450. დავთრი 37. საქმე 235.

[26] ქსძ. ტ. VI, გვ. 206-207.

[27] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII). ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 79-80; ხეც. Hd-2004 (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. IV. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ჟღენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. თბ. 2007. ეს საბუთი შეტანილია ასეთი სათაურით: „ნაზარალი-ხანის განჩინება დავით და ამილღამბარ [მაჩაბლების] სასიხლო საქმეზე [1688-1703 წწ]“, გვ. 391-392).

საბუთს ამტკიცებენ: ბოდბელი ზაქარია, თბილელი დომენტი, მანგლელი იოსებ, სამებელი ნიკოლოზ, მროველი, ჭერემელი, წილკნელი, ხარჭაშნელი პართენი, დმანელი ელისე, ბოვნელი ივანე, წალკელი ნიკოლოზ, მაღალაძე არქიმანდრიტი ნიკოლოზ. სიგელს ახლავს ბეჭდები და ხელრთვები, რომელთა შორისაა ქართლის მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს ბეჭედი და ხელრთვაც: „ქ. ბატონი მთავარეფისკოპოზი ვამტკიცებ ამ სიგელს“.[28]

1703 წელს ერეკლე მუხრანბატონი წერს: „მოვედით ქსორისს რატიშვილების გასაყრელად ჩვენ და ჩვენი მამა (!) მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე... ჩვენთვის ავიღეთ ამათი გასამყრელო ახალგორს ოთხი კვამლი კაცი... ერთი კვამლი კაცი თავისის მამულითა... შემოგწირეთ თქვენ... კაბენს გესამანისა ღვთისმშობელსა...“.[29]

თ. ჟორდანია აღნიშნული ხელნაწერის (ყანჩაეთის ჟამნ-გულანი, H-1452)[30] მინაწერ დოკუმენტში შეცდომით კითხულობს სიტყვა „მამა“-ს, დედანში წერია – „ძ<ა>მა“, ტექსტისთვის დამახასიათებელი ა-მეტობით, რამაც, როგორც ჩანს, მკვლევრის არასწორი წაკითხვა განაპირობა.

ერეკლე მუხრანბატონი ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსის ძმა იყო. თავდაპირველად, ერეკლე გიორგი მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებში ყოფილა, „სიყმაწვილით სხვათ ეცდინა...“ მაგრამ გიორგი XI-ს შეუნდვია დანაშაული და პირობის წიგნი მიუცია მისი ძმისთვის, პაპუა სახლთუხუცესისათვის (1686-1700 წწ.), რომ მის ძმებსა და ძმისწულებს ერეკლეს დანაშაულზე პასუხს არ მოსთხოვდა (1680-იანი წწ.).[31] შემდგომში ერეკლე ნაზარალი-ხანმა პაპუას მისცა პირობა, რომ ერთგულების შემთხვევაში მფარველობას არ მოაკლებდა (1690-იანი წწ.).[32]

1710-იანი წლებიდან 1724 წლამდე საისტორიო დოკუმენტებში ქართლის მთავარეპისკოპოსად ჩანს ქრისტეფორე ფალავანდიშვილი.

1716 წელს ქრისტეფორე ფალავანდიშვილი ჯვარის მამად და ქვათახევის წინამძღვრად მოიხსენიება. ნასყიდობის წიგნში, მიცემული ქვათახევის წინამძღვარ ქრისტეფორე ფალავანდიშვილისა ზალია ავთანდი-

[28] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 13-15; ქსძ. ტ. III, გვ. 633-635.
[29] ქრონიკები. წ. III, გვ. 10-11.
[30] ხეც. ფონდი H-1452.
[31] სეასცა. ფონდი 1461. 3/3.
[32] სეასცა. ფონდი 1461. 3/4; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 334.

ლაშვილისადმი, ნათქვამია შემდეგი: „...მას ჟამს, ოდეს ძველთ პატიოსანთ ხელმწიფეთაგან გორგიჯანასშვილნი ქვათახევის მღთისმშობლის შეწირულნი იყუნენ და მოხდა სოფლის ჩვეულებრივ მუხანათობა და ძირითურათ აღმოიფხურნენ და კვალად განახლა თვითმპყობელმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან ბაქარ შეწირულობა და გუიბოძა კაცი და ოქმი და ავმართეთ ხელი გორგიჯანასშვილის მამულზე, ყმისა და სახლ-კარისა...“ ეს მამულები მიჰყიდა ქვათახევის წინამძღვარმა ქრისტეფორემ ავთანდილაშვილებს.[33]

უკვე 1718 წელს, „ვენახის გაცვლის წიგნში მანგლელი ეპისკოპოზის იოანესი და ფარემუზ ჯავახიშვილისა“, მანგლელი ეპისკოპოსი იოსებ ყოფილი იოვანე, ვენახის გაცვლის წიგნს აძლევს ფარემუზ ჯავახიშვილს, მის შვილებს ავთანდილს და ერასტის, რომელსაც ახლავს მინაწერი: „ჩვენ, მთავარ-ეფისკოპოზი ფალავანდიშვილი, ბატონი ქრისტეფორე მოწამე ამისი“. ხელრთვა: მთავარ-ეფისკოპოზი ქრისტეფორე. (მარიამობისთვის ოცდა სამი (23), ქ(ორონი)კ(ონ)ს უვ (1718 წ.).[34]

ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსად იხსენიება შემდგომ წლებშიც. 1719 წლის 18 მარტს შედგენილ საბუთში – „ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ ხერხეულიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისადმი“, მოწმეებში დასახელებულნი არიან და საბუთს ამტკიცებენ: ბატონიშვილი სვიმონ, სარდალი ლუარსაბ, ბატონიშვილი ვახუშტი, მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე და სხვ. „ქ. ვარ ამისი მოწმე მთ[ა]ვარეფისკოპოზი ქრისტეფორე“.[35]

1722 წლის „შეწირულების წიგნი, მიცემული ივანე და სეხნია ელიაშვილების მიერ ღვთაების ხატისადმი“ (XIX ს. პირი), ელიაშვილი ივანე და მისი ძმა სეხნია, შვილი პეტრე და იაკობ, შეწირულების წიგნს აძლევენ „ცათა მობაძავსა ხატსა ღვთაებისასა და მის ტახტსა ზ[ედ]ა მჯდომარესა უფლისა და ყ[ოვლა]დ სანატრელისა მთავარეფისკოპოზს ბატონს ქრისტეფორეს“.[36] ამდენად, სამთავრო „ღვთაების მონასტერად“ იწოდება. ელიაშვილი კახეთში ცხოვრობდა ჩოლოყაშვილის ყმად. როცა კახეთი ლე-

[33] საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1910, გვ. 411-413.
[34] საქართველოს სიძველენი. ტ. I. გამოცემა მეორე. წიგნი I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1920, გვ. 305-307.
[35] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII). ტ. I, გვ. 180-181.
[36] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII). ტ. I, გვ. 391-392.

კებს აუოხრებიათ, აყრილა და მთავარეპისკოპოსისთვის შეუწირავს თავი ძმით და შვილებით. მთავარეპისკოპოსსაც დაუსახლებია ისინი და მონასტრის ყმებად მიუღია. ელიაშვილი სამუდამო ერთგულებას ჰპირდება მღვდელმთავარს და პირობას იძლევა, რომ თუ რომელიმე ეპისკოპოსი უსამართლოდ არ გააგდებდა, სიკვდილამდე მას ემსახურებოდა.

შემდგომში ქრისტეფორეს ვხვდებით დომენტი IV კათალიკოსის წყალობის წიგნში პაპუა მაღალაძისადმი (1723 წ. 18 ივნისი).

დომენტი კათალიკოსი წყალობის წიგნს აძლევს მაღალაძე ადამის შვილს პაპუას, თომას და მამუკას, რომელთაც თრიალეთზე ყავრიშვილის ნაქონი ბარეთის მოურავობა ეთხოვათ და კათალიკოსიც ამ მოურავობას უმტკიცებს. კათალიკოს-პატრიარქ დომენტის ხელრთვის გარდა, სიგელს ახლავს მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს ხელრთვა: „ჩვენ, მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე [ვ]მოწმობთ სიგელსა ამას“.[37]

1724 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსი რუსეთში წაჰყოლია ვახტანგ VI-ს. ვახტანგის ამალის ნუსხაში მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე მოხსენიებულია, როგორც: „თავადისშვილი მთავარეპისკოპოზი ქრისტეფორე. ხელით უქმნელის ხატის ეკლესიის მქონე“.[38]

პ. კარბელაშვილი მიიჩნევდა, რომ ვახტანგ VI-ს რუსეთში ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი გაჰყვა და მას პაპუას ძედ მოიხსენიებს: „ქრისტეფორე – 1624-1718. ძე მუხრანბატონის პაპუასი, წინად წილკნელი. ესე გაჰყვა ვახტანგ VI რუსეთში, თათრებისაგან შეიწროებული. +1664 წ. (?) ივლისში ასტრახანში“.

ის ცალკე ასახელებს ქრისტეფორე ფალავანდიშვილს, თუმცა ქრონოლოგიური ცდომილებით. „ქრისტეფორე მთ. ეპ. – 1688-1700 წწ. – 1718 წ. 23. VIII. (ფალავანდიშვილი)“.[39]

პ. იოსელიანის ცნობის საფუძველზე, პ. კარბელაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ რუსეთში წასულ რომანოზ ერისთავს (მთავარეპისკოპოსს) თან ახლდა ქრისტეფორე სამთავნელი და 1732 წლის თებერვალში ისინი მოსკოვში ჩავიდნენ.[40]

დ. ფურცელაძეც მიიჩნევდა, რომ 1719 წლის საბუთი ქრისტეფორე

[37] ქსძ. ტ. III, გვ. 705.

[38] ს. ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში. თბ. 1955, გვ. 142; ასევე: გ. პაიჭაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი). თბ. 1960, გვ. 231.

[39] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

[40] П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса. Сочинение Платона Иоселиани. Тиф. 1866, გვ. 123-124; სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

„სამთავნელის“ შედგენილია და ის, ამასთანავე, ქვათახევის წინამძღვარიც იყო.[41]

ჩვენი თვალსაზრისით, ვახტანგის ამალის ნუსხაში მითითებული „თავადისშვილი“ მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე, სწორედ ფალავანდიშვილი უნდა იყოს და არა მუხრანის ბატონიშვილი ქრისტეფორე, რომელსაც, ბუნებრივია, თავადიშვილად არ მოიხსენიებდნენ.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე **ქრისტეფორე (მუხრანის ბატონიშვილი)** იყო: [1688]/1690, 1691-1693, 1696, 1698, 1700, 1701-1703 წლებში.

ქრისტეფორე (ფალავანდიშვილი) – 1718, 1719, 1722-1724 წლებში (1716 წელს არის ჯვარის მამა და ქვათახევის წინამძღვარი).

მოგვიანებით, 1730-40-იან წლებში, საისტორიო დოკუმენტებში კვლავ მოსჩანს ქრისტეფორე, ოღონდ წილკნელი ეპისკოპოსის ხარისხში.

[41] Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджари (грамоты). Составиль Д. П. Пурцеладзе. Тиф. 1881, გვ. 91.

Maia Shaorshadze
Senior Researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Georgia

ON THE TENURE OF CHRISTOPHER MUKHRANI BATONISHVILI AS ARCHBISHOP OF KARTLI: CLARIFYING CHRONOLOGY AND IDENTITY

Summary

The ecclesiastical history of Kartli at the turn of the 17th to 18th century is complicated by the presence of two hierarchs named Christopher who served as Archbishops of Kartli in close succession. This paper aims to distinguish between Christopher Mukhran Batonishvili and Christopher Palavandishvili, and to establish, as precisely as possible, the chronological framework of their tenures within the episcopal see of Kartli. Drawing upon documentary evidence from royal charters, ecclesiastical decrees, and references in contemporary chronicles, we offer a reassessment of the episcopal chronology and clarify earlier historiographical ambiguities, especially those concerning their appointments and activities.

From the late 17th century to the early 18th century, the Archbishopric of Kartli was occupied at different times by two distinct figures sharing the same ecclesiastical name – Christopher. One was Christopher Mukhrani Batonishvili, a member of the princely Mukhrani family, and the other was Christopher Palavandishvili. The overlapping names, combined with fragmentary and sometimes contradictory source material, have led to confusion in identifying their respective episcopates. This study synthesizes extant archival and manuscript sources to clarify their historical and ecclesiastical roles, focusing primarily on the tenure of Christopher Mukhrani Batonishvili.

Christopher Mukhrani Batonishvili: Genealogy and Appointment

Christopher Mukhrani Batonishvili, a member of the royal Mukhrani house, was the brother of Papua Mukhrani Batonishvili (1658–1700) and uncle of Prince Konstantin Teimuraz Batonishvili (1677–1700). Their uncle was King Vakhtang V Shahnavazi. Documentary records indicate that Christopher became Father of the Cross Monastery in Jerusalem in 1683 and subsequently

was elevated to Archbishop of Kartli by [1688]. His tenure is confirmed during the years 1690–1693, 1696, and 1698–1703.

Identity Confusion and Differentiation

Vakhushti Batonishvili's historical commentary suggests that another cleric, Natsvlishvili – allegedly Erekle I's tutor – may have briefly occupied the Archbishopric in 1688. However, this appears to have been an anomalous or temporary appointment, possibly driven by court politics. Similarly, Archbishop Evdemoz Ratishvili served from 1687 to 1698, potentially overlapping with Christopher's intermittent presence.

A particularly persistent confusion arises from a mistaken identification in Vakhtang VI's Amali list, which names an "Archbishop Christopher, son of Tavadishvili." St. P. Karbelashvili erroneously associated this with Christopher Mukhrani Batonishvili, when it more accurately refers to Christopher Palavandishvili, active as Archbishop between 1718 and 1724 and later taken to Russia by Vakhtang VI.

Based on documentary references, the following timeline is proposed:

Christopher Mukhrani Batonishvili:

Father of the Cross Monastery: 1683.

Archbishop of Kartli: [1688], 1690–1693, 1696, 1698, 1700, 1701–1703.

Christopher Palavandishvili:

Father of the Cross and Abbot of Kvatakhevi: 1716.

Archbishop of Kartli: 1718, 1719, 1722–1724.

Emigrated to Russia with Vakhtang VI: 1724.

Conclusion:

The findings of the present article demonstrate that Christopher Mukhrani Batonishvili held the Archbishopric of Kartli during a non-continuous but documentarily verifiable period between 1688 and 1703. Later ecclesiastical activity attributed to "Archbishop Christopher" from 1716 onwards pertains not to the Mukhranian prince but Christopher Palavandishvili. Clarifying these different identities not only corrects earlier historiographical errors but also provides insight into the complex interplay of political, dynastic, and ecclesiastical power in early modern Kartli.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

აპოლონ თაბუაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ /
არქივთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მძევლების საკითხი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში (1784-1798 წწ.)*

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ საქართველოდან რუსეთში, მინისტრ-რეზიდენტად დანიშნულ გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, გაემგზავრნენ ერეკლე II-ის ვაჟები – 17 წლის მირიან და 20 წლის ანტონ (ერისკაცობაში თეიმურაზ) ბატონიშვილები.

ქართველი ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1885 წელს გამოქვეყნებულ მცირე მოცულობის ნაშრომში – „კათალიკოზი ანტონ II“ – მოსე ჯანაშვილი აღნიშნავდა: „...ერეკლემ გაგზავნა მთელი საელჩო, რომელიც შესდგებოდა მეფის ძეებით: ანტონით (ამ დროს თეიმურაზი ბერად აღკვეცილიყო) და მირიანით და გარსევან ჭავჭავაძით. როგორც სჩანს, ელჩებს მშვენიერად შეუსრულებიათ მათდამი მინდობილი საქმე, ... მეფის ძეს მირიანს, 17 წლისას ებოძა პოლკოვნიკობა და დაინიშნა უფროსად ყაბარდოს ქვეითი პოლკისა, ... მეფის ძე ბერი და იერო-დიაკონი ანტონი დაშთა რუსეთშივე და 1784 წელს, მეფის ერეკლეს თხოვნით ცარსკი-სელოს სასახლის ეკკლესიაში, იმპერატრიცის და მისი უმაღლესი სასახლის წევრების თანდასწრებით, კურთხეულ იქმნა ეპისკოპოსად, სახელ-წოდებით ნინოწმინდელი. ახლად კურ-

* კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, № FR-23-11173 / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), № FR-23-11173.

თხეულ ღვდელ-მთავარს ეკატერინე II-მ უბოძა ძვირფასი, ბრილიანტებით შემკული პანაგია. იმავე წელიწადს მეფე ერეკლემ დანიშნა იგი ალავერდელად, ხოლო რუსეთიდამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1788 წ., 29 თებერვალს აღესრულა რა უნეტარესი კათალიკოსი ანტონ I, იმავე წელიწადს, 29 ოკტომბერს დაინიშნა იგი კათალიკოსად საქართველოისა".[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ და მირიან ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში უმთავრესად მ. ჯანაშვილის მსგავსადაა შეფასებული.[2] ზოგიერთ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბატონიშვილები პეტერბურგში იმპერატორის სურვილის შესაბამისად გაემგზავრნენ, თუმცა ყურადღება მათ კარიერულ წინსვლაზეა გადატანილი.[3] ამ შემთხვევებშიც რჩება შთაბეჭდილება, რომ ანტონი და მირიანი რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფო კარის ინტერესების გათვალისწინებით უნდა წასულიყვნენ. ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებასაც. ნ. ბერძენიშვილი, მიმოიხილავდა რა რუსეთის არქივებში დაცულ ცნობებს, ბატონიშვილების რუსეთში გაწვევის ფაქტს „ძველი მძევლობის გადმონაშთს" უწოდებდა,[4] რაც ზოგიერთმა ავტორმაც გაიზიარა.[5]

მიუხედავად გაჟღერებული მოსაზრებებისა, ანტონ და მირიან ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელია. მათი სტატუსის განსაზღვრისათვის კი აუცილებელია წყაროთა მონაცემების დეტალური ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ რუსეთის მთავრობის მიერ გაცემულ დოკუმენტში ანტონ და მირიან ბატონიშვილები მძევლე-

---

[1] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 1, № 2. 1-15 იანვარი, 1885, გვ. 10; 6.

[2] იხ.: პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. თფილისი, 1900, გვ. 188; ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ. 2002, გვ. 10-11; ა. როგავა. ანტონ II. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. მთ. რედ. ირ. აბაშიძე. თბ. 1975, გვ. 498; მ. ბერძნიშვილი. მირიან ბატონიშვილი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 12 და სხვა.

[3] იხ.: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. II. СПб. 1869, გვ. 130; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II. СПб. 1886, გვ. 19-20; მ. დუმბაძე. პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 695, სქოლიო 1.

[4] ნ. ბერძენიშვილი. საანგარიშო მოხსენება მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა (1946 წ.). საქართველოს ისტორიის საკითხები. IV. თბ. 1967, გვ. 166.

[5] იხ.: გ. ჟუჟუნაშვილი. „ამანათობის" ინსტიტუტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. მასალები სალექციო კურსისათვის: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მეათე საუკუნიდან 1810 წლამდე. თბ. 2015, გვ. 100.

ბად არ მოიხსენებიან. ანალოგიურად, ისინი მძევლებად არც საქართველოდან რუსეთში გაგზავნილ წერილებში არ იწოდებიან. პეტერბურგში მათი ღირსეული მიღებისა და მზრუნველობისათვის ერეკლე II გენერალ-ანშეფ გრიგოლ პოტიომკინს მადლობასაც კი უხდიდა და დასძენდა: „ვერ დავსთმეთ, რომ არ მოგვეწერა თქვენის უგანათლებულესობისათვის. ჩემის შვილებისაგან და ჩუჱნის მინისტის კნიაზ ჭავჭავაძესაგან მოწერილი თქუჱნის უგანათლებულესობისგან თავეთი მიღება და თქუჱნი იმათზე მამებრ მზრუნველობა. ვნატრი იმათს ბედნიერობას, რომ ღირს იქმნენ თქუჱნს მზრუნველობასა“.[6]

ერთი შეხედვით, იკვეთება ვითარება, რომ ერეკლე II-მ საიმპერატორო კარზე შვილები მართლაც საკუთარი სურვილით გაგზავნა. მეორე მხრივ, სრულიად ალოგიკურია, რომ გარსევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით რუსეთში გაგზავნილი საელჩოს შემადგენლობაში ბატონიშვილებიც ყოფილიყვნენ მოაზრებულნი. საქმე ის არის, რომ მინისტრ-რეზიდენტთან შედარებით, მას რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონოდა დაკისრებული, მეფის შვილების რანგი გაცილებით მაღალი იყო. შესაბამისად, შეუძლებელია ისინი ქართული საელჩოს დელეგაციის წევრები ყოფილიყვნენ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების პროცესში ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი დღის წესრიგში არც კი დამდგარა. როგორც დოკუმენტური მასალით ირკვევა, რუსული მხარე, დასახელებული ბატონიშვილებიდან, პირველად მირიანის პერსონით დაინტერესდა, თუმცა ეს ფაქტი მის გაწვევასთან არ იყო დაკავშირებული. კონკრეტულად კი, მფარველობის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში გრიგოლ პოტიომკინი 1782 წლის დეკემბერში ეკატერინე II-ს ატყობინებდა, რომ სომეხი არქიერის[7] რჩევით, ერეკლე II-ის კეთილგანწყობას მოიპოვებდნენ თუ მის უმცროს ვაჟს მირიანს წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვებდნენ.[8] აღნიშნული წარდგინების საფუძველზე მირიან ბატონიშვილს 1783 წლის მაისის დასაწყისში მართლაც გადაეცა ჯილდო.[9]

[6] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა). ფონდი 1449, საბუთი № 2893.

[7] უნდა იგულისხმებოდეს იოსებ არღუთიანი.

[8] Из истории российско-грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата. Сборник документов. Москва, 2014, გვ. 122-123.

[9] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), H-2300, გვ. 9.

რაც შეეხება მირიან ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების საკითხს, მასზე მსჯელობა მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ დაიწყო. როგორც ნ. დუბროვინი მიუთითებდა, მეფის ვაჟის რუსეთში გამგზავრება დაკავშირებული იყო სამხედრო კოლეგიის განკარგულებასთან. საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით ავტორი აღნიშნავდა, რომ 1783 წლის 18 აგვისტოს 17 წლის მირიანს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა, რის საფუძველზეც იმპერატორმა ის რუსეთში მიიწვია.[10]

მირიანის მსგავსად, ანტონ ბატონიშვილიც ტრაქტატის დადების შემდგომ ეკატერინე II-ის სურვილის საფუძველზე გაიწვიეს. კერძოდ, იმპერატორის 1783 წლის 30 სექტემბრის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ კეთილგანწყობის ნიშნად მეფის ბერი ვაჟი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო, რათა მოსკოვში ეპისკოპოსად კურთხეულიყო.[11]

ყურადღებას იპყრობს ბატონიშვილების რუსეთში მიწვევის თარიღები. მირიან ბატონიშვილს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება ხელმოწერილი ტრაქტატის პეტერბურგში მიღებიდან მეორე დღესვე მიენიჭა,[12] ხოლო ანტონ ბატონიშვილის რუსეთში გაწვევა იმ დღეს გადაწყდა, როდესაც ეკატერინე II-მ ერეკლეს ახლად წამოყენებული მოთხოვნები დააკმაყოფილა. იმ პერიოდში ერეკლე II გადაჭრით მოითხოვდა ქართველი მონარქების მეფედ კურთხევის უფლების ხელშეკრულებაში ასახვას, მცხეთის კათოლიკოსის, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავრის, უფლებების დაცვას, მისთვის „უგანათლებულესობის“ ნაცვლად „უმაღლესობის“ ეპითეტის მინიჭებას და ტიტულის იმ სახით დაფიქსირებას, რაც ქართულ სამეფო კარზე იყო შემუშავებული.[13] ქართველი მეფის დიპლომატიური აქტიურობის შემდეგ, 1783 წლის 30 სექტემბერს, ეკატერინე II-მ, ერთი მხრივ, წამოყენებული პირობების უმეტესობა დააკმაყოფილა, მეორე მხრივ კი, როგორც აღინიშნა, ერეკლეს მეორე ვა-

[10] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 19-20.

[11] Полное собрание законов Российской империи. XXI. СПб. 1830, გვ. 1025-1026.

[12] როგორც ეკატერინე II 1783 წლის 18 აგვისტოს გრიგოლ პოტიომკინს წერდა, პოლკოვნიკმა ტამარამ ხელმოწერილი ტრაქტატი სწორედ 17 აგვისტოს მიიტანა პეტერბურგის კარზე. იხ.: Русская Старина. XVI, вып. 5-8. СПб. 1876, გვ. 48; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 11.

[13] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX. თბ. 2023, გვ. 130-186.

ჟი – ანტონ ბატონიშვილი რუსეთში გაიწვია.[14]

ამრიგად, მირიანისა და ანტონის გამგზავრება ქართული საელჩოს მუშაობასთან არანაირად არ იყო დაკავშირებული. ამავე დროს, საპატიო მიზეზით მიწვევის მიუხედავად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ტრაქტატის გაფორმების შემდეგ რუსული მხარე ბატონიშვილებს ერეკლე II-ის მორჩილების უზრუნველყოფის ბერკეტად განიხილავდა.

ბატონიშვილების რუსეთში გაწვევის პროცესისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით ისტორიულ დოკუმენტებში. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პავლე პოტიომკინის ერეკლე II-ისათვის გაგზავნილი წერილები.[15] როგორც ერთ-ერთი მათგანით ირკვევა, მირიან ბატონიშვილის რუსეთში გაწვევის შესახებ იმპერატორის გადაწყვეტილება პავლე პოტიომკინმა ერეკლე II-ს 1783 წლის 12 ოქტომბრის წერილით აცნობა. იმავე წერილით პავლე პოტიომკინმა ბატონიშვილის რუსეთში დროულად გამგზავრებაც მოითხოვა – „წელსა ჩღპგ (1783), ოქდომბერს იბ (12) ... უნებავს მათს იმპერატორების დიდებულებასა და უწყალობებია თქვენის საყვარ{ე}ლის შვილის მეფის ძის მირიანისათვის რუსეთის ჯარის სამწედროს <ჯარის> პოლკოვნიკობა. ამას ვეჩქარები რათა მოვახსენო თქვენს უგანათლებულესობასა და უფროს სიხარულით მომილოცავს თქვენის უგანათლებულესობისათვის, რომ ნიშანი არის მონარხის წყალობისა და მეცა როგორც სამსახური და ერთგულება მსურის ამითა ჰსცნობთ, რომ კნიაზ გრიგორი ალექსანდროვიჩს პოტემკინს ჰსურის მეფის ძის მირიანის პეტრებურხს მოსვლა და ამისათვის ვითხოვ თქვენის უგანათლებულესობისაგან, რომ მაცოდინოთ როგორ შეიძლებთ მაგის გამოსტუმრებასა, ამისთვის რომ მოვასწრა გზაზედ კაცების დაყენება ჩემსა და სხვას ალაგებსაცა, რათა მშვიდობიანათ და უშიშრად მოაცილონ ლინიამდისინ“.[16]

თუ როგორ შეხვდა ერეკლე II მისი ვაჟის რუსეთის გაწვევის ინიციატივას, ამის გასარკვევად მრავლისმეტყველია პავლე პოტიომკინის კიდევ ერთი წერილი, რომელიც 1783 წლის 10 ნოემბრით თარიღდება. კავკა-

[14] Полное собрание законов Российской империи. XXI. СПб. 1830, გვ. 1025-1026; ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, გვ. 168-171.
[15] ხეც, H-2300, გვ. 1-51.
[16] ხეც, H-2300, გვ. 38-39.

სიის ხაზის მთავარსარდალი საყვედურნარევი ტონით აცხადებდა, რომ მირიანის გამგზავრების შესახებ მეფის საპასუხო წერილი არ მიუღია. ამავე დროს, ერეკლეს კვლავ მოუწოდებდა, რომ გამგზავრების თარიღი მისთვის ეცნობებინა – „უმაღლესის მათის იმპერატორების დიდებულების მოწყალების მოღება, თქვენს შვილს მეფის ძეს მირიანს ზედა სრულიად რუსეთის ჯარის პოლკოვნიკობის ბოძება, თქვენის უგანათლებულესობისაგან ჯერ მაგიერი პასუხი არ მომსვლია რა. და რადგან ნება არის უმაღლესისა, რომ თქვენი შვილი მეფის ძე მირიან პეტერბურხს მივიდეს, ამისათვის საჭირო არის ჩემთვის, რომ ვიცოდე როცა გამოისტუმრებს თქვენი უგანათლებულესობა მაგასა, რომლისათვისცა რომ ვევედრები თქვენს უგანათლებულესობასა მაცოდინოთ დროსა“.[17]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ს რუსული მხარის მოთხოვნა ერთი თვის განმავლობაში საერთოდ უპასუხოდ დაუტოვებია. მეფეს კავკასიის ხაზზე არც საპასუხო წერილი გაუგზავნია და პავლე პოტიომკინისათვის არც ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების დრო უცნობებია.

მოხმობილი კორესპონდენციიდან ისიც ირკვევა, რომ რუსეთის მთავრობის წევრები პეტერბურგის საიმპერატორო კარზე შემუშავებული მიდგომით ხელმძღვანელობდნენ და ბატონიშვილის რუსეთში გაწვევას ქართველი მეფის მიმართ იმპერატორის წყალობად სახავდნენ. 1783 წლის 10 ნოემბრის წერილიდან კარგად ჩანს, რომ კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, ერთი მხრივ, ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებას ითხოვდა, მეორე მხრივ, იმპერატორის „წყალობასთან“ დაკავშირებით ერეკლეს დადებით გამოხმაურებასაც ელოდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების იმ ეტაპზე იმპერიის მოხელეები მსგავს მოთხოვნას მუდმივად აყენებდნენ და ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ქართველ მეფეს კმაყოფილების გამოხატვისკენ დაჟინებით მოუწოდებდნენ. იმპერიის მესვეურები ამ ხერხით ცდილობდნენ, რომ რუსეთის ყველა აქტივობა ქართული მხარისათვის სასურველ მოვლენად წარმოეჩინათ.[18]

ერეკლე II მხოლოდ რუსი გენერლის განმეორებითი წერილის მიღების შემდეგ გამოეხმაურა მისი ვაჟისთვის სამხედრო წოდების მინიჭების საკითხს. მეფე 1783 წლის 21 ნოემბერს გრიგოლ პოტიომკინის სახელზე შედგენილი წერილით მადლობასაც იხდიდა და მირიანის პეტერბურგში

[17] ხეც, H-2300, გვ. 40-41.

[18] საკითხის შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, გვ. 148-151.

დროულად გასტუმრების პირობასაც დებდა, თუმცა კონკრეტულ თარიღს არ უთითებდა – „პირველს უბედნიერესს ნიშნად მივიღე იმისის იმპერატორების დიდებულებისა ყოვლად მოწყალისა ჴელმწიფისა ჩემისა მონარხობითი უსაკუთრესი მოწყალება სახლისადმი ჩემისა, რომ იმისის იმპერატორების დიდებულებას კეთილნებობით უბოძებია შვილისათვის ჩემისა მირიანისა თავისის არმიის პოლკო{ვ}ნიკობა კამანდასა ქუჱშე თქვენის უგანათლებულესობისასა. და ესრეთისა იმპერატორულისა მოწყალებისა მადლობით მომღებელსა მსურს, რომ შეძლებისაებრ ადრე წარმოვავლინოთ ეს უფალი პოლკო{ვ}ნიკი იმისის იმპერატორების დიდებულებისა მონარხობითსა მფარველობასა და თქვენის უგანათლებულესობის მზრუნველობასა შინა განსამრავლებელად თვისისა ბედნიერობის და ჩვენისა ნუგეშისათვის“.[19]

აღნიშნული მოვლენებიდან მალევე, უკვე 1783 წლის 19 დეკემბერს,[20] პავლე პოტიომკინმა ერეკლე II-ს ანტონ ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების გადაწყვეტილებაც ამცნო. იმავე დროს, კავკასიის ხაზის მთავარსარდალი მეფეს კვლავ მოუწოდებდა მირიანის (ამჯერად უკვე ანტონთან ერთად) დროული გასტუმრებისკენ. რუსი გენერალი მეფეს სწერდა: „მისის უგანათლებულესობის კნიაზ გრიგორი ალესანროვიჩისაგან[21] რომ მოვიდა ჩემთან უფალი პოლკოვნიკი თამარა[22] მრავლის ნიშნებითა, ... ამას გარდა მიბ{რ}ძანებს მე, რომ უნებებია მისს იმპერატორების დიდებულებას, რათა თქვენის უგანათლებულესობის ძე, რომელიც რომ ბერათ არის შემდგარი, გამოისტუმროს სატახტოს ქალაქს, მოსკოვს უნდა ეკურთხოს ეპისკოპოსად. ამაზედ მისის იმპერატორების დიდებულების ნებასა და წყალობასა ჰსცნობთ განათლებულის კნიაზ გროგორი ალესანდროვიჩის მოწერილის წიგნისაგან, რომელსაც რომ მოვართმევ პოლკოვნიკის თამარის ჴელითა. ამით მეორეთ მოვახსენებ თქვენს უგანათლებულესობას, კეთილად ინებოთ და უწინვე მოამზადოთ იმისი გამოსტუმრება და მეც მაცოდინოთ, როდესაც მოგიხდებათ იმისი გამო{მ}გზავრება, არამედ ჩემზედ არის მოგდებული ორისავე მეფის ძეების გასტუმრება ლინიადამ მოსკოვამდისინა. ამისთვის საჭიროდ ვხედავ, რათა შევიტყო იმათი მოსვლა და მეც იმათთვის რაც საჭირო არის მოვამზადო“.[23]

[19] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2806.
[20] დოკუმენტში მითითებულია 19 სექტემბერი, რაც უნებლიე შეცდომაა.
[21] იგულისხმება გრიგოლ პოტიომკინი.
[22] იგულისხმება პოლკოვნიკი ტამარა.
[23] ხეც, H-2300, გვ. 43-44.

1784 წლის 15 იანვრის საპასუხო წერილში ერეკლე II შვილების რუსეთში გასტუმრების პირობას კვლავ დებდა, თუმცა კონკრეტულ დროს ამ შემთხვევაშიც არ ასახელებდა – „რადგან მირიანის წამოსვლა დეკემბერში ვერ მოხდა დიდის თოვლის მიზეზით, ამისთვის ორთავ ერთად გამოვგზავნით, როდესაც გზის სიმარჯვეს დავახელებთ“.[24]

ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი კიდევ ერთხელ დაისვა ტრაქტატის თბილისში რატიფიკაციის შემდგომ. პოლკოვნიკ ტამარას 1784 წლის 30 იანვრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მეფის ვაჟები და გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც 1784 წლის 29 იანვარს საიმპერატორო კარზე მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნა, რუსეთში მაშინვე გაემგზავრებოდნენ, როგორც კი მთებზე გადასასვლელი გზები უსაფრთხო გახდებოდა.[25]

როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობისთვის ქართველი მინისტრ-რეზიდენტის ბატონიშვილების გარეშე გამგზავრება დაუშვებელი იყო და ამ გზით პროცესის დაჩქარებას იმედოვნებდა.

აღნიშნული მოვლენებიდან მალევე, რუსი მოხელეებისთვის სრულიად მოულოდნელად, ერეკლე II-მ გამოთქვა სურვილი, რომ იმპერატორისათვის მადლობის გადახდის მიზნით თავად გამგზავრებულიყო პეტერბურგში.[26] ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთში გამგზავრების წინადადება 1784 წლის თებერვლის მეორე ნახევარში უნდა წამოეყენებინა, რადგან კავკასიის ხაზის მთავარსარდალი 10 მარტის წერილში აღნიშნავდა, რომ ამის შესახებ გრიგოლ პოტიომკინს აცნობა.[27]

თავის მხრივ, გრიგოლ პოტიომკინი, ქართველი მეფის განზრახვის შესახებ, ეკატერინე II-ს უკვე 1784 წლის 6 აპრილის მოხსენებით ატყობინებდა. გენერალ-ანშეფის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა თუ მეფეს აცნობებდნენ, რომ იმპერატორს მოგვიანებით შეხვედროდა, მაშინ როდესაც ის ყირმში ჩავიდოდა.[28]

ვიდრე საიმპერატორო კარიდან ოფიციალურ პასუხს მიიღებდნენ,

---

[24] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2934.

[25] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 284.

[26] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 20.

[27] Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев. Под ред. проф. А. А. Цагарели. СПб. 1901, გვ. 18-19.

[28] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 42-43; Из истории российско-грузинских отношений, გვ. 300-301.

ერეკლე II, ერთი მხრივ, იმპერატორის მოთხოვნაზე უარს არ აცხადებდა, მეორე მხრივ, შვილების გაგზავნის პროცესს კვლავ აჭიანურებდა.

ბატონიშვილებისა და მინისტრ-რეზიდენტ გარსევან ჭავჭავაძის გამგზავრების საკითხს ეხებოდა პოლკოვნიკ ტამარას მიერ 1784 წლის მარტში შედგენილი მოხსენებაც. მისი განმარტებით, ისინი თბილისიდან აპრილის ბოლოს უნდა გამგზავრებულიყვნენ. გამგზავრების გადადების მიზეზად მათი ეკიპაჟის მოუმზადებლობასა და მთის გზებზე არსებულ ვითარებას ასახელებდა.[29] კავკასიის ხაზის გენერალი პავლე პოტიომკინი 1784 წლის 8 აპრილის საიდუმლო მოხსენებით გრიგოლ პოტიომკინს ატყობინებდა, რომ კავკასიის ხაზზე ჩასვლისთანავე ბატონიშვილებს დაუყოვნებლივ მოსკოვისაკენ გაგზავნიდა.[30]

მაისის დასაწყისში პავლე პოტიომკინი კვლავ ითხოვდა ანტონისა და მირიანის რუსეთში გამგზავრებას. ის საქართველოში რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წარმომადგენელ სტეფან ბურნაშევს წერდა, რომ ერეკლეს პირობა უნდა შეესრულებინა და ბატონიშვილები რუსეთში გაეგზავნა.[31] ქართლ-კახეთის მეფე 1784 წლის 13 მაისის საპასუხო წერილით რუს გენერალს ატყობინებდა, რომ გახარებული იქნებოდა თუ მისი შვილები უკვე პეტერბურგში იქნებოდნენ, მაგრამ გზებზე არსებული შეფერხებები ამის საშუალებას არ აძლევდა.[32]

მოხმობილი ფაქტებით ნათლად იკვეთება, რომ ოფიციალური თანხმობის მიუხედავად, ერეკლე II-ს არ სურდა შვილების რუსეთში გაგზავნა. სხვა შემთხვევაში აუხსნელია გზებზე არსებული ვითარების მომიზეზებით მათი გამგზავრების თვეების განმავლობაში დაყოვნება. 1783 წლის ოქტომბრიდან 1784 წლის მაისამდე კავკასიის გზებზე შეუფერხებლად არა მხოლოდ კურიერები მოძრაობდნენ, არამედ რუსულ ბატალიონებსაც არ გასჭირვებიათ საქართველოში ჩამოსვლა. თბილისში იმავე გზით დაბრუნდა მეფის მიერ პეტერბურგში საგანგებოდ მივლენილი სულხან თუმანიშვილი, ასევე – მიიღეს ტრაქტატის სარატიფიკაციო ვერსია და საიმპერატორო კარიდან გამოგზავნილი ინვესტიტურა.[33]

[29] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 300.
[30] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 303.
[31] Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г., გვ. 22-23.
[32] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск. Материал подобрал и подгот. к печати В. Гамрекели. Тбилиси, 1980, გვ. 168.
[33] ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, გვ. 171-172.

როგორც ჩანს, ერეკლე II იმედოვნებდა, რომ თუ თვითონ გაემგზავრებოდა პეტერბურგში, შვილების რუსეთში გაგზავნას თავს აარიდებდა. პასუხის მოლოდინში კი პროცესს აფერხებდა.

საყურადღებოა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარზე ერეკლეს წინადადება სწორედ ბატონიშვილების გამგზავრების ალტერნატივად აღიქვეს. როგორც ნ. დუბროვინი გადმოგვცემს, ეკატერინე II-მ უარყო მეფის განზრახვა და მას ურჩია, რომ იმპერიის დედაქალაქში შვილები გაეგზავნა.[34]

საბოლოოდ, ერეკლე II-მ, მას შემდეგ რაც დიპლომატიური მანევრირების ყველა საშუალება ამოწურა, შვილების პეტერბურგში გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. 1784 წლის 23 მაისს ეკატერინესათვის მიწერილ მოკლე წერილში მეფე მართალია აღნიშნავდა, რომ შვილებს იმპერატორის მოთხოვნის საფუძველზე გზავნიდა, თუმცა ყოველივე ამას დიდ წყალობად აცხადებდა.[35] წერილის პათოსის მიუხედავად, რაც ზოგადად იმპერიისა და პატარა ქვეყნის ურთიერთობაში დამკვიდრებულ ნორმას წარმოადგენდა, რეალურად ერეკლემ ბატონიშვილები რუსეთში რამდენიმეთვიანი წინააღმდეგობის შემდეგ გაგზავნა.

ქართული დელეგაცია, პოლკოვნიკ ტამარასთან ერთად, 8 ივნისს მოზდოკში ჩავიდა. პავლე პოტიომკინმა გარსევან ჭავჭავაძე და ბატონიშვილები 13 ივნისს მოზდოკიდან ეკატერინე II-ის ფავორიტ გრიგოლ პოტიომკინთან შესახვედრად კრემენჩუგში გაგზავნა, ხოლო მათი ამალა – მოსკოვში. ქართველი ელჩი და ბატონიშვილები პეტერბურგში სექტემბრის მეორე ნახევარში მივიდნენ.[36]

გარსევან ჭავჭავაძე და ბატონიშვილები საიმპერატორო კარზე დიდი პატივით მიიღეს, რის გამოც, როგორც ნაშრომის დასაწყისშიც აღინიშნა, ერეკლე II 1785 წლის 4 თებერვლის წერილით გრიგოლ პოტიომკინს მადლობას უხდიდა.

1784 წელსვე ანტონ ბატონიშვილი იმპერატორისა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი მოხელეების თანდასწრებით ცარსკოე სელოს სასახლის კარის ეკლესიაში ხელდასმულ იქნა ნინოწმინდის ეპისკოპოსად.[37] მირიან ბატონიშვილი კი რუსეთის არმიაში პოკლოვნიკის ჩინით მსახურობდა.

---

[34] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 20.
[35] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 320.
[36] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ. 1982, გვ. 71-73.
[37] ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, გვ. 10.

პეტერბურგში ჩასვლიდან ერთი წლისა და ოთხი თვის შემდეგ, 1786 წლის 10 იანვარს, გარსევან ჭავჭავაძემ გრიგოლ პოტიომკინს თხოვნით მიმართა, რათა მისთვის სამშობლოში გამგზავრების ნებართვა მიეცათ.[38] იმ პერიოდში ქართველი ელჩის მოთხოვნა რუსეთის მთავრობამ არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც 1786 წლის 22 სექტემბერის მიმართვით ერეკლე II-მ მისი დაუყოვნებლივ საქართველოში გამოგზავნა მოითხოვა.[39]

ჩვენთვის უცნობია, ქართველი ელჩის მსგავსად, პეტერბურგში მყოფმა ბატონიშვილებმა 1786 წლის დასაწყისში მოითხოვეს თუ არა სამშობლოში გამგზავრება. თუმცა, ანტონის საქართველოში დაბრუნების საკითხი ერეკლე II-მ გარსევან ჭავჭავაძისათვის 1786 წლის ივლისში გაგზავნილ წერილში წამოაყენა.[40] რაღა თქმა უნდა, მეფის წერილის მიღების შემდეგ გარსევანი ანტონის თაობაზე საიმპერატორო კარს მიმართავდა.

თუ რა შედეგი გამოიღო ანტონ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნების საკითხის გააქტიურებამ, ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით მეფისა და კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მიმოწერაში. 1787 წლის 15 თებერვალს ერეკლე II პავლე პოტიომკინს სწერდა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში აღარც თავად იღებდა პეტერბურგში მყოფი ბატონიშვილებისაგან წერილებს და არც მისი გაგზავნილი წერილები ჩადიოდა ადრესატებამდე, რაზეც შესაბამის განმარტებას ითხოვდა.[41]

როგორც ჩანს, პავლე პოტიომკინი კომუნიკაციის შეფერხებას თბილისიდან პეტერბურგამდე მგზავრობის ხანგრძლივობით ხსნიდა. 1787 წლის 12 აპრილის წერილში ერეკლე II საყვედურნარევი ტონით აღნიშნავდა: „თქვენის მაღალ მსვლელობის წიგნი მივიღეთ, რომელშიაც ჩემის შვილების მშვიდობა მოგიწერიათ, რომლისათვისაც დიდად მმადლობელი ვარ თქვენის მაღალ მსვლელობისა. მაგრამ თუმცა პეტრებურხი შორს არის საქართველოზედ, მაგრამ უფრო უშორესს ადგილსაც შეიძლება რომ გაიგზავნოს და ხშირადაც მისდიოდესთ და მოსდიოდესთ ერთმანერთში წიგნი, მაგრამ წელიწადი სრულდება, რომ ჩემის შვილების მოწერილი წიგნი მე არ მომსვლია და ჩემგან მიწერილი წიგნი იმათ არ მისვლიათ“.[42]

საპასუხო წერილში პოტიომკინი კომუნიკაციის შეფერხების მიზე-

[38] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბ. 1960, გვ. 252-253.
[39] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 257.
[40] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 489-490.
[41] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 518-519.
[42] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2271.

ზად ამჯერად კურიერების მოძრაობის დაბრკოლებას ასახელებდა, რასაც იმპერატორის სამხრეთში მოგზაურობას უკავშირებდა.[43]

როგორც ვხედავთ, ბატონიშვილების დაბრუნების საკითხის გააქტიურების პარალელურად, 1786 წლის გაზაფხულიდან, რუსეთის მთავრობას მეფისა და მისი ვაჟების კომუნიკაცია შეუჩერებია.

აღნიშნული მოვლენებიდან მოკლე ხანში ერეკლე II და დარეჯან დედოფალი უკვე გადაჭრით ითხოვდნენ ბატონიშვილების დაბრუნებას. ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან ეკატერინე II-ისა და გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილი კორესპონდენცია 1788 წლის 27 იანვარით თარიღდება. ქართლ-კახეთის მეფე იმპერატორს მიმართავდა: „უმოწყალესობითი მფარველობა უდიდებულესობისა თქუჳნისა ძეთა ზედა ჩემთა, რომელნი ესოდენ წარსულთა ამათ წელიწადთა შინა წინაშე უთჳთმპყრობელესობისა თქუჳნისა ბედნიერობად თჳსად სარგებლობენ კეთილშემთხუჳულებად მათდა ვიცი. გარნა სიყუარული მშობელთა ცხად არს წინაშე უდიდებულესობისა თქუჳნისა. ვინათგან ამიერ სოფლით წარსრულთა ძეთა და ასულთა ზედა ჩემთა განმწარებულთა მშობელთა გუსურს დაუთმობლად ხილვა მაგათი, რომლისათვისცა უმდაბლესად ვითხოვ ყოვლად უმოწყალესობისა თქუჳნისაგან, რათა დაუგვიანებელად მივემთხჳო ხილვასა ორთავე მაგათ ძეთა ჩემთა. და ოდეს ინებებთ კუალად წარმოვგზავნი მირიანს უავღუსტესისა მაგის კარისადმი და ან სხუას რომელსაც ჩემს შვილს ინებებთ, რომელიცა ესე ჩემთჳს სახლისა ჩემისა და შვილთა ჩემთათჳს დიდს ბედნიერობად მისაღებელი არის. და უკეთუ არა სთნდეს უმაღლესსა ნებასა თქუჳნისა ჟამსა ამას წარმოგზავნა მირიანისა, უმდაბლესად ვითხოვ, რათა მისცეთ უმოწყალესობითი უკმოქცევა ყოვლად უსამღვდელოესსა ძესა ჩემსა ანტონის, რომელსაცა სწავლასა შინა იმყოფება თჳსისა სასწავლისა დირექტორითა, რომელსა ესოდენ ჟამ მოელიან სამწყსონი თვისნი. და ესეცა იყავნ უმაღლესისა ნებისაებრ, რომლითა დავადგენ თავსა ჩემსა უკანასკნელად მონებამდე საიმპერატოროსა კარისა და ვარ ნიადაგ“.[44]

დარეჯან დედოფალი ეკატერინე II-ს სწერდა: „აღმატებული სიყვარული მშობელთა დედისა შვილთა მიმართ, რომელსა განაცხადებს საზოგადოობა ბუნებისა წინაშე ყ[ოვლა]დ უმოწყალესობისა თქუჳნისა, მაიძულებს მე უმდაბლესად თხოვად უდიდებულესობისა თქუჳნისაგან, რათა

[43] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 526.
[44] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2886.

მისცეთ ორთავე ძეთა ჩემთა, ანტონის და მირიანს, უმოწყალესობითი ჩვენდა მიმართ წარმოგზავნა. და ოდეს ინებებთ კუალად წარმოვგზავნით მირიანს უმაღლესისა კარისადმი და ან რომელსაც სხვას ჩვენს შვილს ინებეთ, რომელიცა ესე ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის დიდს ბედნიერობად მისაღებელი არის. და უკეთუ არა სთნდეს უმაღლესსა ნებასა თქუჱნისა, ჟამსა ამას წარმოგზავნა მირიანისა, კუალად ვითხოვ უდიდებულესობისა თქუჱნისაგან უმდაბლესად, რათა მისცეთ უმოწყალესობითი თავისუფლება უკმოქცევად ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესსა ძესა ჩემსა ანტონის, რომლისა მიმღებელ ვიქმნები უავღუსტესებრად მოწყალებად და ესეცა იყავნ ნებისაებრ უმაღლესისა“.[45]

ანალოგიური თხოვნით დედოფალი გრიგოლ პოტიომკინსაც მიმართავდა: „მაქუს პატივცემულება უგანათლებულესობისა თქუჱნისაგან ნიადაგ კეთილმწადნელობით მიღებად აზრთა ჩემთა, რომლითა განვაცხადებ დედობრივსა სურვილსა დაუთმობელად ხილვად ორთავე ძეთა ჩემთა, ვინაითგან ესეოდენ ჟამ არა გვიხილავს პირი უგანათლებულესობისა მათისა. და ამისთუის გულს მოდგინედ ვითხოვ ჩვენდა მომართ კეთილმოქმედებისა თქუჱნისგან, რათა დაუგვიანებლად მისცეთ თავისუფლება უკმოქცევად ორთავე ძეთა ჩემთა ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესსა ანტონის და პოლკო{ვ}ნიკს მირიანს; და ოდეს ინებებთ კუალად წარმოვგზავნით მირიანს უმაღლესისა კარისადმი და ან სხვას, რომელსაც ჩემს შვილს ინებებთ, რომელიცა ესე ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის უდიდესს ბედნიერობად მისაღებელი არის. და უკეთუ არა სთნდეს უგანათლებულესობასა თქუჱნსა ჟამსა ამას წარმოგზავნა მირიანისა, ვითხოვ კუალადცა გულს მოდგინედ, რათამცა ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესსა ანტონის, ძესა ჩემსა, მისცეთ თვის უფლება დაუგვიანებლად უკმოქცევად ეპარხიასა ზედა თვისსა, თვისისა სასწავლოსა რეკტორითა, რომელსა ესოდენ ჟამ მოელიან სამწყსონი თვისნი. გარნა ამისის ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესობის წარმოგზავნასა ანტონისსაცა მივანდობ ნებასა უგანათლებულესობისა თქყჱნისასა“.[46]

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფე და დედოფალი, რუსეთის საიმპერატორო კართან იმდროისათვის დამკვიდრებული კომუნიკაციის ფორმების გათვალისწინებით, მაქსიმალურ ძალისხმევას დებდნენ შვილების სამშობლოში დასაბრუნებლად. წერილების პათოსი თავისთავად

[45] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2865.
[46] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2817.

მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართულ მხარეს ანტონისა და მირიანის რუსეთიდან გამოწვევის პროცესი 1788 წლის იანვარზე გაცილებით ადრე უნდა წამოეწყო.

როგორც მოხმობილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ქართული სამეფო კარი იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ორი ბატონიშვილის ერთდროული დაბრუნების ნაკლები შესაძლებლობა იყო. ამიტომ, უკიდურეს შემთხვევაში ანტონის განთავისუფლებას ითხოვდნენ. ერეკლესა და დარეჯანის მხრიდან ანტონ ბატონიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება კონკრეტულ გარემოებას უნდა უკავშირდებოდეს. საქმე ის იყო, რომ მირიანისაგან განსხვავებით, რომელიც რუსულ ჯარში პოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა, ანტონი ქართული ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. ერეკლე II-ის გადაწყვეტილებით იმდროისათვის ის უკვე ალავერდელი მიტროპოლიტის ხარისხში იყო აყვანილი.[47] შესაბამისად, ანტონ ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნების დამატებით არგუმენტად სამეფო კარი სწორედ მისი ეპარქიის სამწყსოს მოლოდინს ასახელებდა. იმავე მოტივით ითხოვდნენ მისი მასწავლებლის, თელავის სემინარიის რექტორის – გაიოზის გამოგზავნასაც.

სწორედ იმ დროს, როდესაც მეფე და დედოფალი ბატონიშვილების რუსეთიდან გამოწვევას აქტიურად მოითხოვდნენ, კერძოდ 1788 წლის 29 თებერვალს, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I გარდაიცვალა.[48] რამდენიმე თვის განმავლობაში კი ახალი კათალიკოსი არ აურჩევიათ. როგორც ჩანს, ანტონ ბატონიშვილის კათალიკოსად არჩევა ანტონ I-ის გარდაცვალებისთანავე გადაწყდა. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, ქართლ-კახეთის სამეფო კარი ანტონის სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობას კიდევ უფრო მყარად დაასაბუთებდა.

საბოლოოდ, ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მოთხოვნებმა ნაწილობრივი შედეგი გამოიღო და ანტონ ბატონიშვილს საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცა. რადგან ანტონი 29 ოქტომბერს კათალიკოსად აკურთხეს,[49] ის სამშობლოში 1788 წლის შემოდგომით უნდა დაბრუნებულიყო.

ანტონის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე მეორე შვილის დაბრუნებას კვლავ მოითხოვდა. 1788 წლის 7 ნოემბერს

[47] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 2. 15 იანვარი, 1885, გვ. 6.
[48] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 2, გვ. 6.
[49] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 2, გვ. 6.

ერეკლე II, ჩვენთვის უცნობ, რუსეთის მთავრობის ერთ-ერთ მაღალ თანამდებობის პირს სწერდა: „მაღალშობილო უფალო ბლაღადირო, სარწმუნო მეგობარო ჩემო. ... ვინათგან {ვიმყოფებით} ესოდენთა წელთა შორს ყოფისათვის ძისა ჩემისა მირიანისა მწუხარეთა, გვაქვს დაუთმობელი სურვილი ხილვისა მისისა. ამისთვის მოვართვით წიგნი განათლებულს კნიაზს, რომ რამდენსამე ხანს მისცეს ბრძანება ჩვენს შვილს უფალს პოლკოვნიკს მირიანს თავის სახლში მოსვლისა. და როდესაც იმისი განათლებულება ინებებს, ისევ დაუგვიანებლად გავისტუმრებთ თავის განწესებულსავე ადგილსა. ამას გულს მოდგინედ ვითხოვთ მაღალშობილებისა თქვენისაგან, რომ აზრის ამის ჩემისა სრულყოფად მზრუნველ იქმნეთ, რომლითა ვალდებულ გყოფთ ნიადაგ“.[50]

აღნიშნული ისტორიული საბუთით ირკვევა, რომ ერეკლე II-ს ანტონის დაბრუნების შემდეგ საგანგებოდ მირიან ბატონიშვილის განთავისუფლების თხოვნით „განათლებული კნიაზისათვისაც“, ანუ გრიგოლ პოტიომკინისთვისაც მიუმართავს.

1788 წლის 13 დეკემბერს მირიან ბატონიშვილმა თავადაც მიმართა გრიგოლ პოტიომკინს და დროებით სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა.[51]

როგორც ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის 1788 წლის 27 იანვრის ზემოთ მოხმობილ კორესპონდენციაში იყო აღნიშნული, ბატონიშვილების განთავისუფლების შემთხვევაში ისინი მირიანის უკან დაბრუნების პირობას დებდნენ. ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ თუ იმპერატორი მოისურვებდა, სამომავლოდ მას სამეფო ოჯახის სხვა წევრსაც გაუგზავნიდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეფოს კარი რუსეთის მთავრობას ბატონიშვილების ჩანაცვლებას სთავაზობდა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ერეკლე II-ის შვილიშვილის, დავით გიორგის ძის, პერსონა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც სამეფო კარმა უფლისწულების საქართველოში გამოწვევის საკითხი აღძრა, 1787 წლის იანვარში დავითი ბატონიშვილი გრიგოლ პოტიომკინთან გაგზავნილი წერილით იმპერიის სამსახურში ჩარიცხვას ითხოვდა.[52] როგორც ჩანს, აღნიშნული ნაბიჯით ერეკლეს სურდა საიმპერატორო კარზე მირიანი დავით ბატონიშვილით ჩაენაცვლებინა.

[50] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2882.

[51] ი. ცინცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791 წწ.). საისტორიო მოამბე. № 23-24. თბ. 1970, გვ. 143-144.

[52] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 261-262.

მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, რუსეთის საიმპერატორო კარმა მირიანს სამშობლოში დაბრუნების უფლება თითქმის 14 წლის განმავლობაში არ მისცა. ამ პერიოდში ის გენერლის წოდებაში დაწინაურდა, მოგვიანებით კი ყაბარდოს პოლკის მეთაურად დაინიშნა, ასევე სენატორად იწოდებოდა.

როგორც ირკვევა, ბატონიშვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხის აღძრა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკურ აქტივობებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ერეკლე II-მ შვილების რუსეთიდან გამოწვევის პროცესი სწორედ მაშინ წამოიწყო, როდესაც იმპერიის უმოქმედობით განაწყენებულმა ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკებები გამართა, რაც 1786 წლის სექტემბერში გაფორმებული სამშოდობო შეთანხმებით დასრულდა.[53] ხოლო, საქართველოდან რუსული ბატალიონების გასვლის შემდეგ მეფემ ამ მხრივ უფრო აქტიურ ქმედებებს მიმართა.

თავის მხრივ, რუსეთში მყოფი ბატონიშვილების საკითხს ოსმალეთიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის არმიის მეთაურის, გენერალ პეტრე ტეკელის, 1789 წლის 29 მარტის პატაკის თანახმად, 1788 წლის შემოდგომაზე ოსმალეთის მთავრობის წარმოამდგენლებს ერეკლესაგან მოუთხოვიათ, რომ მას რუსეთიდან მირიან ბატონიშვილი დაებრუნებინა, ხოლო შვილიშვილი, დავით ბატონიშვილი, ოსმალეთში გაეგზავნა. ერეკლეს განუცხადებია, რომ რადგან ბატონიშვილი რუსეთში საიმპერატორო კარის მოთხოვნით გაიწვიეს, მისი დაბრუნება არ შეეძლო. უფლისწულ დავითის ოსმალეთში გაგზავნაზე კი უარი განუცხადებია. გენერალ ტეკელის ცნობების თანახმად, იმ ეტაპზე ერეკლეს ოსმალეთთან შეთანხმება მაინც გაუფრომებია. შვილიშვილის, უფლისწული დავითის ნაცვლად კი მძევალად ორი თავადი – ორბელიანი და ციციშვილი – გაუგზავნია.[54]

როგორც ჩანს, ერეკლე II კარგად ხვდებოდა, რომ ოსმალეთთან ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში მირიან ბატონიშვილის ფაქტორი მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა. რადგან ბატონიშვილის რუსეთიდან გამოწვევა ვერ ხერხდებოდა, მეფეს ოსმალე-

[53] ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დადებული შეთანხმების შესახებ იხილეთ: მ. დუმბაძე. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 708-710.

[54] Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ф. 52, оп. 1/194, д. 516, л. 79-83; ა. თაბუაშვილი, ნ. ამირეჯიბი. გენერალ პეტრე ტეკელის 1789 წლის 29 მარტის პატაკი. როინ მეტრეველი 85. თბ. 2024, გვ. 333-336.

თის მთავრობისათვის სათანადო განმარტებები წარუდგენია.

[8] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дѣятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 1, ст. 67.

[9] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дѣятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 1, ст. 68-70.

[10] გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე. მეაბრეშუმეობა – შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია. თბ. 2014, გვ. 14.

area near the Mtkvari River was selected. Initially, the assessment commission examined the proposed construction sites in Mushtaid Garden, Avlabari, and the area behind the railway station, which was offered by the city administration. The latter two locations were deemed unsuitable for sericulture, and ultimately the choice fell on the Mushtaid Garden.[11]

As the station was being established, the creation of a laboratory began in 1887, which was initially only modestly equipped. Nevertheless, by the end of 1888, the laboratory already conducted nearly 30,000 studies, among which scientific research was predominant.[12] In 1889, a separate building was constructed for the service personnel. Subsequently, additional structures were built along a brick wall that ran through the perimeter of Mushtaid Garden.

In 1889, a crucial event occurred in the development of the sericulture station – the laying of the foundation for the main building.[13] In 1891 the construction of the main building and greenhouse was completed, special spaces for silkworm breeding were built, and agricultural equipment was brought in; large areas were set up for mulberry plantations and various garden plots were allocated. The building designated for the staff housing (accommodation), the library, laboratories, etc. were equipped with specialized inventory.[14] The construction of additional buildings continued until 1904.

All sericulture operations were carried out at the station: silk cocoons were harvested – some used for egg production (grénage), and the rest for silk extraction. When the station was first established, there was not yet an adequate number of silk specialists in Tbilisi, and therefore, the recruitment of those wishing to work in this sphere was actively pursued from the very beginning. For this purpose, the recruits had to undergo extensive practical and theoretical training. Through this approach, within a few years, a whole team of specialists equipped with extensive knowledge in sericulture technology was formed at the Caucasian Sericulture Station.[15]

Despite the fact that the sericulture station was established in Tbilisi, and

[11] Kavkazskaia Shelkovodstvenaia Stancia. Eia Ustroistvo i Deatelnost s 1887 po 1905. Chast 1, ст. 65-66.

[12] Труды кавказской шелководственной станции. За 1887 и 1888 гг. Томь I. Тифлись. 1889, ст. 209.

[13] Труды кавказской шелководственной станции. За 1889 г. Томь II. Тифлись. 1891, ст. 1-2.

[14] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 1, ст. 85.

[15] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 1, ст. 191

it was expected that its geographical scope would primarily be the Caucasus, the knowledge accumulated there served the development of sericulture in other regions of the Russian Empire as well.[16] Indeed, raising general knowledge of sericulture was one of the main goals of the new station. Specifically, the station organized annual practical courses in sericulture and beekeeping,[17] which included lecture courses and practical training (often outside of Tbilisi as well), publication of acquired knowledge, etc.[18] The main deficiency in the Caucasian sericulture was silkworm feeding. For precisely this reason, the practical training sessions held in Tbilisi and other parts of Georgia were primarily directed at mitigating this weakness. It should also be noted that among the course attendees were residents of both the Caucasus and Turkestan (modern Central Asia). Interestingly, among the attendees from the Caucasus, the majority were mainly from the governorates of Tbilisi, Kutaisi, and Elizavetpol.[19]

As mentioned above, one of the critical missions of the Caucasian Sericulture Station was to study silk production technologies in the Caucasus itself, to collect existing methods and implement them in practice. This aspect of the station is well reflected in the **"Works of the Caucasian Sericulture Station"**, which provided an annual overview of the work of the Caucasian Sericulture Station from 1887. These works also provide valuable information regarding both the state of sericulture in Georgia and the annual activities or challenges that the station had to face.

In the 1887 report, we learn that K. A. Gorbachov, scientist working in the station, on the instructions of Shavrov, traveled to the districts of Ozurgeti and Zugdidi, where, according to the information he gathered, the silk

[16] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 2. Дъеятельность станции. Съ 5 таблицами. Тифлись. 1907, ст. 3-4.

[17] The Caucasian Station made a significant contribution to the development of beekeeping. Beekeeping, in general, has always been one of the most widespread branches of agriculture. From works published by the station's employees, it is evident that in the 1880s, beekeeping was considerably declining. Until 1889, no tangible steps were taken to improve the situation, and only after the station and its beekeeping department became operational did proper study of the situation begin, along with offering necessary courses for knowledge dissemination (Труды Кавказской шелководственной станции за 1890 г. Томъ III. (Съ 7-ю таблицами рисунков). Тифлись. 1892, ст. 7-8. Information about similar courses can be found in almost every annual report).

[18] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 2, ст. 21.

[19] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 2, ст. 68.

production process was proceeding more or less correctly. In the settlement of Lanchkhuti the Russian scientist found vibrant production of silks known by the names "Daraya"[20] and "Shala-Abreshumi" (silk-blend).[21] The silk production of Lanchkhuti were considered the finest in the entire region, and the manufactured items were sold in Ozurgeti and at the railway station.[22]

Another interesting settlement was Khoni, where the purchase of silk cocoons was actively pursued. Generally, Gorbachov noted that an active phase of replacing local silkworms with European varieties was underway, which on one hand harmed local residents, but on the other created new commercial opportunities.[23] European eggs actively entered Georgia from the 1850s, and their initial area of distribution was the Kutaisi province, later expanding to the other regions of the Caucasus. The years 1856-1863 were considered as one of the best periods for sericulture in the region. However, in subsequent years, production began to decline sharply,[24] and to improve this deteriorated situation, between 1864-1872, the introduction of Japanese silk began, which completely covered the territories where European and local Caucasian varieties were widespread.[25] Despite the fact that the new kind of silk showed particular advantages, in the early 1870s, cases of pebrine disease increased significantly across large parts of the Caucasus.

The Caucasian Sericulture Station continued to purchase the necessary quantities of silk cocoons for egg production in subsequent years as well. For example, in 1889, V. Zhmuydzinovich, another scientist based in the station in Tbilisi, was sent to the following settlements and cities of the Kutaisi Governorate: Khoni, Samtredia, Chokhatauri, Amaghleba, Ozurgeti, and others. In addition to purchasing silk cocoons, Zhmuydzinovich also tried to disseminate relevant knowledge about sericulture in the small sericulture schools that were scattered throughout the Kutaisi Governorate.[26] In 1891, Shavrov visited a large part of the Caucasus to assess the state of sericulture and beekeeping. The following year, V. P. Ivanov and S. N. Kamenski, likewise

[20] Four varieties of "daraia" were known

[21] Труды кавказской шелководственной станции. За 1887 и 1888 гг. Томь I., ст. 94.

[22] Труды кавказской шелководственной станции. За 1887 и 1888 гг. Томь I., ст. 99.

[23] French eggs were widespread in the Zugdidi district.

[24] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 1, ст. 59.

[25] Труды кавказской шелководственной станции. За 1887 и 1888 гг. Томь I., ст. 198-199.

[26] Труды кавказской шелководственной станции. За 1889 г. Томь II, ст. 154-156

scientists associated with the station in Tbilisi, traveled to Ozurgeti, other parts of the Kutaisi Governorate, and the districts of Shusha and Jebrail. In 1893, Ivanov visited several districts of the Kutaisi and Elizavetopol Governorates. Similar scientific expeditions continued until 1904 and covered various parts of the Caucasus.[27]

In the last quarter of the 19th century, silk production, including silkworm rearing, was quite widespread in the Tbilisi and Kutaisi Governorates. Indeed, active sericulture was practiced in almost all districts of both governorates: for example, in 1887-1888, silk production was recorded in 502 settlements.[28] Naturally, the intensity of activity varied among these settlements. The production between entire regions differed as well, as some places had better natural conditions than others. However, the eastern part of Georgia was traditionally considered a more developed region in sericulture. For instance, according to the observations made by Shavrov in 1888, despite a rather low technological level, with proper supply of the eggs and successful marketing of the created product, it was possible to achieve a fairly high level of sericulture in Kakheti.[29]

By the end of the 19th century, a portion of the eggs in the Caucasus came from Central Asia and Persia, but it was primarily imported from Asia Minor and Western Europe via the Black Sea. The import of the eggs from foreign countries significantly increased annually.[30] The majority of the eggs came from Asia Minor and southern France, with a relatively insignificant percentage emanating from Italy and other countries. The eggs were mainly imported through the port city of Batumi, where it passed through customs and was only inspected to prevent smuggling. Most of the imported eggs were supplied to Tbilisi, from where it was sent to various parts of the Caucasus, Persia, or Central Asia. At the same time, the return of the eggs from Persia and Central Asia was also common when it could not be sold.[31]

[27] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 2, ст. 161-163.

[28] Труды кавказской шелководственной станции. За 1887 и 1888 гг. Томь I., ст. 145-152.

[29] Труды кавказской шелководственной станции. За 1887 и 1888 гг. Томь I., ст. 189.

[30] For example, in 1893, 52 447 poods of silk and "cocoons" passed through the South Caucasus railway. Products were transported both from Batumi toward Baku, as well as from Central Asia and Persia. See: Труды Кавказской шелководственной станции за 1890 г. Томъ VII.- Выпуски I и II. Тифлись. 1894, ст. 151.

[31] Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дъятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 2, ст. 186-187.

Contacts Between the Caucasian Sericulture Station and the Padua Silk Station

In 1885 Shavrov was sent to Europe by the Ministry of State Property of the Russian Empire to study sericulture stations and silk production technologies in France, Austria-Hungary, and Italy. The Russian scientist paid special attention to the Padua station in Italy and in his works described its structure in detail[32]. He also focused on how the station worked to develop sericulture in other parts of Italy. For this purpose, courses were frequently offered to the population, upon completion of which attendees received a special certification document. The staff of the Padua station were ready to provide assistance to any local resident who developed an interest in practicing sericulture, particularly in preparing the eggs. Shavrov identified and thoroughly studied three main directions in the functioning of the Padua station – administrative, pedagogical, and scientific.

Shavrov also devoted attention to microscopic research at the Padua station, the process of allocating space for the station, its technological equipment, methods for motivating the local staff, and many other details that would later be necessary for establishing a similar station in Tbilisi[33]. While in Italy, Shavrov also paid attention to the interconnection between the Padua station and the observatories under its jurisdiction spread across the northern part of Italy. Similarly, he studied the general purpose for creating silk observatories and how the Padua station controlled these institutions.[34] An interesting parallel can be drawn with Georgia, when after the establishment of the Caucasian Sericulture Station, several silk production buildings under the station's jurisdiction were set up in various places across the Kutaisi

[32] Добывание, обработка и условия сбыта шелка и организация правительственных и общественных учреждений по шелководству и шелковой промышленности в Австро-Венгрии, Италии, Франции и других шелководных странах. Отчет по заграничной поездке, представленный Министерству Государственных имуществ Н. Н. Шавровым: С приложением шелководственной карты Европы и Альбома рисунков. Санкт-Петербург. 1890, ст. 273-296.

[33] Добывание, обработка и условия сбыта шелка и организация правительственных и общественных учреждений..., ст. 276-282.

[34] Добывание, обработка и условия сбыта шелка и организация правительственных и общественных учреждений..., ст. 297-298.

Governorate. Similar to Italy, the purpose of these locations was to prepare the eggs and maintain close connections with the Caucasian Sericulture Station. Although the Georgian "observatories" did not have adequate funding to create conditions similar to those in Italy, it is important to emphasize how the Russian scientist transferred this model to the station in Tbilisi.

During his time in Padua, Shavrov enjoyed close contact with the station's director, Enrico Verson, as well as his assistant, Enrico Quajat. The Russian scientist's reports show an abundance of details (such as the analysis of financial documents related to the station's economic profit)[35] that would have been impossible to obtain without the support of the station's leadership.[36] The connection with Padua is further evidenced by the fact that before building the station in Tbilisi, while research was still ongoing about the direction this new institution would take, it became necessary to build a silkworm nursery. For this purpose, eggs were ordered from Europe, and one of the senders was a private individual from Padua, Marquis Bertolucci.

Another researcher who worked at the Tbilisi station and maintained active relations with the Padua Station was the scientist Dmitri Rosinski. A letter preserved in the Padua archives from 1894 reveals[37] that Rosinski worked at the Tbilisi station together wit Shavrov.[38] In the same year, Rosinski wrote another letter to the administration of the Padua Station regarding the publication of an academic article, though he notes that he wished to publish his work anonymously.[39] In 1891, the Russia scientist visited the Padua Station, which helped him complete his research at that time.[40]

Connections with Padua continued in subsequent years, when in August

[35] Добываніе, обработка и условия сбыта шелка и организация правительственных и общественных учреждений..., ст. 287-289.

[36] N. N. Shavrov completed his scientific mission to Europe in 1886 and, together with his colleague A. A. Tikhomirov, compiled a final report discussing the establishment of a European-type silk research station. Data of interest to us was preserved in the unpublished report "Caucasian Sericulture Station" by Darejan Demetrashvili, the late employee of the State Silk Museum in Tbilisi.

[37] CREA-AA Padova Laboratorio di Gelsibachicoltura (CPLG), 8 Rossinski to Quajat. 23.06.1894.

[38] As it turns out, D. Rosinski worked at the Caucasian Sericulture Station until 1898. Кавказская шелководственная станция. Ея устройство и дѣятельность съ 1887 по 1905 годъ. Часть 1, ст. 196.

[39] This information (brief translation of the letters), which is still unpublished, was kindly provided by Italian scientist Barbara di Gennaro Splendore, a researcher at the Padua Silk Station.

[40] CREA-AA Padova Laboratorio di Gelsibachicoltura (CPLG), 9 Rossinski to Quajat 16.07.1891 and 24.07.1891.

1897 Ivanov traveled to Europe for nine months to gain experience, particularly to study the extraction of thread from cocoons and the processing of silk and silk waste. Additionally, he decided to study sericulture and mulberry cultivation in general, as these two directions were qualitatively closely linked to each other.[41] Following the visits to the silk production centers in Germany and France, the Russian scientist traveled to the Padua Sericulture Station and nearby silk factories. In Padua he maintained active relations with Verson and Quajat. For instance, in a review published in 1897 regarding his scientific activities in Europe, Ivanov expresses special gratitude to the two Italians scientists.[42] The level of cooperation is evident by the fact that when discussing assistance provided to him in Europe regarding sericulture, the Russian scientist was more grateful to the Italians than to the others.[43]

Overall, Ivanov evaluated his mission to Europe positively and was grateful to the Ministry of Land Management and State Property Administration of the Russian Empire, which extended his stay from six to nine months. Despite the fact that the Russian scientist went to western Europe well-prepared, having familiarized himself with the relevant literature on sericulture, which accelerated and facilitated the completion of the task set before him, he still considered that six-month-period was insufficient to acquire the knowledge about the processing of silk waste – a well-guarded secret in European countries.[44]

Conclusion

The establishment of the Caucasian Sericulture Station in Tbilisi was a culmination of a long-drawn imperial project to elevate the economic situation in Russia's southern provinces. It also shows that in the 19th century, the Empire's southward expansion, along with security interests, was driven by geoeconomic imperatives. The rich tradition of silk production in the Caucasus and especially its southern part, which dated back to the early Middle Ages,

[41] Information about I. V. Ivanov was kindly provided by Maria Gonashvili, an employee of the State Silk Museum in Tbilisi.

[42] Обзоръ шелководства и шелковой промышленности въ западной ЕвропѢ въ 1897 г., ст. 9.

[43] Обзоръ шелководства и шелковой промышленности въ западной ЕвропѢ въ 1897 г. Отчетъ о командировкѢ въ западную Европу для изучен ія размотки коконовъ, обработки шелка и шелковых остатковъ и шелководства вообще. В. П. Иванова». Тифлисъ. 1899, ст. 3-9.

[44] The data presented in this paragraph was likewise provided by Maria Gonashvili.

prompted the Russian imperial administration to devote more attention to developing this industry in the region, in order to effectively compete with the European empires of the age. In the second half of the 19th century, the struggle was less about capturing new trade routes (since most territories in Eurasia had already been divided between big powers) and more about industrially developing a whole range of trade and economic sectors. Sericulture was one of them[45] and the Russian Empire sought to not fall behind its European peers that by 1880 had already made significant advancements in the scientific study and factory production of silk. Moreover, there was an even more practical reason for sericulture development in the Caucasus. In the first half of the 19th century, the silk products in the Russian Empire were mostly imported from the West, and the complicated political relations with the European countries that emerged in the aftermath of the Crimean War pushed the Russian rulers to replace foreign products with local ones. In this process, the Caucasian silk was meant to play a leading role and to become a primary supplier for the developing Russian silk industry.[46]

[45] ჯ. ბ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტომი მესამე, გვ. 665-714.

[46] П. Я. Букшпан. «Шелководство в России в предреформенное время». Вопросы истории. 1973. № 7, ст. 42-56.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ოთარ გოგოლიშვილი
პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურია XX საუკუნის დასაწყისში (1900-1903 წლები) ახალი საარქივო მასალების მიხედვით

გურიის გლეხობის მდგომარეობა განსაკუთრებული სიღატაკით ხასიათდებოდა. გურიის გლეხობა მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მაგალითად, თბილისის ოლქში სახმარი მიწების საერთო ფონდიდან თითოეულ სულზე მოდიოდა 0,44, ქუთასიის ოლქში – 0,39, სოხუმის ოლქში – 0,64, დესეტინა, ხოლო ბათუმის ოლქსა და გურიაში ბევრად უფრო ნაკლები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლამ აქ უფრო მწვავე და ღრმა ხასიათი მიიღო, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა გლეხური დასახლების რაიონებში. საქართველოს, კერძოდ, გურიის სიციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს ამ მხარეში რევოლუციურად მებრძოლი ორგანიზაციების წარმოშობას, რომლებმაც დიდი მნიშვნელობის ბრძოლები ჩაატარეს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ.[1]

ასეთი ბრძოლები განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა XX საუკუნის დასაწყისში. მასებში რევოლუციური აქტივობის ზრდას ხელი შეუწყო ყოფილი გურული მუშების აქტიურობამ, რომელთაც უკვე გამოვლილი ჰქონდათ რევოლუციური ბრძოლების დიდი გზა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში მუშაობისას.

უნდა ითქვას, რომ შავი ზღვის პირას ნავსადგურებისა და სამრეწველო საწარმოთა წარმოშობა-განვითარებამ და მუშახელზე დიდმა მოთხოვნამ მიიზიდა გურიის გლეხთა ნაწილი, ჩააბა ისინი მუშათა კლასის რიგებში. ნაწილი გლეხობისა აუტანელი პირობების გამო ქალაქებში გარბო-

[1] ნ. ბოგუცკაია. გლეხთა მოძრაობა გურიაში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს. თბ. 1971, გვ. 45.

და ლუკმაპურის საშოვნელად. ამ ძიებაში ისინი პოლიტიკურ წრთობას ღებულობდნენ. „ბათუმში, ფოთში, ადლერში, სოჭში, ბაქოში და სხვა ქალაქებში მომუშავე ბევრი გურული გლეხი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ წრეებში. ისინი აქ შეთვისებულ რევოლუციურ იდეებს ავრცელებდნენ სოფლად, რაც ნაყოფიერ გავლენას ახდენდა გურიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმის, ფოთისა და სხვა ქალაქების სამრეწველო ცენტრების ფაბრიკა-ქარხნების მუშახელის აბსოლუტურ უმრავლესობას გურულები წარმოადგენდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბათუმის როტშილდის ქარხანა და ნავსადგური, ხოლო ფოთის ნავასადგურში მტვირთავებად გურული მუშები დომინირიდებდნენ. 1900-1901 წლებში ბათუმში მომხდარ ანტისამთავრობო გამოსვლებში სწორედ ისინი აქტიურობდნენ. ამ ამბებით აღშფოთებული ბათუმის ოკრუგის უფროსი ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ: „როტშილდის ქარხანაში უმრავლესობას გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან წამოსული გლეხები შეადგენდნენ. ამათ შორის გურულები გამოირჩევიან შეუპოვრობით და მთავრობისადმი დაუმორჩილებლობით. დანაშაულებრივ კომიტეტში (იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი – ო. გ) გაერთიანებულთა უმრავლესობას სწორედ ისინი წარმოადგენდნენ... როტშილდის ქარხანაში მოწყობილი ყველა ანტისახელისუფლო გამოსვლებში წამყვან როლს გურული აგიტატორები ასრულებენ და, რაც ყველაზე უფრო სახიფათოა, გურულები ხშირად დადიან ბათუმის ოლქის მაჰმადიანებით დასახლებულ სოფლებში და მათთან ეწევიან ანტისამთავრობო აგიტაციას და სურთ მათი აყოლიება. ჩვენდა სამწუხაროდ, მაჰმადიანების ერთი ნაწილი თანაგრძნობით იკიდება მათ აგიტაციას...ამიტომ სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია სახიფათო გურული ელემენტების თავიდან მოშორება..“ აღშფოთებული ბათუმის ოკრუგის უფროსს გურული მუშების გასახლებით სურს სახელმწიფოს გადარჩენა. თურმე, იმპერიის დასაწყნარებლად გურულების გასახლება ყოფილიყო საჭირო. ასევე, აღსანიშნავია ფოთის პოლიცმეისტერის, ჩვენის აზრით, უაღრესად შოვინისტური და სახიფათო წერილი ქუთაისის გუბერნატორისადმი, სადაც პოლიცმეისტერი ადანაშაულებს გურულებს მეგრელების „ბუნტოვშჩიკად“ გახდომაში, რომ თურმე მეგრელები არა ქართული ელემენტები ყოფილან, რადგან ისინი არ ლაპარაკობენ ქართულად. ეს გურულები კი,

მათ აიძულებენ როგორც ქართულად ლაპარაკს, ასევე მონაწილეობის მიღებას ანტისამთავრობო გამოსვლებში, რომელიც ფოთში 1901-1902 წლებში რამდენჯერმე მომხდარა[2].

გურიიდან გამოსული მოსახლეობის სიძულვილითაა შედგენილი ბათუმის მოსახლეობის აღწერა. 1903 წელს, როდესაც შოვინისტმა აღმწერებმა გურულები, მეგრელები, იმერლები ცალკე ხალხად გამოიყვანა და პროცენტული რაოდენობა მიუთითა, ამით აღშფოთებული ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის წევრი გრიგოლ ვოლსკი 1903 წლის მაისში ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე უკმაყოფილებას ვერ მალავდა და უგუნურებაში ადანაშაულებდა შოვინისტ აღმწერებს, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ საქართველოს ისტორიაში, ხელოვნურად თიშავდნენ ქართველებს და ამით აპირისპირებდნენ ერთმანეთს. იმავე სხდომაზე ქალაქის თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი თხოვდა ქალაქის თავს ივანე ანდრონიკაშვილს, რომ მას მკაცრად გაეპროტესტებინა ეს მზაკვრული შოვუნისტური „ეშმაკობა“ კავკასიის მეფისნაცვალთან.

ბათუმის ოლქის, ფოთის მშრომელთა გამოსვლებში დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციურმა ლიტერატურამ, რომელიც იქიდან დიდი რაოდენობით შედიოდა გურიის სოფლებში. რევოლუციური ლიტერატურის შინაარსს აგიტატორები უყვებოდნენ მოსახლეობას და მოუწოდებდნენ მათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ყველა პიროვნება უარყოფითად როდი იყო განწყობილი გურიის მოსახლეობისადმი. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დადებითად ახსენებდა გურულებს, იყო როტშილდის ქარხნის დირექტორი ფრანგი გიონი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქარხანას გაფიცვებმა დიდი პრობლემები შეუქმნა. როდესაც ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორმა მოსთხოვა გიონს შეემცირებინა გურულების რაოდენობა, მან გუბერნატორს უპასუხა, რომ გურულები მაღალკვალიფიციური მუშები არიანო. იოსებ სტალინი, რომელიც ბათუმში 1901 წლის გვიან შემოდგომაზე ჩამოვიდა სამოღვაწეოდ, თბილისის პარტიული ამხანაგისადმი გაგზავნილ წერილში 1902 წლის თებერვალში აღნიშნავდა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული მუშათა წრეების აბსოლუტურ უმრავლესობას გურულები წარმოადგენდნენ. ეს არცაა გასაკვირი, სტალინის აზრით, გურულები რევოლუციურად განწყობილი ხალხია და მათზე დაყრდნობა ნამდვილად შეიძლებაო.

იმ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ე.წ. ყაჩაღად გავარდნა ანუ

[2] მ. ჯიჯეიშვილი. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. თბ. 1974, გვ. 35.

ფირალობა, რომელიც მთელი სიძლიერით სწორედ გურიაში წარმოჩნდა. ფირალობა იყო მთავრობისადმი უკმაყოფილო ხალხის პროტესტის გამოვლინება, ამასთანავე, ამ სოციალურ მოვლენაში დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციურმა ლიტერატურამ. მაგალითად, 1901 წლის ზაფხულში აგიტატორების მგზნებარე აგიტაციის შედეგად 15 ახალგაზრდა ტყეში გავარდა ფირალად. ფირალობით აღშფოთებული ოზურგეთის მაზრის უფროსი 1902 წლის იანვარში აცნობებდა ქუთაისის გუბერნატორს, რომ ფირალობამ ლამის წალეკოს მთელი გურიაო. თანაც ამ „დანაშაულებრივ ელემენტებს" სოფლის მოსახლეობა მახარს უჭერს, ჩინოვნიკებს შიშით „გული უსკდებათ", ღამე კი, მათთვის ნამდვილად საშინელი კოშმარიაო. შემდეგ მაზრის უფროსი განაგრძობს, რომ ხშირია თავდასხმები სოფლის ადმინისტრაციაზე, პოლიციელებზე, ჯარის ნაწილებზე, შეძლებულ გლეხებზე. მაზრის უფროსი სთხოვს გუბერნატორს, დაახმაროს ჯარის ნაწილები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გურიაში ფირალები გახდებიან მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონიო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფირალებად მარტო რევოლუციურად განწყობილი ხალხი არ გარბოდა, ხშირი იყო დამნაშავე, ბანდიტი ელემენტების გაყაჩაღებაც. სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ სისასტიკითა და დაუნდობლობით. ისინი უბრალო მშრომელ მოსახლეობასაც აწიოკებდნენ. მაგალითად, ცნობილი იყო ყაჩაღი დავით ცენტერაძე, რომელიც ციმბირში იყო გადასახლებული მკვლელობისათვის. 1900 წელს ის ციმბირიდან გამოიქცა, გაყაჩაღდა და მთელი ორი წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა ოზურგეთის მაზრის მოსახლეობას. 1902 წლის აგვისტოში ყაჩაღი ცენტერაძე მიკლეს სოფელ ნიგოითთან და მისი გვამი ტყეში დააგდეს ნადირთა შესაჭმელად [3].

უაღრესად საყურადღებოა თავად მაჭუტაძის საპროტესტო წერილი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი, რომელშიც თავადი აღშფოთებით აღნიშნავდა, რომ გურიაში ყაჩაღობამ ლამის დამანგრეველი ხასიათი შეიძინოს. შეშინებული გლეხები ვერ ბედავენ მიწის დამუშავებას, რადგან საღამოს მათ გაუგზავნიან ქაღალდს, რომელზედაც თოხი, ხანჯალი და კუბოა გამოსახული, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ის გლეხი კვლავ გააგრძელებს მუშაობას, მას აუცილებლად მოკლავენ. ასეთივე ხანჯლისა და კუბოს გამოსახულებიანი ქაღალდი მან რამდენიმეჯერ მიიღო, თანაც თავადი გააფრთხილეს, რომ ტყეში გავარდნილი რევოლუცი-

[3] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა). ფონდი 128. აღწ. 12. საქმე 309, ფურც. 23-27.

ონერებისათვის (ასე უწოდებდა ზოგიერთი ფირალი საკუთარ თავს – ო.გ.) გარკვეული რაოდენობის თანხა და ამასთანავე იარაღიც გაეგზავნა, თორემ მასაც ბოლოს მოუღებდნენ. წერილში იყო თხოვნა, რომ მთავრობას რაიმე ღონისძიება განეხორციელებინა.

გურიის თავადობა, აგრეთვე, ოზურგეთის მაზრის უფროსისაგან მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას ამ, მათთვის დამღუპველი "სენის" – ფირალობის აღსაკვეთად, მაგრამ ეს მოვლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი აღმოხვრა ვერ მოხერხდა.

1903 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი მუშა სამუშაოს გარეშე დატოვა. უმუშევრები მონაწილეობას ღებულობდნენ ანტისახელისუფლებო გამოსვლებში და პრობლემებს უჩენდნენ მთავრობას. ბათუმის ოლქის ხელისუფლებამ ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორისაგან მოითხოვა ჯარის გაგზავნა უმუშევრების ოლქიდან გასასახლებლად, რადგან ადგილობრივი ძალები საკმარისი არ იყო, 1903 წლის 27 იანვარს ბათუმში შემოვიდა კაზაკთა შენაერთები, რომლებმაც პოლიციასთან ერთად დაიწყეს „ბუნტში მონაწილე მუშების დაპატიმრება და ქალაქიდან გასახლება". განსაკუთრებული იერიში მიიტანეს 1902 წლის 9 მარტის ცნობილი დემონსტრაციის მონაწილეებზე, რადგან, როგორც ბათუმის ოკრუგის უფროსი აღნიშნავდა: „ამ დემონსტრაციის მონაწილე მუშათა დიდი ნაწილი გურულები იყო. აგრეთვე, მოკლულთა შორის სწორედ ისინი ჭარბობდნენ". 1903 წლის მარტის ბოლოსათვის ბათუმიდან გაასახლეს 400 კაცი. გასახლებულებიდან ბევრი თავიანთ სოფლებს დაუბრუნდა, ბევრი კი, რუსეთში წავიდა. ამან კიდევ უფრო გააქტიურა რევოლუციური მოძრაობა გურიის სოფლებში, რომელმაც დიდი თავსატეხი გაუჩინა ხელისუფლებას. ქალაქიდან გასახლებული მუშები გლეხობაში ეწეოდნენ დიდ რევოლუციურ მუშაობას, აქეზებდნენ მათ ხელისუფლების წინააღმდეგ, გლეხებს აიძულებდნენ ბოიკოტი გამოეცხადებინათ მემამულეებისათვის და არ დაემუშავებინათ მათი მიწები. ისინი გლეხებს უხსნიდნენ მათი ჩაგვრის მიზეზებს, აცნობდნენ საერთო მტრის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებსა და მეთოდებს.

ამ დროს გურიაში დაწყებული აგრარული მოძრაობის ნიადაგზე სიციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდამ საკმაოდ ფართო გასაქანი ჰპოვა საქართველოში [4].

[4] ვ. გურული. ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში. თბ. 1996.

1903 წლის მაისში გურიის მთელ რიგ სოფლებში ადგილი ჰქონდა გლეხების შეტაკებებს ერთის მხრივ მემამულეებთან, მეორეს მხრივ კი, ჟანდარმებთან. გლეხთა გამოსვლებმა მოიცვა მთელი გურია. ღამღამობით იკრიბებოდნენ და ცისქვეშ ატარებდნენ დიდ კრებებს, სადაც იხილავდნენ სხვადასხვა სახის პოლიტიკურ საკითხებს. კერძოდ, კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილებანი ღალისა და საიჯარო ფასის შემცირების, საძოვრებზე და ტყეზე გადასახადების მოსპობის შესახებ. გლეხები მოითხოვდნენ აგრეთვე საეკლესიო გადასახადების მოსპობასაც.[5]

გლეხთა მოთხოვნები მემამულეებმა და სამღვდელოებამ იუცხოვეს, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ გლეხები არ ხუმრობდნენ და თანხმობა განაცხადეს გლეხთა მოთხოვნებზე. ამის შესახებ ოზურგეთის მაზრის უფროსი აცნობებდა ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორს, რომ: „ჩვენ იძულებული გავხდით გლეხთა ზოგიერთი მოთხოვნა დაგვეკმაყოფილებინა. საჭიროა დროის მოგება, თორემ გლეხები უკვე დაუმორჩილებელნი არიან. ვფიქრობ, მდგომარეობა რომ არ გამოვიდეს კონტროლოდან, საჭიროა ეგზეკუციების ჩაყენება სოფლებში, ხალხის დაშინება. ამასვე მოითხოვს გურიის თავადაზნაურობა და სამღვდელოება.

დაშინებული თავადაზნაურობაც ამოქმედდა. თავადი დავით გურიელი რამდენჯერმე იყო ქუთაისის გუბერნატორთან და სთხოვდა მას ეგზეკუციების შემოყვანას გურიაში, მაგრამ ეს ვიზიტები არ დარჩენილა სოციალ-დემოკრატების მხედველობის მიღმა. 1903 წლის მარტში ოზურგეთში შედგა სიციალ-დემოკრატების საიდუმლო კრება, რომელსაც ესწრებოდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებიც. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს მთელი ძალით აემოქმედებინათ ტერორი და ამ საქმეში გამოეყენებინათ როგორც ფირალები, ასევე მოსახლეობაც. აქვე მიიღეს გადაწყვეტილება გრიგოლ გურიელის ლიკვიდაციის შესახებაც. ასევე, კომიტეტის სხდომამ დაადგინა, რომ „გაესაღებინათ თავადაზნაურთა უმრავლესობა“, რათა შიში და პანიკა დაეთესათ ხელისუფლებაში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა კომიტეტის წევრი გიორგი გოგოლაძე, რომელმაც გააფრთხილა სხდომის მონაწილენი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ხელისუფლებას მკაცრი ზომები მიეღო და მოსახლეობა აეწიოკებინა (რაც მართლაც მოხდა შემდეგში). უმრავლესობის გადაწყვეტილება „ურყევი“ იყო.

1903 წლის გაზაფხულზე გრიგოლ გურიელი კვლავ ქუთაისში ნავი-

[5] სეასცა. ფონდი 128. აღწ. 12. საქმე 309. ფურც. 69-72.

და. იქ რამდენიმე დღეს დარჩა. კომიტეტმა მას ჯაშუშები მიუგზავნა, რომლებიც მის ყოველ ფეხის ნაბიჯს უთვალთვალებდნენ. უკან დაბრუნებისას ის სუფსასთან რამდენიმე გასროლით მოკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოკლეს აგრეთვე მაჭუტაძე, ქ. ნაკაშიძე. ამ უკანასკნელის ჯერ სახლი გადაწვეს, შემდეგ კი თვითონ მოკლეს, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, ვახტანგ ქარცივაძე, რომელსაც ჯაშუშობა დააბრალეს, სოფელ ჩოჩხათთან გამოასალმეს სიცოცხლეს[6].

ასეთმა მოქმედებებმა, რომელთაც თან დაერთო გლეხთა მასობრივი გამოსვლები, ისე დააშინა ხელისუფლება, რომ თვითონ ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი სმაგინი გაემგზავრა გურიაში. მან ჯარის ნაწილებთან ერთად შემოიარა გურიის სოფლები, რათა „თვითონ გაეგო, რა სურდა ამ „ბუნტოვშჩიკ“ ხალხს, რომლებმაც აიყოლეს მთელი ბათუმის ოლქი და ფოთი“. განსაკუთრებით ამაღელვებელი გამოდგა გუბერნატორის შეხვედრა სოფელ ხიდისთავში, ჩოჩხათში, მიქელ-გაბრიელში (დღევანდელი სოფელი შრომა, ოზურგეთის რაიონი).

რაც შეეხება სოფელ ხიდისთავს აქ სოფლის საზოგადოებამ, რომელიც განთქმული იყო მთელ ქუთაისის გუბერნიაში და რომელსაც ხელმძღვანელობდა სოფლის მამასახლისი, უაღრესად ნიჭიერი და განათლებული ადამიანი ერეკლე კალანდაძე, გუბერნატორს გადაუშალა ის მდგომარეობა, რომელიც გურიაში იყო შექმნილი, აღუწერა გლეხთა გასაჭირი და წარუდგინა მოთხოვნები სუფთა რუსულით.

გუბერნატორი დაინტერესდა ამ პიროვნებით და გაიგო, რომ ერეკლე კალანდაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს გურიაში. მას ერთნაირად პატივს სცემდნენ როგორც სოციალ-დემოკრატები, ასევე თავადაზნაურები, მაზრის რუსული ადმინისტრაცია და გლეხები. ის იყო უაღრესად სამართლიანი კაცი. ყველა მასთან მიდიოდა ჭკუის საკითხავად, ეხმარებოდა ყველა გაჭირვებულს. თანაც, ერეკლე კალანდაძე 1898 წელს სხვებთან ერთად ნამყოფი ყოფილა პეტერბურგში და იმპერატორის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებთან ჰქონია საუბარი. გუბერბატორმა მოისმინა ეს მოთხოვნები და ხალხს მიმართა, რომ მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს აუცილებელი სახელმწიფო გადასახადები: „ხოლო იმ გადასახადებს, რომელიც თქვენ ზედმეტად მიგაჩნიათ, შეიძლება, თუ ამას ჩათვლის მაზრის ხელმძღვანელობა საჭიროდ, არ გადაიხადოთო“. შემდეგ ის მიუბრუნდა ერეკლე კალანდაძეს და უთხრა, რომ ის მოხიბლულია მისით

[6] სეასცა. ფ. 128. აღწ. 12. საქმე 309, ფურც. 89-94.

და წუხს, რომ აქამდე ამ ჭკვიან კაცთან მას შეხვედრა არ ჰქონიაო. ერეკლემ გუბერნატორს აუხსნა, რომ აუცილებლად უნდა გაუქმდეს გადასახადები საძოვრებზე და ტყით სარგებლობაზე, რადგან ამის გარეშე ძნელია აქაური გლეხკაცის არსებობა.

ამ შეხვედრაზე გუბერნატორს წარუდგა ხიდისთაველი ალისტრახო კალანდაძე, რომელმაც საუბრისას მოიყვანა ციტატები წიგნიდან „ორი ევროპა“ და გუბერნატორს უთხრა, რომ ის იმყოფება ისეთ საზოგადოებაში, რომლის წევრებმა მეტი იციან, ვიდრე ზოგიერთმა რეგვენმა სამაზრო ჩინოვნიკმაო. ამით ისე გაკვირვებულა გუბერნატორის თანმხლები პირი ვინმე ჩუგაინოვი, კიდეც აღუნიშნავს, რომ „ამ ბროშურის შესახებ არა თუ ამ მივარდნილ სოფელში, შეიძლება ქალაქებშიც არაფერი არ იცოდნენო“ და გაოცება გამოუხატავს აქაური გლეხების განსწავლულობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და მოსთხოვეს, თუ არ გამოასწორებდა მდგომარეობას, ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდებოდა, მან ისიც აღნიშნა: „აქაური გლეხები განათლებულები ყოფილანო“.

სოფელ ჩოხჩახში კი, რომ იტყვიან, „გუბერნატორი ნემსის ყუნწში გააძვრინეს“, თანაც შეურაცხყოფა მოიაყენეს. გლეხი, ვინმე გოგუაძე, რომელმაც ეს გააკეთა, გაროზგეს. ხალხის აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ გუბერნატორმა სასწრაფოდ დატოვა სოფელი. ასეთივე მღელვარე გამოდგა გუბერნატორის შეხვედრა სოფელ მიქელ-გაბრიელის გლეხობასთან. აქ მას წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები: 1) გაუქმდეს არსებული საიჯარო პირობები და სახნავი მიწებიდან მემამულეებს ეძლეოდეს მოსავლის მეათედი ან მერვედი; 2) გაუქმდეს გადასახადი საძოვარზე; 3) გაუქმდეს საეკლესიო გადასახადი; 4) კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს.[7]

მიქელ-გაბრიელის შეხვედრაზე გლეხმა ხომერიკმა აღნიშნა, რომ ასეთივე დიდი მღელვარება ადრეც იყო და მას ბატონყმობის გადავარდნა მოჰყვაო. ახლა რაიმე სასიკეთო მოვლენა მოხდება და ამას ალბათ ხალხი მალე დაინახავსო.

ჩოხატაურში შეხვედრის დროს გუბერნატორს გადასცეს ქაღალდი, რომელზედაც გამოსახული იყო ხანჯალი და კუბო (გუბერნატორს გაახსენდა თავად მაჭუტაძის წერილი, რომელშიც თავადი აღნიშნავდა, რომ ასეთ ქაღალდებს ვისაც გაუგზავნიდნენ, მას აუცილებლად მოკლავდნე-

[7] სეასცა. ფ. 128. აღწ. 12. საქმე 309, ფურც. 107-110.

ნო). მან მოსახლეობას დაწყნარებისაკენ მოუწოდა და თვითონ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

გურიაში მოგზაურობის შემდეგ გუბერნატორმა სმაგინმა წერილი გააგზავნა კავკასიის მთავარმართებლების სახელზე, რომელშიც დაწვრილებით აღწერა გურიაში შექმნილი მდგომარეობა, ისაუბრა ფირალებზე, რომლებიც აშინებდნენ მოსახლეობას და უგზავნიდნენ ქაღალდებს ხანჯლისა და კუბოს გამოსახულებით, რაც სიკვდილს ნიშნავდა. ასეთი ქაღალდი მასაც გაუგზავნეს ჩოხატაურში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. გუბერნატორი ამბობდა, რომ მოსახლეობის „გონების დაბნელებაში“ დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციურმა ე.წ. მარქსისტულმა აგიტაციამ, რომელიც საშინლად მოედო მთელ კუთხეს და მასობრივად აიყოლა მოსახლეობა: „საინტერესოა ის, რომ, განაგრძობს გუბერნატორი, გურიის მოსახლეობა ნაკლებად მორწმუნენი არიან და ესეც მარქსისტების ბრალია. ეკლესიაში ისინი ქუდით შედიან და პაპიროსსაც ეწევიან. ერთი ასეთი აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ერთ ეკლესიაში მარქსისტებმა ღმერთის გაოსახულების მაგივრად მოინდომეს მარქსის სურათის დაკიდება, მაგრამ იმის გამო, რომ ის ებრაელი იყო, მოხუცებმა წინააღმდეგობა გაუწიეს“.

ბოლოს გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია სამხედრო წესების გამოძახება. გუბერნატორი იმასაც აღნიშნავდა ამ წერილში, რომ გურიის მოსახლეობა უფრო განვითარებული და ნასწავლია, ვიდრე ქუთაისის გუბერნიის სხვა კუთხეების მოსახლეობა, ხოლო რაც შეეხება ბათუმსა და მის ოლქს, აქაც ძლიერია გურულების გავლენა და მასებზე ზემოქმედება[8].

გურიაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა კავკასიის მთავარმართველები 1903 წლის 6 აგვისტოს გურიაში გამოეცხადებინა სამხედრო მდგომარეობა. 12 აგვისტოსათვის გურიაში მთელი პოლკი შევიდა და ყველა სოფლის საზოგადოებაში ჩადგა ეგზეკუცია. აქ კი საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა, ახლა აზნაურებმა და თავადებმა „აიშვეს“, დააპატიმრეს ყველა, ვისზეც კი ისინი მიუთითებდნენ. ჯაშუშობამ ფართო გასაქანი მიიღო. დაპატიმრებული 300 კაცი ფეხით გარეკეს ბათუმისა და ქუთაისის ცეხეებისაკენ. ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურთან მოხდა შეტაკება. ჯარისკაცების მიერ დაპატიმრებულებს, სულ 30 კაცი, სოფლის დასაწყისში დახვდა შეიარაღებული გლეხების რაზმი ივანე სალუქვა-

[8] სეასცა. ფ. 128, აღწ. 12. საქმე 309, ფურც 120-122.

ძის მეთაურობით, 12 კაცი გაიქცა, მაგრამ შეტაკებისას სალუქვაძე და კიდევ მისი ხუთი ამხანაგი მოკლეს. ამით განრისხებულმა ჯარის უფროსმა ხელახლა მოაწყო სოფელ ლიხაურში ჩხრეკა და ამჯერად გაქცეულების ცოლ-შვილიც დააპატიმრა და მათ 16 კაცი ზედ მიაყოლა. ჯარისკაცები და კაზაკები სცემდნენ დაპატიმრებულთ, თვითონ ცხენებზე ისხდნენ, მათ კი, აიძულებდნენ სირბილით გავლას. ნაცემი პატიმარი გლეხებიდან ბევრი ციმბირში გადაასახლეს.

გურიაში სამხედრო წესები 1904 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. გლეხებს აიძულებდნენ სამხედრო ძალით იმ ზარალის დაფარვას, რაც თავზე დაატყდა მემამულეებს, ეკლესიასა და მთვარობას გაფიცვებითა და გლეხთა ბოიკოტით, მთავრობამ დაკეტა ყველა ბიბლიოთეკა, ძველ მამასახლისებს აღარ ენდობოდნენ და ახლებს ნიშნავდნენ.

Otar Gogolishvili
Professor,
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

GURIA IN THE BEGINNING OF 20TH CENTURY (1900-1903) ACCORDING TO NEW ARCHIVAL MATERIALS

Summary

The condition of the peasantry in Guria was characterized by extreme poverty. The peasantry in Guria suffered from a severe lack of land. For instance, in the Tbilisi district, each person had 0.44 *desiatina* of agricultural land from the total land fund, in the Kutaisi district – 0.39, in the Sukhumi district – 0.64 *desiatina*, while in the Batumi district and Guria, the land availability was much lower. Therefore, it is not surprising that the struggle against the tsarist autocracy in this region became more intense and profound than in other peasant areas of Transcaucasia.

The unique socio-political conditions in Georgia, and specifically in Guria, facilitated the emergence of revolutionary organizations, which carried out significant battles against the Russian tsarism. These battles in the early 20th century were marked by extraordinary intensity. The growth of revolutionary activity among the masses was encouraged by the involvement of former Gurian workers, who had already gained experience in revolutionary struggles while working in the industrial centers of Transcaucasia.

It should be noted that the emergence and development of ports and industrial enterprises on the Black Sea coast, along with the high demand for labor, attracted a portion of the Gurian peasantry, incorporating them into the working class. "Part of the peasantry, due to unbearable conditions, fled to the cities in search of a livelihood. In this process, they received political training." Many Gurian peasants working in Batumi, Poti, Adler, Sochi, Baku, and other cities actively participated in revolutionary circles. The revolutionary ideas they absorbed in these cities were spread to rural areas, which had a significant impact on the growth of the revolutionary movement among the peasantry in Guria.

დიმიტრი შველიძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

აკაკი ჩხენკელის ფაქტორი*

„მაშასადამე, დღის წეს-რიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანათ...“[1]

ეს სიტყვები, როგორ ცნობილია, ნოე ჟორდანიას მოგონებიდანაა, როცა ის იხსენებს 1918 წლის აპრილის ბათუმის კონფერენციის ეპიზოდს და საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების წინა დღეებს. ეს სიტყვები თავისებური თვითაღიარებაცაა. ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა, ხომ შეურიგებლად ებრძოდა არამცთუ დამოუკიდებლობის, არამედ ავტონომიის მომხრე ეროვნულ ძალებს. მესამე დასელები 10-15 წლის განმავლობაში ემორჩილებოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას, რომელიც იმპერიის დაპყრობილი ხალხებისათვის მხოლოდ საოლქო თვითმმართველობის დაპირებას იმეტებდა.

კიდევ ერთი ეპიზოდი წარსულიდან. 1904 წელს ჟენევაში შედგა საქართველოს პირველი ინტერპარტიული კონფერენცია, რომლის შედეგადაც, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ ქართველი ავტონომისტები ანუ გაზ. „საქართველოს“ ჯგუფი, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები და უპარტიო პატრიოტული ძალები. კონფერენციაზე მყოფმა ქართველმა სოციალ- დემოკრატებმა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, შეუძლებლად ჩათვალეს „ნაციონალისტებთან“ გაერთიანების შესაძლებლობა: „ჩვენ არ შეგვიძლია საერთო რეზოლუციები გამოვიტანოთ „საქართველოელებთან“ და ანარქისტებთან

* კვლევა [FR-24-19560] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

[1] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული (მოგონებანი).უშანგი სიდამონიძის ბოლოთქმით. თბ. 1990, გვ. 89.

ერთად... ამიტომ ჩვენ მივდივართ“[2] – აქამდეც და ამის შემდეგაც, რსდმპ და მის შემადგენლობაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები განუწყვეტლად ებრძოდნენ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და მის წარმომადგენელ პოლიტიკურ ჯგუფებს.

აი, ამ მძიმე ურთიერთდაპირისპირების ფონზე, 1912 წლის დეკემბერში, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმა სოციალ-დემოკრატი დეპუტატის აკაკი ჩხენკელის ხმა რომელმაც არევ-დარევა შეიტანა ქართულ და საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაში.

იმისათვის რომ აკაკი ჩხენკელის იმ პერიოდის ეროვნული კრედო გავითვალისწინოთ, ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ მის მიერ წარმოთქმული სიტყვა 1912 წლის 10 დეკემბერს, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში. ეს სიტყვა, რუსეთის ხელისუფლების გასაგონად იმდენად არ იყო თქმული, რადგან ისინი მაინც არაფერს არ გაითვალისწინებდნენ, არამედ პირველ რიგში – რუსეთისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მისამართით. რამდენიმე თეზისი მოხსენებიდან.

1. „ნაციონალური მომენტის წინ წამოწევა და ხაზგასმა არ წარმოადგენს არანორმალურ მოვლენას“ – ესეც და ქვემომოყვანილი ციტირებები ჩხენკელისაა.

2. „ჩემი მსოფლმხედველობა ოდნავადაც არ მიშლის ხელს დავდგე ჩემი ხალხის **კულტურისა და ზოგადად ინდივიდუალიზმის სადარაჯოზე,** პირიქით, მავალდებულებს მტკიცედ ვემსახურო ამ ამოცანას. მაგრამ **საკუთარი ხალხის დაცვა ეროვნული ჩაგვრისაგან** ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ჯერ ერთი, თვალი დახუჭო თვით ამ ერის შიგნით მიმდინარე სოციალურ ბრძოლაზე, მეორეც – დაივიწყო მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერების საერთო ინტერესები“.

3. საქართველოს რუსეთთან „შეერთება მოხდა განსაკუთრებული, ორივე ქვეყნის მონარქთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატის ძალით, რომელიც ქართველ ხალხს ყველა საშინაო საქმეში სრულ ავტონომიას ანიჭებდა. მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოთ, ერთი-მეორის მიყოლებით, **ყველა ავტონომია წაართვა, რომელსაც ეს საერთაშორისო აქტი ითვალისწინებდა.** რაღაც დაუჯერებელი ამბავი მოხდა...“ ამის შემდეგ ქართველი დეპუტატი თანმიმდევრობით ჩამოთვლიდა და განმარტავდა, რა წაართვა და რას არ-

[2] ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისა. პარიზი. 1904, გვ. 29.

თმევდა რუსეთის ხელისუფლება ქართველ ხალხს: **სახელმწიფოს, სამშობლო ენას; ტერიტორიას; უმაღლესი სასწავლებლის უფლებას და სხვ.**

4. დაბოლოს, აკაკი ჩხენკელი აკონკრეტებდა და რეზიუმირებას უკეთებდა ყოველივე ზემოთქმულს: „თავისუფალ რუსეთში თითოეული ერი მიიღებს უფლებებს და ორგანიზაციებს, **ამ უფლებათა განსახორციელებლად.** ნებისმიერი სოციალური ორგანიზმი და ასეთ *par exellense*-ეს წარმოადგენს ერი...“ აქ შევწყვიტოთ ციტირება, რადგან ეს ფორმულაა, რომელიც პირველ რიგში ჩხენკელის თანაპარტიელებს ეხებოდა. სწორედ მათ უნდა შეეგნოთ, რომ ეროვნული ღირებულებების უგულებელყოფა შეუწყნარებელი იყო და ერის უფლებები სოციალ-დემოკრატებს უნდა დაეცვათ. თავად ის, როგორც მარქსისტი, როგორც სოციალ-დემოკრატი, მტრებსაც აფრთხილებდა და მოყვარე თანაპარტიელებსაც მოუწოდებდა, რომ:

„ჩვენ გამოვდივართ **ეროვნებასთან და აღმსარებლობასთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი კანონის გაუქმების მოთხოვნით, კერძოდ კი ებრაელთათვის ბინადრობის ადგილის შეზღუდვის გაუქმებისა, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა და მათი თავისუფალი თვითგამორკვევის, მშობლიური ენის ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში გამოყენების, თითოეული ერის თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი დაწესებულებების დაარსების მოთხოვნით**“[3]

აკაკი ჩხენკელის 1912 წლის 10 დეკემბრის გამოსვლას, თავი დავანებოთ სხვადახვა პოლიტიკური ძალებისა და იმპერიის ხელისუფლების აღქმებს, ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ქართველი სოციალ-დემოკრატების წინაშე ეროვნულ საკითხს პრინციპულად, სოციალურ პრობლემატიკასთან ერთად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭა.

აკაკი ჩხენკელის მიერ ეროვნული პოზიციის აქტუალობის წამოყენება, გასცდა ქართულ რეალობას და საერთ-საიმპერიო რეზონანსი მიიღო. ჩხენკელის გამოსვლიდან სამი კვირაც არ იყო გასული, რომ მისი პოზიცია განხილვის საკითხად იქცა რსდმპ-ის ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირზე – 1912-1913 წლების 26 დეკემბერ-14 იანვრის დღეებ-

[3] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი. თბ. 2018, გვ. 49.

ში. თათბირზე მიიღეს ვლადიმერ ულიანოვის მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომლის მეხუთე პუნქტი უშუალოდ ეხებოდა „ამხ. ჩხენკელის“ მიერ წამოყენებულ ინიციატივას და მის შეურიგებელ კრიტიკას შეიცავდა. მასში ვკითხულობთ: „ამხ. ჩხენკელის მიერ (სოციალ-დემოკრატიული – დ.შ) ფრაქციის სახელით – კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დაცვა ყოველი ეროვნების განვითარებისათვის აუცილებელი ორგანიზაციების შექმნის სახით თითოეული ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის, თავისთავად წარმოადგენს პარტიული პროგრამის პირდაპირ დარღვევას არსებითად ზუსტად ასეთივე ფორმულირება უარყოფილი იქნა სპეციალური კენჭისყრით, პარტიის მეორე ყრილობაზე, რომელმაც პროგრამა დაამტკიცა“. ლენინის განრისხება ამით არ დასრულებულა და რეზოლუცია დაასკვნიდა რომ „დათმობა ნაციონალისტური განწყობებისადმი, თვით ამგვარ დაფარული ფორმებითაც კი დაუშვებელია პროლეტარული პარტიისათვის“.[4]

რუსული ბოლშევიზმის ბელადის გაღიზიანება ქართველი პატრიოტ-სოციალ- დემოკრატის ღირსებაზე მეტყველებდა და აკაკი ჩხენკელმა განაგრძო თავისი ეროვნულ- სოციალური ღირებულებების კიდევ უფრო ენერგიულად დაცვა.

ასე რომ ცალკეული ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთ-ერთი პირველები იყვნენ იმპერიის ოპოზიციურ-რევოლუციურ სივრცეში, რომელნიც დაუპირისპირდნენ რსდმპ-ს გენერალურ ხაზს ეროვნულ საკითხში. სწორედ ერთ-ერთი პირველთაგანი ამ მხრივ გახლდათ აკაკი ჩხენკელი.

ჯერ კიდევ 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა არჩილ ჯორჯაძის წერილების სერია: „შეთანხმების იმედი“. სოციალისტ-ფედერალისტების მთავარმა იდეოლოგმა შეაჯამა ქართულ პრესაში მიმდინარე დისკუსიის შედეგები ეროვნული საკითხის შესახებ და დაასკვნა, რომ სოციალ-დემოკრატიაში შეინიშნებოდა „დიდი რყევა და გამოურკვევლობა". პუბლიცისტმა ნოე ჟორდანიას მიერ წამოჭრილ საოლქო თვითმმართველობაში „ავტონომიის აჩრდილი“ შენიშნა; ხოლო მისივე აზრით აკაკი ჩხენკელი კულტურულ ავტონომიას აღიარებდა და „ოლქებრივ თვითმმართველობას ისეთის შიშით და ზიზღით უყურებდა როგორც ფაუსტი ეშმაკს“. „ქართველი სოციალ-დემოკრატია დაიძრა ძველ პოზიციიდან

[4] В. И. Ленин. Полное собрание сочинений. Издание пятое. Том 22. Москва. 1968. გვ. 263.

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში“[5] – დაასკვნიდა . სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი იდეოლოგი.

ამავე წერილში ჯორჯაძემ არამარტო გამოყო ა. ჩხენკელის პიროვნება სხვა სოციალ-დემოკრატი ლიდერებისაგან, არამედ მოგვცა მისი ერთ-ერთი – ადრეული პიროვნულ-მსოფლმხედველობრივი დახასიათება: „სცენაზე გამოდის ახალი მოქმედი პირი - ბ-ნი ჩხენკელი, რომლის ნაწერებს ეროვნული საკითხის შესახებ გულდასმით უნდა დავაკვირდეთ, რადგან ამ ნაწერებში თვალსაჩინოდ სჩანს ის დიდი რყევა და გამოურკვევლობა, რომელიც ამჟამად სუფევს ქართულ სოციალ-დემოკრატიაში. ბატონი ჩხენკელი გულახდილი მწერალია და ხშირად ამბობს იმას, რის თქმასაც ვერა ჰბედავენ მისი ამხანაგები“. ეს შეფასებაც ზემოაღნიშნულ წერილშია: „შეთანხმების იმედი“.

გამბედაობა ნამდვილად არ აკლდა აკაკი ჩხენკელს, სხვა მრავალ დასაფასებელ თვისებებთან ერთად. 1915 წელს მან ქუთაისში გამოსცა მცირე ზომის წიგნი: „ერი და ჩვენ“. ამ წიგნაკით ა. ჩხენკელი პოლემიკურად დაუპირისპირდა – თავის პარტიულ თანამებრძოლს და თვით ქართველი სოციალ-დემოკრატების დალაი-ლამას (ა. ჯორჯაძე) ნოე ჟორდანიას. ამჯერად, იმდენად საკამათო თემატიკას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც თვით ფაქტს – თანაპარტიელის მხრიდან პარტიულ ლიდერთან პოლემიკური დაპირისპირება – პარტიულ განხეთქილებას ნიშნავდა, თანაც ისეთ პრინციპულ საკითხში, როგორიც ეროვნული პრობლემა იყო.

მაგრამ ეს კიდევ არ იყო მთავარი. ამ დროისათვის აკაკი ჩხენკელი იმპერიის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს – სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი აქტიურობით გამორჩეული დეპუტატი გახლდათ და ორ ავტორიტეტს შორის პოლემიკა უაღრესად პრინციპულად უნდა შეფასებულიყო. ერთ-ერთ მხარეს უნდა დაეთმო ან აზრთა და პოზიციათა წინააღმდეგობა შენარჩუნებულიყო, რაც გაუგებრობას და გაურკვევლობას მოასწავებდა პარტიაში. აზრთა სხვაობა ერთ საკითხამდე შეიძლება დავიყვანოთ. ჩხენკელი ასაბუთებდა, რომ ადრე გაბატონებული იყო კოსმოპოლიტური შეხედულება, რომელიც ერებს ნაკლებად სცნობდა და ნაკლები ანგარიში ეწეოდა. ახლა, კოსმოპოლიტიზმი შეცვალა ჭეშმარიტმა ინტერნაციონალიზმმა, რომელიც ერთა და ეროვნებების არსებობას და ერთობას ნიშნავდა და ეს გარემოება ზრდიდა ეროვნული საკითხის აქტუალობას.

[5] ა. ჯორჯაძე. შეთანხმების იმედი (1903 წლიდან 1909 წლამდე). თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი პირველი. ტფ. 1911, გვ. 270.

ერთი სიტყვით, პარტიაში ერთ-ერთ ხაზს უნდა გაემარჯვა. თუ ჩხენკელის წიგნის გამოსვლის შემდგომ მოვლენებს გავიხსენებთ, ისე ჩანს, რომ ჟორდანიამ გარკვეულწილად უკან დაიხია და ეროვნული საკითხის მეტი ანგარიშგაწევისაკენ გადადგა ნაბიჯები. რა გვაქვს მხედველობაში? ჩვენთვის ცნობილია რომ 1915-1917 წლებში ქართველმა სოციალ-დემოკრატმა ლიდერებმა სწორედ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, რამდენიმე შეხვედრა გამართეს სხვა ქართულ პარტიებთან და მათ შორის სეპარატისტულ „ქართულ კომიტეტთან“ – ქუთაისში და თბილისში. ამ შეხვედრებზე მოხდა პრინციპული შეთანხმება. ისევ ნოე ჟორდანია ვალაპარაკოთ. ამ შეხვედრების შემდეგ ჟორდანია დაასკვნიდა: „აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით – ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურათ უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოებაში – არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა“.[6] იგივე ტაქტიკა მიიღო ლანჩხუთის სოციალ-დემოკრატიულმა კონფერენციამ, ჟორდანიას ცნობით.

რა მოხდა? ნოე ჟორდანიას და ქართული სოციალ-დემოკრატიის გეზის ცვლილება ეროვნული საკითხის გათვალისწინებისაკენ, სახეზე იყო. რატომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ აკაკი ჩხენკელმა, ვითარცა თანაპარტიელმა, თანამებრძოლმა მეგობარმა, ეროვნული საკითხის უკვე პროფესიონალმა სწავლულმა და აღიარებულმა ავტორიტეტმა – უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჟორდანიასა და პარტიაზე, ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე? აქ ორივე ლიდერის პიროვნულ-მენტალურ თვისებებსაც მიუძღოდა თავისი როლი. აკაკი ჩხენკელი პრინციპულ პოლემისტთან ერთად კეთილგანწყობილი კოლეგა და მეგობრული ნატურა გახლდათ, ხოლო ჟორდანია კომპრომისულობისაკენ განწყობილი პიროვნება იყო. ჩხენკელი მეგობრულად ურთიერთობდა მიხაკო წერეთელთან, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ლამის ტყავი გააძრო მისი „ერი და კაცობრიობისათვის“. მასთანაც ასე იყვნენ განწყობილნი სხვა პარტიების ლიდერებიც კი – ძმაო აკაკი – ასე მიმართავდა მას ერთ წერილში – სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე,

ასე ჩამოყალიბდა ის, რასაც ჩვენ ვუწოდეთ – აკაკი ჩხენკელის ფაქტორი. ჩვენ ვგულისხმობთ გარემოებას, რომ ქართველ სოციალ-დემოკ-

[6] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 72.

რატთა შორის, აკაკი ჩხენკელმა ჩამოაყალიბა ყველაზე თანმიმდევრული და ერთადერთი ჯანსაღი პოზიცია, ეროვნულ საკითხში. ეს ერთი და მეორე – ჩხენკელის მიერ შემუშავებული კონცეფცია აღმოჩნდა ფაქტორი, რომელმაც ყველაზე მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა მარქსისტმა მოღვაწემ – მოახდინა განმსაზღვრელი გავლენა ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნული ორიენტაციის მიმართულებით ევოლუციის პროცესზე ანუ ევოლუციაზე, რომელსაც ჯერ კიდევ 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში გერონტი ქიქოძემ უწოდა – „სოციალიზმის ნაციონალიზაცია“.[7] აქ პირველ რიგში იგულისხმებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ნაციონალიზაციის პროცესი.

ჩვენ რა თქმა უნდა შორს ვართ იმისაგან, რომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის პრიორიტეტი დავუკარგოთ შესანიშნავ პატრიოტ სოციალ-დემოკრატ მოღვაწეს ვლადიმერ დარჩიაშვილს, მის მიერ დაარსებულ გაზეთ „ალიონსა“ და მის ჯგუფს. მაგრამ ამ უკანასკნელთა საპატიო მოღვაწეობას იმდენად დიდი გამოხმაურება და გავლენა ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე არ მოუხდენია, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის რეზონანსულ პოზიციას. ყოველივე ზემოთქმულს კი იმით შევაჯამებთ, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ სივრცეში, 1912-1915 წლებში, ჩამოყალიბდა თავისებური ჩხენკელის ფაქტორი, რომელმაც განმსაზღვრელი, მაორიენტაციებელი გავლენა მოახდინა საქართველოს მარქსისტული მოძრაობის შემდგომ ევოლუციაზე – ეროვნული ღირებულებების მიმართულებით. ასე შევიდა ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის რევოლუციების ახალ ეტაპზე – 1917 წელს.

ამ წლის თებერვალ-მარტის მოვლენებზე ყურადღებას არ შევაჩერებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის უაღრესად აქტიური საქმიანობა, რომელიც ტონის მიმცემი იყო ამიერკავკასიაში განვითარებული მოვლენებისათვის, ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა. რა თქმა უნდა არამარტო ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის და პოლიტიკური პროცესების მთავარი ლიდერი ნოე ჟორდანია გახლდათ, ის იყო ყველანაირი საბჭოების, პრეზიდიუმების, აღმასკომების და ა. შ. თავმჯდომარე და აღიარებული ლიდერი.

მაგრამ თუ დავაკონკრეტებთ, ის უფრო სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა – თბილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა

[7] გ. ქიქოძე. ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია. თბ. 1919.

საბჭოებს ეროვნულ-პოლიტიკური აქტივობების მთავარი ფიგურა თავიდანვე გახდა აკაკი ჩხენკელი., თუმცა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობისა და ლიდერობის ქოლგის ქვეშ. ამგვარი სუბორდინაცია გრძელდებოდა მაშინაც, როცა აკაკი ჩხენკელი იყო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი და ოფიციალურად უმაღლესი აღმასრულებელი სტრუქტურის წარმომადგენელი – მხარეში. მიუხედავად ყველაფრისა, ის უსიტყვოდ ემორჩილებოდა ქართულ-კავკასიური სოციალ-დემოკრატიის აღიარებულ ლიდერს ნ. ჟორდანიას, მოქმედებდა მისი მითითებებით. სხვებიც.

აკაკი ჩხენკელმა სრულიად განსაკუთრებული და უნიკალური როლი ითამაშა საქართველოს წამყვანი პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესის წარმართვაში. სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებს 1917 წლის აპრილში. იმავე წლის აგვისტოში იგი ხელმძღვანელობდა ჯერ „ქართველი ერის ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს“ და მის პრეზიდიუმს, შემდეგ „საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს“ და მის „აღმასრულებელ კომიტეტს“. ინტერპარტიული საბჭო. თვეების მანძილზე ფაქტობრივად საქართველოს საპარლამენტო და აღმასრულებელი სამთავრობო სტრუქტურის ფუნქციას ასრულებდა. მანვე ჩაატარა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და უფლება-მოვალეობანი გადააბარა 1917 წლის ნოემბერში შექმნილ საქართველოს ეროვნულ საბჭოს – ქვეყნის ფაქტობრივ ხელისუფლებას და მის ლიდერს ნოე ჟორდანიას.

ისტორიკოსმა დოდო ჭუმბურიძემ ყურადღება მიაქცია აკაკი ჩხენკელის განსაკუთრებულ დამსახურებას პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის პროცესში და სავსებით სამართლიანადაც. როდესაც ნოე ჟორდანიას გასვლით, ინტერპარტიულ საბჭოს დაშლის საფრთხე დაემუქრა და ყრილობის მოწვევაც ჩაშლის საშიშროების წინაშე დადგა, აკაკი ჩხენკელმა საკუთარ თავზე აიღო პასუხიმგებლობა. მკვლევარი წერს: „ჟორდანიასთან ისედაც დაპირისპირებული აკაკი ჩხენკელი არ მოერიდა უხერხულ სიტუაციას, თავის თავზე აიღო და 17 ოქტომბერს ჩაატარა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება ეროვნული ყრილობის საჩქაროდ მოწვევის შესახებ“.[8]

[8] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 109.

როგორც ამას წინათ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში დავასაბუთეთ, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებამდე, ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა მოძრაობამ ოთხი ეტაპი გაიარა. ამ ეტაპების განმავლობაში, ქართული პოლიტიკური ელიტა, თანმიმდევრულად ახორციელებდა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ საფეხურებს, სტადიებს თუ ეტაპებს. როგორც ვნახეთ, აკაკი ჩხენკელის დამსახურება საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ პირველ ეტაპზე – უნიკალური და განსაკუთრებული იყო ანუ ჩხენკელის ფაქტორის გამო – 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან ნოემბრამდე – ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს დიდმნიშვნელოვანი როლის წარმართვით, დანარჩენ ეტაპებს მოკლედ ჩამოვთვლით.

1917 წლის ნოემბრიდან დაიწყო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი – ამიერკავკასიის კომისარიატისა და ეროვნული საბჭოს შექმნის დროიდან.

1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის სეიმის შექმნით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მესამე ეტაპს ჩაეყარა საფუძველი, ხოლო 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარირებით დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მოძრაობის მეთხე და დამამთავრებელი ეტაპი. ამ დროისათვის, საქართველო, ისევე როგორც – ადერბაიჯანი და სომხეთი, ფაქტობრივად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომელთა ერთიანობა ქმნიდა კონფედერაციულ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოს. კონფედერაციის შემადგენელ სამ ქვეყანას, შინაურ საქმეებში წარმართავდა ეროვნული საბჭოები. საქართველოში აღარ იდგა რუსეთის ჯარი, რაც ზემოაღნიშნულ პროცესებს თავისუფალი განხორციელების საშუალებას აძლევდა.[9]

რაც მთავარია, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე იმყოფებოდა ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი ლიდერი აკაკი ჩხენკელი. მისმა პოლიტიკურმა როლმა და ე.წ. ჩხენკელის ფაქტორმა განაპირობა მისი მაღალი პოსტიც – ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეობა.

დაბოლოს, ბათუმის კონფერენცია, ოსმალეთის იმპერიისა და ამიერკავკასიის დელეგაციათა მოლაპარაკებები, რომლის პროცესშიც აკაკი

[9] დ. შველიძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი). თსუ საქართველოს ინსტიტუტის შრომები. ტ. XVIII. თბ. 2022, გვ. 358.

ჩხენკელის გადამწყვეტი მონაწილეობა კარგადაა ცნობილი – მან კატალიზატორის როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესში; მისი განთქმული ინსტრუქციები ბათუმიდან, რომლებსაც დაძაბული ელოდებოდა თბილისში ეროვნული საბჭო და მისი აღმასკომი; მითითებები, რომლებსაც ყოველდღიურად ავად თუ კარგად ასრულებდნენ საბჭო, აღმასკომი თუ მისი მეთაურები – ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვანი. მოკლე ინფორმაციებისაგან შემდგარი ქრონიკის სახით გავიხსენოთ ბათუმის ბატალიები.

ბათუმის კონფერენციის ქრონიკა

1918 წლის 11 მაისი – ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჰალილ ბეიმ განაცხადა, რომ ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები. ოსმალეთის ხელში უნდა გადასულიყო ახალციხე-ახალქალაქის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრები.

13 მაისი – ამიერკავკასიელთა მემორანდუმის მიხედვით, ოსმალეთის მიერ წამოყენებული პირობები უნდა განეხილა ოსმალეთის მოკავშირეებს და არა მარტო ოსმალეთს.

14 მაისი – ოსმალეთის დელეგაციამ დამატებით მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გადაცემა. გერმანელთა რჩევით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სთხოვა გერმანიას, დახმარება გაეწია პოლიტიკურ-სამართლებრივ და უსაფრთხოების საკითხებში.

15 მაისი – ა. ჩხენკელი წერილს წერს, ბათუმიდან თბილისში ნ. ჟორდანია: „შენი ტაქტიკა დამღუპველია, ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან.. უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ მიზეზის გარეშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის მისაღებ პირობებში. მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით... ასე, მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას... თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, ... თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ, პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“,[10] აქვე აღვნიშნავთ

[10] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 134, 139.

ერთ საინტერესო დეტალს. წერილს ახლავს ნიკო ნიკოლაძის მინაწერი: „ამ პოლიტიკას სავსებით ვიზიარებ და ვეთანხმები" – ესეც დიდ სამოციანელებთან მიჩქმალული, უხილავი კავშირი და მემკვიდრეობა.

16 მაისი – ეროვნული საბჭოს აღმასკომმა აირჩია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოსამზადებელი კომისია (ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე, შ. ალექსი-მესხიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილება მიღებული იყო, თბილისში პროცესი ჭიანურდებოდა ეროვნული საბჭოს ზოზინით შეშფოთებული ა. ჩხენკელი ყოველდღიურად გზავნიდა ტელეგრამებს და აჩქარებდა თავის პარტიულ ამხანაგებს: „ასეთ კრიტიკულ მომენტში პირდაპირ დანაშაულია ზიგ-ზაგი, შიში. საჭიროა გამჭრიახობა, სიმტკიცე და გამბედაობა... ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ. მაშ, საჭიროა გამბედაობა და გამბედაობა!"[11] და ა. შ.

აღარ გავაგრძელებთ. ჩხენკელის მოწოდებები ცნობილია. მათი გახსენება მხოლოდ იმისათვის ვცანით საჭიროდ, რომ მათზე ფოკუსირება მოვახდინოთ და მისი, ე. ი. აკაკი ჩხენკელის გადამწყვეტი როლი ვცნოთ დამოუკიდებლობის გამოცხადების უშუალო პროცესში. ახლა უფრო რელიეფურად შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი ფაქტორის გავლენა საკუთარ თანაპარტიელებზე, რომელნიც, ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ზოგნი მისივე შეფასებით ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, შიშობდნენ, ფრთხილობდნენ.

ცხადია, დამოუკიდებლობის წლები ახალი ეტაპი იყო აკაკი ჩხენკელის სახელმწიფო მოღვაწეობისთვის, განსაკუთრებით პირველი ექვსი თვის მანძილზე, როცა ის საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. მაგრამ ნოემბერში, გერმანიის დამარცხების შემდეგ, ა. ჩხენკელი ყოველგვარი თანამდებობის გარეშე დარჩა იგი როგორც ყოფილი „გერმანოფილი" ქართველი მინისტრი, უაღრესად არასასურველი პერსონა აღმოჩნდა ანტანტის სახელმწიფო და დიპლომატიური ელიტისათვის, რომელიც მსოფლიოს ბატონპატრონად მოევლინა. ჩხენკალი სულ ცოტა ხანს მაინც, ჩრდილში უნდა

[11] აპ. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თბ. 1998, გვ. 135-137.

დარჩენილიყო. საქართველოში და მსოფლიოში ახლა ანტანტის ეპოქა იწყებოდა.

ჩხენკელი შვეიცარიაში დამკვიდრდა, მაგრამ პასიურობა საერთოდ არ უფიქრია. იგი კვლავინდებურად აქტიურ პიროვნებად დარჩა, რომელიც თანამოაზრეებისთვის, თანამებრძოლებისათვის, განურჩევლად მათი სტატუსისა და თანამდებობრივი თუ პარტიული მდგომარეობისა, მუდმივი მრჩეველი, მუდმივი იდეოლოგი და მტკიცედ ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების პროპაგანდისტი დარჩა.

დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ევროპული საქართველო – აი აკაკი ჩხენკელის მუდმივი საზრუნავი თავისთვის და სხვებისთვის. „ჩემი ქვეყნის ბედი არ მასვენებს, ლანდად ქცეული თან დამდევს“[12] – წერდა „დღიურში“ ა. ჩხენკელი. „დასავლეთ ევროპასთან პირდაპირი ეკონომიკური და კულტურული მიმოსვლა არის ბაზა ჩვენი ქვეყნის აყვავებისა. თუ ჩვენი ერი გაევროპიელდა ყოველმხრივ ის ევროპელზე უარესად არ მოიხმარს ამ გარდაქმნას, იქნება პროგრესისა და სოციალური სამართლიანობის მატარებელი“.[13]

სამწუხაროდ, ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის ყველა არ აღმოჩნდა აღნიშნული ტრიადის ერთგული, ისეთი როგორიც უნდა ყოფილიყო. აღმოჩნდნენ დამოუკიდებლობის მერყევი, არამტკიცე, არათანმიმდევრული პოლიტიკოსები, რომლებსაც აშინებდათ რუსეთისაგან საბოლოოდ ჩამოშორების პერსპექტივა და მზად იყვნენ ისევ „დემოკრატიულ რუსეთთან“ რამენაირი გაერთიანებისა. ასეთები იყვნენ თვით სოციალ-დემოკრატ ლიდერთა შორის. მაგ., აკაკი წერეთელს ეძნელებოდა რუსეთის ორიენტაციის „სამუდამოდ დათმობა“, ხოლო ევგენი გეგეჭკორი კაკისავით „რუსეთისაკენ იყურებოდა“.[14]

აკაკი ჩხენკელი აღშფოთებული იყო უკრაინაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის ბიქტორ თევზაიას ორჭოფული გამონათქვამებით, რომელიც იმის მაგივრად რომ მტკიცედ მდგარიყო „მხოლოდ და მარტო დამოუკიდებლობის პოზიციაზე“, „ის წაღმა-უკუღმა ეუბნება ყველას, რომ საქართველო, შესაძლოა, ისევ რუსეთს დაუბრუნდესო!“. მეტიც, თევზაია აპირებდა იმ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, რომლის მიზანიც იყო კვლავ რუსეთის მთლიანობის აღდგენა. ჩხენკელი

[12] ა. ჩხენკელი. დღიურები. წიგნი პირველი. 1918-1921. მთ. რედ. ზ. გაიპარაშვილი. გამოცემაზე მუშაობდნენ: გ. ჯავახიშვილი, ს, ჭანტურიძე და სხვ. თბ. 2021, გვ. 42.
[13] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 80.
[14] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 29.

გარდა დღიურული ჩანაწერებისა, საჯაროდაც გამოთქვამდა თავის აღშფოთებას. 1918 წლის ნოემბერში ის პირადად თევზაიას წერდა მკვახე წერილს და მიუთითებდა, რომ რუსეთის გაერთიანების მომხრე კონფერენციაზე არ უნდა წასულიყო, რადგან „ჩვენი მთავრობა დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას“, ხოლო რაც შეეხება რუსეთს „ის, უცხოეთია ჩვენთვის“.[15]

საგარეო ექსმინისტრის შიში, მის პარტიულ ამხანაგებში გავრცელებული რუსოფილური განწყობების გამო იმდენად სერიოზული იყო, რომ 1918 წლის 29 სექტემბერ-ნოემბერში თავის წუხილს უზიარებდა თანამოაზრეს და მეგობარს – ნოე რამიშვილს. „არათუ ჩვენი პარტია საერთოთ, არამედ ხელმძღვანელნიც რაღაც რყევაში არიან, მათ თითქო არ სჯერათ გულის სიღრმეში დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, ზოგს შეიძლება არცა სურს ეს...“[16]

რას ურჩევდა, თხოვდა და მიუთითებდა ჩხენკელი თავის თანამებრძოლ საქართველოს მმართველებს; რატომ „აბეზრებდა მთავრობას თავს“, როგორც აღიარებდა? იმის გამო, რომ ქვეყნის და სახელმწიფოს ინტერესები პირველ რიგში დაეყენებინათ და არა – პარტიული ან პირადი ინტერესები;

იმის გამო, რომ პარიზის კონფერენციაში გასაგზავნ დელეგაციაში, ერთ-ერთი დელეგატი ყოფილიყო გამოცდილი ზურაბ ავალიშვილი და არ შეედგინათ დელეგაცია მხოლოდ პარტიული ნიშნით. ამან გამოიწვია ის წინდაუხედაობა, რომ დელეგაციამ არ ინახულა კონფერენციის წამყვანი ფიგურა კლემანსო, რაც დაუშვებელი იყო;

იმის გამო, რომ მარტო კარგი კანონების გამოცემა არ იყო საკმარისი, არამედ – მისი შესრულების აუცილებლობა;

იმის გამო, რომ უფრო ენერგიულად ეძებნათ მფარველ-მოკავშირე სახელმწიფო, რათა თავი დაეცვათ რუსეთისაგან. ვინც არ უნდა ყოფილიყო ასეთი სახელმწიფო, თუნდაც ინგლისი;

იმის გამო, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, ვოიტინსკი იგზავნებოდა პარიზში, რათა სათავეში ჩადგომოდა საქართველოს დელეგაციის საინფორმაციო სამსახურს და ეს დაუშვებელი იყო, რადგან ვოიტინსკის „კრედო ხომ რუსეთის აღდგენაა ძველ საზღვრებში“[17] და ა. შ.

[15] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 161.
[16] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 155.
[17] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 138-139.

გადაყენებული და შვეიცარიაში განმარტოებული ექსმინისტრი, რჩევა-დარიგებებს და მითითებებს არ აკლებდა თავის ლიდერ თანამებრძოლებს, არც ევროპაში და არც საქართველოში. ჩანს, რომ მის გზავნილებს შედეგი მოჰქონდა და კმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა 1919 წლის 10 იანვრის ჩანაწერში: „აი უმთავრესი ამბები. მთავრობას, როგორც ვატყობ, მიუღია უმეტესი ჩემი წერილებისა და დეპეშებისა. ის გულმოდგინედ შედგომია ქვეყნის განმტკიცებას და მის დამოუკიდებლობის დაცვას. თვით დიდი რუსოფილი გეგეჭკორი იწერება, ადერბაიჯანის პოლიტიკური წრეები რუსეთის ორიენტაციისკენ იხრებიან, ჩვენ კი მაგრათ ვართო!“[18] ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩება, რომ საქართველოს რეალური საგარეო მინისტრი ყოფილ მინისტრს ანგარიშს აბარებდა.

ამგვარ ვითარებაში, 1920 წლის დასაწყისშია კაკი ჩხენკელი საქართველოში დააბრუნეს. დაბრუნებისთანავე ის აირჩიეს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარედ. ამიერიდან მას ეძლეოდა საშუალება ახალი მდგომარეობიდან გაეგრძელებინა საქმიანობა მთავრობაზე ზემოქმედების მოსახდენად, რასაც მან სამშობლოში ჩამოსვლისთანავე შეუდგა. ცხადია, „ჩხენკელის ფაქტორი“ უფრო გაძლიერდა.

დამფუძნებელი კრება 1920 წლის 14 იანვარს საზეიმო სხდომით მიესალმა ანტანტის მიერ საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობის ცნობას. სხდომის ყველა მონაწილე და გამომსვლელი ემოციურად მიესალმებოდა დიდმნიშვნელოვან ფაქტს. მხოლოდ ერთი მოხსენება განსხვავდებოდა სხვა გამომსვლელთა სიტყვებისაგან და თვით ჩხენკელიც აღიარებს, მხოლოდ ჩემმა გამოსვლამ შეიტანა საერთო განწყობაში – დისონანსიო.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა იყო, როგორც ყოველთვის – კრიტიკული, საქმიანი და მწყობრი სამოქმედო გეგმის შემცველი.

1. მან შეაფასა დასავლეთის წამყვანი ერების მიერ საქართველოს დე ფაქტო ცნობა, მაგრამ ამავდროულად წამოაყენა დე იურედ ცნობის აუცილებლობა, რაც ანტანტის სახელმწიფოებმა არ გააკეთეს. ისინი უნდა მოქცეულიყვნენ ისე როგორც მოიქცა არგენტინა, რომელმაც საქართველოს დე ფაქტო და დე იურე დამოუკიდებლობა სცნო ერთდროულად. „მე ვფიქრობ და იმედს გამოვსთქვამ, რომ ისინი მისდევენ მაგალითს სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკის არგენტინისა, რომელმაც გვიცნო ჩვენ არა

[18] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 52.

მარტო ფაქტიურად, ფორმალურადაც (ტაში)“.[19]

2. აკაკი ჩხენკელმა ყურადღება მიაქცია საქართველოსა და ამიერკავკასიის „საკვანძო“ მდებარეობას, რასაც დღეს გეოპოლიტიკურ ხელსაყრელობას ვუწოდებთ – ევროპასა და აზიას შორის. მან წამოაყენა ფორმულა, რომ საქართველოს „ყელის“ მდებარეობა ეკავა ამიერკავკასიაში. ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ ევროპას ესმოდა ამიერკავკასია-საქართველოს მნიშვნელობა ევროპა-აზიის მშვიდობიან ურთიერთობაში. „ამიერკავკასიაში და საქართველოში ისკვნება ერთგვარი კვანძი ევროპასა და აზიას შორის“.

3. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ აკაკი ჩხენკელმა 14 იანვრის სხდომაზე წამოაყენა დიდ ბრიტანეთთან საქართველოს დაახლოებისა და მასზე ორიენტაციის აღების დოქტრინა. რა თქმა უნდა, არ ვამბობთ იმას, რომ ეს იდეა მანამდე არ არსებობდა საქართველოში. მაგრამ ბრიტანეთთან იმგვარ ურთიერთობას, რასაც დღეს სტრატეგიულს ვუწოდებთ, დაახლოებით ამგვარი პოზიცია იკვეთებოდა ჩხენკელის გამოსვლაში.

„რა თქმა უნდა – მიმართავდა ჩხენკელი კრებას და იქ მყოფ საზღვარგარეთის მისიებს, რომელთა შორის იყვნენ ბრიტანელებიც – ყველაზე უფრო ეს როლი ამიერკავკასიაში საქართველოსი ესმის დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს“. ჩხენკელს სურდა დაეფიქსირებინა „ის წერტილები, საიდანაც უნდა გამოვიდეთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს“. ჩხენკელს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ საქართველოსა და ბრიტანეთს შორის შესაძლებელი იყო, რომ გაჩნდა ახალი დაინტერესების მომენტი. „ჩვენ და ბრიტანეთს შორის ასეთი დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის საკითხი დაუკავშირდა საერთაშორისო საკითხს, დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის (საკითხი) საერთაშორისო საკითხად იქცა...“[20]

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობის ემოციურ-ისტორიული ეპიზოდიც გაიხსენა იმის დასადასტურებლად, რომ ბრიტანელები საქართველოს კულტურულადაც და ინტელექტუალურადაც კარგად იცნობდნენ. მან გაიხსენა 1909 წლის დეკემბერი, როცა მან ვარლამ ჩერქეზიშვილთან და კიდევ ერთ ქართველ ემიგრანტთან, ანდრონიკაშვილთან ერთად, გარდაცვალებული

[19] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V. თბ. 2019, გვ. 12.
[20] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V, გვ. 17.

მარჯორი უორდროპის დაკრძალვაზე ჩაიტანეს საქართველოდან გაგზავნილი სამგლოვიარო გვირგვინი და იქ კი გაიგეს გარდაცვლილის დანაბარები, სიკვდილის წინ: „თუ საქართველომ გამოგზავნოს გვირგვინი მხოლოდ ის ჩამატანეთ საფლავში და სხვა არაო“. ჩხენკელისთვის და ქართველი საზოგადოებისთვის, და-ძმა უორდროპები ორი ქვეყნის ურთიერთობის სიმბოლოებად აღიქმებოდნენ, რომელთაგან – ოლივერი თითქოს ბედისწერით, იმხანად – ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი გახლდათ საქართველოში. „ეს ორი და-ძმა – მიმართავდა აკაკი ჩხენკელი კრებას, რაღაც სიმბოლიურს წარმოადგენს ჩვენთვის: და იყო, მე ვფიქრობ სიმბოლო ჩვენი ერის დიდ ბრიტანეთის ერთან, კულტურულათ, ინტელექტუალურათ დაკავშირებისა, ძმა კი არის ჩვენი სახელმწიფოს დიდ ბრიტანეთთან სუვერენულათ დამაკავშირებელი“.[21]

ერთი სიტყვით, ჩხენკელმა ხელისუფლებას მიმართა რომ ფაქტობრივად დე ფაქტო ცნობით იწყებოდა ნამდვილი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ეტაპი, რომელიც გულისხმობდა მოკავშირე სახელმწიფოებთან და – დიდ ბრიტანეთთან განსაკუთრებულ პოლიტიკურ მუშაობას, რაც გულისხმობდა ამ უკანასკნელთა მფარველობა-მხარდაჭერას საქართველოსადმი.

ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი იმედები განწირული აღმოჩნდა და მას წინ გადაეღობა უფრო დიდი მასშტაბის საერთაშორისო მოვლენები. საქართველოს დიდ ევროპულ ოჯახში შესვლა იმხანად ვერ განხორციელდა. ჩვენი მიზანი იყო – დაგვესაბუთებინა აკაკი ჩხენკელის განსაკუთრებული როლი და დამსახურება – ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების ჯერ წამოჭრით, მერე იგივე ღირებულებების დანერგვით და მანვე – ყველაზე მეტად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული სოციალ-დემოკრატიის განაციონალების პროცესში. ამ მხრივ სრულიად შესაძლებელია და რელევანტური, რომ ვისაუბროთ აკაკი ჩხენკელის ფაქტორის შესახებ, რა თქმა უნდა სხვა გარემოებებთან ერთად – ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებებისადმი შემობრუნების პროცესში, რაც დაიწყო 1910-იანი წლებიდან და განსაკუთრებით რეალურად განხორციელდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამწლეულში.

აკაკი ჩხენკელმა ნამდვილად დაიმკვიდრა განსაკუთრებული და საპატიო ადგილი ქართველ მამულიშვილთა შორის.

[21] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V, გვ. 18.

Dimitri Shvelidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

THE AKAKI CHKHENKELI FACTOR*

Summary

The prominent Georgian Social-Democrat Akaki Chkhenkeli was elected in 1912 as a member of the Fourth State Duma of Russia. Initially, it was believed that A. Chkhenkeli supported cultural-national autonomy for Georgia. During his famous speech in the Duma on December 10, 1912, A. Chkhenkeli effectively put forward the demand for political autonomy for Georgia. The demands he listed corresponded more to political autonomy than to cultural-national autonomy.

He believed that Social Democrats should equally fight not only for social equality, but also for achieving national freedom.

A. Chkhenkeli's such national position was sharply criticized by V. Lenin and the Bolsheviks. Subsequently, the position of Lenin and the Georgian Bolsheviks was entirely shared by Soviet historiography.

Our goal was to substantiate Akaki Khankheli's special role and merit in Georgian Social-Democracy through the initial raising, and then the implementation, of national-state priorities. He, more than anyone else, played a decisive role in the process of the nationalization of Georgian Social-Democracy. In this regard, it is entirely possible to speak of the Akaki Chkhenkeli factor, in the process of Georgian Social-Democracy's turn toward national-state values - which began in the 1910s and was particularly realized during the three-year existence of the First Republic of Georgia. Akaki Chkhenkeli truly earned a special and honorable place among Georgian patriots.

For a long time, Soviet historiography labeled Akaki Chkhenkeli's national position as bourgeois-nationalist and believed that his goal was the restoration of a bourgeois-landowner state. An objective assessment of Akaki Chkhenkeli's work became possible in the conditions of modern free Georgian historiography.

* This research [FR-24-19560] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

ნათია მირიანაშვილი
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის განყოფილების უფროსი,
საქართველოს ეროვნული არქივი,

ია თუთაშვილი
უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივის დირექტორი,
საქართველოს ეროვნული არქივი

ნოდარ შოშიაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის ტაძარის ბედი 1921-1938 წწ.*

ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი მდებარეობს ქვემო ქართლში, უშუალოდ „ბოლნისის ხევში“, მდ. ფოლადაურის სათავეებთან, ლოქ-ლელვარის მთის ძირში. ისტორიული ქვემო ქართლის ეს ტერიტორია დღეს სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა მოქცეული, საქართველოსა და სომხეთის დღეს მოქმედი საზღვრიდან დაალოებით 350-400 მ-ის დაშორებით. სამონასტრო კომპლექსთან ერთადერთი ახლომდებარე სოფელია ახკერპი (ძველი ჰუჯაბი), რომელიც მონასტრიდან 1კმ-ში მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სახელმწიფო ადმინისტრაციული დაყოფით მარნეულის რაიონში შედის, ხოლო სოფელი და იქ მდებარე ახლად დაარსებული მცირე მონასტერი და ეკლესია საეკლესიო დაყოფით, მარნეულ-ჰუჯაბის ეპარქიას ეკუთვნის. მიუხედავ-

* პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის N FR-22-2916), 2023-2026 წწ.) – „საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში – შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და რესპუბლიკათაშორისო საზღვრები 1922-1936 წლებში“ – ფარგლებში.

ად ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობისა, ჰუჯაბის მონასტერი, მისგან 22 კმ-ის დაშორებით ლელვარის მთის გადაღმა, ალავერდის რაიონის ს. პრივოლნოეში მდებარე მართმადიდებელი სარწმუნოების რუსულ ეკლესიაზეა მიწერილი, რაც 1921 წლიდან საზღვრების შეცვლის შედეგია.

1921 წლამდე ქვემო ქართლის ეს ტერიტორიები, „სომხითი“ და ლორე, საქართველოს ეკუთვნოდა. რევოლუციამდე შინაკავკასიური საზღვრების საკითხი არ არსებობდა. კავკასია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ნაწილებად, გუბერნიებად და მაზრებად. 1801 წელს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, ქვემო ქართლი ლორეს მაზრის სახელწოდებით (ისტორიული ლორე-ტაშირი, რომელიც შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯის და ბამბაკის მთებით, მოიცავდა ტაშირის წყლის ხეობას. ეს მხარე წყაროებში ხშირად ლორედ იწოდებოდა, რადგან ცენტრი იყო ლორეს ციხე) მის იურისდიქციაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ლორეს მაზრის სამხრეთი სასაზღვრო ხაზი, რომელიც მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა, ყოფილ დამოუკიდებელ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივი იყო. 1804 წელს ლორეს მაზრა თბილისის მაზრად გადაკეთდა. 1840 წელს ქვემო ქართლის ტერიტორიის ნაწილები ბამბაკი, ბორჩალო, შამშადილო, შულავერი თბილისის გუბერნიის ელიზავეტპოლის მაზრაში შევიდა, მოგვიანებით შეიქმნა შულავერის ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც 1880 წელს ეწოდა ბორჩალოს მაზრა, ცენტრით შულავერი. ბორჩალოს მაზრა შედიოდა თბილისის გუბერნიაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოსა და სომხეთს შორის დაიწყო დიპლომატიური დავა საზღვრების შესახებ, რომელიც მალე საომარ მოქმედებაში გადაიზარდა. საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი სომხეთთან. დაიწყო მათ შორის საომარი მოქმედებები, რამდენიმე დღეში ქართველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, მტერი უკან იხევდა, მაგრამ ამ დროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატორებად გამოვიდნენ კავკასიაში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები.

1918 წლის 23 დეკემბერს ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისის მისიის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი რეიკროფტი და საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი შარდინი, მათ თან ახლდა სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი ჯამალიანი. 1918 წლის 25 დეკემბერს თბილისში გაიმართა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ჯამალიანის

პროტესტის მიუხედავად მიიღეს შემდეგი დადგენილება: „შერეული კომისია, რომელშიც შევლენ ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ ფრონტზე, რათა თვალყური ადევნონ შეთანხმების პირობების შესრულებას. კომისიამ უნდა განსაზღვროს გარნიზონების რიცხვი, რომელიც უნდა დატოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო სომხებმა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში. გარნიზონები იქნება მცირერიცხოვანი. საქართველოს ჯარები დარჩებიან იმ ხაზზე, რომელიც ამჟამად უჭირავთ. სომხებმა უნდა დაიხიონ ოსმალური ხაზისკენ: დისიხ-ჯელალ-ოღლიზე. ინგლისური პიკეტები ჩადგებიან რკინიგზაზე ქართველ და სომეხ ჯარებს შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული... საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში გაგზავნილი იქნებიან ევროპაში, სადაც საზღვრების საკითხი გადაწყვეტილი იქნება დიდი სახელმწიფოების მიერ“.[1]

1918 წლის 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ მიიღო ეს დადგენილება და 31 დეკემბერს 24 საათზე საქართველო-სომხეთს შორის შეწყდა საომარი მოქმედებები. ამ პერიოდისათვის საქართველოს ჯარები იდგნენ შემდეგ ხაზზე: სოფელი ოფრეთი, ხოჯორნი, გიულ-ბაგი, სოფელი სადახლო, სადგური სადახლო, ქიმი სიმაღლის 1554 (სადგურ სადახლოს ჩრდილოეთით), სიმაღლე 2660 ჩრდილო-აღმოსავლეთით და შემდეგ წარწერა „წყარო“, რომელიც მდებარეობს კლდეების კაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით.[2]

მოსახლეობის უმრავლესობაში ამ ზავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენი ჯარების წარმატებულმა მოქმედებებმა იმედი ჩასახა, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს საბოლოოდ გადაწყვეტდა თავისი ისტორიული ტერიტორიების ბედს.

7 იანვარს თბილისში მუშაობა დაიწყო სამშვიდობო კონფერენციამ, რომელსაც ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის მისიის და საქართველოსა და სომხეთის მთავრობების წარმომადგენლები. დაადგინეს, რომ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთი საზღვარი უნდა გავიდეს ხაზზე, რომელიც აერთიანებს იმ პუნქტებს, რომლებიც საქართველოს ჯარის ნაწილებს ეჭირათ 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისთვის. ნეიტრალური ზონის სამხრეთ საზღვრად ბორჩალოს მაზრაში ითვლება

[1] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), ცენტრალური საისტორიო არქივი (ცსა). ფონდი (ფ.) 1864. ანაწერი (ან.). 1. საქმე (საქ.) 31, გვ. 145.
[2] სეაცსა. ფ. 1864. ან. 1, საქ. 39, გვ. 21.

ოსმალთა ყოფილი ხაზი დისიხ-ჯელალ-ოღლი[3], რომელიც განსაზღვრული იყო 1918 წლის 25 დეკემბრის შეთანხმებით.

საქართველოს ჯარების რაოდენობა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაში, ხოლო სომხეთის ჯარისა ბორჩალოს მაზრაში განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში იქნება საქართველოს ჯარები;

ა) სასაზღვრო ჯარის რაზმები საერთო რიცხვით არა უმეტეს 200 კაცისა ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფელ ოფრეთამდე;

ბ) აშაღა-სერალის სადგურიდან სამი ასეულისაგან შემდგარი ბატალიონი, არა უმეტეს 300 კაცისა, მათ რიცხვში ჩაითვლება ჯარის მომსახურე პირები, ტყვიამფრქვეველთა ასეული 4 ტყვიამფრქვევით, არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზანი, საჭირო მომსახურე პერსონალით, ამ ბატალიონიდან შეიძლება დარაჯების დაყენება ოფრეთთან და სადახლოსთან, თითოეულ შემთხვევაში არა უმეტეს 60 ჯარისკაცისა;

გ) სასაზღვრო დარაჯების რაზმი, რომელთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 50 კაცს, იდგება სადარაჯოზე წყაროდან ვიდრე მდინარე ხრამი მტკვარს შეუერთდებოდეს;

რაც შეეხება სომეხთა ჯარებს ბორჩალოს მაზრაში:

ა) ერთი ასეული არაუმეტეს 125 კაცისაგან შემდგარი, მასში შედის მომსახურე პერსონალიც. ეს ასეული იდგება სოფელ კალაგერანში და სოფელ დიხისში;

ბ) ჯელალ-ოღლის რაიონში გერგერის ახლოს, გერგერში და ნიკოლაევკაში იდგება 3 ასეულისაგან შემდგარი ბატალიონი, საერთო რიცხვით არაუმეტეს 360 კაცისა, მათში ჩაითვლებიან ჯარის მსახურნიც, ტყვიამფრქვეველთა ასეული 4 ტყვიამფრქვევით, არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზანი შესაფერი მომსხურე პერსონალით;

გ) ერთი ასეული არაუმეტეს 125 კაცისაგნ შემდგარი, რომელთა რიცხვშიც ჩაითვლებიან მსახურნიც, იდგება საუფლისწულო მამულშიც (ბეროზოვაია ბალკა) სოფელ ნოვოპოკროვკაში;

დ) საქართველოს ჯარები ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთით წალკითურთ და სომხეთის ჯარები ამავე მაზრის სამხრეთ ნაწილში მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს 600 ჯარისკაცს, თითოეულ ნაწილში შესაფერისი საარტილერიო მსახურებითა და ზარბაზნებით;

[3] ჯალალ-ოღლი – თანამედროვე ქ. სტეფანავანი, სომხეთის რესპუბლიკაში.

ე) მხარეებს უფლება აქვს ქვეითი ჯარები შესცვალონ ცხენოსნებით;ე) ორივე მხარე კისრულობს ა, ბ, გ, პუნქტებში მოყვანილი პირობების შესრულებას 14 იანვარს, 1919 წლის 24 საათამდე.

რაც შეეხება ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის მართვას, მიიღო შემდეგი დადგენილება:

1) ნეიტრალურ ზონას მართავს კომისია მოკავშირეთა ხელმძღვანელობით და კონტროლით;

2) უშუალო მართვა ეკუთვნის საკოლეგიო კომისარიატს, რომელიც შედგება საქართველოსა და სომხეთის თითო წარმომადგენლისაგან, მოკავშირეთა სარდლობის კონტროლქვეშ. რაიმე საკითხის შესახებ ამ წარმომადგენელთა შორის ატეხილ დავას სწყვეტს მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი;

3) მართვის შემდეგი დაბალი, სასოფლო ინსტანცია აირჩევა ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ;

4) სასამართლოსა და საფინანსო მოღვაწეობის ინსტანციები მუშავდება კომისარიატის მიერ;

5) მართვის ხარჯებს თავისთავზე ღებულობს ბრიტანეთის მთავრობა იმ პირობით, რომ მომავალში ეს ხარჯი დაეკისროს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ეს სადაო ნაწილი მიეკუთვნება საბოლოოდ. რადგან ნეიტრალურ ზონაში რკინიგზის ხაზის შესახებ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა და სომხეთის მთავრობის წარმომადგნლებმა კი განაცხადეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას ისინი მოკავშირეთა სარდლობას ანდობენ, კონფერენციის თავმჯდომარემ მიღებული ინსტრუქციის მიხედვით დაადგინა, რომ რკინიგზის ხაზი, ნეიტრალურ ზონაში, გადაეცეს საქართველოს რკინიგზათა სამმართველოს, მოკავშირეთა სარდლობის თვალყურის დევნებით.[4]

მოკავშირეთა სარდლობის ინიციატივით 1919 წლის 28 თებერვლიდან 3 მარტამდე მიმდინარეობდა მეორე კონფერენციის სხდომები, სადაც საქართველო-სომხეთის ურთიერთობის დანარჩენი საკითხებიც იქნა მოგვარებული ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დონეზე. თბილისში კვლავ გაიხსნა სომხეთის დიპლომატიური მისია ძველი უფლებებით.[5]

[4] სეაცსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიკროფირების აღწერილობა. ფ. 1864. ან. 1. საქ. 39, gv. 32.

[5] გაზ. „საქართველო“. 1919 წლის 5 მარტი.

ტრადიციულად, ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი კარტოგრაფიული წესით დგინდება და გადის ძირითად ქედებსა და დიდ წყალგამყოფებზე, მდინარეებზე და სხვა. ამ შემთხვევაში კი „ლორეს ნეიტრალური ზონა“ (ან „ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონა“) დროებითი მოქმედების უნდა ყოფილიყო და მიზნად ისახავდა სიტუაციის დამშვიდებას; შესაბამისად მისი სადემარკაციო საზღვრებიც დროებითი იყო – საჰაერო. საზღვრები ამ ბუფერული ზონის ირგვლივ ნაჩქარევად იყო მიღებული ორ ერს შორის დაძაბულობის განსამუხტად და არ იყო დადგენილი საყოველთაოდ მიღებული წესებით – კარტოგრაფიული – ბუნებრივი და გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, ან სხვა პრინციპების გათვალისწინებით. ეს სამხედრო-საჰაერო სადემარკაციო საზღვარი უმეტესად ტყის მასივებს მოიცავდა, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს იყო გამოყენებული სომხური ჯარის მიერ. ამიტომ „ნეიტრალური ზონის“ საზღვარი პირობითად ტყის ნაპირების გაყოლებით გაატარეს, ამ ბუფერული ზონის საზღვრები პირობითად დააფიქსირეს იქ, სადაც საომარი მოქმედებების დროს მოწინააღმდეგეების ჯარები შეაჩერეს. აქედან რამდენიმე თვეში, 1919 წლის აგვისტოში ბრიტანეთის ჯარმა ბორჩალოს მაზრიდან და მესხეთიდან გაიყვანა ჯარები, ხოლო 1920 წლის ივლისში ბათუმიც დატოვა. ბრიტანეთი ერიდებოდა პრობლემებს ბოლშევიკურ რუსეთთან. ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის მიტოვებას მაშინ, როდესაც ჩრდილოეთიდან მას უკვე უახლოვდებოდა რუსეთი, სამხრეთიდან კი ოსმალთა ახალი ჯარები ირაზმებოდნენ.

1920 წლის 27 აპრილს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში, 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში. 1921 წლის 11 თებერვალს მე-11 წითელმა არმიამ სომხეთის მხრიდან დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოშიც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დროიდან საქართველო-სომხეთის საზღვრების საკითხი ღიად დარჩა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საზღვრების საკითხმა დაკარგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ფაქტიურად რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. ბოლშევიკებს რესპუბლიკათაშორისი საზღვრები დროებით მოვლენად მიაჩნდათ და აღნიშნავდნენ, რომ – „მომავალში გვექნება ერთი კომუნისტური მსოფლიოს რესპუბლიკა, რომლის საზღვრები მხო-

ლოდ მთელი დედამიწის ზურგი იქნება და რომელსაც სახელად სახელმწიფო აღარ ერქმევა“.[6]

ლაპარაკი აღარ იყო სახელმწიფოებრივ საზღვრებზე. საქართველოს კომუნისტებმა საზღვრების საკითხი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით გადაწყვიტეს. მათ საქართველოს ისტორიული მიწები დაუთმეს “მოძმე ხალხს”.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, ს. კიროვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა წარმოედგინა თავისი შეხედულებები და წინადადებები ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების შესახებ. კომისიის სხდომები იმავე წლის 25-27 ივნისს შედგა ქ. თბილისში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), საქართველოს მხრიდან ა. სვანიძე, ს. თოდრია, სომხეთის მხრიდან ტ. ბეკზადიანი, აზერბაიჯანის მხრიდან ომარ ფაიკი, ჰუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ ზადე. ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი ბეკზადიანი, რომელმაც აღნიშნა: „მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად. უმდიდრესი ქვანახშირის და მარილის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთისის და ყაღიზმანის ტყიან-საძოვრებიანი რაიონები. გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მივუჩინოთ... ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები – სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა. ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს, გაითვალისწინონ სომხეთის განსა-

[6] გაზ. „კომუნისტი“. 1921 წლის 30 აგვისტო.

კუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ გულწრფელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისთვის, დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში“.[7]

აშკარაა, სომხეთის დელეგაცია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის ზრუნავდა და ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მდგომარეობას. საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმაც მიუღებლად მიიჩნიეს ტერიტორიის ჩამოჭრა. ოქმში ჩაწერილია: „გამიჯვნის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისათვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიების ჩამოჭრა“.[8]

25 ივნისის სხდომაზე გადაწყდა, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ჯერჯერობით ლაპარაკი არ უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიების ჩამოჭრაზე.

25 ივნისის კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაზეც. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ამ ზონის მთლიანად სომხეთისათვის გადაცემას. ქართველები უარყოფდნენ ჩამოჭრის პრინციპს და სადავო ნეიტრალურ ზონას ყოფდნენ ორ სექტორად. აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორად. „ნეიტრალურ ზონაში მოეწყოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და ხაზით მთა პალუტლიბაში, მთა ვარტიკეხი, მთა შახალამი, შემდეგ მდინარე დებედა-ჩაის გაყოლებით აქორის სოფლებამდე, მთა გუგან-კარი, მთა ლეჯანი, ადგილი დაიბატლი, მთა აიდერბეგი, მთა აპაკლუ, სოფ. ალექსანდროვკა, სოფ. კამენკა, სოფ. გერგერი (რუსული სოფლები) ბეზობდალის მთამდე (მწვერვალამდე 2 კილომეტრით აქეთ) გაიყოს ორ სექტორად – აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად. ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვდნენ მეორე საქტორს“.[9]

25 ივნისს შეთანხმება არ იქნა მიღწეული. მეორე სხდომა 26 ივნისს გაიმართა. სხდომას კომისიის წევრების გარდა ესწრებოდნენ გ. ორჯონი-

[7] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ. „მაცნე“ ისტორიის... სერია. თბ. 1990 წ. №1, გვ. 23.
[8] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ, გვ. 23.
[9] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ, გვ. 25.

კიძე, მ. ორახელაშვილი და შ. ელიავა. ამ სხდომაზე ბეკზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას: კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ყველა საკითხი გადატანილი იყოს ამიერკავკასიის კონფერენციაზე. წინადადება არ მიიღეს. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს. აღმოსავლეთ სექტორი სომხეთს დარჩეს, დასავლეთ სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი. სომხეთის დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებას. თუმცა საბოლოოდ შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა და 27 ივნისს სხდომა შეწყდა. ივნისის ბოლოს ი. ბ. სტალინი, რომელიც დასასვენებლად იმყოფებოდა ნალჩიკში, ჩამოვიდა თბილისში, რათა მონაწილეობა მიეღო კავბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 1921 წლის 2-7 ივლისს.[10]

1921 წლის 7 ივლისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოს და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს და სომხეთის საგარეო საქმეთა კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა.[11] ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტბიურომ 1921 წლის 16 ივლისს. სხდომამ დაადასტურა კავბიუროს დადგენილება ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემის შესახებ. თუმცა ბუდუ მდივანმა განაცხადა, ეს საკითხი რომ წინასწარ არ ყოფილიყო გადაწყვეტილი კავბიუროს დადგენილებით, იგი მიზანშეწონილად ჩათვლიდა მოსახლეობის გამოკითხვას (პლებისციტს).[12] იგივე საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა 1921 წლის 3 აგვისტოს გამართულ პლენუმზე. დაადასტურა საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტბიუროს დადგენილება ნეიტრალური ზონის შესახებ, იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავბიუროში არ ჰქონდათ გათვალიწინებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრი, ეთხოვოს კავბიუროს ხელახლა განიხი-

[10] С. Хармандарян. Ленин и становление закавказской федерации 1921-1923 гг. Эреван. 1969, გვ. 104.
[11] С. Хармандарян. Ленин и становление закавказской федерации, გვ. 10.
[12] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (შსს არქივი). ფ. 14. ან. 1. საქ. 7, გვ. 1.

ლოს ეს საკითხი, თავის მხრივ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში.[13]

1921 წლის 6 ნოემბერს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბუდუ მდივნის და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე მიასნიკოვის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოს სს და სომხეთის სს რესპუბლიკებს შორის საზღვარი. სომხეთს უნდა გადასცემოდა ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა. სოფლები ირგინჩაი, საათლო, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოჟორნი, ბრდაძორი, სადახლო დარჩა საქართველოს ფარგლებში.[14]

ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე, 1922 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მინათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ახტალის სატყეოს გადასცა ლოქ-ლალვარის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტყე, სულ 15-18 ათასი დესეტინა.[15]

სულ მალე ნათელი გახდა, რომ 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება ყოვლად უვარგისი იყო. საზღვარი გავლებული იყო სოფლიდან სოფლამდე რუკაზე ხაზისებურად. აღმოჩნდა რომ სოფელ სადახლოს, ბრდაძორის, გიულ-ბაღის, ხოჟორნის, ოფრეთის, დმელახის, ჩანახჩისა და ახკერპის სანადელო მიწები იყო გაჭრილი, გაკვეთილი, ზოგიერთ შემთხვევაში თვით სოფლებიც კი ნაწილებად იყო გაყოფილი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მთლიანად დარღვეული იყო ამ რაიონის ცხოვრებისეული ეკონომიკური და სამეურნეო ინტერესები. მოგვიანებით, საქართველოს მინათმოქმედების სახალხო კომისარი ს. თოდრია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ: „საქართველოს და სომხეთს შორის 1921 წლის 6 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება არანორმალურია, რადგანაც ესაა საზღვარი ყოფილი ნეიტრალური ზონისა საქართველოს მხრიდან, რომელიც დადგენილი იყო არანორმალურ პირობებში, სომხეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. ეს სასაზღვრო ხაზი დაადგინა ინგლისის ხელისუფლებამ დროებითი ზავის დადების დროს და სასაზღვრო ხაზი გადიოდა იმ პუნქტებზე, სადაც საქართველოს ჯარებს მოუსწრო დროებითმა ზავმა. აქ-

[13] შსს არქივი. ფ. 14, ან. 1, საქ. 5, გვ. 41.
[14] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (უიცა). ფ. 607, ან. 1, საქ. 1135, ფურცელი. 11;
[15] სეაუიცა, ფ. 7.

ედან გამომდინარე, სრულებითაც არ იყო გათვალისწინებული, ამ რესპუბლიკების არც გეოგრაფიული, არც ეთნოგრაფიული მხარე, არამედ უბრალოდ იყო დადგენილი დროებითი სადემარკაციო ხაზი, სახელმწიფო საზღვრის საბოლოო დადგენამდე. შემდეგ ეს საკითხი გადაწყდა. ნეიტრალური ზონა გაიყო ორ რესპუბლიკას შორის. ამასთან საქართველოს საზღვარმა გადაიწია ლოქ-ლალვარის ქედის იქით...“.[16]

ეს საკითხი განიხილეს 1923 წლის 30 აპრილს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული საზღვრების გამმიჯნავი კომისიის სხდომაზე. კომისიის დადგენილებით შეიცვალა ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის და დადგინდა ლოქ-ლალვარის ქედზე. სოფლები ირგინჩაი, საათლო, სადახლო დარჩა დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით საქართველოს ფარგლებში თავისი სანადელო მიწებით. ახლად დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით და 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს შორის მდებარე ტყე დარჩა ერთობლივ მფლობელობაში.[17]

ამ დადგენილებას არ დაეთანხმა სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თავმჯდომარე ათაბეკიანი. ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაამტკიცა ეს დადგენილება. სასაზღვრო დავა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა.

არ შეიძლება განცვიფრების და აღშფოთების გარეშე წავიკითხოთ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების მომწესრიგებელი ერთერთი, ეროვნებით არაქართველი ექსპერტის დასკვნა, რომელიც მან გაუგზავნა ამიერკავკასიის ცაკს 1926 წლის 8 ივნისს: „მისი დადგენის დროს (იგულისხმება 1921 წლის 6 ნოემბრის შეთანხმება) მიასნიკოვი და ბუდუ მდივანი შესანიშნავად ორიენტირებდნენ რუკაზე, მათ მიერ არ იყო გათვალისწინებული არც ერთი სიმაღლე... მით უფრო უნდა დაეინახათ თოვლიანი ლოქ-ლალვარის ქედი; ცხადია, რომ ისინი ამყარებდნენ ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარს მაზრებს შორის და ამიტომ 1923 წლის 30 აპრილის საზღვარი არ არის 1921 წლის 6 ნოემბრის საზღვრის „ცხოვრებისეული ვარიანტი“, არამედ ეს არის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემოთავაზებული სრულიად დამოუკიდებელი საზღვარი. თუმცა სახელმწიფოებს რომ დაედგინათ სტრატეგიული საზღვარი, რომელიც გამიჯნავდა სომხეთისა და სა-

[16] სეაუიცა. ფ. 607, ან. 1. საქ. 75, გვ. 7.
[17] სეაუიცა. ფ. 285, ან. 1. საქ. 819, გვ. 4.

ქართველოს სახელმწიფოებს, უკეთ დაიცავდა საზღვარს ომის შემთხვევაში, უკეთეს საზღვარს ვერც მოძებნიდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა თუ საზღვრად ჩაითვლებოდა არა ლოქ-ლალვარის ქედი, არამედ ქედი, რომელზედაც გადის საზღვარი თურქეთისა და სსრკ შორის და მისი დასასრული არ შეიძლება იყოს სადგურ სადახლოზე, არამედ უნდა გაგრძელებულიყო აირუმზე, ყარაქილისზე და ა. შ. სანამ ქედი არ დამთავრდებოდა. მიასნიკოვი და მდივანი ძალიან კარგად ერკვეოდნენ ეკონომიკურ საკითხებში, როცა ამყარებდნენ მოცემულ საზღვარს. ის მხოლოდ ტექნიკურად უნდა გასწორებულიყო და უსარგებლო დავა დიდი ხანია შეწყდებოდა.

მთიან ლორეში მცხოვრებ გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ ტყე, ტყე მათთვის არის აუცილებელი სასიცოცხლო პირობა".[18] ამაზე უფრო ცინიკურ განცხადებას ვერ წაიკითხავ, ამ ექსპერტის ერთადერთი არგუმენტია, რომ „მთიანი ლორეს გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ" ტყე.

ამ არგუმენტსავე ეყრდნობა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის შადუმეცის განცხადება, რომ „როგორც ცნობილია, სომხეთი ღარიბია ტყით და მისი მასივი არ აღემატება 5-6%-ს, მაშინ, როცა საქართველოს ტყის მასივი აღწევს 27%-ს".[19] ყოველივე ეს მათ უფლებას აძლევთ უარყონ საქართველოს წარსული, სასიცოცხლო ინტერესები და მიიტაცონ მისი ისტორიული მიწები.

1928 წლის 10 აგვისტოს ქალაქ თბილისში ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის 16 ივლისის დადგენილებით შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაზრების გამმიჯნავი კომისია იაკუბოვის ხელმძღვანელობით. სხდომამა განიხილა ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაზრებს შორის არსებული სადავო საკითხები. აზრთა გაცვლის შემდეგ კომისიამ მოხაზა ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი, რის საფუძველზეც სოფლები სადახლო, გიულბაღი, ხოჟორნი, ხოხმელი, ოფრეთი და ჯანდარი თავისი სანადელო მიწებით რჩება ბორჩალოს მაზრის ფარგლებში, ხოლო სოფლები ბრდაძორი, ჩანახჩი და ახკერპი თავისი მიწებით გადაეცა ლორე-ბამბაკის მაზრას. გადაწყდა სოფელ ოფრეთისა და ჯილიზას შორის არსებული სადავო მიწის საკითხი მდინარე შულავერ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე გადაწყდეს სოფელ ოფრეთისათვის სოფელ ჩანახჩის მიწებიდან ტოლი მიწის გამოყოფით ან სხვა საშუალებით, რომელიც

[18] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 551, გვ. 88-94.
[19] სეაუიცა. ფ. 617. ან. 2. საქ. 53, გვ. 13.

ადგილზე გამოკვლევის შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი იქნება.[20] ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა ადგილობრივ კომისიას ორივე მხარის წარმომადგენლებთან ერთად“... ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოთქვა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც არ ესწრებოდა სხდომას. იგი აღნიშნავდა, რომ „ამ აქტზე ხელმოწერა, რომლის ცხოვრებაში გატარება ფაქტიურად შეუძლებელია, იყო არასწორი. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ბორჩალოს და ლორებამბაკის მაზრებს შორის საზღვრის გავლების შესახებ არის საზღვარი ლოქ-ლალვარის წყალგამყოფ ქედზე. ყოველგვარი გადახვევა ამ ხაზიდან რომელიმე მხარეს საბოლოო შედეგად ყოველთვის მიგვიყვანს საკითხის ხელახლა გადასინჯვამდე..."[21] მართალი აღმოჩნდა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, წინააღმდეგობა გრძელდებოდა დასხელებული სოფლის მცხოვრებნი კატეგორიულად ითხოვდნენ მათ მიწერას საქართველოსთან. მართალია ეს სოფლები მოხვდა სომხეთის მფლობელობაში, მაგრამ ადმინისტრაციულად კვლავ საქართველოს, ბორჩალოს მაზრას ემორჩილებოდნენ. ალავერდის რაიონთან ფაქტიურად შეუძლებელი იყო ურთიერთობა. ამ რაიონისაგნ ამ სოფლებს ჰყოფდა უღელტეხილი, რომელზედაც გადიოდა მხოლოდ ბილიკი, ზამთარში კი მთლიანად მოწყვეტილი იყო ეს მხარე სომხეთისაგან. აქედან გამომდინარე შექმნილი კომისია ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ბუნებრივ-ისტორიული პირობები მოითხოვდნენ სოფლები ახკერპი, ჩანახჩი და ბრდაძორი ეკონომკურად დაკავშირებული ყოფილიყვნენ ბორჩალოს რაიონთან.

1934 წლის 13 თებერვალს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე კვლავ განიხილეს ბორჩალოსა (საქართველოს სსრ-ში) და ალავერდის (სომხეთის სსრ-ში) რაიონებს შორის საზღვრების მოწყობის საკითხი და დაადგინეს: ა) აუცილებელია სოფლების ახკერპისა, ჩანახჩის და ბრდაძორის „საქართველოსათვის გადაცემა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში; ბ) შეიცვალოს რესპუბლიკური საზღვარი ბორჩალოს და ალავერდის რაიონებს შორის „ა“ პუნქტის გათვალისწინებით; გ) დასახელებულ სოფლების მცხოვრებლებს ნება მიეცეთ ხანგრძლივ ვადიან საარენდო უფლებით ისარგებლონ მიმდებარე ტყის მასივით, რომელიც დარჩა სომხეთის მფლობელობაში; დ) დაევალოს ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერა-

[20] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 1761, გვ. 25.
[21] სეაუიცა. ფ. 607, ან. 2. საქ. 167, გვ. 27-28.

ციული რესპუბლიკის მინათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება".[22]

1934 წლის 2 მარტს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოხდა ამ გადაწყვეტილების რატიფიკაცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სოფლების ხოჟორნისა და ოფრეთის სოფლსაბჭოებს შორის განაწილების შესახებ. სოფელი ჩანახჩი და ახკერპი გადაეცა ოფრეთის სოფლსაბჭოს, ხოლო სოფელი ბრდაძორი ხოჟორნის სოფლსაბჭოს".[23] 1934 წლის დადგენილების მიხედვით, 1920-იან წლებში სარგებლობის უფლებით გადაცემული ტყე და მათ შორის, ჰუჯაბის მონასტერი რჩებოდა სომხეთის სსრ ფარგლებში. ბორჩალოს რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ითხოვდა მონასტრის გადაცემას ბორჩალოს მაზრისათვის. ეს მოთხოვნა განიხილა ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ 1934 წლის 16 სექტემბერს. სხდომამ დაავალა სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განეხილა საკითხი ახკერპის რაიონში მდებარე მონასტრის საქართველოსათვის გადაცემის შესაძლებლობის შესახებ. (218) სომხეთმა რა თქმა უნდა, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. 1935 წლის 23 დეკემბერს ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ემინოვი კვლავ აყენებს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე მონასტრის დაბრუნების საკითხს. ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობდა სოფელ ახკერპიდან 1 კმ-ის დაშორებით. როგორც ბორჩალოს რაიონული აღმასკომის ოქმში ვკითხულობთ, სტეფანავანის რაიაღმასკომმა მონასტერი გადასცა სოფელ პრივოლნოეს და გააუქმა მონასტერი. იყენებდა მას როგორც საღორეს. სოფელი პრივოლნოედან მონასტერი დაშორებული იყო 20 კილომეტრით. მონასტერთან არ იყო სახნავი მიწები, ამიტომ საღორის მოწყობას აუცილებლად მოყვებოდა ტყის გაჩეხვა და მიწის მიტაცება, ახკერპის კოლმეურნეობის ხარჯზე. ამ საფუძველზე ბორჩალოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შუამდგომლობას აღძრავს ამიერ-კავკასიის ცაკის წინაშე მონასტრის დაბრუნების შესახებ.[24]

1936 წლის 14 მარტის სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო დადგენილება ჰუჯაბის მონასტრის ბორჩალოს მაზრისათვის გადაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ,

[22] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 3341, გვ. 30.
[23] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 3341, გვ. 31.
[24] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 3341, გვ. 83.

რადგან იგი გადაცემული იყო სოფელ პირივოლნოესათვის და იქ უკვე ორგანიზებული იყო მეღორეობისა და მეფუტკრეობის ფერმა.[25]

რას ვიზამთ, „მეღორეობის და მეფუტკრეობის ფერმა“ იმ დროისათვის უფრო ძლიერი არგუმენტი იყო, ვიდრე ისტორიული სინამდვილე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 25 მარტის სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე ახკერპის კოლმეურნეობისათვის მონასტრის გადაცემის საკითხი ჩაითვალოს ამოწურულად“.[26]

1938 წლის 5 მარტს გაიმართა რესპუბლიკათაშორისო თათბირი სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების მონაწილეობით, იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრების დასადგენად, რა საზღვრებითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები დამოუკიდებლად შევიდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში.[27] თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „1. სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საქართველო-სომხეთთან სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრის ს. სადახლოსთან (ლუქსემბურგის რაიონი) მონახაზი მთლიანად ემთხვევა საქართველოს მიწათმოქმედებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მონაცე-მებს. 2. საქართველოსა და სომხეთის საზღვარი უღელტეხილ „მგლის ჭიშკარსა“ და სოფელ ხოხმელს შორის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სწორად არის წარმოდგენილი, ხოლო სომხეთის მიერ არ არის გათვალისწინებული სამი სოფელი: ახკერპი, ჩანახჩი და ბრდაძორი (ალავერდის რაიონი, სომხეთის სსრ და ბორჩალოს რაიონი, საქართველოს სსრ), რომელიც საქართველოს გადაეცა 1934 წელს[28]. საქართველოს ცაკის მიერ ამ მონაკვეთზე საზღვრები გრაფიკულად არ იყო ზუსტად დატანილი...“.[29]

1938 წლის 23 მარტს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკათშორისი თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ „1:400 000 და 1:500 000 მასშტაბის რუ-

[25] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 3341, გვ. 85.
[26] სეაუიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 3341, გვ. 86.
[27] სეაუიცა. ფ. 2119. ან. 4. საქ. 4, გვ. 1-2.
[28] სომხეთის სსრ-სთვის გადაცემული იყო 1928 წლის 10 აგვისტოს ამიერკავკასიის ცაკის დადგენილებით. შესაბამისად, 1934 წელს დაუბრუნდა. ვრცლად იხ ზემოთ.
[29] სეაუიცა. ფ. 2119. ან. 4. საქ. 4, გვ. 1-2.

კაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო გადაღების და კარტოგრაფიის რესპუბლიკათაშორისო განყოფილებასთან ამა წლის 5-7 მარტს შემდგარი თათბირის მიხედვით მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში, სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ სოფელი ახკერპის, ჩანახჩის და ბრდაძორის ფარგლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სოფლები სომხეთის სსრ რესპუბლიკიდან 1934 წელს გადაეცა საქართველოს სსრ რესპუბლიკას და რომ დანარჩენ საზღვრებში სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ აღმოფხვრილია და გასწორებულია საზღვრების აღნიშვნის ყველა უმნიშვნელო არაზუსტობანი, რომელიც მოხდა რუკების ანაბეჭდების დეფორმაციით და რუკაზე სხვადასხვა ტოპოგრაფიული მასალებიდან მონაცემების არაზუსტად აღნიშვნის შედეგად. ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: „დამტკიცდეს ადმინისტრაციული საზღვრები სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან, თანახმად თანადართული თათბირის მონაწილეთა მიერ დამოწმებული 1:500000 მასშტაბის რუკის საზღვრების აღნიშვნის დროს დაშვებული გრაფიკული ტექნიკური არაზუსტობის აღმოფხვრის გათვალისწინებით“.[30] ასე დასრულდა საქართველო-სომხეთს შორის წლების მანძილზე მიმდინარე ბრძოლა. ლორეს მაზრის სამხრეთის საზღვარი საუკუნეების მანძილზე მდინარე მტკვრისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა და ყოფილი დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივი იყო. ეს იყო ათასწლეულთა მანძილზე საქართველოს სახელმწიფო საზღვარი! ამ საზღვრის შენარჩუნება ვერ შეძლეს ვერც „მენშევიკებმა“ და მითუმეტეს ვერც „ბოლშევიკებმა“, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ლოზუნგით. წლების განმავლობაში მიმდინარე ბრძოლის შედეგად „ბოლშევიკებმა“ საზღვრების მხოლოდ ოდნავ შესწორებას მიაღწიეს. სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა ტყეში, მდ. ფოლადაურის შენაკადის „ჰუჯაბის წყლის“ ხეობაში, სასაზღვრო ზოლიდან 350-400მ-ის დაშორებით, მთის ფერდზე შეფენილი ჰუჯაბის ივერიის ღმრთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი.

[30] სეაუიცა. ფ. 284, ან. 1. საქ. 3128, გვ. 61.

Natia Mirianashvili
Head of the Department of Contemporary History at the Central Archives,
National Archives of Georgia

Ia Tutashvili
Director of Contemporary History at the Central Archives,
National Archives of Georgia

Nodar Shoshiashvili
Associate Professor,
Georgian American University (GAU), Tbilisi, Georgia

THE FATE OF THE KHUJABI MONASTERY OF THE HOLY MOTHER OF GOD IVERION IN THE YEARS 1921-1938

Summary

The Khujabi monastery is located in Kvemo Kartli (Georgia), right in the Bolnisi gorge, at the source of the Paladauri River and at the foot of Mount Lelvar. This historical area of Kvemo Kartli (Georgia) is now located on the territory of the Republic of Armenia. The only village close to the monastery complex is Akhkerp (the Georgian name of the village is Old Khujabi). The village is located one kilometer away and administratively belongs to the Georgian Marneuli district. Here you can also see the smaller monastery complex and the monastery church. Despite such a geographical location, the Khujabi Monastery is today assigned to the Russian Orthodox Church, which is located 22 kilometers away on the other side of Mount Lelvar, in the village of Privolnoye (Armenia's Alaverdi district). Such assignement of the monastery took place as a result of the border changes made in 1921.

Until 1921, these territories of Kvemo Kartli, in particular Somkhiti and Lore, were part of Georgia. The southern border of the Lore district ran for many centuries along the mountain range, which was the watershed of the Mtkvari and Araks rivers and represented the natural southern border line for

the formerly independent Georgian kingdom of Kartli-Kakheti. For a thousand years, this territory was the state border of Georgia. Neither the "Mensheviks" nor the "Bolsheviks", who were guided by the slogan of strengthening friendship between peoples, were able to preserve this part of border for the country. During the many years of struggle for these territories, the Georgian Bolsheviks achieved only minor adjustments to the issue of state borders in favor of Georgia. As a result of all this, the Khujabi monastery complex, located in the forest, on the mountainside near the tributary of the Paladauri River, in the Khujabi Waters gorge and 350-400 meters from the border line dividing Georgia and Armenia, became the part of Armenia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

არჩილ კოხრეიძე
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თსუ

გვანცა ფხაკაძე
თსუ

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი XX საუკუნის 20-იან წლებში*

XX საუკუნე ტრაგიკული და დრამატული იყო მსოფლიოსათვის. 1922 წელს საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში, შემდეგ კი სსრკ-ში შეიყვანეს. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მიზანშეწონილობა სერიოზულ წინააღმდეგობას იწვევდა როგორც მაშინდელ ოპოზიციაში, ისე კომპარტიაში. საყურადღებოა, რომ ამ 15 წლიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანების ისტორიის საკითხები დღემდე შეუსწავლელია. მათ შორისაა საქართველოს შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი 1921-1936 წლებში.

1921 წლის 21 თებერვალს ქვეყნის პირველი კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოცხადდა აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქის) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილისა.[1]

პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თვითმმართველო-

* პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის №FR-22-2916, 2023-2025 წწ.) – საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში – შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და რესპუბლიკათაშორისო საზღვრები 1922-1936 წლებში – ფარგლებში.

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წწ. თბ. 1990, გვ. 470.

ბის კომისიის მიერ 1920 წელს ძველი საგუბერნიო და საუბნო დაყოფა გაუქმდა, შენარჩუნებული იქნა მაზრები, რომელსაც ოლქები ეწოდა და რაიონები, სოფლის საზოგადოება კი თემად გამოაცხადდა. საქართველოს ახალი ადმინისტრაციული მოწყობის პროექტში ვკითხულობთ :

„საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილების დროს უმაღლეს ადმინისტრაციულ ერთეულის ნორმად ჩვენ მივიღეთ არსებული მაზრა. სამაზრო დანაწილება, რომელიც მიღებული იყო რუსეთის ხელისუფლების დროს, არ იყო ხელოვნურად შექმნილი რამ. ეს ერთეულები მთელი საუკუნეებია რაც არსებობს და შეეფერება საქართველოს ბუნებრივ დანაწილებას საგეოგრაფიო ერთეულებად ... თვითეული ამათგანი წარმოადგენს ცალკე ბუნებრივ გეოგრაფიულ პროვინციას, მთლიანს ოროგრაფიულად, ჰიდროგრაფიულად და სამეურნეო პირობების მიხედვით“.[2] სამაზრო დანაწილებაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის გადრა, ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულმა ხელისუფლებამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

საქართველოს მეორე რესპუბლიკის არსებობის პირველივე დღეებიდანვე ნათელი გახდა ძველი ადმინისტრაციული დაყოფის შეუსაბამობა ქვეყნის ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ამოცანებთან და მოთხოვნებთან. რუსეთის იმპერიაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დროს მხედველობაში არ იღებდნენ სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ნაციონალურ ერთგვაროვნებას; გუბერნიებად, მაზრებად, უბნებად და სოფლის საზოგადოებებად დაყოფის მიზანი მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველობა იყო. შეცვლილ პირობებში დღის წესრიგში დადგა სახალხო მეურნეობისა და ადმინისტრაციული მმართველობის მაქსიმალური დაახლოება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფას საფუძველად დაედო ეკონომიკური პრინციპები, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნაციონალური მომენტს.

„კომუნისტების მიერ ქვეყნის რაიონულ მოწყობას მაშინდელი დროისთვის საკმაოდ პრაგმატული მნიშვნელობა ჰქონდა. რესპუბლიკის მაქსიმალურად პატარა მუნიციპალიტეტებად დაყოფა ტოტალური მართვის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფდა. კომუნისტები ადრეული ეპოქის მთავარი დამპყრობლის რომის იმპერიის და ზოგადად ყველა დამპყრობლის ცნობილი თეზისის, დაყავი და იბატონე, პრინციპის მიხედვით მოქმე-

[2] პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად). თბ. 1920 წელი, გვ.12.

დებდნენ. უპირველესად ეს მიმართული იყო ქართული მოსახლეობის ცნობიერებიდან ეროვნული თვითმყოფადობის და საკუთარი ისტორიული ფესვების ამოშლისაკენ. რაც საბოლოო ჯამში ახალი საბჭოთა ადამიანის, გინდათ ეროვნების, გამოყვანას ემსახურებოდა".[3]

1921 წ. ეთნიკური გამიჯვნის ნიშნით შეიქმნა აფხაზეთის სს რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1922 წელს მიღებულ კონსტიტუციაში ვკითხულობთ: საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალ თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე.[4]

მალე დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანება ფედერაციულ კავშირში. 1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შედგა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომლის ძალისხმევითაც ახლადშექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცია გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.[5]

საქართველოს მეორე რესპუბლიკის 1926 წლის (დამტკიცებულია 1927 წელს), 1931 წლისა და 1937 წლის კონსტიტუციებში ასახულია ის ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (საქართველოს შეყვანა ა/კავკასიის საბჭოთა ფედერაციაში, მისი მეშვეობით კი სსრ კავშირში; ქვეყნის შემადგენლობაში არშესული აფხაზეთისათვის სტატუსის განსაზღვრა ავტონომიის სახით მისი შესვლა საქართველოს მეორე რესპუბლიკის შემადგენლობაში და ამიერკავკასიის სფ რესპუბლიკის გაუქმება და ქვეყნის ურთლო შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში).

ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ...

ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ პირველი რესპუბლიკისგან მემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციული დაყოფის ორსაფეხურიანი სისტემა: თემი, მაზრა. ჩვენი თემი თავისი მოცულობით რუსეთის თუ სხვა

[3] ა.კილაძე. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ანალიზი და პერსპექტივები. Prime GeorGia. ანალიტიკური ჟურნალი. 17 დეკემბერი 2017.
[4] საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. თბ. 1922, გვ. 3
[5] საქართველოს ისტორია. გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ. 1980, გვ.. 378.

„მოკავშირე“ რესპუბლიკების სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებზე გაცილებით დიდი იყო. თემ-საბჭო, თავისი აღმასრულებელი კომიტეტით, სტრუქტურულად ქმნიდა, რადაც საშუალო ერთეულს სასოფლო საბჭოს და რაიონულ აღმასკომს შორის. ხელისუფლების მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით საჭირო გახდა ქვედა ადმინისტრაციულ ერთეულთა შემცირება. შესაბამისად, 1924 წელს, ნაცვლად 572 თემ-საბჭოსი, შეიქმნა 623 სასოფლო საბჭო. მოეწყო 111 რაიონული აღმასკომი, ოღონდ მათთვის არ იყო შექმნილი საჭირო მატერიალური ბაზა.

თანაც არ იყო გარკვეული ქვეყნის ეკონომიკური დარაიონების საკითხი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ადმინისტრაციულ დარაიონებას. რაიონული აღმასკომების გვერდით არსებობდნენ სამაზრო აღმასკომები, რომელთა ხელში იყო ყველა რაიონული მნიშვნელობის შემოსავლის წყარო.

დარაიონების პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენისას, რა დროსაც მკაფიოდ გამოიკვეთა დარაიონების მნიშვნელობა.

საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის 1924 წლის 2 იანვრის სხდომაზე რესპუბლიკის რაიონებად დაყოფისა და სამაზრო-სათემო აპარატების გამარტივების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. გეგეჭკორი, რომლის აზრით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველი ტერიტორიების ეკონომიკური პრინციპით დარაიონება უნდა გამხდარიყო. პროექტის მიზანი ადგილობრივი სახელისუფლო აპარატის გამარტივება-გაუმჯობესება, ახალი საზღვრების დადგენის შემდეგ, ადმინისტრაციული და ეკონომიკური მმართველობის ერთ ორგანოში გაერთიანება იყო, რომელიც მეტ-ნაკლებად (წყაროს მიხედვით „შედარებით“) მთლიან ეკონომიკურ რაიონად უნდა მოწყობილიყო.[6] საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტმა 1924 წ. ოქტომბერის პლენუმზე აღნიშნა, რომ ახალმა დარაიონებამ არამც თუ არ გამოიღო სასურველი შედეგები, არამედ ხელი შეუწყო რაიონების ერთმანეთისგან დაშორებას, ხელისუფლების ორგანოების გლეხობის მასებისგან მოწყვეტას და დაადგინა - უარყოფილიყო დარაიონების სისტემა და მომხდარიყო წინანდელ სათემო სისტემაზე გადასვლა.

მთავრობამ გააუქმა რაიონები და შეუდგა ქვედა ადმინისტრაციუ-

[6] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (უიცა). ფონდი 284 ანაწერი 2. საქმე 1, ფურ. № 152.

ლი ერთეულების - თემების გადიდებას, რაც გამოწვეული იყო საბჭოებისთვის მტკიცე უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნითა და ცალკეული ადმინისტრაციულ ერთეულთა ეკონომკიურად გაძლიერებით, თუმცა თემების რიცხვის შემცირებამ კვლავ დააშორა მოსახლეობა ხელისუფლების ორგანოებს.

საქართველოს რაიონებად დაყოფის პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი სამი მომენტი: ეკონომიკა, ადმინისტრაციული წყობის სიმარტივე და ფინანსური საკითხი.

ეკონომიკის საზომი აღებული იყო იმგვარად, რომ რაიონებად დაყოფის შემდეგ სახეზე ყოფილიყო ეკონომიკურად მთლიანი ტერიტორიები, გაერთიანებული სამეურნეო-ეკონომიკური პირობების ერთგვაროვნებით.

მეორე მომენტი - ადმინისტრაციული, იმისკენ იყო მიმართული, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობისას ყოფილიყო მეტი სიმარტივე ანუ ნაკლები „საფეხური“ ცენტრსა და პერიფერიას შორის. კავშირი უნდა განხორციელებულიყო მარტივად, ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე.

ფინანსური საკითხი - დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული მოწყობის რაციონალიზაციასთან, უნდა მომხდარიყო თანხების დაზოგვა შეკვეცილი ადმინისტრაციული ერთეულების შესანახად.

რუსეთსა და უკრაინაში მოქმედებდა ოთხ და ხუთ საფეხურიანი დიდი ოლქების სისტემა. რუსეთში მიღებული იყო ხუთსაფეხურიანი დარაიონების სქემა: რესპუბლიკური ცენტრი, მხარე - აერთიანებს რამდენიმე ყოფილ გუბერნიას, სადაც მოსახერხებელი გახდა სამეურნეო პირობების ერთგვარი კონსოლიდაცია, ოლქი - აერთიანებს რამდენიმე ყოფილ მაზრას, ყოფილი გუბერნიის მესამედს ან მეოთხედს, რაიონი -- პატარა „ვოლოსტების“ გაერთიანება, მოცულობით ყოფილი მაზრის მესამედი ან მეოთხედი, სასოფლო საბჭო - ძირითადი ადმინისტრაციული უჯრედი.

სხვა „მოკავშირე“ რესპუბლიკებში, მათ შორის უკრაინაში, უკუგდებული იქნა ერთ-ერთი საფეხური - მხარე და შემუშავდა ოთხ საფეხურიანი სისტემა: რესპუბლიკური ცენტრი, ოლქი, რაიონი, სასოფლო საბჭო.

თავდაპირველად საქართველოსთვისაც დიდი ოლქების პროექტი შემუშავდა, არსებობდა ორი ვარიანტი:

ერთი პროექტით, რომელიც ეკუთვნოდა ამიერკავკასიის საგეგმო

კომისიას, ქვეყანაში უნდა დანერგილიყო ოთხ საფეხურიანი სისტემა: რესპუბლიკა, ოლქი, რაიონი, სოფლის ერთეული. უნდა შექმნილიყო 5 დიდი საოლქო ერთეული და 3 ავტონომია.

ა) ტფილისის ოლქი (რომელშიც შევიდოდა მაზრები: ტფილისის, ბორჩალოს, დუშეთის, მეორე ვარიანტით ახალქალაქიც).

ბ) კახეთის ოლქი (რომელშიც შევიდოდა სიღნაღის და თელავის მაზრები).

გ) გორის ოლქი (გორის, ახალციხის და შესაძლოა ახალქალაქის მაზრები).

დ) ქუთაისის ოლქი (ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებით).

ე) ფოთის ოლქი (ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და ზემო სვანეთის მაზრებით).

პროექტით, 5 ოლქის ფარგლებში მოსახლეობის რაოდენობა უნდა ყოფილიყო 20-25.000 (გარდა ავტონომიებისა), იქმნებოდა დაახლოებით 90 რაიონი, რომელსაც მოყვებოდა სოფლის საბჭო. მივიღებდით დარაიონების ასეთ სქემას: რესპუბლიკა - 5 ოლქი, 3 ავტონომია, 90 რაიონი, 700-მდე სოფლის საბჭო.

მეორე პროექტი გულისხმობდა არსებული მაზრების გაერთიანებას, დიდი ოლქების სისტემაზე გადასვლას, არ ჰქონდა რაიონები, რაც ართულებდა ოლქისა და ძირითადი ერთეულის კავშირს. ეს სისტემა საქართველოს ახალი დარაიონებისათვის უვარგისი იყო, იზრდებოდა აპარატის ხარჯები, უნდა შემუშავებულიყო პატარა ოლქების სისტემა, რაც თავიდან იცილებდა მრავალსაფეხურიან ადმინისტრაციულ სტრუქტურას, გვერდს უვლიდა ბიუროკრატიას, სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა უფრო მარტივი, მოძრავი და მიზანშეწონილი ჩანდა.

მაზრების ოლქებად და სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების რაიონებად გაერთიანებისას გადამწყვეტი ფაქტორი ადმინისტრაციული ერთეულების ეროვნული ერთგვაროვნება, ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი, სამეურნეო და საფინანსო სიმძლავრე იყო; ყოველ მათგანს უნდა ჰქონოდა თავისი ფინანსურ-მატერიალური ბაზა, რაიონული მეურნეობა, ადგილობრივი ბიუჯეტი.

საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის პირობებში ნაციონალური მომენტი დარაიონებისას არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო; თუ რომელიმე თემის და რაიონის მოსახლეობაში სჭარბობ-

და ნაცუმცირესობა, ხდებოდა ცალკე საბჭოს მოწყობა, საქმის წარმოებისათვის კი უნდა გამოყენებულიყო ამ უმცირესობის ენა.

დარაიონებისას გადაჭარბებული მნიშვნელობა ეძლეოდა ეკონომიკურ საკითხს. როგორ უნდა მომხდარიყო ტერიტორიების გადამიჯვნა?! ეკონომიკური დარაიონება მთისა და ბარის ქვეყნებისთვის სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. საქართველო კი მოიცავს მთისა და ბარის სექტორებს, რაც ართულებდა მისი დარაიონებისას ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებას.

საქართველოს რელიეფს ახასიათებს მრავალი ხეობა, მთიანი, ნახევრად მთიანი და ბარის რაიონების ხშირი შენაცვლება პატარა სექტორების მანძილზე. მთელ ტერიტორიას გასდევს ორი მაგისტრალური მთის სისტემა - ჩრდილო ზონაში დიდი კავკასიონი, სამხრეთში მცირე კავკასიონი, ცენტრალურ ნაწილში ზოგან ბარის რაიონებია, ზოგან ნახევრად მთიანი ველების ზოლი. ერთმანეთს ენაცვლება ბარის, ნახევარმთიანი, საშუალომთიანი და მაღალმთიანი რაიონები. ასევე ქვეყანა ჰიდროგრაფიულად გაყოფილია 2 აუზს შორის - შავი და კასპიის ზღვის. შავი ზღვა დიდ გავლენას ახდენს რაიონის ჩამომყალიბებელ ფაქტორებზე.

ამგვარ პირობებში საქართველოსთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა დარაიონების სამსაფეხურიანი სისტემა:

1. ძირითად საფეხურს წარმოადგენს თემი. საქართველოს სინამდვილეში იგი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-საზოგადოებრივი ერთეული. ტერიტორიულად იმდენად დიდი არ არის, რომ სასოფლო საბჭოების სახით საჭიროებდეს ზედმეტი საფეხურის შემოღებას. მათი საშუალო რადიუსი უდრის 6კმ-ს. ეს მანძილი არ აძნელებს მათ შორის კავშირს და ხელს უწყობს თემების სახით ეკონომიკურად ძლიერი უჯრედის ჩამოყალიბებას.

2. მეორე საფეხურია ეკონომიკური ოლქი, იგი როგორც ერთეული შეკავშირებულია სამეურნეო პირობების ერთგვაროვნობით, ოლქი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 18 და არაუმეტეს 20 ერთეული. იგი უკვე არსებული მაზრისგან იმით განსხვავდება, რომ ჩამოყალიბებულია სამეურნეო პრინციპის მიხედვით. აერთიანებს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებით და მეურნეობით დაკავშირებულ ტერიტორიებს. არის ისეთი ზომის უჯრედი, რომ უპრობლემოდ უკავშირდება ძირითად უჯრედსაც და რესპუბლიკურ ცენტრსაც. მის ფარგლებში საშუალოდ შედის 21 სათემო ერთეული, ხოლო რესპუბლიკური ცენტრი აერთიანებს 23 საოლქო

მნიშვნელობის ცენტრს (ავტონომიების და რაიონების ჩათვლით). თითოეულ საფეხურზე 20-დან 25-მდე ერთეულით, ერთი ცენტრიდან მათი მართვა შეუფერხებლად არის შესაძლებელი.

3. მესამე საფეხურია - რესპუბლიკური ცენტრი.

პროექტის მიხედვით შემოღებული იქნებოდა 18 საოლქო ერთეული, 9 აღმოსავლეთ, 9 დასავლეთ საქართველოში. ამ ძირითად საოლქო ერთეულს ემატებოდა 1 ზემო სვანეთის რაიონი, 1 უოლქო ქალაქი ფოთის სექტორი და 3 ავტონომია. ამრიგად საერთო რიცხვი ყველა ერთეულის, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა რესპუბლიკურ ცენტრს იყო 23.

თუ ავიღებთ 18 ძირითად საოლქო ერთეულს, თითოეულზე საშუალოდ მოდის ტერიტორიისა და მოსახლეობის შემდეგი ნორმა.

ტერიტორია: 1. მთელი ფართობი	2.900კვ.კმ
2.დაუსახლებელი სექტორები	2.200
მოსახლეობა: 1. სოფლის და ქალაქის მოსახლეობა ერთად	12500 სული
2. მარტო სოფლის მოსახლეობა	99.000 სული

თემების რიცხვი თითოეულ საოლქო ერთეულში და მათი მოცულობა შემდეგია:

1. საშუალოდ მოდის ერთ საოლქო ერთეულზე	21 თემი
2. თითოეულ თემზე სოფლის მოსახლეობა	4,700 სული
3. თითოეულ თემზე ტერიტორია	105 კვ.კმ
4. თემის ტერიტორიის საშუალო რადიუსი	6 კმ

დარაიონების პროექტი ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, შედგენილია სხვა გარემოებების გათვალისწინებითაც:

ეკონომიკური ოლქები და საქართველოს ქალაქების ქსელი: თითოეულ საოლქო ერთეულში არის საქალაქო ცენტრი, რომლის გარშემო ერთიანდება მთელი რაიონის სამეურნეო და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება.

ეთნოგრაფიული პრინციპი: სანაპირო სექტორები, რომლებიც ეთ-

ნოგრაფიულ სხვაობას წარმოადგენენ და რომელთა ჩამოშორება არ არღვევდა ცალკე პროვინციების ტერიტორიულ მთლიანობას, შევიდა იმ ოლქების შემადგენლობაში, რომლებთანაც დაკავშირებულია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით.[7]

დარაიონების დროს ზოგ შემთხვევაში ჩატარებულ იქნა რადიკალური გადამიჯვნა, რასაც მოითხოვდა ცალკეულ სექტორთა მეურნეობა და ბუნებრივი პირობები. მაშინ როცა ადრინდელი მაზრები არ იყვნენ ჩამოყალიბებული არც სამეურნეო და არც ადმინისტრაციული კავშირის თვალსაზრისით. ზოგიერთ ერთეულში ახალი ეკონომიკურ ცენტრები წარმოიშვა, დარაიონების შედეგად გაუქმდა ზოგი სამაზრო ერთეული, მოხდა ზოგი მაზრის რეორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 4 სამაზრო ერთეული:

ჭიათურის სამთო-სამრეწველო ოლქი, გაერთიანებულია ზესტაფონის პროვინციასთან. ხაშურის პროვინცია მიეკუთვნებოდა გორის პროვინციას. მესამე ახალი ოლქია თრიალეთის პროვინცია, რომელიც დანაწილდა სხვადასხვა მაზრებს შორის. მთავარი სექტორები შეერთდა ტფილისის და ბორჩალოს მაზრებთან, დუხობორიე კი შევიდა ახალქალაქის მაზრაში. მეოთხე არის სამტრედიის პროვინცია, შეიქმნა ქალაქ სამტრედიის გარშემო. დანარჩენ ოლქებში რეორგანიზაცია მოხდა ეკონომიკურ საფუძველზე;

რადიკალური ტერიტორიული ცვლილებები მოხდა ტფილისის ოლქის ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის ცაკ-თან არსებული კომისიის 1926 წლის 21 ივნისის დადგენილებით შორაპნის მაზრა (ცენტრი ზესტაფონი) დაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: ზესტაფონი და ჭიათურა, რადგან ზესტაფონიდან რთული იყო ჭიათურის სოფლების მართვა, ამასთან პრობლემური იყო ცენტრთან „კომუნიკაციის“ დამყარება. [8]

ზესტაფონის, ჭიათურისა და ხაშურის ცალკე გამოყოფის აუცილებლობა გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით:

1. მეურნეობის საკითხი. ეს პროვინციები მეურნეობის მთავარი მიმართულებებით ძირეულად განსხვავდებოდნენ იმ მაზრებისაგან, რომლებსაც მიეკუთვნებოდნენ.

2. მოსახლეობის რაოდენობა ცალკე ერთეულებში და სახელ-

[7] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 598, ფურ. №76.
[8] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 315, ფურ. №1.

მწიფო აპარატის სტრუქტურის საკითხი. სამ საფეხურიანი სისტემა საქართველოში ვერ განხორციელდებოდა თუ მაზრები იმ მოცულობის დარჩებოდა როგორიც იყო ქუთაისის, გორის და შორაპნის ანუ მოსახლეობა 200.000-300.000-მდე ერთი ერთეულისათვის გადაცილებული იქნებოდა ის ოპტიმალური ნორმა, რაც სამსაფეხურიან სისტემას შესაძლებელს გახდიდა. ამ მოცულობის მაზრა ვერ დაიჭერდა კავშირს ძირითად საზოგადოებრივ უჯრედთან ანუ თემთან.

3. სამეურნეო-ადმინისტრაციული საქალაქო ცენტრები. მესამე მიზეზი აღნიშნული პროვინციების ცალკე ერთეულად ჩამოყალიბებისა განაპირობა თავისი საქალაქო ცენტრის არსებობამ, რომელთანაც პროვინციები დაკავშირებული იყვნენ სამეურნეო პირობებით და ადმინისტრაციულ-კულტურული საჭიროებებით. საქალაქო ცენტრები გაშენებულია ეკონომიკურად მნიშვნელოვან სექტორებში, დიდ სამეურნეო გზაჯვარედინებზე.

4. აღნიშნული მაზრებიდან ტერიტორიების გამოყოფით მცირდებოდა ხარჯები, რადგან ხაშურის, ჭიათურისა და სამტრედიის პროვინციებში უკვე არსებობდა ე.წ. უმაზრო ქალაქების აპარატი, რომელთაც არ ჰქონდათ ტერიტორია. ტერიტორიების გამოყოფის შემდეგ მათი საჭიროება აღარ არსებობდა, რის გამოც გაერთიანდნენ საოლქო აპარატის შემადგენლობაში. [9]

არსებობდა თელავისა და სიღნაღის მაზრების გაერთიანების იდეა, თუმცა, გამოჩნდა რომ ისინი განსხვავდებოდნენ როგორც გეოგრაფიული ფაქტორების, ისე სამეურნეო მიმართულების მხრივ. თანაც ტერიტორია და მოსახლეობის რაოდენობა გადააჭარბებდა იმ რაოდენობას, რაც დაშვებული იყო დარაიონების სამ საფეხურიანი სისტემის დროს.

რაც შეეხება თრიალეთის ოლქს, მასში გაერთიანდა წალკისა და ბაშკიჩეთის რაიონები, რომელთა ტერიტორიები თრიალეთის მთებშია მოქცეული.

როგორც აღვნიშნეთ განსაკუთრებით რადიკალური ცვლილებები მოხდა თბილისის მაზრაში. მისი ახალი საზღვრები ასე ჩამოყალიბდა: თბილისის მაზრის, გარდა წალკისა და მასთან დაკავშირებული სექტორისა, დაემატა ბორჩალოს მაზრიდან აღმოსავლეთ ნაწილი (ბორჩალოს ბარი). დუშეთის მაზრიდან - საგურამო-მუხრანის სექტორი. გორის მაზრი-

[9] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე. 520, ფურ. №2. 6. 12. 21.

დან - ძეგვის სექტორი. სიღნაღის მაზრიდან - ჩაილური, კაკაბეთი.[10]

1927 წლიდან განხორციელდა სხვა ცვლილებები: გაერთიანდა სიღნაღის და თელავის მაზრები ცენტრით გურჯაანში, სხვა მეზობელი მაზრების საზღვრები არ შეცვლილა. გაერთიანდა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები ცენტრით ჭრებალოში, რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სახელწოდებით. გაუქმდა დუშეთის მაზრა და შეუერთდა თბილისის მაზრას, ცენტრი თბილისი. სხვა მეზობელ მაზრების ტერიტორიული ცვლილება არ მომხდარა.[11]

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე ყრილობაზე 1929 წლის 13 აპრილს მიიღეს დადგენილება საქართველოს დარაიონების შესახებ: „....დარაიონება გატარებულ იქნეს სამ-საფეხურიანი ადმინისტრაციული დაყოფის სისტემით: ოლქი-რაიონი-სოფლის საბჭო.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ დარაიონების ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე თავისი ქვემდებარე ტერიტორიის დარაიონების სათანადო პროექტი და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“.[12]

საქართველოს მეორე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 11 ივლისის დადგენილებით ცენტრალურ კომიტეტთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრაქტიკული ღონისძიებების სახელმძღვანელოდ შეიქმნა კომისია გ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით; წევრები: გ. ვაშაძე, ვ. ბოლქვაძე, გ. არუთინოვი, დ. ქუჩულორია, ვ. ანთიძე, ვ. ორჯონიკიძე, ბ. ბერაძე და ს. ბუაჩიძე. იმავე წლის 23 აგვისტოს მიიღეს დადგენილება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დამტკიცებისა და ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოწყობის წესზე, თანდართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განრიგთან ერთად.

აფხაზეთში 1929/30 წლებში შენარჩუნებული იქნა არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წინადადება მიეცა 30 აგ-

[10] უიცა. ფონდი. 284. ანაწერი 1. საქმე 599, ფურ. №28.
[11] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე1026, ფურ. №1-6.
[12] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 2. საქმე 20, ფურ. №66.

ვისტომდე წარმოედგინა ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პროექტი. იგივე, წინადადება მიეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განმახორციელებელ თბილისის, კახეთის, გორისა და ქუთაისის კომისიებს, აგრეთვე ახალციხის, ახალქალაქის, ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს დაენიშნათ რაიონული რწმუნებულები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისათვის, რომლებიც განახორციელებდნენ ადგილობრივ საჭირო ღონისძიებებს.

განისაზღვრა სასოფლო საბჭოების მოწყობის წესი, ხელისუფლების რაიონულ და საოლქო ორგანოების მოწყობა.

ა) იმ შემთხვევაში თუ სასოფლო საბჭოს ტერიტორია ემთხვეოდა თემის ტერიტორიას, სათემო საბჭო უნდა გარდაქმნილიყო სასოფლო საბჭოდ.

ბ) თუ თემის ტერიტორიაზე მოქმედებდა რამდენიმე სასოფლო საბჭო, ისინი უქმდებოდა და ერთიანდებოდა ერთ სასოფლო საბჭოდ.

გ) ახლად მოწყობილი სასოფლო საბჭო ირჩევდა პრეზიდიუმს, სამი წევრის და ორი კანდიდატის რაოდენობით. [13]

1929 წლის 15 სექტემბერს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ტერიტორიული დაყოფა.

მალე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მაზრების ოლქებში გაერთიანებამ დადებითი შედეგები ვერ გამოიღო, ოლქები ზედმეტ ორგანოებად იქცნენ. 1930 წლის 19 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით იქმნება კომისია ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაციისთვის თვალყურის სადევნებლად. [14]

ცვლილებები შეეხო ადმინისტრაციული ერთეულების სახელწოდებებსაც. 1933 წლის 7 აპრილის და 17 აგვისტოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სახელები შეეცვალათ:

ა) ხევის რაიონს ეწოდა ყაზბეგის რაიონი.

[13] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 1321, ფურ. №9.
[14] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 1695, ფურ. № 26.

ბ) ერწო-თიანეთის რაიონს ეწოდა თიანეთის რაიონი, ცენტრი სოფ. ქვემო თიანეთი.

გ) გარე კახეთის რაიონს ეწოდა საგარეჯოს რაიონი.

დ) ტოლოშის რაიონს ეწოდა ასპინძის რაიონი, ცენტრით ასპინძა.

ე) სოფ. ბარმაქსიზს ეწოდა წალკა.

ვ) სოფ.ყარატაფას ეწოდა ყარაიას რაიონის ცენტრი. [15]

საქართველოს დარაიონების შედარება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შემდეგ სურათს იძლევა:

საშუალო ტერიტორია კვ. კმ. მცხოვრებთა საშუალო რიცხვი

რესპუბლიკები	რაიონი	სოფლის ადმ. ერთეული	რაიონი	სოფლის ადმ. ერთეული
რ.ს.ფ.ს.რ	6146	259	37.822	1.614
უკრაინა	-	-	-	-
ბელორ ს.ს.რ	1259	85	49832	3.367
აზერბ. ს.ს.რ	1439	70	30.000	1.500
სომხ. ს.ს.რ	931	40	23.834	1.023
საქართველოს ს.ს.რ	1048	102	33.152	3.237

1921-1935 წლის საქართველოს მოსახლეობამ იმატა 900.000 სული მცხოვრებით; რამაც გამოიწვია, როგორც დასახლებული პუნქტების, ისე ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულების (სასოფლო საბჭოების) ზრდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოგვყავს ცხრილი.[16]

წლები	მოსახლეობა	დასახ. პუნქტები	ძირ. ადმ.ერთ. სას. საბჭოები
1921	2.400 000	4.800	499
1926	2.700 000	4. 885	571
1930	3.000 000	4.900	686
1936	3.300 000	5.100	1029

ახალი სასოფლო საბჭოების დაარსება ხდებოდა საქართველოს ცა-

[15] უიცა. ფონდი 284, ანაწერი 1. საქმე 2406, ფურ. №16.
[16] უიცა. ფონდი 284, ანაწერი 1. საქმე 3081, ფურ. №2.

კის დადგენილების საფუძველზე, მათი ჩამოყალიბება უმეტეს შემთხვევაში სათანადო წესით არ ტარდებოდა. ამიტომ 1930 წელს იმავე ცაკის მიერ გამოცემულ იქნა ოფიციალური ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფის წიგნი, რომელის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელათ ქვეყნის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებს. 1930 წელს გაუქმდა საოლქო და შემოლებულ იქნა რაიონული სისტემა, რის შედეგადაც საგრძნობლად შეიცვალა, როგორც რაიონების, ისე სასოფლო საბჭოების რიცხვი.

საქართველოს მეორე რესპუბლიკის ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილებამ შეადგინა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სია, სადაც შეტანილი იქნა ყველა ოფიციალურად მომხდარი ცვლილებები. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 15 აპრილის სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს დასახლებული პუნქტებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულიდაყოფის სიები .[17]

როგორც ვხედავთ 1921-1936 წლებში დაყოფა საკმაოდ რთული და დინამიური პროცესი იყო. საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობა განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმებთან. ცვლილებები მიზნად ისახავდა მოსახლეობის და მეურნეობის მკაცრ კონტროლს. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც ეთნიკური ჯგუფების მართვას ემსახურებოდა.

[17] უიცა. ფონდი 284, ანაწერი 1. საქმე 33081, ფურ №11.

Archil Kokhreidze
Senior Researcher,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Gvantsa Phkhakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

THE ISSUE OF THE ADMINISTRATIVE-TERRITORIAL STRUCTURE OF GEORGIA IN THE 20S OF THE 20TH CENTURY

Summary

On February 25, 1921, Soviet power was established in Georgia. After that, it had to experience all conceivable and inconceivable experiments that were carried out in the country by the Soviet totalitarian regime. Soon after the establishment of Soviet power, the idea arose that the Soviet socialist republics of Transcaucasia were unable to ensure their existence independently and that they should unite into a unified federal republic. On March 12, 1922, a conference of representatives of the authorities of all three Transcaucasian republics was held, where a union treaty between the republics of Transcaucasia was approved. After that on December 10 of the same year, the Federative Union of Transcaucasia, which had existed until that time, was transformed into a unified federal state called the Transcaucasian Socialist Federative Soviet Republic.

The advisability of creating such an artificial state was the subject of serious debates within the ranks of the Communist Party of the Soviet Union itself. In Georgian Soviet historiography, this event is assessed as a great historical phenomenon. Georgia was part of this state entity for almost 15 years. Many issues related to the functioning of the Transcaucasian Socialist Federative Soviet Republic have not yet been studied. Including issues related to the existence of borders within this new federal state in 1922-1936. The object of the study of this article is the issue of the internal administrative-territorial structure of Georgia in 1921-1925. From the very first years of the

establishment of Soviet power in Georgia, it became obvious that the existing administrative division of the country is not able to promote the solution of political and economic tasks and needs faced by the country.

After the emergence of new realities, it was necessary to bring the national economy and administrative management of the country into maximum compliance. The new administrative-territorial division was based primarily on economic factors. At the same time, attention was also paid to issues related to the national peculiarities of the country.

A. Kaladze notes as follows: "The administrative structure of the country on a basis of raions had a very pragmatic significance. The division of the republics into the smallest administrative units ensured a high level of totalitarian rule. The communists acted according to the well-known principle of such ancient conquerors as the Roman Empire and others - divide and conquer."

Such administrative policy was primarily directed against the Georgian population. It was necessary to erase from the consciousness of Georgians their national identity and the memory of their historical roots. This ultimately had to lead to the creation of a new type of person and, if you like, a new nationality – the Soviet people.

The administrative-territorial division in the years 1921-1936 was a rather complex and dynamic process. During this period, the administrative structure of Georgia underwent significant changes, which were due to political and administrative reforms carried out by the leadership of the Soviet Union.

The purpose of these changes was to establish a strict control over the population and economy of the country. During this period, the Autonomous Republics of Abkhazia and Adjara, as well as the South Ossetian Autonomous Oblast were created. This was part of the Soviet Union's policy for managing small ethnic groups.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ლევან ჯიქია
ისტორიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვების – „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის...“ სინამდვილის გარკვევისათვის

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსი ხელაიას (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია). მან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ერის წინამძღოლის ფუნქცია იტვირთა.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლება აგრესიული ათეიზმის პოლიტიკას ახორციელებდა. საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით ეკლესია სახელმწიფოს, სკოლა კი ეკლესიას გამოეყო. ეკლესიას კერძო საკუთრების ფლობის უფლება წაერთვა და სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება აიკრძალა.[1]

ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ახალგაზრდები ხშირად შეურაცხყოფდნენ მლოცველებს, აშინებდნენ იარაღით, შობის დღესასწაულზე იჭრებოდნენ ეკლესიაში, ეხებოდნენ ხატებს, ეკლესიაში ყრიდნენ ანტირელიგიური შინაარსის პროკლამაციებსა და პლაკატებს.[2]

ადგილობრივი რევკომებისა და მათი წარმომადგენლების მხრიდან სასულიერო პირების შეურაცხყოფამ იმდენად მასიური სახე მიიღო, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იძულებული

[1] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 281. ანაწერი 1. საქმე 201. ფურცელი 38.
[2] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 1. ფურცელი 513.

იყო სპეციალური ცირკულიარით მიემართა ყველა სამაზრო რევკომის ხელმძღვანელისთვის, რომ შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება, რადგან ის ძირს უთხრიდა საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს.[3]

მთელ ქვეყანაში ეკლესია-მონასტრების დახურვა-გადაკეთების პროცესი დაიწყო, რისთვისაც ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ხუთი მილიარდი მანეთი გამოყო.[4]

სასულიერო პირების დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ამასთან, ისინი თვეობით ელოდებოდნენ ბრალის წარდგენას.[5]

ხალხს აჩვენებდნენ მხატვრულ ფილმს „სურამის ციხეს“, სადაც სასულიერო პირები გამოყვანილი იყვნენ აღსარების გამცემებად, ობოლი ბავშვების გამყიდველებად და ბატონყმობის დამცველებად.[6]

აგიტაცია-პროპაგანდის გამგეები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სიხარულით ატყობინებდნენ, რომ ზოგიერთ მაზრაში ყველა ეკლესია-მონასტერი დაიკეტა. როგორც ისინი იუწყებოდნენ, მღვდლებმა ანაფორა გაიხადეს, გაიპარსეს და თვითონ გამოდიოდნენ ეკლესია-მონასტრების დანგრევის აგიტაციით.[7]

დასანგრევი ეკლესია-მონასტრების სიაში შეტანილი იყო მოწამეთას მონასტერი. საბედნიეროდ, ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და სარგის კაკაბაძის ძალისხმევით მონასტერი და მასთან არსებული კოშკები დანგრევას გადაურჩა.[8]

1923 წლის 23 ნოემბერს გამოიცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე გეგეჭკორის დადგენილება „საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ“, რომლის მიხედვით დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გადაეცა. ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო განძეულობა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის სამუზეუმო დაწესებულებებს უნდა ჩაბარებოდა, დანარ-

[3] საქართველოს ეროვნული არქივი. ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფონდი 296. ანაწერი 1. საქმე 2. ფურცელი 9.

[4] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 2. საქმე 2. ფურცელი 373.

[5] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 1. ფურცლები 108-109.

[6] ნიკიტა თალაქვაძე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბილისი, 2013, გვ. 460-461.

[7] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 1. საქმე 167. ფურცელი 50.

[8] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 1. საქმე 153. ფურცლები 43-44.

ჩენი საეკლესიო განძი კი (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები), ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეეძლოთ თავიანთი საჭიროებისათვის გამოეყენებინათ. ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთები ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უნდა შეენახათ, რომელიც მოსახლეობას გადაეცემოდა, თუ ისინი რელიგიურ საზოგადოებას შექმნიდნენ და მოითხოვდნენ მათ გადაცემას.[9]

საქართველოს საგანგებო კომისიაში არსებულ მესამე ქვეგანყოფილებას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე და სასულიერო პირებზე კონტროლის დაწესება ევალებოდა. საქართველოს საგანგებო კომისია სასულიერო პირების დევნა-შევიწროების პარალელურად მათ კომპრომეტირებას ეწეოდა. საგანგებო კომისიის თანამშრომლების მიერ შეთითხნილი პასკვილები პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა.[10] კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სასულიერო პირების მიმართ მიმდინარეობდა აგენტურული ინფორმაციის შეგროვება კოდური სახელით „სვიატოი". ამ ცნობების მიხედვით ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) კომუნისტებს ანტიქრისტეებს, გამყიდველებსა და იუდებს ეძახდა.[11]

1922 წლის 7 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მემორანდუმი შეიმუშავა და გენუის საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციას გაუგზავნა.[12] მემორანდუმში დეტალურად იყო აღწერილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიები და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები. პატრიარქი იმედს გამოთქვამდა, რომ: „მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პი-

[9] საქართველოს ეროვნული არქივი. ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფონდი 296. ანაწერი 1. საქმე 281. ფურცელი 13.

[10] თენგიზ ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2003. გვ. 58-66.

[11] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 2. საქმე 12. ფურცელი 49ა.

[12] გენუის საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა.

რით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“.[13]

იმ სახელმწიფოების განცხადებები, რომლებიც გენუის კონფერენციაზე არ მიიწვიეს, განიხილეს ე. წ. სამომწესრიგებლო სხდომაზე, სადაც საქართველოსთან დაკავშირებით სამ დოკუმენტს გაეცვნენ: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას მემორანდუმს და ქართული პოლიტიკური პარტიების ორ დეკლარაციას, რომელთაგან ერთი თბილისში იყო შედგენილი, ხოლო მეორე კი - პარიზში.[14]

21 აპრილს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ელჩმა საფრანგეთში, აკაკი ჩხენკელმა გენუაში ინახულა ადგილობრივი არქიეპისკოპოსი, რომელსაც ამბროსი ხელაიას მემორანდუმი გადასცა. არქიეპისკოპოსი შეპირდა აკაკი ჩხენკელს, რომ ამ მემორანდუმს რომის პაპს, პიუს XI-ს გაუგზავნიდა.[15]

1922 წლის 5 მაისს კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმის ტექსტი გენუის გაზეთ „კაფარო“-ში დაიბეჭდა.[16] გარდა ამისა, გაზეთ „კაფარო“-ს კორესპონდენტს ინტერვიუ მისცა აკაკი ჩხენკელმა.[17]

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმს ევროპაში დიდი რეზონანსი მოჰყვა, რამაც საბჭოთა ხელისუფლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საბჭოთა ხელისუფლებამ კათოლიკოს-პატრიარქზე პირდაპირი იერიში მიიტანა. 1922 წლის 2 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი იძულების წესით საპატრიარქო რეზიდენციიდან გამოასახლეს, 23 ივნისს რეზიდენცია და პატრიარქის სამუშაო ოთახები დალუქეს, წაიღეს როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნივთები.[18]

1922 წლის 12 ივნისს საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა კათოლიკოს-პატრიარქი დასაკითხად წაიყვანეს. კათოლიკოს-პატრიარქმა დაკითხვისას კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა რუსეთს ის ოკუპანტად თვლიდა, შელახული იყო საქართველოს სუვერენიტეტი და გან-

[13] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 1. ფურცლები 132-133.

[14] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864. ანაწერი 2. საქმე 495. ფურცლები 41-61.

[15] აკაკი ჩხენკელი. დღიურები. წიგნი მეორე. 1921-1922. თბილისი. 2024. გვ. 227.

[16] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 2. საქმე 12. ფურცელი 39.

[17] აკაკი ჩხენკელი. დღიურები. წიგნი მეორე. 1921-1922. თბილისი. 2024. გვ. 228.

[18] სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში. თბილისი. 2000. გვ. 37-44.

მარტა, თუ რა მიზნით გააგზავნა მემორანდუმი გენუაში: „მივმართე გენუის კონფერენციას იმისთვის, რომ მეგონა დაისმებოდა მცირე ერების საკითხი და რამდენათაც ერი განთავისუფლდებოდა ამით სარწმუნოება აღორძინდებოდა, ვინაიდან ერი მწამს იმდენად, რამდენათაც ხელს უწყობს სარწმუნოების გაძლიერებას და ერის აღორძინებას“.[19]

22 ივნისს საბჭოთა ხელისუფლებამ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი განიხილა და დაასკვნა, რომ ეს ნაბიჯი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რომლის მიზანი საბჭოთა წყობილების დისკრედიტაცია უნდა ყოფილიყო.[20]

22 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ წერილით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, სადაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა მემორანდუმში გამოთქმული მოსაზრება და აღნიშნა: „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა ღვთისა და მშობელ ერის წინაშე და თუ ეს ჩამეთვლება დანაშაულად, მზად ვარ საჯაროთ ვაგო პასუხი“.[21]

1923 წლის 29 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქს სახლი ჩამოართვეს.[22]

1924 წლის 10 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. სასამართლოს გ. ჩხეიძე თავმჯდომარეობდა, წევრებად იყვნენ: გ. რთველაძე და ვ. წივწივაძე, ბრალმდებლებად - ნ. მაჭავარიანი და ნ. ოკუჯავა, საზოგადო ბრალმდებლად - ალ. ერქომაიშვილი, მდივნობდა აბაკელია. სხდომები საჯარო იყო,[23] ამიტომ მასზე დასწრება ბევრს სურდა. პირველ დღეებში სხდომებზე დამსწრეებს წითელი ბილეთებით უშვებდნენ, შემდეგ კი - გვარების ამოკითხვით. ერთ საღამოს საქმე შეტაკებამდეც კი მივიდა - კურსანტებმა რამდენჯერმე თოფები გაისროლეს და აღელვებული ხალხი გაფანტეს და დარბაზში არ შეუშვეს. დარბაზში კი

[19] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 1. ფურცლები 125-128.
[20] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 2. საქმე 12. ფურცელი 45.
[21] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 1. ფურცელი 118.
[22] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ანაწერი 2. საქმე 2. ფურცელი 269.
[23] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 3. ფურცლები 245-248.

ყოველ დღე ვიღაცას აპატიმრებდნენ (ერთხელ დააპატიმრეს გიმნაზიის მოსწავლე ხაფავა, რადგან ფურცელზე რაღაცას ინიშნავდა). სხდომებზე მოჰყავდათ მუშები, რომლებიც განსასჯელთა დახვრეტას ითხოვდნენ. დარბაზში მუდმივად იყვნენ კომსომოლები, რომლებიც ქანდარაზე ისხდნენ და ბრალდებულთა თუ დამცველთა გამოსვლას სტვენით, ყიჟინითა და ლანძღვა-გინებით ხვდებოდნენ. მათ თან ჰქონდათ მოტანილი კარიკატურები.[24]

ბრალდებულებს გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გარდა მცხეთისა და სიონის ტაძრების განძეულობის დამალვას ედავებოდნენ.

თავიდან სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქსა და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა შეუფარდა, თუმცა, ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე, 1924 წლის 14 მარტს იოსებ სტალინმა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბესარიონ ლომინაძეს ტელეგრამა გაუგზავნა, სადაც ამბროსისა და სხვა სასულიერო პირების მიმართ სასჯელის ზომებზე იყო საუბარი:

„ამბროსისა და სხვა სასულიერო პირების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით. ამიტომ გთავაზობთ: 1. სასჯელის ზომა განსაზღვრეთ მაქსიმუმ 10 წლით; 2. ამბროსისა და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის ამსახველი მასალა საპროპაგანდოდ გამოიყენეთ პრესაში და რადიოში, მიტინგებზე, განსაკუთრებით სოფლებში“.[25]

ცხადია, სასამართლომ ზედმიწევნით შეასრულა იოსებ სტალინის დირექტივა და განსასჯელებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა:

ამბროსი ხელაიას - პატიმრობა შვიდი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

იასონ კაპანაძეს - პატიმრობა ცხრა წლით, სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

კალისტრატე ცინცაძეს - პატიმრობა სამი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით, სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

[24] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1861. ანაწერი 3. საქმე 124. ფურცლები 4-9.

[25] ალექსანდრე ბენდიანიშვილი. ალექსანდრე დაუშვილი. მიხეილ სამსონაძე. ხათუნა ქოქრაშვილი. დოდო ჭუმბურიძე. ოთარ ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბილისი. 2008. გვ. 387.

ნიკოლოზ თავდგირიძეს - პატიმრობა სამი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით, სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

იოსებ მირიანაშვილს - პატიმრობა ცხრა თვითა და ოცდასამი დღით, სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

მარკოზ ტყემალაძეს - პატიმრობა ცხრა თვითა და ოცდასამი დღით, სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.[26]

ცხადია, გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გამო უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკოსების ყურადღება გაორმაგებული იყო. ამიტომაც საქართველოს ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი სტამბულში, კონსტანტინე გვარჯალაძე მუდმივად აწვდიდა მათ ამბროსი ხელაიას სასამართლო პროცესისა და პატრიარქის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. კონსტანტინე გვარჯალაძეს კი, თავის მხრივ, საქართველოში ჰყავდა სანდო პირები, რომლებისგანაც ის ამ ინფორმაციას იღებდა.[27]

საყოველთაოდ გავრცელებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვები, რომლითაც მან საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართა: *„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!“* (ზოგიერთ შემთხვევაში პატრიარქის სიტყვებს ოდნავ სახეცვლილად წერენ, თუმცა იგივე შინაარსით).

კათოლიკოს-პატრიარქის ეს სიტყვები ფიქსირდება მონოგრაფიებში, ცალკეულ პუბლიკაციებში, ჟღერდება სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ტელეგადაცემებში და ა. შ. თუმცა, როგორც წესი, არ ეთითება შესაბამისი წყარო, რაც ამ სიტყვების მიმართ გარკვეულ ეჭვებს ბადებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეს სიტყვები საერთოდ არ უთქვამს და, შესაბამისად, ის ხალხის მიერ არის შეთხზული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სა-

[26] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 3. ფურცლები 245-248.

[27] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1864. ანაწერი 2. საქმე 798. ფურცელი 1.

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში ინახება. დოკუმენტი (წერილი) 1922 წლის 1 აგვისტოთი თარიღდება და ის საქართველოს ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლის, კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ არის სტამბულიდან პარიზში, აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი.[28] ანუ, წერილი ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქის საქმის ძიება დაწყებული იყო გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გამო. ამასთან, საგანგებო კომისიაში კათოლიკოს-პატრიარქის დაბარება უხეში მეთოდებით ხდებოდა, რის გამოც მან საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს წერილით მიმართა და ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა.[29]

კონსტანტინე გვარჯალაძის ზემოთ ნახსენებ წერილში, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, საუბარია საქართველოს მართლმადიდებელი საოციქულო ეკლესიისა და კონკრეტულად კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას შესახებ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენი ეკლესიის ცნობების შესახებ წინადაც გწერდით. ვუცდი საჭირო ქაღალდებს საქართველოდგან, რაც უკვე მიწერილი გვაქვს. აქ პატრიარქი შეპირებულია, როცა ქაღალდები იქნება, მათ მიხედვით კითხვას დასვამს და დადებითად გადაწყვეტს. ჩვენი პატრიარქი დაჭერილი არ ყოფილა. დაუკითხავთ სამოთხჯერ. ამბობს თურმე - სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, ფიზიკურათ ხალხის ვარო, ჩემი ლეში ვისაც გინდათ იმან წაიღეთო“.[30]

კონსტანტინე გვარჯალაძე, სანდო პირების მეშვეობით, მუდმივად იღებდა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და კონკრეტულად კათოლიკოს-პატრიარქის შესახებ. ასე შეიტყო მან პატრიარქის ცნობილი სიტყვები, რომლითაც ამ უკანასკნელმა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართა. მართალია, დოკუმენტში ფიქსირებული კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსის სიტყვები საყოველთაოდ გავრცელებული ვერსიისგან ოდნავ განსხვავდება, მაგრამ, რაც მთავარია, შინაარსით იდენტურია და სრულად ასახავს პატრიარქის დამოკიდებულებას ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც მას უხეშად ეპყრობოდნენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ,

[28] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864. ანაწერი 2. საქმე 641. ფურცლები 34-36.

[29] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 516. ანაწერი 2. საქმე 1. ფურცელი 119.

[30] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864. ანაწერი 2. საქმე 641. ფურცლები 34-36.

რომ კონსტანტინე გვარჯალაძემ, პატრიარქის მიერ აღნიშნული სიტყვების წარმოთქმიდან მალევე შეიტყო ამის შესახებ და ის ასახა კიდეც აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში.

ცალკეულ მკვლევრებს ჰგონიათ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ცნობილი სიტყვები სასამართლო პროცესზე უნდა წარმოეთქვა (1924 წლის 10-19 მარტს), თუმცა, რადგან ეს სიტყვები არ ფიქსირდება სასამართლო პროცესის სტენოგრამაში, ამიტომაც მის არსებობასაც ეჭვის ქვეშ აყენებენ. თუმცა, როგორც ზევით დავინახეთ, კათოლიკოს-პატრიარქმა ეს სიტყვები წარმოთქვა არა 1924 წელს - სასამართლო პროცესზე, არამედ 1922 წელს და აქედან გამომდინარე, ის სასამართლო სხდომების სტენოგრამაში ვერც მოხვდებოდა.

ამდენად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას ცნობილი სიტყვები, რომლითაც მან საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართა, დოკუმენტურად დასტურდება (გავრცელებული ვერსიისგან ოდნავ სახეცვლილად, თუმცა იგივე შინაარსით), რადგან ის წარმოთქმიდან მალევე აისახა კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში. ასე რომ, ის სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. ეს გარემოება ადასტურებს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვები არ არის მოგვიანო პერიოდში შეთხზული, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. გარდა ამისა, სასურველია გამოვიყენოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიერ წარმოთქმული სიტყვები იმ ფორმით, როგორადაც ის ფიქსირებულია საარქივო დოკუმენტში, რომელიც ასე ჟღერს: ,,სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, ფიზიკურათ ხალხის ვარ, ჩემი ლეში ვისაც გინდათ იმან წაიღეთ“.

Levan Jikia
PhD in History
National Archives of Georgia

IN SEARCH OF HISTORICAL ACCURACY CONCERNING THE WORDS OF CATHOLICOS-PATRIARCH AMBROSIOS KHELAIA OF ALL GEORGIA: „MY SOUL BELONGS TO GOD...“

Summary

In the history of the Georgian Orthodox Apostolic Church, a prominent place is occupied by His Holiness and Beatitude Ambrosios Khelaia (secular name: Besarion Khelaia), Catholicos-Patriarch of All Georgia. He assumed the role of national leader in the resistance against Soviet rule.

Following the establishment of the Soviet regime in Georgia, the Georgian Orthodox Apostolic Church found itself in an extremely difficult situation, as the Soviet authorities implemented an aggressive policy of state atheism. According to the decree issued by the Georgian Revolutionary Committee (Revkom) on April 15, 1921, the Church was separated from the state, and schools were separated from the Church. The Church was deprived of the right to own private property, and religious instruction in schools was officially banned.

Youth groups incited by the authorities frequently harassed worshippers, threatened them with weapons, stormed churches during Christmas liturgies, desecrated icons, and scattered anti-religious proclamations and posters within sacred spaces. The mistreatment of clergy by local Revkom officials and their agents became so widespread that the People's Commissar of Internal Affairs of the Georgian SSR was compelled to issue a special circular ordering all district Revkom leaders to put an end to such actions, as they were undermining the authority and prestige of the Soviet government.

A nationwide campaign was launched to close or repurpose churches and monasteries. For this purpose, the Council of People's Commissars of Transcaucasia allocated five billion rubles.

On February 7, 1922, Catholicos-Patriarch Ambrosios composed and submitted a memorandum to the Genoa International Economic Conference. In this memorandum, he provided a detailed account of the ongoing political repressions in Georgia, as well as the acts of violence committed against the Georgian Orthodox Apostolic Church. He called for the withdrawal of the occupying forces of Soviet Russia from Georgian territory and demanded respect for the sovereignty of Georgia.

The Patriarch's memorandum caused significant resonance in Europe, placing the Soviet authorities in an uncomfortable diplomatic position. In response, the Soviet regime launched a direct attack against the Catholicos-Patriarch. On June 2, 1922, he was forcibly evicted from the patriarchal residence, and on June 23, the residence and his working quarters were sealed. Both ecclesiastical and secular items were confiscated.

Between March 10 and 19, 1924, a court trial was held against the Catholicos-Patriarch and members of the Holy Synod. In addition to the memorandum sent to Genoa, the charges included the alleged concealment of the treasures of the Mtskheta and Sioni cathedrals.

Initially, the court sentenced the Patriarch and the Synod members to the highest form of punishment—execution. However, even before the verdict was formally announced, Joseph Stalin had sent a telegram to Besarion Lominadze, First Secretary of the Central Committee of the Communist Party (Bolsheviks) of Georgia, in which he instructed that the sentence for Ambrosios and the other clergy should be limited to a maximum of ten years' imprisonment. Unsurprisingly, the court complied precisely with this directive.

One of the most widely known and frequently cited quotations attributed to Catholicos-Patriarch Ambrosios is his bold declaration to Soviet authorities: **„My soul belongs to God, my heart to my homeland, and my body I leave to you, tormentors!"** (In some versions, the wording differs slightly, though the meaning remains unchanged.)

To this day, scholars debate whether the Patriarch genuinely spoke these words. In this regard, a particularly significant document is preserved in the Central Historical Archive of the National Archives of Georgia, within the collection of the Ministry of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia. The document is dated August 1, 1922, and consists of a letter sent by Konstantine Gvardjaladze, a diplomatic envoy of the Georgian government-in-exile, to Akaki Chkhenkeli. The letter reads: **„Our Patriarch has not been arrested. He has been interrogated three or four times. He is said to have**

declared: 'My soul belongs to God, physically I belong to the people, and whoever wants my corpse can take it".

Accordingly, the well-known words of Catholicos-Patriarch of All Georgia, Ambrosios Khelaia, addressed to the representatives of the Soviet authorities, are confirmed by documentary evidence (albeit in a slightly modified version compared to the popular rendering, yet with the same meaning), as they were reflected shortly after being uttered in a letter sent by Konstantine Gvardjaladze to Akaki Chkhenkeli. Therefore, they should be regarded as credible. This circumstance affirms that the words of the Catholicos-Patriarch were not fabricated at a later stage, as some researchers have claimed. Furthermore, it is advisable to cite the statement of Catholicos-Patriarch of All Georgia, Ambrosios Khelaia, in the exact form in which it is recorded in the archival document, which reads as follows: **„My soul belongs to God, physically I belong to the people, and whoever wants my corpse can take it".**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

შორენა მურუსიძე
მეცნიერი თანამშრომელი
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ფსიქოლოგიური ომის სტრატეგია და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ემიგრაცია (XX ს-ის 50-იანი წლები)*

ცივი ომი, გამალებული სამხედრო შეიარაღებისა და პოლიტიკური დაპირისპირებების გარდა, იდეოლოგიურ ბრძოლასაც მოიცავდა. კომუნიზმის გავრცელების საფრთხემ აშშ-ის სტრატეგიის ტრანსფორმაცია განაპირობა. პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის ადმინისტრაციამ კომუნიზმის შეკავების გრძელვადიანი სტრატეგია შეიმუშავა. 1949 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ატომური ბომბის გამოცდამ, ხოლო 1950 წელს კომუნისტური ჩრდილოეთ კორეის სამხრეთ კორეაზე თავდასხმამ დასავლეთის ქვეყნებში სსრკ-ის ევროპაში შეჭრის შიში და ანტიკომუნისტური განწყობის მატება გამოიწვია. ახლადშექმნილი ნატო საბჭოთა კავშირს ჩამოუვარდებოდა შეიარაღებითა და სამხედრო პერსონალით.

ამ პერიოდიდან აშშ-ის საგარეო სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ე.წ. ფსიქოლოგიური ომის მეთოდის გამოყენებამ. მეოცე საუკუნეში ფსიქოლოგიურ ომს რამდენიმე ტერმინით იხსენიებდნენ, მათ შორის იყო პროპაგანდა, პოლიტიკური ომი და ფსიქოლოგიური ოპერაციები. ყველა მათგანი გულისხმობდა ისეთი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნებოდა მოწინააღმდეგის დასუსტებისკენ და მორალური მხარდაჭერის მოპოვებისკენ. ფსიქოლოგიური ომის მნიშვნელობა გაიზარდა ბეჭდური მედიისა და სხვა მედიასაშუალებების განვითარებასთან ერთად.[1] როგორც ბრიტანელი მასმედიისა და პროპაგანდის მკვლევარი ფილიპ მ. ტეილორი აღნიშნავს, 1950-იან

* კვლევა PHDF-22-7145 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

[1] R. Holmes. The Oxford Companion to Military History, psychological warfare. "Oxford University Press". London. 2004, გვ. 1.

წლებში ცივი ომი გლობალურ იდეოლოგიურ კონფლიქტად გადაიქცა და გახდა „ომი, რომელიც ძირითადად, ადამიანის გონებისთვის იბრძოდა“.[2] ფსიქოლოგიური ომის მიზანი იყო აღმოსავლეთიდან მომავალი კომუნისტური საფრთხის დაძლევა, საბჭოთა სისტემის შიგნიდან რღვევა მათი მოწინააღმდეგეების მხარდაჭერითა და რადიო გადაცემებით საზოგადოებაში რეჟიმის მიმართ უკმაყოფილების გაჩენით.[3]

აშშ-ის მიერ საგარეო პოლიტიკაში ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიის გამოყენება ცივი ომის დროს არ დაწყებულა. XX ს-ის 30-იან წლებში ევროპაში ჩამოყალიბებულმა ტოტალიტარულმა მთავრობებმა ქვეყნის შიგნით და გარეთ პოპულარობის მოსაპოვებლად პროპაგანდა დაიწყეს. კინოსა და რადიოს განვითარებამ გააჩინა საფრთხე, რომ მათ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივ აზრზე. 1930-იან წლებში სამხრეთ ამერიკაზე ნაცისტური გერმანიის გავლენის წინააღმდეგ და რეგიონში ჰეგემონის ფუნქციის შენარჩუნებისთვის პრეზიდენტმა ფრანკლინ დ. რუზველტმა შექმნა ინტერამერიკული საქმეთა კოორდინაციის ოფისი, რომელმაც დააარსა რადიო და დაიწყო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ლათინურ ამერიკაში. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ შეიქმნა ომის საინფორმაციო და სტრატეგიული სერვისების ოფისები.[4] მათ აწარმოეს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ რადიომაუწყებლობის, გაზეთების, პლაკატების, ფოტოების, ფილმებისა და მედიის სხვა საშუალებების გამოყენებით.

ცივი ომის დროს ფსიქოლოგიური ომის მეთოდის გამოყენებამ გავლენა მოახდინა მასობრივი კომუნიკაციისა და სოციალური მეცნიერებების განვითარებაზე და მთელი რიგი დისციპლინების ჩამოყალიბება განაპირობა. კომუნიკაციის მექანიზმებისა და საზოგადოებრივი აზრის უკეთ გაგების მიზნით 1950-იანი წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო უწყებებმა დაიწყეს კვლევებისა და სამეცნიერო კონფერენციების ინიცირება და დაფინანსება.[5] ეს კვლევები შემდეგ გამოიყენებოდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში და საიდუმლო ოპერაციებში. ამ პერიოდში

[2] B. Tromly. The Making of a Myth the National Labor Alliance, Russian Emigres, and Cold War Intelligence Activities. "Journal of Cold War Studies". Vol.18. №1. Cambridge. 2016, გვ.111.

[3] B. Nietzel. Propaganda, psychological warfare and communication research in the USA and the Soviet Union during the Cold War. Jour. "History of the Human Sciences". 29(4-5). London. 2016, გვ. 63.

[4] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 190.

[5] B. Nietzel. Propaganda, psychological warfare and communication research in the USA and the Soviet Union during the Cold War, გვ. 60.

ჩატარებული კვლევებიდან ზოგიერთი დღემდე გასაიდუმლოებულია. მაგალითად, ცნობილია, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო აფინანსებდა მასობრივი კომუნიკაციების ცნობილი მეცნიერის ვილბურ შრამის (Wilbur Schramm) გამოკვლევებს, თუმცა მათი დიდი ნაწილი კვლავ საიდუმლოდ რჩება და არ არის გასაჯაროებული. აშშ-ის ხელისუფლებასა და სოციალურ მეცნიერებს შორის თანამშრომლობა დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედროებში პროპაგანდისტული კამპანიის, მათში მორალისა და მხარდაჭერის ამაღლებისთვის.[6] ცივი ომის პერიოდში ის განსხვავება იყო, რომ ამჯერად ხელისუფლებამ თავად დაიწყო სოციალური მეცნიერებებისთვის კვლევების დაკვეთა და დაფინანსება უფრო ეფექტური ფსიქოლოგიური ომის ოპერაციების წარმოებისათვის.[7]

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეიმუშავა მასშტაბური პროექტი VISTA, რომლის ფარგლებში 1951 წლის 16-19 ივლისს კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია ფსიქოლოგიური ომის შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ფსიქოლოგიურ ომში ჩართული ყველა სამთავრობო დეპარტამენტის ოფიციალური პირები და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან აფილირებული მკვლევრები, განიხილავდნენ საკითხს, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა სახელმწიფოს სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიაში.[8]

1950 წლის ოქტომბერში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩაატარა საიდუმლო შეხვედრა კოდური სახელწოდებით „პროექტი ტროა“, რომელიც სამი თვე გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ ოცდაერთი დარგის ცნობილი მეცნიერები, სოციოლოგები და ისტორიკოსები. ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო კოორდინირებული პოლიტიკური კამპანიის წარმოება საბჭოთა კავშირის პროპაგანდის წინააღმდეგ. ამერიკას უნდა შეემუშავებინა და განეხორციელებინა ფსიქოლოგიური ომის ფართომასშტაბიანი პროპაგანდა და სპეცოპერაციები.[9] „პროექტ ტროამ“ საფუძველი ჩაუყარა აშშ-ის მთავრობასა და წამყვან ამერიკულ უნივერ-

[6] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 189.
[7] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 192.
[8] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 186-187.
[9] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 188.

სიტუაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.[10]

პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა გაიზიარა „პროექტ ტროას“ რეკომენდაცია და ფსიქოლოგიური სტრატეგიის საბჭო ჩამოაყალიბა. მისი მიზანი იყო სამთავრობო უწყებების მიერ წარმოებული ფსიქოლოგიური ოპერაციების კოორდინაცია, ფსიქოლოგიური პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების კონტროლი და შედეგების შეფასება, ასევე, შესაბამისი უწყებების დახმარება ფსიქოლოგიური ოპერაციების მომზადებაში და იმ კვლევების განხილვა, რომლებიც ფსიქოლოგიურ ოპერაციებს ეხებოდა.[11] შექმნიდან ორი წლის შემდეგ, 1953 წლის სექტემბერში ფსიქოლოგიური სტრატეგიის საბჭო დაიშალა, რადგან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო არ თანამშრომლობდნენ მასთან. სანაცვლოდ შეიქმნა ოპერაციების საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც იგივე მიზნები ჰქონდა, თუმცა უფრო მეტი უფლებამოსილება სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დროს ფსიქოლოგიური ოპერაციები ცივი ომის სტრატეგიაში ცენტრალურ ადგილს იკავებდა.[12] ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ანალიტიკური ცენტრებისა და კვლევითი ინსტიტუტების ქსელი, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის საკითხებს იკვლევდა.[13] მიუხედავად ამისა, იმავე პერიოდში სახელმწიფოს დაკვეთით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ მეცნიერები და სახელმწიფო მოხელეები ერთად ნაყოფიერად ვერ მუშაობდნენ, რაც იწვევდა არასათანადო კვლევების დაფინანსებას და მიღებული შედეგების არაეფექტურ გამოყენებას ან საერთოდ გამოუყენებლობას.[14]

ამ პერიოდში ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიას ორი მიმართულება ჰქონდა. პირველი იყო იდეოლოგიური კონტრ-კამპანია კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობდა მასმედიის, საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებებით კომუნიზმის შესახებ საზოგადოების ცნობი-

[10] B. Nietzel. Propaganda, psychological warfare and communication research in the USA and the Soviet Union during the Cold War, გვ. 63.

[11] ფსიქოლოგიური სტრატეგიის საბჭოს კონცეფციის, სტრუქტურისა და უფლება-მოვალეობის შესახებ დეტალურად იხ. აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოს დოკუმენტი "Saychological Strategy Board (PSB)", https://www.cia.gov/readingroom/docs/CIA-RDP80R01731R003300130030-3.pdf

[12] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 189.

[13] B. Nietzel. Propaganda, psychological warfare and communication research in the USA and the Soviet Union during the Cold War, გვ. 64.

[14] G. Kemmis. Uncovering the metaphysics of psychological warfare: The social science behind the Psychological Strategy Board's operations planning 1951-1953, გვ. 194.

ერების ამაღლებას. თავიდან გამოიყენებოდა ე.წ. ნეგატიური ანტიკომუნიზმი, რომელიც მიდრეკილი იყო კომუნიზმთან დაკავშირებული საკითხების შავ-თეთრად წარმოჩენისკენ და შემოიფარგლებოდა მხოლოდ კრიტიკით. ეს მიდგომა შეიცვალა XX ს-ის 50-იანი წლების შუა ხანებში, როცა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გააცნობიერა უფრო პოზიტიური ანტიკომუნიზმის აუცილებლობა, რომელიც ფოკუსირებული იყო კომუნიზმის ობიექტურად შესწავლაზე, მის მეცნიერულ კრიტიკაზე, აქცენტი კეთდებოდა აშშ-ის მიღწევებზე და არა საბჭოთა სისტემის დაკნინებაზე.[15]

მეორე მიმართულება იყო ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელიც გულისხმობდა სოციალისტურ აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში საიდუმლო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, მათ შორის საჰაერო ბუშტების გამოყენებით პროკლამაციების გავრცელებას, ინფორმატორების შეგზავნას და ა.შ.[16]

ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიის ორივე მიმართულების განხორციელებისას ძირითადი ადამიანური რესურსი იყო აღმოსავლეთ და საბჭოთა კავშირის ემიგრაცია. სსრკ-ის ექსპანსიის შეკავების პოლიტიკის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი ჯორჯ ფ. კენანი (George F. Kennan)[17] სსრკ-ის ემიგრანტებს განიხილავდა, როგორც საბჭოთა კავშირის შესახებ ინფორმაციის უბადლო წყაროებს და პერსპექტიულ ჯაშუშებს ფარული ოპერაციებისთვის.[18] შესაბამისად, ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირის ემიგრაცია აშშ-ის ინტერესების სფეროში მოექცა. მათთან ურთიერთობების დამყარება დაევალა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს.[19] საწყის ეტაპზე, სააგენტოს მიზანი იყო მრავალრიცხოვანი საბჭოთა ემიგ-

[15] G. Scott-Smith. Confronting Peaceful Co-existence: Psychological Warfare and the Role of Interdoc, 1963-72. Jurn. "Cold War History". Vol.7. №1. London. 2007, გვ. 26.

[16] G. Scott-Smith. Interdoc and West European Psychological Warfare: The American Connection. Jurn. "Intelligence and National Security". Vol.26. №2-3. London. 2011, გვ. 360-361.

[17] საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავების დოქტრინის ავტორი ცივი ომის დროს. 1940-იან წლებში მისი გავლენით ჩამოყალიბდა ტრუმენის დოქტრინა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სსრკ-ის შეკავების კონცეფცია. 1946 წელს მოსკოვიდან გამოაგზავნა ე.წ. „გრძელი ტელეგრამა". ამ ტელეგრამაში და ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში „საბჭოთა ქცევის წყაროები" ის ამტკიცებდა, რომ საბჭოთა რეჟიმი თავისი ბუნებით ექსპანსიონისტურია და აუცილებელი იყო მისი შეკავება აშშ-ისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში. კენანმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ცივი ომი დროინდელი ფსიქოლოგიური ომის პროგრამებისა და ინსტიტუტების შექმნაში.

[18] B. Tromly. Emigré Politics and the Cold War: The National Labor Alliance (NTS), United States Intelligence Agencies and Post-War Europe. Jour. "Contemporary European History. 29. Cambridge. 2020, გვ. 55.

[19] ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ჰქონდა ქვეგანყოფილებები, რომლებიც ფსიქოლოგიური ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაზე მუშაობდნენ.

რაციიდან იმ ჯგუფებისა და პიროვნებების გამოვლენა, რომელთაც გარკვეული გავლენა ჰქონდათ ეროვნულ ემიგრაციაზე, მათთან კონტაქტების დამყარება და მათი ჩართვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ფსიქოლოგიურ ოპერაციებში. ბრიტანეთის დაზვერვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კიმ ფილბიმ, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმავდროულად საბჭოთა კავშირის ჯაშუში იყო, თავის მოგონებებში (Kim Philby, My Silent War, niu-iorki, 1968, გვ.152.) დაწერა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო „ცივი ომის ფორმირების ფაზის დროს ყურებამდე იყო ჩაფლული ემიგრანტების პოლიტიკაში".[20]

ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის ემიგრაციიდან უპირატესობას ანიჭებდა რუსულ ემიგრაციას. ამიტომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო პირველად სწორედ რუსულ ემიგრანტულ ორგანიზაციას, კერძოდ რუსი სოლიდარისტების სახალხო-შრომით კავშირს (Народно-трудового союза российских солидаристов (НТС)) დაუკავშირდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი[21] პოლიტიკური გაერთიანება იყო. ორგანიზაცია დაარსდა 1931 წელს ბელგრადში. მასში გაწევრიანებული იყვნენ ახალგაზრდა რუსი ემიგრანტები, რომლებიც კონსერვატიული შეხედულებების იყვნენ, უარყოფდნენ ლიბერალურ დემოკრატიას და ე.წ. თეთრ ემიგრაციას მიეკუთვნებოდნენ. XX ს-ის 20-30-იან წლებში რუსი სოლიდარისტები იზიარებდნენ იტალიური ფაშიზმისა და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას, ხოლო ომის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე, სანამ მოკავშირეები ფრონტზე უპირატესობას მოიპოვებდნენ, თანამშრომლობდნენ ნაცისტურ გერმანიასთან.[22] ომის დარსულების შემდეგ გადარჩენის ინსტინქტმა რუსი სოლიდარისტები აიძულა, შეეცვალათ შეხედულებები. ამ პერიოდიდან მათმა იდეოლოგიამ ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა, რათა დაახლოებოდა დასავლეთის სახელმწიფოებში დომინირებულ ლიბერალურ-დემოკრატიას. 1946 წლიდან ორგანიზაციის წესდება გაიწმინდა ფაშისტური და ანტი-ლიბერალური ტერმინოლოგიისგან, ასევე ან-

[20] B. Tromly. Émigré Politics and the Cold War: The National Labor Alliance (NTS), United States Intelligence Agencies and Post-War Europe, გვ. 45.

[21] 1951 წელს წევრების რაოდენობა 643 იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელების დახმარებით შეძლეს ასობით ტყვედ ჩავარდნილი რუსის განთავისუფლება რეპატრიაციისაგან, რამაც მათი გალენა რუსულ ემიგრაციაზე კიდევ უფრო გაზარდა. ისინი გამოსცემდნენ პერიოდულ ჟურნალს "Посев".

[22] B. Tromly. Émigré Politics and the Cold War: The National Labor Alliance (NTS), United States Intelligence Agencies and Post-War Europe, გვ. 46-47.

ტისემიტიზმისგან. ომის შემდგომ რუსი სოლიდარისტების დოქტრინა გახდა ზომიერი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ტოტალიტარიზმის გამოვლინებას როგორც ფაშისტური, ისე მარქსისტული სახით. თუმცა ეს ცვლილება მხოლოდ ფასადური იყო, პრაგმატული გათვლით გამოწვეული. რეალურად, ორგანიზაცია კვლავ ერთგული რჩებოდა რუსული იმპერიალიზმისა. მისი ლიდერებისთვის „პარლამენტარიზმი" და „ლიბერალური დემოკრატია" დამამცირებელი ტერმინები იყო.[23] რუსმა სოლიდარისტებმა თავისი წარსულის გადაწერითა და აწმყოში არსებული შესაძლებლობების უტრირებით შეძლეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დაინტერესება. ისინი სააგანტოს სთავაზობდნენ სსრკ-ში აგენტების შეღწევით, გერმანიასა და ავსტრიაში დისლოცირებულ საბჭოთა ჯარებზე პროპაგანდის გავრცელებით და ანტისაბჭოთა რადიომაუწყებლობის განვითარებით სსრკ-ში „რევოლუციისთვის ნიადაგის მომზადებას".[24] ასევე, ამტკიცებდნენ, თითქოს საბჭოთა კავშირის დასავლეთის ტერიტორიაზე და გერმანიის საბჭოთა ზონაში ჰყავდათ ომის დროს განთავსებული ორგანიზაციის წევრები, რომლებსაც შეეძლოთ აგენტურული საქმიანობის შესრულება.[25] რეალურად, რუსი სოლიდარისტები სსრკ-ის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ მხოლოდ ომის დროს, როცა გერმანიის ჯარების ეგიდით მოქმედებდნენ, მაგრამ არა ცივი ომის პერიოდში. რეალობის დამახინჯებით რუსი სოლიდარისტების მიზანი იყო შთაბეჭდილება მოეხდინათ ამერიკელებზე და მათი მფარველობა მოეპოვებინათ. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი სკეპტიკურად უყურებდნენ სახალხო-შრომითი კავშირის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას და ჯაშუშურ შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, მას მაინც განიხილავდნენ ეფექტურ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ინსტრუმენტად, ამიტომ გადაწყვიტეს, ეთანამშრომლათ მათთან. სააგენტო 1951 წლიდან მთელი ცივი ომის პერიოდში აფინანსებდა ორგანიზაციას.[26]

აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ რუსი სოლიდარისტები გამოიყენა, როგორც პროვოკაციული ხერხი, საბჭოთა კავშირის წი-

[23] B. Tromly. Émigré Politics and the Cold War: The National Labor Alliance (NTS), United States Intelligence Agencies and Post-War Europe, გვ. 54-55.

[24] B. Tromly. Émigré Politics and the Cold War: The National Labor Alliance (NTS), United States Intelligence Agencies and Post-War Europe, გვ. 44.

[25] B. Tromly. Émigré Politics and the Cold War: The National Labor Alliance (NTS), United States Intelligence Agencies and Post-War Europe, გვ. 57-58.

[26] B. Tromly. The Making of a Myth the National Labor Alliance, Russian Emigres, and Cold War Intelligence Activities. "Journal of Cold War Studies". Vol.18. №1. Cambridge. 2016, გვ. 81-82.

ნააღმდეგ. კერძოდ, შექმნა ძლიერი ანტისაბჭოთა რუსული ემიგრაციის მითი,[27] რომლიც თითქოს სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ბოლშევიკური რეჟიმისთვის. ეს ტაქტიკა სააგენტოს ერთ-ერთ დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც „შოუ გერმანიაში“.[28] მოტყუებისა და „შოუს“ გამოყენების სტრატეგიამ გარკვეული შედეგი გამოიღო. ეტაპობრივად მითი რეალობად იქცა. საბჭოთა ჩინოვნიკები ორგანიზაციას „უფრო საშიშად თვლიდნენ, ვიდრე დანარჩენ რუსულ ემიგრაციას“. 1953 წლიდან სსრკ პერიოდულად საჯაროდ დიპლომატურ პროტესტს გამოთქვამდა დასავლეთის მიმართ რუსი სოლიდარისტების საქმიანობის გამო. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის (ასევე, ცნობილი, მისი რუსული აბრევიატურით კგბ) მიერ 1956 წელს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ ექვს თვეში აღმოჩენილი საჰაერო ბუშტებით ტიუმენიდან ომსკამდე მიმოფანტული იყო რუსი სოლიდარისტების 56000-ზე მეტი პროკლამაცია. 1960 წელს აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოს ბერლინის განყოფილების უფროსის მოხსენებაში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა შეიარაღებული ძალებიდან დასავლეთში გაქცეული სამხედროებიდან ფაქტობრივად ყველამ იცოდა რუსი სოლიდარისტების ორგანიზაციის არსებობის შესახებ და რომ ამ ფაქტმა „გარკვეული გავლენა მოახდინა მათ გადაწყვეტილებაზე“.[29]

მეორე რუსული ემიგრანტული ორგანიზაცია, რომელთანაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო თანამშრომლობდა ფსიქლოგიურ ომში, იყო „ომისშემდგომი ემიგრანტების ცენტრალური გაერთიანება“ (Центральное объединение послевоенных эмигрантов), რომელიც 1952 წელს დაარსდა და ფუნქციონირებდა 1963 წლამდე. მასში გაწევრიანებული იყვნენ 1945-1948 წლებში საბჭოთა კავშირიდან გაქცეული[30] ან ომის შემდეგ დასავლეთში დარჩენილი პირები, ე.წ. მეორე ტალღის ემიგრანტები. პირ-

[27] B. Tromly. The Making of a Myth the National Labor Alliance, Russian Emigres, and Cold War Intelligence Activities, გვ. 82.

[28] B. Tromly. The Making of a Myth the National Labor Alliance, Russian Emigres, and Cold War Intelligence Activities, გვ. 101.

[29] B. Tromly. The Making of a Myth the National Labor Alliance, Russian Emigres, and Cold War Intelligence Activities, გვ. 109-110.

[30] ომის შემდეგ სსრკ-დან გაქცეულების დახმარების და მათი ფსიქოლოგიურ ომში გამოყენების შესახებ ფსიქოლოგიური ოპერაციების საბჭომ 1951 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა გეგმა. დეტალურად იხ. ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №C02194583, “Psychological Operations Plan for Soviet Orbit Escapees”. https://www.archives.gov/files/declassification/iscap/pdf/2012-089-doc1.pdf

ველი ტალღის ემიგრაციისგან განსხვავებით, მათ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ნაცხოვრები იყვნენ საბჭოთა კავშირში, შესაბამისად, კარგად იცნობდნენ საბჭოთა ყოფას და ახალი დატოვებული ჰქონდათ სამშობლო. ჯორჯ კენანის აზრით, საბჭოთა მოქალაქე, რომელიც ომის შემდეგ გაიქცა სამშობლოდან „საბჭოთა სამყაროს შესახებ ზუსტი ინფორმაციის საუკეთესო წყაროა“ და წარმოადგენს კრემლის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის გადამწყვეტ ინსტრუმენტს, რადგან ნათელი მაგალითია „საბჭოთა სამოთხის კომუნისტური მითის განადგურებისა“.[31] ცივი ომის დროს საბჭოთა ქვეყნიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში გაქცევა განიხილებოდა, როგორც იდეოლოგიური აქტი, რომელიც დასავლეთში სამართლიან პროტესტს, ხოლო აღმოსავლეთში ღალატს ნიშნავდა. არსებობის მანძილზე „ომისშემდგომი ემიგრანტების ცენტრალურმა გაერთიანებამ“ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობით მრავალი ფსიქოლოგიური ომის ოპერაცია ჩაატარა, მათ შორის იყო საჰაერო ბუშტებით საბჭოთა ბლოკში ანტიკომუნისტური ბეჭდური პროპაგანდის გავრცელება და აღმოსავლეთ გერმანიაში აგენტური ქსელი შექმნა.

ცალკეულ რუსულ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან თანამშრომობის გარდა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიზანი იყო რუსი და არარუსი ემიგრაციის გაერთიანება და ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნა. ამისთვის, 1951 წლის 8 თებერვალს, დელავერის შტატში დაარსდა „ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი“.[32] ორგანიზაცია მთელი თავისი არსებობის მანძილზე მდებარეობდა ნიუ-იორკში [33] და წარმომადგენლობა ჰქონდა მიუნხენში[34]. ამერიკელი სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფსიქოლოგიურ ომის სტრატეგიის ფორმირებაში, ჩართულნი იყვნენ „ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობაში.[35] ორგანიზაცია აქტიური იყო 1950-იანი

[31] B. Tromly. Ambivalent heroes: Russian defectors and American power in the early Cold War. Jour. "Intelligence and National Security", Vol. 33. №5. London. 2018, გვ. 644-644.

[32] სოციალისტური ბლოკის ქვეყნების (უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია) ემიგრაციასთან ურთიერთობისთვის აშშ-ს სადაზვერვო სააგენტომ შექმნა ორგანიზაციები „ჯვაროსნული ლაშქრობა თავისუფლებისთვის“ და „თავისუფალი ევროპის კომიტეტი“.

[33] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი, დოკუმენტი №C01441005, ფურც. 2 http://digitalarchive.wilsoncenter.org/document/114354

[34] აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიის ფარგლებში ემიგრაციასთან ერთად დაგეგმილი არქტივობები ხორციელდებოდა დასავლეთ გერმანიაში, უფრო ხშირად ქ. მიუნხენში.

[35] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. "Journal of Cold War Studies". Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ. 108.

წლების პირველ ნახევარში. ის ოფიციალურად ცნობილი იყო, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანება, თუმცა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ბოლო წლებში გასაჯაროებული საიდუმლო გრიფის მქონე დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ „ამერიკული კომიტეტი“ შექმნა აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ფსიქოლოგიური ომის ფარგლებში (პროექტი QKACTIVE) და მის საქმიანობას მთლიანად სააგენტო წარმართავდა. „კომიტეტის“ მიზანი იყო: საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანების გზით ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის ჩამოყალიბება; საბჭოთა კავშირის ხალხთა მშობლიურ ენაზე მაუწყებელი რადიოსადგურების დაარსება; ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ემიგრანტების მატერიალური და მორალური დახმარება; ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაფინანსება; მათი ინტელექტუალური რესურსების გამოყენება, მათგან საბჭოთა კავშირზე და მის ხალხზე ინფორმაციის მოპოვება.[36] „კომიტეტი“ თანამშრომლობდა სსრკ-ის ერთა ემიგრაციასთან, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა. აშშ ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს სსრკ-ის მიერ ოკუპირებულად აღიარებდა, ამიტომ მათ მიმართ განსხვავებული პოლიტიკა და დამოკიდებულება ჰქონდათ.

„ამერიკულმა კომიტეტმა“ საქმიანობა დაიწყო მისი უმთავრესი მიზნის საბჭოთა ემიგრაციის გაერთიანებული ფრონტის შექმნის განხორციელებით. პოლიტიკური ემიგრანტული ორგანიზაციების საერთო ცენტრი უნდა ყოფილიყო საბჭოთა რეჟიმის ოპოზიციის სიმბოლო, რომელიც დაგეგმავდა და განახორციელებდა ანტისაბჭოთა აქტივობებს.[37] პირველი ნაბიჯი იყო ხუთი რუსული ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაციების – 1. ხალხთა განთავისუფლებისთვის მებრძოლი ლიგა; 2. რუსი სოლიდარისტების სახალხო-შრომითი კავშირი; 3. რუსეთის სახალხო მოძრაობა; 4. რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისთვის მებრძოლთა კავშირი; 5. რუსეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა კავშირი – გაერთიანება 1951 წლის აგვისტოში გერმანიის ქალაქ შტუდგარდში „ამერიკული კომიტეტის“ მიერ მოწვეულ კონფერენციაზე. მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ცნობილი რუსი ემიგრანტები – რუსეთის დროები-

[36] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №113755. American Committee for Liberation from Bolshevism (Mission and Objectives). ფურც. 1-3. http://digitalarchive.wilsoncenter.org/document/114480

[37] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. "Journal of Cold War Studies". Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ. 122

თი მთავრობის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე კერენსკი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ბორის ნიკოლაევსკი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი სერგეი მელგუნოვი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ის ფსიქოლოგიური ომის შემმუშავებელი პირები უპირატესობას ანიჭებდნენ ყველაზე მრავალრიცხოვან რუსულ ემიგრაციას, სწორედ ამიტომ „ამერიკულმა კომიტეტმა“ ჯერ რუსული ემიგრაციის გაერთიანება დაგეგმა და განახორციელა, ხოლო შემდეგ არარუსი ემიგრაცია მოიწვია ვისბადენის კონფერენციაზე (ნოემბერი, 1951 წ.).[38] არარუსული ემიგრანტული ორგანიზაციებიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ: 1. ქართული ეროვნული საბჭო;[39] 2. ბელორუსიის სახალხო რადა; 3. თავისუფლებისთვის მებრძოლ სომეხთა გაერთიანება; 4. ეროვნული ერთობის აზერბაიჯანული საბჭო; 5. ჩრდილო-კავკასიური ანტიბოლშევიკური ეროვნული გაერთიანება; 6. თურქესტანის[40] ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი.[41]

მრავალ ჯგუფად და ორგანიზაციად დაყოფილ რუსულ ემიგრაციას ერთი საერთო ჰქონდა – არც ერთი მათგანი არ აღიარებდა რუსეთის იმპერიის საზღვრების ცვლილებას და „ერთიანი რუსეთის“ აღდგენისთვის იბრძოდა. მათი ეს პოზიცია ცნობილი იყო არარუსი ემიგრაციისთვის, ამიტომ ზოგი მათგანი უარს ამბობდა მათთან თანამშრომლობაზე.[42] ამ

[38] დეტალურად „ამერიკული კომიტეტის“ ინიციატივით რუსი და არარუსი ემიგრაციის გაერთიანების მცდელობისა და საბჭოთა ემიგრაციის ურთიერთობების შესახებ იხ.: შ. მურუსიძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობა ვისბადენისა და შტარნბერგის კონფერენციებში (1951-1952). კრებ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XVII-XVIII, თბ., 2015/2016, გვ. 75-83; მისივე, „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგა („პარიზის ბლოკი“). კრებ.: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 2023, №27, გვ. 104-122.

[39] დაარსდა 1951 წლის 20 ოქტომბერს პარიზში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, ქართული ახალგაზრდული თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია და „თეთრი გიორგი“. ქართული პოლიტიკური ემიგრაციიდან „ქართული ეროვნული საბჭოს“ გამორჩევა და მათთან ურთიერთობის დამყარება იმ მიზეზით შეიძლება აიხსნას, რომ „საბჭოს“ შემადგენლობაში შედიოდნენ პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, „ქართული ეროვნული საბჭო“ მთავრობის სახელით მოქმედებდა.

[40] მუსლიმურ ეროვნებებს, აზერბაიჯანელებს და განსაკუთრებით საბჭოთა ცენტრალური აზიის ეროვნებებს ჰყავდათ უფრო ძლიერი პარტიები თურქეთში, მაგრამ „ამერიკული კომიტეტის“ მიმართვის მიუხედავად, ამ ჯგუფებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ თანამშრომლობაზე.

[41] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. “Journal of Cold War Studies”. Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ. 114-115.

[42] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. “Journal of Cold War Studies”. Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ. 114.

თვალსაზრისით ყველაზე შეუვალი პოზიცია ჰქონდათ უკრაინელებს. ისინი იყვნენ სიდიდით მეორე (რუსების შემდეგ) ემიგრანტული ეროვნება საბჭოთა ტერიტორიიდან და მეორე ტალღის ყველაზე მრავალრიცხოვანი ემიგრაცია. „ამერიკული კომიტეტისთვის“ მნიშვნელოვანი იყო უკრაინელების მონაწილეობა მომავალ გაერთიანებაში, ამიტომ თავმჯდომარე ადმირალი ადამ კირკი პირადად ცდილობდა კანადასა და აშშ-ში მყოფი უკრაინელი ემიგრანტების მიმხრობას, რათა მათ გავლენა მოეხდინათ ევროპის უკრაინულ ემიგრაციაზე და დაეთანხმებინა ისინი რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობაზე. თუმცა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.[43]

რუსული და არარუსული ემიგრაციის თანამშრომლობა თავიდანვე წინააღმდეგობებით დაიწყო. ეს ყველაზე მწვავედ გამოჩნდა ვისბადენის კონფერენციაზე. დაპირისპირების მიზეზი იყო ეროვნული საკითხი. არარუსი ემიგრაციის წარმომადგენლები არ დათანხმდენ რუსული ემიგრაციის მოთხოვნას, მომავალი გაერთიანების მიზანი ყოფილიყო მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის დამხობა და მოითხოვეს, დამატებოდა სსრკ-ში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობის უპირობო აღდგენა. „ამერიკულმა კომიტეტმა“ მხარეებს ერთათვითგამორკვევის პრინციპი შესთავაზა, რომლის თანახმად, სსრკ-ის ერები, ბოლშევიკური რეჟიმის მარცხის შემდეგ, პლებისციტის გზით თავად გადაწყვეტდნენ, რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა სურდათ თუ დამოუკიდებლობა. ვისბადენის კონფერენციამ ღიად დატოვა ეროვნული საკითხი. მისი მუშაობა დასრულდა „ანტიბოლშევიკური საკოორდინაციო ცენტრის“ შექმნით.[44] მასში შედიოდა ზემოთ ჩამოთვლილი 5 რუსული და 6 არარუსული ემიგრანტული ორგანიზაცია. ცენტრის მიზანი იყო გაერთიანებული ფრონტის შექმნა და რადიოსადგურის დაარსება. რუსულ და არარუსულ ემიგრანტულ ორგანიზაციებს შორის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა „საკოორდინაციო ცენტრში“, რამაც გამოიწვია 1953 წლის ივნისში ცენტრის ორ დაპირისპირებულ ჯგუფად გაყოფა. „ამერიკული კომიტეტის“ წარმომადგენლები მოლაპარაკებებითა და ფინანსური დახმარების შეწყვეტის მუქარით ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ ემიგრანტები, გაეგრძელებინათ ერთობლივი მუშაობა,[45] მაგრამ რუსული ემიგრაციის მოთხოვნები, არარუსულ

[43] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. "Journal of Cold War Studies". Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ 116-117.
[44] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. "Journal of Cold War Studies". Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ 114-115.
[45] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. "Journal of Cold War Studies". Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ. 119.

ემიგრაციას ეღიარებინა „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის საზღვრების ხელშეუხებლობა, ასევე, მათი ამბიცია, ყოფილიყვნენ ლიდერები და ერთპიროვნულად ემართათ მომავალი გაერთიანებული ფრონტი, დაუძლეველი აღმოჩნდა. რუსი და არარუსი ემიგრაციისთვის პრიორიტეტული იყო, როგორი იქნებოდა მათი ქვეყნების მომავალი ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის შემდეგ და არა მხოლოდ საბჭოთა სისტემის მარცხი.[46] საბჭოთა კავშირის ემიგრაციის შიდადაპირისპირებებმა ჩაშალა ფსიქოლოგიური ომის ფარგლებში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი – შექმნილიყო მძლავრი ემიგრანტული გაერთიანება.

„ამერიკული კომიტეტი“ არ დათანხმდა ცალ-ცალკე რუსული და არარუსული ცენტრის დაფინანსებას, რადგან ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის ემიგრაციის ერთიანობა, ამიტომ მიდგომები შეცვალა. ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის მცდელობის წარუმატებლობის შემდეგ, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მითითებით „კომიტეტმა“ თანამშრომლობა დაიწყო ინდივიდუალურად ცალკეულ ემიგრანტებთან და აფინანსებდა ემიგრანტული ორგანიზაციების ზოგიერთ ინიციატივას.[47] მაგ., აფინანსებდნენ „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგის“ („პარიზის ბლოკი“)[48] მიერ გამოცემულ პერიოდულ ჟურნალს „სსრკ-ის ხალხთა პრობლემები“, რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები სსრკ-ის ისტორიის შესახებ, ქვეყნდებოდა მოხსენებები და ანალიზი მიმდინარე მოვლენების, ასევე, კომუნიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთქმედების თაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ ურთიერთობს სსრკ-ში.

[46] საბჭოთა ემიგრაციაში არსებულ დაპირისპირებას კიდევ უფრო აღრმავებდა საბჭოთა კავშირის უშიშროება. მათი დაზვერვის სამსახურები თვალყურს ადევნებდნენ ემიგრანტულ ორგანიზაციებს და შიგნით გზავნიდნენ აგენტებს.

[47] S. Mikkonen. Exploiting the Exiles, Soviet Emigres in U.S. Cold War Strategy. “Journal of Cold War Studies”. Vol.14, №2. Cambridge. 2021, გვ. 124.

[48] ფუნქციონირებდა 1951-967 წლებში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული ეროვნული საბჭოს, სომხეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის ეროვნული კომიტეტის, ჩრდილო-კავკასიის ეროვნული კომიტეტის, ბელორუსიის სახალხო რესპუბლიკის რადის, უკრაინის სახალხო რადის, იდელ-ურალის ეროვნული ცენტრის, თურქესტანის ორგანიზაცია „თურქელის“, ყირიმის ეროვნული ცენტრისა და კაზაკების წარმომადგენლები. უფრო ვრცლად ორგანიზაციის შესახებ იხ., შ. მურუსიძე. საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგა („პარიზის ბლოკი“). კრებ.: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ.ი, 2023, №27, გვ. 104-122.

„ამერიკული კომიტეტისა“ და საბჭოთა კავშირის ემიგრაციის თანამშრომლობა შედეგიანი აღმოჩნდა ფსიქოლოგიური ომის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტის რადიოსადგურის დაარსების საკითხში. 1953 წლის 1 მარტს მიუნხენში მაუწყებლობა დაიწყო რადიო „თავისუფლებამ“,[49] რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ეროვნული რედაქციებისგან (რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, ბელარუსული, ქართული, ჩრდილო-კავკასიური, თათარ-ბაშკირული და თურქესტანული. მოგვიანებით დაემატა ბალტიისპირეთის ქვეყნები) შედგებოდა.[50] რადიო უნდა ყოფილიყო მონოლითური, ოფიციალური საბჭოთა მედიის ალტერნატივა. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ეროვნულ ენაზე მომზადებული რადიოგადაცემებით „რკინის ფარდის“ გარღვევა და ბოლშევიკური რეჟიმის შიგნიდან რღვევა. გადაცემები ეფუძნებოდა გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო“ დეკლარაციას. დაარსებიდან 1971 წლამდე რადიო „თავისუფლებას“ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო საიდუმლოდ აფინანსებდა. 1954-1971 წლებში რადიო-მაუწყებლობას ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს თანამშრომელი კორდ მაიერი (Cord Meyer) აკონტროლებდა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ რედაქციებს ჰქონდათ შენარჩუნებული ძლიერი სარედაქციო ავტონომია, ყურადღება ექცეოდა გადაცემის შინაარსს, ფორმას და გამოთქმას. რედაქციებში მუშაობდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან დევნილები, ძირითადად, მეორე ტალღის ემიგრანტები. რადიო „თავისუფლების“ საპროგრამო დოკუმენტის თანახმად, რადიო არ იყო პოლიტიკური ემიგრანტების ან ორგანიზაციების მხარდამჭერი და მათი შეხედულებების გამავრცელებელი.[51] რადიო აქცენტს აკეთებდა იმ მსმენელებზე, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივ აზრზე სსრკ-ში, ასევე, იმ პირებზე რომელთაც რეალურად შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება.[52]

[49] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №C01434010. "International Organizations Division, History of the Efforts on the Part of the American Committee to Establish Large Scale Radio Activities". ფურც. 2. https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/cia-review-radio-liberty-broadcasting

[50] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა.). ფონდი №2128. ანაწერი №1, საქმე. №69. ფურც. 2.

[51] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რადიო „თავისუფლების“ ფონდი. რადიო „თავისუფლების“ პოლიტიკური სახელმძღვანელოს დამატება, გვ. 5.

[52] უფრო ვრცლად რადიო „თავისუფლების“ დაარსებისა და ქართული რედაქციის საქმიანობის შესახებ იხ. შ. მურუსიძე. რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია ცივი ომის დროს. კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1(20). თბ. 2017, გვ. 277-288.

რადიოგადაცემების ეთერში გასვლამდე, 1953 წლის 22 იანვარს, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ შეიმუშავა მემორანდუმი „რადიო განთავისუფლების[53] სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის“ შესახებ, რომელშიც დეტალურად არის ჩამოყალიბებული გადაცემების მიზნები, თემატიკა, ტექნიკური აღჭურვილობა და რეკომენდაციები თანამშრომელთა მიმართ. დოკუმენტში აღნიშნულია აშშ-ის მთავრობისა და სსრკ-ის ემიგრაციის ინტერესები რადიოსთან დაკავშირებით, კერძოდ, რადიო „არ უნდა იყოს ამერიკული მაუწყებლობა, ის, ფაქტობრივად, ემსახურება როგორც შეერთებული შტატების მთავრობის, ისე ანტისაბჭოთა ემიგრაციის ინტერესებსა და ამოცანებს. ეს ინტერესები და მიზნები მსგავსია, მაგრამ არა იდენტური. შეერთებული შტატების მთავრობის ზოგადი მიზნები რადიო განთავისუფლების მხარდასაჭერად არის: ა. [ტექსტი დაფარულია];[54] ბ. საბჭოთა აგრესიის შეკავება სუსტი ადგილების გამოყენებით; გ. შინაგანი უკმაყოფილების სტიმულირება, რაც შეიძლება ომის შემთხვევაში შეერთებული შტატების უპირატესობად იქცეს; დ. საბჭოთა დამოკიდებულების შეცვლა არასაბჭოთა სამყაროსადმი უფრო დიდი თანამშრომლობის მიმართულებით. ანტისაბჭოთა რუსი და ერების ემიგრაციის მიზნები, რომლის წევრებით არის დაკომპლექტებული რადიო განთავისუფლება და რომლებიც ამერიკის მეთვალყურეობის ქვეშ პასუხისმგებელნი არიან გადაცემაზე, უფრო მარტივი და კონკრეტულია: ა. საბჭოთა რეჟიმის დამხობა; ბ. ახალი წყობის დამყარება, რომელიც ასახავს მათ პოლიტიკურ და ეროვნულ მისწრაფებას“.[55] გადაცემების ძირითადი თემა უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხალხების განთავისუფლება, ხოლო დომინანტი თემები: 1. რეჟიმისადმი უკმაყოფილების გაღვივება; 2. ეკონომიკა – საბჭოთა მოქალაქის ღირსების დაცვით მათთვის დასავლური სამყაროს რეალური საცხოვრებელი პირობების ჩვენება; 3. დისკუსია გაბატონებული იდეოლოგიის შესახებ; 4. საუბრები ომისა და მშვიდობის შესახებ. რადიოგადაცემებით მსმენელი უნდა დარწმუნებულიყო, რომ „დასავლეთის გამარჯვების პოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება საბჭოთა კავშირს, უმთავრესად იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მოიპოვოს თავისი ჩაგრული სუბიექტების სრული მხარდაჭე-

[53] თავიდან რადიოს ერქვა „განთავისუფლება“, სახელწოდება შეიცვალა 1959 წელს.

[54] აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტომის მიერ გასაჯაროებულ გრიფით საიდუმლო დოკუმენტებში ტექსტის გარკვეული მონაკვეთები დაფარულია.

[55] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №C01434009. Radio Liberty Editorial Policies Defined. ფურც.1-2. https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/radio-policy-paper.

რა“; 5. სოციალურ უთანასწორობაზე აქცენტის გაკეთება; 6. დასავლეთის ინტერპრეტაცია, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა მოქალაქეებისთვის იმის ჩვენებას, რომ იმ სიმდიდრითა და შესაძლებლობებით, რაც მათ გაჩნიათ შეუძლიათ დასავლეთის საზოგადოებაზე უკეთ იცხოვრონ; 7. დასავლეთის მიერ პოლიტიკასა და სტრატეგიაში დაშვებული შეცდომების აღიარება: „დასავლეთის შეცდომების განხილვისას რადიო განთავისუფლება დაიკავებს პოზიციას, რომ დასავლეთი, რომელიც ყოველთვის სიმპათიური იყო სსრკ-ის დღევანდელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისადმი, წარსულში საკმაოდ გულუბრყვილო იყო საბჭოთა სისტემის მიმართ. დასავლეთის ზრახვები კარგი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების რეალური მიზნების იგნორირებამ გამოიწვია შეცდომები, რომლებიც საზიანო იყო როგორც მისი, ისე სსრკ-ის ხალხების კეთილდღეობისთვის. ეს წინასწარი უგულებელყოფა გასაგები უნდა იყოს საბჭოთა ხალხებისთვის, რომლებიც თავდაპირველად ბოლშევიკებმა შეცდომაში შეიყვანეს“; 8. საბჭოთა კავშირის განმარტება, კერძოდ, შედარება უნდა გაკეთებულიყო „თავისუფალ სამყაროსა და სსრკ-ს შორის, სადაც ხაზგასმული იქნება განსხვავება მთავრობასა და ხალხებს შორის ურთიერთობებში“; 9. პიროვნებების და საბჭოთა სისტემის კრიტიკა; 10. საბჭოთა კავშირში არსებულ შიდა დაძაბულობებზე აქცენტის გაკეთება; 11. ეროვნული საკითხი და სსრკ-ის პოლიტიკური მომავალი.[56]

აღნიშნული დოკუმენტი დეტალურ ინსტრუქციას შეიცავს რადიო გადაცემების წამყვანებისათვის. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ ლექსიკას, მიმართვის ფორმას, ტემბრს. ის უნდა ყოფილიყო ნაცნობი და ახლობელი საბჭოთა მოქალაქეებისთვის და არ უნდა გამოეწვია მათ შორის გაუცხოება: „გამოთქვით მკაფიოდ, ისაუბრეთ ნელა, გამოიყენეთ მარტივი სიტყვები და წინადადებები. იდეების წარდგენისას დარწმუნდით, რომ ისინი გასაგებია სამიზნე აუდიტორიისთვის. სიმართლე ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი უდიდესი ძალაა. იცოდეთ ზუსტად, დეტალურად, რაზე ლაპარაკობთ, განსაკუთრებით იქ, სადაც აუდიტორიას შეუძლია გადაამოწმოს თქვენი პროპაგანდა. მართეთ სიმართლე გონიერებით. მოერიდეთ ფაქტებს და არგუმენტებს, რომლებმაც შეიძლება შეურაცხყოთ თქვენი აუდიტორია“.[57] რადიო „თავისუფლების“ ძირითადი სამოქმედო დოკუმენტი შემდეგ წლებში უმნიშვნელო ცვლილებებით რამ-

[56] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №C01434009. ფურც. 3-8.
[57] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №C01434009. ფურც. 11.

დენჯერმე დაამტკიცა აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ.

გადაცემების შეუფერხებლად მოსმენა საბჭოთა კავშირში შეუძლებელი იყო, რადიოს სიხშირეს სპეციალური აპარატურით ახშობდნენ. 1955 წელს სსრკ-ში შეიქმნა და მოგვიანებით გაფართოვდა დასავლური რადიო სადგურების ჩახშობის ქსელი. მიუხედავად ამისა მაინც იყო შესაძლებელი დასავლური რადიოტალღების საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაჭერა. აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოს დოკუმენტებში რადიო „თავისუფლების მაუწყებლობის მიმოხილვის" შესახებ აღნიშნულია, რომ „რადიო განთავისუფლების ეფექტურობა დასტურდება სამიზნე ტერიტორიებიდან მიღებული ანგარიშების მონიტორინგით და ბოლოდროინდელი გაქცეულთა განცხადებებით".[58] ერთ-ერთ დოკუმენტის თანახმად მათ ჰქონდათ დადასტურებული ინფორმაცია, რომ გადაცემებს ისმენდნენ საქართველოში.[59]

რადიო „თავისუფლების" დაფუძნებას წინ უსწრებდა 1950 წელს რადიო „თავისუფალი ევროპის"[60] დაარსება,[61] რომელიც გათვლილი იყო აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საზოგადოებისთვის. ისიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ იყო შექმნილი და დაფინანსებული.[62] რადიოს თანამშრომები იყვნენ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების ემიგრანტები. მიზანი იყო „მუდმივი შეხსენება მსმენელებისთვის, რომ მათ მართავენ უცხო სახელმწიფოს აგენტები, რომელთა მიზანი არის არა ეროვნული ინტერესების გაღრმავება, არამედ საბჭოთა რუსეთის მმართველების იმპერიალისტური მიზნების განხორციელება". როგორც კვლევებმა აჩვენა რადიო „თავისუფალი ევროპის" გადაცემებიდან მსმენელში დიდ ინტერესს იწვევდა აკრძალული მწერლებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებების მოსმენა. ასევე ინფორმაცია დასავლეთში მიღწეული სამედიცინო წარმატებების შესა-

[58] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არივი. დოკუმენტი №C01434012. American Committee for Liberation's Mission Redefined. ფურც. 2. http://digitalarchive.wilsoncenter.org/document/114488

[59] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არივი. დოკუმენტი №C01434010. CIA Review of Radio Liberty Broadcasting. ფურც. 7. https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/cia-review-radio-liberty-broadcasting

[60] აშშ-ს მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებული ფსიქოლოგიური ომის დროს მთავარი ლოზუნგი იყო „თავისუფლება", ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ორივე რადიოს სახელწოდებაში ეს სიტყვაა გამოყენებული.

[61] J. Granville. "Caught with Jam on Our Fingers": Radio Free Europe and the Hungarian Revolution of 1956. Jour. "Diplomatic History". Vol.29, №5. Oxford. 2005, გვ. 811.

[62] მაგ.: 1956 წელს რადიოს წლიური ბიუჯეტი შეადგენდა $21.000.000, საიდანაც $16.000.000 მიწოდებული იყო სადაზვერვო სააგენტოს მიერ.

ხებ, რომლითაც სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეები ვერ სარგებლობდნენ საბჭოთა სისტემის გამო.[63] 1976 წელს რადიო „თავისუფლება" და „თავისუფალი ევროპა" გაერთიანდა.

ფსიქოლოგიური სტრატეგიის განხორციელებისას აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით შექმნილი რადიოსადგურები ცივი ომის დროს საინფორმაციო იარაღს წარმოადგენდა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ.

რადიოსადგურის გარდა, აშშ-ის სადაზვერვო სააგენტომ ფსიქოლოგიური ომის ფარგლებში დაგეგმა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების შექმნა. ეს პროექტიც „ამერიკულმა კომიტეტმა" განახორციელა საბჭოთა კავშირის ემიგრაციასთან თანამშრომლობით. 1950 წლის 8 ივლისს დაფუძნდა „სსრკ-ის კულტურისა და ისტორიის კვლევის ინსტიტუტი", სადაც მუშაობდნენ საბჭოთა კავშირიდან დევნილები. ოფიციალურად ინსტიტუტის დოკუმენტების მიხედვით, ის დაარსებული იყო რვა საბჭოთა ემიგრანტის მიერ.[64] აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს 1954 წლის 30 ივლისის დოკუმენტით „ამერიკული კომიტეტი მხარს უჭერს და თანდათანობით ავითარებს სსრკ-ის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელ ინსტიტუტს. ინსტიტუტი, რომელიც მდებარეობს მიუნხენში, მცირე ფილიალებით ნიუ-იორკსა და პარიზში, ემსახურება ოთხ მიზანს: (1) შესაძლებლობა მისცეს საბჭოთა კავშირიდან ემიგრანტ მეცნიერებს, განაგრძონ კვლევა თავიანთ სფეროში, (2) ემიგრაციის აკადემიური პერსონალიდან მიიღონ ღირებული ინფორმაცია საბჭოთა კავშირის პირობებთან დაკავშირებით, (3) მეცნიერული და საფუძვლიანი კვლევები ჩატარდეს მომავალი პირობებისა და ამ პირობების მისაღწევად და (4) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ცივი ომის ბრძოლაში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ".[65] მიუნხენის ინსტიტუტი გასცემდა კვლევით სტიპენდიებს საბჭოთა ემიგრანტებზე ევროპასა და შეერთებულ შტატებში, ატარებდა სამეცნიერო კონფერენციებს მიუნხენსა და ნიუ-იორკში, აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებსა და წიგნებს სსრკ-ის სოციალისტური წყობის სხვა-

[63] J. Granville. "Caught with Jam on Our Fingers": Radio Free Europe and the Hungarian Revolution of 1956. გვ. 822-823.

[64] Ch. O'Connell. The Munich Institute for the Study of the USSR Origin and Social Composition. booklet "The Carl Beck Papers in Russian and East European Studies". Pittsburgh. 1990, გვ. 4.

[65] ვილსონის ცენტრის დიგიტალური არქივი. დოკუმენტი №C01434012. American Committee for Liberation's Mission Redefined. ფურც. 3. http://digitalarchive.wilsoncenter.org/document/114488

დასხვა ასპექტის და საბჭოთა კავშირში განვითარებული მოვლენების შესახებ.[66] 1972 წელს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ინფორმაცია ინსტიტუტის დაფინანსების წყაროს შესახებ, მის მიერ გამოცემული ნაშრომებისადმი სანდოობა იმდენად შემცირდა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დაფინანსება შეუწყვიტა. სსრკ-ის კულტურისა და ისტორიის კვლევის ინსტიტუტმა დამოუკიდებლად საქმიანობის გაგრძელება ვერ შეძლო და გაუქმდა.[67]

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ფსიქოლოგიურ ომს აკვირდებოდა და სწავლობდა სსრკ-ის დაზვერვა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. 1963 წლის მარტში კგბ-მ იდეოლოგიის დეპარტამენტს გაუგზავნა 26-გვერდიანი მოხსენება, რომელშიც გაანალიზებული იყო ფსიქოლოგიური ომის მდგომარეობა შეერთებულ შტატებში. მოხსენება შეიცავდა აშშ-ს საგარეო პროპაგანდის აშკარა და ფარული ინსტიტუტების სრულყოფილ აღწერას. XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწერა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია ამერიკის შეერთაბეულ შტატებში საზოგადოებრივი მეცნიერებების გამოყენებით წარმოებული ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიაზე. 1963 წელს გამოიცა გამოკვლევა „სიმართლე იმპერიალისტური პროპაგანდის შესახებ (მიმართულებები, საშუალებები, მეთოდები)“, რომლის ავტორი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიის კომისიის უფროსის მოადგილე და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის წევრი ვალერი ეგოროვი. მან საფუძვლიანად შეისწავლა დასავლური ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიები და მიდგომები. კვლევისას გამოყენებული ჰქონდა იმ პერიოდში ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში გამოცემული ლიტერატურა ფსიქოლოფიური ომის შესახებ. 1967 წელს სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ავტორთა კოლექტივმა დაწერა წიგნი „ტყუილის სტრატეგია“, რომელიც ითვლება დასავლური პროპაგანდისა და კომუნიკაციის კვლევების ერთ-ერთ პირველ საბჭოთა გამოკვლევად.[68] ორივე

[66] Ch. O'Connell. The Munich Institute for the Study of the USSR Origin and Social Composition. booklet "The Carl Beck Papers in Russian and East European Studies". Pittsburgh. 1990, გვ. 4.

[67] Ch. O'Connell. The Munich Institute for the Study of the USSR Origin and Social Composition. booklet "The Carl Beck Papers in Russian and East European Studies". Pittsburgh. 1990, გვ. 32

[68] B. Nietzel. Propaganda, psychological warfare and communication research in the USA and the Soviet Union during the Cold War. Jour. "History of the Human Sciences". 29(4-5). London. 2016, გვ. 68-69.

წიგნის ავტორები საკითხს საბჭოთა პერსპექტივიდან განიხილავდნენ.

აქტიურად მოქმედებდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც ახორციელებდა ოპერაციებს ფსიქოლოგიური ომის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ჩაშლისთვის. საბჭოთა დაზვერვამ წარმატებით შეძლო მის ტერიტორიაზე საიდუმლოდ შესული ემიგრანტების აღმოჩენა და მათი ლიკვიდაცია ან დაჭერა. სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი ემიგრაციის დაქსაქსულობის მიზნით აგენტებს გზავნიდა მათ ორგანიზაციებში. საბჭოთა კავშირი ახშობდა რადიოტალღებს, ხოლო დაზვერვის სამსახური ეროვნული რედაქციის თანამშრომლებს მუქარითა და შანტაჟით აიძულებდა, მათთან ეთანამშრომლა. გადმობირებულებს ევალებოდათ რადიოს ავტორიტეტული თანამშრომლების დისკრედიტაცია და რედაქციის წევრებს შორის უნდობლობის გაღვივება. საბჭოთა კავშირის კონტრლონისძებებისა და საიდუმლო ოპერაციების საფუძლიანად შესწავლა დღეისათვის შეუძლებელია, რადგან აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან განსხვავებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის დოკუმენტები არ არის გასაჯაროებული.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ XX ს-ის 50-იან წლებში ცივი ომის გამოწვევებმა და საფრთხეებმა განაპირობა აშშ-ის დაინტერესება საბჭოთა კავშირის ემიგრაციით, მათთან თანამშრომლობა და მათი აქტივობების დაფინანსება, რაც არასოდეს მომხდარა. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო სსრკ-ის ემიგრაციასის გამოყენებით გეგმავდა და ახორციელებდა ფსიქოლოგიური ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ საკითხების შესწავლა ნათელს ჰფენს ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას ემიგრაციისა და მათი ქვეყნების სუვერენიტეტის მიმართ. ეს პერიოდი და მონაკვეთი უმნიშვნელოვანესია ემიგრაციის კვლევის თვალსაზრისით, რადგან ცივი ომის კონტექსტმა მათი გააქტიურება და მათ წინაშე ახალი პერსპექტივების გაჩენა განაპირობა.

Shorena Murusidze
Researcher
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscript, Georgia

STRATEGY OF PSYCHOLOGICAL WARFARE AND POLITICAL EMIGRATION OF THE SOVIET UNION (1950S)*

Summary

During the Cold War, the use of the so-called psychological warfare method, which meant overcoming the communist threat coming from the East, destroying the Soviet system by supporting their opponents and creating public discontent with the regime through radio broadcasts, played an important role in the US foreign strategy.

The use of psychological warfare methods influenced on the development of mass communication and social sciences in the United States and led to the formation of a number of disciplines. In order to better understand the mechanisms of communication and public opinion, in the 1950s, US government agencies began to commission and fund research and scientific conferences. This research was then used in US foreign policy and covert operations.

During the Cold War, psychological warfare strategies had two directions. The first was an ideological counter-campaign against communism, which meant raising public awareness about communism through mass media, educational, and other types of occasions. The second indication was psychological operations, which involved planning and implementing covert operations in socialist Eastern Europe and the Soviet Union.

In the implementation of both directions of the psychological warfare strategy, the main human resource was the emigration from the East and the Soviet Union. The US intelligence agency was tasked with establishing relations with them. The intelligence agency preferred Russian emigration from the Soviet Union. Therefore, it was they who first contacted the People's Labor

* This research PHDF-22-7145 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

Union of Russian Solidarists, which was the most numerous and influential political union after World War II. Using the Russian Solidarists, the US intelligence agency created a powerful anti-Soviet myth of Russian emigration, which supposedly posed a serious threat to the Bolshevik regime. The second Russian émigré organization that the US intelligence agency used in psychological warfare was the Central Union of Post-War Emigrants, which had the advantage of uniting those who had emigrated after World War II. Accordingly, they knew the Soviet way of life and the system well. Using them, the intelligence agency conducted many psychological warfare operations, including the distribution of anti-communist printed propaganda in the Soviet Union using air balloons and the creation of an agent network in East Germany.

In addition to cooperation with individual Russian émigré organizations, the goal of the United States intelligence agency was to unite Russian and non-Russian emigration and create a united anti-Bolshevik front. For this purpose, the "American Committee for Liberation from Bolshevism" was established, the purpose of which was: to form a united anti-Bolshevik front by uniting émigré organizations of the nations included in the Soviet Union; to establish radio stations broadcasting in the native languages of the peoples of the Soviet Union; to provide material and moral assistance to émigrés fighting against the Bolshevik regime; to finance the publication of émigré magazines and newspapers; to use their intellectual resources and obtain information from them about the Soviet Union and its people.

The "American Committee" began its activities with the implementation of its main goal of creating a united front of Soviet emigration. The common center of political emigrant organizations was supposed to be a symbol of opposition to the Soviet regime, which would plan and carry out anti-Soviet activities, however, the disagreement between the Russian and non-Russian emigration of the Soviet Union thwarted the project of creating a powerful emigrant union. The demands of the Russian emigration that the non-Russian emigration recognize the inviolability of the borders of "united and indivisible" Russia, as well as their ambition to be leaders and to single-handedly govern the future united front turned out to be irresistible.

The cooperation between the American Committee and the Soviet emigration proved fruitful in establishing a radio station, one of the main instruments of psychological warfare. On March 1, 1953, the first program of Radio Liberty was broadcast. Its goal was to break through the "Iron Curtain" and destroy the Bolshevik regime with radio broadcasts prepared in the national

languages of the peoples of the Soviet Union from inside. In addition to the radio station, the US intelligence agency planned to create a scientific research institution within the framework of psychological warfare. The "American Committee" also implemented this project in cooperation with the Soviet emigration. On July 8, 1950, the "Institute of Research of Culture and History of the USSR" was founded, where exiles from the Soviet Union, mainly second-wave emigration, worked. The Munich Institute awarded research scholarships to Soviet emigrants in Europe and the United States, held scientific conferences in Munich and New York, and published scientific articles and books on various aspects of the socialist system of the USSR and developments in the Soviet Union.

The 1950s are crucial for the study of the Soviet emigration, as the context of the Cold War led to their activation and the emergence of new perspectives for them. Also, the study of these issues uncover the attitude of the United States towards emigration and the sovereignty of their countries. The challenges and threats of the Cold War led to the US interest in emigration from the Soviet Union, cooperation with them, and financing of their activities.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

თენგიზ სიმაშვილი
პროფესორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავიწყებული ისტორია: ერეკლე II-ის ძეგლის შექმნის პერიპეტიები თელავში (1950-1970-იანი წლები)

ქალაქ თელავში მდგარი მეფე ერეკლე II-ის ძეგლი საბჭოთა პერიოდშია შექმნილი. მისი ავტორი ცნობილი მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილია. მის მიერ, 1970-იანი წლების დასაწყისში შესრულებული ერეკლე II-ის ძეგლი, 1971 წლის 24 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა. თუმცა, თელავის სავიზიტო ბარათად ქცეული ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის პრეისტორია, საქართველოში ბევრმა ადამიანმა და მათ შორის თელაველებმაც არ იციან. როგორც ჩვენს მიერ მოძიებული მასალებიდან გამოირკვა, ჯერ კიდევ 1950-იან წლებში დამდგარა საკითხი, ქალაქ თელავში ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ.

კახეთის რეგიონალურ არქივში მოვიძიეთ, 1950-იან წლებში თელავის აღმასკომის თავმჯდომარის გიორგი ჯაშიაშვილის პირადი არქივი. მასში დაცულია გიორგი ჯაშიაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონებები, სხვადასხვა შინაარსის მასალები. მათ შორისა, რამოდენიმე გვერდიანი მოგონება სათაურით – „ერეკლეს ძეგლისთვის“, სადაც ქალაქ თელავში 1950-იანი წლების ბოლოს, ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის პერიპეტიებზეა საუბარი.[1]

გიორგი ჯაშიაშვილის ინფორმაციით, საბჭოთა პერიოდში 1950-იანი წლების შუა ხანებამდე ქალაქ თელავში ერეკლე II-ის სახელობის ქუჩაც კი არ არსებობდა. ამასთან, თელავში კეთილმოუწყობელი იყო, ქალაქის ცენტრში არსებული „ბატონის ციხის“ მიმდებარე ტერიტორია. გ. ჯაშიაშვილის სიტყვებით, „ბატონის ციხის“ დასავლეთ კარიბჭესთან არსებობდა

[1] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 17-42.

უამრავი ნაგებობა, რომელთა ნაწილი ზედ კედელთან იყო აშენებული: „კრემლის[2] საზეიმო გამოსავლის წინ იდგა ქოხმახები – ერთი დიდი ცხენის თავლა გასაბჭოებამდე, რომელიც ეკუთვნოდა ვიღაც ვაჭარ სომეხს – მას შიგ მოთავსებული ჰქონდა ცხენების თავლა. სადგომი გასაბჭოების შემდეგ ჩამოერთვა მეპატრონეს, გადაკეთდა ჯერ მაღაზიად, შემდეგ კინოდ".[3]

„ბატონის ციხის" დასავლეთ კარიბჭესთან, 1954 წელს დაუწყიათ კინოთეატრის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც 1958 წლის 7 ნოემბრისთვის შესულა ექსპლუატაციაში.[4] გ. ჯაშიაშვილის სიტყვებით: „ამით შეიქმნა შესაძლებელი კრემლის წინ მდებარე ბოსელ-გომურის აღების, აღებულ იქნა დამკვრელური წესით მთელი პატრიოტული ქალაქის ფართე მონაწილეობით. ამ დიდების ადგილის დიდი ნაწილი ჩარჩ სომხებს გამოყოფილი ჰქონდათ სასაფლაოდ. ვინ მიჰყიდათ? მეტად საინტერესოა, ან როგორ ჩაიგდეს ხელში? მაგრამ ფშუტ ქართველ ფეოდალებს ოღონდ ფული აელოთ, თორემ სასახლესაც გაჰყიდნენ. იქამდე იყო მისული საქმე, რომ კრემლის კოშკების ძირში ვაჭრების მიერ საპირფარეშოებით იყო სავსე, რის გამოც საკმაოდ დაზიანებული არის ეს ბურჯი-კოშკები. ყველა ეს წუპაკი ნაშთები აღებული, მოსპობილ იქნა. გაწმენდილი, გასუფთავებული კრემლის წინ დასავლეთ ტერიტორია დამუშავებულ იქნა ერთიანი გეგმით მთელ სიგრძეზე, ჩემს მიერ როგორც ინჟინრისგან".[5] (იხილე დოკუმენტი 3)

აღსანიშნავია, რომ 1958 წლის 9 აპრილს „ბატონის ციხის" დასავლეთ კარიბჭესთან მდებარე ამ გამოთავისუფლებულ ტერიტორიას „თელავის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის" გადაწყვეტილებით – „ერეკლე II-ის სახელობის მოედანი" დაარქვეს.[6] (იხილე დოკუმენტი 2)

ამავე პერიოდში „ბატონის ციხის" აღმოსავლეთით ჩამავალ გზას „ერეკლე II-ის სახელობის ქუჩა", ხოლო „ბატონის ციხის" სამხრთ კედელთან მდებარე ბაღს – „ერეკლე II-ის სახელობის ბაღი" უწოდეს.[7]

---

[2] გ. ჯაშიაშვილი ამ სახელით ახსენებს ე.წ. „ბატონის ციხეს".

[3] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 17.

[4] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 18.

[5] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 18.

[6] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, საქმე 5.

[7] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 17-18.

გიორგი ჯაშიაშვილი არ წერს იმ მიზეზებზე, თუ რამ განაპირობა 1950-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, ასე საჩქაროდ მეფე ერეკლეს II-ის სახელის რეაბილიტაცია. თელავის მკვიდრი ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე გიორგი მელითაური ხაზგასმით აღნიშნავდა იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების ერეკლეს II-ისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. მის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებაში, ნათქვამია, რომ 1927 წელს თელავის მუზეუმს გადასცეს ერეკლეს II-ის სასახლის ოთახები და მათ შორის ოთახი, სადაც ერეკლე II დაიბადა და გარდაიცვალა. გ. მელითაური წერს, რომ ამ ოთახის ნახვისას: „აღმასკომის თავმჯდომარე გაგვირისხდა, როგორ თუ ამ ოთახში ერეკლეს II-ის სურათი იყო გამოკიდული... ეხლავე ჩამოიღეთ და დაწვითო. ესღა გვაკლია მეფეების სურათები გამოვკიდოთო. უქმი იყო მტკიცება, რომ ეს ექსპონატია დიდი მხედართმთავრის და არა მეფის, მაგრამ ყურის გდება არ უნდოდა“. მუზეუმის თანამშრომლებს მხატვარ ბრეგაძის მიერ შესრულებული ეს სურათი ჩამოუღიათ და საქართველოს მუზეუმისთვის გადაუგზავნიათ.[8]

ასევე, ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია, თუ როგორ გაჩნდა ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის იდეა ამ დროს. ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მითითებების საფუძველზე ხდებოდა, ამა თუ იმ პიროვნების საიუბილეო დღეების აღნიშვნა. მაგალითად, 1957 წელს, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეების ფარგლებში, როგორც ჩანს „ზემოდან“ მიღებული მითითების საფუძველზე, თელავის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ქალაქ თელავში მდებარე ბორცვს, სახელად „გიგოს გორა“, სადაც საბჭოთა პერიოდში ხვრეტდნენ თელავის მაზრის მცხოვრებლებს „ილიას გორა“ უწოდეს.[9] 1958 წელს კი, თელავის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება: „დიდი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ძეგლის დადგმის შესახებ – ილია ჭავჭავაძის ძეგლი დადგმულ იქნეს ქ. თელავში ერეკლე II-ის სახელობის ბაღში აღმოსავლეთ მხარეს“.[10] რაც შეეხება, 1950-იან წლებში ერეკლე II-ის ძეგლის

[8] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი მელითაურის არქივი, „ვითომ მატეანე“ (თელავის მაზრა 1918 წლიდან 1948 წლამდე). ფონდი №34, გვ. 1-2.

[9] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი. ოქმი №25. 8 ოქტომბერი, 1957 წელი, გვ. 27; გაზეთი „ალაზნის განთიადი“, 25 ოქტომბერი, 1957 წელი.

[10] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, რვეული 6, გვ. 2.

დადგმის იდეის გაჩენის მიზეზს, მას რაიმე საიუბილეო თარიღთან ვერ ვაკავშირებთ. შესაძლებელია არსებობდა კიდეც „ზემოდან“ რაიმე მითითება, თუმცა ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მსგავს ინფორმაციას. ჩვენს მიერ მოძიებული მასალები უშუალოდ ეხება, 1950-იანი წლების ბოლოს ქალაქ თელავში ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის განხორციელების მცდელობას.

კახეთის რეგიონალურ არქივში და თელავის მუზეუმის ფონდებში დაცულია, ზემოთ უკვე ნახსენები, 1952-1961 წლებში თელავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ჯაშიაშვილის პირადი არქივი, რომლებიც შეიცავს ერეკლე II-ის ძეგლის დადგამასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, სხვადასხვა სახის ჩანაწერებს, ავტორის მოგონებებს და ა.შ.

გიორგი ჯაშიაშვილი თავის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებებში აღნიშნავს, რომ 1950-იანი წლების მეორე ნახევარში, თელავის აღმასკომმა ერეკლე II-ის სახელის უკვდავსაყოფად გარკვეული ღონისძიებები გაატარა, მაგრამ ერეკლე II-ის ძეგლის აგების საკითხი ვერ გადაწყვიტა. მისი სიტყვებით, მიუმართავთ თბილისში მცხოვრები მოქანდაკეებისთვის, რომ ვინმეს შეექმნა ერეკლე II-ის ძეგლი, მაგრამ მათ წინასწარ დიდი თანხა მოუთხოვიათ, რისი გაღებაც თელავის აღმასკომს იმ დროს არ შეეძლო.[11]

ირკვევა რომ, თელავში მეფე ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის სურვილის შესახებ ინფორმაცია თელავში სწრაფად გავრცელებულა. მოქალაქეების ნაწილი დადებითად შეხვედრია ამ იდეას, მაგრამ ჯაშიაშვილის სიტყვებით, ადამიანთა გარკვეულ ნაწილს, ძირითადად ხანდაზმულებს უკმაყოფილება გამოთქვამთ: „ რა საჭიროა ერეკლეს ძეგლი – მან სომხები დაგვისახლა, რუსები შემოუშვა სამუდამოდ და ქვეყანა გაარუსეს“-ო.[12] თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობას გამოუთქვამს სურვილი, რომ: „ოღონდ ძეგლის აგება დაიწყეთ და თანხის ნაწილს ვიხდით, ბრინჯაოსი ჩამოასხით – სპილენძის ქვაბებს შევაგროვებთ და იმითაც დაგეხმარებით“-ო.[13]

გიორგი ჯაშიაშვილი აღნიშნავს, რომ მოსახლეობის მხარდაჭერით შეგულიანებულს, საქართველოს საზღვრებს გარეთ დაუწყია მოქანდაკეების ძებნა. მისი სიტყვებით: „გავიდა საკმაო ხანი. ერთ მშვენიერ დღეს 1956 წელში გაზეთ „ზარია ვასტოკაში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც რუსი

[11] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 18.
[12] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 19.
[13] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 19.

ავტორი წერს, რომ მოსკოვში მუშაობს ქართველი სამხედრო ინჟინერ-არქიტექტორი გიორგი ქევხიშვილი, რომელიც ამავე დროს საუკეთესო სკულპტორია“.[14] თუ დავეყრდნობით ამ ინფორმაციას, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ერეკლე II-ის ძეგლის აგების იდეა 1952-1955 წლების პერიოდში გაჩენილა, რადგან თელავის აღმასკომის ხელმძღვანელად გიორგი ჯაშიაშვილი 1952 წელს დაინიშნა.

ირკვევა, რომ გიორგი ჯაშიაშვილი ამ ადამიანს პირადად იცნობდა – მას და გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში დაბადებულ გიორგი ქევხიშვილს, თბილისში ინდუსტრიულ ინსტიტუტში ერთ პერიოდში უსწავლიათ.[15] ერთი საინტერესო ნიუანსი – გიორგი ჯაშიაშვილი წერს: „გიორგი ქევხიშვილს ჰქონდა ბუნებრივი თანდაყოლილი გრძნობა ისეთი, რომ ორკაპიანი ჯოხის საშუალებით არკვევდა რომელ ადგილში იყო წყალი და რა სიღრმეზე. ეს ტალანტია ადამიანის. სწორედ ასეთი უნარით იგი ფრონტებზე უწყლო ადგილებში ჯარის ნაწილებისთვის წყალს ეძებდა და წყლით ამარაგებდა საინჯინრო ნაწილების საშუალებით“.[16]

გიორგი ჯაშიაშვილი დაუკავშირდა გიორგი ქევხიშვილს და შესთავაზა ერეკლე II-ის ძეგლის აგება. საარქივო მასალებში შემორჩენილია გიორგი ჯაშიაშვილის მიერ, გიორგი ქევხიშვილთან გაგზავნილი და საპასუხოდ გამოგზავნილი წერილები, რომლებიც შეეხება ერეკლე II-ის ძეგლის შექმნის პერიპეტიებს.

გიორგი ჯაშიაშვილი მას წერდა: „თუ შენში კიდევ დარჩა ქართული პატრიოტობა იმუშავე, შეადგინე ესკიზი – მაკეტი ერეკლე მეორის ძეგლის შესაქმნელად... გამოგიგზავნი სურათებს იმ ადგილისას, სადაც ის დაიდგმება“.[17] გიორგი ჯაშიაშვილი თავის მოგონებაში სინანულით და თვითირონიით აღნიშნავდა: „ათას რამეს – კოშკების აგებას ვპირდებოდი მე ცარიელი ხელით, უკან კი ვიცოდი მხარის დამჭერნი არ მყავდნენ და ასეც ასრულდა“.[18]

გიორგი ქევხიშვილი დათანხმებია შეთავაზებას და და უთხოვია ერეკლე II-ის რამდენიმე სურათის, ქართულ ცხენზე მჯდომი ერეკლე II-ის ტანის მსგავსი ადამიანის ფოტოების გაგზავნა. გიორგი ჯაშიაშვილის

[14] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 19.
[15] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8. გვ. 19-22.
[16] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 20.
[17] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 20.
[18] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 20.

მშობლიურ სოფელ ვარდისუბანში მოუნახიათ კარგი ცხენი და მხედარი, გადაუღიათ ფოტოები და სხვა მასალებთან ერთად, მოსკოვში გიორგი ქევხიშვილთან გაუგზავნიათ. როგორც გიორგი ჯაშიაშვილი წერს: „თბილისელი მოქანდაკეებივით მას არაფერი მოუთხოვია. გამიჭირდება, მაგრამ მერე დაფასდებაო და ეგ იქნება ჩემი ფულიო, ასე იწერებოდა“.[19]

ირკვევა, რომ გიორგი ქევხიშვილი არ დაკმაყოფილებულა გაგზავნილი ფოტოებით და მოსკოვში ბიბლიოთეკებში გაცნობია იმ თანამედროვეების მოგონებებს, ვინც იცნობდნენ პირადად ერეკლე II-ეს. გარდა ამისა, მას სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა გიორგი ჯაშიაშვილთან. 1958 წლის 2 აპრილს, გიორგი ქევხიშვილი თავის მორიგ წერილში გიორგი ჯაშიაშვილს წერდა: „შენ სწორედ ფიქრობ ქუდის შესახებ. გულახდილად გეტყვი არც მე მომწონს მისი სახის ჩალმით ჩვენება. ამჟამად მოსკოვში საქართველოს დეკადა მიმდინარეობს, ეს შენ კარგად იცი. მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრმა დადგა აქ „ერეკლე მეფე“, ნანახი გექნება. მე დავესწარი ამ დადგმას. პიესაშიც გამოცვლილია ჩალმის ფორმა. როგორც დავრწმუნდი თეატრმაც არ ისურვა მისი პიროვნების ჩალმით ჩვენება. მე მოველაპარაკე ერთ ფოტოგრაფს, რომელიც სპეციალურად იყო მოწვეული სურათების გადასაღებად, რომ ჩემთვის გადაეღო მსახიობი გოძიაშვილი, რომელიც ერეკლე მეფის როლს ასრულებდა. ამ სურათების საშუალებით მე ვეცდები მოვნახო მისაღები ქუდის ფორმა“.[20]

ამგვარად შეგროვებული ინფორმაციებით გიორგი ქევხიშვილს შეუქმნია წარმოდგენა ერეკლე II-ის – „ფიზიკურ აღნაგობაზე, სულიერ სიმტკიცეზე, სიძლიერეზე და ჩვევებზე, რომელიც მოქანდაკეს შემდეგში გამოადგებოდა“.[21]

1958 წლის 21 აპრილს, გიორგი ქევხიშვილი უგზავნის მორიგ წერილს გიორგი ჯაშიაშვილს, სადაც აცნობებს, რომ ის მოელაპარაკა ორ მოქანდაკეს, ვინც გამოთქვა თანხმობა მონაწილეობა მიეღო ერეკლე II-ის ძეგლის შექმნაში.[22]

ირკვევა, რომ ერეკლე II-ის ძეგლის ესკიზის დამზადების სურვილი, მოსკოვში მყოფ მოქანდაკეებს – ვ. ნ. კერენსკის და ი. კ. კოტოვს გამო-

[19] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 21.
[20] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, რვეული 6, გვ. 12.
[21] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 21.
[22] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, რვეული 6, გვ. 8.

უთქვამთ. ისინი გაცნობიან მასალებს და „თავდაცვის სამინისტროს საქანდაკო სახელოსნოში შეუდგნენ ესკიზების შექმნას“.[23] როგორც გიორგი ჯაშიაშვილი წერს, გიორგი ქევხიშვილი ამ დროს დასახელებული სახელოსნოს ხელმძღვანელი ყოფილა.[24]

გიორგი ჯაშიაშვილის სიტყვებით – „მაკეტების დამზადება დაიწყეს 1957 წელში, ეს საქმე მიმდინარეობდა გაუხმაურებლად, თორემ თბილისელი მოქანდაკეები ჩაშლიდნენ აუცილებლად, ვფიქრობდი მე“.[25] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს მოსკოვში მცხოვრები მოქანდაკეებიც აქტიურად ლობირებდნენ საკუთარ პროექტებს – გიორგი ქევხიშვილი 1958 წლის 25 თებერვალს, გიორგი ჯაშიაშვილს წერდა შემდეგს: „ელოდებიან ახალი დადგენილების გამოსვლას, მის საფუძველზე ყველა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იქნება კონკურსის გამოცხადება და ვინც გაიმარჯვებს მას დაეკვეთება ძეგლის აგება. საქმე იმაშია, რომ აქაურები უმთავრესად დაინტერესებული არიან, რომ დიდი თანხები მიიღონ და ამისათვის ეცდებიან, რომ თავიანთი პროექტი გაიყვანონ, გინდაც რომ ჩვენი პროექტი ძლიერი იყოს“.[26]

გიორგი ქევხიშვილი 1958 წლის 21 აპრილს გიორგი ჯაშიაშვილს წერდა: „მაისის შუა რიცხვებში ძეგლის ესკიზები დამთავრებული გვექნება... ესკიზების დამთავრებას მე გაცნობებთ ტელეგრამით ან წერილით“.[27]

ვფიქრობთ, კვლევაში ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის ისტორიის შედარებით დეტალური გადმოცემა მკითხველისთვის იმითაცაა საინტერესო, რომ ჩვენს მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში კარგად ისახება, იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების დამოკიდებულება მსგავსი საკითხებისადმი. მაგალითად, როგორც გიორგი ჯაშიაშვილი წერს, როდესაც მოსკოვში მცხოვრებმა მოქანდაკეებმა დაიწყეს ძეგლის მაკეტების დამზადება, მან მხოლოდ მაშინ ჩააყენა საქმის კურსში თელავის რაიონის ხელმძღვანელები. გიორგი ჯაშიაშვილმა მათ ერთ-ერთი შეხვედრისას განუცხადა: „ამდენ საყვედურს გვეუბნებიან ქალაქის მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა და თვით თბილისიდანაც,

[23] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 21.
[24] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 28.
[25] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 21.
[26] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, რვეული 6, გვ. 8.
[27] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. №11872, რვეული 6, გვ. 8.

რატომ არ დასდგამთ ერეკლეს ძეგლს. ამ დიდი საქმისთვის უფულოდ წინასწარ ხელი არავინ მოკიდა. ესკიზის შექმნისთვის ყველამ წინასწარ ითხოვა ფული. ბილანიშვილმა წინასწარ ოცი ათასი მანეთი ითხოვა, ასევე სხვებმაც. ეხლა გამვძებნე კაცი აქაური, აქ ისწავლა, აქ გაიზარდა, იმას უნდა ვთხოვო მოკიდოს ხელი ამ დიდ საქმეს და მივაწოდე მის შესახებ გაზეთი „ზარია ვასტოკა“, სადაც იყო დასახელებული და მისი წერილები... ხელი არავინ მოკიდა ამ გაზეთს. გელდიაშვილმა თქვა მაგისთვის არ მცალიაო. ასათაშვილმა მითხრა გეტყობა საბჭოში მეტი საქმე არა გაქვსო და მაგეებს დასდევო. მიხედე ქალაქის ქუჩებს ის სჯობია მაგასი. ღვთის წინაშე უნდა ითქვას ბატიაშვილს და როსტომაშვილს ხმა არ ამოუღიათ“.[28]

ჯაშიაშვილი აქვე აღნიშნავს: „ისინი ნამდვილად მართლები იყვნენ და რას მისცემდა ერეკლეს ძეგლის დადგმა მათ? რა დიდებას მოუტანდა?... ერთი თვის შემდეგ გელდიაშვილი გახდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, ასათაშვილი მის ადგილას, ბატიაშვილი თავმჯდომარედ – აი საქმე და ლაზათი, რის ერეკლე... ნათქვამია“.[29]

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვეყრდნობით გიორგი ჯაშიაშვილის მოგონებებს. შესაბამისად, ზემოდასახელებული თელავის რაიონის მაშინდელი მესვეურების შესახებ გამოთქმული მისი მოსაზრებები, ცხადია, ატარებს სუბიექტურ ხასიათს. თუმცა, მეორეს მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების ასეთი დამოკიდებულება მსგავსი საკითხებისადმი, გარკვეულწილად, დამახასიათებელი იყო იმდროინდელი საბჭოთა სისტემისთვის. ეს იყო პერიოდი, როდესაც ადგილობრივი თანამდებობის პირის ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდებოდა ცენტრალური ხელისუფლებისთვის, ადამიანს არა მხოლოდ კარიერის, არამედ თავისუფლების ფასად შეიძლება დასჯდომოდა.

თელავის რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, გიორგი ჯაშიაშვილს მიუწერია გიორგი ქევხიშვილისთვის, რომ ერეკლე II-ის ძეგლის მაკეტების შექმნა გაეგრძელებინათ. 1958 წლის ზაფხულში, 12 ივლისს მოქანდაკეები გიორგი ქევხიშვილი და ვასილ კერენსკი, ერეკლე II-ის ძეგლის ოთხი მზა მაკეტით ჩამოვიდნენ საქართველოში. მათგან ორი მაკეტი გიორ-

[28] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 21-22.
[29] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 22.

გი ქევხიშვილის მიერ იყო დამზადებული, ორი კი – კერენსკის და კოტოვს ეკუთვნოდათ.

ერეკლე II-ის ძეგლის დასახელებული მაკეტების აღწერილობა შემდეგია:

პირველი მაკეტი – საბრძოლო მდგომარეობაში, ხმალამოღერებული ერეკლე II მუზარადის გარეშე, უქუდოდ, მჯდარი ქართულ ცხენზე; (იხილე დოკუმენტი 1)

მეორე მაკეტი – დიდ ცხენზე მჯდომი ერეკლე II ჩალმიანი ქუდით, ხელში ხმლით და ტრაქტატი ჩრდილოეთისკენ ჰქონდა გაწვდილი; მესამე მაკეტი – ცხენი სამ ფეხზე იდგა, ერთი ფეხით ტორს სცემდა, ერეკლე უქუდოდ, ტრაქტატიანი ხელი მიმართული ჩრდილოეთისკენ; მეოთხე მაკეტი – ერეკლე ისევ ჩალმით, საზეიმო ვითარებაში, ხმლით და ტრაქტატით.[30]

ერეკლე II-ის ძეგლების ამ მაკეტების გამოფენა-დათვალიერება თელავში, სავარაუდოდ 1958 წლის 16-21 ივლისს, იმდროინდელი კულტურის სახლის სხდომათა დარბაზის სცენაზე გაუმართავთ. მაკეტების საჯარო დათვალიერება ხუთ დღეს გაგრძელებულა. მნახველები საკუთარ მოსაზრებებს შთაბეჭდილებების ჩანაწერთა წიგნში ტოვებდნენ.

გამოფენის მეხუთე დღეს, თელავის კულტურის სახლის დარბაზში დაინიშნა საჯარო განხილვა. იმის მიუხედავად, რომ მაკეტების სხვადასხვა ვარიანტის განხილვის შესახებ წინასწარ ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, დარბაზი ხალხით ავსებულა: „აქ შეიკრიბნენ თელავში მცხოვრები პატრიოტი ოჯახების წარმომადგენლები. ყველა პროფესიის ადამიანები და მაკეტების ირგვლივ გამოთქვეს თავისი აზრი“ – წერს ჯაშიაშვილი.[31]

შეკრებაზე სიტყვით გამოსულან მოქანდაკეები – გიორგი ქევხიშვილი და ვასილ კერენსკი. დამსწრე საზოგადოებიდან კი ათზე მეტი ადამიანი გამოსულა სიტყვით.[32]

თელავის მოქალაქეებს დიდი მადლობა გადაუხდიათ მოქანდაკეებისთვის, მით უმეტეს როდესაც გაუგიათ, რომ მათ მაკეტების დასამზადებლად უფულოდ იმუშავეს. ერთ-ერთ გამომსვლელს აღუნიშნავს შემდეგი: „ქევხიშვილი აქ გაიზარდა, კახელია, ქართველია და იმუშავა ფასის

[30] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 25.
[31] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 25-26.
[32] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 26.

გარეშე, ამ რუსმა მოქანდაკემ უფრო პატივი გვცა, რომ იმუშავა ქართველი გმირი მეომრის მაკეტის შექმნაზე, როდესაც მას ფასის გარეშე არავინ მოკიდა ხელი, როგორც ეს ქართველმა ზოგიერთმა მოქანდაკემ გააკეთა“.[33]

როგორც შთაბეჭდილებების ჩანაწერებიდან და შეხვედრაზე სიტყვით გამოსული მოქალაქეების მოსაზრებებიდან ირკვევა, თელაველების უმეტესობას ერეკლე II-ის ძეგლის პირველი მაკეტი – საბრძოლო მდგომარეობაში, ხმალამოღერებული ერეკლე II მუზარადის გარეშე, უქუდოდ მჯდარი ქართულ ცხენზე მოსწონებია. ერეკლე II-ის ძეგლის ამ მაკეტის ავტორი იყო მოქანდაკე გიორგი ქევხიშვილი. მაკეტების განხილვისას ქევხიშვილისთვის დაუსვამთ შეკითხვა: „რატომ არის ერეკლე ხელგაწვდილი ხმლით, ბრძოლაში უქუდო და სამეფო მანტიაში? ეს ასე განმარტა მან – მე ავიღე მისი ბრძოლის ერთი ეპიზოდი და ეს დავუდე შექმნას საფუძვლადო, ეს არის ის მომენტი როდესაც ბრძოლის დროს ურჯულომ თავისი მსტოვრები შემოაპარა ლაშქარში და ხმას ავრცელებდნენ ერეკლე მოკლეს, წაიღეს – რაღად იბრძვით, ამით არევდარევა ერთგვარად შეჰქონდათ ლაშქარში, რაღა თქმა უნდა მსტოვართა შორის გამყიდველიც ერია. ლაშქარს ბრძოლა გაუჭირდა, მეფე მიზეზს ეძებდა ამისას და კიდეც მიაგნო, მხედრიონმა შეიპყრო მსტოვარი, რომ ხმას ავრცელებდნენ მის სიკვდილზე. ასეთი მდგომარეობის დროს მეფემ აბჯარი გაიხადა, საზეიმო მანტია მოისხა, ხმლით ხელში, უქუდოდ. რა ნახა ლაშქარმა რომ ტყუილი იყო მისი სიკვდილის ამბავი განრისხდა ლაშქარი, ეკვეთა მტერს და სასტიკად დაამარცხა“.[34]

თელავის მუზეუმის ფონდებში დაცულ, ერეკლე II-ის ძეგლების მაკეტების დათვალიერების შთაბეჭდილებების ჩანაწერთა წიგნებში – ესაა ორი სქელყდიანი რვეული, ვკითხულობთ: „თელავის ახალგაზრდობის სახელით მოვითხოვთ, რომ ჩვენს ლამაზ თელავში, სადაც დაიბადა ერეკლე II და თავისი მონდომება და კეთილი გული მოახმარა საქართველოს კეთილდღეობას დაიდგას ძეგლი, რომელიც გამოხატავს პატარა კახის მთელ სიძლიერეს ბრძოლის დროს – თამარაშვილი, ვ. ღარიბიანი, ფ. კაპანაძე, ნ. ასათაშვილი, ჯ. ჯანგულაშვილი, ნ. ვაშაკაშვილი“; „ჩვენი აზრით სასურველია, რომ ძველ ბაღში დაიდგას ერეკლე მეფე ბრძოლის დროს – მ. ღარიბაშვილი; „პირადად ჩემი აზრით, სასურველია რომ ძველ ბაღში

[33] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 26.
[34] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 26-27.

დაიდგას ერეკლე ბრძოლის დროს – ლ. კაკულია“.[35] „კარგია დაიდგას ერეკლე მეორის ძეგლი ბრძოლის დროს – ბ. ბალარჯიშვილი“;[36] „მეფე ერეკლემ მთელი თავისი სიცოცხლე 15 ლიდან ბრძოლებში გაატარა და ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია. ამისთვის იგი უნდა იყოს უეჭველად ბრძოლის მომენტში – ხმალამოღებული, ან მეორე – ხმალმოღერებული ე.წ. დასაკრავად გამზადებული უნდა იყოს – ვ. პაატაშვილი“.[37]

თელაველი ინჟინერი ვლ. ბალიაშვილი წერდა: „ჩემი და ჩემი ქალიშვილის აზრით სასურველია დაიდგას ერეკლე ძეგლი ბრძოლის დროს“; თელავის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებლების – მ. დარჩიაშვილის, ქ. ლომიძის, მ. ზარიძის, თ. შიუკაშვილის აზრით: „უმჯობესია დიდი ერეკლეს ძეგლი დაიდგას ბრძოლის მომენტში, ამავე დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ის, რომ ერეკლეს ბრძოლის დროს აუცილებლად უნდა ხურებოდა მუზარადი“.

სწორედ ამ საკითხზეა ხაზგასმული მედეა მეზვრიშვილის,[38] ჯონი ჯიჯეიშვილის,[39] და ოთარ ხუციშვილის[40] მიერ გაკეთებულ ჩანაწერში: „ჩვენი აზრით სასურველია დაიდგას ერეკლეს ძეგლი თავისუფლების მოედანზე. ერეკლე ბრძოლის მომენტში უჩალმოდ. კარგი იქნება თუ ავტორი გაითვალისწინებს ერთ შენიშვნას – ბრძოლაში ქართველები უქუდოდ არ გადიოდნენ. ამიტომ საჭიროა ერეკლეს ეხუროს მუზარადი და არა ჩალმა, რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთისთვის“.[41] (იხილე დოკუმენტი 5)

შთაბეჭდილებების ჩანაწერთა წიგნებში არსებული სხვა ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას სწორედ გიორგი ქევხიშვილის ძეგლის მაკეტი მოეწონა. გამოფენის დასრულების შემდეგ, ძეგლების მაკეტები და მოსახლეობის შთაბეჭდილებების რვეულებში ჩაწერილი მოსაზრებების ასლები მოსკოვში გაუგზავნიათ.[42]

---

[35] ლამარა კაკულია – თელავის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი.

[36] ბაადურ ბალარჯიშვილი – თელაველი მწერალი, პოეტი, სცენარისტი. ფილმ „ხარება და გოგია“ სცენარის ავტორი.

[37] ვანო პაატაშვილი – თელაველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. იხ.: თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, შთაბეჭდილებების რვეული 1.

[38] 1970-იან წლებში თელავის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე.

[39] 1970-2000 თელავის უნივერსიტეტის ლექტორი.

[40] 1957-1959 წლებში კომკავშირის თელავის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი.

[41] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, შთაბეჭდილებების რვეული 2.

[42] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 26.

ერეკლე II-ის ძეგლების მაკეტები გარკვეული პერიოდი მოსკოვში მხატვართა სალონში ყოფილა გამოფენილი და საკმაოდ ბევრი მნახველიც ჰყოლია.[43]

რაც შეეხება მოქანდაკეებს გიორგი ქევხიშვილს და ვასილ კერენსკის, მათ დაათვალიერებინეს ალავერდი, შუამთა, იყალთო, თელავის მუზეუმი, ქალაქი თელავი. გიორგი ქევხიშვილს თავისუფალ დროს მოუძიებია რამდენიმე ადგილი სადაც შესაძლებელი იყო დაბურღვა და მიწისქვეშა არტეზიული წყლების ამოყვანა.[44]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობას გიორგი ქევხიშვილის ძეგლის მაკეტი მოეწონა და მან ერეკლე II-ის ბრინჯაოს ძეგლის ჩამოსასხმელად საჭირო დოკუმენტაციის ნიმუში და ძეგლის ჩამომსხმელი ქარხნის ანგარიშის ნომერი ავანსის ჩასარიცხად, გადასცა თელავის აღმასკომს.[45] (იხილე დოკუმენტი 6)

პიედისტალის გარეშე ხმალამოღებული, ქართულ ცხენზე უქუდოდ მჯდარი ერეკლე II-ის ქანდაკების ბრინჯაოში ჩამოსხმა 69000 მანეთი ჯდებოდა.[46] (იხილე დოკუმენტი 7)

გიორგი ჯაშიაშვილის სიტყვებით, მოქანდაკეები გააცილეს და მოვლენები შენდეგნაირად განვითარდა: „გაუგია რა მოქანდაკე ბილანიშვილს, რომ მაკეტები ჩამოიტანეს თელავშიო, დატრიალებულა სხვადასხვა პირების საშუალებით და უთქვამს მე გავაკეთებ იაფადო. ამაში მას მხარს რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი უმაგრებდა. აქეთ უთმელიძე მოიშველია ბ-მა, მაგაზე კარგს მე გავაკეთებ მუქთად და მევე ჩამოვასხავ ბეტონშიო.... ასათაშვილი მოითხოვდა ძეგლი ბილანიშვილმა გააკეთოსო, ბ-ლი მოითხოვდა უთმელიძემ გააკეთოსო – ხოლო რომ უკვე გაკეთებული იყო ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. რას ვიზამდი... კარგად დაწყებული საქმე ჩაიფუშა“.[47]

სამი წლის შემდეგ – 1961 წლის აგვისტოში, გიორგი ჯაშიაშვილი წერდა შემდეგს: „მე დაინტერესებული ვიყავი ძეგლის დადგმით... ოღონდ ძეგლი აგებულიყო გინდ ბილანიშვილს, გინდ უთმელიძეს დაემზადებინა. მაგრამ პირველი წინასწარ დიდ თანხას მოითხოვდა ისე არ იწყებდა... მე-

[43] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 27.
[44] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 27.
[45] თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჯაშიაშვილის არქივი, მასალები ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის შესახებ. 1958-1959 წლები. ფონდი №11872, რვეული 6, გვ. 3.
[46] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 28.
[47] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 29.

ორეს კი არ შეეძლო ასეთი დიდი საქმეების გაკეთება. ქევხიშვილს უნდოდა უთმელიძე თავისი გაკეებული ძეგლის მაკეტის ავტორად გაეხადა და შესთავაზა კიდეც... მაგრამ არ გახდა თანახმა, მე უნდა შევქმნა საუკეთესოო, ეს კი მან ვერ შეძლო. ასე და ამრიგად ჩაიშალა კარგი წამოწყება და ძეგლის საკითხი უცდის კარგ პატიოსან გულშემატკივარს".[48]

რაც შეეხება ერეკლე II-ის ძეგლის „გულშემატკივარს", ასეთი აღმოჩნდა 1970-იან წლებში თელავის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე მედეა (მედიკო) მეზვრიშვილი. სწორედ მისი ინიციატივით და როგორც ჩანს თელავის იმდროინდელი საზოგადოების განწყობის საფუძველზე, 1970-იანი წლების დასაწყისში დაიწყო თელავში გრანდიოზული სამუშაოები ბატონის ციხის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლებზე რუსეთის იმპერიის თუ საბჭოთა პერიოდში დაშენებული შენობების მოსანგრევად, „ბატონის ციხის" აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის გამოსანთავისუფლებლად ერეკლე II-ის ძეგლის დასადგმელად.

როგორც ჩანს, თელავის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე მედეა (მედიკო) მეზვრიშვილმა გაითვალისწინა წინამორბედის – გიორგი ჯაშიაშვილის „მწარე გამოცდილება" და ერეკლე II-ის ძეგლის მაკეტების საჯარო განხილვებისგან თავი შეიკავა. ძეგლი დაამზადებინა ცნობილ მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილს, რომლის მიერ შექმნილი ერეკლე II-ის ქანდაკება, თელავში 1971 წლის 24 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა. ძეგლის და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტორი იყო თეიმურაზ (თემო) კანდელაკი.

ჩვენი კვლევის თემატიკა არ მოიცავს აღნიშნული ძეგლის „ავკარგიანობის" განხილვას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში ქალაქ თელავის მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილო იყო ძეგლის იერსახით. ეს აისახა, თელავის მაშინდელი ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელის სახელზე, გიორგი ჯაშიაშვილის მიერ გაგზავნილ წერილში: „ასრულდა ოცნება თელავში აღმართულიყო პატარა კახის ძეგლი. ეს არის პირადი ინიციატივა მედიკოსი, სხვა ნურავინ შეეცდება, რადგან ამის შესახებ ცდები ადრე იყო და წინა მესვეურებს ეს სასაცილოდ მიაჩნდათ და ზოგჯერ ნებით თუ უნებლიედ წინააღმდეგნიც იყვნენ. რაც გაკეთდა კარგი საქმეა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ძეგლის კვარცხლბეკი საუკეთესოზე საუკეთესოა, ხოლო პატარა კახის ძეგლს ველოდით როგორც მებრძოლს, რომელიც ხმლით ხელში იცავდა სამშობლოს და არა როგორც სამღვდე-

[48] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 29.

ლოების წარმომადგენელს ჯვრით ხელში, ჯვარი ეკავა პატრიარქს – პატარა კახის ხმალი ჯერად არც როდის არ ყოფილა, მისი ხმალი არ დახრილა, ან რატომ დაიხრებოდა... ძეგლმა პატრიარქის სახე მიიღო. ეს მიზეზია, რომ ძეგლის მაკეტი ფართოდ ვერ იხილა, ვერ მიიღო მათგან შეფასება, ისე როგორც სხვა ძეგლებმა და შეფასებაც მისი საქვეყნოდ ცნობილია".[49] (იხილე დოკუმენტი 4)

ჯაშიაშვილის აზრით: „პატარა კახის ძეგლი უნდა აღმართულიყო სურათზე გამოსახული მაკეტისმაგვარი, ქართველი – ყველა პირობებში გამავალი ცხენით და ხმალგაწვდილი... და არა როგორც ჯვრიანი მლოცველი – ვინც მარტო ლოცულობს სამშობლოს ვერ იცავს... შეიძლება მე ვცდები, იქნებ ძეგლის ავტორს ჰქონდეს მასალები, როდესაც ერეკლე ხმალს თავდაყირა იკავებდა და ლაშქარს ან ხალხს ჯვრით მიმართავდა, მაშინ ეს ძეგლი ამართლებს მიზანს, რაც მე არ მჯერა. 1972 წლის 5 მაისი".[50]

აი, ასეთი მოსაზრებებიც არსებობდა თელავში ახლად აღმართული ერეკლე II-ის ძეგლის შესახებ. თუმცა, დრომ სხვანაირად განსაჯა, მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის მიერ შექმნილი ერეკლე II-ის ძეგლი დღეს თელავის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ არის აღიარებული და მისი მნიშვნელობა ლოკალურ ფარგლებს სცდება – იგი თანამედროვე ქართული საზოგადოების ცნობიერებაში, ერეკლე II-ის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ზოგად სახეს ასახავს.

P.S.

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს, თბილისში კახეთის გზატკეცილზე, ე.წ. სამგორის პარკში, მოქანდაკეების ჯგუფის მიერ, მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით შექმნილი ერეკლე II-ის ძეგლი გაიხსნა. სავარაუდოდ, თავის დროზე ამ ესკიზში მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილმა გაითვალისწინა, ჯერ კიდევ 1958 წელს ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის და სხვების მიერ გამოხატული მოსაზრებიდან მხოლოდ „ერთი შენიშვნა" – „სასურველია დაიდგას... ერეკლე ბრძოლის მომენტში უჩალმოდ. კარგი იქნება თუ ავტორი გაითვალისწინებს ერთ შენიშვნას – ბრძოლაში ქართველები უქუდოდ არ გადიოდნენ. ამიტომ საჭიროა ერეკლეს ეხუროს მუზარადი".

[49] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 41.
[50] კახეთის რეგიონალური არქივი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი №491. საქმე 8, გვ. 41.

სურათები

1 გიორგი ქევხიშვილის მიერ შესრულებული ერეკლე II-ის ძეგლის მაკეტი



2

განკარგულება

თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისა.

1958 წლის 9 აპრილი ოქმი №27 §2

ერეკლე მეორეს სახელობის მოედნის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ.

მოედანი, რომელიც მდებარეობს კინოს წინ ეწოდოს დღეიდან ერეკლე მეორეს სახელობის მოედანი.

დაევალოს ცენტრიურის გაუკეთოს წარწერები.

თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: /ჯაშიაშვილი/

თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: /ბურნაძე/

კინოს შენობის აგება კრებლის წინ დასაცლეთით და 1954 წელს დაწყებული იქნა და დამთავრდა 1958 წელს 7 ნოემბრისათვის ექსპლოატაციაში

ამით შეიქმნა შესაძლებელი კრებლის წინ მდებარე ბოსელ-ტომურის მოსახლეობის ფარდა მოწაწილეობით. აქვე დაესძენ რომ ამ დიდების ფაქტის დიდი წაწილი ვაფარ ჩარჩ სიმხნებს ტამოეფიქი ქვორგან სასაგარამ ფშუტი ქარდველი ფეოდალებს ორონ ფული აეღოთ, ორენ სასახლესაც ვაკეთებინებენ. იქამდე იყო მისული საქმე რომ კრებლის კომპლების ძირში ვაფრების მიერ საპირფარეშოები იყო სავსე, რის გამოც საკმაოდ დაბინძურებული არის ეს ბურჯი - კომპლები. ყველა ეს ნუპაკი წაშლები აღებული, მოსპობილი იქნა. გაწმენდილი გასუფთავებული კრებლის წინ დასაცლეთით ტერიტორია დამუშავებული იქნა ერთიანი ტემპით მთელ სიგრძეზე ჩენს მიერ როტორც ინჟინრისაგან.

კინოს წინ საპარმახოდან გამოსაცალი კარების წინ მდებარე მოედანს ეწოდა დადგენილებით ერეკლე მეორეს სახელობის მოედანი, ხოლო მის ცენტრ საავტრეო ნაწილში გაშენდა ლია გამწვანური სკვერი, რომელსაც მწანვალი ადგილად ამშვენებს, ლამპია და შეხამებული ადგილმდებარეობასთან. ასე და ამრიგად შეიქმნა დიდი რამ ერეკლე მეორეს უკვდავსაყოფად დელაში.

ძეგლის აგების საკითხი მაინც გადაუწყვეტელი ჩჩებოდა. მიუხედავად ჩვენს სანაქებო მოქმედებებს ბჭილისში გაკეთებინად ესკიზები ტმირი მეფის ძეგლის აგებისათვის, მაგრამ ყველამ წინასწარ დიდი ეჭვები იჭიოვეს. გაღებაც ჩვენ წინასწარ არ შეგვეძლი, მრავალჯერ ამ საკითხის შეფოტრიალებისა და ხმების ხელი არავინ არ მოკიდა წინასწარ ფული მიდების გარეშე. როტორც ჩანს ძეგლის აგების და საამისო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების საკითხი ღიად ჩჩებოდა. აქვე ვიტყვი რომ ეს ამბავი, რომ ძეგლი აგებული ყოფილიყო ქალაქის მოსახლეობისათვის გაუგებარი არ დარჩა. ჩვენი


4 ჩადგან ერეკლეს ძეგლის აგებისადგის, მაკეტის სურადები მისი საჯარო განხილვის და სხვა მასალები მქვენდან – ინახება ამდენად ჩრიდე სიძნელე მიწდა დაწერა და პირადად მქვენ ტიტაკენი ჩემს მეხსიერებას, ასრულა იცნება ფილადში აღმართული პატარა კახის ძეგლი ეს არის პირადი ინიციატივა მეჩიკოსი, სხვა ნურაკინ ნუ მეცდება, ჩადგან ამის მესახებ ცდები აჩრე იყო და მინა მესვეურებს მად ეს სასადიდი მიაჩნდად და ტიტკენ წერილ ნუ უნებლიედ მინააღმდეგნიც იქნენ.


ჩაც ტაკედა კარგი საქმეა მატრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ძეგლის კეთრცხლებაკი საუკუნესთან – საუკუნესია ბიდი პატარა კახის ძეგლს ველოდით ჩიტორც მეხრძოლს, ჩომელიც ხმლით ხელში იცავდა სამშობლოს, და არა ჩიტორც სამღვდელოების წარმომადგენელს ჯვარ ხელში, ჯარი ეკავა პატრიარხის – პატარა კახის ხმალი ჯვრად არც ჩიდის არ ეფიდა, მისი ხმალი არ დახრილა ან ჩატომ დაიხრებოდა ჩიდესაც ქარდველ ქალს ხელში მახვილისადგის ვადაში წაუყრია და მშად არის მტრად მოსულს აგებოს – მისი სიმძლავრე და იმ დროისადგის მით უმეტეს ერეკლეს ხმალი ჯვრად რად დაიხრებოდა.

ძეგლმა პატრიარქის ჩიდის სახე მიიდო. ეს მიტევია ჩიმ ძეგლის მაკეტი ფარდით ვერ იხილა, ვერ მიიდო მადგან შეფასება ისე ჩიტორც სხვა ძეგლებმა და შეფასებაც მისი საქვეყნიდ ცნობილია.

პატარა კახის ძეგლი უნდა აღმართულიდო სურადზე ტამისახული მაკეტისდაგვარი, ქარდველი ვეღია პირობებში მაკარ ცხენით და ხმალ ტაძვრილი / ამდაგვარი დაწარჩენი მოდიქრება მიქაწდაკის საქმეა და არა ჩიტორც ჯვარიანი მღოცველი – ეინც მარტო ლოცულობს ის სამშობლოს ვერ იცავს/.

სურადზე ტამისახული მაკეტი – ერეკლეს მამაკაცობის ერდი ეპიდოდია ტამალებული ბრძოლის დროს ურჯულოებმა მსტვრევში შეშოპარკეს მადაცხული, ერეკლეს ლაშქარში და უნდოდა ლაშქარში არევ-დარევა





6

Obrazets. 3 1

В Управление по приёму заказов и Реализации Художественных произведений

ЗАКАЗ

По договоренности с Вашим представителем тов.---- просим изготовить для горсовета г. Телави Грузинской ССР памятник – / наименование организации / конную статую Ираклию-у по модели авторов: / наименование скульптурного произведения / Кекушвили Г.Ч., Керенского В.Н., Котова И.К. / по модели автора – фамилия и инициалы / согласно предоставленной фотографии на условиях, подтвержденных нами ниже следующих показателей и условий

Высота и размер 1 1/2 – 2 натуры

Материал Бронза

Решение представителей партийно-советских организаций, общественности города, отдела культуры и местного художественного совета.

Ориентировочная стоимость 8 восьмой тыс. рублей

Ориентировочная стоимость уточняется сметой калькуляцией.

ЗАКАЗЧИК Горсовет г. Телави Г. ССР

ПЛАТЕЛЬЩИК (счёт организации, с чего счёта будут перечислены средства


ГРУЗОПОЛУЧАТЕЛЬ (кому поручается: инженер горсовета или другая конкретно кому адресовать)

УСЛОВИЯ ЗАКАЗА:

1. Срок исполнения заказа 2 - 2 1/2 года квартал

19___ г.

7
გიორგი ქევხიშვილი და გიორგი ჯაშიაშვილი ერეკლე II-ის ძეგლის მაკეტთან



Tengiz Simashvili
Professor,
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

FORGOTTEN HISTORY: THE CIRCUMSTANCES SURROUNDING THE CREATION OF THE STATUE OF EREKLE II IN TELAVI (1950S-1970S)

Summary

The monument to Erekle II in the city of Telavi, today regarded as one of the city's principal symbols, was erected during the Soviet period. The author is the sculptor Merab Merabishvili, who created the work in the early 1970s. The statue was installed in 1971.

However, the history of the monument's installation begins much earlier, and its prehistory remains little known to the wider public. According to documents preserved in the Regional Archive of Kakheti, the idea of erecting a monument of Erekle II in Telavi emerged as early as the 1950s. Notes written by Giorgi Jashiashvili, chairman of the Telavi City Council's Executive Committee during those years, indicate that the city center suffered from poor urban conditions; numerous structures stood around the "Batonis Tsikhe" fortress (The Royal Palace of the Kakhetian rulers), many of which required demolition. It was in connection with the improvement of this space that the idea arose – to commemorate Erekle II by installing a monument in his honor.

Although some residents of Telavi expressed critical attitudes, the majority actively supported the initiative to erect the monument. The local authorities began searching for sculptors, but Georgian artists demanded fees far exceeding the city budget. Due to this condition, Telavi's leadership turned to Georgian and Russian sculptors working in Moscow – Giorgi Kevkhishvili, Kerensky, and Kotov. They began working on models of the monument in 1957 and, in 1958, brought four different versions to Telavi. In July 1958, these models were exhibited in the hall of the Telavi House of Culture, where the five-day exhibition attracted numerous visitors.

The "Book of Impressions," preserved in the Telavi Historical Museum, records the opinions of officials, ordinary citizens, and school students alike.

Among the models, the highest praise was given to the version created by Giorgi Kevkhishvili, depicting Erekle II on horseback, sword in hand, bareheaded.

Despite broad public support, none of these versions was realized. One reason was the sharp criticism voiced by Georgian sculptors toward the works of the Moscow-based artists, which combined with interferences by the Soviet bureaucrats – brought the entire process to a dead end. Thus, the initiative that began in the late 1950s was halted.

Only a decade later, in the 1970s, under the leadership of Telavi's new administration (headed by M. Mezvrishvili), it became possible to overcome the existing obstacles. In 1971, a final decision was made, and the monument created by Merab Merabishvili was erected in the city. It remains one of Telavi's most recognizable symbols to this day.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ნინო სიმონიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ხელოვნების ისტორიასა და ხელოვნებათმცოდნეობას შორის: საგანმანთლებლო დებატები XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანიაში და მათი მნიშვნელობა ნაციონალური ხელოვნების ისტორიის ფორმირებისათვის საქართველოში (1918-1921)

XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის წამყვან გერმანულ ჰუმანიტარულ გამოცემებში, ზედიზედ გამოქვეყნდა გერმანულ უნივერსიტეტებში მოღვაწე ხელოვნების ისტორიკოსთა პუბლიკაციები, რომელთა სათაურები ხელოვნების ისტორიის, როგორც საუნივერსიტეტო და სამეცნიერო დისციპლინის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიებზე მიუთითებდა და მკაფიოდ აჩვენებდა ამ საკითხის აქტუალობას თანადროულ გერმანულ საზოგადოებაში.[1] განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდში, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, გერმანულენოვან ხელოვნებათმცოდნეთა კვლევის ფოკუსში უეცრად მოექცა ბაროკოს ხელოვნებაც, მათ შორის იყვნენ ზემოთ აღნიშნულ დისკუსიებში მონაწილე მკვლევრებიც.[2]

[1] E. Dobbert. Die Kunstgeschichte als Wissenschaft und Lehrgegenstand, Rede Zum Geburtsfeste Seiner Majestät Des Kaisers und Königs in der Aula der Königlichen Technischen Hochschule zu Berlin, am 21 März 1886; G. Dehio. Das Verhältnis der geschichtlichen zu den kunstgeschichtlichen Studien. 1887. In: Kunsthistorische Aufsätze. Munich and Berlin. 1914; K. Lange. Die Kunstwissenschaften an unseren Universitäten. In: Die Grenzboten, Die Zeitschrift für Politik,. Literatur und Kunst. 50. Bd. 4. 1891; A. Schmarsow. Die Kunstgeschichte an unseren Hochschulen. Berlin. 1891; H. Grimm. Das Universitätsstudium der Neueren Kunstgeschichte. In: Deutsche Rundschau. 66. 1891; H. Wölfflin. Uber kunsthistorische Verbildung. In: Die Neue Rundschau. 20. 1909.

[2] C. Curlitt. Geschichte des Barockstils in Italien, Suttgart. 1887; H. Wölfflin. Renaissance und Barock: Eine Untersuchung über Wesen und Entstehung des Barockstils in Italien, München. 1888; A.

რა მიმართებაშია ამ სრულიად განსხვავებული საკითხებისადმი მიძღვნილი ხელოვნების ისტორიკოსთა პუბლიკაციები ერთმანეთთან და იმ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ და პოლიტიკური პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობდა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ვეროპაში? რა ზეგავლენა მოახდინა გერმანულმა პროფესიულმა სახელოვნებათმცოდნეო დებატებმა ხელოვნების ისტორიის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინის ფორმირებაზე საქართველოში, 1918-1921 წლებში? ეს არის საკითხთა ის წრე, რომელთა გარკვევასაც წინამდებარე სტატიაში შევეცდებით.

როგორც ცნობილია, 1871 წელი, ახალი გერმანული იმპერიის ოფიციალური ფორმირების წელი იყო. თუმცა, საფრანგეთზე პოლიტიკური გამარჯვების მოპოვებისა და იმპერიული ამბიციების ზრდის მიუხედავად, ევროპის კულტურულ ფრონტზე ჰეგემონიის მოპოვება არც ისე ადვილი აღმოჩნდა გერმანიისთვის. აქ ჯერ კიდევ საფრანგეთი და ინგლისი დომინირებდნენ. ამ ჰეგემონიას საფუძველი XVIII საუკუნის მიწურულიდან, საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ჩაეყარა, როდესაც ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერობა, სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი გახდა, მუზეუმი კი, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ამ პოლიტიკის გატარებისათვის. ანტიკური ხელოვნების კოლექციების ფლობა, არა მარტო სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის გაძლიერებას ემსახურებოდა, არამედ იმპერიული ძალაუფლების დემონსტრირების ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო.[3] ნაპოლეონის ეგვიპტური ექსპედიციები, ამ პროცესის ერთერთი მთავარი ინიციატორი გახდა და საფრანგეთის, როგორც ევროპის კულტურული ჰეგემონის როლის განსაზღვრა განაპირობა. საფრანგეთთან მუდმივ კონფრონტაციასა და პაექრობაში მყოფი ინგლისისათვის კი, ბრიტანეთის მუზეუმში ათენიდან გადატანილი პართენონის ფრაგმენტები, არა მხოლოდ ანტიკური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, არამედ ძველ ათენთან ასოცირებული თანადროული ბრიტანეთის მეტყველი სიმბოლოც გახდა. პერიკლეს ათენი, რომელიც ინგლისის ლიბერალური პოლიტიკური კონსტიტუციის მოდელად იქნა მიჩნეული, გან-

Schmarsow. Barock und Rokoko: Eine Kritische Auseinandersetzung Uber Das Malerische in Der Architektur. Leipzig. 1897; J. Strzygowski. Das Werden des Barock bei Rafael and Corregio: nebst einem anhang über Rembrandt. Strassburg. 1898; A. Riegl. Die Entstehung des Barockkunst in Rom. Vienna. 1898.

[3]ამ პერიოდის სამუზეუმო პოლიტიკასა და გერმანიის იმპერიალურ ამბიციებზე იხ. T. W. Gaehtgens. Die Berliner Museuminsel im Kaiserreich: Zur Kulturplitik der Museen in der wilhelminischen Epoche. Munich. 1992.

საკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევდა ბრიტანულ საზოგადოებაში. ამ ვითარებაში, ახლად ფორმირებულ გერმანულ იმპერიას, მისი ამბიციების ლეგიტიმურობისათვის, სხვა ტიპის კავშირი უნდა გამოენახა ანტიკურობასთან.

პოლიტიკურთან ერთად, კულტურული ჰეგემონიისთვის ბრძოლა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა როგორც ახალი გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირებას, ასევე გერმანელ ინტელექტუალთა მცდელობას, რაც შეიძლება ხელი შეეწყოთ მოსახლეობის ფართო მასების განათლების დონის ამაღლებისათვის. ამ მიზნით, დაიწყო სახელოვნებო საგანმანათლებლო მოძრაობა გერმანიაში, რომლის აუცილებლობასაც ასე განმარტავდა მისი ერთერთი დამფუძნებელი, ხელოვნებათმცოდნე ალფრედ ლიხტვარკი: ***„განათლებული გერმანელი, რომელიც ინგლისურ ან ფრანგულ საზოგადოებაში ხვდება, უცბად აცნობიერებს რამდენად აკლია მას აღქმის კულტურა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ბრმაა და ვერ გრძნობს ხელოვნებას.... ესთეტიური განათლების ნაკლებობა, რომელიც ასე აშკარაა, მკაფიოდ აჩვენებს, რომ ჩვენ ნახევრად ბარბაროსულ საზოგადოებად წარმოვჩნდებით უფრო ცივილიზებულ ნაციებთან მიმართებაში..”*** [4] როგორც ჩანს, სწორედ ლიხტვარკის მიერ წამოწყებული მოძრაობის გამოხმაურებაა 1893 წელს გამოცემული გერმანელი ხელოვნებათმცოდნის, კონრად ფონ ლანგეს პუბლიკაცია „გერმანელი ახალგაზრდების მხატვრული აღზრდა.“[5]

ზემოთ განხილულ კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1871 წელს, გერმანელი ინჟინრის, კარლ ჰუმანის მიერ პერგამონის საკურთხევლის შემთხვევითმა აღმოჩენამ თურქეთში.[6] ზევსისადმი მიძღვნილი პერგამონის საკურთხეველი ძვ. წ.-ის მეორე საუკუნეში, ელინისტური სამყაროს ერთერთი უმდიდრესი სამეფოს დედაქალაქში – პერგამონის აკროპოლისზე აიგო. იგი მონუმენტური ურბანული ანსამბლის ერთერთი ნაწილი იყო, რომელიც საკურთხევლის გარდა, სასახლეების, ტაძრების, გიმნაზიის, ბიბლიოთეკის, აბანოების, ბაზრებისა და სამხედ-

[4]საინტერესოა იმ ფაქტის კონსტატირებაც, რომ ლიხტვარკი სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, 1886 წელს იქნა მიწვეული ჰამბურგის ცნობილი Kunsthalle-ს პირველ დირექტორად. იხ. S. Fishman. Alfred Lichtwark and the Founding of German Art Educational Movement. Survey of Education Quarterly. Vol. 6. no 3. 1966: 3-17.

[5] K. Lange. Die künstlerische Erziehung der deutschen Jugend. Dramstadt (Arnold Bergstrsträsser) 1893.

[6] ჰუმანის აღმოჩენის ისტორიის შესახებ იხ. F. K. Dörner and E. Dörner. Von Pergamon zum Nimrud Dağ: Die archäologischen Entdeckungen Carl Humanns. Mainz. 1989.

რო არსენალისაგან შედგებოდა. ასეთი მასშტაბური ურბანული პროექტი, უცნობი იყო ანტიკური საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებისათვის და თავისი გრანდიოზულობით, ევროპული ბაროკოს მონარქების აბსოლუტიზმთან იწვევდა ასოცირებას.[7] თურქეთიდან გერმანიაში გადატანილი პერგამონის საკურთხევლის ბერლინში ინსტალირებამ, არა მხოლოდ ახალი დედაქალაქი გახადა ანტიკური კოლექციების მფლობელ მეტროპოლიად, არამედ თანამედროვეთა თვალში, განსაკუთრებული ბრწყინვალება შეძინა ახლად შექმნილ იმპერიასა და მის მმართველ ჰოენცოლერნის დინასტიასაც, რომელიც რანჟირებით ჯერ კიდევ ჩამოუვარდებოდა ჰაბსბურგებისა და ბურბონების სახელმოხვეჭილ დინასტიებს.[8]

პერგამონის საკურთხევლის მნახველთა განსაკუთრებულ აღფრთოვანებას, მისი შემამკობელი გიგანტომაქიის სკულპტურული ფრიზი იწვევდა (ილუსტრაცია. №1), რომლის მთავარი მხატვრული მახასიათებელი, ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებთა მსგავსად, ფიგურათა დინამიკა და მათ სახეებზე აღბეჭდილი დრამატული და თეატრალიზებული ემოციურობა იყო, რითაც იგი განსხვავდებოდა მანამდე კლასიკური ხელოვნების იდეალურ განსხეულების, პართენონის ფრიზის მხატვრული მახასიათებლისაგან.

პერგამონის აღმოჩენამდე, იოჰან ვილკელმანის (1717-1768), ფრიდრიხ შილერისა (1759-1805) და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (1767-1835) ნეო-ჰუმანისტური იდეების ზეგავლენით, ანტიკური სამყარო და მისი ხელოვნება იყო მსოფლიო ცივილიზაციის მწვერვალად მიჩნეული. პერგა-

[7] საკურთხეველი და მისი შემამკობელი ფრიზი, პერგამონის მეფე ევმენ II-ის (ძვ.წ.-ის 197-159 წწ.) დაკვეთით იქნა აგებული და დეკორირებული, ბარბაროსულ გალებზე მისი გამარჯვების აღსანიშნავად. ფრიზის სიუჟეტად შერჩეული ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლა, კომპლექსური იდეოლოგიური ჩანაფიქრი იყო: ერთი მხრივ, იგი აგრძელებდა ანტიკურ ბერძნულ ხელოვნებაში დამკვიდრებულ ხანგრძლივ ტრადიციას, როდესაც ისტორიული მოვლენები, ალეგორიულად, მითიური სიუჟეტებით გადმოიცემოდა და ამდენად ასოცირებას იწვევდა ათენის პართენონის სახლეგანთქმულ ფრიზთან (ძვ.წ.-ის 442-438 წწ.). ამავე დროს, პართენონის ფრიზის სიუჟეტის გათვალისწინებით, რომელიც ბერძნების სპარსელებზე გამარჯვებას მიეძღვნა, პარალელს ავლებდა პერგამონსა და პართენონს შორის, რაც პერგამონის მმართველის ბერძნულ-ელინური კულტურის ბარბაროსებისგან დამცველის სტატუსის განმტკიცებას და ლეგიტიმურობას ემსახურებოდა. პერგამონის საკურთხევლის სიმბოლურ დატვირთვაზე იხ. L. Gossman. Imperial Icon: The Pergamon Altar in Wilhelmine Germany. The Journal of Modern History. 78 (September) 2006, გვ. 553-555.

[8] პერგამონის საკურთხევლის ბერლინში ინსტალაციის პოლიტიკური მნიშვნელობისათვის იხ. L. Gossman. Imperial Icon, გვ. 551-587. ჰუმანის ამ აღმოჩენის შემდეგ გერმანულ არქეოლოგიაში განსაკუთრებით გაძლიერებული 'ორიენტალიზმისა' და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ იხ. S. L. Marchand. Down from Olympus: Archacology and Philhellenism in Germany. 1750-1970. Princeton University Press. 1996, გვ. 188-262.

მონის საკურთხეველმა და მისმა შთამბეჭდავმა ფრიზმა კი, ეს პარადიგმა შეცვალა და ელინისტური ეპოქა ბერძნული სამყაროს არა დაშლის, არამედ გაერთიანების დასაწყისად წარმოაჩინა.[9] ამ ახალ დისკურსში, ელინისტური კულტურა, კოსმოპოლიტური ცივილიზაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური აღმოჩენების, ინდუსტრიისა და ურბანული განვითარების ეპოქად იქნა აღიარებული. პრუსიელი მონარქები კი, ელინისტური ცივილიზაციის არქიტექტორებთან, ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელებთან ასოცირებული.[10] ამ ახალმა 'ელინისტურმა ტრენდმა,' გავლენა მოახდინა თანადროულ არქიტექტურასა და ქანდაკებაზეც. მანამდე გერმანიაში გაბატონებული კლასიკური და ხაზობრივი სტილი, თანდათან ჩაანაცვლა ნეო-ბაროკოს მოძრაობითა და დინამიკით აღსავსე, თეატრალიზებულმა სტილმა. ვილჰელმ II-ის მმართველობის წლებში კი (1888-1918), ნეო-ბაროკო, სახელმწიფოს ოფიციალური არქიტექტურული და სახელოვნებო სტილი გახდა.

უკვე დიდებით მოსილმა პერგამონის საკურთხეველმა, გერმანიის ინტელექტუალური და სამეცნიერო ელიტის მობილიზება და ახალი იდეების ფორმირების პროცესი გამოიწვია. 1877 წელს, ხელახლა გამოიცა ელინიზმისა და ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. მოულოდნელად შეიცვალა ფრიდრიხ ნიცშესადმი (1844-1900) დამოკიდებულებაც: თუკი 1872 წელს, კრიტიკულად იქნა შეფასებული ნიცშეს *ტრაგედიის დაბადება*, რომელმაც ანტიკურ საბერძნეთზე არსებული ნეო-ჰუმანისტურ შეხედულებათა რევიზია მოახდინა, 1886 წელს, მისი მეორე გამოცემა დიდი ენთუზიაზმით იქნა მიღებული. ასევე მოხდა მანამდე ნაკლებად აღიარებული შვეიცარიელი მხატვრის, არნოლდ ბოკლინისადმი (1827-1901) ინტერესის მოულოდნელი გაზრდა 1880-1890 წლებში, რამაც მას სულ მალე მოუტანა დიდი წარმატება და გერმანულენოვან სივრცეში ერთერთი ყველაზე ცნობილი ხელოვანის სახელი (ილუსტრაცია. №2).[11]

ვილკელმანისეული ესთეტიკური დისკურსის რევიზიას, ელინიზმისა და ბაროკოს ეპოქებისადმი ხელოვნებათმცოდნეთა გაძლიერებული ინტერესი და ხელოვნების ისტორიაზე არსებული ლიტერატურის გადა-

[9] L. Gossman. Imperial Icon, გვ. 553.

[10] E. Levy. Baroque and the Political Language of Formalism (1845-1945): Burckhardt, Wölfflin, Gurlitt, Brinckmann, Sedlmayr, Basel. 2015, გვ. 26-27.

[11] არნოლდ ბოკლინის „ბაროკალური", ემოციებით აღსავსე მხატვრობის წარმატების მიზეზებზე იმ პერიოდის გერმანიის პოლიტიკურ კონტექსტში იხ. S. L. Marchand. Arnold Böcklin and the Crisis of Neoclassicism. In: The Impact of the Greek Classics on National and European Identities. Pim den Boer and E. Moorman. eds. Amsterdam. 2002.

სინჯვა მოყვა. სასწავლო და პოპულარულ გამოცემებში, სასწრაფოდ იქნა შეტანილი 'ელინისტურ ბაროკოდ' დეფინირებული პერგამონის საკურთხეველი და მისი ფრიზი, რამაც 17-ე საუკუნის ბაროკოსადმი მზარდი ინტერესი განაპირობა. პერგამონის ფრიზის ფრაგმენტები, იტალიელი მხატვრის, ჯულიო რომანოს (1499-1546) ამავე თემაზე შესრულებულ ფრესკასთან, *„გიგანტთა დაცემა"* (მანტუის *Sala dei Giganti*-დან, ილუსტრაცია. №3), მიქელანჯელოს (1475-1564) ნამუშევრებსა და ბაროკოს პერიოდის დიდი გერმანელი არქიტექტორისა და მოქანდაკის, ანდრეას შლუტერის (1664-1714, ილუსტრაცია. №4) შემოქმედებასთან იქნა შედარებული. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ბაროკოს ეპოქის მხატვრების: რუბენსის, რემბრანდტის, ვან დეიკისა და ველასკესის ნაწარმოებებისადმი. ელინისტური ფრიზის თითქმის ექსტაზამდე მისულმა ემოციურმა ხასიათმა კი, ბევრს ბაროკოს სკულპტურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, ლორენცო ბერნინის (1598-1680) შემოქმედებაც გაახსენა (ილუსტრაცია. №5).

მიუხედავად იმისა, რომ პერგამონის საკურთხევლისა და მისი ფრიზის მაღალმხატვრული დონე, ერთხმად იქნა აღიარებული ხელოვნების ისტორიკოსთა მიერ, ელინისტური და ბაროკოს ხელოვნების შედარებისა და შეფასებისას, მათი აზრი გაიყო. მიუნხენის უფრო კონსერვატული შეხედულებების მქონე ხელოვნებათმცოდნეები, ხელოვნების ვილკელმანისეულ კულტურის აღმავლობისა და დაცემის კლასიფიკაციის დაცვას ცდილობდნენ. მათი ეს პოზიცია, მეტწილად, თანადროული პოლიტიკური პროცესების ანარეკლს წარმოადგენდა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ ექსტრემისტულად განწყობილი ნაციონალისტების მსგავსად, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იმ ცვლილებებს, რომლებიც თანადროულმა ეპოქამ მოიტანა. ამ მეცნიერთა აზრით, ინტერნაციონალური კაპიტალიზმი, მზარდი კომერციალიზაცია, რელიგიური სკეპტიციზმი და სოციალიზმის ეპოქა, მათ თვალწინ ცვლიდა და საფრთხეს უქმნიდა ტრადიციულ გერმანულ ღირებულებებს, მათ შორის, ვინკელმანისეულ ესთეტიკურ კონცეფციას. მათგან განსხვავებით, ბერლინში მოღვაწე მკვლევართა ჯგუფმა, რომლებიც თავს მოდერნისტებად მიიჩნევდნენ და სკეპტიკურად უყურებდნენ იდეალიზმსა და თანამედროვე რეალობიდან ძალზე დაშორებულ ვილკელმანისეულ უნივერსალიზმს, დიდი ენთუზიაზმით მიიღო ახალი იდეები. მოდერნულობა, მათი აზრით, სწორედ კოსმოპოლიტიზმის, ახალი იდეებისადმი გახსნილობის, ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის განვითარების შედეგად მოტანილ ცვლილებებს ნიშნავს

და არა ხელოვნების, როგორც სილამაზის ესთეტიკური კატეგორიის შემოფარგლულ საზღვარს.

რაც შეეხება ხელოვნებათმცოდნეთა მეთოდოლოგიურ დებატებს, ისინი პერგამონის საკურთხეველის ფრიზის, გიგანტომაქიის რელიეფის ირგვლივ განვითარდა და ხელოვნების ისტორიის მანამდე არსებული კანონების გადასინჯვა განაპირობა. მთავარი პრობლემა, ამ ფრიზის ხელოვნების ისტორიის დისციპლინის არსებულ კლასიფიკაციაში მოქცევა იყო. მისთვის დამახასიათებელი დინამიური და ემოციური მხატვრული სახისმეტყველება, ფრიზის, როგორც სკულპტურის ესთეტიურ იდენტობას ასუსტებდა და ფერწერასთან ასოცირებას იწვევდა. ამ კონტექსტში. პრობლემატური იყო სკულპტურული ჯგუფის, როგორც *'ფერწერულის'* ესთეტიკური კატეგორიის კლასიფიცირება ხელოვნების ისტორიის არსებულ კანონში. [12]

ხელოვნების ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის მეთოდოლოგიის გადასინჯვის აუცილებლობა მხოლოდ ამ ფაქტორმა არ განაპირობა. უკვე არსებული მეთოდოლოგიის რევიზიის აუცილებლობა, კიდევ უფრო ცხადი გახადა ახალმა აღმოჩენებმა აღმოსავლეთში, სადაც კოპტური და ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშები ვეღარ ექცეოდა კლასიკური ანტიკურობის შეფასებაზე ორიენტირებული ევროპაცენტრულ სტანდარტულ სქემაში.[13] არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მოდერნიზმის მზარდი პოპულარობა გერმანულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მიუნხენს, დრეზდენსა და ბერლინში, რომლის შეფასების კრიტერიუმი ჯერ კიდევ დასადგენი იყო.[14] ცხადია, დარგის ირგვლივ

[12] პერგამონის ფრიზის ფერწერული მახასიათებლების ირგვლივ წარმოებულ დებატებსა და ბაროკოს ხელოვნებასთან მისი ასოცირების ისტორიაზე იხ. A. Payne. On Sculptural Relief: Malerisch, the Autonomy of Artistic Media and the Beginnings of Baroque Studies. In: H. Hills. ed. Rethinking the Baroque. London. 2011, გვ. 39-64.

[13] განსაკუთრებული როლი ამ კონტექსტში, ითამაშა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმის მომავალი დირექტორის, ვილჰელმ ფონ ბოდეს (1845-1929) დიდმა ინტერესმა ბიზანტიური და ადრექრისტიანული ხელოვნებისადმი. ბოდეს დავალებით, მუზეუმისთვის ახალი კოლექციების შესაძენად, 1900 წელს ავსტრიელი ხელოვნებათმცოდნე იოზეფ სტრიგოვსკი (1862-1941) სპეციალურად გაემგზავრა აღმოსავლეთში, რასაც მოყვა კოლექციების შევსება, ასევე პუბლიკაციები, რომლებიც სპეციალურად ამ საკითხისადმი იყო მძღვნილი. S. Marchand. Appreciating the Art of Others. Josef Strzygowski and the Austrian origins of Non-Western Art History. In: Von Biala nach Wien: Josef Strzygowski und die Kulturwissenschaften. ed. by M. Diugosz and P. O. Scholz. Vienna. 2015, გვ. 257-285.

[14] საუბარია მოდერნისტ ხელოვანთა მხატვრულ გაერთიანებებზე: ხიდი. ლურჯი მხედრები, შტურმი. როგორც 1904 წლის ნიუ იორკ ტაიმსი იუწყებოდა, ბერლინში ხელოვნების დიდი გამოფენის გახსნისას, ერთერთმა სახელმწიფო ჩინოვნიკმა, იმპერატორ ვილჰელმ II-ს (1888-1918) სპეციალურად წარუდგინა ბერლინელი პროფესორი ჰაინრიხ ველფლინი იმ

მიმდინარე მეთოდოლოგიურმა დებატებმა, საუნივერსიტეტო პედაგოგიურ სივრცეში გადაინაცვლა. ხელოვნების ისტორიის პროფესორთა ერთი ჯგუფის (გ. დეჰიო, ე. დობერტი) შეხედულებას ამ სპეციალობის საუნივერსიტეტო სწავლების შესახებ, კარგად გამოხატავს ამონარიდი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედის ხელმძღვანელის, ჰერმან გრიმის ნაშრომიდან: *„დარწმუნებული ვარ და ჩემი კოლეგებისთვისაც არ დამიმალავს, რომ ახალი ხელოვნების ისტორია არ არის დამოუკიდებელი დისციპლინა, არამედ დამხმარე სპეციალობაა და ვისაც მისი შესწავლა სურს, ვურჩევდი თავისი სადოქტორო არა ხელოვნების, არემედ ისტორიის სპეციალობით შეასრულოს....რადგან ფილოლოგიისა და ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე, ახალი ხელოვნების ისტორიის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია...“*[15] ხელოვნების ისტორიკოსთა ამ ჯგუფის აზრით, სწორედ ასეთი საყოველთაო განათლება იყო საჭირო ახალგაზრდების აღზრდისა და მათში გერმანული იდენტობის გაცნობიერებისათვის.

1909 წლის პუბლიკაციაში *„ხელოვნების ისტორიის არასწორი სწავლების შესახებ,“* ჰაინრიხ ველფლინი, რომელიც 1901 წლიდან გრიმის შემცვლელი იყო ამავე კათედრის ხელმძღვანელის პოზიციაზე ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში, აკრიტიკებდა საუნივერსიტეტო სწავლებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებდა რაც შეიძლება მეტი ხელოვნების ობიექტები გაეცნოთ სტუდენტებისთვის სამუზეუმო სივრცეებში მათ შესახებ არსებული ისტორიული და ფილოლოგიური მონაცემების თანხლებით. ველფლინი თვლიდა, რომ ხელოვნების ობიექტების ასეთი მექანიკური დათვალიერება და მათი დამახსოვრება, ახალგაზრდების გონებრივ გადატვირთვას იწვევდა ისე, რომ ვერ უნვითრებდა მათ ხელოვნების ნაწარმოების ვიზუალური აღქმის ნამდვილ კულტურას. ველფლინის აზრით, ხელოვნების ისტორიის სწავლებისას, მთავარი უნდა ყოფილიყო სტუდენტის თვალის გაწვრთნა და არა მისი გონების ინფორმაციული გადატვირთვა. სტუდენტის თვალს, ყოველგვარი ფაქტე-

იმედით, რომ ეს უკანასკნელი მასზე ზემოქმედების მოხდენას შეძლებდა თანამედროვე ხელოვნების მხარდასაჭერად, რომელიც იმპერატორის კეთილგანწყობით არ სარგებლობდა. იმპერატორის შეკითხვაზე, ხომ არ მიეკუთვნებოდა ველფლინი ინტელექტუალთა იმ ჯგუფს, რომლებიც სოციალისტურ-რევოლუციურ იდეებს იზიარებდა, პროფესორმა უპასუხა: „ჩვენ, შვეიცარიელები, კონსერვატორული შეხედულების გახლავართ,“ რაზეც პასუხით კმაყოფილმა იმპერატორმა მიუგო: „მგონი შემიძლია დაგეყრდნოთ, იმ თანამედროვე ტენდენციების საწინააღმდეგოდ, რომელთაც ჩვენ ირგვლივ ყველგან ვხედავთ“. E. Levy. Baroque and the Political Language of Formalism (1845-1945), გვ. 98.

[15] H. Grimm. Das Universitätsstudium der Neueren Kunstgeschichte, გვ. 391-392.

ბის ცოდნის გარეშე უნდა ამოეცნო ნაწარმოების სტილი და ეპოქა მთლიანობაში ('ganze eines Stiles Gefuhl'), რადგან როგორც ველფლინი განმარტავდა, სტილი გამოხატავდა ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოების ესთეტიურ გემოვნებას მთლიანობაში და აღბეჭდილი იყო როგორც სამომხმარებლო საგნებში (მაგ, ფეხსაცმელში), ასევე არქიტექტურასა და მაღალი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. სტილის შეგრძნების განვითარებისთვის კი, ველფლინის აზრით, აუცილებელი იყო სტუდენტებისთვის აუდიტორიებში ერთდროულად ეჩვენებინათ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებები ('Verschiedenheit der Stile'), განურჩევლად მათ ავტორთა ვინაობისა.

თუკი გრიმის სკოლის მიმდევრებისთვის, მხოლოდ დიდ ხელოვანთა ნაწარმოებების გაცნობის მიხედვით იგებოდა სასწავლო პროგრამა, ველფლინი უარყოფთა ერთი რომელიმე ინდივიდუალური ხელოვანის მნიშვნელობას განსხვავებული ესთეტიური მოდელების აღქმისათვის. შესაბამისად, ველფლინისათვის მთავარი იყო სტუდენტს შეძლებოდა ნაწარმოებისგან მთლიანი ესთეტიური შთაბეჭდილების მიღება და არა განსხვავებული იკონოგრაფიული დეტალებისა თუ ხელოვანთა განსხვავებული ინდივიდუალობის გარჩევა.[16] ველფლინისა და ხელოვნების ისტორიკოსთა იმ ჯგუფისთვის, რომელთაც ფორმალისტებს უწოდებდნენ, ხელოვნების ნაწარმოების კონტექსტუალიზაციას მეორეხარისხოვანი, მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ენიჭებოდა ნაწარმოების ფორმალურ, მხატვრულ ანალიზთან მიმართებაში.

ამავე მიდგომას იზიარებდა ხელოვნებათმცოდნე აუგუსტ შმარსოვიც, რომელმაც სპეციალური ესე მიუძღვნა უმაღლეს სასწავლებლებში ხელოვნების ისტორიის შემსწავლელ სტუდენტთა აღზრდას.[17] მასვე ეკუთვნის ფორმალისტური ანალიზის სისტემაში მოყვანის პირველი მცდელობაც 1905 წელს გამოცემულ ნაშრომში: *ხელოვნებათმცოდნეობის ძირითადი პრინციპები*.[18] მოგვიანებით, 1915 წელს გამოდის ჰეინრიხ ველფლინის დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომი, თითქმის იდენტური სათაურით: *ხელოვნების ისტორიის ძირითადი პრინციპები,* რომელიც გამოსვლისთანავე იმდენად პოპულარული გახდა სტუდენტებში, რომ 1924 წლამდე 3-ჯერ იქნა გამოცემული.[19] ფაქტობრივად, სწორედ ველ-

[16] H. Wölfflin. Uber kunsthistorische Verbildung.
[17] A. Schmarsow. Die Kunstgeschichte an unseren Hochschulen.
[18] A. Schmarsow. Grundbegriffe der Kunstwissenschaft. Leipzig. 1905.
[19] H. Wölfflin. Kunstgeschichtliche Grundbegriffe: das Problem der Stilentewiklung in der neueren Kunst. München. 1915. სწორედ ამ ნაშრომში წარმოადგინა ველფლინმა ხელოვნების ნაწარმოების შეფასების ხუთი ბინარულ-ესთეტიური კატეგორია: ხაზობრივ-ფერწერული; სიბრტყით-მოცულობითი; მულტიპლიცირებული-ერთიანი; აბსოლუტური-ფარდობითი.

ფლინის ამ ნაშრომით ეყრება საფუძველი ხელოვნების თეორიას და იწყება ხელოვნების ისტორიის (Kunstgeschichte) ხელოვნებათმცოდნეობად ანუ ხელოვნების მეცნიერებად (Kunstwissenschaft) ტრანსფორმაციის პროცესი.

ფორმალისტ ხელოვნებათმცოდნეთა ესთეტიურ კატეგორიებზე დაფუძნებული სწავლების სისტემის ინსტიტუნიონალიზაციას, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამეცნიერო ჟურნალ *Zeitschrift fur Asthetik und allgemeine Kunstwissenschaft* რედაქტორმა, კრიტიკოსმა მაქს დესუარმა, რომელმაც ბერლინში 1913 წელს ჩატარებულ ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის კონგრესზე, წაიკითხა მოხსენება: „სისტემატიკა და ხელოვნებათა ისტორია." თავის გამოსვლაში დესუარი ხაზს უსვამდა სტუდენტის მიერ ესთეტიკური კატეგორიებით ნაწარმოების აღქმის და შეცნობის მნიშვნელობას ფაქტობრივ მონაცემთა შესწავლისაგან განსხვავებით.[20] იგი განსაკუთრებულად გამოკვეთდა ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც სისტემატური მეცნიერების უპირატესობას ტრადიციული ხელოვნების ისტორიისაგან განსხვავებით.

ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც ესთეტიკურ კატეგორიებზე დამყარებული სისტემური მეცნიერების უპირატესობის ვიზუალიზაციისთვის, ფორმალისტი ხელოვნებათმცოდნეები დიდი წარმატებით იყენებდნენ ახალ ტექნოლოგიებსაც. ამ მიზნით, ლექციებზე აქტიურად გამოიყენებდა სლაიდების ჩვენების პარალელური პრინციპი, როდესაც ორი პროექტორით ხდებოდა სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებთა ილუსტრირება, სხვადასხვა დეტალებზე სტუდენტთა ყურადღების გამახვილება და ფორმის ანალიზი. კონრანდ ფონ ლანგე, ასევე ფორმალსტ ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფის წარმომადგენელი, პუბლიკაციაში: *„ხელოვნებათმცოდნეობა ჩვენ უნივერსიტეტებში,"* ხაზს უსვამდა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიებში ხელოვნების ნაწარმოებთა ორგანიზებულ, მეთოდურ სწავლებას, სამუზეუმო სივრცეში ხელოვნების ობიექტთა სპონტანური განხილვისაგან განსხვავებით.[21]

უშუალოდ სპეციალობაზე ორიენტირებული პედაგოგიური მეთოდოლოგიის გარდა, ფორმალისტ ხელოვნებათცმოდნეთა შეხედულებით, სტუდენტთა ესთეტიკური აღქმის განვითარება, მათი სულიერი, სპირიტუალური განვითარების ერთერთი ინსტრუმენტიც იყო. მზარდი ინდუს-

[20] M. Dessoir. Systematik und Geschichte der Künste. Zeitschrift für Ästhetik und allgemeine Kunstwissenschaft. Neunter Band. Stuttgart. 1914, გვ. 1-15.
[21] K. Lange. Die Kunstwissenschaft an unseren Universitaten.

ტრიალიზაციის ფონზე, ახალგაზრდებისათვის მშრალი, ეთიკური ღირებულებებისაგან დაცლილი ცოდნის ('geistlos') საპირისპიროდ, მათი აზრით, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა სტუდენტებისთვის მეცნიერული განათლების და ცოდნის ერთიანი სისტემით მიწოდება. ამ მხრივ, ამ ჯგუფის ხელოვნებათმცოდნეთა მცდელობა, ახლოს იყო ლიტერატურაში ე.წ. *Bildungsroman*-ის (საგანმანათლებლო ნოველის) პრინციპებთან, როდესაც სტუდენტებს მხატვრულ ნაწარმოებთა ინდივიდუალური კითხვის პროცესში უნდა ჩამოყალიბებოდათ მაღალი ეთიკური ღირებულებანი.[22] ამ ამოცანას ემსახურებოდა ახალი კულტუროლოგიური ჟურნალის-*ლოგოსის* დაარსებაც 1910-1911 წლებში, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო სპექტრს, მათ შორის ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ისტორიას, ფსიქოლოგიას და ხელოვნების ისტორიის დისციპლინებს მოიცავდა. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოში ისეთი ცნობილი მეცნიერები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ ედმუნდ ჰუსერლი, გეორგ ზიმელი და ჰაინრიხ ველფლინი.[23]

ეთიკურ ღირებულებაზე დამყარებული ცოდნისა და არა განათლების ვიწრო სპეციალობაზე ორიენტირებულ სწავლებას ემსახურებოდა რემბრანდტის შემოქმედების პოპულარიზაციაც ამ პერიოდის გერმანიაში. ბაროკოს უდიდესი წარმომადგენლის სპირიტუალური ენერგიით დატვირთული ნაწარმოებები, რომელთაც მეტაფორულად ვიზუალურ სახარებასაც უწოდებდნენ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სახელოვნებათმცოდნეო პედაგოგიკაში. მხატვრის ფერწერული მანერისთვის დამახასიათებელი ნახევრად ბნელი ტონების (Chiaroscuro) სიღრმისეული განცდა ჩრდილოური, გერმანული სულიერების განსხეულებად იქნა მიჩნეული.[24]

ჰაინრიხ ველფინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში (1901-1911) ძალიან დიდი ცვლილება განიცადა ხელოვნების ისტორიის სპეციალობამ, როგორც აკადემიურმა დისციპლინამ. გარდა პრაქტიკული სიახლეებისა, რომელიც მან თავის კათედრაზე განახორციელა (ბიბლიოთეკის გაფართოება და სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობის შეუზღუდავი უფლებების დაწესება, დამხმარე სივრცის

[22] იხ. W. Dilthey. Das Erlebnis und die Dichtung: Lessing, Goethe, Novalis, Hölderlin. Leipzig. 1906.
[23] Logos: Internationale Zeitschrift für Philosophie der Kultur. Tübingen. 1910-1911.
[24] იხ. J. Langbehn. Rembrandt als Erzieher. Leipzig. 1890; W. Bode. Rembrandt und seine Zeitgenossen. Liepzig. 1907

მოპოვება დიათეკისა და წიგნებზე სამეცნიერო მუშაობისთვის), ველფლინმა, როგორც პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის არჩეულმა წევრმა დააყენა საკითხი, რომ ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების რანგში აეყვანათ და ისეთივე სტატუსი მიენიჭებინათ, როგორც მაგალითისთვის ქონდა ისტორიასა და ლიტერატურას. ველფლინის აზრით, ჩამოყალიბებული მეთიოდოლოგური ბაზის შექმნამ და მისმა სისტემაში მოყვანამ, შესაძლებელი გახადა დამოუკიდებელი ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების მეცნიერული ღირებულების დადასტურება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ხელოვნებათმცოდნეთა დისკუსიის საგანი გახდა საუნივერსიტეტო სწავლებასთან დაკავშირებით, იყო საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მოემზადებინათ ამ დისციპლინის სწავლებისას: განათლებული სტუდენტი თუ სამუზეუმო პროფესიონალი.[25] ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დასვა ვილჰელ ფონ ბოდემ (1845-1929), რომელიც დიდ ძალისხმევას იჩენდა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმის კოლექციების გამდიდრებისთვის, მაგრამ აღნიშნავდა, რომ მარტო კოლექციების შევსება არ იქნება საკმარისი, თუ უნივერსიტეტმა ვერ შეძლო მუზეუმის კოლექციების შესწავლისთვის საჭირო პროფესიონალების აღზრდა.

ფაქტია, რომ ასეთმა დებატებმა და ახალი მეთოდების დამნერგავ ხელოვნებათმცოდნეთა მონდომებამ, ნაყოფი გამოიღო: თუ ჰერმან გრიმის დროს ბერლინის ხელოვნების კათედრაზე 222 სტუდენტი სწავლობდა, ჰაინრიხ ველფლინის პროფესორობის პერიოდში, სტუდენტთა რიცხვმა 600 მიაღწია. გადაჭედილი აუდიტორიები და ტრენდული ლექციები კი, რომლებიც იმდროინდელ ბერლინელ ახალგაზრდებს მათი სტუდენტური ცხოვრების ერთერთ მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ, მნიშვნელოვნად ზრდიდა დარგის პოპულარობას საზოგადოებაში. გაიზარდა ხელოვნებათცმოდნეობის დისციპლინის განხრით დოქტორანტების რიცხვიც ბერლინის უნივერსიტეტში. თავის ერთერთ მოგონებაში ველფლინი წერდა: ***„როდესაც ერთხელ ცნობილი ისტორიკოსი მომზენი შემხვდა, მან ინტერესით იკითხა: რამდენი დოქტორანტი გყავთ? როდესაც მე ვუპასუხე, რომ არც ისე ცოტა, როგორც წესი სამი დოტქტორანტი წელიწადში, მან ჩაიღიმა და მიპასუხა: ჯობდა პირიქით ყოფილიყო: სამ***

[25] V. Trommer. Der Berliner Lehrstul für Kunstgeschichte von 1873 bis 1913. Eine Untersuchung der Inhalte der Wissesvermittlung und der methoden der Wissensgenerierung. 2010.

წელიწადში ერთი დოქტორანტი გყოლოდათ, რადგან ეს უფრო შეეფერება თქვენ ფაკულტეტსო."[26]

ცხადია საუნივერსიტეტო განათლების ისეთ კერაში, როგორც ამ პერიოდის გერმანია იყო, ასეთი დებატების მიმდინარეობა ხელოვნების ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლებასთან მიმართებაში, დიდ ზეგავლენას ახდენდა სხვა ქვეყნებში არა მხოლოდ ხელოვნებათცმოდნეობის, არამედ სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების შემდგომ განვითარებაზეც. ამის მკაფიო მაგალითია რუს ფორმალისტ ლიტერატორთა სკოლა პეტერბურგში, რომლის ერთერთი მთავარი წარმომადგენელი, ბორის აიხენბაუმი ასე შენიშნავდა 1919 წელს: ***„მე ვაგრძელებ ველფლინის კითხვას, მუდმივად ვხედავ ანალოგიას ლიტერატურის ისტორიის კონსტრუირებასთან. ლიტერატურის ანალიზისთვის აუცილებელია ფუნდამენტურ კონცეფციათა სისტემის ჩამოყალიბება***:[27]

ასეთი იყო ის ინტელექტუალური და ისტორიულ-პოლიტიკური ლანდშაფტი გერმანიაში და მისი იმპლიკაციები აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, რომლის დროსაც დაიწყო მოღვაწეობა ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებელმა გიორგი ჩუბინაშვილმა (1885-1973), რომლის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის გერმანულ აკადემიურ სივრცეში მიმდინარე პროცესებისადმი მისი დიდი ინტერესი. პეტერბურგში დაბადებული ჩუბინაშვილი, რომელმაც დაწყებითი განათლება კონიგსბერგის გერმანულ სკოლასა და გიმნაზიაში მიიღო, 1907 წელს გაემგზავრა გერმანიაში განათლების გასაგრძელებლად ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. როდესაც მისი სამეცნიერო მენტორი, ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი ფელიქს კრუგერი, 1912 წელს ჰალე-ვუტემბერგის უნივერსიტეტში გადავიდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გასაგრძელებლად, ჩუბინაშვილიც მას გაყვა და დაასრულა მუშაობა სადისერტაციო თემაზე ფსიქოლოგიის დარგში.[28] ამავე პერიოდში, იგი განსაკუთრებით დაინტერესდა ხელოვნების ისტორიის სპეციალობითაც და წამყვანი ხელოვნებათმცოდნეების ლექციებს ესწრებოდა ჰალე-ვუტენბერგისა და

[26] V. Trommer. Der Berliner Lehrstul für Kunstgeschichte von 1873 bis 1913; E. Levy. Baroque and the Political Language of Formalism (1845-1945), გვ. 100.

[27] B. Eikhenbaum. The Theory of Formal Method. In: Russian Formalist Criticism: Four Essays. 1966, გვ. 99-141.

[28] გიორგი ჩუბინაშვილის სადისერტაციო ნაშრომი: Beitrage zum phsychologischen Verständnis des sibirischen Zauberers. ეხებოდა ციმბირელი შამანების ფსიქოლოგიის შესწავლას. E. Neubauer. Tschubinashvili Porträt eines Kunstwissenschaftlers. Georgica. №. 8. 1985.

ლაიფციგის უნივერსიტეტებში. საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა ლაიფციგში ავგუსტ შმარსოვი, ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთერთი ფუძემდებელი. თუმცა, გასაკვირი არ არის, რომ პროფესიიდან გამომდინარე, ჩუბინაშვილის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჰაინრიხ ველფლინის ნაშრომებმა, მათ შორის წიგნმა *პროლეგომენები არქიტექტურის ფსიქოლოგიაში.*[29] იგი იმ დროს დაესწრო ველფლინის ლექციებს მიუნხენში, როდესაც შვეიცარიული წარმოშობის გერმანელი ხელოვნებათმცოდნისა და პედაგოგის პოპულარობამ პიკს მიაღწია. ამ დროს ბერლინიდან მიუნხენში გადასულ ველფლინს, უკვე დაწყებული ქონდა მუშაობა წიგნზე *ხელოვნებათმცოდნეობის ძირითადი პრინციპები*, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ხელოვნების თეორიას და ხელოვნების ისტორიის ხელოვნებათმცოდნეობად ანუ ხელოვნების მეცნიერებად ტრანსფორმაციის პროცესს. იმ დროსა და სივრცეში, რომელშიც კულტურა თანდათან უფრო მეტ ასიმილაციას ახდენდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან და განსაკუთრებით მომძლავრებულ ნაციონალისტურ განწყობილებებთან, ველფლინმა მაქსიმალურად შემოფარგლა ვიზუალური ხელოვნების მეთოდოლოგიური ანალიზის საზღვრები და თავისი მეცნიერული კონცეფციით, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სახვით ხელოვნებას საკუთარი დინამიკა აქვს და შესაბამისად, ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც სამეცნიერო დარგი თვითკმარი დისციპლინაა, რომელსაც ავტონომიურად, ფორმალური ანალიზის საფუძველზე შეუძლია შეაფასოს ხელოვნების ნაწარმოებთა მნიშვნელობა.[30] ცხადია, წიგნზე მუშაობის პროცესში, ველფლინი ამ მასალის ინტეგრაციასაც ახდენდა მიუნხენის ლექციებში. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა ჩუბინაშვილი კარგად იყო ინფორმირებული გერმანიაში ხელოვნების ისტორიის დარგში მიმდინარე დებატებსა და იმ ცვლილებებზე, რომლებიც ამ დისკუსიების შედეგად მოხდა საუნივერსიტეტო დისციპლინაში.

1914 წელს, გერმანიიდან პეტერბურგში დაბრუნებულმა გიორგი ჩუბინაშვილმა სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმო-

[29] H. Wölfflin. Prolegomena zu einer Psychologie der Atchitektur. München. 1886.

[30] 1915 წელს პირველად გამოცემული ველფლინის ეს ნაშრომი, მიუხედავად დიდი პოპულარობისა, განსაკუთრებით სტუდენტებში, არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული გამოსვლისთანავე, რადგან როგორც ბოლო გამოკვლევები აჩვენებს, ბევრისთვის ცხადი იყო მისი პოლიტიკური შეფერილობა და მეთოდოლოგიით ვუალიზირებული წინააღმდეგობა გერმანიაში ამ დროს მომძლავრებული ნაციონალისტური განწყობების მიმართ. იხ. Warnke. On Heinrich Wölfflin. Representations. 27. 1989, გვ. 172-73.

სავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა უკვე ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი (1864-1934), რომლის მიწვევითაც ჩუბინაშვილი ანისის ექსპედიციაშიც მონაწილეობდა.[31] სწორედ პეტერბურგში მიაქცია მას ყურადღება ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1907 წელს ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, პოტენციურ კანდიდატებზე დასაკვირვებლად ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისთვის მზადების პროცესში.[32]

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ცალკე ერთეულად გამოიყო, რომელსაც იმავე სემესტრში ახალი მასწავლებლები შეუერთდნენ პროფესორობისათვის მოსამზადებლად. მათ შორის იყო ახალგაზრდა გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც ხელოვნების ისტორიის სპეციალობით იქნა მიწვეული. წარდგენისას ივანე ჯავახიშვილმა ასეთი დახასიათება მისცა მას: ***„ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორი გ. ჩუბინაშვილი მომზადებული და ფრთხილი მკვლევარია და თავისი საგნის ღრმად მოყვარული. ქართული ხელოვნების ისტორია თავის განსაკუთრებულ კვლევის საგნად აქვს არჩეული და ამ დარგში მეთოდურად მუშაობს, როგორც ხელოვნების საზოგადო თეორიისა და ისტორიის მცოდნეს, მას ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის შესაფერი წინასწარი მომზადება აქცს და მისი ნაწერებიც მოწმობენ, რომ ამ ასპარეზზე მას თვალსაჩინო ნაყოფიერ-***

[31] როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1880 წელს დაწყებული ანისის არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც მარი 1892 წლიდან ხელმძღვანელობდა, რამდენჯერმე იქნა შეწყვეტილი პოლიტიკური მიზეზების გამო. თუმცა, 1916 წელს, მარმა ისარგებლა რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის მიერ ვანის ტბის ირგვლივ არსებული ტერიტორიების დაკავებით და გააახლა ექსპედიცია, რომლის დროსაც მონაწილეთა ერთი ჯგუფი მარის ხელმძღვანელობით, ვანის ტბის ტერიტორიაზე ურარტუს სიძველეების შესასწავლად გაემგზავრა, მეორე ნაწილი კი, ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, ანისში დარჩა და გააგრძელა მუშაობა წინა წლებში აღმოჩენილი მასალების ფიქსაციისა და დოკუმენტირებისთვის. ანისის ექსპედიციის პოლიტიკურ კონტექსტზე იხ. E. Pravilova. Contested Ruins: Nationalism, Emotions, and Archaeology at Armenian Ani – 1892-1918. In: Ab Imperio. 1. 2016, გვ. 69-101; L. McReynolds. Nikolai Marr: Reconstructing Ani as the Imperial Ideal. In: Ab imperio. 1. 2016, გვ. 102-124.

[32] საზღვარგარეთ განათლებამიღებულ სტუდენტთა შორის, გ. ჩუბინაშვილი შემთხვევით არ მოხვდა ი. ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტისთვის შერჩეული კანდიდატების სიაში: მისი ბაბუა, დავით ჩუბინაშვილი, ცნობილი ლექსიკოგრაფი და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, რომლის ოჯახიც სრულად იზიარებდა ქართულ ნაციონალურ იდეებს, მითუმეტეს ამ იდეების არქიტექტორ, ილია ჭავჭავაძესთან პირადი ურთიერთობისა და მეგობრობის კონტექსტში. იხ. ვ. ბერიძე. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 50 წელი. თბ. 1993, გვ. 28.

ების მოტანა შეუძლია. ამიტომ, რაკი ჩვენ ფაკულტეტს ჯერ ხელოვნების ისტორიის კათედრისათვს პროფესორი არა ყავს, სასურველია გ. ჩუბინაშვილი ამ კათედრისათვის პროფესორად არჩეულ და მოწვეულ იქმნეს.“[33]

ცხადია, გ. ჩუბინაშვილის მთავარი ამოცანა ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინის ჩამოყალიბება იყო შესაბამისი კურსებით დასავლეთ ევროპისა და ქართული ხელოვნების ისტორიაში. ამასთანავე, მის მიერ დასახული დიდი პროექტი, სასწავლო კურსებთან ერთად, მოიცავდა საკვლევი მასალის ბაზის შექმნას, რომელშიც უნდა შესულიყო ძეგლების (ქრისტიანული არქიტექტურის) ქრონოლოგიური სისტემატიზაცია, მათ შესახებ არსებული ისტორიული და ეპიგრაპიკული დოკუმენტაციის შეგროვება და კლასიფიკაცია. ჩუბინაშვილის, როგორც მკვლევრის მთავარი ამოცანა და მიზანი კი, აღმოსავლეთ-ქრისტიანული არქიტექტურის საერთო კონტექსტში, ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ადგილის დამკვიდრება და მისი თვითმყოფადი მხატვრული მახასიათებლების მეცნიერული არგუმენტაცია იყო, რისთვისაც აუცილებელი იყო კვლევის დასავლური სამეცნიერო მეთოდოლოგიის ადაპტაცია ქართულ მასალასთან. ამ ამოცანის აქტუალურობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სწორედ 1918 წელს, გერმანულ ენაზე გამოიცა ავსტრიელი მეცნიერის, იოზეფ სტრიგოვსკის ორტომიანი ნაშრომი სომხური არქიტექტურის შესახებ, რომელშიც იგი ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურას სომხური ხუროთმოძღვრების პერიფერიულ განშტოებად და ასლად წარმოადგენდა.[34]

იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილად მოძიებული და აღწერილი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები და მათ ნაკლებად იცნობდა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება, ავსტრიელ მეცნიერთან არგუმენტირებულ დისკუსიაში შესვლა, ურთულესი ამოცანა იყო. როგორც ჩანს, ჩუბინაშვილს ესმოდა, რომ სამეცნიერო პოლემიკისთვის, მას ის აპრობირებული მეთოდოლოგია უნდა გამოეყენებინა, რომელიც პოლიტიკური შეფერილობისგან დაიცავდა მის არგუმენტაციას. ამ კონტექსტში, ყველაზე შესაფერისი, ჰაინრიხ ველფლინის აპოლიტიკური, ფორმალურ ანალიზზე ფოკუსირებული მეთოდი აღმოჩნდა. მართალია, 1921 წელს საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, თუმცა,

[33] ვ. ბერიძე. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 50 წელი, გვ. 14.
[34] J. Strzygowski. Die Baukunst der Armenier und Europa. Vienna. 1918.

გერმანული კონტაქტების წყალობით, ჩუბინაშვილმა შეძლო 1922 წელს გერმანულ ენაზე გამოექვეყნებინა ვრცელი რეცენზია სტრიგოვსკის ნაშრომზე, რომელშიც დიდი სიფრთხილითა და აკადემიური ზომიერების დაცვით გააკრიტიკა ავსტრიელი მეცნიერის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ქართულ არქიტექტურაზე.[35]

წინამდებარე სტატიის ფორმატი, არ გვაძლევს საშუალებას უფრო დეტალურად განვიხილოთ ის წინააღმდეგობანი, რომლის გადალახვაც მოუხდა გიორგი ჩუბინაშვილს ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობის გზაზე სახელოვნებათმცოდნეო კვლევის გერმანული მეთოდის ტრანსფერისა და ქართულ ხელოვნებასთან მისი ადაპტირების პროცესში.[36] თუმცა, ყურადღებას შევაჩერებთ ერთერთ პუბლიკაციაზე, რომელიც მკაფიო ილუსტრაციაა იმ სირთულეებისა, რომლის დაძლევაც უხდებოდა ღვაწლმოსილ მკვლევარს.

1952 წლის 11 აპრილს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაზეთ *ლიტერატურა და ხელოვნებაში* დაიბეჭდა გიორგი ნატროშვილის ვრცელი წერილი *„ველფლინის ფორმალისტური სქემის ტყვეობაში,“* სადაც გიორგი ჩუბინაშვილი და მისი მეცნიერული მეთოდოლოგია 'საბჭოთა თვალსაზრისის' პერსპექტივიდანაა განხილული. აღნიშნული სტატია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომების მესამე ტომის ეძღვნება და აღნიშნულია: ***„აქ წარმოდგენილი ავტორები თავიანთ ნაშრომებში ქართული ხელოვნების ძეგლების ანალიზისას, იყენებენ ჰაინრიხ ველფლინის ფორმალისტურ მეთოდოლოგიას, თუმცა არ ახსენებენ ველფლინის სახელს. არ ახსენებენ იმიტომ, რომ***

[35] G. Tschubinaschwili. Die christliche Kunst im Kaukasus und ihr Verhältnis zur allgemeinen Kunstgeschichte (Eine kritische Würdigung von Josef Strzygowskis "Die Baukunst der Armenier und Europa. Monathefte für Kunstwissenschaft. 15. Liepzig. 1922, გვ. 217-236. ჩუბინაშვილის პუბლიკაცია უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, შესაძლებელი გახდა იქედან გამომდინარე, რომ საწყის ეტაპზე, როგორც გერმანია, ასევე საბჭოთა სახელმწიფო ცდილობდნენ არ გაწყვეტილიყო ქვეყნებს შორის სამეცნიერო კავშირები. J. Kirchoff. Wissenschaftsforderung und forschungspolitiche Prioritäten der Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft 1920-1932, München. 2003. სტრიგოვსკის პოლიტიკურად მოტივირებული ნაშრომის ანალიზისთვის იხ. C. Maranci. Medieval Armenian Architecture: Constructions of Race and Nation. Leuven. 2001.

[36] მიუხედავად იმისა, რომ გ. ჩუბინაშვილმა საბჭოთა პერიოდშიც შეძლო ნაყოფიერი მოღვაწეობა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან 1922 წელს თანამოაზრეებთან ერთად დაარსა თბილისის სამხატვრო აკადემია, 1930 წელს ორგანიზება გაუკეთა ქართული ქრისტიანული ხელოვნების პირველ საერთაშორისო გამოფენას გერმანიაში, 1941 წელს კი, დააფუძნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, მისი როგორც მეცნიერის მოღვაწეობა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის სამიზნე, იხ. ბ. არველაძე ბ. ერთი ეპიზოდი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიიდან, ანუ როგორ განირა აკად. გ. ჩუბინაშვილი რამდენიმე საბჭოთა მეცნიერმა. თბ. 2000.

ველფლინი-ბურქჳაზიული, ანტიმეცნიერული ფორმალიზმის დედაბოძია და მისი ხსენება უხერხულად მიაჩნიათ, მაგრამ მარტო სახელის ხსენებაში ხომ არ არის საქმე? სამაგიეროდ მათ შრომებში ჩანს ველფლინის სისტემა, ჩანს მისი ფორმალისტური პრინციპები, რომელთა მიხედვით უგულვეყოფილია მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსი და მთელი ყურადღება გადატანილია ფორმის განყენებულ, აბსტრაქტულ აღწერაზე,..... მაგრამ ამ უხერხულობას სრულებით არ გრძნობს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. ჩუბინაშვილი, რომელმაც ველფლინის ფორმალისტური მეთოდი გადმონერგა ქართულ ხელოვნების ისტორიაში. თავის ნაშრომებში (ქართული ხელოვნების ისტორია, ტ.1, 1936წ; ჯვრის ტიპის არქიტექტურული ძეგლები,1948 წ. და სხვა) ჩუბინაშვილი არა მარტო იცავს ფორმალიზმს, არამედ გვაძლევს ზუსტ მისამართსაც, იგი არაერთგზის იხსენიებს ველფლინის სახელს.“ [37]

როგორც გ. ნატროშვილი სტატიაში შენიშნავს, თავისი ნაშრომის: *ჯვრის ტიპის არქიტექტურული ძეგლების* ბოლოს, გ. ჩუბინაშვილი იმოწმებს რა ველფლინს, წერს: *„აქ, VI საუკუნის ბოლოს – სახელდობრ ჯვარის სახით – მთლიანად განხორციელებულია წმინდა კლასიკა, როგორც შექმნილ სივრცეში, ისე გარეგნულ მასათა გაფორმებაში და საფასადო მორთულობათა დამუშავებაში, ე.ი. ჩვენ აქ, ასე ვთქვათ, საქმე გვაქვს ახალ ციკლთან ხელოვნების განვითარებაში, სტილის სრულიად სხვა ხასიათთან და ამასთან ამ სტილმა მიიღო საქართველოში VI და VII საუკუნეების მიჯნაზე სრულყოფის ისეთი საფეხური, რომელიც ჰენრიხ ველფლინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის სავალდებულო გამოჩნდეს განვითარებაში.“* აქვე. გ. ნატროშვილი მიუთითებს, რომ ამავე აზრს გამოთქვამდა ჩუბინაშვილი უფრო ადრე, *ქართული ხელოვნების ისტორიაში* (1936), როდესაც ეხებოდა VI საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის დასაწყისის ქართულ ხელოვნებას და წერდა: *„ახალი ხელოვნება საქართველოში ემყარება უკვე განსაზღვრული, შეუპოვარი ბრძოლით შემუშავებულ მსოფლმხედველობას, მსოფლშეგნებას; იგი წარმოადგენს პლასტიკურად ნათელი არქიტექტონიკის და მსოფლიოს ყოველმხრით მოფიქრებული გაგების პასუხს, მის ანარეკლს და გამოსახვას. ასეთი ხანების გამოჩენა მსოფლიო ხელოვნების*

[37] გ. ნატროშვილი. ველფლინის ფორმალისტური სქემის ტყვეობაში. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1952. 11 აპრილი.

ისტორიაში, – ხელოვნების საკითხებში მოაზროვნისა და მახვილი ანალიტიკოსის ჰენრიხ ველფლინის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, – როდია თავისთავად გასაგები და სავალდებულო; პირიქით, იგი გხვდება მხოლოდ განსაზღვრულ დროს და მხოლოდ ზოგიერთ პუნქტში (გვ. 82)."[38]

ამავე სტატიაში, გ. ნატროშვილი ყურადღებას ამახვილებს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომების მესამე ტომში დაბეჭდილ გ. ჩუბინაშვილის წერილზე *„ნაციონალური ფორმის საკითხისათვის წარსულის არქიტექტურაში"*, რომელშიც ავტორს არსად მოყავს მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი ნაციონალურ ფორმაზე. უფრო მეტიც, გ. ნატროშვილისთვის გაუგებარია საერთოდ ***„რატომ უნდა ეწეროს ინსტიტუტის შრომებს რუსულ კონტრ ტიტულზე ლათინურად „არს გეორგიკა" და კითხულობს „ვისთვის და რისთვის არის საჭირო ეს?"***[39] გ. ნატროშვილი აქვე აღნიშნავს, რომ მარტო ის არ აკრიტიკებს გ. ჩუბინაშვილისა და მისი მოწაფეების ნაშრომთა ანტისაბჭოთა სულისკვეთებას და მიუთითებს 1948 წლის გაზეთ *კომუნისტის* 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მამია დუდუჩავას სტატიაზე *„თანამედროვეობიდან მოწყვეტისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებათმცოდნეობაში,"* რომლის ავტორიც ასევე კრიტიკულად აფასებს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ველფლინის ფორმალისტური კვლევის მეთოდების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, გ. ნატროშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ: **„1. ინსტიტუტის მუშაკები თავის კვლევა-ძიების დროს ეყრდნობიან არა კვლევა-ძიების მარქსიტულ-ლენინურ მეთოდს, არამედ ფორმალიზმს, რომელიც ნასესხებია ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეობის არსენალიდან. 2. ინსტიტუტის შრომების თემატიკა ძირითადად განსაზღვრულია საეკლესიო ხელოვნების თემატიკით და უგულვეყოფილია როგორც ძველი საერო ხელოვნება, ისე XIX-XX საუკუნეების ქართული ხელოვნება. 3. ინსტიტუტის შრომები არ ეხმაურებიან წარსულის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების საქმეს."** დაბოლოს, გ. ნატროშვილის აზრით: ***„დროა ინსტიტუტის ხელმძღვანელები და მუშაკები გადაჭრით გაემიჯნონ ველფლინის ფორმალისტურ თეორიას! დროა ინსტიტუტი იქცეს ისეთ მეცნიერულ***

[38] გ. ნატროშვილი. ველფლინის ფორმალისტური სქემის ტყვეობაში.
[39] იხ. გ. ნატროშვილი. ველფლინის ფორმალისტური სქემის ტყვეობაში.

დაწესებულებად, რომელიც მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით შეისწავლის ჩვენი ხალხის მდიდარ მემკვიდრეობას.“[40]

ამდენად, საბჭოთა პრესაში, ქართველი ‘ექსპერტების’ მიერ, გიორგი ჩუბინაშვილისა და მის მიერ დაფუძნებული სამეცნიერო ინსტიტუტის ნაშრომები, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოხატულებადაა შერაცხული და ამის მთავარ მიზეზად, ის ფაქტია მოყვანილი, რომ გ. ჩუბინაშვილის მიერ ქართული ხელოვნების ანალიზისას, დასავლეთ ევროპიდან გადმოტანილი კვლევის ფორმალისტური მეთოდები, განსაკუთრებით კი ჰაინრიხ ველფლინის ნაშრომებია გამოყენებული, დარგის ფუძემდებლის მიერ დასახული მთავარი ამოცანის: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნაციონალური, თვითმყოფადი ხასიათის წარმოსაჩენად.

დღეს, როდესაც გლობალიზაციის პროცესმა, არა მარტო ისტორიულ-პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების გადაფასება მოახდინა თანადროულ მსოფლიოში, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გაბატონებული, ევროპაცენტრული სამეცნიერო შეხედულებების რადიკალური გადასინჯვაც განაპირობა, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა გ.ჩუბინაშვილის დიდი ღვაწლი ეროვნული ხელოვნების ისტორიის ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის. ცხადია, ახალ დროს ახალი ამოცანები მოაქვს. შესაძლოა, ხელოვნების ნაწარმოების შეფასებისას, უკვე არსებული მეთოდოლოგიის გადასინჯვისა და მისი შემდგომი განვითარებისა და გაფართოების საჭიროების საკითხიც დადგეს. თუმცა, დღევანდელი პერსპექტივიდან, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, თუ რა სწორი ორიენტაცია იქნა არჩეული ურთულეს ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც საუნივერსიტეტო და სამეცნიერო დისციპლინის ფორმირების პროცესში. შემთხვევითი არა არის, რომ ბოლო წლების დასავლურ ხელოვნებათმცოდნეობაში, არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული კოლონიალური, ევროპული თვალსაწიერიდან დანახული მსოფლიო ხელოვნების განვითარების არაობიექტური და ნაკლოვანი სურათი, რომელშიც ე.წ. ‘უცხო’, ნაკლებად შესწავლი კულტურები (მათ შორის ქრისტიანული კავკასიის) მარგინალიზირებულია და ევროპაცენტრული პერსპექტივიდან, როგორც კულტურულ ცენტრებზე დამოკიდებული და მისი ზეგავლენის ქვეშ მყოფი პერიფერიებია დანახული. ის ფაქტი, რომ ეს პრობლემა რევიზიას მოითხოვს, კარგად ჩანს დასავლელ ხელოვნებათმცოდნეთა ახალი თაობის ნაშრომებში: ***„ეჭვს არ***

[40] გ. ნატროშვილი. ველფლინის ფორმალისტური სქემის ტყვეობაში.

იწვევს ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის მარგინალიზაცია შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიაში, არა მხოლოდ ტრადიციული ევროპაცენტრიზმიდან მომდინარეობს, რომელიც ბერძნულ-რომაულ კულტურულ მემკვიდრეობაზეა ფოკუსირებული და არც მხოლოდ რეგიონთან დაკავშირებული გეოგრაფიული, ლინგვისტური თუ პოლიტიკური ხასიათის აშკარა 'ბარიერებიდან' გამომდინარეობს, არამედ იმ გარემოებიდანაც, რომ ისტორიულად თუ ვიმსჯელებთ, რეგიონი 'არ ჯდება' უკვე დამკვიდრებულ დისკურსში და მისი ხელოვნება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ჩვენთვის უკვე ნაცნობ და ახლობელ ხელოვნებათცმოდნეურ კანონებს. ... შეიძლება ვიკითხოთ, ნიშნავს თუ არა მისი (სამხრეთ კავკასიის, ნ.ს.) დღევანდელი, როგორც მარგინალური და ეგზოტიკური კულტურის სტატუსი იმას, რომ ის არ უნდა განიხილებოდეს ან არ იმსახურებს ადგილის დამკვიდრებას ტრადიციულ ხელოვნებათმცოდნეურ ნარატივში? ამ საკითხის გადაჭრის ერთერთი გზად, შუა საუკუნეების სომხური და ქართული ხელოვნების შესახებ არსებული სპეციალური გამოკვლევების ფართო გეოგრაფიულ, მეთოდოლოგიურ და ისტორიოგრაფიულ კონტექსტში განხილვა გვესახება."[41]

[41] E. Thuno. „Cross-Cultural Dressing, the Medieval South Caucasus and Art History. In: The medieval South Caucasus: artistic cultures of Albania, Armenia and Georgia. Convivium. vol. 3. iss. Supplementum. eds. Ivan Foletti and Erik Thuno with the collaboration of Andrien Palladino, 2016:147-154 (ამ და სხვა შემთხვევებშიც უცხოენოვანი ამონარიდების თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს) ქრისტიანული კავკასიის როლის გადააზრების საჭიროების შესახებ მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, ბოლო დროის პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა: Ch. Maranci. Vigilant Powers. Three Churches in Early Medieval Armenia. Studies in the Visual Cultures of the Middle Ages. 8 (Turnhout: Brepols). 2015; მისივე. Building Churches in Armenia: Art at the Borders of Empire and the Edge of the Canon. Art Bulletin. LXXXVIII/4. 2006, გვ. 656-675; E. Neubauer. Georgian Medieval Architecture and Sculpture and the Central European Romanesque Period. In: Proceedings of V. Beridze 1st International Symposium of Georgian Culture. Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Tbilisi. 2009: 204-210; არტისტული ცენტრების და პერიფერიების დეფინიციის პრობლემაზე ხელოვნების ისტორიაში იხ. Thomas DaCosta Kaufmann. Toward a Geography of Art. Chicago and London. 2004.



ილუსტრაცია. №1

პერგამონის საკურთხევლის ფრიზი, დეტალი, ძვ. წ. II საუკუნე
(წყარო: wikiwand.com)



ილუსტრაცია. №2

არნოლდ ბოკლინი, ღამე, 1895 (წყარო: www. wikiart org.)



ილუსტრაცია. №3

ჯულიო რომანო, გიგნტთა დაცემა, ჩრდიოლოეთ კედლის ფრესკის დეტალი მანტუის სასახლის გიგანტების დარბაზიდან (*Sala dei Giganti*, 1532-1534) (წყარო: https//:en. Wikipedia. org.)



ილუსტრაცია. №4.
ანდრეას შლუტერი, მომაკვდავი მეომრის თავი, 1697



ილუსტრაცია. №5.
ლორენცო ბერნინი, წმ. ტერეზას ექსტაზი, დეტალი, 1652
(წყარო: https//:en. Wikipedia. org)

Nino Simonishvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

BETWEEN KUNSTGESCHICHTE AND KUNSTWISSENSCHAFT: EDUCATIONAL DEBATES DURING THE LATE NINETEENTH AND THE EARLY TWENTIETH CENTURIES GERMANY AND ITS IMPACT ON THE FORMATION OF NATIONAL ART HISTORY IN GEORGIA (1918-1921)

Summary

The paper deals with the politics of art historical research and addresses the problem of conflict between academic research, nationalist policies and the changing political situation in Europe and Georgia in the last decade of the 19th and the first decade of the 20th century, which helps to gain an insight on its importance for the creation of national art history in Georgia during the short lived First Democratic Republic (1918-1921).

The first part of the essay discusses the contrasting pedagogical views of art historians in the context of German academic and intellectual history and shows how the different approaches in art history was itself prompted by two issues: how to teach the students in the lecture halls and how to deal with the growing research materials emerging from both: Western and non-Western areas during the late nineteenth and early twentieth century. The later caused a problem for a discipline fixated esthetically on the classical Greek civilization. The education debates signaled the need to adopt new methodological principles a 'scientific' approach which provided a legitimization for the former humanistic art history (*Kunstgeschichte*) to become the more objective *Kunstwissenschaft.* In the context of contemporary politics in Germany the paper discusses how the academics in the humanities wanted to develop pedagogical instruments that would counteract a prevailing trend towards unspiritual (*geistlos*) scholarship divorced from education (*Bildung*).

The second part of the essay discusses how the rise of academic art history overlaps with the emergence of national movements, especially stressing

the political aspirations of previously oppressed ethnic communities. Concerned with questions of heritage and identity, along with the writing of art history and the canon formation of the discipline this part of the paper shows how the national art history can be seen not only as a scholarly practice and discipline, but also an institution in almost political sense inevitably serving the demands of the present. It intends to offer insights into a formation of Georgian art history with special emphasis on its German connection and analyzes its foundation as a university discipline during the creation of the First Democratic Republic of Georgia (1918-1921) in an international context.

The research shows the intellectual parallels and connections between the founder of Georgian art history, G. Chubinashvili (1885-1973) and the scholarship of some key figures in Germany of this period – especially of the Swiss-German art historian H. Wöllflin (1864-1945). The main focus of the paper is to outline the complex process of an adaptation of a transported academic discipline and its methods which was intended to lead to better understanding of the national past, the discovery and formation of a national artistic canon, and affirmation of the identity of the Georgian nation as well as an international understanding of Georgian culture and Georgian political interests. This was particularly important at the time of political crisis between the foundation of the first Democratic Republic of Georgia and its dramatic change in 1921 to the Soviet republic of Georgia. The paper illustrates which scientific and political factors played a key role to determine the adoption of specific art historical texts, methods and approaches in a time when art historical scholarship made a significant contribution to the formation of ideas of national identity.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ქეთევან ციმინტია
ანთროპოლოგიის დოქტორი
დამოუკიდებელი მკვლევარი

ურბანიზაცია-დეურბანიზაცია-რეურბანიზაციის პროცესი ჯვარის დასახლების მაგალითზე

ჯვარი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. მოსახლეობის რაოდენობით, ქალაქი წალენჯიხის შემდეგ, მეორე ადგილზეა. ოფიციალური მონაცემებით, აქ ცხოვრობს 2631 კომლი და 9670 სული. ჯვარის ურბანიზაცია საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად მოხდა. სხვადასხვა პოლიტიკურმა, სოციალურმა თუ ეკონომიკურმა ფაქტორმა, რომელიც ურბანიზაციასთანაა დაკავშირებული, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯვარზე, სოციუმის ყოფაზე, კულტურასა და ცხოვრების წესზე.

ურბანიზაცია არის უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული, სოციალური ფენომენი მსოფლიოში, იმდენად, რამდენადაც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში. ურბანიზაცია, როგორც შეუქცევადი ისტორიული პროცესი, დღესაც აქტუალურია და მკვლევართა ინტერესს იწვევს. თეორეტიკოსები ურბანიზაციას განსაზღვრავენ, როგორც მიგრაციის შედეგს და მოსახლეობის ბუნებრივად ზრდის ურთიერთქმედებას. ის ასევე არის რეკლასიფიკაციის შედეგი (ურბანული სტატუსის მინიჭების მექანიზმი ყოფილი სოფლებისთვის და ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებისთვის). რურალური ცხოვრების სტილიდან ურბანულ სტილზე გადასვლას განაპირობებს ეკონომიკური მოდერნიზება, ინდუსტრიალიზაცია და მოსახლეობის დემოგრაფიული მატება.[1]

ერთ-ერთი განმარტებით, ურბანიზაცია გულისხმობს მოსახლეობის მზარდ პროპორციას იმ ადგილებში, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ურბანული. ურბანიზაციის პროცესი რურალური დასახლებიდან

[1] P. Peykovska. Migration and urbanization in Industrializing Bulgaria 1910 – 1946. Source: The Hungarian Historical Review. Vol. 8. No 1. Spatial and Urban Patterns. 2019, გვ. 179-207.

ურბანულისკენ მოსახლეობის მიგრაციის შედეგია. მსგავსი სახის მიგრაციები ამცირებს რურალურ მოსახლეობას და ზრდის ურბანულს. ამ სახის მიგრაცია ურბანიზაციის მთავარი მიზეზია. აქედან გამომდინარე, ურბანულ სექტორში, რურალურ სექტორთან შედარებით, წარმოიშობა მზარდი მოსახლეობა, და სწორედ, ეს არის ურბანიზაცია.[2]

ჯვარის ურბანიზაციის პროცესს სხვადასხვა ფაქტორი უწყობდა ხელს, მაგრამ უმთავრესი ენგურჰესის მშენებლობა იყო, რომელმაც დააჩქარა ამ ტერიტორიის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლას სხვადასხვა ადგილებიდან, მათ შორის საქართველოს საზღვრებს გარედან ჯვარში საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩამოსული მოსახლეობის გადინება მოჰყვა. შეიძლება ითქვას, რომ ჯვარმა ჯერ ურბანიზაცია განიცადა, შემდეგ კი – დეურბანიზაცია, თუმცა, დეურბანიზაციის პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე მოხდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასახლება ჯვარში. ჯვარის მოსახლეობა დღესაც განიცდის ინდივიდუალურ მიგრაციას, ძირითადად – უცხოეთში.

ჯვარის ურბანიზაციის პროცესის და დღევანდელი ვითარების შესწავლა გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ ქალაქი მდებარეობს მთიანი სამეგრელოს ნაწილში – წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ასევე, ჯვარმა განიცადა ურბანიზაციის და დეურბანიზაციის აშკარა პროცესი, რაც არ შეხებია მუნიციპალიტეტის ცენტრს – წალენჯიხას. ქალაქ წალენჯიხის მოსახლეობის უმრავლესობა იყო ამავე ტერიტორიის მკვიდრი. მდებარეობის გამო ამ დასახლებას მიენიჭა რაიონული, მუნიციპალური ცენტრის სტატუსი. ჯვარშიც ცხოვრობდნენ ადგილობრივები, მაგრამ აქ მოსახლეობის უფრო მრავალრიცხოვანი რაოდენობა ჩავიდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან. შესაბამისად, ქალაქ ჯვარის სპეციფიურმა ხასიათმა - ურბანიზაცია-დეურბანიზაცია-რეურბანიზაციის პროცესმა კონკრეტულ ტერიტორიაზე განაპირობა ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება ამ დასახლებისადმი.

კვლევისთვის გამოვიყენეთ საქართველოს ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ არქივებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძო

[2] T. Dyson. The Role of Demographic Transition in the Process of Urbanization. Source: Population and Development Review. Vol. 37. Demographic Transition and Its Consequences. 2011, გვ. 34-54.

პირებთან დაცული ოფიციალური დოკუმენტები, ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული ინფორმაცია. საკითხი გამოკვლეულია დოკუმენტების ანალიზის, ლიტერატურის დამუშავებისა და ინტერვიუირების მეთოდის გამოყენებით, ინდუქციის მეთოდის გათვალისწინებით.

ჯვართან დაკავშირებულ კვლევაში განხილულია საქართველოში ქალაქების წარმოქმნის ზოგადი პროცესი, საბჭოთა დრომდე, საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდში ჯვარის გარდაქმნის პროცესები სოფლიდან – ჯერ დაბად, შემდეგ – ქალაქად. ასევე, მისი მნიშვნელობა ქვეყნისთვის.

საქართველოში ქალაქების არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება. არქეოლოგი ანდრია აფაქიძე აღნიშნავდა, რომ *„ქალაქი და ქალაქური ცხოვრება საკაცობრიო ცივილიზაციის უმაღლესი მახასიათებელია. ქალაქწარმოქმნის ძლიერ პროცესებს უნდა უკავშირდებოდეს სახელმწიფოებრობის ჩასახვა-ფუძედება საქართველოში“.*[3] ანტიკური ხანის ისტორიის მკვლევარი მ. ინაძე აღნიშნავს, რომ, *„ჩრდილოეთ კოლხეთის მიწა წყალზე (კავკასიონის მთიანეთსა და რიონისპირეთს შორის) ძვ. წ. VIII-VII სს-დან ნათლად იკვეთება ყველა პირობა საქალაქო ცივილიზაციის განვითარებისათვის. აღნიშნულ პერიოდში ქალაქები ვითარდებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც თავმოყრილი იყო მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოება“.*[4]

შუა საუკუნებში ქალაქის შექმნას დიდწილად ხელოსნობის სხვადასხვა დარგის და ვაჭრობის განვითარება განაპირობებდა. ევროპაში ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ქალაქების განვითარება სამრეწველო საწარმოების და სავაჭრო ადგილების ირგვლივ ხდებოდა. მკვლევარ ვ. ჯაოშვილის მოსაზრებით, *“კაპიტალიზმის დროს მოხდა რადიკალური ცვლილებები ქალაქების განვითარებაში. წარმოების ახალმა ურთიერთობებმა შექმნა ხელსაყრელი პირობები ქალაქების დაწინაურებისთვის. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყო ინდუსტრიული წარმოების დაჩქარებულ განვითარებას. გაჩნდა ქალაქები; ქარხნების მშენებლობამ*

[3] ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. კრ. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ. 1999, გვ. 3-4.

[4] მ. ინაძე. ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების გენეზისის საკითხისთვის. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ. 1999, გვ. 9.

განაპირობა სხვადასხვა ადგილიდან მოსახლეობის თავმოყრა იმ ტერიტორიაზე, სადაც ესა თუ ის ქარხანა ფუნქციონირებდა, რასაც მოჰყვა დემოგრაფიული ზრდა და ქალაქის ტიპის დასახლების წარმოშობა". [5]

საბჭოთა დროს ბევრი ქალაქი გაჩნდა საქართველოში, რაც სხვადასხვა სახის სამეწარმეო-სამრეწველო საქმიანობამ განაპირობა. საქართველოში ურბანიზაციის პროცესი აქტიურად მიმდინარებდა და ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნებისგან განსხვავებით, სოციალისტურ ქვეყნებში ურბანიზაცია მიიჩნეოდა, როგორც დაგეგმილი პროცესი. დაგეგმილი იყო არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ – დასახლებაც. ეს ყოველივე ამ ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის მთავარ კონცეფციას შეესაბამებოდა.[6] ურბანიზაცია, როგორც ადამიანების ერთი დასახლებული პუნქტისკენ სწრაფვისა და აქ დასახლების პროცესი[7] განვითარდა ზემო სამეგრელოს მთის სოფელ ჯვარშიც. ისევე როგორც ბევრ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, საბჭოთა კავშირში, 1926-1975 წლებში, დაახლოებით 50 წელიწადში, 42%-ით გაიზარდა ურბანული პოპულაცია.[8] ამ პერიოდს ემთხვევა ჯვარის ტერიტორიაზე მოსახლეობის ზრდაც.

დასავლეთ საქართველოში სოფლის ტიპის დასახლებების ქალაქებად გარდაქმნა ძირითადად, მრეწველობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ვ. ჯაოშვილის აღნიშვნით, *„ადრე, ვიდრე ჭიათურაში მრეწველობა ჩაისახებოდა, აქ მხოლოდ პატარა სოფელი იყო. ჭიათურის მცირერიცხოვანი მოსახლეობა მაშინ, უმთავრესად, მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდა".*[9] ასე იყო ქალაქ ზესტაფონის შემთხვევაშიც. ზესტაფონის ჯერ დაბად და შემდეგ ქალაქად ქცევას ხელი შეუწყო აქ საწარმოების არსებობამ. ზესტაფონთან დაკავშირებით მკვლევარი ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, რომ *„ზესტაფონში იყო ანანოვის ღვინის ქარხანა; 1908 წელს ზესტაფონთან ახლოს აშენდა პატარა ქარხანა, რომელიც სოიოსაგან და რკოსგან ყავას ამზადებდა. პროდუქცია დიდი რაოდენობით*

[5] В. Джаошвили. Урбанизация Грузии: генезис, процессы, проблемы. Тб. 1978, გვ. 12.
[6] J. Musil. Urbanization in Socialist Countries. Source: International Journal of Sociology. Summer-Fall. 1980. Vol. 10, No 2/3. Urbanization in Socialist Country (Summer-Fall, 1980), გვ. I, iii-xi, 1, 3-177, 179-185.
[7] Britannica, Urbanization, last updated 3 des. 2022 https://www.britannica.com/topic/urbanization
[8] J. Musil. Urbanization in Socialist Countries. Source: International Journal of Sociology. Summer-Fall. 1980. Vol. 10. No 2/3. Urbanization in Socialist Country (Summer-Fall, 1980), გვ. I, iii-xi, 1, 3-177, 179-185.
[9] ვ. ჯაოშვილი. ჭიათურა. თბ. 1959, გვ. 35.

იყიდებოდა როგორც შორაპნის მაზრის, ისე რუსეთის ბაზარზე. მიუხედავად ამისა, ზესტაფონში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი კვლავ მევენახეობა რჩებოდა; მისი ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავლებში დიდად ჭარბობდა მრეწველობისას. საბჭოთა პერიოდში შედგა ხუთწლიანი გეგმები და პირველ ხუთწლედში საფუძველი ჩაეყარა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას",[10] რაც აქ ქალაქწარმოქმნის განმაპირობებელი იყო. საბჭოთა პერიოდის ურბანიზაციასთან დაკავშირებით მკვლევარი ბ. კომახიძე შენიშნავს, რომ: *„საბჭოთა მოდერნულ ეპოქაში" ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობის პარალელურად აქ გაჩნდა მუშათა ახალი საცხოვრებლები, შეიქმნა ახალი ქარხნები. ქარხნებმა წარმოქმნა დასახლებები, რომლებიც ივსებოდა ძირითადად სოფლიდან მიგრირებული მუშების ხარჯზე და შესაბამისად, ქალაქის შემოგარენის „რურალურიდან" ურბანულისკენ განვითარების პერსპექტივებს 1980-იან წლებამდე უსახავდა".*[11]

საქართველოში სამთამადნო მრეწველობის უძველესი ადგილებია ჭიათურა (მანგანუმის წარმოება) და ტყიბული (ქვანახშირის წარმოება). გ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ამ ორი სამრეწველო ობიექტის მუშათა კადრის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი თითქმის ერთნაირად მიმდინარეობდა. ორივე საწარმოში დაკავებული მუშათა დიდი ნაწილი ძირითადად სოფლური ხასიათის ცხოვრებას ეწეოდა. შემდგომში, როდესაც ტყიბული და ჭიათურა ქალაქებად გადაიზარდნენ, უშუალოდ ქალაქში მცხოვრები მუშებისათვის სოფლის მეურნეობამ დაკარგა დამხმარე მნიშვნელობა".[12]

ჯვარის ურბანული განვითარებაც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ განაპირობა, რასაც აქ ქალაქის ტიპის დასახლების გაჩენა მოჰყვა. შედეგად, მოსახლეობის საქმიანობაში სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა შემცირდა და საქმიანობის მთავარი დარგი მშენებლობა გახდა, ამას მოჰყვა ეკონომიკური და პროფესიული სიახლეები.

დასახლების არსებობა ჯვარის ტერიტორიაზე ქვის ხანის პერიოდიდან დასტურდება. არქეოლოგებმა საინტერესო ნივთები აღმოაჩინეს დაბა ჯვარის მიდამოებში, კონკრეტულად, *„ენგურჰესის კაშხალის ზემოთ, მდინარე ეცის ხეობაში მიგნებულია ქვის ხანის სადგომები, ნასახ-*

[10] ვ. ჯაოშვილი. ზესტაფონი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი). თბ. 1991, გვ. 30.
[11] ბ. კომახიძე. პოსტსაბჭოთა ქალაქის ტრანზიციის თავისებურებები (ზესტაფონის მაგალითზე). სამაგისტრო ნაშრომი. თბ. 2019, გვ. 30.
[12] გ. ჯავახიშვილი. ტყიბულის მუშათა ყოფა და კულტურა. თბ. 1971, გვ. 49.

ლარები, რკინის წარმოების ნაშთები და სხვა".[13] ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც აქ საქმიანობდა ენგურჰესის მშენებლობის დაწყებიდან, გათხარა ჯვარის მიდამოებში არსებული მაქსანიას გამოქვაბული. აღმოჩენილი მასალის მიხედვით, აქ, როგორც ჩანს, ელინისტურ ხანაში ფუნდუკი იყო.[14] ირკვევა, რომ ჯვარი ოდითგანვე უკავშირდებოდა სხვა რეგიონებს.

ადრეულ პერიოდში ჯვარი იყო სოფელი, სამაზრო ცენტრი, დაბა. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ის საისტორიო საბუთებსა და სხვა წყაროებში ხშირად იხსენიებოდა. ამ დასახლებულ პუნქტზე წერდნენ მოგზაურებიც.

ჯვარის დაარსების ყველაზე გავრცელებული ლეგენდა ქრისტეს მოციქულს, ანდრია პირველწოდებულს უკავშირდება.[15]

1888 წელს გაზეთ „მწყემსში" გამოქვეყნებული სტატიიდან ირკვევა, რომ „1875 წელს ამ სოფლის მკვიდრნი მთავრობის განკარგულებით გაიყო ორ საზოგადოებად და მდინარე ენგურის გაღმა მხარეს ეწოდა გაღმა-ჯვარი, ანუ ჭალის საზოგადოება".[16]

ჯვარში სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდნენ. აქ, როგორც მთის სოფელში, განვითარებული იყო მეცხოველეობა, შინამრეწველობა, მოჰყავდათ სიმინდი. ჟურნალ „კვალში" გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ჯვარში „ცხოვრობენ ძველებურად; ხვნა-თესვის გარდა, ისინი მისდევენ შინაური საქონლის მოშენებას და ზოგან მეფუტკრეობასაც, რასაც ადგილ-მდებარეობა ძლიერ ხელს უწყობს".[17]

ჯვარის შემადგენლობაში შედიოდა ხუდონის თემი, რომლის ტერიტორიაც ენგურჰესის მშენებლობის დროს დაიტბორა და დღეს ამ ადგილის უდიდესი ნაწილი მოქცეულია წყალქვეშ. ი. ქარდავას აღნიშვნით, „ხუდონი ძველი ჯვარის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ცალკე სოფლად ჩამოყალიბდა 1932 წელს მდინარეების მაგანასა და ენგურის ხეობა-

[13] ა. მიქავა. არქეოლოგიური ძეგლები. ლიტერატურული საქართველო. №49. პარასკევი, 3 დეკემბერი, 1965, გვ. 4.
[14] თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1967, გვ. 208.
[15] ჯვარელი. ზუგდიდის მაზრიდან. გაზ. „მწყემსი" №18. 30 სექტემბერი, 1888.
[16] ჯვარელი. ზუგდიდის მაზრიდან. გაზ. „მწყემსი" №18. 30 სექტემბერი, 1888.
[17] ა. ჭანტურია. სოფ. ჯვარი. გაზ. კვალი. №43. 13 ოქტომბერი, კვირა, 1896.

ზე დასახლებული პატარა სოფლების გაერთიანებით".[18] ხუდონის თემი თორმეტ სოფელს მოიცავდა აქ მცხოვრები, დაახლოებით სამასზე მეტი კომლით. ჯვარის შემადგენელი ნაწილი იყო დღევანდელი სოფელი ჩქვალერი.

ჯვარის დასახლება ისტორიულად მნიშვნელოვანი გზების გასაყარზე მდებარეობდა. ის აკავშირებდა საქართველოს სამ რეგიონს: სამეგრელოს, აფხაზეთს და სვანეთს. ჯვარის სტრატეგიულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1639 წლის 29 მაისს რუსეთის მეფე მიხეილმა „სადადიანოს ქვეყანაში მეფე ლევანთან" სამეფო სიგელით გაგზავნა მღვდელი პავლე ზახარიევი და თარჯიმანი ფედოტ ელჩინი. ელჩები ჩრდილო კავკასიიდან სვანეთის გავლით ჩასულან სოფელ ჯვარში, იქედან კი – სამეგრელოს სხვა დასახლებულ პუნქტებში.[19]

ჯვარის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, მნიშვნელობაზე მიუთითებს მეცხრამეტე საუკუნეში ჯვარის მაზრის არსებობა. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1846-1853 წწ.) ოდიშ-ლეჩხუმი დაყო რვა მაზრად. ერთ-ერთი იყო ჯვარის მაზრა, რომელშიც შედიოდა შემდეგი სოფლები: ჯვარი, ხუდონი, ლია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ზუმი, ჯუმითი, ლეწურწუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლოუ, თამაკონი, ჟინოთა, ლეცავე, წაჩხურუ, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოღა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯაგოუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსამე, დოშაკი, კიწია, მოიდანახე, ნოღა.[20] ზემოთაღნიშნული სოფლები ამჟამად წალენჯიხის, მარტვილის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შედის.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზა ზემო სვანეთისთვის საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ხელსაყრელი დამაკავშირებელი გზაა. ამის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილიც მიუთითებდა. მკვლევარი 1910 წელს ლეჩხუმში არქეოლოგიური ექსპედიციის ჩანაწერებში აღნიშნავდა, რომ *„სვანეთში ორი გზა მიდის: ერთი ლეჩხუმიდან, ქალაქ ცაგერიდან, ჯერ ქვემო სვა-*

[18] ი. ქარდავა. მოთხრობები, ლექსები და ნაშრომებზე მკითხველთა გამოხმაურება. თბ. 2011, გვ. 15

[19] ჯ. გამახარია. გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინის და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები. საქმე მღვდელ პავლე ზახარიევის საჩივარზე თარჯიმან ფედოტ ელჩინის წინააღმდეგ (საქმე № 5). გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ. 2014, გვ. 271.

[20] ი. მეუნარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. თბ. 1939, გვ. 112.

ნეთში, ცხენის წყლის ანუ სადადიანოს სვანეთში, შემდეგ ლათფარის ზეკარით ანუ ულელტეხილით ზემო სვანეთში ანუ ენგურის სვანეთში. ამ გზით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ზაფხულში; სხვა დროს გზა შეკრულია დიდი თოვლის გამო. მეორე გზა მიდის სამეგრელოდან, ***სოფელი ჯვარიდან*** *მდინარე ენგურის ნაპირით, სადადეშკელიანო სვანეთში, და შემდეგ თავისუფალ სვანეთში. ეს გზა საუკეთესოდ ითვლება და დიდის გაჭირვებით მისვლა-მოსვლა აქედან ზამთარშიაც წარმოებს".*[21] მეცნიერი ჯვარი-სვანეთის დამაკავშირებელი საფოსტო გზის არსებობაზეც მიუთითებს. 1913 წლის გაზეთ „თემში" გამოქვეყნებული ინფორმაციაც ამას ადასტურებს: „სვანეთის ფოსტა ცაგერიდან გადმოაქვთ, რადგანაც ახალი გზის გაკეთება უკვე სრულდება".[22] ამდენად, ჯვარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაწინაურებას ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სწორედ მისი მდებარეობა განსაზღვრავდა.

ჯვარში არსებული ბუნებრივი სასარგებლო წიაღისეულისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების გამო შენდებოდა სხვადასხვა სახის საწარმოები. 1907 წელს გაზეთი „ისარი" ახალ ამბებში იუწყებოდა, რომ *„ზუგდიდის მაზრაში, სოფელ ჯვარში აღმოაჩინეს საუცხოო მადანი ცემენტისა, რომელიც ინჟინრების სიტყვით, თვისებით გაცილებით ჯობნის ნოვოროსიისკის ცემენტს. გარდა ამისა, ჯვარი რკინის გზიდან ახლოს, 15 ვერსის მანძილზეა. ის მამული, კი სადაც მადანია აღმოჩენილი, ეკუთვნის ალექსანდრე შამუგიას".*[23] საბჭოთა პერიოდში ენგურჰესის მშენებლობის ინერტული მასალებით მომარაგება ჯვარის და რუხის კარიერებიდანაც ხორციელდებოდა.[24]

ჯვარის ხელსაყრელ მდებარეობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ, როდესაც საქართველოში ქაღალდის ქარხნის ასაგებ ტერიტორიად ზუგდიდის მაზრის სოფლებიდან უნდა შერჩეულიყო ჯვარი ან შამგონა, უპირატესობას ჯვარს ანიჭებდნენ.[25] ენგურის ხეობაში ქაღალდის ქარხნის აშენების დასასაბუთებლად გაზეთი „კომუნისტი" აღნიშნავდა, რომ სატყეო მასალის იოლად მოზიდვისა და სატრანსპორტო კავშირის იოლად დამყარების მიზეზით, ჯვარში ხელსაყრელი პირობები იყო ქარხნის ასაგ-

[21] ე. თაყაიშვილი. თხზულებანი. ტომი 3. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელი. თბ. 2017, გვ. 18.
[22] ი. ხუბუტია. ს. ჯვარი (ზუგდიდის მაზრა). გაზ. თემი. №132. 15 ივლისი, ორშაბათი, 1913.
[23] ახალი ამბები, ცემენტის მადანი. გაზ. „ისარი" №220, 9 ოქტომბერი, სამშაბათი 1907.
[24] ო. აკიშბაია, ნ. სართანია. ენგურჰესი. თბ. 2006, გვ. 181.
[25] ქაღალდის ქარხანა, მუშაობა დაიწყო. გაზ. კომუნისტი. №85. 16 აპრილი, შაბათი, 1927.

ებად.[26] ამიტომ, საექსპერტო კომისიამ ქარხნის ასაშენებელ ადგილად მოიწონა სოფელი ჯვარი და არა სოფელი შამგონა. საექსპერტო კომისიის დასკვნით: *„სოფელ ჯვარში, რომელიც მდებარეობს სვანეთის საზღვართან, ქარხნის აგება შლის ახალ პერსპექტივებს ამ კუთხის ასაღორძინებლად. ამ რაიონიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონი, აქვე მოიპოვება გოგირდის ალმადანის მადნები და ამ ადგილას შესაძლებელი გახდება მდინარე ენგურზე ჰიდრო-ელსადგურის აგება. ამ რაიონში ქალალდის ქარხნის აგებით გაწეული ხარჯები ანაზღაურდება 1-2 წლის განმავლობაში“.*[27] ეს ყოველივე ჯვარის უდიდეს პერსპექტივაზე მიუთითებდა, რამაც რკინიგზის გაყვანის აუცილებლობამდე მიიყვანა სახელმწიფო. მიუხედავად ზემოთაღნიშნული ცნობებისა, ჯვარი ამ პერიოდისთვის ურბანულ სივრცედ არ ქცეულა.

სოფელ ჯვარს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო თვალსაზრისითაც. 1965 წლის გაზეთში „კომუნისტის დროშით“ გამოქვეყნებულია სტატია, საიდანაც ვგებულობთ, რომ „ომის წლებში ჯვარის ხიდი, როგორც სამხედრო ხიდი, საჭურველით და სურსათით ამარაგებდა კავკასიის ფრონტს. ომის პირველი დღეებიდან უკანასკნელ ხანამდე ხიდზე იდგა შაშხანა მომარჯვებული ჯარისკაცი. ომის წლებში სოფელში დაბანაკებული სამხედრო ნაწილები იცავდნენ მას დივერსანტებისგან“.[28] 1993 წელს აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნისას, ლტოლვილებმა ჯვარის გავლით შეძლეს დანარჩენ საქართველოს რეგიონებში ჩასვლა. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომის დროს ჯვარის გზის გავლით რუსი სამხედროები გადაადგილდებოდნენ სვანეთის მიმართულებით. ჯვარიდან ჭუბერამდე რუსეთის ჯარი იდგა. ამის შესახებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაც“ იუწყება.[29]

ჯვარში ენგურჰესის მშენებლობა დაიწყო 1961 წლის 9 მარტს. ენგურზე მომუშავეთათვის აშენდა 70900 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. შეიქმნა დასახლებები. ყველა დასახლებას ჰქონდა საბავშვო ბაგა, ბაღი, სასადილო, კლუბი, მაღაზია და სხვა საზოგადოებრივი

[26] ქაღალდის ქარხანა, საექსპერტო კომისიის დასკვნა. გაზ. კომუნისტი. №108. 15 მაისი, კვირა, 1927.
[27] ქაღალდის ქარხანა სოფ. ჯვარში. გაზ. კომუნისტი. №117. 26 მაისი, ხუთშაბათი, 1927.
[28] გ. მანია. ჯვარის ხიდი. გაზ. კომუნიზმის დროშით. №2. სამშაბათი, 17 აგვისტო, 1965
[29] ინფორმაცია, სვანები ამგვარ ვითარებას დიდხანს ვერ შეეგუებიან. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა. №152. 15 აგვისტო, პარასკევი, 2008.

დანიშნულების დაწესებულება. ექსპლუატაციაში შევიდა 30 კილომეტრი რკინიგზის ხაზი ზუგდიდი-ჯვარის მიმართულებით.[30]

ენგურჰესის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვარის განვითარებისთვის. მას შემდეგ, რაც აქ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, დასახლება მრავალრიცხოვანი გახდა. სასოფლო საბჭო გადაიქცა სადაბო საბჭოდ. აქტიურად მიმდინარეობდა ჯვარის ურბანიზაცია. ენგურჰესის მშენებლობის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმებიდან კარგად ჩანს ჯვარის მშენებლობისა და განსახლების პროცესი. აღნიშნული ფილმები სოფლის განახლების, უდიდესი პერსპექტივების ნათლად გადმოცემისთვის ძვირფასი წყაროა.

1964 წელს მაისში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯვარის დაბად გამოცხადების შესახებ.[31] ჯვარი საზოგადოების განვითარებასთან და მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად იძენდა ახალ-ახალ დატვირთვას. დაბა დღითი დღე ვითარდებოდა და ამის შესახებ გაზეთებშიც აქტიურად იწერებოდა: „დაბა ჯვარი, ახალი გზები, ახალი სახლები, ახალი დაწესებულებები, დაბა, რომელიც მალე ქალაქად იქცევა“.[32]

1967 წელს გაზეთში, „კომუნიზმის დროშით“, გამოქვეყნდა ჯვარის სადაბო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ქანთარიას წერილი. ის აღნიშნავს, რომ „დაბა ჯვარში ორი საკოლმეურნეო არტელი, ენგურჰესის მშენებელთა დასახლებები, სამი საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის სახლებია. ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ხალხის ათასობით წარმომადგენელი მუშაობს ძველი „ლაკადის“ მიწაზე“.[33]

1963 წელს ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ფინური სახლები დაშალეს და ჯვარზენის დასახლებაში ჩაიტანეს. ბარაკებისა და კოტეჯების გადატანამ ხელი შეუწყო ჯვარზენის უბანში მოსახლეობის ზრდას. დაიწყო აქტიური საქმიანობა ენგურჰესზე მომუშავეთათვის საცხოვრებელი

[30] ენგურჰესის მშენებლობა ხუთი წლისაა. ინტერვიუ „საჭიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველთან ვ. ნიჟარაძესთან. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №1. 28 მაისი, შაბათი, 1966.

[31] წლები და მოვლენები. გაზ. კომუნიზმის დროშით. №38. 1 აპრილი, შაბათი, 1967.

[32] ზ. ფიფია. გოლიათთა მესაჭენი. გაზ. კომუნიზმის დროშით. №19. 14 აგვისტო, შაბათი, 1965.

[33] ვ. ქანთარია. შენდება, მშვენდება. გაზ. კომუნიზმის დროშით. №38. 1 აპრილი, შაბათი, 1967.

ბინების ასაშენებლად.[34] მშენებლობის პროცესი ასახულია დოკუმენტურ ფილმში: „ენგურჰესის მშენებლობა“. აქ ჯვარში არსებული დასახლება მოხსენებულია, როგორც ჰიდრომშენებელთა მთავარი ბანაკი. ფილმში მოთხრობილია, რომ ის ტერიტორია, სადაც ენგურჰესის მშენებელთა სახლები აშენდა, ადრე დაუსახლებელი იყო. ენგურჰესის მშენებლობამ კი განაპირობა აქ საცხოვრებელი კორპუსების აგება.[35] ამის შესახებ რაიონული გაზეთიც იტყობინებოდა: „ჯვარზენის დასახლების ერთ-ერთი კუთხის, ძველი „მუღურონის“ გაუვალ ტყეებში მანქანები დადიან: „მაზები“, „ზილები“, „გაზები“.[36] მალე, აქ ფინური სახლების ნაცვლად აშენდა სამსართულიანი, ოთხსართულიანი, ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსები. ყველა დასახლებაში იყო ცენტრალური გათბობა.[37] უბნებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. დაიწყო ქუჩების კეთილმოწყობა. ენგურჰესის მშენებლებს ჯვარზენში ჰქონდათ ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის სათამაშო მოედნები.[38]

1970 წლისთვის ენგურზე ქალაქის ტიპის 11 დასახლება იყო, სადაც 33 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ენგურჰესს ემსახურებოდა 7 სკოლა (3 საშუალო და 4 რვაწლიანი), 10 საბავშვო ბაღი, 7 კლუბი, ერთი 75 საწოლიანი საავადმყოფო და 5 სამედიცინო პუნქტი.[39]

ჯვარის ჯვარზენის უბანში არსებული სკოლა მიჩნეული იყო „ყველაზე ინტერნაციონალურ სკოლად“.[40]

გაზეთ „ენგურის ჩირაღდანში“ 1966 წელს გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, კაშხალმშენის სამმართველოში 1966 წლის 12 ივნისს ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 22000 ამომრჩეველს. ესენი იყვნენ *„ქართველები, აფხაზები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები აზერბაიჯან-*

[34] ნ. შარტავა. ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ...(ჰიდრომშენებლის ჩანაწერები). თბ. 2014, გვ. 49-50-53.

[35] დოკუმენტური ფილმი „ენგურჰესის მშენებლობა“. რეჟისორი ვ. ვალიშვილი. საქართველოს ეროვნული არქივი, კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი. ფონდი 2-674. 1964.

[36] ზ. ფიფია. გოლიათთა მესაჭენი. გაზ. კომუნიზმის დროშით. №19. 14 აგვისტო, შაბათი, 1965.

[37] ნ. შარტავა. ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ...(ჰიდრომშენებლის ჩანაწერები). თბ. 2014, გვ. 184.

[38] ს. ქობალია. ახალი სტადიონი. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №41. 30 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1966.

[39] გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №43. 19 დეკემბერი, შაბათი, 1970.

[40] თ. ჭანტურია, ჯ. იონაძე. კარგი ღონისძიება. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №29. 1 მაისი, ოთხშაბათი, 1968.

ელები, სომხები, ბელორუსები, თათარები, ჩუვაშები, ბაშკირები, პოლონელები, მოლდაველებიი. სულ ცხრამეტი ეროვნების წარმომადგენელი მივიდა უბნის საარჩევნო ყუთთან".[41] 1967 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნებულ ჯვარზენის დასახლების ფოტოსთან არსებულ მინაწერზე აღნიშნულია, რომ ენგურჰესის მშენებლობის დაწყებამ „სრულიად შეუცვალა იერი ჯვარზენის მიწას და ახლა, აქ ოცდაცხრა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს".[42]

საბჭოთა დროს ქალაქი ჯვარი საერთაშორისო შეხვედრების და ფესტივალების ადგილი იყო. 1987 წელის 11 ივლისს ქალაქში ჩატარდა საბჭოთა და ინდოელი ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალი. ქალაქ ჯვარის ახალგაზრდულ კაფეში ინდოელ სტუმრებს დახვდნენ ენგურჰესის კულტურის სახლის ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ენგურის" წევრები. მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიება.[43]

ჯვარში მოსახლეობის ზრდამ განაპირობა იმ მოთხოვნილებების ზრდაც, რაც აუცილებელია ახალი სოციუმის ფორმირებისთვის. გაუმჯობესდა მოსახლეობის ეკონომიკური ვითარება, აშენდა ბაგა-ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის სახლები, კინოდარბაზები, კლუბები და სხვა. ზოგადად ურბანიზაცია, ვ. ჯაოშვილის აღნიშვნით, „იწვევს ახალი ტიპის პროფესიების მუდმივ გაჩენას, რაც ამავე დროს, შესაბამისი პროფესიების პროფესიონალების გაჩენას განაპირობებს".[44] ჯვარშიც გაჩნდნენ ახალი პროფესიის წარმომადგენლები: ავტოშემკეთებლები, მშენებლები, ინჟინრები, ზეინკლები, შემდუღებლები, ელექტრომემონტაჟეები, ზეინკალ-სანტექნიკოსები, დურგლები, და სხვა. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე აშენდა ქვის სამტვრევი საამქრო, ჯვარის ბეტონის ქარხანა, მუშაობდა ჯვარის კარიერი. ჯვარის ხრეშისა და კირის კარიერის მარაგი იძლეოდა საშუალებას მიეღოთ ძალიან მაღალი ხარისხის ბეტონი.[45] ჯვარში ამოქმედდა ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის სახერხი ქარხანა, მექანიკური საამქრო, ლიმონათის ჩამოსასხმელი ქარხანა.

[41] კ. შანავა. მრავალეროვანი ოჯახი. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №4. 15 ივნისი, ოთხშაბათი, 1966.

[42] ლამაზდება, მშვენდება, ა. ყუფუნიას ფოტო, გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №9. 19 თებერვალი, კვირა, 1967.

[43] ლ. ხასაია. მეგობრობის ფესტივალის მონაწილენი ჯვარში. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №19. 20 ივლისი, 1987.

[44] В. Джаошвили Урбанизация Грузии: генезис, процессы, проблемы. Тб. 1978, გვ. 199.

[45] ნ. შარტავა. ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ...(ჰიდრომშენებლის ჩანაწერები). თბ. 2014, გვ. 181.

ჯვარის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურზე დამონტაჟებული იყო ოქროს მოპოვებისთვის გამოყენებული მცურავი გემი – **დრაგა.** ამ უჩვეულო მცურავი ქარხნის საშუალებით მოიპოვებდნენ ინერტულ მასალას.[46] ჯვარში მუშაობდა მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც ინფორმაციას აწვდიდა თბილისის ამინდის ბიუროს.[47] სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებზე მოთხოვნამ განაპირობა ენგურჰესის მშენებლობის ბაზაზე პროფტექნიკური სასწავლებლების გახსნა. 1967 წელს ჯერ აფხაზეთში გაიხსნა გალის და საბერიოს პროფტექნიკური სასწავლებლები, შემდეგ კი, ჯვარში – საბერიოს №46 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი. აქ ეუფლებოდნენ პროფესიას ავტოშემკეთებლები, ელექტრიკოსები, კალატოზები, მეყალიბე-მებეტონეები, მკერავები და სხვა.[48]

1966 წლიდან ენგურჰესის მშენებლებს ჰქონდათ საკუთარი, ორენოვანი – ქართულ და რუსულ ენებზე გამომავალი გაზეთი „ენგურის ჩირაღდანი". ყველა სამმართველოს ჰქონდა კედლის გაზეთი. ჩამოყალიბდა სპორტული კოლექტივები. მათთვის შეიქმნა სპეციალური სავარჯიშო მოედნები. მშენებლებისთვის დაარსდა ბიბლიოთეკაც.

უნდა აღინიშნოს ქალების როლი ქალაქის მშენებლობაში. ქალების აქტიურ ჩართულობაზე გაზეთი „ენგურის ჩირაღდანი" ხშირად წერდა.[49] აქ არსებობდა საგზაო მშენებლობის სამმართველოს პირველი უბნის ქალთა ბრიგადაც.[50] ენგურჰესზე 1968 წლისთვის დასაქმებული იყო 1500-ზე მეტი ქალი, მათ შორის იყვნენ მებეტონეები, მებათქაშეები, მღებავები, მძღოლები, ასფალტის დამგებნი.[51] ქალი იყო ასევე, წალენჯიხის რაიონული საბჭოს დეპუტატიც, რომელიც ჯვარში ენგურჰესის მშენებლობაზე ჩამოვიდა და ენგურის გადახიდვის უშუალო მონაწილე იყო.[52] ენგურჰესზე 23 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციიდან ხუთს ქალი ხელ-

[46] ნ. შარტავა. ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ...(ჰიდრომშენებლის ჩანაწერები). თბ. 2014, გვ. 61.
[47] ბ. შენგელაია. ნორჩი მეტეოროლოგები. გაზ. კომუნიზმის დროშით. №139. 8 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1966.
[48] ო. ოდიშარია. ეუფლებიან, სწავლობენ, გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №42. 12 დეკემბერი, შაბათი, 1970.
[49] გ. ჭანტურია. ქალები ხარაჩოებზე. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №13. 8 მარტი, ოთხშაბათი, 1967.
[50] ი. ქადარია. ლეკვი ლომისა სწორია. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №14. 11 მარტი, შაბათი, 1967.
[51] ენგურჰესის მშენებლობაზე. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №16. 8 მარტი, პარასკევი, 1968.
[52] ა. ნიკოლაძე. დეპუტატი ქალი. გაზ. ენგურის ჩირაღდანი. №16. 8 მარტი, პარასკევი, 1968.

მძღვანელობდა, მათ შორის იყვნენ ქართველი ქალებიც.[53] ენგურჰესის მშენებლობაში მონაწილეობდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოტორისტები და საბაგირო გზის ოპერატორი ქალებიც.[54]

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსის მატება, დასახლების გაფართოება, აქ საწარმოო, სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარება იყო წინაპირობა იმისა, რომ ჯვარს 1981 წელს ქალაქის სტატუსი მიენიჭა.[55] ენგურჰესის მშენებლობა და აქ ენერგეტიკული „გიგანტის" ამოქმედება ჯვარის ქალაქფორმირების უმთავრესი ფაქტორი იყო.

municipal copper coins of Trapezus (the second-third centuries AD) should be included also in the list of the Georgian numismatics. Archaeological excavations in Bichvinta (ancient Pitius) and Sokhumi unearthed more than 200 municipal copper coins of Trapezus. Before Bichvinta and Sokhumi findings coins of Trapezus were something of a rarity. Mithras, the god of the Sun and light, is portrayed on the majority of the samples. But equestrian on the municipal copper coins of Trapezus is not 'pure' Mithras, he looks like a syncretic deity, unifying the functions of solar, lunar and stellar deities. Municipal copper coins of Trapezus with the effigy of Mithras have parallel in synchronous gems found (or made) in Georgia (Colchis/Lazica and Kartli/Iberia). So, claim about Georgian origin of this syncretic deity is logical one (Dundua et al. [2013]-2015, Municipal copper coins of Trapezus; Dundua and Dundua 2014, 170-177; Dundua and Dundua 2021, 115-122).

Now about Kartli. Silver coins of Bagadat, son of Biurat (second half of the third century BC) are wrongly attributed as a produce of Persis. The only Bagadat (Bagarat), known from the historical records, who could be Biurat's son, acted in Southwest Georgia and was linked to Pharnavaziani royal house of Iberia (Dundua et al. [2013]-2015, Coins of Bagadat, son of Biurat; Dundua and Dundua 2013, 228-236; Dundua and Dundua 2021, 84-92).

There were four states in Classical Antiquity Southwards from the Caucasian Range and Eastwards from the Black Sea: Colchis/Lazica (modern West Georgia), Kartli/Iberia (modern East and South Georgia), Albania (modern Azerbaijan) and Armenia. All of them, more or less influenced by the Roman Empire, had Roman money in circulation. Aurei and Augustan denarii formed a bulk of the money in circulation in Iberia. Then they were imitated (Dundua et al. [2013]-2015, Georgian (Iberian) imitations to Roman coins; Dundua and Dundua 2014, 186-193; Dundua and Dundua 2021, 123-130). Several dozen samples are briefly described below.

Imitation of Trajan Decius' aureus. Weight – 3,73 gr. From Armazi necropolis (East Georgia) (Fig. 11)

Obverse: Bust of Trajan Decius, radiate, draped, r. Distorted legend, still ANVS DEC is well traced.

Reverse: Concordia standing l., sacrificing out of patera in r. hand at altar and holding cornucopiae in l. hand. CONCORDIAE EXERCITI slightly distorted.

Imitation of Valerian I's aureus. Weight – 3,51 gr. Vashlovani (East Georgia) (Fig. 12)

Obverse: Bust of Emperor, laureate, r. Illegible legend.

Reverse: Victoria driving biga l. Illegible legend.

The same dies for gold imitations unearthed in East Georgia, imitation found together with its prototype, i.e. original coin, speak about local origin of mentioned gold coins. Chronology of existence of this phenomenon, according to the burials and prototypes, seems to be roughly second half of the third century AD (Dundua et al. [2013]-2015, Imitations to aurei; Dundua and Dundua 2014, 190-193; Dundua and Dundua 2021, 127-130).

Imitations of Augustus' denarius. The weights range from 1,28 to 3,55 gr. (Fig. 13)

Obverse: Head of Emperor, laureate, crude in style, r./l. Latin inscription CAESAR AVGVSTVS DIVI F. PATER PATRIAE distorted.

Reverse: Gaius and Lucius Caesars, standing front, each with a hand resting on a round shield. Spears behind the shields. Simpulum and lituus above the shields. Latin legend C. L. CAESARES AVGVSTI F COS DESIG PRINC IVVENT distorted.

Even the third century AD burials from East Georgia show Augustan denarii, while most of their imitations at Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia, are without proper indication about place of finding. Some of the imitations were found in the complexes (two samples in West Georgia, four – in East Georgia), which cannot be dated precisely. Still, general consideration leads to the conclusion that, together with the imitations of aurei, imitations of Augustan denarius were produced locally in the second half of the third century AD (Dundua et al. [2013]-2015, imitations to denarii of Augustus; Dundua and Dundua 2014, 186-189; Dundua and Dundua 2021, 123-126).

Drachms, struck according to the Sassanian monetary type, with Georgian inscriptions and the depiction of cross, were already known in the nineteenth century. There is a special term for these coins in the scholarly literature: Georgian-Sassanian coins, or the drachms of Kartli's erismtavaris (princes) (Dundua et al. [2013]-2015, Georgian-Sassanian drachms; Dundua and Dundua 2014, 198-252; Dundua and Dundua 2021, 131-185).

Through the "Eternal Peace", signed in 532, Byzantium acknowledged Iranian right upon East Georgia. The kingship in Kartli was abolished. In the course of the sixth century there was a constant struggle for the independence of Kartli. This was well reflected on the Georgian-Sassanian coins. As was already mentioned, in this period the coins in Kartli were struck according to the

Sassanian type. On the obverse there is always depicted a bust of an Iranian shah, whereas on the reverse – the emblem of Sassanian fire-worshippers, holy fire – **ātar** – protected by two armed guardians. To this standard depiction, rebellious Georgians added above the shah's shoulder cross which served as a symbol of Christianity and of Georgian nationalism. This was an act of great importance. Sometimes, above ruler's depiction on the edge of the coins we encounter Georgian letters or monograms giving information about the names of Georgian erismtavaris. Moreover, the Georgians replaced the fire on the altar with cross, symbol of Christianity, and thereby got rid of the Iranian emblem. Erismtavari Stephanos placed fully his name in the centre of the coin, next to ruler's depiction. The coin group's (end of the sixth century) classification is as follows: Coins with the depiction of fire on altar. Gurgen's drachms (Fig. 14); Coins with the depiction of fire on altar. Jonber//Juansher's drachms; Anonymous coins with the depiction of cross on the obverse (Fig. 15); Anonymous coins with the depiction of cross on altar (Fig. 16); Coins with the depiction of cross on altar. Stephanos I – first emission.

Coins with the depiction of cross on altar. Stephanos I – second emission. 11 pieces of the second emission are held in several museums across the world. Silver. The weights range from 2,03 gr. to 3,02 gr. d= 25/26-28 mm. (Fig. 17)

Obverse: shah/ruler to the right. Instead of Pehlevi, Georgian inscription (Asomtavruli) – ⴑⴔⴖⴝ/ⴑⴕⴗⴑ (Stephanos) to the left and right. Twofold circle around it.

Reverse: Cross on altar, protected by two guardians. No Pehlevi inscription. Threefold circle around it.

From the first half of the eighth century Arabs became dominant in Georgia. 'Arabic dirhems struck at Tbilisi and their imitations' is the name of a coin group. The earliest among them are the Umayyad dirhems. The first Arabic coin of Tbilisi mint was struck in AH 85 (=704). Tbilisi mint became active again in AH 210 (=825/26). The first ʿAbbāsid dirhem of Tbilisi mint is dated by this year. After AH 248 (=862/863) the ʿAbbāsid dirhems of Tbilisi mint bear the name of Caliph. Date of issue is changed every time and the Islamic formulas are mainly repeated. Issues were struck in AH 249-335 in the name of the ʿAbbāsid Caliphs at Tbilisi mint. Emir of Tbilisi was the governor who issued the coins in the name of ʿAbbāsid Caliphs. The representatives of Jaʿfarid dynasty struck the coins in their own name (second half of the tenth century-beginning of the eleventh century). Bagrat III's (king of Georgia in

975-1014) coin also imitates the Arabic dirhems (Dundua et al. [2013]-2015, Arabic dirhems struck at Tbilisi and their imitations; Dundua and Dundua 2014, 259-299; Dundua and Dundua 2021, 186-226).

'Georgian-Byzantine coins' is the name of a coin group. It consists of the issues as follows: David III Kuropalates' coins with the depiction of cross potent (Four specimens. Silver. The weight of half drama (?) – 2,1 gr. For miliaresion/drama the weights range from 3,05 to 3,5 gr. d=22,9 mm. for half drama (?), d≈23/24 mm. for miliaresion/drama. 979), St. Virgin Blachernitissa type coins – Bagrat IV's first emission (Twelve specimens. Silver. The weights range from 1,47 to 2,2 gr. d=23/24-27/28 mm. 1055. Kutaisi in West Georgia), Bagrat IV's second emission (Twenty-eight specimens. Silver. The weights range from 1,2 to 2,23 gr. d=24-27/28 mm. 1068/69. Kutaisi. Fig. 18), Giorgi II's first emission (Silver. The weights range from 1,1 to 2,15 gr. d=21/26-27/29 mm. 1073. Kutaisi), Giorgi II's second emission (Silver. The weights range approx. from 1,21 to 2,03 gr. d≈24/25-27,2/27,8 mm. 1074. Kutaisi. Fig. 19), Giorgi II's third emission (Silver. The weights range for half tetri, a nominal, approx. from 0,43 to 0,99 gr., the weights range for tetri approx. from 1,01 (?) to 1,94 gr. d≈20/22 -25/26 mm. for half tetri, d≈22/25-26/7 mm. for tetri. 1075-1089. Kutaisi. Fig. 20), Giorgi II's extant coins number about hundred, David IV's first emission (Silver. The weights range from 0,43 to 0,73 gr. d=22/23-25/26 mm. 1089-1099. Kutaisi), David IV's second emission (Silver. The weights range from 0,56 to 0,87 gr. d=23/24-26/28 mm. 1089-1099. Kutaisi. Fig. 21), David IV's copper coin, type – king in Imperial coat (Follis. Weight – sample of the British Museum – 10,73 gr. d=35 mm.), all three emissions of David IV present eight pieces. The dating of the group is based on the kings' Byzantine titles and other political traits (Dundua et al. [2013]-2015, Georgian-Byzantine coins; Dundua and Dundua 2015a, 180-197; Dundua and Dundua 2021, 227-244). Below we present a description of one issue.

Giorgi II's third emission.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Distorted Greek abbreviation for – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – 'the Holy Virgin', to l. and r. from nimbus. Some specimens have different legend – ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙCΑ – 'St. Virgin Blachernitissa'.

Reverse: Marginal Georgian legend –

ⴕⴗⴑⴜⴗⴑⴝⴔⴟⴐⴑⴑⴕⴀⴘⴐⴑⴑⴓⴔⴜ – 'Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians (West Georgia) and the Kartvelians (East and South Georgia)'.

In the centre – ⴑⴚ/ⴓⴖⴝⴚ/ⴘⴆⴝⴖ 'and Caesaros'.

Next group is Georgian credit money. Review of the Georgian credit money (twelfth century-the twenties of thirteenth century) begins with the copper coins of Demetre I (1125-1156) and ends with the copper money of Rusudan (1222-1245). This period in the Georgian numismatics is strictly 'copper period'. The so-called 'silver famine' in the Middle East was at its highest point at the time and left traces on Georgian numismatics. From the reign of Demetre I to that of Rusudan only copper coins were struck. This is one of the peculiarities of numismatic activity. Another peculiarity is that in twelfth century the face of the coin changed drastically. The coins lost their up-to-then standard feature, round shape. From then on, the large part of the coins was struck as copper plates which had accidental shapes. Often, because of small size of the plates, the die was not placed on the coins in its entirety. This method of coin issue first appeared in the Middle East and was then introduced into Georgia. It was suggested that in trading the so-called 'irregularly' struck coins were weighted rather than counted. Simultaneously with the 'irregular' coins, round coins were struck too. Below we present both examples. It might be a bit surprising that the mighty kings of the united Georgia placed Arabic legends on their coins. Some scholars think this should point to some sort of dependence on a part of Georgian king towards Muslim ruler. However, this argument is largely flawed. Such actions were dictated mainly by economic factors, since the Georgian money had to reach the Middle Eastern markets, and Arabic legends on them would undoubtedly help in it. Simultaneously the contents of the legends conveyed to the Muslim world that Georgian king was the 'King of the Kings' and the 'sword of the Messiah' (Dundua et al. [2013]-2015, Georgian credit money; Dundua and Dundua 2015a, 203-223; Dundua and Dundua 2021, 245-265).

Coins of Giorgi III – king with falcon on hand. Copper. Weight≈5,56 gr. d≈22/23 mm. (Fig. 22)

Obverse: Giorgi III in Asian-Byzantine dress. Seated cross-legged, facing. His left (sometimes right) hand rests on his thigh, on another hand up lifted sits a falcon. King wears stemma. Georgian Mkhedruli letters for the name of Giorgi (გი, sometimes monogram of ⴗⴗ is added to it) and Asomtavruli legend ⴐⴘⴑⴒⴑⴑ, 'in the K'oronikon 394 (=1174)'.

Reverse: Arabic legend in three lines:

ملك الملوك
كيوركى بن ديمطرى
حسام المسيح

'King of the Kings Giorgi, son of Demetre, sword of the Messiah'.

Coins of queen Tamar with her signature. "Irregularly" struck copper. Weight – e.g. 14,97 gr., 16,24 gr. d≈23/41 mm., 26/31 mm. (Fig. 23)

Obverse: Signature of Tamar in the centre of a wreathed frame. Asomtavruli marginal legend:

ⴐⵓⵑⵄⵆⵔⵓⵔⵆⵐⵚⵔⵓⵆⵒⵑⵄⵆⵔⵓⵆⵒⵑⵄⵆⵔⵓⵆⵒⵑⵄⵆ

دولة كوك
قان بنده
داود ملك

By the power of God, slave of Kuyuk (or Guyuk) Qā'ān's rule – king David. At right:

ضرب تفليس

Struck at Tbilisi (Dundua et al. [2013]-2015, Silver coins of David Narin with the depiction of a horseman; Dundua and Dundua 2015a, 228-229, 242-243; Dundua and Dundua 2021, 268-269, 282-283).

Now we present example of the Georgian coins struck beyond the Mongol rule.

Coins with the effigy of two Davids. Silver. The weights range from 2,3 gr. to 2,9 gr. d=23/24 mm. 1261-1262. Kutaisi (Fig. 25).

Obverse: Labarum in the centre and the kings' effigy in Imperial coat on the both sides. On the left and right, Georgian Asomtavruli legends placed vertically ⴃⴀⴔ, ⴀⴀⴃ – 'King David' and 'King of the Kings David'.

Reverse: St. Virgin seated upon a throne like on the Imperial issue of Michael VIII Palaeologus, and corresponding Georgian legend on the left and right: ⴃ ⴃ/ⴖ-ⴝⴑ (Dundua et al. [2013]-2015, Coins with the effigy of two Davids; Dundua and Dundua 2015a, 277, 286-287; Dundua and Dundua 2021, 312, 321-322).

Disintegration and bad economy are well reflected on the fifteenth-sixteenth centuries Georgian money. e.g. Coins of Giorgi, king of Imereti (West Georgia). I type. Silver. Weight – 0,62 gr., 1,44 gr. d=11 mm. 1565-1585 (Fig. 26).

Obverse: Schematic depiction of bearded man, facing, in jewelled crown. To the left – plant ornament, around – linear circle and circle of the dots.

Reverse: Georgian Asomtavruli legend in abbreviation: ⴀⴔⴗⴖ – 'King Giorgi', to the right – plant ornament (Dundua et al. [2013]-2015, Coins of Giorgi, king of Imereti. I type; Dundua and Dundua 2015a, 301, 311-312; Dundua and Dundua 2021, 335-336, 345).

Coins of the Georgian kings in the eighteenth century (Fig. 27) and Russo-Georgian coins struck at Tbilisi in 1804-1834 (Fig. 28) are the last coin groups (Dundua et al. [2013]-2015, Coins of the Georgian kings in the eighteenth century, Russo-Georgian coins struck at Tbilisi in 1804-1834;

Dundua and Dundua 2015b, 91-118, 132-137; Dundua and Dundua 2021, 364-391, 392-397).

Bibliography:

Barataev, Mikheil. 1844. *Нумизматические факты Грузинского царства* (Saint Petersburg: Imperial Academy of Sciences)

Dundua, Giorgi, and Tedo Dundua. 2006. *ქართული ნუმიზმატიკა. პირველი ნაწილი* (Tbilisi: Artanuji)

Dundua, Giorgi, and Tedo Dundua. 2011. *ქართული ნუმიზმატიკა. მეორე ნაწილი* (Tbilisi: Meridiani)

Dundua, Tedo, Giorgi Dundua, Niko Javakhishvili, and Ana Eristavi. 2003. *Money in Georgia. Second revised edition* (Tbilisi: National Bank of Georgia)

Dundua, Tedo, Giorgi Dundua, Alexander Boshishvili, Apolon Tabuashvili, Leri Tavadze, Natia Phiphia, Akaki Chikobava, Emil Avdaliani, and Nino Kharshiladze. [2013]-2015. *Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics.* <https://geonumismatics.tsu.ge>

Dundua, Tedo, and Giorgi Dundua. 2013. *Catalogue of Georgian Numismatics. Part One* (Tbilisi: Meridiani)

Dundua, Tedo, and Giorgi Dundua. 2014. *Catalogue of Georgian Numismatics. Part Two* (Tbilisi: Meridiani)

Dundua, Tedo, and Giorgi Dundua. 2015a. *Catalogue of Georgian Numismatics. Part Three* (Tbilisi: Meridiani)

Dundua, Tedo, and Giorgi Dundua. 2015b. *Catalogue of Georgian Numismatics. Part Four* (Tbilisi: Meridiani)

Dundua, Tedo, and Giorgi Dundua. 2021. *Catalogue of Georgian Numismatics. Second edition* (Athens: Demetrius Siatras)

Kapanadze, David. 1955. *Грузинская нумизматика* (Moscow: Academy of Sciences of the Soviet Union)

Kapanadze, David. 1969. *ქართული ნუმიზმატიკა* (Tbilisi: Tbilisi State University)

Lang, David Marshall. 1955. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New York: The American Numismatic Society)

Pakhomov, Evgeny. 1910. *Монеты Грузии. Часть первая* (Saint Petersburg: Imperial Academy of Sciences)

Pakhomov, Evgeny. 1970. *Монеты Грузии* (Tbilisi: Metsniereba)

Illustrations:

Fig. 1. Second type hemidrachm. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4022

Fig. 2. The so-called tetradrachm. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №3

Fig. 3. First type didrachm. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №3824

Fig. 4. First type hemidrachm. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4810

Fig. 5. Second type didrachm. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №1

Fig. 6. The so-called hemitetartemorion. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia.) №18798

Fig. 7. Aka stater. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4872

Fig. 8. Georgian imitation of Lysimachus' type staters. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №5253

Fig. 9. Georgia imitation of Alexander's type staters. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №48

Fig. 10. Municipal copper coin of Dioscurias. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4033

Fig. 11. Imitation of Trajan Decius' aureus. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9158

Fig. 12. Imitation of Valerian I's aureus. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9735

Fig. 13. Imitation of Augustus' denarius. Simon Janashia Museum of

Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №1704

Fig. 14. Gurgen's drachm. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4058

Fig. 15. Anonymous coin with the depiction of cross on the obverse. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4056

Fig. 16. Anonymous coin with the depiction of cross on altar. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №1571

Fig. 17. Stephanos I – second emission. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №5870

Fig. 18. Bagrat IV's second emission. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №1713

Fig. 19. Giorgi II's second emission. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №12382

Fig. 20. Giorgi II's third emission. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №12101

Fig. 21. David IV's second emission. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №22443

Fig. 22. Coin of Giorgi III – king with falcon on hand. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №111

Fig. 23. Coin of queen Tamar with her signature. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №1884

Fig. 24. Silver coin of David Narin with the depiction of a horseman. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №4254

Fig. 25. Coin with the effigy of two Davids. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection,

Simon Janashia Museum of Georgia) №4263

Fig. 26. Coin of Giorgi, king of Imereti. I type. Simon Janashia Museum of Georgia – GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №5288

Fig. 27. Copper coin of Erekle II. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №5308

Fig. 28. Russo-Georgian coin. Simon Janashia Museum of Georgia – QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №5856

Illustrations are from the Catalogues of Georgian Numismatics listed above. Tedo Dundua and Giorgi Dundua own the copyright to these catalogues.

Illustrations:



Fig. 1. Second type hemidrachm



Fig. 2. The so-called tetradrachm



Fig. 3. First type didrachm



Fig. 4. First type hemidrachm



Fig. 5. Second type didrachm. Obverse



Fig. 6. The so-called hemitetartemorion



Fig. 7. Aka stater



Fig. 8. Georgian imitation of Lysimachus' type staters



Fig. 9. Georgian imitation of Alexander's type staters



Fig. 10. Municipal copper coin of Dioscurias



Fig. 11. Imitation of Trajan Decius' aureus



Fig. 12. Imitation of Valerian I's aureus



Fig. 13. Imitation of Augustus' denarius



Fig. 14. . Gurgen's drachm



Fig. 15. Anonymous coin with the depiction of cross on the obverse



Fig. 16. Anonymous coin with the depiction of cross on altar



Fig. 17. Stephanos I - second emission



Fig. 18. Bagrat IV's second emission



Fig. 19. Giorgi II's second emission



Fig. 20. Giorgi II's third emission. Obverse



Fig. 21. David IV's second emission



Fig. 22. Coin of Giorgi III – king with falcon on hand



Fig. 23. Coin of queen Tamar with her signature



Fig. 24. Silver coin of David Narin with the depiction of a horseman



Fig. 25. Coin with the effigy of two Davids. Reverse



Fig. 26. Coin of Giorgi, king of Imereti. I type



Fig. 27. Copper coin of Erekle II



Fig. 28. Russo-Georgian coin

როლანდ თოფჩიშვილი
კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თსუ

ქართველ კათოლიკეთა მცდელობა მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების შეერთების შესახებ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ქრისტიანობას საკმაოდ ადრე ეზიარა – ის სახელმწიფო რელიგიად 326 წელს იქნა გამოცხადებული. მას შემდეგ ქრისტიანობა ქართული კულტურის საფუძვლად იქცა; მის საფუძველზე განვითარდა ქართველთა ეთნიკური ცნობიერება და ჩამოყალიბდა ქართველი ერი (ნაცია).

ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მოხდა საერთო სახელმწიფო რელიგიის „ხელყოფა“, რომლის მიზეზების დასახელებაც შორს წაგვიყვანს, თუმცა, ის კი უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი საგარეო ფაქტორებით იყო განპირობებული. ქრისტიანობიდან მიქცევით ხდებოდა ისლამის, აგრეთვე ქრისტიანული კონფესიების – კათოლიკობისა და მონოფიზიტობის – გავრცელება. ქრისტიანობამ (მართლმადიდებლობამ) საუკუნეთა განმავლობაში თუ ქართველი ხალხის კონსოლიდაციას შეუწყო ხელი, მოგვიანებით სხვადასხვა რელიგიისა და კონფესიის გავრცელებამ დეზინტეგრაციული მოვლენები გამოიწვია, ერთიან ქართველ ერში (ქართულ ნაციაში) დეეთნიზაციის პროცესები გამოიწვია (იხ. რ. თოფჩიშვილი. დეეთნიზაციის პროცესები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2022). დეეთნიზაციას, პირველ რიგში, ის იწვევდა, რომ სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმდევარი ქართველები ერთმანეთთან საქორწინო ურთიერთობაში აღარ შედიოდნენ. **ქართველი**

მუსლიმები თათრებად იწოდებოდნენ, ქართველი მონოფიზიტები – სომხებად, ქართველი კათოლიკეები – ფრანგებად. ამ უკანასკნელთა პრობლემა უფრო რთული იყო იმ თვალსაზრისით, რომ დაქვემდებარებული იყვნენ სომხურ-კათოლიკური ეკლესიისადმი, რომელთა საღვთისმეტყველო ენა იყო არა მკვდარი ლათინური, არამედ – სომხური. ამას ისიც ემატებოდა, რომ სომხები (სომეხი მეცნიერები) ქართველ კათოლიკეებს წარმომავლობით სომხებად აცხადებდნენ, ენობრივად გაქართველებულ სომეხებად მიიჩნევდნენ. თავის მხრივ, ქართველი კათოლიკეები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ, რათა თავიანთი ეთნიკური ქართველობა ოფიციალურად დაედასტურებინათ.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქართველთა შორის კათოლიციზმი ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, გორში, ძირითადად კი ოსმალეთის იმპერიაში შემავალ სამცხე-საათაბაგოს ყოფილი სამთავროს ანუ ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. აქ ქართველთა მიერ კათოლიციზმის მიღება უპირატესად იმით იყო განპირობებული, რომ ქართველებს რამენაირად თავი დაეღწიათ მაჰადიანობისაგან, გათათრებისაგან. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ კათოლიკე ქართველები ქალაქ ახალციხესა და სამცხისა და ჯავახეთის სოფლებში. სამწუხაროდ, არტაანის მხარეში მცხოვრები კათოლიკე ქართველები, რომლებიც 1820-იან წლებში ჯავახეთის რამდენიმე სოფელში დასახლდნენ, საბოლოოდ გასომხდნენ, სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრები სომხებად ჩაწერეს და სომხური სკოლები გაუხსნეს, რომლებმაც ერთი სიტყვა სომხურიც კი არ იცოდნენ.

განსაკუთრებით მძიმე იყო ქართველი კათოლიკეებისათვის 1845 წელი; ამ დროს რუსეთის იმპერიამ საქართველოდან განდევნა ლათინი კათოლიკე პატრები, რის შემდეგაც ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ლათინურ ენაზე წირვა-ლოცვა გაუქმდა. ამით რუსეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა სომხურ ტიპიკონს. სწორედ ამის შემდეგ, 1859 წელს დაარსდა კონსტანტინეპოლში ქართული სავანე. სავანეში ვენეციიდან გადმოვიდა *ალფონს ხითარიშვილი,* რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე „უწარჩინებულეს ქართველს“ უწოდებდა, ახალციხიდან – *იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე, სტეფანე გიორგაძე* (ს. გრიგალაშვილი. მონტობანის ქართული სავანე – კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, I, თბ., 2018, გვ. 164; რ. თოფჩიშვილი. დეეთნიზაციის პროცესები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2022, გვ. 118). *პეტრე ხარისჭირაშვილმა* სავა-

ნესთან, გარდა სკოლისა, სტამბაც გახსნა (1870). სტამბის დირექტორად განწესებული იყო *ანტონ გოზალიშვილი*. სავანეში არსებული გამომცემლობა მხოლოდ სასულიერო ლიტერატურას არ ბეჭდავდა – ისტამბებოდა საქართველოს ისტორიის ამსახველი ლიტერატურაც, მაგალითად, 1924 წელს გამოიცა *მიხაკო წერეთლის* „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“. **კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანისათვის ქართულენოვანი ტიპიკონისათვის ბრძოლა ფაქტობრივად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.**

კონსტანტინეპოლში თავმოყრილ ქართველ კათოლიკეებს ეროვნული წარმატების აუცილებელ პირობად მომავალში ქართველთა სარწმუნოებრივი გაერთიანებაც მიაჩნდათ. ამის დასტურია „ქართველ კათოლიკეთა სავანის“ მიერ 1922 წელს გამოცემული წიგნი **„ქართველო ქრისტიანებო შეერთდით“,** რომლის ავტორია **მხედარი**. ღვთის ნებით ეს წიგნი 2014 წელს გადმომცა სტამბოლში მცხოვრებმა ქართველმა, ამჟამად ქრისტიანმა და ოფიციალურად ქართული გვარის მატარებელმა, *ტუფან შაფაკ ლომინაძემ,* რომელმაც, თავის დროზე, იტალიელი ბერების მიერ დასაწავად გამზადებული, სხვა წიგნებთან ერთად, გადაარჩინა (რ. თოფჩიშვილი. დეეთნიზაციის პროცესები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2022, გვ. 118-119).

წინამდებარე სტატია სწორედ *მხედრის* აღნიშნული წიგნს შეეხება. მაგრამ, მანამ, სანამ უშუალოდ აღნიშნულ წიგნის შინაარს გადმოვცემთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ავტორს სხვა წიგნიც ჰქონია დასაბეჭდად გამზადებული. უკანა ყდაზე ვკითხულობთ: „მზათაა დასაბეჭდად „კავშირის ბიბლიოთეკის“ მე-2 წიგნი შემდეგი სათაურით: **„ღმერთი, სული, სასწაული“.** ავტორი დაეძებს გამომცემელს. მისამართი: Constantinopole Imprimerie Géorgianne. მხადარს“. ამ „კავშირის“ სახელწოდება კი დასახელებული წიგნის სატიტულო გვერდზეა მოცემული: „ბიბლიოთეკა წმ. გიორგი მთაწმინდელის კავშირისა №1“.

საყურადღებოა, რომ მხედარს პირველივე წინადადებაში მოცემული აქვს წიგნის დაწერის მიზანი: „მამულის წრფელი სიყვარული მათქმევინებს ამ წიგნის სათაურათ მოყვანილ სიტყვებს: „ქართველო ქრისტიანებო შეერთდით“. მეორე აბზაცში აღნიშნავს: „სამშობლოს კეთილდღეობა თხოულობს დაუყონებლივ გაერთიანებას და ხელი-ხელ ჩაკიდებით მუშაობაში ჩაბმას. წარსულმა ომებმა და ქვეყნის ტრიალმა ყოველ ჭკუათმყო-

ფელს შეაგნებინა, რომ **სახელმწიფოს აშენებაში სარწმუნოება უდიდეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. სარწმუნოებამ უნდა გამოქნას პატიოსანი, სინდისიერი ქართველი მოქალაქე“** (ხაზგასმა წიგნის ავტორს ეკუთვნის – რ. თ.). ფაქტია, რომ ქრისტიანობა თითოეულ ადამიანს და ადამიანთა ერთობებს (ერებს/ნაციებს) ზნეობრივ ცხოვრებას ასწავლიდა. წიგნში აღნიშნულია, რომ ამ თვალსაზრისით ქრისტიანობა „დანარჩენ სარწმუნოებებს მთელის ცის სიმაღლით აღემატება“. აგრძელებს, რომ „საუბედუროდ, ქრისტიანობა ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ეკლესიებათაა დაყოფილი“. მაგრამ რომელ „სარწმუნოებრივ ჯგუფს შეუძლია წინამძღვრობა გაგვიწიოს ზნეობრივ გაფაქიზებისაკენ?“ და ასკვნის, „მხოლოდ იმ სარწმუნეობას უნდა მივენდოთ, რომელიც იესოს ღვთიური ხელიდან გამოვიდა. „ქრისტიანული ეკლესიის დამახასიათებელი აგებულება“ კი, როგორც აღნიშნულია 325 წელს ნიკეას მსოფლიო კრებამ გამოიმუშავაო. ეს ნიშნები კი იმავე კრებისაგან დაკანონებულ „მრწამშია“ შეტანილიო: „მწამს... ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“; ესაა ერთობა, სიწმინდე, კათოლიკობა, მოციქულეობრივობა.

წინასიტყაობას მხედარი ასე ამთავრებს: „ნეტავ, წარსულში გაკვეთილმა თავისი ნაყოფი გამოიღოს და ახლო მომავალში, ყველა მორწმუნე ქართველებს თავი მოგვიყვაროს „ერთსა, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში“, რათა გაერთიანებული ძალით, ახალი სული ჩავუდგათ გაპარტახებულ საქართველოს“.

წიგნი „ქართველო ქრისტიანებო შეერთდით“ ექვსი თავისაგან შედგება; ესენია: **თავი პირველი** – „ერთობა, პირველი ნიშანი იესო ქრისტეს ეკლესიისა“, **თავი მეორე** – „დანარჩენი ნიშნები იესო ქრისტეს ეკლესიისა“ (შედგება შემდეგი მონაკვეთებისაგან: „1. ეკლესია უნდა ბრწყინავდეს თავისი სიწმიდით“; 2. ეკლესიას უნდა ახასიათებდეს კათოლიკობა ანუ დაუღალავი პროპაგანდა; 3. ეკლესიას კვლავ უნდა ახასიათებდეს „მოციქულობრიოვობა“); **თავი მესამე** – „რას ამბობს ისტორია პეტრესა და მის მოსაყდრეებზე?“; **თავი მეოთხე** – „რას გვეუბნება ისტორია მე-9 და მე-11 საუკუნის განხეთქილებაზე და იმ დროინდელ შავ გმირებზე?“; **თავი მეხუთე – „**რას ამბობს ღვთისმეტყველება აღმოსავლეთ-დასავლეთ ეკლესიათა განხეთქილებაზე“; **თავი მეექვსე** – „რომი და საქართველო“; **დასკვნა.**

მესამე თავში „რას ამბობს ისტორია პეტრესა და მის მოსაყდრეებზე?“ მხედარი ვრცლად საუბრობს პრობლემაზე და ასკვნის: „ამის შემდგომ, დაე თვითონ მკითხველმაც გადასწყვიტოს, თუ რავდენათ სიმარ-

თლეს შეეფერება დღევანდელ აღმოსავლეთელ ღვთის-მეტყველთა მტკიცება, რომ მხოლოდ მეცხრე საუკუნეში მოჩანს პაპების განდიდება, და სწორეთ ამის მიზეზითაც ჩამოშორდა მას მთელი აღმოსავლეთიო. ისტორიული სინამდვილე კი სულ სხვა რამეს გვეუბნება: პაპის უმფროსობა გაყოფის მერმეც კი სწამდათ აღმოსავლეთელებს! მაშ რამ გამოიწვია ქრისტიანობის დაყოფა? შევეკითხოთ ისტორიას“ (გვ. 43).

მეოთხე თავში მხედარი აღნიშნავს, რომ „გაქრისტიანებულმა კონსტანტინემ ახალი დედაქალაქი გაუჩინა იმპერიას: იქნობამდე უმნიშვნელო და უცნობი ბიზანტია, ბრწყინვალე კონსტანტინეპოლად, ახალ რომად გადაიქცა, რომელმაც მეტოქეობა დაუწყო ძველ რომს, როგორც პოლიტიკურათ, ეგრეთვე სარწმუნოების მხრივაც“ (გვ. 44). ასე რომ, **აშკარად ავტორი თავიდანვე ხაზს უსვამს იმას, რომ საეკლესიო განხეთქილების მიზეზი პოლიტიკა იყოო. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკუთვნებს *ფოტსა* და *მიხეილ კელურალს*.** პირველი მათგანი „858 წლამდე მდივნობას ასრულებდა სასახლეში, იყო კაცი მდიდარი, მეცნიერი და ამასთავე პატივმოყვარე და ცბიერი. – აი, ამისთანა ზვიადს პიროვნებას კონსტანტინეპოლის პატრიარხობა არგუნა ქვეყნიურმა სურვილმა“ (გვ. 48).

„ფოტის შემდგომ კვლავ მშვიდობა დამყარდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიათა შუა 1053 წლამდე, ამ დროს კი, განხეთქილება განაახლა მიხელ კელურალმა“. „ავანტურისტმა მიხელ კერულარმა 1053 წელს წერილობით გაილაშქრა ლათინთ ეკლესიის წინააღმდეგ: ფოტის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს ახლებიც დაუმატა. განსაკუთრებით „ხმიადით“ ანუ „უცომო პურით წირვისთქმა“!

მხედარი აღნიშნავს, რომ „პაპი ლეონ მე-IX ბევრს შეეცადა გონს მოეყვანა კერულარი. კონსტანტინე მონომახიც მხარს უჭერდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ... გაჯიქებულმა პატრიარხმა სალაპარაკოთაც არ გაიკარა რომაელი დელეგატები, რომელთაც, იმპერატორისა და ხალხის წინაშე, წაიკითხეს პაპის განკარგულება: მიხელ კერულარის შეჩვენება და გამორიცხვა იესო ქრისტეს ეკლესიიდან. შეჩვენებულმა მღვდელთმთავარმა სამაგიეროთ პაპის სახელი ამოხოცა ეკლესიურ წიგნებიდან“ (გვ. 57). იქვე დასძენს, რომ „თუმცა თავიდანვე ყველა პატრიარხი არ მიემხრო ამბოხებულ მღვდელმთავარს, მაგრამ საბოლოოთ მაინც ჩატყდა ხიდი რომისა და მართლმადიდებლურ ეკლესიათა შუა... კერულარმა დიდხანს ვერ იგემა განდგომის ნაყოფი: 1058 წელს გაძევებულ იქნა იმპ. ისააკ კომ-

ნენისაგან, რომელსაც ეშინოდა ტახტიდან არ გადმოეგდო, როგორც ეს უყო მის წინამოადგილეს მისელ სტრატონსა“.

ქართველი ავტორი ჩამოთვლის იმ ცთომილებათა სიას, რომელთა მიზეზითაც აღმოსავლეთის ეკლესია გამოეყო დასავლეთისას. ხუთი პირველი ბრალდება ფოტისაგან 180 წლით ადრე ყოფილა წამოყენებული, დანარჩენი კი კერულარს ეკუთვნის. ეს ბრალდებები იყო: 1. შაბათობით მარხულობა; 2. დიდმარხვის პირველ კვირას, ყველსა და რძეს ხმარობენ; 3. მღვდლები უცოლოები არიან; 4. მღვდლისგან მირონცხებულს კვლავ ეპისკოპოსი მირონსა სცხებს; 5. მრწამსში „და ძისაგან“ ჩაუმატებიათ; 6. „ხმიადით“ სწირავენ; 7. მოხჩობილ ცხოველებს სჭამენ; 8. მღვდლები წვერს იპარსავენ; 9. უწმინდური ცხოველების ხორცით იკვებებიან; 10. ბერები ხორცს სჭამენ; 11. დიდმარხვის პირველ კვირას ხორცის ჭამით სტეხავენ; 12. წმ. წირვაზე ხმა მაღლა ამბობენ „ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი იესო ქრისტე დიდებასა შინა მამისა სული წმიდითურთ“; 12. ორ ძმას ორი დის ცოლებათ აყვანა შეუძლიათ; 14. წირვაზე, ზიარების უწინ, მსახურები ერთმანერთს ეამბორებიან; 15. ეპისკოპოსები ბეჭდებს ატარებენ; 16. ეპისკოპოსები ომში მონაწილეობას ღებულობენ; 17. ერთი გავლებით ნათლავენ; 18. მოსანათლავს პირში მარილს უყრიან; 19. ზოგიერთები წმიდანებსა და მათ ხატებს პატივს არ სცემენ; 20. დიდმარხვაში „ალილუიას“ არ გალობენ... (გვ. 57-58). ცოტა ქვემოთ მხედარი დასძენს: „მეტათ საგულისხმო ის გახლავსთ რომ „ლათინთ წვალებათა“ გაჭრელებულ სიაში, შეტანილი არ არის ის საგანი, რომელსაც დღევანდელი აღმოსავლეთელი ღვთისმეტყველები უმთავარესად აბრალებენ კათოლიკეთა ეკლესიას, – რომის პაპის უმფროსობაზე მოგახსენებთ. ამ საგანს კამათი არასდროს გამოუწვევია“ (გვ. 59).

ავტორი ამ ჩამონათვლის შემდეგ კელურალს აკრიტიკებს და წერს, რომ „ნუთუ მართლა ამიების წყალობით გაითხარა უფსკრული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა?“ ამ კითხვას იმდროინდელი საეკლესიო მოღვაწეთა გამონათქვამებით პასუხობს. მაგალითად, მოყვანილია ანტიოქიის პატრიარხის სიტყვები: „ერთი მითხარით, რა ჩვენი საქმეა, რომ იმათი მღვდლები წვერს იპარსავენ ან და ბეჭდებს იკეთებენ?“ მოყვანილი აქვს კერულარის თანამედროვე, ბულგარეთის ცნობილი მიტროპოლიტის თეოფილაქტეს სიტყვები: „ლათინებს არც იმდენი ცდომილებანი მოეპოვებათ და არც იმნაირი, რომ ეკლესიაში განხეთქილების მოხდენა შესაძლებელი იყოს, ვინაიდან არც ერთია, რომ რწმენის საგანს შეეხებოდესო“ (გვ. 59).

მეხუთე თავის ბოლოს, რომლის სახელწოდებაა „რომი და საქართველო“, მხედარი ასკვნის: **„კათოლიკებსაც და ქართველებსაც ერთი გზა გვივლია, კათოლიკეებსაც და ქართველებსაც ერთი და იგივე რწმენა გვაქვს, მაშ რატომ ვართ დაყოფილნი?“** საამისოდ ის გიორგი მთაწმინდელს მიმართავს და აღნიშნავს: მე-11 საუკუნეში როდესაც ბერძნები ჩამოშორდნენ რომის ეკლესიას (და ანალოგს ავლებს მეხუთე საუკუნეში სომხების მსოფლიო ეკლესიიდან გამოყოფას, რომლებიც მაშინ ქართველობის გაყოლიებასაც ლამობდნენ), საქართველოში „ახალი კირიონი აღმოჩნდა – გიორგი მთაწმინდელი“. „მაშინდელი და მერმინდელი ჩვენი საეკლესიო წიგნები კვლავინდებურათ იხსენიებს რომის პატრიარხს: მაგრამ, განსაცვიფრებელი ის არის, რომ კონსტანტინეპოლის საიმპერატორო პალატაში ლათინთა რწმენის დამცველათ ჩვენი სასიქადულო გიორგი მთაწმინდელი გამოდის: სადავო საკითხები მარტო ბერძენ-ლათინთა შორისაა; ქართველები კი სრულს თანხმობაში არიან ლათინებთან. მოუსმინეთ საქართველოს მოძღვარს: **„ჰრომთა** (სქოლიოში განმარტავს: ლათინთა) **ვინათგან (სქოლიოში** განმარტავს: რაკი, რა დროიდანაც) **ერთგზის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის“** (გვ. 83).

მხედარი განაგრძობს გიორგი მთაწმინდელის ციტირებას: „ქართველების რწმენაზე იგივე მთაწმინდელი დასძენს: **„რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ, გინა მარჯუულ, და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ (გვ. 83).** ავტორი განაგრძობს გიორგი მთაწმინდელის ციტირებას: „აი, რას ამბობს ბერძნებზე: **„ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა და მრავალგზის მიდრკეს“** (გვ. 83). ამ ციტატის შემდეგ კი ასეთი კომენტარია: „აი, ეს ბერძნები „მრავალგზის მიდრეკილნი“, 50-მდე წვალებას აბრალებენ გიორგისაგან ქება შესხმულ ლათინებს, რომელნიც „არა ოდეს მიდრეკილ არიან“ წვალებისაკენ!“

კვლავ ვაგრძელებ მხედარის ციტირებას: „გიორგი მთაწმინდელის ანდერძისათვის არც შემდგომში უღალატია ქართველობას. საქართველოსა და რომის ეკლესიას მჭიდრო კავშირი აერთიანებდა 1234-დე; ამის მერე დაშორებას ვხედავთ, მაგრამ ამ დაშორებას თავის დღეში არ მიუღია განხეთქილების ხასიათი; ხშირად დაშორებასაც კი ვერ შეამჩნევთ, ყოველ შემთხვევაში, იგი ძალიან მცირეა: ქართველმა არხიმანდრიტმა ნიკიფორემ პროპაგანდას წარუდგინა ეკლესიის „მრწამსი“, რომელიც დაწ-

ვრილებით გამოიძიეს 20 ივლისს 1628 წ. და ყველამ ერთხმათ აღიარა: სულ ცოტათი განსხვავდება კათოლიკე სარწმუნოებისგანო“ (გვ. 84).

წიგნში ხაზი ესმის შემდეგს: ნიკიფორესავით თეიმურაზ პირველიც არავითარ განსხვავებას ხედავს ქართველებისა და კათოლიკეების სარწმუნოებაში. საამისოდ მოყვანილი აქვს თეიმურაზ მეფის პაპის შესახებ ნათქვამი სიტყვები: **„თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი...** ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას... რადგან თქვენ ხართ მთავარი მთელი ქვეყნისა... **მამა ყოველთა მორწმუნეთა... თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვთ უსაზღვრო ხელმწიფება. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებით“** (გვ. 85).

წიგნის ავტორი ვრცლად ჩერდება აგრეთვე სვიმონ მეფეზე, რომელსაც 1586 წელს წიგნი მიუწერია პაპისათვის. ჩვენ მხოლოდ მისი ვრცელი წერილიდან ერთ ფრაზას დავიმოწმებთ: „... აწ, ყოფლად უწმინდესო ბატონო, **რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენ ხელშია,** მოეცით ძალა და შეწევნა ქრისტიანთა ერთა...“ (გვ. 86). შემდეგ ამას მოსდევს კათოლიკოს ნიკოლოზ მეათის 1742 წელს გაგზავნილი წერილი, რომელსაც ვატიკანის არქივში მიხეილ თამარაშვილმა მიაკვლია: „უნეტარესო მამაო... მოსამართლევ ყოვლისა სოფლისა, პეტრე მოციქულის მოსაყდრევ და **ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიის თავმჯდომარევ, რომელი ეკლესიაც არის დედა ქვეყნის ყოველთა ერთა...** ვითხოვ თქვენს სამწყსო კურთხევას... **როგორადაც უწინ, ძველი დროდგანვე, ჩვენი ქვეყანა თქვენ გემორჩილებოდათ, მსგავსადვე ჩვენც კვალად თქვენის კურთხევისა და მადლის მქადაგებელნი ვართ.** თუმცა კი ზოგიერთმა ჩვენის საქართველოს პატრიარქმა თქვენდამი ჯეროვნად მისაგებელი მორჩილება დაივიწყა, ხოლო გევედრებით, მათ ნუ დამადარებთ, რადგან მორჩილი და **მზად ვარ ყველა თქვენი ბრძანება აღვასრულო“** (გვ. 87). მოყვანილი ციტატის შემდეგ კათოლიკე ქართველი ავტორი მხედარი ასკვნის: **„მეგობრული კავშირი თითქმის არა დროს შეწყვეტილა რომისა და საქართველოს ეკლესიათა შუა; ეს კავშირი უფრო ხშირად ნამდვილ ერთობამდე აღწევდა“** (გვ. 87).

წიგნის დასკვნით ნაწილში ბიზანტიელთა განადგურება სწორედ „ქრისტეს სჯულიდან“ ჩამოშორებით არის ახსნილი: „ოც საუკუნიანი ისტორია ადასტურებს ჩვენს ნათქვამს: პეტრესაგან ჩამოშორება მუდამ ჩამოშორებულის ზნეობრივი კატასტროფით და საერთო გაკოტრებით ბოლოვდებოდა. ამის ისტორიული მაგალითი თუნდა ბიზანტია გახლავსთ“ (გვ. 90).

მხედარს რელიგიური/სარწმუნოებრივი და სამშობლოს წინსვლის საკითხები ერთმანეთისაგან გადაჯაჭვულად მიაჩნია: „ჩავფიქრდეთ, **სარწმუნოებრივი საკითხი მარტო სულის ცხონებას კი არ შეეხება,** – მისი სათანადო განხორციელება **ერთი აუცილებელი პირობათაგანია სამშობლოს აყვავებისათვის. სამშობლოს აღდგენისათვის, სარწმუნოებაც უნდა აღდგეს, მაგრამ არა ლანდი სარწმუნოებისა, არამედ ცოცხალი სარწმუნოება, სწორედ ის, რომელიც გამოვიდა იესო ქრისტეს ღვთიურ ხელთაგან, ის რომელიც დაფუძნებულია პეტრესეულ კლდეზე“** (გვ. 90-91).

დასკვაში ასეთ რამესაც ვკითხულობთ: „ნაცნობნი მეკითხებიან: რა ნიადაგზე უნდა მოხდეს შეერთებაო?

ჩვენ ვუპასუხებთ: იმ ნიადაგზე , რომელსაც აცხადებდა გიორგი მთაწმინდელი; **ოღონდ სარწმუნეობა ერთი იყოს და ტიპიკონის სხვა და სხვაობას დაე ფართო ასპარეზი გაეხსნასო!“** (გვ. 92).

„ჭეშმარიტ საქართველოს, მთაწმინდელების მიმდევარ საქართველოს, რომაელების (კათოლიკების) რწმენა აქვს. არც მეტი, არც ნაკლები. დანარჩენში მთლათ თავისუფალია: **საქართველო იქნება ავტოკეფალური ეკლესია, თავისი პატრიარხით და ეროვნული ტიპიკონით“** (გვ. 92). იქვე სქოლიოში ის ამატებს: „კათალიკოსს არ კი შეუმცირდება რიცხვი მორწმუნეთა, პირიქით, ყველა ქართველ კათოლკენიც მის მართველობის ქვეშ მოექცევიან; ამასვე დაექვემდებარება სტამბოლის ცნობილი და მომავლით სავსე სავანე“.

აი, ესაა მოკლე შინაარსი წიგნისა, რომელის ავტორი ჩვენთვის უცნობია (მან ფსევდონიმით დაწერა). ჩვენი არც კვალიფიკაცია და არც ცოდნა არა გაგვაჩნია თეოლოგიური თვალსაზრისოთ შევაფასოთ 1922 წელს საქართველოს საზღვრებს გარეთ, სტამბოლის კათოლიკურ სავანეში მომზადებული წიგნი. ჩვენი მიზანი გახლდათ ცნობილი გაგვეხადა საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიის დღემდე უცნობი ფრაგმენტი. ერთი რამ აშკარაა, რომ ქართველი კათოლიკები ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ და ისინიც ისევე ზრუნავდნენ საქართველოს მომავალზე როგორც ქართველი მართლმადიდებლები. ამ წიგნის გაცნობის შემდეგ, რა თქმა უნდა, მათი გულისთქმაც ჩანს იმის შესახებ, რომ ქართველი კათოლიკები წარმომავლობით ეთნიკური ქართველები იყვნენ და არა ენობრივად გაქართველებული სომეხი კათოლიკეები.

მოხსენების სათაურია „ქართველ კათოლიკეთა მცდელობა მართლმადიდებლებისა და კათოლიკების შეერთების შესახებ XX საუკუნის

20-იანი წლების დასაწყისში“. შეიძლება კითხვა გაჩნდეს: რატომ ქართველ კათოლიკეთა და არა ქართველი კათოლიკის? ქართველი კათოლიკის მიერ დაწერილი წიგნი, რომლის სათაურშიცაა მოწოდება ქართველი კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების გაერთიანების შესახებ, ვფიქრობ, არა ერთი პიროვნების მიზანს შეადგენდა, არამედ ერთი დიდი ჯგუფისას. ამ აზრისაკენ გვიბიძგებს ის განწყობა, რაც მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ კათოლიკეთა შორის სუფევდა, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში.